

"შერჩეული წინასწარმეტყველური ჰადისების ენციკლოპედიიდან"

ⓒ جمعية خدمة المحتوى الإسلامي باللغات ، ١٤٤٦هـ

جمعية خدمة المحتوى الإسلامي باللغات
المنتقى من موسوعة الأحاديث النبوية - جورجي. / جمعية خدمة المحتوى الإسلامي باللغات - ط١. .- الرياض ، ١٤٤٦هـ
٤٩٠ ص ؛ ..سم

رقم الإيداع: ١٤٤٦/١١٨٧٢
ردمك: ٦-٢٤-٨٥١٧-٦٠٣-٩٧٨

Partners in Implementation

Content Association
Rowad Translation
Rabwah Association
IslamHouse

This publication may be printed and disseminated by any means provided that the source is mentioned and no change is made to the text.

Tel: +966 50 244 7000
info@islamiccontent.org
Riyadh 13245- 2836
www.islamhouse.com

المنتقى
من
موسوعة الأحاديث النبوية

اللغة الجورجية

إعداد القسم العلمي

جمعية خدمة المحتوى الإسلامي باللغات

جمعية الدعوة وتوعية الجاليات بالربوة

სახელითა ალლაჰისა მოწყალისა, შემწყალებლისა

შესავალი

ქება დიდება ალლაჰს სამყაროების ღმერთს, ალლაჰმა დალოცოს და მიესალმოს ჩვენს შუამავალ მუჰამმადს, მის ოჯახს, მის ყველა მეგობარს და ვინც გაჰყვა მის გზას სიკეთით განკითხვის დღემდე, ამის შემდეგ: უდიდესი რამ, რასაც მუსლიმმა ყურადღება უნდა მიაქციოს არის: ალლაჰის წიგნის კითხვა, განმარტება, გააზრება, ცოდნა და საქმე. ხოლო შემდეგ კი - მუჰამმად შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) სუნნათი. თქვა შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშიდობა მას): «ო, ხალხნო, თქვენთვის დავტოვე ორი რამ და თუ ჩაეჭიდებით მას არასოდეს აიბნევით და ეს არის: ალლაჰის წიგნი და მისი მოციქულის სუნნა». გადმოსცა იმამ მაალიქმა. და თქვა დიდებულმა ალლაჰმა: "და რაც მოგცათ შუამავალმა, აიღეთ, ხოლო რაც აგიკრძალათ, თავი შეიკავეთ". [ალ-ჰაშრ: 7]

ამიტომ, ისლამური კონტენტის სხვადასხვა ენაზე მიწოდების სამსახურის ასოციაცია და ქადაგების და თემების ინფორმირების ასოციაცია რაბვაში ცდილობდნენ მოემზადებინათ წინასწარმეტყველის

ჰადისების ენციკლოპედია და თარგმნილიყო რამდენიმე ენაზე. ყოვლისშემძლე ალლაჰმა გაადვილა ამ ენციკლოპედიის კრებულის მომზადება, რომელიც მუსლიმს სჭირდება მისი რელიგიისა და ცხოვრების გასაგებად. წიგნში ასევე მოყვანილია ჰადისების მოკლე განმარტებები, იხსნება მათი მნიშვნელობები და მითითებები, აგრეთვე გარკვეული უპირატესობები, სახელწოდებით: "შერჩეული წინასწარმეტყველური ჰადისების ენციკლოპედიიდან", ეს ნაშრომი იქნა ნათარგმნი მსოფლიოს ყველა ცოცხალ ენაზე, რათა ყველამ მიიღოს სარგებელი და მიაღწიოს ალლაჰის მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) სუნნამ ყველა ადამიანთან მათ ენაზე. ალლაჰს ვთხოვთ, რომ მიიღოს ეს საქმე და ქმნას ის დალოცვილი და გულწრფელად მისი წმინდა სახისთვის, და რომ დააჯილდოვოს ყველა, ვინც დაეხმარა მის მომზადებაში, თარგმნაში თუ გავრცელებაში, ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა ჩვენ შუამავალ მუჰამმადს.

(1) – عن عمر بن الخطاب رضي الله عنه قال: قال رسول الله صلى الله عليه وسلم: «إِنَّمَا الْأَعْمَالُ بِالنِّيَّةِ، وَإِنَّمَا لِامْرِئٍ مَا نَوَى، فَمَنْ كَانَتْ هِجْرَتُهُ إِلَى اللهِ وَرَسُولِهِ، فَهِجْرَتُهُ إِلَى اللهِ وَرَسُولِهِ، وَمَنْ كَانَتْ هِجْرَتُهُ لِدُنْيَا يُصِيبُهَا أَوِ امْرَأَةٍ يَتَزَوَّجُهَا، فَهِجْرَتُهُ إِلَى مَا هَاجَرَ إِلَيْهِ».

وفي لفظ للبخاري: «إِنَّمَا الْأَعْمَالُ بِالنِّيَّاتِ، وَإِنَّمَا لِكُلِّ امْرِئٍ مَا نَوَى». [صحيح] - [متفق عليه]

(1) – გადმოცემულია უმარ იბნ ალ-ხატტაბისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ შუამავალმა (ალლაჰმა დალოცოს ის და მიესალმოს) თქვა: «ჭეშმარიტად, საქმეები (ფასდება) მხოლოდ განზრახვით, და ჭეშმარიტად, ადამიანი (მიიღებს) მხოლოდ იმას, რისი მიღებაც განზრახული ჰქონდა. ასე რომ, ვინც გადასახლდა ალლაჰთან და მის მოციქულთან, ის გადასახლდა ალლაჰთან და მის მოციქულთან. ხოლო ვინც გადასახლდა ამქვეყნიური სარგებლობისთვის ან ქალისთვის, რომელზეც სურდა დაქორწინება, ის გადასახლდა მხოლოდ იმ მიზნისთვის, რისთვისაც გადასახლდა». ალ-ბუხარის ვერსიაში ნათქვამია: «ჭეშმარიტად, საქმეები (ფასდება) მხოლოდ განზრახვებით, და ჭეშმარიტად, თითოეული ადამიანი (მიიღებს) მხოლოდ იმას, რისი მიღებაც განიზრახა». [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

მოციქული (ალლაჰმა დალოცოს და მიესალმოს მას)

განმარტავს, რომ ყველა საქმე ფასდება განზრახვით. ეს წესი ვრცელდება ყველა საქმეზე, იქნება ეს თაყვანისცემა თუ ადამიანებს შორის ურთიერთობები. ვინც აკეთებს საქმეს მხოლოდ სარგებლის მიღების მიზნით, მიიღებს მხოლოდ იმას, რაც ისურვა, და ვერ მიიღებს ჯილდოს. ხოლო ვინც აკეთებს საქმეს, რათა მიუახლოვდეს უზენაეს ალლაჰს, მიიღებს ჯილდოსა და აღიარებას მისგან, თუნდაც საქმე ჩვეულებრივი იყოს, მაგალითად, საკვების მიღება ან წყლის დალევა.

შემდეგ მოციქულმა (ალლაჰმა დალოცოს და მიესალმოს) მოიყვანა მაგალითი, რათა აეხსნა განზრახვის გავლენა საქმეებზე, თუნდაც ისინი გარეგნულად ერთნაირად გამოიყურებოდნენ. მან განმარტა, რომ ვინც ჰიჯრას (გადასახლებას) შეასრულებს და ტოვებს საკუთარ სამშობლოს, რათა მოიპოვოს თავისი უფლის კმაყოფილება, მისი ჰიჯრა არის კანონიერად და შარიათის მიხედვით მისაღები, და ის მიიღებს ჯილდოს თავისი გულწრფელი განზრახვის გამო. ხოლო ვინც ჰიჯრას ასრულებს ამქვეყნიური სიამოვნებისთვის, იქნება ეს სიმდიდრე, სტატუსი, ვაჭრობა თუ ცოლი, მიიღებს მხოლოდ იმ სარგებელს, რაზეც ფიქრობდა, და მისთვის არ იქნება არანაირი ჯილდო და საზღაური ალლაჰისგან.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. მოწოდება გულწრფელობისკენ, რადგანაც ალლაჰი იღებს მხოლოდ გულწრფელად მისი სახისთვის შესრულებულ საქმეებს.
2. თუ სრულწლოვანი ადამიანი ასრულებს საქმეებს, რომლითაც მიუახლოვდება ყოვლისშემძლე და დიად ალლაჰთან, მაგრამ ამას აკეთებს უბრალოდ ჩვევის გამო, ის ვერ მიიღებს ჯილდოს, სანამ არ გააკეთებს ამას ალლაჰთან მიახლოვების განზრახვით.

(4560)

(2) – عَنْ عَائِشَةَ رضي الله عنها قَالَتْ: قَالَ رَسُولُ اللهِ صلى الله عليه وسلم: «مَنْ أَحْدَثَ فِي أَمْرِنَا هَذَا مَا لَيْسَ فِيهِ فَهُوَ رَدٌّ» متفق عليه.

ولمسلم: «مَنْ عَمِلَ عَمَلًا لَيْسَ عَلَيْهِ أَمْرُنَا فَهُوَ رَدٌّ». [صحيح] - [متفق عليه]

(2) – აიშასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოცემულია, რომ მან თქვა: ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «თუ ვინმე შემოიტანს ჩვენს ამ საქმეში (ისლამში) რაიმეს ახალს, რაც მას არ ეკუთვნის, ის იქნება უარყოფილი». (ერთსულოვნად გადმოსცა ალ-ბუხარიმ და მუსლიმმა). მუსლიმის ვერსიაში ნათქვამია: «ვინც ჩაიდენს რაიმეს, რაზეც ჩვენი ნებართვა არ არსებობს, იქნება

უარყოფილი!» [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტავს, რომ ვინც გამოიგონა ახალი რამ რელიგიაში ან გააკეთა ისეთი საქმე, რაზეც არ არის არავითარი არგუმენტი ყურანიდან და სუნნადან, ის მიბრუნებული იქნება თავის პატრონთან (ჩამდენთან) და არ იქნება მიღებული ალლაჰის წინაშე.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. თაყვანისცემა უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რაც დადგენილია ყურანსა და სუნნაში. ჩვენ ვუწევთ თაყვანისცემას ყოვლისშემძლე ალლაჰს მხოლოდ იმ ფორმით, რომელიც მან დააკანონა, და ვერიდებით ნებისმიერ სიახლესა და გამოგონილ რიტუალს.
2. რელიგია არ ეფუძნება პირად შეხედულებებსა და უპირატესობებს, არამედ ალლაჰის შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გზაზე მიყოლას.
3. ეს ჰადისი არის რელიგიის სრულყოფილების არგუმენტი.
4. ბიდ'ათი არის ყველაფერი, რაც გამოგონილ იქნა რელიგიაში, რომელიც არ იყო შუამავლის

(ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) და მისი საჰაბების პერიოდში, ეს იქნება მრწამსში, სიტყვებში თუ ქმედებებში.

5. ეს ჰადისი არის ფუძე ისლამის ფუძეებიდან, ის არის ქმედებებისთვის როგორც სასწორი, როგორც ყველა საქმე, რომელიც ალლაჰის კმაყოფილებისთვის არ სრულდება და მის ჩამდენს არავითარი მადლი არ ექნება, ასევე ყველა საქმე, რომელიც არ იქნება იმის მიხედვით, რითიც მოვიდა ალლაჰის შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას), ეს საქმე იქნება მიბრუნებული თავის ჩამდენთან (არ იქნება მიღებული ალლაჰის წინაშე).
6. აკრძალული სიახლეები არის ის, რაც დაკავშირებულია რელიგიურ საკითხებთან და არა ამქვეყნიურ საქმეებთან.

(4792)

(3) – عن عمر بن الخطاب رضي الله عنه قال: بَيْنَمَا نَحْنُ عِنْدَ رَسُولِ اللهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ ذَاتَ يَوْمٍ إِذْ طَلَعَ عَلَيْنَا رَجُلٌ شَدِيدُ بَيَاضِ الثِّيَابِ، شَدِيدُ سَوَادِ الشَّعَرِ، لَا يُرَى عَلَيْهِ أَثَرُ السَّفَرِ، وَلَا يَعْرِفُهُ مِنَّا أَحَدٌ، حَتَّى جَلَسَ إِلَى النَّبِيِّ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ، فَأَسْنَدَ رُكْبَتَيْهِ إِلَى رُكْبَتَيْهِ، وَوَضَعَ كَفَّيْهِ عَلَى فَخِذَيْهِ، وَقَالَ: يَا مُحَمَّدُ، أَخْبِرْنِي عَنِ الْإِسْلَامِ، فَقَالَ رَسُولُ اللهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ: «الْإِسْلَامُ أَنْ تَشْهَدَ أَنْ لَا إِلَهَ إِلَّا اللهُ،

وَأَنَّ مُحَمَّدًا رَسُولُ اللهِ، وَتُقِيمَ الصَّلَاةَ، وَتُؤْتِيَ الزَّكَاةَ، وَتَصُومَ رَمَضَانَ، وَتَحُجَّ الْبَيْتَ إِنِ اسْتَطَعْتَ إِلَيْهِ سَبِيلًا» قَالَ: صَدَقْتَ، قَالَ: فَعَجِبْنَا لَهُ، يَسْأَلُهُ وَيُصَدِّقُهُ، قَالَ: فَأَخْبِرْنِي عَنِ الْإِيمَانِ، قَالَ: «أَنْ تُؤْمِنَ بِاللهِ، وَمَلَائِكَتِهِ، وَكُتُبِهِ، وَرُسُلِهِ، وَالْيَوْمِ الْآخِرِ، وَتُؤْمِنَ بِالْقَدَرِ خَيْرِهِ وَشَرِّهِ» قَالَ: صَدَقْتَ، قَالَ: فَأَخْبِرْنِي عَنِ الْإِحْسَانِ، قَالَ: «أَنْ تَعْبُدَ اللهَ كَأَنَّكَ تَرَاهُ، فَإِنْ لَمْ تَكُنْ تَرَاهُ فَإِنَّهُ يَرَاكَ» قَالَ: فَأَخْبِرْنِي عَنِ السَّاعَةِ، قَالَ: «مَا الْمَسْؤُولُ عَنْهَا بِأَعْلَمَ مِنَ السَّائِلِ» قَالَ: فَأَخْبِرْنِي عَنْ أَمَارَتِهَا، قَالَ: «أَنْ تَلِدَ الْأَمَةُ رَبَّتَهَا، وَأَنْ تَرَى الْحُفَاةَ الْعُرَاةَ الْعَالَةَ رِعَاءَ الشَّاءِ يَتَطَاوَلُونَ فِي الْبُنْيَانِ» قَالَ: ثُمَّ انْطَلَقَ، فَلَبِثْتُ مَلِيًّا ثُمَّ قَالَ لِي: «يَا عُمَرُ، أَتَدْرِي مَنِ السَّائِلُ؟» قُلْتُ: اللهُ وَرَسُولُهُ أَعْلَمُ، قَالَ: «فَإِنَّهُ جِبْرِيلُ، أَتَاكُمْ يُعَلِّمُكُمْ دِينَكُمْ». [صحيح] - [رواه مسلم]

(3) – უმარ იბნ ალ-ხატტაბისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოცემულია, რომელმაც თქვა: "როდესაც ჩვენ ვიჯექით შუამავალთან ერთად (ალლაჰის მშვიდობა და ლოცვა მას), ჩვენთან გამოჩნდა კაცი ძალიან თეთრი სამოსით, ძალიან შავი თმებით, რომელსაც არავინ ჩვენგან არ იცნობდა. ის დაჯდა შუამავალთან, თავისი მუხლები მის მუხლებთან დააწყო, ხელები დააწყო გვერდებზე და უთხრა მას: "ო მუჰამმად, მომიყევი ისლამზე". მან უთხრა: «ისლამი არის: დაამოწმო, რომ არ არსებობს ღმერთი, გარდა ალლაჰისა და რომ მუჰამმადი მისი შუამავალია, შეასრულო ლოცვა, გასცე ზაქათი, იმარხო რამადანი და

შეასრულო ჰაჯობა თუ შეგიძლია». მან თქვა: "მართალი ხარ". ჩვენ გაგვიკვირდა ძალიან, და შემდეგ მან ჰკითხა: "მომიყევი რწმენაზე". თქვა: «რწმენა არის, რომ ირწმუნო ალლაჰის, მისი ანგელოზების, მისი წიგნების, მისი შუამავლების, ბოლო დღის და ბედისწერის მისი კარგით და ცუდით». მან თქვა: "მართალი ხარ". შემდეგ ჰკითხა: "მომიყევი გულწრფელობაზე". უთხრა: «ეთაყვანე ალლაჰს ისე, თითქოსდა ხედავ მას, როცა შენ მას ვერ ხედავ, ჭეშმარიტად ის გხედავს შენ». შემდეგ უთხრა: "მომიყევი ბოლო საათზე". თქვა: «მკითხველმა არ იცის იმაზე მეტი, რაც იმან ვისაც ჰკითხა». თქვა: "მომიყევი მის ნიშნებზე". მან თქვა: «მონა შობს თავის ბატონს და შენ დაინახავ ფეხშიშველებს და ტიტვლებს, მწყემსებს, რომლებიც ერთმანეთს მაღალი შენობების აშენებაში ეჯიბრებიან». შემდეგ ეს კაცი წავიდა. და შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ო უმარ! იცი ვინ იყო ის, ვინც მეკითხებოდა?». მე ვუთხარი: "ალლაჰმა და მისმა შუამავალმა იცის". თქვა: «ის იყო ჯიბრილი, რომელიც მოვიდა იმისთვის, რომ გასწავლოთ თქვენი რელიგია». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა მუსლიმმა]

განმარტება:

უმარ იბნ ალ-ხატტაბი (ალლაჰი იყოს კმაყოფილი მისით) გადმოსცემს, რომ ჯაბრაილი (მშვიდობა მას)

მოევლინა საჰაბებს (ალლაჰი იყოს კმაყოფილი მათით) უცნობი მამაკაცის სახით. მას ეცვა თოვლივით თეთრი სამოსი და მისი თმა იყო მუქი შავი. მას არ ჰქონდა მოგზაურობის ნიშნები, როგორიცაა დაღლილობა, მტვერი, არეული თმა ან ჭუჭყიანი ტანსაცმელი, და არც ერთმა იქ მყოფმა, რომლებიც ისხდნენ მოციქულთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას), არ იცნო იგი. ჯაბრაილი დაჯდა მოციქულის წინ ისე, როგორც ჩვეულებრივ ზის ხოლმე მოსწავლე, და ჰკითხა მას ისლამის შესახებ. მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უპასუხა, რომ ისლამი მოიცავს ხუთ ბოძს: ორ მოწმობას (შაჰადა), ხუთგზის ლოცვის შესრულებას, ზაქათის (სავალდებულო მოწყალების) გადახდას იმათთვის, ვისაც ეკუთვნის, რამადანის თვეში მარხვას და ჰაჯობის (მექაში პილიგრიმობის) შესრულებას მათთვის, ვისაც ამის ძალა შესწევს.

მკითხველმა თქვა: "შენ თქვი სიმართლე", საჰაბები (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი) გაოცებულები იყვნენ მისი შეკითხვით, რადგანაც თითქოს მან არ იცოდა მასზე პასუხი, მაგრამ პასუხებზე თანხმობა განაცხადა (ამაზეც გაოცდნენ).

შემდეგ ჯაბრაილმა ჰკითხა მოციქულს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) იმანის (რწმენის) შესახებ, და მოციქულმა უპასუხა, რომ რწმენა ეფუძნება ექვს რამეს:

რწმენა უზენაესი ალლაჰის არსებობისა და ერთადერთობის მიმართ, რწმენა, რომ ალლაჰი ერთია თავის საქმეებში, როგორიცაა შექმნა, და მხოლოდ ის იმსახურებს თაყვანისცემას, რწმენა პატივცემულ ანგელოზებში, რომლებიც ალლაჰმა შუქისგან შექმნა და რომლებიც არ გადაუხვევენ მის ბრძანებებს, რწმენა წიგნების, რომლებიც ალლაჰმა გაუგზავნა თავის წინასწარმეტყველებს, მათ შორის რწმენა ალლაჰის მოციქულებში, რომლებიც ავრცელებდნენ მის რელიგიას, მაგალითად, ნუჰი (ნოე), იბრაჰიმი, მუსა, ისა და უკანასკნელი მათგანი — მუჰამმადი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას), სხვა წინასწარმეტყველები და განკითხვის დღის რწმენა, რაც მოიცავს ყველაფერს იმას, რაც სიკვდილის შემდეგ ხდება: მდგომარეობას საფლავში, ბარზახის რწმენა (შუალედური მდგომარეობა სიკვდილსა და აღდგომას შორის), აღდგომას, სასამართლოს, რის შემდეგაც ადამიანი აღსდგება და წარსდგება სასამართლოს წინაშე, რწმენა ბედისწერის მიმართ, რაც გულისხმობს რწმენას, რომ ალლაჰმა წინასწარ განსაზღვრა ყველაფერი თავისი ცოდნით, სიბრძნით, ბრძანებით და ნებით, და ყველაფერი ხდება ისე, როგორც მან წინასწარ განსაზღვრა და შექმნა. შემდეგ ჯაბრაილმა ჰკითხა მას გულწრფელობის შესახებ. მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას)

უპასუხა, რომ გულწრფელობა ნიშნავს ალლაჰზე თაყვანისცემას ისე, თითქოს ხედავ მას. თუ ადამიანი ვერ აღწევს ამ დონეს, მაშინ მან უნდა სცეს თაყვანი ალლაჰს, გაცნობიერებით, რომ ალლაჰი ხედავს მას. პირველი დონე არის «ხილვის» დონე, რაც უფრო მაღალია, ხოლო მეორე დონე არის «დაკვირვების» დონე.

შემდეგ შეეკითხა საათის შესახებ (განკითხვის დღე), და მოციქულმა (ალლაჰმა დალოცოს და მიესალმოს მას) განმარტა, რომ მის შესახებ არავის არ გააჩნია ცოდნა, არც მკითხველს და არც მოპასუხეს.

შემდეგ ჯაბრაილმა ჰკითხა მას განსჯის დღის ნიშნების შესახებ. მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტა, რომ განსჯის დღის ნიშნებს შორისაა: მონების და მათი შვილების ზრდა ან ბავშვების უგულებელყოფა და ურჩობა დედების მიმართ ისე, რომ ისინი მათ მონებივით მოეპყრობიან; და ასევე იქნება ბოლო დროს მწყემსებისა და ღარიბების მატერიალური სიმდიდრის ზრდა, როცა ისინი ერთმანეთს შეეჯიბრებიან შენობების მოჩუქურთმებაში და ამაღლებაში.

შემდეგ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) აცნობა, რომ ის, ვინც შეკითხვებს სვამდა, იყო ჯიბრილი, რომელიც მოვიდა იმისთვის, რათა ესწავლებინა მათთვის ეს ჭეშმარიტი რელიგია.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ეს ჰადისი აღწერს მოციქულის (ალლაჰმა დალოცოს და მიესალმოს მას) შესანიშნავ ზნეობას და იმას, თუ როგორ იჯდა ის თავის საჰაბებთან და როგორ ისხდნენ ისინი მასთან ერთად.
2. შარიათის მიხედვით დადგენილია ლმობიერების გამოხატვა მკითხველის მიმართ და მასთან დაახლოება, რათა მან შეძლოს კითხვების დასმა უხერხულობისა და შიშის გარეშე.
3. პატივისცემის გამოხატვა მასწავლებლის მიმართ, როგორც ჯიბრილმა (მშვიდობა მას) გააკეთა, როცა ის წესიერად დაჯდა მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) წინ, რათა მისგან აეღო ცოდნა.
4. ისლამის საფუძვლები ხუთია, ხოლო რწმენის საფუძვლები ექვსი.
5. როდესაც ისლამი და იმანი (რწმენა) ერთად იხსენიებიან და ერთ კონტექსტში გამოიყენებიან, ისლამი განიმარტება როგორც გარეგანი ქმედებები, ხოლო იმანი — როგორც შინაგანი რწმენა.
6. განმარტება იმისა, რომ ისლამს აქვს რამდენიმე დონე, პირველი დონე არის ისლამი, მეორე — იმანი (რწმენა), ხოლო მესამე და ყველაზე მაღალი

დონე — ალ-იჰსან (გულწრფელობა). ალ-იჰსან არის უმაღლესი დონე.

7. ჩვეულებრივ, კითხვების დამსმელს აკლია ცოდნა, და სწორედ უცოდინრობა უბიძგებს კითხვების დასმისკენ. ამიტომაც, საჰაბები გაოცდნენ, როდესაც დაინახეს, რომ ეს ადამიანი სვამდა კითხვებს და თან თვითონვე ადასტურებდა მათ.
8. დაწყება უნდა იყოს ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხით, ამიტომაც ისლამის ახსნა დაიწყო ორი დამოწმებით (შაჰადით), ხოლო რწმენის (იმანის) ახსნა — ალლაჰისადმი რწმენის განმარტებით.
9. კითხვების დასმა მცოდნე ადამიანებისთვის იმ საკითხებზე, რომელთა შესახებ მკითხველმა უკვე იცის, შესაძლებელია იმ მიზნით, რომ ეს ცოდნა სხვებმაც მიიღოს.
10. განკითხვის საათის ცოდნა არის ის, რაც მხოლოდ ალლაჰისთვის არის ცნობილი.

(4563)

(4) – عَنْ عَبْدِ اللهِ بنِ عُمَر رضي الله عنهما قال: قال رسولُ الله صلى الله عليه وسلم: «بُنِيَ الْإِسْلَامُ عَلَى خَمْسٍ: شَهَادَةِ أَنْ لَا إِلَهَ إِلَّا اللهُ، وَأَنَّ مُحَمَّدًا عَبْدُهُ وَرَسُولُهُ، وَإِقَامِ الصَّلَاةِ، وَإِيتَاءِ الزَّكَاةِ، وَحَجِّ الْبَيْتِ، وَصَوْمِ رَمَضَانَ». [صحيح] - [متفق عليه]

(4) – გადმოცემულია აბდულლაჰ იბნ უმარისგან (ალლაჰი იყოს მათი ორივეთი კმაყოფილი), რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ისლამი დაფუძნებულ იქნა ხუთ საფუძველზე: დამოწმება იმისა, რომ არ არსებობს ღვთაება, გარდა ალლაჰისა და რომ მუჰამმადი ალლაჰის მსახური და შუამავალია, ხუთჯერადი ლოცვა, ზაქათის გადახდა, ჰაჯობის შესრულება ქააბაში და მარხვა რამადანის თვეში». [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ისლამი შეადარა მყარ ნაგებობას, რომელსაც ხუთი სვეტი უჭირავს. ეს სვეტები ნაგებობას ამყარებენ, ხოლო ისლამის სხვა ბრძანებები და ვალდებულებები ამ ნაგებობის დამატებად და გაფორმებად გვევლინებიან. ამ პირობებიდან პირველია: ორი დამოწმება - დამოწმება იმისა, რომ არ არსებობს ღვთაება, გარდა ალლაჰისა და დამოწმება, რომ მუჰამმედი ალლაჰის შუამავალია, ეს ორი ერთი პირობაა და ერთი მეორეს გარეშე არ იქნება. მსახური მათ წარმოთქვამს დასადასტურებლად იმისა, რომ ალლაჰი ერთადერთია და მხოლოდ ის იმსახურებს ღვთისმსახურებას და არავინ იმსახურებს სხვა მის გარდა, შემდეგ იმოქმედებს

მისი პირობებით, ირწმუნებს მისი შუამავლის მუჰამმადის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) და გაჰყვება მას. მეორე პირობა: ლოცვის შესრულება - დღე-ღამის განმავლობაში შესასრულებელი ხუთი სავალდებულო ლოცვა: დილის ლოცვა, შუადღის ლოცვა, ნაშუადღევის ლოცვა, სამხრობის ლოცვა და ღამის ლოცვა, თავისი პირობებით, საფუძვლებით და ვალდებულებებით. მესამე პირობა: სავალდებულო ზაქათის გადახდა - ეს არის ფინანსური თაყვანისცემა, რომელიც სავალდებულოა იმ ქონებისთვის, რომელმაც მიაღწია შარიათით დადგენილ მინიმალურ ზღვარს. ზაქათი უნდა გაიცეს იმ ადამიანებზე, ვისაც შარიათის მიხედვით ეკუთვნის. მეოთხე პირობა: ჰაჯობა (პილიგრიმობა) - ეს არის მექქაში განსაზღვრული ადგილების მონახულების განზრახვა უზენაესი ალლაჰის თაყვანისცემის მიზნით. მეხუთე პირობა: რამადანის თვეში მარხვა - ეს არის ჭამა-სმისგან და სხვა მარხვის მომშლელი ფაქტორებისგან თავის შეკავება ალლაჰზე თაყვანისცემის განზრახვით, მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ორივე მოწმობის განუყოფელობა: ერთი მათგანი მეორეს გარეშე არ მოქმედებს, და სწორედ ამიტომ, ისინი გაერთიანებულნი არიან ერთ საყრდენში.

2. ორი დამოწმება არის რელიგიის საფუძველი, არც სიტყვა და არც ქმედება მათ გარეშე არ მიიღება.

(65000)

(5) – عَنْ مُعَاذٍ رَضِيَ اللَّهُ عَنْهُ، قَالَ: كُنْتُ رِدْفَ النَّبِيِّ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ عَلَى حِمَارٍ يُقَالُ لَهُ عُفَيْرٌ، فَقَالَ: «يَا مُعَاذُ، هَلْ تَدْرِي حَقَّ اللَّهِ عَلَى عِبَادِهِ، وَمَا حَقُّ العِبَادِ عَلَى اللَّهِ؟»، قُلْتُ: اللَّهُ وَرَسُولُهُ أَعْلَمُ، قَالَ: «فَإِنَّ حَقَّ اللَّهِ عَلَى العِبَادِ أَنْ يَعْبُدُوهُ وَلَا يُشْرِكُوا بِهِ شَيْئًا، وَحَقَّ العِبَادِ عَلَى اللَّهِ أَنْ لَا يُعَذِّبَ مَنْ لَا يُشْرِكُ بِهِ شَيْئًا»، فَقُلْتُ: يَا رَسُولَ اللَّهِ أَفَلاَ أُبَشِّرُ بِهِ النَّاسَ؟ قَالَ: «لَا تُبَشِّرْهُمْ، فَيَتَّكِلُوا». [صحيح] - [متفق عليه]

(5) – მუაზისაგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოცემულია, რომ მან თქვა: "მე ვიჯექი მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უკან ვირზე, სახელად უფეირი, და მან მითხრა: «ჰეი, მუაზ იცი თუ არა, რა არის ალლაჰის უფლება მისი მსახურების მიმართ და რა არის მსახურების უფლება ალლაჰის მიმართ?» მე ვუპასუხე ალლაჰმა და მისმა მოციქულმა უკეთ იციან, თქვა: «ალლაჰის უფლება მისი მსახურების მიმართ არის ის, რომ მას ემსახურონ და არაფერი დაუდგინონ თანამოზიარედ, ხოლო მსახურების უფლება ალლაჰის მიმართ არის ის, რომ ალლაჰი არ დასჯის მას, ვინც მას არაფერს უდგენს თანაზიარად». მუაზმა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) უთხრა: ო ალლაჰის მოციქულო, ნუთუ არ ვუმახარობლო მისით

ხალხს? მან უპასუხა: «არ უთხრა მათ, რადგან შეიძლება მხოლოდ ამას დაეყრდნონ». [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტავს, თუ რა არის ალლაჰის უფლება მსახურებზე და რა არის მსახურთა უფლება ალლაჰის წინაშე. ალლაჰის უფლება იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანები მხოლოდ მას ერთს უნდა ემსახურონ და არ შეუქმნან მას თანაზიარი. მსახურის უფლება ალლაჰის მიმართ ის არის, რომ არ დასჯის ერთღმერთიანებს, რომლებიც არ უქმნიან მას თანაზიარად არავის. ამის შემდეგ მუ'აზმა უთხრა: ო, ალლაჰის მოციქულო, ნუთუ არ ვუმახარობლო ხალხს, რომ გაიხარონ და იბედნიერონ ამ უდიდესი სიკეთით? მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამისგან თავშეკავება უბრძანა, იმის შიშით, რომ ხალხი მხოლოდ მასზე დაეყრდნობოდა.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ალლაჰის უფლება, რომელიც მან თავის მსახურებს დააკისრა ის არის, რომ ეთაყვანონ მას და არ დაუდგინონ არავინ მას თანაზიარად.
2. მსახურთა უფლება უზენაესი ალლაჰის წინაშე,

რომელიც ალლაჰმა თავის თავზე მისგან სიკეთითა და წყალობით იკისრა არის ის, რომ შეიყვანს მათ სამოთხეში და არ დასჯის.

3. ამაში მოცემულია უდიდესი სასიხარულო ცნობები ერთღმერთიანთათვის, რომლებიც ალლაჰის ერთიანობას აღიარებენ და არ უთანაზიარებენ მას არავის, რომ მათი საბოლოო დანიშნულება სამოთხეში შესვლაა.
4. მუ'აზმა ეს ჰადისი სიკვდილის წინ მოუყვა ხალხს. იმის შიშით, რომ ცოდნის დამალვისთვის ცოდვაში არ ჩავარდნილიყო.
5. გაფრთხილება, რომ ზოგიერთი ჰადისი ზოგიერთ ადამიანებში არ გავრცელდეს, იმის შიშით, რომ მათ შეიძლება ვერ გაიგონ მისი შინაარსი. ეს განსაკუთრებით ეხება ისეთ საკითხებს, რომლებიც არ უკავშირდება უშუალო მოქმედებას ან შარიათის კანონების საზღვრებიდან რომელიმე საზღვრის დარღვევას.
6. ცოდვილი ერთღმერთიანები არიან ალლაჰის ნება-სურვილის ქვეშ: თუ ინებებს დასჯის მათ, ხოლო თუ ინებებს აპატიებს, შემდეგ მათი ბედი არის სამოთხეში.

(65007)

(6) – عن أنس بن مالك رضي الله عنه: أَنَّ النَّبِيَّ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ وَمُعَاذٌ رَدِيفُهُ عَلَى الرَّحْلِ قَالَ: «يَا مُعَاذُ بْنَ جَبَلٍ»، قَالَ: لَبَّيْكَ يَا رَسُولَ اللهِ وَسَعْدَيْكَ، قَالَ: «يَا مُعَاذُ»، قَالَ: لَبَّيْكَ يَا رَسُولَ اللهِ وَسَعْدَيْكَ، ثَلَاثًا، قَالَ: «مَا مِنْ أَحَدٍ يَشْهَدُ أَنْ لَا إِلَهَ إِلَّا اللهُ وَأَنَّ مُحَمَّدًا رَسُولُ اللهِ صِدْقًا مِنْ قَلْبِهِ إِلَّا حَرَّمَهُ اللهُ عَلَى النَّارِ»، قَالَ: يَا رَسُولَ اللهِ، أَفَلَا أُخْبِرُ بِهِ النَّاسَ فَيَسْتَبْشِرُوا؟ قَالَ: «إِذًا يَتَّكِلُوا». وَأَخْبَرَ بِهَا مُعَاذٌ عِنْدَ مَوْتِهِ تَأَثُّمًا. [صحيح] - [متفق عليه]

(6) – ანასი (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს: ერთხელ, როცა მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ცხენით მგზავრობდა, ხოლო მის უკან, უნაგირზე, მუ'აზი იჯდა, მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უთხრა: «ო მუ'აზ იბნ ჯაბალ!» მუ'აზმა მიუგო: აქ ვარ შენს წინაშე, ო ალლაჰის მოციქულო, ბედნიერი ვარ შენი მსახურებით! მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) კვლავ უთხრა: «ო მუ'აზ!», შენს წინაშე ვარ, ო, ალლაჰის მოციქულო, ბედნიერი ვარ შენი მსახურებით! ასე განმეორდა სამჯერ და შემდეგ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «რომელმა (ალლაჰის) მსახურმაც გულით გულწრფელად აღიარა, რომ არ არსებობს სხვა ღვთაება, რომელიც ღირსია თაყვანისცემის, გარდა ალლაჰისა და რომ მუჰამმადი მისი მსახური და მისი მოციქულია, ალლაჰი მას

აუცილებლად აუკრძალავს ცეცხლში შესვლას». მუ'აზმა ჰკითხა: ო, ალლაჰის მოციქულო, არ უნდა გავაგებინო ეს ხალხს, რომ გაიხარონ? მან უპასუხა: «მაშინ ისინი მხოლოდ იმედს დაამყარებენ და დატოვებენ საქმეს (მსახურებას)», - მიუხედავად ამისა, მუ'აზმა ეს სიტყვები თავის სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე გაამხილა, რადგან თვლიდა, რომ მათი დამალვა ცოდვა იქნებოდა (სასარგებლო ცოდნის დამალვის გამო). [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

მუ'აზ იბნ ჯაბალი (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უკან იყო შემომჯდარი ცხენზე ან აქლემზე, და მას მიმართა ჰეი, მუაზ? მან ეს სამჯერ გაუმეორა; იმის მისათითებლად, რომ ის რის თქმასაც აპირებდა, ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

ამ ყველაფერს მუ'აზი (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) შემდეგი სიტყვებით პასუხობდა: "აქ ვარ შენს წინაშე, ო ალლაჰის მოციქულო, ბედნიერი ვარ შენი მსახურებით!", ანუ: გპასუხობ შენ ო, ალლაჰის შუამავალო, პასუხს გცემ და მწამს შენი. ბედნიერებას შენზე მორჩილებაში ვეძებ.

შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მას უთხრა, რომ ვინც დაამოწმებს, რომ არ არსებობს

ღვთაება, გარდა ალლაჰისა, ანუ: არ არსებობს ჭეშმარიტი სათაყვანებელი გარდა ალლაჰისა, და რომ მუჰამმადი ალლაჰის შუამავალია, წრფელი გულით ტყუილის გარეშე ამას დაამოწმებს და ის ამ მდგომარეობაში გარდაიცვლება, ალლაჰმა მისი დაწვა აუკრძალა ჯოჯოხეთს.

მუ'აზი (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) შეეკითხა შუამავალს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას), ემცნობებინა თუ არა ეს ხალხისთვის, რათა გაეხარათ და გაბედნიერებულიყვნენ ამ სიკეთით?

შუამავალს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) შეეშინდა, რომ ისინი მხოლოდ ამაზე დაიმედდებოდნენ და შეამცირებდნენ საქმეებს.

მუ'აზს ამის შესახებ არავისთვის მოუყოლია, გარდა მაშინ როცა მას სიკვდილი ეწვია; იმის შიშით, რომ ის ჩაიდენდა ცოდვას ცოდნის დამალვით.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. შუამავლის(ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თავმდაბლობა, რადგან მას ჰყავდა მუ'აზი შემოსმული მასთან ერთად პირუტყვზე.
2. შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) სწავლების მეთოდი, როცა მან მუ'აზს რამდენჯერმე დაუძახა, რათა მას დიდი ყურადღებით მოესმინა მისი ნათქვამი.

3. შეჰადეთის (დამოწმების) პირობებია: დამოწმება, რომ არ არსებობს ღვთაება, გარდა ალლაჰისა და დამოწმება, რომ მუჰამმადი ალლაჰის შუამავალია, ამის დამმოწმებელი უნდა იყოს წრფელი და დარწმუნებული, ეჭვის ან ტყუილის გარეშე.
4. ერთღმერთიანი ხალხი ჯოჯოხეთის ცეცხლში სამუდამოდ არ დარჩებიან, რომც მოხვდნენ იქ თავიანთი ცოდვების გამო; განიწმინდებიან ცოდვებისგან და შემდეგ გამოვლენ იქიდან.
5. ორი შაჰადეთის (ორი დამოწმების) მადლი, ვინც მათ ამბობს წრფელად.
6. ზოგიერთ შემთხვევაში ჰადისის მოყოლისგან თავის შეკავების ნებართვა, თუ მისი მოყოლა ზიანს გამოიწვევს.

(10098)

(7) – **عن طارق بن أشيم الأشجعي رضي الله عنه قال: سمعتُ رسولَ الله صلى الله عليه وسلم يقول: «مَنْ قَالَ: لَا إِلَهَ إِلَّا اللهُ، وَكَفَرَ بِمَا يُعْبَدُ مِنْ دُونِ اللهِ حَرُمَ مَالُهُ وَدَمُهُ، وَحِسَابُهُ عَلَى اللهِ».** [صحيح] - [رواه مسلم]

(7) – გადმოცემულია ტაარიყ იბნ აშიამ ალ-აშჯა'ისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მან თქვა: გავიგონე, რომ ალლაჰის შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამბობდა: «ვინც თქვა: არ არსებობს

ღვთაება, გარდა ალლაჰისა და უარყო სხვა ყველაფერი, რასაც ალლაჰის გარდა ეთაყვანებიან, აკრძალულია მისი ქონება და სისხლი, მისი განკითხვა ალლაჰის ხელშია». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა მუსლიმმა]

განმარტება:

შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნობს, რომ ვინც დაამოწმა თავისი ენით "არ არსებობს ღვთაება, გარდა ალლაჰისა", ანუ: არ არსებობს ღირსეული სათაყვანებელი გარდა ალლაჰისა და უარყო სხვა ყველაფერი, რასაც ალლაჰის გარდა ეთაყვანებიან, განუდგა ყველა სარწმუნოებას ისლამის გარდა, მისი ქონება და სისხლი მუსლიმებისთვის აკრძალულია, ჩვენ მხოლოდ ღია (გარე) შეხედულებით უნდა ვიმოქმედოთ. მიუღებელია მისი ქონების მიტაცება და მისი სისხლის დაღვრა, გარდა იმ შემთხვევაში, თუ ჩაიდინა ცოდვა ან დანაშაული და ეს გამოიწვევს მათ ხელყოფას ისლამური სამართლის აღსასრულებლად.

ალლაჰია პასუხისმგებელი მის განკითხვაზე აღდგომის დღეს, თუ ის იყო მართალი დააჯილდოვებს მას, და თუ იყო ორპირი დასჯის მას.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. წარმოთქმა, რომ "არ არსებობს ღვთაება გარდა ალლაჰისა", და უარყოფა იმ ყველაფრის, რასაც

ალლაჰის გარდა ეთაყვანებიან - ისლამში შესვლის პირობაა.

2. (ლაა ილააჰა ილლაა ალლააჰ): "არ არსებობს ღვთაება, გარდა ალლაჰისა" - ამის მნიშვნელობაა: უარყოფა იმ ყველაფრის, რასაც ეთაყვანებიან, გარდა ალლაჰისა: კერპი, საფლავი თუ სხვა რამ. და უზენაესზე ერთღმერთიანად თაყვანისცემა.
3. ვინც წარმოთქვა ერთღმერთიანობის დამადასტურებელი სიტყვები და მის კანონებს ემორჩილება ღიად (აშკარად), აუცილებელია მისი სისხლის და ქონების დაცვა, სანამ აშკარად არ გამოჩნდება მისგან შარიათის საწინააღმდეგო რამ.
4. მუსლიმის ქონება, სიცოცხლე და სინდისი ხელშეუხებელია, გარდა შარიათით დადგენილი უფლებისა.
5. ამქვეყნად მისი მდგომარეობა გარე შეხედულებებით ფასდება, ხოლო იმქვეყნად კი განზრახვებით.

(6765)

(8) – عَنْ جَابِرٍ رضي الله عنه قَالَ: أَتَى النَّبِيَّ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ رَجُلٌ فَقَالَ: يَا رَسُولَ اللهِ، مَا الْمُوجِبَتَانِ؟ فَقَالَ: «مَنْ مَاتَ لَا يُشْرِكُ بِاللهِ شَيْئًا دَخَلَ الْجَنَّةَ، وَمَنْ مَاتَ يُشْرِكُ بِاللهِ شَيْئًا دَخَلَ النَّارَ» [صحيح] - [رواه مسلم]

(8) – ჯააბირისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოცემულია, რომ მან თქვა: ერთხელ მოციქულთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მივიდა კაცი და ჰკითხა: ო, ალლაჰის შუამავალო, რა არის ორი სავალდებულო რამ? მოციქულმა(ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უპასუხა: «ის, ვინც გარდაიცვალა და ალლაჰისთვის არაფერი დაუდგენია თანაზიარად - სამოთხეში შევა, ხოლო ვინც გარდაიცვალა ისე, რომ ალლაჰს უდგენდა თანაზიარს - ჯოჯოხეთში შევა». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა მუსლიმმა]

განმარტება:

ერთმა კაცმა მოციქულ მუჰამმადს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ჰკითხა ორ თვისებაზე: რომელითაც იქნებოდა სავალდებულო სამოთხეში და ჯოჯოხეთში შესვლა. მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უპასუხა, რომ თვისება, რომელიც სამოთხეში შესვლას უზრუნველყოფს არის, ადამიანი რომელიც გარდაიცვლება და ის ეთაყვანება ერთადერთ ალლაჰს და არ უდგენდა მას არავის თანაზიარად, ხოლო თვისება, რომელიც ჯოჯოხეთში შესვლას გამოიწვევს, არის ის, რომ ადამიანი რომელიც, გარდაიცვლება და ის უდგენდა ალლაჰს თანაზიარს, უტოლებდა ვინმეს თაყვანისცემაში, ღვთაებრიობაში, სახელებსა თუ თვისებებში.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ერთღმერთიანობის სიკეთე იმაში მდგომარეობს, რომ ის ვინც გარდაიცვალა მორწმუნედ და არ უდგენდა ალლაჰს თანამოზიარედ არაფერს სამოთხეში შევა.
2. ალლაჰთან თანაზიარის საშიშროება ისაა, რომ ვინც გარდაიცვალა ისე, რომ ალლაჰს უდგენდა თანაზიარად რაიმეს ჯოჯოხეთში შევა.
3. ცოდვილი ერთღმერთიანები ალლაჰის ნება-სურვილის ქვეშ არიან, ისურვებს დასჯის ან აპატიებს მათ, შემდეგ მათი ხვედრი სამოთხეშია.

(65007)

(9) – عَنْ عَبْدِ اللهِ بنِ مَسْعُودٍ رضي الله عنه قال: قَالَ النَّبِيُّ صلى الله عليه وسلم كَلِمَةً وَقُلْتُ أُخْرَى، قَالَ النَّبِيُّ صلى الله عليه وسلَّم: «مَنْ مَاتَ وَهُوَ يَدْعُو مِنْ دُونِ اللهِ نِدًّا دَخَلَ النَّارَ» وَقُلْتُ أَنَا: مَنْ مَاتَ وَهُوَ لَا يَدْعُو لِلَّهِ نِدًّا دَخَلَ الْجَنَّةَ. [صحيح] - [متفق عليه]

(9) – გადმოცემულია აბულლაჰ ბინ მას'უდისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომელმაც თქვა: მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა ერთი სიტყვა და მე ვთქვი სხვა. მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ვინც მოკვდება ისე, რომ ის ალლაჰის გარდა სხვა ვინმეს ევედრებოდა - შევა ჯოჯოხეთში», მე კი ვთქვი: ვინც მოკვდა ისე, რომ ის

ალლაჰთან ერთად სხვას არ ევედრებოდა შევა სამოთხეში. [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნობს, რომ ვინც ისეთ რამეს გააკეთებს სხვისთვის, რომელიც აუცილებლად მხოლოდ ალლაჰისთვის უნდა გაკეთდეს, როგორიც არის უზენაესი ალლაჰის გარდა სხვაზე ვედრება, ან სხვისგან დახმარების თხოვნა, შემდეგ კი მოკვდება ამ მდგომარეობაში, ის იქნება ჯოჯოხეთის ბინადართაგან. იბნ მა'სუდი კი ამატებს (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ ვინც მოკვდა ისე, რომ ის ალლაჰს მოზიარეს არ უდგენდა, მისი მისაქციელი სამოთხეში იქნება.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ლოცვა (დუა) არის თაყვანისცემა, რომელიც არ უნდა იყოს მიმართული არავისთვის, გარდა ყოვლისშემძლე ალლაჰისა.
2. ერთღმერთიანობის მადლი. ვინც ერთღმერთიანობაზე გარდაიცვლება სამოთხეში მოხვდება. თუნდაც მას შეხვდეს სასჯელი ზოგიერთი ცოდვების გამო.
3. ალლაჰთან თანაზიარის საშიშროება. ვინც გარდაიცვალა ისე, რომ ალლაჰს უდგენდა

თანაზიარად რაიმეს ჯოჯოხეთში შევა.

(3419)

(10) – عَنِ ابْنِ عَبَّاسٍ رَضِيَ اللَّهُ عَنْهُمَا قَالَ: قَالَ رَسُولُ اللهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ لِمُعَاذِ بْنِ جَبَلٍ، حِينَ بَعَثَهُ إِلَى الْيَمَنِ: «إِنَّكَ سَتَأْتِي قَوْمًا أَهْلَ كِتَابٍ، فَإِذَا جِئْتَهُمْ فَادْعُهُمْ إِلَى أَنْ يَشْهَدُوا أَنْ لَا إِلَهَ إِلَّا اللهُ، وَأَنَّ مُحَمَّدًا رَسُولُ اللهِ، فَإِنْ هُمْ أَطَاعُوا لَكَ بِذَلِكَ، فَأَخْبِرْهُمْ أَنَّ اللهَ قَدْ فَرَضَ عَلَيْهِمْ خَمْسَ صَلَوَاتٍ فِي كُلِّ يَوْمٍ وَلَيْلَةٍ، فَإِنْ هُمْ أَطَاعُوا لَكَ بِذَلِكَ، فَأَخْبِرْهُمْ أَنَّ اللهَ قَدْ فَرَضَ عَلَيْهِمْ صَدَقَةً تُؤْخَذُ مِنْ أَغْنِيَائِهِمْ فَتُرَدُّ عَلَى فُقَرَائِهِمْ، فَإِنْ هُمْ أَطَاعُوا لَكَ بِذَلِكَ، فَإِيَّاكَ وَكَرَائِمَ أَمْوَالِهِمْ، وَاتَّقِ دَعْوَةَ الْمَظْلُومِ، فَإِنَّهُ لَيْسَ بَيْنَهُ وَبَيْنَ اللهِ حِجَابٌ». [صحيح] - [متفق عليه]

(10) – იბნ აბბასისგან გადმოცემულია (ალლაჰი იყოს მისით და მისი მამით კმაყოფილი), რომ მან თქვა: უთხრა ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მუაზ იბნ ჯაბალს, როცა იემენში გააგზავნა: «შენ მიხვალ ხალხთან, რომლებიც წიგნის ხალხია. როცა მათთან მიხვალ, მოუწოდე მათ, რომ დაამოწმონ: არ არსებობს ღმერთი, გარდა ალლაჰისა და რომ მუჰამმადი ალლაჰის მოციქულია. თუ ისინი დაგემორჩილებიან ამაში, აცნობე მათ, რომ ალლაჰმა სავალდებულო გახადა მათთვის დღეში ხუთჯერ ლოცვა. თუ ისინი დაგემორჩილებიან ამაში აცნობე მათ, რომ ალლაჰმა დააკისრა მათ ზაქათი, რომელიც

მდიდრებიდან უნდა იყოს აღებული და ღარიბებისთვის გადაცემული. თუ ისინი დაგემორჩილებიან ამაში, ფრთხილად იყავი, რომ არ წაართვა მათ საუკეთესო ქონება და ერიდე დაჩაგრულის წყევლას, რადგან მის ვედრებასა და ალლაჰს შორის ბარიერი არ არსებობს». [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

როცა მოციქულმა მუჰამმადმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მუაზ იბნ ჯაბალი (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) იემენში ალლაჰის გზაზე მოსახმობად და სწავლების მიზნით გაგზავნა, განუმარტა, რომ მას შეხვდებოდა ხალხი, რომლებიც ქრისტიანები იყვნენ, რათა მუაზი მზად ყოფილიყო მათთვის. მან ურჩია, რომ მათი მოწოდება დაწყებულიყო ყველაზე მნიშვნელოვანით, შემდეგ კი თანმიმდევრულად გაეგრძელებინა სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე ყურადღების გამახვილება. პირველ რიგში, მუაზს უნდა დაეწყო მოწოდება მრწამსის გამოსწორებით, რომ დაემოწმებინათ: რომ არ არსებობს ღმერთი, გარდა ალლაჰისა და რომ მუჰამმადი ალლაჰის მოციქულია. რადგან ამ სიტყვებით ისინი ისლამში შევლენ. და თუ ისინი დაემორჩილებიან ამ მოწოდებას, შემდეგ უბრძანე მათ ლოცვის შესრულება, რადგან ის თავჰიდის შემდეგ

ყველაზე მნიშვნელოვანი ვალდებულებაა, თუ ისინი ლოცვაზე დადგებიან, უბრძანე მათ მდიდრებს, რომ თავიანთი ქონებიდან ზაქათი ღარიბებს მისცენ. შემდეგ გაფრთხილება მისცა, რომ არ აიღოს მათი ქონების საუკეთესო ნაწილი, რადგან ვალდებულება არის ქონების საშუალო ნაწილის მიცემა. შემდეგ მუაზი დაარიგა, რომ თავი აერიდებინა უსამართლობის ჩადენისგან, რათა დაჩაგრულმა არ მოუხმოს ალლაჰს მის წინააღმდეგ, რადგანაც დაჩაგრულის ვედრება მიღებულია.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. დამოწმების მნიშვნელობა, რომ არ არსებობს ღვთაება ღირსეული თაყვანისცემისა, გარდა ალლაჰისა, რაც ნიშნავს ალლაჰის ერთადერთობის აღიარებას თაყვანისცემაში, და ალლაჰის გარდა სხვა ყოველგვარი თაყვანისცემის მიტოვებას.
2. დამოწმების მნიშვნელობა, რომ მუჰმმადი ალლაჰის მოციქულია - არის იმის რწმენა, რითაც მოვიდა ის და დაჯერება იმისა, რომ ის არის ალლაჰის შუამავლებიდან ბოლო გამოგზავნილი ადამიანებთან.
3. მიმართვა იმ ადამიანს, რომელსაც აქვს ცოდნა და ეჭვებით არის შეპყრობილი არ არის მსგავსი მიმართვისა ისეთ ადამიანს, რომელსაც ცოდნა არ

გააჩნია; ამიტომ, გააფრთხილა შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მუაზი ამ სიტყვებით: "ჭეშმარიტად, შენ მიდიხარ წიგნბოძებულ ხალხთან".

4. მნიშვნელოვანია, რომ მუსლიმი კარგად იცნობდეს თავის რელიგიას, რათა არ მოხვდეს იმ ადამიანების ეჭვებში, ვინც მათ თესავს, და ამის განხორციელება შესაძლებელია ცოდნის მიღებით.
5. იუდეველებისა და ქრისტიანების რელიგიის გაუქმებულობა ალლაჰის შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) წარმოგზავნის შემდეგ. ასევე, ისინი არ იქნებიან გადარჩენილნი განკითხვის დღეს, სანამ არ შევლენ ისლამის რელიგიაში და არ ირწმუნებენ ალლაჰის მოციქულის მუჰამმადის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას).

(3390)

(11) – عَنْ أَبِي هُرَيْرَةَ رضي الله عنه أَنَّهُ قَالَ: قِيلَ: يَا رَسُولَ اللهِ، مَنْ أَسْعَدُ النَّاسِ بِشَفَاعَتِكَ يَوْمَ الْقِيَامَةِ؟ قَالَ رَسُولُ اللهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ: «لَقَدْ ظَنَنْتُ يَا أَبَا هُرَيْرَةَ أَنْ لَا يَسْأَلَنِي عَنْ هَذَا الْحَدِيثِ أَحَدٌ أَوَّلُ مِنْكَ؛ لِمَا رَأَيْتُ مِنْ حِرْصِكَ عَلَى الْحَدِيثِ، أَسْعَدُ النَّاسِ بِشَفَاعَتِي يَوْمَ الْقِيَامَةِ، مَنْ قَالَ لَا إِلَهَ إِلَّا اللهُ خَالِصًا مِنْ قَلْبِهِ أَوْ نَفْسِهِ»». [صحيح] - [رواه البخاري]

(11) – აბუ ჰურაირასგან (ალლაჰი იყოს კმაყოფილი მისით) გადმოცემულია, რომ მან თქვა: შეკითხულ იქნა: "ო ალლაჰის მოციქულო, ვინ იქნება ყველაზე ბედნიერი შენი შუამდგომლობით (ქომაგობით) განკითხვის დღეს? შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უპასუხა: «ო აბუ ჰურაირა, ასეც ვფიქრობდი, რომ შენზე წინ არავინ მკითხავდა ამ ჰადისის მნიშვნელობას, რადგან ვხედავდი, თუ როგორ მიისწრაფოდი ჩემი სიტყვების მოსმენისკენ. განკითხვის დღეს ჩემი შუამდგომლობით ყველაზე ბედნიერი ადამიანი იქნება ის, ვინც გულწრფელად, მთელი გულით და სულით იტყვის: "არ არსებობს ღვთაება, გარდა ალლაჰისა/ლაა ილააჰა ილლა ალლაჰ"». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა ალ-ბუხარიმ]

განმარტება:

ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნობს, რომ განკითხვის დღეს მისი შუამდგომლობით ყველაზე ბედნიერი ადამიანი იქნება ის, ვინც გულწრფელად თქვა: „არ არსებობს ღვთაება ღირსეული სათაყვანებელი, გარდა ალლაჰისა, რაც ნიშნავს, რომ ალლაჰი ერთადერთია ღირსეული თაყვანისცემისა. ამ სიტყვებს ის უნდა ამბობდეს მასზე თანაზიარისგან და მოჩვენებითობისაგან თავისუფალი გულით.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ალლაჰის მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) საიქიოში შუამდგომლობის დამტკიცება და მას მიიღებს მხოლოდ და მხოლოდ ერთღმერთიანები.
2. ალლაჰის მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) შუამდგომლობა არის მისი ვედრება ყოვლისშემძლე ალლაჰის მიმართ იმ ერთღმერთიანებისთვის, რომელთაც დაიმსახურეს ცეცხლში შესვლა, რათა ალლაჰმა არ შეიყვანოს ისინი ცეცხლში, ხოლო ვინც უკვე შევიდა მასში, რომ ალლაჰმა ისინი გამოიყვანოს იქიდან.
3. ერთღმერთიანობის მოწმობის ღირსება, წარმოთქმული გულწრფელად ყოვლისშემძლე ალლაჰისთვის, და მისი დიდი ზეგავლენა.
4. ერთღმერთიანობის მოწმობა ხორციელდება მისი მნიშვნელობის ცოდნისა და მის მიხედვით ქმედებების შესრულებით.
5. აბუ ჰურაირას ღირსება (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) და ცოდნის მიღებისკენ სწრაფვა.

(3414)

(12) – عن أبي هريرةَ رضي الله عنه قال: قال رسولُ اللهِ صلَّى الله عليه وسلم: «الْإِيمَانُ بِضْعٌ وَسَبْعُونَ -أَوْ بِضْعٌ وَسِتُّونَ- شُعْبَةً، فَأَفْضَلُهَا قَوْلُ لَا إِلَهَ إِلَّا اللهُ، وَأَدْنَاهَا إِمَاطَةُ الْأَذَى عَنِ الطَّرِيقِ، وَالْحَيَاءُ شُعْبَةٌ مِنَ الْإِيمَانِ». [صحيح] - [متفق عليه]

(12) – აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «რწმენას აქვს სამოცდაათზე ან სამოცზე მეტი ნაწილი, ხოლო, საუკეთესო მათგანი არის სიტყვები: არ არსებობს ღმერთი, გარდა ალლაჰისა, ხოლო მისი ყველაზე დაბალი გამოვლინება არის: გზიდან რაიმე საზიანოს მოშორება და სირცხვილიც რწმენის ერთ-ერთი ნაწილია». [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნობს, რომ რწმენას აქვს ბევრი ნაწილები და საფეხურები, რომლებიც აერთიანებს ქმედებებს, მრწამს და სიტყვებს.

რწმენის ყველაზე მაღალი და საუკეთესო ნაწილი არის სიტყვები: "არ არსებობს ღვთაება, გარდა ალლაჰისა", მისი მნიშვნელობის ცოდნით და მისი პირობების შესრულებით, რწმენა იმისა, რომ ალლაჰი არის ერთადერთი ჭეშმარიტი ღმერთი, რომელიც

იმსახურებს თაყვანისცემას და არავინ იმსახურებს მის გარდა.

რწმენის ყველაზე დაბალი გამოვლინება არის გზიდან იმის მოშორება, რაც ადამიანებს გადაადგილებაში ხელს უშლის.

შემდეგ გვამცნო შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას), რომ სირცხვილი რწმენის ნაწილია. ის არის ზნეობა, რომელიც მოუწოდებს კარგი ქმედებებისკენ და კრძალავს ცუდ ქმედებებს.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. რწმენას აქვს საფეხურები და ზოგიერთი მათგანი აღმატებულია ზოგიერთზე.
2. რწმენა არის სიტყვა, ქმედება და გულით დაჯერება.
3. უზენაესი ალლაჰის წინაშე სირცხვილი მოითხოვს, რომ არ გხედავდეს იმის მკეთებლად, რაც მან აგიკრძალა, და ასევე არ გხედავდეს იმის მიმტოვებლად, რისი შესრულებაც მან გიბრძანა.
4. კონკრეტული რიცხვის დასახელება არ ნიშნავს, რომ აქ ჩერდება (რწმენა), პირიქით, ის მიუთითებს რწმენის ძალიან ბევრ საფეხურზე. არაბები როცა რაიმეს რიცხვით მოიხსენიებდნენ, ისინი ამით მის სიმრავლეს არ გამორიცხავდნენ.

(6468)

(13) – عَنْ عَبْدِ اللهِ بنِ مَسْعُودٍ رضي الله عنه قال: سَأَلْتُ النَّبِيَّ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ: أَيُّ الذَّنْبِ أَعْظَمُ عِنْدَ اللهِ؟ قَالَ: «أَنْ تَجْعَلَ لِلَّهِ نِدًّا وَهُوَ خَلَقَكَ» قُلْتُ: إِنَّ ذَلِكَ لَعَظِيمٌ، قُلْتُ: ثُمَّ أَيُّ؟ قَالَ: «وَأَنْ تَقْتُلَ وَلَدَكَ؛ تَخَافُ أَنْ يَطْعَمَ مَعَكَ» قُلْتُ: ثُمَّ أَيُّ؟ قَالَ: «أَنْ تُزَانِيَ حَلِيلَةَ جَارِكَ». [صحيح] - [متفق عليه]

(13) – გადმოცემულია აბულლაჰ ბინ მას'უდისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი): შევეკითხე შუამავალს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას): რომელია ყველაზე დიდი ცოდვა ალლაჰის წინაშე? მან თქვა: «დაუდგინო ალლაჰს მოზიარე, როდესაც მან გაგაჩინა შენ». მე ვთქვი: ჭეშმარიტად, ეს დიდი ცოდვაა, შემდეგ ვკითხე: შემდეგ რომელი? თქვა: «საკუთარი შვილის მოკვლა იმის შიშით, რომ ის შენთან ერთად დაიწყებს ჭამას», ვკითხე: შემდეგ რომელი? თქვა: «მრუშობა მეზობლის ქალთან». [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

შუამავალს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ყველაზე დიდი ცოდვის შესახებ ჰკითხეს და მან თქვა: ყველაზე მძიმე მათგან არის დიდი შირქი — როდესაც ალლაჰს უტოლებ ან მის მსგავსს მიაწერ ღმერთობაში, მმართველობაში, მის სახელებსა და თვისებებში. ამ ცოდვას უზენაესი ალლაჰი არ შეუნდობს, გარდა

მონანიების გზით. თუ ადამიანი მოკვდება შირქში მონანიების გარეშე, ის სამუდამოდ დარჩება ჯოჯოხეთში. შემდეგ ადამიანის მიერ შვილის მოკვლა იმის შიშით, რომ მასთან ერთად შეჭამს. სულიერის მოკვლა აკრძალულია, მაგრამ ცოდვა უფრო დიდია იმ შემთხვევაში, თუ მოკლული იქნება მკვლელის ოჯახის წევრი, და უფრო მეტად იზრდება ცოდვა მაშინ, როცა მკვლელის განზრახვა იყო იმის შიში, რომ მოკლული მას ალლაჰის მიერ ბოძებულ სარჩოში შეეზიარებოდა. შემდეგ კაცი, რომელიც იმრუშებს მეზობლის ცოლთან, ცდილობს მოატყუოს მეზობლის ცოლი, რათა დაიმორჩილოს და იმრუშოს მასთან. მრუშობა აკრძალულია, მაგრამ მისი ცოდვა უფრო დიდია, როცა ეს მოხდება მეზობლის ცოლთან, რომელზეც შარიათმა მოგვიწოდა კეთილად მოპყრობა, სიკეთე და კარგი ურთიერთობა მის მიმართ.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ცოდვები განსხვავდება სიმძიმის მიხედვით, ისევე როგორც კეთილი საქმეები განსხვავდება მათი ღირსების მიხედვით.
2. ყველაზე დიდი ცოდვაა: უზენაეს ალლაჰზე შირქის (თანაზიარის) გაკეთება, შემდეგ შვილის მოკვლა იმის შიშით, რომ შენთან ერთად შეჭამს, შემდეგ მრუშობა მეზობლის ქალთან.

3. სარჩო ალლაჰის ხელშია, და მან, წმინდა და დიადმა, საკუთარ თავზე აიღო თავისი ქმნილებების სარჩოთი უზრუნველყოფა.
4. მეზობლის უფლებების სიდიადე. და რომ მისთვის ზიანის მიყენება უფრო დიდი ცოდვაა, ვიდრე სხვა ვინმესთვის.
5. მხოლოდ შემოქმედია ღირსი თაყვანისცემისა, და მას არ ჰყავს თანამოზიარეები.

(5359)

(14) – عن أبي هريرةَ رضي الله عنه قال: قال رسولُ اللهِ صلى الله عليه وسلم: «قَالَ اللهُ تَبَارَكَ وَتَعَالَى: أَنَا أَغْنَى الشُّرَكَاءِ عَنِ الشِّرْكِ، مَنْ عَمِلَ عَمَلًا أَشْرَكَ فِيهِ مَعِي غَيْرِي تَرَكْتُهُ وَشِرْكَهُ». [صحيح] - [رواه مسلم]

(14) – აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოგვცემს, რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «თქვა ყოვლადკეთილმა და უზენაესმა ალლაჰმა: "მე სრულიად არ ვსაჭიროებ იმას, რომ თანაზიარი დამიყენონ. ვინც რაიმე საქმეს შეასრულებს და თანაზიარს დამიდგენს მასში, მე მივატოვებ მასაც და მის მრავალღმერთიანობასაც"». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა მუსლიმმა]

განმარტება:

მოციქული მუჰამმადი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნობს, რომ ყოვლადკეთილმა და უზენაესმა ალლაჰმა თქვა: რომ ის აბსოლუტურად არ საჭიროებს იმას, ვისაც თანაზიარად მიიჩნევენ, რადგან ალლაჰი ყველაზე მდიდარია. თუ ადამიანი ასრულებს თაყვანისცემის ქმედებას და მას ალლაჰის გარდა სხვასაც უძღვნის, ალლაჰი მას მიატოვებს და არ მიიღებს მისგან ამ ქმედებას და მასვე დაუბრუნებს. ამიტომ აუცილებელია, რომ ყველა ქმედება დიდებული ალლაჰისთვის იყოს გულწრფელი და წმინდა, რადგან ალლაჰი მხოლოდ იმ საქმეებს იღებს, რომლებიც შესრულებულია გულწრფელად და მხოლოდ მისი წმინდა სახისთვის.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. გაფრთხილება შირქის (მრავალღმერთიანობის) ყველა მისი გამოხატულებისა და ფორმის შესახებ, აგრეთვე განმარტება იმისა, რომ ეს არის ქმედების მიღებისთვის ხელისშემშლელი ფაქტორი.
2. გაცნობიერება იმისა, რომ ალლაჰი უმდიდრესი და ყველაფერზე უდიდესია, რაც ეხმარება ადამიანს საქმის გულწრფელად შესრულებაში.

(3342)

(15) – عن أبي هريرةَ رضي الله عنه أنَّ رسولَ الله صلى الله عليه وسلم قال: «كُلُّ أُمَّتِي يَدْخُلُونَ الْجَنَّةَ إِلَّا مَنْ أَبَى»، قَالُوا: يَا رَسُولَ اللهِ، وَمَنْ يَأْبَى؟ قَالَ: «مَنْ أَطَاعَنِي دَخَلَ الْجَنَّةَ، وَمَنْ عَصَانِي فَقَدْ أَبَى». [صحيح] - [رواه البخاري]

(15) – აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ჩემი უმმეთიდან ყველა შევა სამოთხეში, გარდა იმისა, ვინც უარყოს", შეეკითხეს: ო, ალლაჰის შუამავალო, და ვინ უარყოფს? თქვა: «ვინც დამემორჩილა შევა სამოთხეში, ხოლო ვინც იურჩებს, მან უარყო». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა ალ-ბუხარიმ]

განმარტება:

მოციქული (ალლაჰმა დალოცოს და მიესალმოს) გვამცნობს, რომ ყველა მუსლიმი შევა სამოთხეში, გარდა იმათი, ვინც უარყოფს.

საჰაბებმა ჰკითხეს: ვინ არის ის, ვინც უარყოფს ო, ალლაჰის შუამავალო?!

მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უპასუხა მათ, რომ ვინც დაემორჩილა და მიჰყვა შუამავალს - შევა სამოთხეში. ხოლო ვინც არ დაემორჩილა და არ მიჰყვა შარიათს, და უარყო ის თავისი ცუდი საქციელების მიზეზით - მან უარი თქვა სამოთხეზე.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ალლაჰის შუამავალზე (ალლაჰმა დალოცოს და მიესალმოს მას) დამორჩილება არის ალლაჰზე დამორჩილება, შუამავალზე ურჩობა არის ალლაჰზე ურჩობა.
2. შუამავალზე (ალლაჰმა დალოცოს და მიესალმოს მას) დამორჩილება სამოთხეში შესვლის მიზეზია, ხოლო მასზე ურჩობა - ცეცხლში შესვლის მიზეზი.
3. სასიხარულო ცნობა უმმეთისთვის, რომ ყველა ისინი შევლენ სამოთხეში, გარდა იმათი, ვინც არ დაემორჩილა ალლაჰს და მის შუამავალს.
4. შუამავლის თანაგრძნობა მისი უმმეთის მიმართ და მისი ძლიერი სურვილი მათი სწორ გზაზე დგომის.

(4947)

(16) – عَن عُمَرَ بنِ الخَطَّابِ رَضِيَ اللَّهُ عَنْهُ قال: سَمِعْتُ النَّبِيَّ صَلَّى اللَّهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ يَقُولُ: «لَا تُطْرُونِي كَمَا أَطْرَتِ النَّصَارَى ابْنَ مَرْيَمَ؛ فَإِنَّمَا أَنَا عَبْدُهُ، فَقُولُوا: عَبْدُ اللهِ وَرَسُولُهُ». [صحيح] - [رواه البخاري]

(16) – უმარ ბინ ალ-ხატტაბმა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) თქვა: "გავიგონე, რომ ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამბობდა: «არ განმადიდოთ ისე, როგორც ქრისტიანებმა განადიდეს მარიამის ძე, მე მხოლოდ ალლაჰის მონა ვარ და ამიტომ

თქვით: ალლაჰის მონა და მისი შუამავალი». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა ალ-ბუხარიმ]

განმარტება:

ალლაჰის შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) კრძალავს მის ზედმეტ ქებას და იმ ზღვარის გადაჭარბებას, რომელიც შარიათით არის დადგენილი, და ასევე მისი ისეთი თვისებებითა და ქმედებებით აღწერას, რომლებიც მხოლოდ უზენაეს ალლაჰს ეკუთვნის. ან დაფარულის ცოდნის მტკიცება, ან მისგან რაიმის თხოვნა ალლაჰთან ერთად, მსგავსად იმისა, როგორც ქრისტიანები სთხოვენ 'ისა იბნ მარიამს (იესოს) (მშვიდობა მას). შემდეგ მან განმარტა, რომ ის არის მსახური ალლაჰის მსახურთაგან და დაგვავალა, რომ ვთქვათ მასზე: ალლაჰის მონა და მისი შუამავალი.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. გაფრთხილება შარიათის დადგენილი ზღვარის გადაჭარბებისგან განდიდებაში და ქებაში, რადგან ეს ხსნის გზას მრავალღმერთიანობისაკენ.
2. ის, რისგანაც მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გააფრთხილა, ამ უმმათს დაემართა. ერთმა ჯგუფმა გადამეტება გამოავლინა ალლაჰის მოციქულთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მიმართებაში, მეორემ გადაჭარბება გააკეთა

მოციქულის ოჯახის მიმართ, ხოლო მესამემ - წმინდა ადამიანთა მიმართ, და ამით შირქში ჩაეფლნენ.

3. ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) საკუთარ თავს ალლაჰის მონა უწოდა, რათა განემარტა, რომ ის არის ალლაჰის მონა და მისი მსახური, და რომ არ არის ნებადართული მას მიეწეროს ღმერთის განსაკუთრებული თვისებები.
4. ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თავისი თავი აღწერა, როგორც "ალლაჰის შუამავალი", რათა განმარტოს ამით, რომ ის არის ალლაჰისგან გამოგზავნილი მოციქული მაცნედ, ამიტომ აუცილებელია მისი რწმენა და მასზე მიყოლა.

(4306)

(17) – عن أنس رضي الله عنه قال: قال النَّبِيُّ صلى الله عليه وسلم: «لَا يُؤْمِنُ أَحَدُكُمْ حَتَّى أَكُونَ أَحَبَّ إِلَيْهِ مِنْ وَالِدِهِ وَوَلَدِهِ وَالنَّاسِ أَجْمَعِينَ». [صحيح] - [متفق عليه]

(17) – ანასი (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «არ ირწმუნებს თქვენგან არავინ, სანამ არ შემიყვარებს მე თავის მშობელზე, შვილზე და ყველა ადამიანზე მეტად». [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

ალლაჰის შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვატყობინებს, რომ მუსლიმი სრულყოფილი მორწმუნე ვერ იქნება, სანამ ალლაჰის შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) სიყვარულს საკუთარი დედის, მამის, ვაჟიშვილის, ქალიშვილის და მთელი კაცობრიობის სიყვარულზე წინ არ დააყენებს. ეს სიყვარული მასზე მორჩილებაში, მის დახმარებასა და მისი აკრძალულისგან თავის არიდებაში გამოიხატება.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) სიყვარულის ვალდებულება და ამ სიყვარულის უპირატესობა ნებისმიერი სხვა ქმნილების სიყვარულზე.
2. მისი სრულფასოვანი სიყვარულის ნიშნებია: ალლაჰის შუამავლის სუნნას დახმარება, საკუთარი თავის და ქონების ხარჯვა ამ გზაზე.
3. შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) სიყვარული გამოიწვევს მის მორჩილებას, მის მიერ მოთხრობილი ამბების დაჯერებას, შორს ყოფნას იმისგან, რაც მან აკრძალა და გაკიცხა, მის მაგალითზე მიყოლას და სიახლეების მიტოვებას.
4. შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას)

უფლება ყველაზე დიდი და მტკიცეა ადამიანთა შორის, რადგან ის არის ჩვენი გზააბნევიდან გამოსვლის და სწორ გზაზე დადგომის მიზეზი, ასევე, ჯოჯოხეთისგან გადარჩენის და სამოთხის მოპოვების გზა.

(5953)

(18) – عن عبد الله بن عمرو رضي الله عنهما أَنَّ النَّبِيَّ صلى الله عليه وسلم قال: «بَلِّغُوا عَنِّي وَلَوْ آيَةً، وَحَدِّثُوا عَنْ بَنِي إِسْرَائِيلَ وَلَا حَرَجَ، وَمَنْ كَذَبَ عَلَيَّ مُتَعَمِّدًا فَلْيَتَبَوَّأْ مَقْعَدَهُ مِنَ النَّارِ». [صحيح] - [رواه البخاري]

(18) – გადმოცემულია აბდულლაჰ იბნ 'ამრისგან (ალლაჰი იყოს მისით და მისი მამით კმაყოფილი), რომ ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «გადაეცით ჩემგან თუნდაც ერთი აიათი, და გადაეცით ისრაელის ძეთაგან და ეს არ იქნება აკრძალული. ხოლო ვინც განზრახ მოიტყუებს ჩემზე, მოამზადოს თავისი ადგილი ცეცხლში». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა ალ-ბუხარიმ]

განმარტება:

მოციქული მუჰამმადი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ავალებს საკუთარი ცოდნის გავრცელებას ყურანიდან ან სუნნადან, თუნდაც ეს მცირედი იყოს, როგორიცაა ყურანის ერთი აიათი ან

ჰადისი. იმ პირობით, რომ ის იქნება მცოდნე იმის, რასაც გადმოსცემს და რისკენაც მოუწოდებს. შემდეგ მოციქულმა მუჰამმადმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტა, რომ ისრაელის შვილების შესახებ მომხდარი ამბების გადმოცემა ნებადართულია, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ჩვენს შარიათს (ანუ ისლამურ კანონმდებლობას) შემდეგ მოციქულმა მუჰამმადმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გააფრთხილა ადამიანები მასზე ტყუილის თქმისგან და განაცხადა, რომ ვინც განზრახ მოიტყუებს მასზე, დაე, მოამზადოს ადგილი ცეცხლში.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ალლაჰის შარიათის გავრცელების წახალისება და ის, რომ ადამიანმა უნდა გადასცეს ის, რაც დაიმახსოვრა და გაიგო, თუნდაც მცირედი.
2. სავალდებულოა შარიათული ცოდნის ძიება, რათა ადამიანს შეეძლოს ალლაჰზე თაყვანისცემა და მისი შარიათის სწორი ფორმით მიტანა.
3. სავალდებულოა, რომ ყოველი ჰადისის სისწორე აუცილებლად შემოწმდეს მის გავრცელებამდე ან გაზიარებამდე, რათა არ აღმოჩნდეთ მძიმე გაფრთხილების ქვეშ, რომელიც ეხება ცრუ ინფორმაციის გავრცელებას.
4. საჭიროა წახალისდეს სიმართლე საუბარში და

სიფრთხილის გამოჩენა ნებისმიერ სიტყვაში, რათა არ მოხდეს სიცრუის გავრცელება. განსაკუთრებით ეს ეხება დიდებული და ძლევამოსილი ალლაჰის შარიათთან დაკავშირებულ საკითხებს.

(3686)

(19) – عن المقدام بن معدِيْكَرِب رضي الله عنه قال: قال رسول الله صلى الله عليه وسلم: «أَلَا هَلْ عَسَى رَجُلٌ يَبْلُغُهُ الْحَدِيثُ عَنِّي وَهُوَ مُتَّكِئٌ عَلَى أَرِيكَتِهِ فَيَقُولُ: بَيْنَنَا وَبَيْنَكُمْ كِتَابُ اللهِ، فَمَا وَجَدْنَا فِيهِ حَلَالًا اسْتَحْلَلْنَاهُ، وَمَا وَجَدْنَا فِيهِ حَرَامًا حَرَّمْنَاهُ، وَإِنَّ مَا حَرَّمَ رَسُولُ اللهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ كَمَا حَرَّمَ اللهُ». [صحيح] - [رواه أبو داود والترمذي وابن ماجه]

(19) – გადმოცემულია მიყდაამ იბნ მა'დიქარიბისაგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მან თქვა: თქვა ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას): «განა შესაძლებელია, რომ კაცს, რომელსაც ჩემს შესახებ ამცნობენ ჰადისს, წამოწოლილი იყოს თავის დივანზე და თქვას: "ჩვენს შორის და თქვენ შორის ალლაჰის წიგნია, რასაც მასში ჰალალად (ნებადართულად) ვპოულობთ, ნებადართულად მივიჩნევთ, ხოლო რასაც მასში ჰარამად (აკრძალულად) ვპოულობთ, აკრძალულად მივიჩნევთ". ჭეშმარიტად ის, რაც მოციქულმა მუჰამმადმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) აკრძალა, ისეთივე აკრძალულია,

როგორც ალლაჰმა აკრძალა». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა აბუ დაუდმა, ათ-თირმიზიმ და იბნ მააჯამ]

განმარტება:

მოციქულმა მუჰამმადმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნო, რომ ახლოვდება დრო, როცა გამოჩნდება ხალხის ისეთი კატეგორია, რომელთაგან ზოგიერთი დასვენებული და თავიანთ საწოლზე მიყრდნობილი იქნება, როცა მათ მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ჰადისებს ამცნობენ, ისინი იტყვიან: „ჩვენსა და თქვენს საქმეებს შორის განმსჯელი მხოლოდ ყურანია, ის საკმარისია ჩვენთვის. რაც მასში ჰალალად (ნებადართულად) ვიპოვეთ, იმის მიხედვით ვიქცევით, და რაც მასში ჰარამად (აკრძალულად) ვიპოვეთ განვერიდეთ მისგან". მოციქულმა მუჰამმადმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) შემდეგ განმარტა, რომ ყველაფერი, რაც მან აკრძალა ან რისგანაც თავის არიდება ბრძანა თავის სუნნაში, იგივე გადაწყვეტილებას ფლობს, როგორც ალლაჰმა აკრძალა თავის წიგნში (ყურანში). ეს იმიტომ, რომ მოციქული მუჰამმადი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) არის ის, ვისაც მიაქვს ღმერთის ცნობა ხალხთან.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. სუნნა უნდა განდიდდეს ისეთივე პატივისცემით, როგორც ყურანი, და მისი სწავლება უნდა იქნას გათვალისწინებული.
2. შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მორჩილება არის ალლაჰზე მორჩილება, და მასზე დაუმორჩილებლობა არის ალლაჰზე დაუმორჩილებლობა.
3. სუნნას მტკიცებულების ძალა ისლამურ კანონმდებლობაში ურყევია, და ვინც ამას უარყოფს ეს ჰადისი მის საწინააღმდეგო არგუმენტია.
4. ვინც სუნნას ზურგს აქცევს და მხოლოდ ყურანზე დაკმაყოფილებას ამტკიცებს, მაშინ ის უარმყოფელია ორივესი — სუნნისაც და ყურანისაც, ასეთი ადამიანი მატყუარაა, როცა ამტკიცებს, რომ ყურანს მიყვება.
5. ერთ-ერთი მტკიცებულება მუჰამმადის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) წინასწარმეტყველების ჭეშმარიტებისა არის ის, რომ მან გვამცნო მომავალი მოვლენები, და ისინი მოხდა ზუსტად ისე, როგორც მან გვამცნო.

(65005)

(20) – عن عائشةَ أمِّ المؤمنينَ وعبدِ الله بن عباس رضي الله عنهما قالا: لَمَّا نَزَلَ بِرَسُولِ اللَّهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ طَفِقَ يَطْرَحُ خَمِيصَةً لَهُ عَلَى وَجْهِهِ، فَإِذَا اغْتَمَّ بِهَا كَشَفَهَا عَنْ وَجْهِهِ، فَقَالَ وَهُوَ كَذَلِكَ: «لَعْنَةُ اللَّهِ عَلَى اليَهُودِ وَالنَّصَارَى، اتَّخَذُوا قُبُورَ أَنْبِيَائِهِمْ مَسَاجِدَ» يُحَذِّرُ مَا صَنَعُوا. [صحيح] - [متفق عليه]

(20) – აიშასა და აბდულლაჰ იბნ 'აბბასისგან (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი) გადმოცემულია, რომ მათ თქვეს: როდესაც მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) აღსასრული მოახლოვდა, ის ხალათს სახეზე იფარებდა. როცა ხალათი მას ტვირთად მოეჩვენებოდა, სახიდან იხსნიდა და ამ მდგომარეობაში თქვა: «ალლაჰის წყევლა ებრაელებზე და ქრისტიანებზე, რომლებმაც თავიანთი წინასწარმეტყველების საფლავები სალოცავებად აქციეს». ამ სიტყვებით მათ აფრთხილებდა იმ საქციელისთვის, რასაც ისინი ჩადიოდნენ. [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

'აიშა და აბდულლაჰ იბნ 'აბბასი (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი) გვამცნობენ, რომ მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გარდაცვალების დროს, ის სახეზე ქსოვილს იფარებდა. როცა სიკვდილის ტკივილისგან სუნთქვა გაუძნელდებოდა, ქსოვილს

სახიდან იხსნიდა. ასეთ მძიმე მდგომარეობაში მან თქვა: ალლაჰის წყევლა ებრაელებზე და ქრისტიანებზე, რომლებმაც თავიანთი წინასწარმეტყველების საფლავებზე სალოცავები ააშენეს. ეს გაფრთხილება იყო მისი ხალხის მიმართ, რათა მათ არ დამსგავსებოდნენ ებრაელებსა და ქრისტიანებს. ასეთი ქცევა დიდებულ და ძლევამოსილ ალლაჰზე თანაზიარის დადგენის გზას ხსნის.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. აკრძალულია წინასწარმეტყველებისა და კეთილმორწმუნეთა საფლავების სალოცავებად ქცევა, სადაც ალლაჰისთვის ლოცვები აღევლინება, რადგან ეს შირქისკენ მიმავალი გზაა.
2. ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განსაკუთრებულ ყურადღებას და მზრუნველობას იჩენდა ერთღმერთიანობის მიმართ და მისი შიში საფლავების გადაჭარბებული პატივისცემისგან იმით იყო გამოწვეული, რომ ეს მრავალღმერთიანობისკენ მიმავალი გზა იყო.
3. დაშვებულია ებრაელებისა და ქრისტიანების, ასევე მათნაირად მოქმედთა წყევლა, ვინც საფლავებზე შენობებს აგებს და მათ სალოცავებად აქცევს.
4. საფლავებზე შენობების აგება ებრაელებისა და

ქრისტიანების ტრადიციას განეკუთვნება, ხოლო ჰადისში მკაცრად აკრძალულია მათზე მიმსგავსება.

5. საფლავების სალოცავებად ქცევა მოიცავს მათთან ან მათკენ ლოცვას, თუნდაც უშუალოდ მეჩეთი არ იყოს აშენებული.

(3330)

(21) – عن أبي هريرةَ رضي الله عنه عنِ النَّبيِّ صلى الله عليه وسلم: «اللَّهُمَّ لَا تَجْعَلْ قَبْرِي وَثَنًا، لَعَنَ اللهُ قَوْمًا اتَّخَذُوا قُبُورَ أَنْبِيَائِهِمْ مَسَاجِدَ». [صحيح] - [رواه أحمد]

(21) – გადმოცემულია აბუ ჰურაირასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ო ალლაჰ, არ აქციო ჩემი საფლავი კერპად, ალლაჰმა დაწყევლა ის ხალხი, რომლებმაც თავიანთი შუამავლების საფლავები სალოცავებად აქციეს». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა აჰმადმა]

განმარტება:

მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ალლაჰს ვედრება აღუვლინა, რომ მისი საფლავი არ გაეხადა კერპად, რომელსაც ადამიანები თაყვანს სცემდნენ და უდიდეს მნიშვნელობას მიანიჭებდნენ, თუნდაც მუხლის მოხრა მის წინაშე. შემდეგ მან ამცნო,

რომ ალლაჰი განდევნის თავისი წყალობიდან იმ ხალხს, ვინც წინასწარმეტყველების საფლავები სალოცავ ადგილებად აქციეს. რადგან მათი გამოყენება როგორც თაყვანისცემის ადგილებად იქცევა თაყვანისცემის საშუალებად და მათდამი რწმენის გამომხატველად.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. შარიათით დადგენილი საზღვრის გადაჭარბებამ გამოიწვია წინასწარმეტყველებისა და მართალი ადამიანების საფლავების სათაყვანებლად ქცევა მაგიერ ალლაჰისა, ამიტომ აუცილებელია ყოველი იმ საშუალებისგან გარიდება, რომელმაც შეიძლება მრავალღმერთიანობამდე მიგვიყვანოს.
2. არ არის ნებადართული საფლავების მონახულება მათი განდიდების ან იქ თაყვანისცემის მიზნით, მიუხედავად იმისა, რამდენად ახლოს იყო საფლავის მფლობელი (განსვენებული) უზენაეს ალლაჰთან.
3. საფლავებზე მეჩეთების აშენების აკრძალვა.
4. აკრძალულია საფლავებთან ლოცვა, თუნდაც იქ მეჩეთი არ იყოს აშენებული — გარდა დაკრძალვის (ჯანაზის) ლოცვისა, იმ შემთხვევაში, თუ გარდაცვლილზე ჯერ არ ულოცავთ.

(3336)

(22) – عن أبي هريرةَ رضي الله عنه قال: قال رسولُ الله صلى الله عليه وسلم: «لَا تَجْعَلُوا بُيُوتَكُمْ قُبُورًا، وَلَا تَجْعَلُوا قَبْرِي عِيدًا، وَصَلُّوا عَلَيَّ؛ فَإِنَّ صَلَاتَكُمْ تَبْلُغُنِي حَيْثُ كُنْتُمْ». [حسن] - [رواه أبو داود]

(22) – აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოგვცემს, რომ მოციქულმა მუჰამმადმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «არ გადააქციოთ თქვენი სახლები საფლავებად და არ აქციოთ ჩემი საფლავი სადღესასწაულო ადგილად. დამლოცეთ, რადგან თქვენი დალოცვა ჩემამდე აღწევს, სადაც არ უნდა იმყოფებოდეთ». [კარგი (ჰასან)] - [გადმოსცა აბუ დაუდმა]

განმარტება:

მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) კრძალავს სახლების ლოცვის გარეშე დატოვებას, რათა ისინი საფლავებს არ დაემსგავსოს, სადაც ლოცვა არ აღევლინება. მან ასევე აკრძალა მისი საფლავის ხშირი მონახულება და იქ რეგულარულად შეკრებების ტრადიციად ქცევა, რადგან ეს გზას უხსნის შირქისკენ მიმავალ გზას. შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უბრძანა მორწმუნეებს, რომ ლოცვები და სალამი გაუგზავნონ მას დედამიწის ნებისმიერი ადგილიდან, რადგან ეს ლოცვები მას ერთნაირად მიეწოდება, იქნება ის ახლო თუ შორი მანძილიდან. ამის

გამო, არ არის აუცილებელი მისი საფლავის ხშირი მონახულება ან იქ ხშირი დაბრუნება.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. აკრძალვა იმისა, რომ სახლები მოკლებულ იქნას მათში უზენაეს ალლაჰზე თაყვანისცემისგან.
2. მოგზაურობის აკრძალვა მხოლოდ მოციქულის (ალლაჰის ლოცვა დ მშვიდობა მას) საფლავის მონახულების მიზნით, რადგან მან უბრძანა, რომ მორწმუნეებმა მისთვის ილოცონ, და აღნიშნა, რომ მათი ლოცვები მას მიეწოდება, სადაც არ უნდა იმყოფებოდნენ ისინი. მოგზაურობა საჭიროა მხოლოდ მეჩეთის მონახულებისა და იქ ლოცვის მიზნით და არა საფლავის მოსანახულებლად.
3. ალლაჰის მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) საფლავის მონახულების დღესასწაულად გადაქცევის აკრძალვა, სადაც რეგულარულად და განსაზღვრულ დროს ხდება მისი მონახულება. ეს გაფრთხილება ასევე ვრცელდება სხვა საფლავების მონახულებაზეც.
4. მოციქული მუჰამმადის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) დაფასება ალლაჰის მიერ იმით, რომ მისთვის ლოცვისა და სალამის გაგზავნა ნებისმიერ დროს და ადგილას კანონიერად არის განსაზღვრული.

5. რადგან საფლავებთან ლოცვის აკრძალვა იყო დამტკიცებული და ცნობილი საჰაბებში (მოციქულის თანამგზავრებში), მოციქულმა მუჰამმადმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) აკრძალა სახლების საფლავებად ქცევა, სადაც ლოცვა არ აღევლინება.

(3350)

(23) – عَنْ عَائِشَةَ أُمِّ المؤمنين رضي الله عنها: أَنَّ أُمَّ سَلَمَةَ ذَكَرَتْ لِرَسُولِ اللهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ كَنِيسَةً رَأَتْهَا بِأَرْضِ الْحَبَشَةِ، يُقَالُ لَهَا مَارِيَةُ، فَذَكَرَتْ لَهُ مَا رَأَتْ فِيهَا مِنَ الصُّوَرِ، فَقَالَ رَسُولُ اللهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ: «أُولَئِكَ قَوْمٌ إِذَا مَاتَ فِيهِمُ الْعَبْدُ الصَّالِحُ، أَوِ الرَّجُلُ الصَّالِحُ، بَنَوْا عَلَى قَبْرِهِ مَسْجِدًا، وَصَوَّرُوا فِيهِ تِلْكَ الصُّوَرَ، أُولَئِكَ شِرَارُ الْخَلْقِ عِنْدَ اللهِ». [صحيح] - [متفق عليه]

(23) – გადმოცემულია აიშასაგან მორწმუნეთა დედისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი): უმმუ სალამამ შუმავალთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ახსენა ეკლესია, რომელიც ნახა ჰაბაშას ტერიტორიაზე (ეთიოპია), რომელსაც სახელად მარიაჰ ეწოდებოდა, მან გაიხსენა ის სურათები (ხატები), რაც მასში დაინახა. ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ეს ადამიანები არიან ისინი, რომლებიც, როცა მათი რიგებიდან მართალი მონა (ან: მართალი ადამიანი) გარდაიცვლება, მის საფლავზე ტაძარს

აშენებენ და მას მსგავსი გამოსახულებებით ამკობენ. ასეთი ადამიანები არიან ყველაზე უარესნი ალლაჰის წინაშე!». [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

მორწმუნეთა დედამ, უმმ სალამამ (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), უამბო მოციქულს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას), რომ ეთიოპიაში ყოფნისას მან იხილა ეკლესია, რომელსაც „მარია“ ეწოდებოდა და რომელიც მოხატული იყო სურათებითა და გამოსახულებებით. და ამან იგი გააკვირვა. შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტა ამ სურათების (ხატების) შექმნის მიზეზი. და თქვა: ისინი, ვისზეც შენ საუბრობ, როდესაც წმინდა ადამიანი მათ შორის გარდაიცვლებოდა, მის საფლავზე აშენებდნენ მეჩეთს, სადაც ლოცულობდნენ, და იქ გამოსახავდნენ სურათებს. ასევე განმარტა, რომ მსგავსი რამის ჩამდენი უზენაესი ალლაჰის წინაშე ყველაზე საშინელი საქციელია; რადგან მისი ჩადენილი ქმედება უზენაესი ალლაჰისთვის მოზიარის დადგენისკენ მიმავალი გზაა.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. აკრძალულია მეჩეთების მშენებლობა საფლავებზე, ლოცვის შესრულება მათ (ანუ: საფლავების) გვერდით, ასევე მეჩეთებში მიცვალებულთა

დაკრძალვა. ეს ყველაფერი იმ მიზნითაა, რომ აღიკვეთოს გზა, რომელიც შესაძლოა შირქისკენ (მრავალღმერთიანობისკენ) მიყვანის მიზეზი გახდეს.

2. სასაფლაოებზე სამლოცველოების აგება, მათში სურათების (ხატების) ჩამოკიდვა, ეს არის იუდეველების და ქრისტიანების ქმედება, და ვინც მსგავსად მოიქცევა, მათ დაემსგავსება.
3. სულიერი არსებების დახატვის და გამოქანდაკების აკრძალვა.
4. ვინც სასაფლაოზე ააგო სამლოცველო და მასში ხატები განათავსა, ის უზენაესი ალლაჰის მიერ გაჩენილ ქმნილებათაგან ყველაზე საშინელია.
5. შარიათი სრულად იცავს თავჰიდს (ერთღმერთიანობას) და კეტავს ყველა გზას, რომელმაც შეიძლება მრავალღმერთიანობამდე (შირქამდე) მიიყვანოს.
6. ღვთისმოსავი ადამიანების მიმართ პატივისცემის გადაჭარბების აკრძალვა; რადგან ეს შირქში (მრავალღმერთიანობაში) აღმოჩენის მიზეზია.

(10887)

(24) – عن جندب رضي الله عنه قال: سَمِعْتُ النَّبِيَّ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ قَبْلَ أَنْ يَمُوتَ بِخَمْسٍ وَهُوَ يَقُولُ «إِنِّي أَبْرَأُ إِلَى اللهِ أَنْ يَكُونَ لِي مِنْكُمْ خَلِيلٌ فَإِنَّ اللهَ تَعَالَى قَدِ

اتَّخَذَنِي خَلِيلًا كَمَا اتَّخَذَ إِبْرَاهِيمَ خَلِيلًا، وَلَوْ كُنْتُ مُتَّخِذًا مِنْ أُمَّتِي خَلِيلًا لَاتَّخَذْتُ أَبَا بَكْرٍ خَلِيلًا! أَلَا وَإِنَّ مَنْ كَانَ قَبْلَكُمْ كَانُوا يَتَّخِذُونَ قُبُورَ أَنْبِيَائِهِمْ وَصَالِحِيهِمْ مَسَاجِدَ، أَلَا فَلَا تَتَّخِذُوا الْقُبُورَ مَسَاجِدَ! إِنِّي أَنْهَاكُمْ عَنْ ذَلِكَ». [صحيح] - [رواه مسلم]

(24) – გადმოცემულია ჯუნდუბისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მან თქვა: «მე გავიგონე, რომ მოციქული მუჰამმადი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) სიკვდილამდე ხუთი დღით ადრე ამბობდა: «ჭეშმარიტად, მე უარს ვამბობ ალლაჰის წინაშე, რომ ავიყვანო რომელიმე თქვენგან ხალილად (სულიერი მეგობარი, დაახლოებული, საყვარელი მეგობარი). უზენაესმა ალლაჰმა ამირჩია მის ხალილად (მეგობრად) ისევე, როგორც იბრაჰიმი აირჩია ხალილად (მეგობრად). და რომ შემეძლოს ჩემი უმმათიდან ხალილის არჩევა, ავირჩევდი აბუ ბაქრს. იცოდეთ, რომ თქვენამდე მყოფი ხალხი თავიანთი წინასწარმეტყველებისა და წმინდა ადამიანების საფლავებს მეჩეთებად აქცევდნენ. ამიტომ არ გადააქციოთ საფლავები მეჩეთებად, მე გიკრძალავთ ამას». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა მუსლიმმა]

განმარტება:

მოციქული მუჰამმადი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნობს ალლაჰთან მისი

განსაკუთრებული ადგილის შესახებ, რომ მან მიაღწია ალლაჰის სიყვარულის უმაღლეს საფეხურს ისევე, როგორც იბრაჰიმმა (მშვიდობა მას) მიაღწია მას. ამიტომ მან უარყო, რომ მას შეეძლო ალლაჰის გარდა ვინმე ხალილად (სულიერ მეგობრად) აერჩია, რადგან მისი გული ალლაჰის სიყვარულით, სიდიადითა და შეცნობით იყო სავსე და არ რჩებოდა ადგილი სხვებისთვის. და რომ ჰყოლოდა შუამავალს ხალილი ადამიანთაგან, ის აუცილებლად აბუ ბაქრი იქნებოდა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი). შემდეგ მოციქულმა მუჰამმადმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გააფრთხილა მორწმუნეები, რომ არ გადაეჭარბებინათ სიყვარულის დასაშვებ ზღვარს, როგორც ეს იუდეველებმა და ქრისტიანებმა გააკეთეს თავიანთი წინასწარმეტყველებისა და მართალ ადამიანთა საფლავებთან ისე, რომ აქციეს ისინი ღვთაებებად და თანამოზიარედ თაყვანისცემაში მაგიერ ალლაჰისა. მათ ააშენეს მეჩეთები და ტაძრები იმ საფლავებზე. მოციქულმა მკაცრად აუკრძალა თავის უმმათს (საზოგადოებას), რომ მათ მსგავსად მოქცეულიყვნენ.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. აბუ ბაქრ ას-სიდდიყის (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) ღირსება უზარმაზარია, და ის ითვლება შუამავლის ყველა საჰაბას შორის

საუკეთესოდ. ამიტომ ის პირველი ადამიანი იყო, რომელსაც ერგო ხალიფატის მმართველობის გაგრძელების უფლება შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გარდაცვალების შემდეგ.

2. საფლავებზე მეჩეთების აღმართვა არის წინა ერების მოუწონარი ქმედებებიდან.
3. აკრძალვა საფლავების თაყვანისცემის ადგილებად გადაქცევაზე, რათა მათთან ან მათი მიმართულებით არ შესრულდეს ლოცვები, აგრეთვე აკრძალვა მათზე მეჩეთებისა თუ გუმბათების აშენებაზე, რადგან ეს ყველაფერი მრავალღმერთიანობაში ჩავარდნის მიზეზი შეიძლება გახდეს.
4. გაფრთხილება მართალ ადამიანებში გადაჭარბებული პატივისცემის გამოვლენისგან, რადგან ამან შეიძლება მრავალღმერთიანობამდე მიგვიყვანოს.
5. მოციქულმა მუჰამმადმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გარდაცვალებამდე ხუთი დღით ადრე კიდევ ერთხელ გაამახვილა ყურადღება ამ საკითხის სერიოზულობაზე.

(3347)

(25) – عن أبي الهيَّاج الأسدي قال: قَالَ لِي عَلِيُّ بْنُ أَبِي طَالِبٍ: أَلَا أَبْعَثُكَ عَلَى مَا بَعَثَنِي عَلَيْهِ رَسُولُ اللهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ؟ أَنْ لَا تَدَعَ تِمْثَالًا إِلَّا طَمَسْتَهُ، وَلَا قَبْرًا مُشْرِفًا إِلَّا سَوَّيْتَهُ. [صحيح] - [رواه مسلم]

(25) – აბუ ალ-ჰაიაჯ ალ-ასადიმ თქვა: «ერთხელ ალი იბნ აბუ ტალიბმა მითხრა: "ნუთუ არ გინდა გაგზავნო იმით, რითიც მე გამგზავნა ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას)? არ დატოვო არცერთი ქანდაკება დაუშლელი, და არ დატოვო არცერთი მოპირკეთებული (ამაღლებული) საფლავი გაუსწორებელი». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა მუსლიმმა]

განმარტება:

შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გზავნიდა თავის საჰაბებს იმისთვის, რომ არ დაეტოვებინათ არც ერთი "ქანდაკება" - იგულისხმება გამოსახულება სულიერი არსებისა ქანდაკების ფორმა ექნება თუ არ ექნება - დანგრევის ან წაშლის გარეშე.

(ასევე უბრძანებდა მათ) არ დაეტოვებინათ ამაღლებული საფლავი გაუსწორებელი მიწასთან. დაეშალათ ის ნაგებობები, რაც მათზე იყო დაშენებული ან დაედაბლებინათ და გაესწორებინათ მიწასთან ისე, რომ მიწიდან ძალიან მაღლა არ ყოფილიყო

ამაღლებული, მისი ამაღლება მხოლოდ ერთი მტკაველით შეიძლება.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. სულიერი არსებების დახატვის და გამოქანდაკების აკრძალვა; რამეთუ ეს არის შირქის გამომწვევი მიზეზი.
2. მოუწონარი რამეების ხელით განადგურების ნებართვა მისთვის, ვისაც აქვს ამის უფლებამოსილება და შესაძლებლობა.
3. შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) სწრაფვა წინაისლამური უმეცრების ყველა ნიშნების აღმოფხვრისკენ, როგორიცაა გამოსახულებები, ქანდაკებები, სამარხებზე მშენებლობები და ა.შ.

(5934)

(26) – عَنْ عَبْدِ اللهِ بْنِ مَسعودٍ رضي الله عنه عن رَسولِ اللهِ صلى الله عليه وسلم قال: «الطِّيَرَةُ شِرْكٌ، الطِّيَرَةُ شِرْكٌ، الطِّيَرَةُ شِرْكٌ، -ثلاثًا-»، وَمَا مِنَّا إِلَّا، وَلَكِنَّ اللهَ عَزَّ وَجَلَّ يُذْهِبُهُ بِالتَّوَكُّلِ. [صحيح] - [رواه أبو داود والترمذي وابن ماجه وأحمد]

(26) – გადმოცემულია აბდულლაჰ იბნ მას'უდისგან, (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «მოქმედება ცრურწმენების მიხედვით — ეს არის შირქი (თანამოზიარის დადგენა), მოქმედება ცრურწმენების

მიხედვით — ეს არის შირქი, მოქმედება ცრურწმენების მიხედვით — ეს არის შირქი, - სამჯერ» (შემდეგ აბდულლაჰმა თქვა): «ჩვენ შორის არავინ არის, ვისაც მსგავსი აზრები თავში არ უტრიალებს, თუმცა ყოვლისშემძლე და დიადი ალლაჰი გვათავისუფლებს ამ ყველაფრისგან მასზე მინდობით». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა აბუ დაუდმა, ათ-თირმიზიმ, იბნ მააჯამ და აჰმადმა]

განმარტება:

მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვაფრთხილებს ცრურწმენებისგან, რაც ნიშნავს ცუდ ნიშნებზე დაყრდნობას, რომლებიც ადამიანს შეიძლება მიეწეროს ნანახიდან ან გაგონილიდან — იქნება ეს ჩიტები, ცხოველები, ფიზიკური ნაკლის მქონე ადამიანები, რიცხვები, დღეები და მსგავსი რამ. მან ახსენა აფრენილი ჩიტებით მკითხაობა, რადგან ის ყველაზე მეტად გავრცელებული იყო უმეცრების პერიოდში. არსი იმაში მდგომარეობდა, რომ გარკვეული საქმის დაწყებისას, მაგალითად, მოგზაურობის ან ვაჭრობისას, ადამიანები ცას უშვებდნენ ჩიტს. თუ ის მარჯვნივ მიფრინავდა, ამას კარგ ნიშნად მიიჩნევდნენ და აგრძელებდნენ თავიანთ განზრახულ საქმეს. ხოლო თუ ჩიტი მარცხნივ მიფრინავდა, ამას ცუდ ნიშნად თვლიდნენ და

თავიანთი განზრახვიდან თავს იკავებდნენ. მან გვამცნო, რომ ეს არის შირქი (მრავალღმერთიანობის გამოვლინება), და ავისმომასწავებელი ნიშნებიც არის შირქი, რადგან სიკეთე მხოლოდ ალლაჰისგან მოდის. ასევე სიავეს მხოლოდ უზენაესი ალლაჰი აგაცილებს თავიდან. ის ერთადერთია და არ ჰყავს მას მოზიარე.

იბნ მას'უდმა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) აღნიშნა, რომ მუსლიმის გულში შეიძლება გაჩნდეს ცრურწმენის ან ცუდ ნიშნებზე დაყრდნობილი მოქმედების გრძნობა, თუმცა მან უნდა გადააბიჯოს ამ გრძნობას, ალლაჰზე დაყრდნობით და ამავდროულად მიიღოს ყველა საჭირო ზომა ამის დასაძლევად.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ცრურწმენა არის შირქი (მრავალღმერთიანობა), რადგან ის გულის მიჯაჭვულობას სხვა რამეზე გულისხმობს, გარდა ალლაჰისა.
2. მნიშვნელოვანი საკითხების გამეორების აუცილებლობა მდგომარეობს იმაში, რომ ისინი უკეთ დამახსოვრდეს და განმტკიცდეს გულებში.
3. ცრურწმენა ქრება უზენაეს ალლაჰზე დაყრდნობით.
4. მხოლოდ და მხოლოდ ერთადერთ ალლაჰზე მიკედლების ბრძანება და გულის მასზე მინდობა.

(3383)

(27) – عن عمران بن حُصَين رضي الله عنه قال: قال رسولُ الله صلى الله عليه وسلم: «لَيْسَ مِنَّا مَنْ تَطَيَّرَ أَوْ تُطُيِّرَ لَهُ، أَوْ تَكَهَّنَ أَوْ تُكُهِّنَ لَهُ، أَوْ سَحَرَ أَوْ سُحِرَ لَهُ، وَمَنْ عَقَدَ عُقْدَةً، وَمَنْ أَتَى كَاهِنًا فَصَدَّقَهُ بِمَا يَقُولُ فَقَدْ كَفَرَ بِمَا أُنْزِلَ عَلَى مُحَمَّدٍ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ». [حسن] - [رواه البزار]

(27) – 'იმრან იბნ ჰუსაინი (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ჩვენგან არ არის ის, ვინც ჩიტების ფრენით იმკითხავა ან ის ვისაც უმკითხავეს (ჩიტების აფრენით), ვინც იმკითხავა ან ვისაც უმკითხავეს, ვინც ჯადო გააკეთა ან მივიდა ჯადოქართან, ვინც მივიდა მკითხავთან და დაიჯერა ის, რასაც ის ამბობს, მან უარყო ის, რაც გარდმოევლინა მუჰამმადს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას)». [კარგი (ჰასან)] - [გადმოსცა ალ-ბაზზაარმა]

განმარტება:

შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) დაემუქრა მას მისი უმეთთით და იმას, ვინც მაღლა ჩამოთვლილ ქმედებას ჩაიდენდა და თქვა: "არ არის ჩვენგანი". ეს ქმედებებია:

პირველი: "ვინც ჩიტების ფრენით მკითხაობს ან მისთვის მკითხაობენ მათით", ამ მკითხაობის არსი შემდეგში მდგომარეობს: ფრინველის გაშვება რაიმე

საქმის დაწყებამდე, იქნება ეს მოგზაურობა, ვაჭრობა თუ სხვა რამ. თუ ფრინველი მარჯვნივ გაფრინდება, ადამიანი ამას მიიჩნევს კეთილ ნიშნად და განაგრძობს განზრახულ საქმეს, ხოლო თუ მარცხნივ — ცუდ ნიშნად და თავის განზრახვაზე უარს იტყვის. დაუშვებელია ამის გაკეთება საკუთარი ინიციატივით ან სხვას დაავალო. ამაში შედის ცრურწმენა ნებისმიერი საგნის მიმართ, იქნება ეს გაგონილი თუ დანახული, ფრინველები, ცხოველები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები, რიცხვები, დღეები თუ სხვა რამე.

მეორე: "ვინც იმკითხავა ან მას უმკითხავეს", ეს ეხება მათ, ვინც ამტკიცებს, რომ მომავალზე ინფორმაცია აქვს, იყენებს რა ვარსკვლავების განლაგებას ან სხვა მეთოდებს. ასევე, ეს ეხება ადამიანებს, რომლებიც მიმართავენ მათ, ვინც ამტკიცებს, რომ მომავალზე ინფორმაცია აქვს, როგორიც არიან მარჩიელები და სხვები. ისინი, ვისაც სჯერათ მათი განცხადებების მომავალზე ცოდნის შესახებ, ამით გამოხატავენ ურწმუნოებას იმაში, რაც მოევლინა მოციქულ მუჰამმადზე (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას).

მესამე: "ვინც ჯადო გააკეთა ან გააკეთებინა" ეს არის ვინც თვითონ აკეთებს ჯადოს, ან დაავალა სხვას

მისთვის ჯადოს გაკეთება; მისით სხვისთვის ზარალის ან სარგებლის მოსატანად, ან განასკვა ნასკვი თოკის გადაკოჭვით და გააკეთა მასზე ჯადო, აკრძალული საკითხავების წაკითხვით და შემდეგ მასზე სულის შებერვით.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ალლაჰზე იმედის დამყარების და ბედისწერისა და წინასწარი განკარგულების რწმენის აუცილებლობა, და ასევე აკრძალვა ფრინველების ფრენით მკითხაობის, ნიშნების ძებნის, ცრურწმენების, ჯადოქრობის, მკითხაობისა და ამ ყველაფრით დაკავებულ პირებთან მიმართვა.
2. დაფარულის ცოდნის მტკიცება არის შირქი, რომელიც არღვევს ერთღმერთიანობას.
3. აკრძალულია მკითხავებთან მისვლა და მათი დაჯერება, ამაში შედის ასევე ხელისგულზე, ყავის ჭიქაში და ზოდიაქოს ნიშნებზე შეხედვა, თუნდაც ეს იყოს ცნობისმოყვარეობის გამო.

(5981)

(28) – عَنْ أَنَسِ بْنِ مَالِكٍ رضي الله عنه عَنِ النَّبِيِّ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ قَالَ: «لَا عَدْوَى، وَلَا طِيَرَةَ، وَيُعْجِبُنِي الْفَأْلُ» قَالَ قِيلَ: وَمَا الْفَأْلُ؟ قَالَ: «الْكَلِمَةُ الطَّيِّبَةُ». [صحيح - [متفق عليه]

(28) – ანას ბინ მალიქი (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «არ არსებობს გადამდები დაავადება თავისთავად და არც ცრურწმენა, თუმცა მე მომწონს ალ-ფა'ლ». ჰკითხეს: "რა არის "ალ-ფა'ლ?" მან უპასუხა: «კარგი სიტყვა». [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნობს, რომ ის გადამდები დაავადება, რომელსაც ჯაჰილიას დროის ხალხი მიიჩნევდა, თითქოსდა დაავადება თავისთავად გადადის ერთი ადამიანიდან მეორეზე ალლაჰის ბრძანებისა და განგების გარეშე, არის მცდარი და უსაფუძვლო რწმენა. და ასევე, თიარა მცდარი და უსაფუძვლოა. ეს გულისხმობს ცუდ ნიშნად მიჩნევას ნებისმიერი რამისგან, იქნება ეს მოსმენილი თუ დანახული. მაგალითად: ჩიტები ან ცხოველები, ფიზიკური ნაკლოვანების მქონე ადამიანები, რიცხვები, დღეები და სხვა მსგავსი რამ. მან ახსენა აფრენილი ჩიტებით მკითხაობა, რადგან ის ყველაზე მეტად გავრცელებული იყო უმეცრების პერიოდში. არსი იმაში მდგომარეობდა, რომ გარკვეული საქმის დაწყებისას, მაგალითად, მოგზაურობის ან ვაჭრობისას, ადამიანები ცას უშვებდნენ ჩიტს. თუ ის მარჯვნივ მიფრინავდა, ამას

კარგ ნიშნად მიიჩნევდნენ და აგრძელებდნენ თავიანთ განზრახულ საქმეს. ხოლო თუ ჩიტი მარცხნივ მიფრინავდა, ამას ცუდ ნიშნად თვლიდნენ და თავიანთი განზრახვიდან თავს იკავებდნენ. შემდეგ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განაცხადა, რომ მას "ალ-ფა'ლ" მოსწონს. რაც გულისხმობს, როცა ადამიანი კარგ სიტყვას ისმენს, რაც მას სიხარულსა და სიმშვიდეს ანიჭებს და ალლაჰის მიმართ კარგი იმედით აღავსებს.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. უზენაეს ალლაჰზე თავაქქული (მინდობა) ნიშნავს იმას, რომ მხოლოდ ალლაჰისგან მოდის სიკეთე და მხოლოდ ალლაჰს შეუძლია ბოროტების აცილება.
2. აკრძალულია თიარა, რაც ნიშნავს ცუდ ნიშნად მიჩნევას და რის გამოც ადამიანი თავს ანებებს საქმეს ან გადაწყვეტილებას.
3. ალ-ფა'ლ (კარგი ნიშანი) არ ეკუთვნის აკრძალულ თიარას (ცუდ ნიშნად მიჩნევას). პირიქით, ის განეკუთვნება ალლაჰის მიმართ კარგი იმედისა და ნდობის კატეგორიას.
4. ყველაფერი ალლაჰის განგებით ხდება, რომელსაც არ ჰყავს თანაზიარი და რომელიც ყოვლისშემძლე და დიადია.

(3422)

(29) – عَنْ زَيْدِ بْنِ خَالِدٍ الجُهَنِيِّ رضي الله عنه أَنَّهُ قَالَ: صَلَّى لَنَا رَسُولُ اللهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ صَلَاةَ الصُّبْحِ بِالْحُدَيْبِيَةِ عَلَى إِثْرِ سَمَاءٍ كَانَتْ مِنَ اللَّيْلَةِ، فَلَمَّا انْصَرَفَ أَقْبَلَ عَلَى النَّاسِ، فَقَالَ: «هَلْ تَدْرُونَ مَاذَا قَالَ رَبُّكُمْ؟» قَالُوا: اللهُ وَرَسُولُهُ أَعْلَمُ، قَالَ: «أَصْبَحَ مِنْ عِبَادِي مُؤْمِنٌ بِي وَكَافِرٌ، فَأَمَّا مَنْ قَالَ: مُطِرْنَا بِفَضْلِ اللهِ وَرَحْمَتِهِ، فَذَلِكَ مُؤْمِنٌ بِي وَكَافِرٌ بِالْكَوْكَبِ، وَأَمَّا مَنْ قَالَ: بِنَوْءِ كَذَا وَكَذَا، فَذَلِكَ كَافِرٌ بِي وَمُؤْمِنٌ بِالْكَوْكَبِ».

[صحيح] - [متفق عليه]

(29) – გადმოცემულია ზაიდ იბნ ხაალიდ ალ-ჯუჰანისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მან თქვა: ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) დილით ლოცვა აღასრულა ჩვენთან ერთად ჰუდაიბიაში ღამით მოსული წვიმის შემდეგ. ლოცვის დასრულებისას მიმართა ხალხს და ჰკითხა: «იცით, რა თქვა თქვენმა ღმერთმა?» მათ უპასუხეს: ალლაჰმა და მისი მოციქულმა უკეთ იციან. თქვა: «ჩემი მსახურებიდან დღეს დილას გაიღვიძეს, ზოგმა ჩემს მორწმუნედ და ზოგმა ურწმუნოდ. ვინც თქვა: 'ჩვენ ალლაჰის სიკეთითა და წყალობით წვიმა მოგვივიდა', ის ჩემდამი მორწმუნეა და უარყოფს ვარსკვლავებს. ხოლო ვინც თქვა: 'წვიმა მოვიდა ამა და ამ ვარსკვლავის წყალობით', ის არის ურწმუნო ჩემს მიმართ და მორწმუნე ვარსკვლავების მიმართ». [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

დილის ლოცვა ილოცა ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ჰუდაიბიაში - სოფელი, რომელიც მექქასთან ახლოს მდებარეობს, - იმ ღამეს მოსული წვიმის შემდეგ, ლოცვის დასრულებისას მობრუნდა ხალხისკენ და ჰკითხა მათ: "იცით, რა თქვა თქვენმა ღმერთმა დიდებულმა და ყოვლისშემძლემ?" უპასუხეს: ალლაჰმა და მისმა მოციქულმა უკეთ იციან, თქვა: უზენაესმა ალლაჰმა განმარტა, რომ წვიმის მოსვლისას ხალხი ორ ნაწილად იყოფა: ერთი ნაწილი მორწმუნეა უზენაესი ალლაჰის მიმართ, ხოლო მეორე - ურწმუნოა უზენაესი ალლაჰის მიმართ. ხოლო ვინც თქვა: "ჩვენ ალლაჰის სიკეთითა და წყალობით წვიმა მოგვივიდა" და წვიმის მოსვლა უზენაეს ალლაჰს მიაწერა, ის არის ალლაჰის მორწმუნე, როგორც შემოქმედისა და სამყაროს მმართველის, და ვარსკვლავების მიმართ ურწმუნო. ხოლო ვინც თქვა: "ჩვენ ამა და ამ ვარსკვლავის გავლენით წვიმა მოგვივიდა," ის არის ალლაჰის ურწმუნო და მორწმუნე ვარსკვლავების, რაც პატარა ურწმუნოებაა, რადგან წვიმის მოსვლა ვარსკვლავებს მიაწერა, მაშინ როცა ალლაჰმა ეს არც შარიათის და არც ბედისწერის მიზეზად არ დაადგინა, ხოლო ვინც წვიმის ან სხვა მიწიერი მოვლენების წარმოშობას ვარსკვლავების

ამოსვლასა და მოწყვეტას მიაწერს და სჯერა, რომ ისინი ნამდვილი მოქმედი მიზეზებია, ის არის დიდი ურწმუნო, დიდი ურწმუნოებით.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. წვიმის ჩამოსვლის შემდეგ სასურველია ითქვას: "ჩვენ ალლაჰის სიკეთითა და წყალობით წვიმა მოგვივიდა". (მუტირნა ბიფადლი-ლლაჰი, ვა რაჰმათიჰი)
2. ვინც წვიმის ჩამოსვლისა და სხვა სიკეთეების წარმოშობას და შექმნას ვარსკვლავებს მიაწერს, ის არის ურწმუნო დიდი ურწმუნოებიდან. ხოლო ვინც ამას მხოლოდ მიზეზად მიიჩნევს, ის არის პატარა ურწმუნოება, რადგან ვარსკვლავები არც შარიათული და არც გრძნობადი მიზეზი არ არის.
3. წყალობა (ნი'მა) შეიძლება გახდეს ურწმუნოების მიზეზი, თუ ადამიანი უმადურობას გამოავლენს მის მიმართ, ასევე შეიძლება გახდეს რწმენის მიზეზი, თუ მადლიერებას გამოხატავს.
4. აკრძალულია თქმა: "წვიმა მოვიდა ამა და ამ ვარსკვლავის წყალობით," თუნდაც მხოლოდ დროის მითითება იყოს ნაგულისხმევი, რათა თავიდან აიცილოს ალლაჰთან თანაზიარი.
5. სავალდებულოა, რომ გული უზენაეს ალლაჰზე იყოს მიჯაჭვული, რათა წყალობა მოიპოვოს და

უბედურება თავიდან აიცილოს.

(65010)

(30) – عَنْ عُقْبَةَ بْنِ عَامِرٍ الْجُهَنِيِّ رضي الله عنه: أَنَّ رَسُولَ اللهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ أَقْبَلَ إِلَيْهِ رَهْطٌ، فَبَايَعَ تِسْعَةً وَأَمْسَكَ عَنْ وَاحِدٍ، فَقَالُوا: يَا رَسُولَ اللهِ، بَايَعْتَ تِسْعَةً وَتَرَكْتَ هَذَا؟ قَالَ: «إِنَّ عَلَيْهِ تَمِيمَةً»، فَأَدْخَلَ يَدَهُ فَقَطَعَهَا، فَبَايَعَهُ، وَقَالَ: «مَنْ عَلَّقَ تَمِيمَةً فَقَدْ أَشْرَكَ». [حسن] - [رواه أحمد]

(30) – გადმოცემულია 'უყბა იბნ 'აამირ ალ-ჯუჰანისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მოციქულთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მოვიდა რამდენიმე ადამიანი, და მან მათგან ცხრისგან მიიღო ერთგულების ფიცი, ხოლო ერთისგან - არა. მათ უთხრეს: "ო, ალლაჰის შუამავალო! შენ ცხრისგან მიიღე ფიცი, მაგრამ ეს ერთი დატოვე?" მან უპასუხა: «ნამდვილად, მასზე არის თილისმა». მაშინ იმ ადამიანმა ხელი გაიწვდინა და თილისმა მოიძრო. ამის შემდეგ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მისი ფიცი მიიღო და თქვა: «ვინც თილისმა დაიკიდა, მან ალლაჰს თანაზიარი დაუდგინა». [კარგი (ჰასან)] - [გადმოსცა აჰმადმა]

განმარტება:

მოციქულთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მივიდა ადამიანთა ჯგუფი, რომელთაც სურდათ მიიღონ ისლამი და დაიცვან მისი გზა. ისინი იყვნენ

ათნი. მოციქულმა მიიღო ცხრისგან აღთქმა, მაგრამ მეათესგან არ მიიღო. როდესაც მისგან ამის მიზეზი იკითხეს, მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: "მას აქვს თილისმა". ეს არის ისეთი რამ, რაც იკვრება ან იკიდება, მაგალითად მძივები ან სხვა საგნები, ბოროტი თვალის ან ზიანის თავიდან ასაცილებლად. მამაკაცმა ხელი შეიყვანა თილისმის ადგილას, მოაცილა იგი და თავიდან მოიშორა. ამის შემდეგ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მიიღო მისი აღთქმა და გააფრთხილა თილისმების შესახებ, თან განმარტა მათი სამართლებრივი მდგომარეობა. "ვინც დაიკიდა თილისმა, მან ჩაიდინა შირქი".

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ვინც ალლაჰის გარდა სხვას დაეყრდნობა, ალლაჰი მას მისივე განზრახვის საპირისპიროდ მოექცევა.
2. რწმენა იმისა, რომ თილისმის ჩამოკიდება შეიძლება გახდეს მიზეზი ზიანის ან ბოროტი თვალისგან დაცვისა, მცირე შირქია. ხოლო თუ ვინმე ფიქრობს, რომ თილისმა თვითონვე აძლევს სარგებელს, ეს უკვე დიდი შირქია (მრავალღმერთიანობა).

(6762)

(31) – عن عبد الله بن مسعود رضي الله عنه قال: سمعتُ رسولَ الله صلى الله عليه وسلم يقول: «إنَّ الرُّقَى والتَّمائِمَ والتِّوَلَةَ شِرْكٌ». [صحيح] - [رواه أبو داود وابن ماجه وأحمد]

(31) – გადმოცემულია აბდულლაჰ იბნ მას'უდისგან, რომელმაც თქვა: გავიგონე, რომ შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამბობდა: «შელოცვები, თილისმები და ტივალა (მოჯადოების ან სიყვარულის მოზიდვის ტიპი) — არის ალლაჰთან თანაზიარის დადგენა (შირქი)». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა აბუ დაუდმა, იბნ მაჯამ და აჰმადმა]

განმარტება:

მოციქული განმარტავს ისეთ ქმედებებს, რომელთა გაკეთებისას ადამიანი ვარდება მრავალღმერთიანობაში (შირქში). და მათგანია:

პირველი: შელოცვები — ეს არის სიტყვები, რომლებიც შეიცავენ მრავალღმერთიანობას (შირქს), და მათი მეშვეობით წინაისლამური უმეცრების ეპოქაში ადამიანები ცდილობდნენ განკურნებას.

მეორე: თილისმები მძივებისა და სხვა საგნებისგან, რომლებსაც კიდებენ ბავშვებზე, ცხოველებზე ან სხვადასხვა ობიექტებზე, რათა დაიცვან ისინი თვალის ცემისგან (ბოროტი მზერისგან).

მესამე: მოჯადოება (თივალა), რომელიც ხორციელდება იმისთვის, რომ მეუღლეს თავისი

მეუღლე შეაყვაროს.

ეს ქმედებები მრავალღმერთიანობის (შირქის) გამოვლინებაა, რადგან ისინი მიაწერენ მიზეზობრიობას იმას, რაც არც შარიათის მტკიცებულებებით არის დადასტურებული და არც გრძნობების გამოცდილებით, რომელიც დამტკიცებულია ექსპერიმენტით. მიზეზები, რომელთა გამოყენებაც ნებადართულია შარიათის თვალსაზრისით, მაგალითად, ყურანის კითხვა, ან გრძნობითი გამოცდილების თვალსაზრისით, როგორიცაა წამლები, რომელთა ეფექტიანობა დადასტურებულია ექსპერიმენტებით. ამავდროულად, აუცილებელია მტკიცედ გჯეროდეს, რომ ეს მიზეზები მხოლოდ საშუალებებია, ხოლო სარგებელი და ზიანი მხოლოდ ალლაჰის ხელშია.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ერთღმერთიანობის და მრწამსის დაცვა ყველაფრისგან, რაც მას აფუჭებს.
2. არაშარიათული შელოცვების, თილისმებისა და ჯადოქრობის აკრძალვა.
3. თუ ადამიანი დარწმუნებულია, რომ ეს სამი ქმედება (შელოცვები, თილისმები და მოჯადოება) წარმოადგენს მიზეზს, ეს არის პატარა შირქის (მრავალღმერთიანობის) გამოვლინება, რადგან

ამით ადამიანი მიიჩნევს მიზეზად იმას, რაც სინამდვილეში არ არის მიზეზი. ხოლო თუ ადამიანი დარწმუნებულია, რომ ამ ქმედებას შეუძლია ზიანის და სარგებლობის მიყენება, ეს უკვე დიდი შირქის გამოვლინებაა.

4. გაფრთხილება ისეთი ქმედებებისგან, რომელიც აკრძალულია და მოიცავს შირქს.
5. შელოცვის აკრძალვა, რადგანაც ეს არის შირქი, თუ არ ხდება შარიათის გზით.
6. აუცილებელია, რომ ადამიანის გული იყოს მიჯაჭვული მხოლოდ ერთადერთ ალლაჰზე, რადგან მხოლოდ მისგან მოდის სარგებელი და ზიანი, და მას არ ჰყავს თანაზიარები. არავინ ანიჭებს სიკეთეს გარდა ალლაჰისა, და არავინ აშორებს ბოროტებას გარდა უზენაესი ალლაჰისა.
7. ნებადართული შელოცვა უნდა აკმაყოფილებდეს სამ პირობას:
    a. რწმენა იმისა, რომ შელოცვა არის მხოლოდ საშუალება (მიზეზი) და სარგებელი მოაქვს მხოლოდ ალლაჰს
    b. შელოცვა უნდა შედგებოდეს ყურანის წაკითხვისგან, ალლაჰის სახელებისა და თვისებების ხსენებისგან, წინასწარმეტყველური ან სხვა ნებადართული

ვედრებებისგან

c. შელოცვა უნდა იყოს ნათელ (გასაგებ) ენაზე და არ უნდა შეიცავდეს გაურკვეველ სიტყვებს ან შარლატანობას.

(5273)

(32) – عن بعضِ أزواجِ النَّبيِّ صلى الله عليه وسلم عنِ النَّبيِّ صلى الله عليه وسلم قال:

«مَنْ أَتَى عَرَّافًا فَسَأَلَهُ عَنْ شَيْءٍ لَمْ تُقْبَلْ لَهُ صَلَاةٌ أَرْبَعِينَ لَيْلَةً». [صحيح] - [رواه مسلم]

(32) – შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ზოგიერთი ცოლი გადმოსცემს, რომ მან თქვა: «ვინც მივიდა მკითხავთან და მას რაიმე ჰკითხა, მისი ლოცვა არ იქნება მიღებული ორმოცი ღამის განმავლობაში». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა მუსლიმმა]

განმარტება:

შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) აფრთხილებს მკითხავთან მისვლაზე. მკითხავი არის საერთო სახელი მარჩიელის, ვარსკვლავებით მკითხავის, მიწაზე ხაზების გავლებით მკითხავის და მათი მსგავსები. ყველა ვინც დაფარულის ცოდნის ამოსახსნელად იყენებს სხვადასხვა რიტუალებს, მხოლოდ შეკითხვის დასმა დაფარული ცოდნიდან არის მიზეზი, რომ ალლაჰმა ამის გამო ორმოცი დღის განმავლობაში ლოცვის მადლი აუკრძალოს; ეს არის

სასჯელი ამ დანაშაულის და დიდი ცოდვის.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. მკითხაობის, მკითხავებთან წასვლისა და მათზე დაფარულ ცოდნაზე შეკითხვების დასმის აკრძალვა.
2. შეიძლება ადამიანმა თავისი ღვთისმსახურებისგან მადლი ვეღარ მიიღოს, მის მიერ ჩადენილი ცოდვების სასჯელად.
3. ჰადისში ნახსენებ აკრძალულ ქმედებათა შორის შედის ჰოროსკოპების კითხვა და მათი შინაარსის ანალიზი, ასევე ყავის ნალექით მკითხაობა და ჰირომანტია (ხელის გულით მკითხაობა), თუნდაც ეს ცნობისმოყვარეობით ხდებოდეს. ყველაფერი ეს მკითხაობის, მარჩიელობისა და დაფარული ცოდნის შესახებ ცრუ განცხადებებია.
4. თუ ასეთია იმის სასჯელი, ვინც მივა მკითხავთან, მაშინ როგორი იქნება თვითონ მკითხავის სასჯელი?
5. ორმოცი დღის განმავლობაში ლოცვა შესრულებულად ითვლება და მისი ანაზღაურება არ არის საჭირო, მაგრამ მადლი არ ექნება შემსრულებელს.

(5986)

(33) – عن ابْنِ عُمَرَ رضي الله عنهما أَنَّه سَمِعَ رَجُلًا يَقُولُ: لَا وَالْكَعْبَةِ، فَقَالَ ابْنُ عُمَرَ: لَا يُحْلَفُ بِغَيْرِ اللَّهِ، فَإِنِّي سَمِعْتُ رَسُولَ اللَّهِ صَلَّى اللَّهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ يَقُولُ: «مَنْ حَلَفَ بِغَيْرِ اللهِ فَقَدْ كَفَرَ أَوْ أَشْرَكَ». [صحيح] - [رواه أبو داود والترمذي وأحمد]

(33) – აბდულლაჰ იბნ უმარი (ალლაჰი იყოს მისით და მისი მამით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ მან გაიგონა, თუ როგორ თქვა ერთმა კაცმა: „არა, ქააბას ვფიცავ!“ იბნ უმარმა მიუგო: „ალლაჰის გარდა არავინ არ უნდა მოიხსენიოთ ფიცში, რადგან მე გავიგონე შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამბობდა: «ვინც დაიფიცა ალლაჰის გარდა სხვაზე, ის ჩავარდა ურწმუნოებაში ან ჩაიდინა შირქი». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა აბუ დაუდმა, ათ-თირმიზიმ და აჰმადმა]

განმარტება:

მოციქული მუჰამმადი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნობს, რომ ვინც ალლაჰის, მისი სახელებისა და თვისებების გარდა სხვა რამეზე დაიფიცებს, ის ჩავარდა ურწმუნოებაში ან ჩაიდინა შირქი. ეს იმიტომ, რომ ფიცი ნიშნავს ფიცის ობიექტის განდიდებას, ხოლო განდიდება მხოლოდ ალლაჰს ეკუთვნის. ამიტომ, ფიცი უნდა აღსრულდეს მხოლოდ ალლაჰისთვის, მისი წმინდა სახელებისა და თვისებების მიმართ. ეს ფიცი მცირე შირქს

განეკუთვნება. თუმცა, თუ დამფიცებელი განადიდებს იმას, რითიც ფიცს დებს, ისევე როგორც განადიდებენ უზენაეს ალლაჰს ან კიდევ უფრო მეტად, მაშინ ასეთი ფიცი დიდ შირქს განეკუთვნება.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ფიცის საშუალებით განდიდება — უფლება, რომელიც ალლაჰს ეკუთვნის, და ფიცი არ დაიდება არავის სახელით გარდა ალლაჰის, მისი სახელებით ან მისი თვისებებით.
2. მოციქულის თანამგზავრების (საჰაბები) მოწადინება სიკეთისკენ მოწოდებასა და ბოროტების აკრძალვაში, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა საქმე ეხებოდა შირქს და ქუფრს.

(3359)

(34) – عَنْ حُذَيْفَةَ رضي الله عنه أَنَّ رَسُولَ اللهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ قَالَ: «لَا تَقُولُوا: مَا شَاءَ اللهُ وَشَاءَ فُلَانٌ، وَلَكِنْ قُولُوا: مَا شَاءَ اللهُ ثُمَّ شَاءَ فُلَانٌ». [صحيح بمجموع طرقه] - [رواه أبو داود والنسائي في الكبرى وأحمد]

(34) – ჰუზაიფა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ნუ იტყვით: "როგორც ალლაჰმა ინება და ამან", არამედ თქვით: "როგორც ალლაჰმა ინება, და შემდეგ — ამან"». [სანდო ყველა

გადმოცემით] - [გადმოსცა აბუ დაუდმა, ან-ნასაიმ ალ-ქუბრაში და აჰმადმა]

განმარტება:

შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) აკრძალა, რომ მუსლიმმა თქვას საუბარში: "რაც ინება ღმერთმა და ინება ამა და ამ პიროვნებამ", ან ინება ღმერთმა და ამა და ამ პიროვნებამ; ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ ალლაჰის ნება და სურვილი აბსოლუტურია, და არავინ გაანაწილებს და ვერავინ იქნება მისი თანამოზიარე ამ თვისებებში. კავშირი „და“ ამ კონტექსტში გულისხმობს თანასწორობას და ვინმეს თანამონაწილეობას ალლაჰთან. არამედ თქვას: რაც ინება ალლაჰმა, შემდეგ ინება ამა და ამ პიროვნებამ, ამით ხაზგასმულია ის, რომ ადამიანის ნება ექვემდებარება ალლაჰის ნებას, და ეს გამოიხატება სიტყვით „შემდეგ“ „და“-ს ნაცვლად, რადგან „შემდეგ“ მიუთითებს თანმიმდევრობას, დაყოვნებას და დროის განსხვავებას.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. აკრძალულია სიტყვა: "რაც ინება ალლაჰმა და ინებე შენ", და ამის მსგავსი სხვა სიტყვები, სადაც არის "და" კავშირი გამოყენებული ალლაჰთან; რადგან ეს არის სიტყვებით ჩადენილი შირქი

(მრავალღმერთიანობა).

2. ნებადართულია სიტყვა: "რაც ინება ალლაჰმა და შემდეგ ინებე შენ", და ამის მსგავსი სხვა სიტყვები, სადაც ალლაჰთან კავშირის დროს გამოყენებულია (სიტყვა)"შემდეგ"; რადგან ამით აკრძალვის მიზეზი ქრება.
3. ჰადისში დადასტურებულია, რომ ნება ეკუთვნის ალლაჰს, ასევე აღნიშნულია, რომ ადამიანის ნებაც არსებობს, თუმცა ის ექვემდებარება უზენაესი ალლაჰის ნებას.
4. ალლაჰის ნება-სურვილში ქმნილებათა შეზიარების აკრძალვა, თუნდაც ეს იყოს მხოლოდ სიტყვიერად.
5. თუ ადამიანი დარწმუნებულია, რომ ქმნილების ნება თანაბარია ყოვლისმომცველობითა და აბსოლუტურობით ყოვლისშემძლე და დიადი ალლაჰის ნებასთან, ან ფიქრობს, რომ ადამიანს აქვს დამოუკიდებელი ნება, რომელიც არ ექვემდებარება ალლაჰის ნებას, ეს არის დიდი შირქი (მრავალღმერთიანობა). თუმცა, თუ ის თვლის, რომ ქმნილების ნება ექვემდებარება ალლაჰის ნებას, მაგრამ იყენებს არასწორ გამონათქვამს, ეს ითვლება მცირე შირქად.

(3352)

(35) – عَنْ مَحْمُودِ بْنِ لَبِيدٍ رضي الله عنه أَنَّ رَسُولَ اللَّهِ صَلَّى اللَّهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ قَالَ: «إِنَّ أَخْوَفَ مَا أَخَافُ عَلَيْكُمُ الشِّرْكُ الْأَصْغَرُ» قَالُوا: وَمَا الشِّرْكُ الْأَصْغَرُ يَا رَسُولَ اللهِ؟ قَالَ: «الرِّيَاءُ، يَقُولُ اللهُ عَزَّ وَجَلَّ لَهُمْ يَوْمَ الْقِيَامَةِ إِذَا جُزِيَ النَّاسُ بِأَعْمَالِهِمْ: اذْهَبُوا إِلَى الَّذِينَ كُنْتُمْ تُرَاؤُونَ فِي الدُّنْيَا، فَانْظُرُوا هَلْ تَجِدُونَ عِنْدَهُمْ جَزَاءً؟». [حسن] - [رواه أحمد]

(35) – მაჰმუდ იბნ ლაბიიდ (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ყველაზე მეტად თქვენთვის რაც მაშინებს - ეს პატარა შირქია», იქ მყოფებმა იკითხეს: ო, ალლაჰის შუამავალო, რა არის პატარა შირქი? თქვა: «რია (სხვის დასანახად შესრულებული ქმედება), განკითხვის დღეს, როცა ყველა ადამიანი თავისი ნამოქმედარის საფასურს მიიღებს უზენაესი ალლაჰი იტყვის: "წადით იმათთან, ვის დასანახავადაც აკეთებდით იმქვეყნად ქმედებებს, და ნახეთ, მოიპოვებთ თუ არა მათგან რაიმე საზღაურს"!» [კარგი (ჰასან)] - [გადმოსცა აჰმადმა]

განმარტება:

შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნობს, რომ ყველაზე მეტად მისი უმმათისთვის რაც აშინებს ეს არის პატარა შირქი, რია: ადამიანების დასანახად შესრულებული ქმედება. შემდეგ მან ისაუბრა აღსასრულის დღეს იმ ადამიანების სასჯელზე,

ვინც კეთილ საქმეებს თვალთმაქცურად აკეთებდა. მათ ეტყვიან: "წადით მათთან, ვისთვისაც თქვენ ასრულებდით ამ საქმეებს, და ნახეთ, შეუძლიათ თუ არა მათ, მოგცენ რაიმე საზღაური ამისთვის!"

ჰადისის სარგებლობიდან:

1. აუცილებელია, რომ ქმედებები მთლიანად და გულწრფელად მხოლოდ ყოვლისშემძლე და დიად ალლაჰს მიეძღვნას და ყველანაირი თვალთმაქცობა იქნას თავიდან აცილებული.
2. შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ძლიერი თანაგრძნობა თავისი თემის მიმართ. მისი ზრუნვა მათ ჭეშმარიტ გზაზე დაყენებაზე და გულწრფელი რჩევების მიცემაზე, რომლებიც მათი კეთილდღეობისკენ იყო მიმართული.
3. თუ შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ასეთი შეშფოთებით მიმართავდა საჰაბებს (თავის მორწმუნე მეგობრებს), რომლებიც სწორ გზაზე მდგომთა შორის საუკეთესონი იყვნენ, მაშინ მისი შეშფოთება მათ შემდეგ მყოფთათვის გაცილებით უფრო დიდი და ძლიერია.

(3381)

(36) – عن أَبِي مَرْثَدٍ الغَنَوِيّ رضي الله عنه قال: قال رسولُ اللهِ صلى الله عليه وسلم: «لَا تَجْلِسُوا عَلَى الْقُبُورِ، وَلَا تُصَلُّوا إِلَيْهَا». [صحيح] - [رواه مسلم]

(36) – აბუ მარსად ალ-ღანავი (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოგვცემს, რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «არ ჩამოჯდეთ სასაფლაოებზე და არ ილოცოთ მათ მიმართულებით». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა მუსლიმმა]

განმარტება:

შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) აკრძალა სასაფლაოებზე ჩამოჯდომა.

ასევე აკრძალა სასაფლაოების მიმართულებით ლოცვა, ანუ სასაფლაო რომ იყოს მლოცველის წინ ყიბლას მხარეს; რადგან ეს არის შირქისკენ მიმავალი ერთ-ერთი საშუალება.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. აკრძალულია ლოცვის შესრულება სასაფლაოებზე, საფლავებს შორის ან მათი მიმართულებით, გარდა დამკრძალავი ლოცვისა (ჯანაზა), რაც სუნნათი არის დამტკიცებული.
2. სასაფლაოს მიმართულებით ლოცვის აკრძალვა არის შირქის გამომწვევი მიზეზების ჩაკეტვა.
3. ისლამმა აკრძალა სასაფლაოებზე ზედმეტი

პატივისცემა და ასევე მათი შეურაცხყოფა, არ შეიძლება გადაჭარბება ზედმეტ პატივისცემაში და არ შეიძლება მათი უგულებელყოფა შეურაცხყოფის დონეზე.

4. მუსლიმის ხელყოფა მისი გარდაცვალების შემდეგაც აქტუალურია, შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) სიტყვებიდან გამომდინარე: "მკვდარი ადამიანის ძვლების დამტვრევა ცოცხალის დამტვრევის მსგავსია".

(10647)

(37) – عَنْ أَبِي هُرَيْرَةَ رضي الله عنه أَنَّ رَسُولَ اللهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ قَالَ: «لَا تَصْحَبُ الْمَلَائِكَةُ رُفْقَةً فِيهَا كَلْبٌ وَلَا جَرَسٌ». [صحيح] - [رواه مسلم]

(37) – აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ანგელოზები თან არ ახლავენ იმ ჯგუფს, სადაც არის ძაღლი ან ზარი». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა მუსლიმმა]

განმარტება:

მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნო, რომ ანგელოზები თან არ ახლავენ იმ მგზავრებს, რომელთა ჯგუფშიც არის ძაღლი ან ზარი, რომელიც მიბმულია ცხოველებზე და მოძრაობისას ხმას გამოსცემს.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ძაღლების შენახვის და თან წაყვანის აკრძალვა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ძაღლი გამოიყენება ნადირობისთვის ან დაცვისთვის.
2. ანგელოზები, რომლებიც უარს ამბობენ თანამგზავრობაზე, ესენი არიან წყალობის ანგელოზები. რაც შეეხება მცველ ანგელოზებს, ისინი არ ტოვებენ ადამიანებს, იქნება ეს მათ მყოფობასა თუ მგზავრობაში.
3. აკრძალულია ზარის გამოყენება, რადგან ის წარმოადგენს შაიტანის საკრავს და ასევე ის ასოცირდება ქრისტიანებთან.
4. მუსლიმს ევალება, რომ თავი აარიდოს ყველაფერს, რამაც შეიძლება ანგელოზები მისგან განაშოროს.

(8951)

(38) – عَن أَبِي هُرَيْرَةَ رَضِيَ اللَّهُ عَنْهُ: قَالَ رَسُولُ اللَّهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ: «يَأْتِي الشَّيْطَانُ أَحَدَكُمْ فَيَقُولُ: مَنْ خَلَقَ كَذَا؟ مَنْ خَلَقَ كَذَا؟ حَتَّى يَقُولَ: مَنْ خَلَقَ رَبَّكَ؟ فَإِذَا بَلَغَهُ فَلْيَسْتَعِذْ بِاللهِ وَلْيَنْتَهِ». [صحيح] - [متفق عليه]

(38) – გადმოცემულია აბუ ჰურაირასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ეშმაკი მოდის ერთ-ერთ თქვენგანთან და ეუბნება: ვინ შექმნა ეს? ვინ შექმნა ის?

ბოლოს კი იტყვის: ვინ შექმნა შენი უფალი? როცა ის ამ კითხვამდე მიაღწევს, დაე, ითხოვოს ალლაჰისგან თავშესაფარი (თქვას: ა'უზუბილლაჰი მინა შშაიტანი რრაჯიიმ) და შეწყვიტოს მასზე ფიქრი». [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

მოციქული მუჰამმადი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნობს მკურნალობის შესახებ, რომელიც მორწმუნეს დაეხმარება ეშმაკის მიერ ჩაგონებული საეჭვო კითხვების წინააღმდეგ ბრძოლაში, ეშმაკი იტყვის: ვინ შექმნა ეს? ვინ შექმნა ის? ვინ შექმნა ცა? და ვინ შექმნა მიწა? მორწმუნე პასუხობს რწმენით, თანდაყოლილი ბუნებრიობითა და გონებით: "ალლაჰმა", მაგრამ ეშმაკი ამ ჩაგონებებზე არ ჩერდება, არამედ აგრძელებს მანამ, სანამ არ იტყვის: "ვინ შექმნა შენი უფალი?" ამ დროს მორწმუნე ამ ჩაგონებას სამი რამით უკუაგდებს:

ალლაჰის რწმენით.

ალლაჰთან ეშმაკისგან შეფარებით.

შეპყრობილ ფიქრებზე ზედმეტი ჩაღრმავების შეწყვეტით.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ეშმაკის ჩაგონებისა და მისი მავნე აზრების

უარყოფა და მათზე ფიქრის შეწყვეტა, და უზენაესი ალლაჰისგან შეწევნის თხოვნა ამ ფიქრების მოშორებისთვის.

2. ყველა ეჭვი, რომელიც ადამიანის გულში ჩნდება და ეწინააღმდეგება შარიათს, ეშმაკისგან მოდის.
3. აკრძალულია ალლაჰის არსების შესახებ ფიქრი, ხოლო წახალისებულია ფიქრი მისი ქმნილებებისა და საოცრებების შესახებ.

(65013)

(39) – عَنْ أَبِي هُرَيْرَةَ رضي الله عنه قَالَ: قَالَ رَسُولُ اللَّهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ: «إِنَّ اللَّهَ قَالَ: مَنْ عَادَى لِي وَلِيًّا فَقَدْ آذَنْتُهُ بِالحَرْبِ، وَمَا تَقَرَّبَ إِلَيَّ عَبْدِي بِشَيْءٍ أَحَبَّ إِلَيَّ مِمَّا افْتَرَضْتُ عَلَيْهِ، وَمَا يَزَالُ عَبْدِي يَتَقَرَّبُ إِلَيَّ بِالنَّوَافِلِ حَتَّى أُحِبَّهُ، فَإِذَا أَحْبَبْتُهُ: كُنْتُ سَمْعَهُ الَّذِي يَسْمَعُ بِهِ، وَبَصَرَهُ الَّذِي يُبْصِرُ بِهِ، وَيَدَهُ الَّتِي يَبْطِشُ بِهَا، وَرِجْلَهُ الَّتِي يَمْشِي بِهَا، وَإِنْ سَأَلَنِي لَأُعْطِيَنَّهُ، وَلَئِنِ اسْتَعَاذَنِي لَأُعِيذَنَّهُ، وَمَا تَرَدَّدْتُ عَنْ شَيْءٍ أَنَا فَاعِلُهُ تَرَدُّدِي عَنْ نَفْسِ المُؤْمِنِ، يَكْرَهُ المَوْتَ وَأَنَا أَكْرَهُ مَسَاءَتَهُ». [صحيح] - [رواه البخاري]

(39) – აბუ ჰურაირამ (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) თქვა: მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა, რომ ალლაჰმა თქვა: «ვისაც ჩემი ახლობელი მონის წინააღმდეგ მტრობა ექნება, მე მას ომს გამოვუცხადებ. ჩემთვის ყველაზე საყვარელი ისაა, რასაც ჩემი მონა ასრულებს ჩემი სიახლოვის მოსაპოვებლად, და რაც მე

მასზე სავალდებულოდ დავაწესე. მაგრამ ჩემი მონა აგრძელებს ჩემი სიახლოვის ძიებას სავალდებულო ქმედებებზე დამატებითი თაყვანისცემით (ნაფილის შესრულებით), სანამ არ შევიყვარებ მას. როცა შევიყვარებ, გავხდები მისი სმენა, რომლითაც ის ისმენს; მისი მზერა, რომლითაც ის ხედავს; მისი ხელი, რომლითაც ის იღებს, და მისი ფეხი, რომლითაც ის დადის. თუ რამეს მთხოვს, აუცილებლად მივცემ მას. თუ ჩემგან დაცვის ძიებას დაიწყებს, აუცილებლად დავიცავ. არაფერში არ ვყოყმანობ ისე, როგორც მორწმუნე მონის სულის გამოყოფაში, რადგან მას სიკვდილი არ სურს, მე კი არ მსურს, რომ მას ტანჯვა მივაყენო». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა ალ-ბუხარიმ]

განმარტება:

მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ჰადის ყუდსიში გვამცნო, რომ ალლაჰმა თქვა: ვინც აწყენინებს ჩემს რომელიმე დაახლოებულს (ავლია) გაანაწყენებს ან სიძულვილს გამოიჩენს მის მიმართ, მე მას ვაუწყებ და ვუცხადებ მტრობას.

ალლაჰის დაახლოებული არის (ალ-ვალიუ) ღვთისმოსავი მორწმუნე, და ადამიანის ღვთის სიახლოვის წილი მისი რწმენისა და ღვთისმოსაობის ხარისხზეა დამოკიდებული. ალლაჰისთვის ყველაზე საყვარელია ის, რითაც მუსლიმი ცდილობს მასთან

დაახლოებას: მისი მხრიდან იმ ვალდებულებების შესრულება, რომლებიც ალლაჰმა მას დააკისრა — მათ შორის სავალდებულო მოქმედებების შესრულება და აკრძალულიდან თავის არიდება. მუსლიმი განაგრძობს ალლაჰთან დაახლოებას ნაფილებით (დამატებითი მსახურებით), სანამ ალლაჰის სიყვარულს არ მოიპოვებს. როცა ალლაჰი შეიყვარებს თავის მონას, ის ამ მონას მართავს და ასწორებს მისი სხეულის ოთხი ნაწილის მეშვეობით:

ალლაჰი მართავს მას მის სმენაში ისე, რომ ის აღარ ისმენს არაფერს, გარდა იმისა რითაც ალლაჰია კმაყოფილი.

ალლაჰი მართავს მას მის ხედვაში, ისე რომ ის აღარ უყურებს არაფერს, გარდა იმისა, რაც ალლაჰს უყვარს და კმაყოფილია.

ალლაჰი მართავს მას მის ხელში, ისე რომ ის თავისი ხელით აღარ აკეთებს არაფერს, გარდა იმისა, რაც ალლაჰს აკმაყოფილებს.

ალლაჰი მართავს მას მის ფეხში, ისე რომ ის არ დადის სხვა რამეზე, გარდა იმისა, რაც ალლაჰს აკმაყოფილებს, და არ ისწრაფვის არაფრისკენ, გარდა იმისა, რაც სიკეთეს მოუტანს.

ამასთან, თუ ის ალლაჰს რაიმეს სთხოვს, ალლაჰი აძლევს იმას, რასაც ის ითხოვს, და მისი ვედრება

მიღებული იქნება. ხოლო თუ ის ალლაჰს თავის დაცვისთვის შეაფარებს და დახმარებას ითხოვს, დიდებული ალლაჰი, მას დაიცავს და დაიფარავს იმისგან, რისიც მას ეშინია.

შემდეგ უზენაესმა ალლაჰმა თქვა: არაფერში დავყოყმანობ ისე, როგორც მორწმუნის სულის აღებაში, რადგან ეს მისდამი მოწყალების გამოხატულებაა. მორწმუნეს სიკვდილი არ უყვარს, რადგან მასში ტკივილია, ხოლო ალლაჰს არ მოსწონს ის, რაც მორწმუნეს ტკივილს აყენებს.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ეს ჰადისი იმ ჰადისთაგანია, რომელსაც მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თავისი უფლისგან გადმოსცემს და მას ჰადის ყუდსი ან ღვთიური ჰადისი ეწოდება. მისი სიტყვებიც და მნიშვნელობაც ალლაჰისგანაა, თუმცა მას არ გააჩნია ის თვისებები, რაც ყურანს გამოარჩევს სხვა ტექსტებისგან, მაგალითად, მისით თაყვანისცემა, მისი კითხვა სისუფთავის მდგომარეობაში, გამოწვევა ან შეუდარებელი მახასიათებლები, და სხვა ამგვარი თვისებები.
2. ალლაჰის დაახლოვებულების გაწყენინების აკრძალვა და მათი სიყვარულის წახალისება, ასევე მათი ღირსების აღიარება.

3. ალლაჰის მტრებისადმი მტრობის ბრძანება და მათთან მეგობრობის აკრძალვა.
4. ვინც ალლაჰის სიახლოვეს აცხადებს, მაგრამ არ მისდევს მის შარიათს, ის თავის პრეტენზიაში მატყუარაა.
5. ალლაჰთან დაახლოების მიღწევა სავალდებულო ქმედებების შესრულებით და აკრძალული საქმეების თავიდან არიდებით.
6. ალლაჰის სიყვარულის მოპოვებისა და მისი ვედრების მიღების მიზეზი არის სავალდებულო ქმედებების შესრულება, აკრძალვებისგან თავის არიდება და დამატებითი თაყვანისცემის (ნაფილის) შესრულება.
7. ალლაჰთან დაახლოვებულების პატივის, ღირსებისა და მათი მაღალი სტატუსის მნიშვნელობაზე მინიშნება.

(6337)

(40) – عَنِ العِرْبَاضِ بْنِ سَارِيَةَ رَضِيَ اللَّهُ عَنْهُ قَالَ: قَامَ فِينَا رَسُولُ اللَّهِ صَلَّى اللَّهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ ذَاتَ يَوْمٍ، فَوَعَظَنَا مَوْعِظَةً بَلِيغَةً وَجِلَتْ مِنْهَا القُلُوبُ، وَذَرَفَتْ مِنْهَا العُيُونُ، فَقِيلَ: يَا رَسُولَ اللَّهِ، وَعَظْتَنَا مَوْعِظَةَ مُوَدِّعٍ فَاعْهَدْ إِلَيْنَا بِعَهْدٍ. فَقَالَ: «عَلَيْكُمْ بِتَقْوَى اللَّهِ، وَالسَّمْعِ وَالطَّاعَةِ، وَإِنْ عَبْدًا حَبَشِيًّا، وَسَتَرَوْنَ مِنْ بَعْدِي اخْتِلَافًا شَدِيدًا، فَعَلَيْكُمْ بِسُنَّتِي وَسُنَّةِ الْخُلَفَاءِ الرَّاشِدِينَ الْمَهْدِيِّينَ، عَضُّوا عَلَيْهَا بِالنَّوَاجِذِ، وَإِيَّاكُمْ وَالْأُمُورَ الْمُحْدَثَاتِ،

فَإِنَّ كُلَّ بِدْعَةٍ ضَلَالَةٌ». [صحيح] - [رواه أبو داود والترمذي وابن ماجه وأحمد]

(40) – ალ-ი'რბად იბნ სარიაჰ (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს: ერთ დღეს ჩვენ ერთად ყოფნისას წამოდგა შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) და ისეთი რჩევა-დარიგება მოგვცა, რომ გულები ათრთოლდა და თვალებს ცრემლი მოგვადგა, მას უთხრეს: ო ალლაჰის შუამავალო, შენ მოგვეცი ისეთი რჩევა-დარიგება თითქოს გვემშვიდობებოდე, მაშ, დაგვიტოვე ანდერძად რაიმე. მან თქვა: «გეშინოდეთ ალლაჰის, მოისმინეთ და დამორჩილდით, თუნდაც ეთიოპელი მონა იყოს თქვენი მმართველი, ნამდვილად, ის, ვინც თქვენგან დიდხანს იცოცხლებს, ბევრ განხეთქილებას იხილავს, ამიტომ დაიცავით ჩემი სუნნა და სწორ გზაზე მდგომი მართალი ხალიფების სუნნა. არ გადაუხვიოთ მას და სრულიად თავი აარიდეთ სიახლეებს (ბიდ'ა), რადგან ყოველგვარი სიახლე არის გზააბნეულობა». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა აბუ დაუდმა, ათ-თირმიზიმ, იბნ მააჯამ და აჰმადმა]

განმარტება:

შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ისეთი დარიგება გაუკეთა საჰაბებს, რომ ათრთოლდა

მის გამო გულები და ატირდა თვალები. და უთხრეს: ო ალლაჰის შუამავალო, თითქოს გვემშვიდობებოდე ამ დარიგებით, როცა შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ზედმეტად მეტი ყურადღება შეამჩნიეს საუბარში, და მისგან ითხოვეს ანდერძად რჩევა, რომელსაც ჩაეჭიდებოდნენ მის შემდგომ. თქვა: მე თქვენ ანდერძად გიტოვებთ, რომ გეშინოდეთ უზენაესი ალლაჰის. ეს ვლინდება ბრძანებების შესრულებაში და აკრძალულებზე მორიდებაში. სმენა და მორჩილება, ანუ: მმართველების მიმართ, თუნდაც მონა გახდეს თქვენი მმართველი ან ხელმძღვანელი, ანუ ყველაზე მდაბიო ადამიანიც რომ გახდეს თქვენი მმართველი არ უარყოთ ის და დაემორჩილეთ მას, საშიშროებით იმისგან, რომ არ გავრცელდეს არეულობა, რადგან ვინც იცხოვრებს თქვენგან დიდხანს, ის ბევრ განხეთქილებებს იხილავს. შემდეგ განუმარტა მათ გამოსავალი ამ განხეთქილებისგან, ეს მოხდება მის სუნნაზე და მის შემდეგ მყოფი მართალი მართლმორწმუნე ხალიფების სუნნაზე ჩაჭიდებით, რომლებიც არიან აბუ ბაქრ ას-სიდიიყ, 'უმარ იბნ ალ-ხატაბ, 'უსმან იბნ ა'ფვან და 'ალი იბნ აბუ ტაალიბ (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი). ჩაეჭიდეთ მას კბილებით ანუ - უკანა კბილებით-: ანუ ასეთი სერიოზულობით მიუდექით სუნნას და ჩაეჭიდეთ მას.

მან ასევე გააფრთხილა ისინი რელიგიაში სიახლეებთან (ბიდ'ა) დაკავშირებით და თქვა, რომ ყოველი ინოვაცია გზააბნეულობაა.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. სუნნაზე მიყოლის და მასზე მტკიცედ ჩაჭიდების აუცილებლობა.
2. რჩევა-დარიგების მიცემა და გულების დარბილება.
3. მის შემდგომ მყოფი ოთხი მართლმორწმუნე ხალიფებზე მიყოლის ბრძანება, ისინი არიან აბუ ბაქრი, 'უმარი, 'უსმანი და 'ალი (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი).
4. რელიგიაში სიახლის გამოგონების აკრძალვა და რომ ყველა სიახლე გზასაცდენილობაა.
5. სმენა და მორჩილება მასზე, ვინც მართავს მორწმუნეთა საქმეებს, გარდა ცოდვისა.
6. უზენაესი ალლაჰის შიშის მნიშვნელობა ყოველთვის და ყველა მდგომარეობაში.
7. ამ უმმაში წარმოიშობა უთანხმოებები, და მათი წარმოშობის დროს საჭიროა მიმართოთ ალლაჰის მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) სუნნასა და მართალი ხალიფების სუნნას.

(65057)

(41) – عن أبي هريرةَ رضي الله عنهُ عنِ النَّبيِّ صلى الله عليه وسلم أنه قال: «مَنْ خَرَجَ مِنَ الطَّاعَةِ، وَفَارَقَ الْجَمَاعَةَ فَمَاتَ، مَاتَ مِيتَةً جَاهِلِيَّةً، وَمَنْ قَاتَلَ تَحْتَ رَايَةٍ عِمِّيَّةٍ، يَغْضَبُ لِعَصَبَةٍ، أَوْ يَدْعُو إِلَى عَصَبَةٍ، أَوْ يَنْصُرُ عَصَبَةً، فَقُتِلَ، فَقِتْلَةٌ جَاهِلِيَّةٌ، وَمَنْ خَرَجَ عَلَى أُمَّتِي، يَضْرِبُ بَرَّهَا وَفَاجِرَهَا، وَلَا يَتَحَاشَى مِنْ مُؤْمِنِهَا، وَلَا يَفِي لِذِي عَهْدٍ عَهْدَهُ، فَلَيْسَ مِنِّي وَلَسْتُ مِنْهُ». [صحيح] - [رواه مسلم]

(41) – გადმოცემულია აბუ ჰურაირასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ვინც დაუმორჩილებლობას გამოიჩენს და საზოგადოებისგან (ჯამაათი) ჩამოშორდება, შემდეგ კი სიკვდილს შეხვდება, ის ჯაჰილიის (უვიცობის) დროის სიკვდილით მოკვდება. ვინც დაუმორჩილებლობას გამოიჩენს და საზოგადოებისგან(ჯამაათი) ჩამოშორდება, შემდეგ კი სიკვდილს შეხვდება, ის ჯაჰილიის (უვიცობის) სიკვდილით მოკვდება, ხოლო თუ ვინმე იბრძოლებს სიცრუის ან არეულობის დროშის ქვეშ, გაბრაზებული საკუთარი ტომის გამო, მოწოდებას გააკეთებს საკუთარი ტომის გამორჩეულობისთვის ან თავის ტომს დაიცავს სხვების ჩაგვრისას და მოკვდება, მისი სიკვდილი ჯაჰილიის დროის სიკვდილს დაემსგავსება. ვინც ჩემს საზოგადოებას წინ აღუდგება, მოსპობს როგორც მართალს, ასევე ცოდვილს მისგან, არ

დაინდობს არც ერთ მორწმუნეს და არც იმას, ვისთანაც შეთანხმება აქვს დადებული, მას ჩემთან კავშირი არ ექნება, ისევე როგორც მე არ ვიქნები მასთან დაკავშირებული». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა მუსლიმმა]

განმარტება:

მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტა, რომ ვინც გამოვა მმართველის მორჩილებიდან და დატოვებს ისლამის იმ ერთიან საზოგადოებას, რომელიც შეთანხმებულია იმამის ერთგულებაზე (ფიცზე), და ამ მდგომარეობაში მოკვდება, ის მოკვდება უმეცრობის (ჯაჰილების) ხალხის სიკვდილით. უმეცრობის დროს ხალხი არ ემორჩილებოდა ამირებს და არ ერთიანდებოდა ერთ ჯგუფად, არამედ იყვნენ დაყოფილნი ჯგუფებად და კლანებად, რომლებიც ერთმანეთს ებრძოდნენ.

ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) აცნობა, რომ ვინც იბრძოლებს ისეთი დროშის ქვეშ, სადაც არ გამოირჩევა სიმართლისა და სიცრუის გზები, და განრისხებულია მხოლოდ თავისი ხალხის ან ტომის მიმართ ბრმა მიკერძოების გამო, და არა რელიგიისა და სიმართლის დასაცავად, ის იბრძვის გაურკვევლად ცოდნისა და წინდახედულობის გარეშე და თუ ის ასეთ მდგომარეობაში მოკვდება, მისი

სიკვდილი უმეცრობის დროის სიკვდილს დაემსგავსება.

ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ასევე აღნიშნა, რომ ვინც აუჯანყდება თავის საზოგადოებას, ურტყამს მის მართალ და ცოდვილ წევრებს, არ აქცევს ყურადღებას თავის ქმედებებს და არ შიშობს შედეგების გამო, კლავს მორწმუნეებს და არ ასრულებს შეთანხმებებს არც ურწმუნოებთან არც მუსლიმ მმართველთან, არამედ არღვევს მათ, ეს არის დიდი ცოდვა. ვინც ასეთ ქმედებებს ჩაიდენს, ის იმსახურებს მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მიერ მოცემულ მკაცრ მუქარას.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. მუსლიმი მმართველისადმი მორჩილება აუცილებელია, თუ ეს მორჩილება დიდებული და ძლევამოსილი ალლაჰის დაუმორჩილებლობას არ მოიცავს.
2. ამაში მკაცრი დამუქრებაა მათთვის, ვინც უარს იტყვის იმამის მორჩილებაზე და დატოვებს მუსლიმთა საზოგადოებას. თუ იგი ასეთ მდგომარეობაში გარდაიცვლება, მისი სიკვდილი უმეცრობის ხალხის გზაზე იქნება.
3. ჰადისში მოცემულია მკაცრი აკრძალვა

ტომობრივი ან საგვარეულო ფანატიზმის გამო ბრძოლაზე. (ნაციონალიზმი)

4. შეთანხმებების შესრულების ვალდებულება.
5. მორჩილებაში და საზოგადოების ერთობაში არის დიდი სიკეთე, მშვიდობა და მდგომარეობების გაუმჯობესება.
6. წინაისლამური უვიცობის დროის ხალხზე მიბაძვის აკრძალვა მათ ჩვეულებებში.
7. მუსლიმთა საზოგადოების ერთობის დაცვის ბრძანება.

(58218)

(42) – عن مَعقِلِ بن يَسار المُزَنِيّ رضي الله عنه قال: إني سمعتُ رسولَ الله صلى الله عليه وسلم يقول: «مَا مِنْ عَبْدٍ يَسْتَرْعِيهِ اللهُ رَعِيَّةً، يَمُوتُ يَوْمَ يَمُوتُ وَهُوَ غَاشٌّ لِرَعِيَّتِهِ، إِلَّا حَرَّمَ اللهُ عَلَيْهِ الْجَنَّةَ». [صحيح] - [متفق عليه]

(42) – გადმოცემულია მა'ყილ იბნ იასაარ ალ-მუზანისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომელმაც თქვა: ჭეშმარიტად, მე გავიგონე, თუ როგორ ამბობდა შუამავალი (ალლაჰმა დალოცოს და მიესალმოს მას): «ალლაჰი აუცილებლად აუკრძალავს სამოთხეს ნებისმიერ თავის მონას, რომელსაც (ალლაჰი) ჩააბარებს პასუხისმგებლობას რომელიმე ხალხზე, მაგრამ ეს ადამიანი მოატყუებს თავის

მზრუნველობქვეშ მყოფთ და გარდაიცვლება მათ მოტყუებაში ყოფნის დროს». [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვაუწყებს, რომ ვინც ყოვლისშემძლე ალლაჰმა დანიშნა მმართველად და პასუხისმგებლად ადამიანებზე, იქნება ეს ზოგადი მმართველობა, როგორც მმართველის შემთხვევაში, ან კერძო მმართველობა, როგორც მამაკაცის თავის სახლში და ქალის თავის ოჯახში, თუ მან უგულებელყო თავისი ვალდებულებები, მოატყუა თავისი მზრუნველობის ქვეშ მყოფნი, არ გამოიჩინა გულწრფელობა მათ მიმართ და დაარღვია მათი რელიგიური და მიწიერი უფლებები, ამით მან დაიმსახურა სასტიკი სასჯელი.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ეს მუქარა სპეციფიკური არ არის მხოლოდ მმართველისა და მისი მოადგილეებისთვის, არამედ საერთო არის ყველასთვის, ვისაც ალლაჰმა ჩააბარა ქვეშევრდომები.
2. მუსლიმანთა საქმეებზე ძალაუფლებისა და მმართველობის მქონე ყოველი პირის ვალდებულებაა, იყოს გულწრფელი მათთან,

გულმოდგინედ შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები, გაამართლოს ნდობა და პირნათლად შეასრულოს თავისი ვალდებულებები, ასევე მოერიდოს ღალატს.

3. დიდია პასუხისმგებლობა ყოველი ადამიანის, ვინც ხალხს მართავს, იქნება ეს ზოგადი თუ კერძო მმართველობა, მაღალი თუ დაბალი თანამდებობა.

(5335)

(43) – عَنْ أُمِّ سَلَمَةَ أُمِّ المُؤمنين رضي الله عنها: أَنَّ رَسُولَ اللهِ صلى الله عليه وسلم قَالَ: «سَتَكُونُ أُمَرَاءُ فَتَعْرِفُونَ وَتُنْكِرُونَ، فَمَنْ عَرَفَ بَرِئَ، وَمَنْ أَنْكَرَ سَلِمَ، وَلَكِنْ مَنْ رَضِيَ وَتَابَعَ» قَالُوا: أَفَلَا نُقَاتِلُهُمْ؟ قَالَ: «لَا، مَا صَلَّوْا». [صحيح] - [رواه مسلم]

(43) – მორწმუნეთა დედა უმმ სალამა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «თქვენზე დაინიშნებიან მმართველები, რომელთა საქმეებიდან ზოგი თქვენთვის მისაღები იქნება, ზოგი კი — დასაგმობი. მათ შორის, ვინც იგრძნობს ზიზღს მათი დასაგმობი საქმეების მიმართ, უდანაშაულო დარჩება, ხოლო ვინც დაგმობს მათ, გადარჩება. განსხვავებით მათგან, ვინც კმაყოფილი დარჩება და მათ გზას გაჰყვება. ხალხმა ჰკითხა: "ალლაჰის მოციქულო, განა არ უნდა ვიბრძოლოთ ასეთ მმართველებთან?" მან

უპასუხა: «არა, მანამ სანამ ისინი ლოცვას აღასრულებენ». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა მუსლიმმა]

განმარტება:

შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნობს, რომ ჩვენ გვეყოლება მმართველები, ჩვენ ვნახავთ მათგან ზოგიერთ ქმედებებს, რომლებიც არის შარიათის შესაბამისი, ხოლო ზოგიერთი ქმედებები იქნება შარიათის საწინააღმდეგო, ვინც გულით შეიძულებს მოუწონარ ქმედებებს, მაგრამ მისი უარყოფის (გაკიცხვის) ძალა არ შესწევს, ის თავს დააღწევს ცოდვისგან და ორპირობისგან. ვისაც შეუძლია მისი გამოსწორება ენით ან ქმედებით, და გაკიცხა ისინი, გადარჩენილი იქნება ცოდვისგან და მათთან თანამონაწილეობისგან. მაგრამ ვინც კმაყოფილი იქნება მათი ნამოქმედარით და მათ გაჰყვება იმ დანაშაულში, დაიღუპება ისე, როგორც ისინი დაიღუპნენ.

შემდეგ შუამავალს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ჰკითხეს: არ ვეომოთ იმ მმართველებს, რომელთა თვისებები ასეთი იქნება? მან ეს აუკრძალა, და თქვა: არა, მანამ, სანამ თქვენთან ერთად ლოცვას ასრულებენ.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას)

წინასწარმეტყველობის ერთ-ერთი მტკიცებულება არის მისი წინასწარმეტყველებები მომავლის მოვლენებზე და ის, რომ ეს მოვლენები ზუსტად ისე მოხდა, როგორც მან ამაზე ამცნო.

2. არ შეიძლება მოუწონარი საქმეების მიმართ კმაყოფილება და მათში მონაწილეობა, აუცილებელია მათი დაგმობა.
3. თუ მმართველები გააკეთებენ ისეთ რამეს, რაც შარიათს ეწინააღმდეგება, არ შეიძლება მათზე მორჩილება ამაში.
4. არ შეიძლება მუსლიმთა მმართველების წინააღმდეგ აჯანყება, რადგან ეს იწვევს უფრო დიდ ბოროტებას, სისხლისღვრას და უსაფრთხოების დაკარგვას. მოთმინების გამოჩენა იმ დასაგმობი საქმეების მიმართ, რომლებიც ცოდვილი მმართველებისგან მომდინარეობს, და იმ ზიანის მიმართ, რომელიც მათგან მოდის, უკეთესია, ვიდრე ის უბედურებები, რომლებიც მათ წინააღმდეგ აჯანყებას მოჰყვება.
5. ლოცვას ძალიან დიდი ადგილი უკავია, რადგანაც ის არის ურწმუნოებასა და ისლამს შორის განმასხვავებელი.

(3481)

(44) – عَنِ ابْنِ مَسْعُودٍ رضي الله عنه عَنِ النَّبِيِّ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ قَالَ: «سَتَكُونُ أَثَرَةٌ وَأُمُورٌ تُنْكِرُونَهَا» قَالُوا: يَا رَسُولَ اللَّهِ فَمَا تَأْمُرُنَا؟ قَالَ: «تُؤَدُّونَ الحَقَّ الَّذِي عَلَيْكُمْ، وَتَسْأَلُونَ اللَّهَ الَّذِي لَكُمْ». [صحيح] - [متفق عليه]

(44) – გადმოცემულია იბნ მას'უდისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ჭეშმარიტად, ჩემი (სიკვდილის) შემდეგ უპირატესობა მიენიჭება (სხვებს) და (იქნება ჩადენილი) საქმეები, რომლებიც არ მოგეწონებათ», ხალხმა ჰკითხა: "ო, ალლაჰის მოციქულო, რის გაკეთებას გვიბრძანებ?" მოციქულმა თქვა: «გააკეთეთ ის, რაც თქვენთვის არის დადგენილი, და სთხოვეთ ალლაჰს ის, რაც თქვენ გეკუთვნით». [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნო, რომ მუსლიმებს ეყოლებათ მმართველები, რომლებიც თავიანთ მფლობელობაში მიითვისებენ მუსლიმთა ქონებას და სხვას ამქვეყნიური საქმეებიდან, დახარჯავენ ისე, როგორც მათ სურთ და არ მისცემენ მუსლიმებს მათ წილს. მათ რელიგიაში ექნებათ ისეთი საქმეები, რომლებიც არ მოგეწონებათ. და საჰაბები (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი) მას შეეკითხნენ, თუ

როგორ უნდა მოექცნენ ასეთ სიტუაციაში? შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უპასუხა მათ, რომ მიუხედავად იმისა, რომ მმართველები მიითვისებენ მათ ქონებას, ეს არ უნდა გახდეს მიზეზი, რომ მუსლიმებმა შეწყვიტონ თავიანთი მოვალეობის შესრულება მათ მიმართ, კერძოდ, მორჩილება და დაქვემდებარება. მოციქულმა თქვა, რომ საჭიროა მოთმინება, მორჩილება და მმართველების მიმართ დაქვემდებარება, ასევე არ უნდა ეცადონ მათთან ძალაუფლების შეჯიბრში შესვლას. მუსლიმებმა უნდა სთხოვონ ალლაჰს, რომ დაუბრუნოს მათ თავიანთი უფლებები, გააუმჯობესოს მმართველების მდგომარეობა და დაიცვას მუსლიმები მათი ბოროტებისა და უსამართლობისგან.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ეს ჰადისი ერთ-ერთი მტკიცებულებაა მუჰამმადის (ალლაჰმა დალოცოს და მიესალმოს) წინასწარმეტყველობის შესახებ, რადგან მან აცნობა, თუ რა მოხდებოდა მის უმმაში, და ეს ზუსტად ისე მოხდა, როგორც მან თქვა.
2. დასაშვებია ადამიანის გაფრთხილება მოსალოდნელი გამოცდების შესახებ, რათა მან შეძლოს მათთვის მომზადება და, როცა გამოცდა მას დაატყდება, გამოიჩინოს მოთმინება და

ალლაჰისგან ჯილდოს იმედოვნებდეს.

3. ყურანზე და სუნნაზე ჩაჭიდება განსაცდელის და განხეთქილებისგან გამოსავალი გზაა.
4. მოწოდება მორჩილებისა და დაქვემდებარებისადმი მმართველების მიმართ იმ საქმეებში, რომლებიც შარიათით ნებადართულია, და აკრძალვა მათ წინააღმდეგ აჯანყებაზე, თუნდაც ისინი უსამართლობას ავლენდნენ.
5. სიბრძნით მოქმედება და სუნნაზე მიყოლა განსაცდელის დროს.
6. ადამიანმა უნდა შეასრულოს მასზე დაკისრებული ვალდებულებები, თუნდაც მას რაიმე უსამართლობა შეემთხვეს.
7. ჰადისში ასევე აღნიშნულია წესი, რომელიც ამბობს: ორი ბოროტებიდან აუცილებელია აირჩიოს ნაკლები ბოროტება ან ყველაზე მცირე ზიანი.

(3156)

(45) – عَنْ عَبْدِ اللَّهِ بنِ عُمرَ رَضِيَ اللَّهُ عَنْهُما أَنَّ رَسُولَ اللَّهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ قَالَ: «كُلُّكُمْ رَاعٍ فَمَسْئُولٌ عَنْ رَعِيَّتِهِ، فَالأَمِيرُ الَّذِي عَلَى النَّاسِ رَاعٍ وَهُوَ مَسْئُولٌ عَنْهُمْ، وَالرَّجُلُ رَاعٍ عَلَى أَهْلِ بَيْتِهِ وَهُوَ مَسْئُولٌ عَنْهُمْ، وَالمَرْأَةُ رَاعِيَةٌ عَلَى بَيْتِ بَعْلِهَا وَوَلَدِهِ وَهِيَ مَسْئُولَةٌ عَنْهُمْ، وَالعَبْدُ رَاعٍ عَلَى مَالِ سَيِّدِهِ وَهُوَ مَسْئُولٌ عَنْهُ، أَلاَ فَكُلُّكُمْ رَاعٍ وَكُلُّكُمْ مَسْئُولٌ عَنْ رَعِيَّتِهِ». [صحيح] - [متفق عليه]

(45) – გადმოცემულია აბდულლაჰ იბნ უმარისგან (ალლაჰი იყოს მათი ორივეთი კმაყოფილი), რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ყველა თქვენგანი მწყემსია და ყველა პასუხს აგებს თავისი სამწყემსოს წინაშე. მმართველი, რომელიც ხალხზეა დაყენებული მწყემსია და პასუხს აგებს მათზე. კაცი არის მწყემსი თავისი ოჯახის მიმართ და პასუხს აგებს მათზე. ქალი არის მწყემსი თავისი მეუღლის სახლისა და შვილების მიმართ და პასუხს აგებს მათზე. მონა არის მწყემსი თავისი ბატონის ქონების მიმართ და პასუხს აგებს მასზე. მოკლედ, ყველა თქვენგანი მწყემსია და ყველა პასუხს აგებს თავის სამწყემსოზე». [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვაუწყებს, რომ თითოეულ მუსლიმს საზოგადოებაში აქვს პასუხისმგებლობა, რომლის მოვლა და ტვირთვა მას ევალება. იმამი და ამირი (მმართველი) მწყემსია იმაზე, რაც ალლაჰმა მას მიანდო. მას ევალება: შარიათის დაცვა და შენარჩუნება თავის ხალხში. მათი დაცვა მტრებისგან და ზიანის მომყენებელთაგან. მტრის წინააღმდეგ ბრძოლა მათი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. მათი უფლებების დაცვით მათი უგულებელყოფის გარეშე. კაცი თავის ოჯახში პასუხისმგებელია:

უზრუნველყოს თავისი ოჯახის რჩენა, კარგად მოეპყრას მათ, ასწავლოს და აღზარდოს ისინი. ქალი თავის მეუღლის სახლში მწყემსია, და მას ევალება:

სახლის კეთილგანწყობილი მართვა — სახლის საქმეების მოწესრიგება და მართვა. შვილების აღზრდა. ეს მისი პასუხისმგებლობაა, რაზეც პასუხს აგებს. მონა მსახური ან დაქირავებული პასუხისმგებელია თავისი ბატონის ქონებაზე, რაც მის ხელშია. მას ევალება: ქონების დაცვა და შენარჩუნება, მოვალეობების შესრულება — ბატონის მსახურება და მისთვის დაკისრებული საქმეების კეთება. ამ ყველაფერზე ის პასუხს აგებს. ასე რომ, თითოეული ადამიანი მწყემსია იმაზე, რაც მას მიანდეს, და ყველა პასუხისმგებელია თავისი სამწყსოს წინაშე.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. მუსლიმთა საზოგადოებაში პასუხისმგებლობა საერთოა, და თითოეული ადამიანი თავისი მდგომარეობის, შესაძლებლობებისა და დაკისრებული მოვალეობის შესაბამისად აგებს პასუხს.
2. ქალისთვის პასუხისმგებლობა დიდია, რადგან მას ევალება: მეუღლის სახლის უფლებების შესრულება, შვილების მიმართ ვალდებულებების შესრულება.

(5819)

(46) – عن عائشةَ رضي الله عنها قالتْ: سمعتُ من رسولِ اللهِ صلى الله عليه وسلم يقول في بيتي هذا: «اللَّهُمَّ مَنْ وَلِيَ مِنْ أَمْرِ أُمَّتِي شَيْئًا فَشَقَّ عَلَيْهِمْ فَاشْقُقْ عَلَيْهِ، وَمَنْ وَلِيَ مِنْ أَمْرِ أُمَّتِي شَيْئًا فَرَفَقَ بِهِمْ فَارْفُقْ بِهِ». [صحيح] - [رواه مسلم]

(46) – გადმოცემულია აიშასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მან თქვა: გავიგონე, რომ შუამავალი (ალლაჰმა დალოცოს და მიესალმოს მას) ამბობდა ჩემს ამ სახლში: «ო, ალლაჰ, იყავი მკაცრი იმასთან, ვინც მიიღებს რაიმე ძალაუფლებას ჩემი თემის (უმმის) წევრებზე და იქნება მკაცრი მათ მიმართ, და იყავი კეთილი იმასთან, ვინც მიიღებს რაიმე ძალაუფლებას ჩემი თემის წევრებზე და გამოიჩენს სიკეთეს მათ მიმართ!» [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა მუსლიმმა]

განმარტება:

მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ვედრება აღავლინა იმის წინააღმდეგ, ვინც პასუხისმგებელია მუსლიმების საქმეებზე, იქნება მისი თანამდებობა მცირე თუ დიდი, იქნება იგი საერთო საქმეების ხელმძღვანელი (როგორც მმართველი) თუ კონკრეტული სფეროს მართვაში ჩართული, და ამავდროულად ამძიმებს მათ მდგომარეობას, მათ მიმართ სიმკაცრეს და შეუწყნარებლობას ავლენს. მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა,

რომ ყოვლისშემძლე ალლაჰი მიაგებს მას სამაგიეროს მისი ქმედებების შესაბამისად.

ვინც გამოიჩენს მუსლიმების მიმართ შეწყალებას და გაუმარტივებს მათ საქმეებს, ალლაჰი მასაც შეიწყალებს და გაუმარტივებს მის საქმეებს.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ვისაც დაეკისრა რაიმის მართვა მუსლიმების საქმეებზე, ვალდებულია, თავისი შესაძლებლობების ფარგლებში გამოიჩინოს მათ მიმართ შეწყალება და გულისხმიერება.
2. საზღაური საქმეების შესაფერისია.
3. შემწყნარებლობისა და სიმკაცრის საზომი არის ის, რაც არ ეწინააღმდეგება ყურანსა და სუნნას.

(5330)

(47) – عن تميمٍ الدَّارِي رضي الله عنه أَنَّ النَّبِيَّ صلى الله عليه وسلم قال: «الدِّينُ النَّصِيحَةُ» قُلْنَا: لِمَنْ؟ قَالَ: «لِلَّهِ وَلِكِتَابِهِ وَلِرَسُولِهِ وَلِأَئِمَّةِ الْمُسْلِمِينَ وَعَامَّتِهِمْ». [صحيح - [رواه مسلم]

(47) – გადმოცემულია თამიმ ად-დაარისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «რელიგია არის გულწრფელობა». ჩვენ ვკითხეთ: «ვის მიმართ?» მან თქვა: «ალლაჰის, მისი წიგნის, მისი მოციქულის,

მუსლიმების ხელმძღვანელებისა და ზოგადად ყველა მუსლიმის მიმართ». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა მუსლიმმა]

განმარტება:

შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნო, რომ რელიგია დაფუძნებულია გულწრფელობასა და პატიოსნებაზე, იმისთვის, რომ მისი აღსრულება მოხდეს ისე, როგორც ალლაჰმა ბრძანა, სრულყოფილად, უგულებელყოფის გარეშე და კეთილსინდისიერად.

შუამავალს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ჰკითხეს: "რჩევა-დარიგება ვისთვის"? და მან უპასუხა:

პირველ რიგში: რჩევა-დარიგების გამოხატვა დიდებული ალლაჰის მიმართ. ეს ვლინდება იმაში, რომ საქმეები სრულდება გულწრფელად მხოლოდ მისი გულისთვის, არ მიენიჭება მას თანამზრახველები, გამოვლინდება რწმენა ღვთაებრიობაში, უფლობაში და მისი ღვთაებრივი სახელებისა და თვისებების მიღებაში, ასევე მისი ბრძანებების განდიდებაში და სხვა ადამიანების რწმენისკენ მოწოდებაში.

რჩევა-დარიგება მისი წიგნისთვის და ის არის წმინდა ყურანი: ღრმად გვჯერა, რომ ის არის მისი სიტყვა და მისი ბოლო წიგნი, რომ მან (ყურანმა) გააუქმა მის წინ არსებული ყველა კანონმდებლობა, ვიკითხავთ

მას შესაფერისი კითხვით და ვიმოქმედებთ მისი გადაწყვეტილებით, დავიჯერებთ მის მიმგვანებულ აიათებს (მუთაშაბიჰ), დავიცვათ მას დამახინჯებული განმარტებებისგან, ვისარგებლებთ მისი დარიგებით, გავავრცელებთ მის მეცნიერებებს და მოვუწოდოთ მისკენ.

მესამე: რჩევა დარიგება შუამავალ მუჰამმადს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) შემდეგნაირად: გვჯერა, რომ ის ბოლო შუამავალია და გვჯერა იმის, რითაც მოვიდა ის, შევასრულებთ მის ბრძანებებს და გავერიდებით მის აკრძალულებს და არ ვეთაყვანებით ალლაჰს, გარდა იმისა, რითაც ის მოვიდა, განვადიდებთ მის უფლებას, გავამტკიცებთ მას და გავავრცელებთ მის მოწოდებას, გავავრცელებთ მის შარიათს და ვუარყოფთ მასზე მოგონილ ტყუილებს.

მეოთხე: გულწრფელი რჩევა მუსლიმების მმართველებისადმი, მათზე დახმარება ჭეშმარიტებაში, კამათის მიტოვება მათი ბრძანების მიმართ, მათზე მოსმენა და მორჩილება ალლაჰის მორჩილებაში.

მეხუთე: გულწრფელი რჩევა მუსლიმებისადმი: კეთილად მოქცევა მათ მიმართ და მათი მოხმობა (ისლამის კანონისკენ), თავის შეკავება მათზე ზიანის მიყენებისგან, მათ მიმართ სიკეთის სურვილი და დახმარება სიკეთესა და ღვთისმოშიშობაში.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ბრძანება იმაზე, რომ ყველასთან მიმართებაში გამოვიჩინოთ გულწრფელობა.
2. რჩევა-დარიგებას დიდი ადგილი უჭირავს რელიგიაში.
3. რელიგია მოიცავს რწმენას, სიტყვას და ქმედებას.
4. რჩევის ნაწილი არის გულწრფელად გაწმენდა არაკეთილსინდისიერებისგან რჩევის მიმღების მიმართ და მისთვის სიკეთის სურვილი.
5. ალლაჰის შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) შესანიშნავი სწავლების მეთოდი მდგომარეობს იმაში, რომ ის საკითხს ზოგადად ახსენებდა, შემდეგ კი დეტალურად განმარტავდა.
6. ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხებით დაწყება, როგორც ეს მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გააკეთა: მან ჯერ ალლაჰის მიმართ გულწრფელობით დაიწყო, შემდეგ მისი წიგნის, შემდეგ მისი შუამავლის, შემდეგ მუსლიმთა მმართველების და ბოლოს საერთო ხალხის მიმართ.

(4309)

(48) – عَنْ عَائِشَةَ رَضِيَ اللهُ عَنْهَا قَالَتْ: تَلَا رَسُولُ اللهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ هَذِهِ الْآيَةَ: {هُوَ الَّذِي أَنْزَلَ عَلَيْكَ الْكِتَابَ مِنْهُ آيَاتٌ مُحْكَمَاتٌ هُنَّ أُمُّ الْكِتَابِ وَأُخَرُ

مُتَشَابِهَاتٌ فَأَمَّا الَّذِينَ فِي قُلُوبِهِمْ زَيْغٌ فَيَتَّبِعُونَ مَا تَشَابَهَ مِنْهُ ابْتِغَاءَ الْفِتْنَةِ وَابْتِغَاءَ تَأْوِيلِهِ، وَمَا يَعْلَمُ تَأْوِيلَهُ إِلَّا اللَّهُ، وَالرَّاسِخُونَ فِي الْعِلْمِ يَقُولُونَ آمَنَّا بِهِ كُلٌّ مِنْ عِنْدِ رَبِّنَا وَمَا يَذَّكَّرُ إِلَّا أُولُو الْأَلْبَابِ} [آل عمران: 7]. قَالَتْ: قَالَ رَسُولُ اللهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ: «فَإِذَا رَأَيْتِ الَّذِينَ يَتَّبِعُونَ مَا تَشَابَهَ مِنْهُ فَأُولَئِكَ الَّذِينَ سَمَّى اللهُ، فَاحْذَرُوهُمْ». [صحيح - [متفق عليه]

(48) – გადმოცემულია აიშასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მან თქვა: წაიკითხა ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ეს აიათი: {იგია ის, რომელმაც გარდმოგივლინა შენ წიგნი. მასშია ცხადი აიათები, რომელნიც წიგნის დედააზრს ქმნიან, და სხვები მიმგვანებული. ისინი კი, ვის გულებშიც ეჭვია, მიჰყვებიან იმას, რაც მიმგვანებულის, ცდილობენ გამოიწვიონ არეულობა და განმარტონ აიათები, არავინ იცის მისი (მიმგვანებული - მუთაშაბიჰი აიათების) ახსნა, ალლაჰის გარდა. მტკიცე ცოდნის მქონენი ამბობენ: ჩვენ ვირწმუნეთ ის, ყველაფერი ჩვენი ღმერთისგანაა! შეგონებას მხოლოდ გონიერნი მისდევენ}. [აალ იმრაან: 7] მან თქვა: ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «როცა დაინახავთ ადამიანებს, რომლებიც ყურანში გაურკვეველ საკითხებს მიჰყვებიან, იცოდეთ, რომ ეს ის ხალხია, რომელთა შესახებ ალლაჰმა ისაუბრა. ერიდეთ მათ!» [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) წაიკითხა შემდეგი აიათი: {იგია ის, რომელმაც გარდმოგივლინა შენ წიგნი. მასშია ცხადი აიათები, რომელნიც წიგნის დედააზრს ქმნიან, და სხვები მიმგვანებული. ისინი კი, ვის გულებშიც ეჭვია, მიჰყვებიან იმას, რაც მიმგვანებულია. ცდილობენ გამოიწვიონ არეულობა და განმარტონ აიათები, არავინ იცის მისი (მიმგვანებული - მუთეშაბიჰი აიათების) ახსნა, ალლაჰის გარდა. მტკიცე ცოდნის მქონენი ამბობენ: ჩვენ ვირწმუნეთ ის, ყველაფერი ჩვენი ღმერთისგანაა! შეგონებას მხოლოდ გონიერნი მისდევენ}, რაშიც გვამცნო დიდებულმა ალლაჰმა, რომ ისაა ყურანი, რომელიც გარდმოუვლინა მის მოციქულს, რომელთაგანაცაა ნათელი აიათები, რომელიც ნათლად განსაზღვრავს წესებს და არ ტოვებს გაურკვევლობას. ისინი წიგნის საფუძველია და უთანხმოების დროს უნდა მივმართოთ მათ. ასევე, არსებობს სხვა აიათები, რომლებიც მრავალმნიშვნელოვანია და შეიძლება ერთზე მეტი მნიშვნელობა ჰქონდეს. მათი გაგება ზოგიერთი ადამიანისთვის რთულია, ან შეიძლება ჩათვალონ, რომ ისინი სხვა აიათებთან წინააღმდეგობაში მოდის.

ეხებიან ადამიანები ამ აიათებს: ისინი, ვის გულშიც

გადახრა და სიმრუდეა, უგულებელყოფენ ნათელ აიათებს და მიჰყვებიან მრავალმნიშვნელოვან აიათებს, რაც მათ საშუალებას აძლევს დაბნეულობა გამოიწვიონ და ხალხი შეცდომაში შეიყვანონ. ისინი ცდილობენ აიათების იმგვარ განმარტებას, რაც მათ სურვილებს შეესაბამება. მაგრამ ისინი, ვინც მყარად არიან ცოდნაში, მრავალმნიშვნელოვანი აიათების ჭეშმარიტი მნიშვნელობა და მათ მტკიცე აიათებთან აკავშირებენ. მათ სწამთ, რომ ეს ყველაფერი ალლაჰისგან არის და არ შეიძლება არსებობდეს რაიმე წინააღმდეგობა.

მხოლოდ გონიერ ადამიანებს შეუძლიათ დაფიქრება და სწორი დასკვნის გამოტანა. შემდეგ ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უთხრა მორწმუნეების დედას აიშას (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ თუ დაინახავს მათ, ვინც მრავალმნიშვნელოვან აიათებს მისდევს, ისინი იქნებიან ის ადამიანები, ვისზეც ალლაჰმა თქვა თავის სიტყვებში: {ხოლო რომელთა გულებშიცაა გადახრა}. მაშ, ერიდეთ მათ და არ მოუსმინოთ.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ყურანის ცხადი აიათები — ესენია ის, რომლებიც მკაფიო მნიშვნელობასა და გარე აზრს შეიცავს. მეტაფორული აიათები — ესენია ის, რომელთაც აქვთ რამდენიმე მნიშვნელობა და საჭიროებენ

შესწავლას და გაგებას.

2. გაფრთხილება, რომ ერიდონ ურთიერთობას გზასაცდენილ ადამიანებთან, სიახლის შემომტანებთან და მათთან, ვინც პრობლემურ საკითხებს ეხება, რათა ხალხი შეცდომაში შეიყვანოს და მათში ეჭვები დათესოს.
3. აიათის დასასრულს არის უზენაესი ალლაჰის სიტყვები: {შეგონებას მხოლოდ გონიერნი მისდევენ}, ეს აიათი შეიცავს გზასაცდენილების გაკიცხვას და მტკიცე ცოდნის მქონეთა ქებას. ანუ ის, ვინც არ იღებს ჭკუას, არ ითვალისწინებს შეგონებას და მისდევს საკუთარ ვნებას, არ არის გონიერების მფლობელი.
4. მიყოლა მიმგვანებულ აიათებზე ჭეშმარიტებიდან გულის გადახრის მიზეზია.
5. სავალდებულოა მრავალმნიშვნელოვანი აიათების, რომელთა მნიშვნელობა შეიძლება სრულად არ იყოს გასაგები, ცხად აიათებთან დაკავშირება.
6. ჰქმნა ალლაჰმა ზოგიერთი აიათი ცხადი, ზოგიც კი მიმგვანებული (არა ცხადი), რათა გამოსცადოს ხალხი და გამოარჩიოს მორწმუნეები გზააბნეულებისგან.
7. ყურანში მრავალმნიშვნელოვანი აიათების არსებობით ალლაჰი გამოხატავს სწავლულების

უპირატესობას ადამიანებზე და აჩვენებს, რომ ადამიანური გონება შეზღუდულია. ეს გონებას აიძულებს, რომ მორჩილებით ირწმუნოს თავისი შემოქმედი და აღიაროს თავისი უძლურება ღმერთის სიბრძნის წინაშე.

8. სიმტკიცის ღირსება ცოდნაში და სიმტკიცის აუცილებლობა მასში.
9. ყურანის განმმარტებლებს შორის არსებობს ორი აზრი იმის თაობაზე, თუ რა არის სიტყვების მნიშვნელობა და სად უნდა გაკეთდეს პაუზა სიტყვა ალლაჰზე უზენაესის სიტყვებში: {ამისი განმარტება არავინ იცის, გარდა ალლაჰისა და მყარი ცოდნის მქონეებმა}. იმათ აზრით, ვინც აკეთებს პაუზას სიტყვა ალლაჰ-ზე სიტყვა "განმარტება" აღნიშნავს ჭეშმარიტების ცოდნას, მის არსსა და იმას, რაც ადამიანის გონებით მიუწვდომელია, მაგალითად, სული და სამსჯავროს დღე, რომლის ცოდნა მხოლოდ ალლაჰს აქვს. მყარ ცოდნაში მყოფთ კი სწამთ ამის და მათ ნამდვილ არსს ანდობენ ალლაჰს; მათ მტკიცედ სწამთ, დარწმუნებულნი არიან და შეცდომაში არ ვარდებიან. იმათ აზრით, ვინც არ აკეთებს პაუზას სიტყვა ალლაჰ-ზე, სიტყვა "განმარტება" აღნიშნავს ინტერპრეტაციას, სიცხადეს და ახსნას. შესაბამისად, ამის ცოდნა

ეკუთვნის როგორც ალლაჰს, ასევე მყარ ცოდნაში მყოფთ. იმათ სწამთ ამის და ახსნა უბრუნდება ცხად აიათებს.

(65062)

(49) – عن أبي سعيد الخُدْرِيِّ رضي الله عنه قال: سمعتُ رسولَ الله صلى الله عليه وسلم يقول: «مَنْ رَأَى مِنْكُمْ مُنْكَرًا فَلْيُغَيِّرْهُ بِيَدِهِ، فَإِنْ لَمْ يَسْتَطِعْ فَبِلِسَانِهِ، فَإِنْ لَمْ يَسْتَطِعْ فَبِقَلْبِهِ، وَذَلِكَ أَضْعَفُ الْإِيمَانِ». [صحيح] - [رواه مسلم]

(49) – გადმოცემულია აბუ საიდ ალ-ხუდრისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მან თქვა: გავიგონე, თუ როგორ ამბობდა ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას): «თქვენგან ვინც დაინახავს მოუწონარ (ისლამში მიუღებელ) ქმედებას, გამოასწოროს თავისი ხელით, და თუ ვერ შეძლებს ამას, გამოასწოროს თავისი ენით და თუ ამითაც ვერ შეძლებს, მაშინ თავისი გულით (ანუ შეიძულოს ის საქმე) და ის იქნება რწმენის ყველაზე სუსტი გამომჟღავნება». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა მუსლიმმა]

განმარტება:

მოციქული მუჰამმადი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვიბრძანებს, რომ გამოვასწოროთ ყოველივე მოუწონარი, რაც ალლაჰმა და მისმა მოციქულმა მუჰამმადმა (ალლაჰის ლოცვა და

მშვიდობა მას) აკრძალეს, ჩვენი შესაძლებლობის შესაბამისად. თუ ვინმე ხედავს ცოდვას, მას ევალდებულება, რომ გამოასწოროს იგი ხელით, თუ ამის შესაძლებლობა აქვს. თუ მას ამის შესაძლებლობა არ აქვს, მაშინ მან უნდა შეცვალოს ის სიტყვით, გააფრთხილოს ის, ვინც ამას აკეთებს, აუხსნას ჩამდენს მისი ზიანი და მიუთითოს სიკეთისაკენ ნაცვლად ამ სიავისა, თუ ადამიანი ამ დონის მიღწევას ვერ შეძლებს, მაშინ უარყოს იგი გულით, რომ სძულდეს ეს სამარცხვინო საქმე და მტკიცედ გადაწყვიტოს, რომ თუ მისი შეცვლის ძალა ექნებოდა, ამას გააკეთებდა. გულით შეცვლა კი არის ერთ-ერთი ყველაზე სუსტი რწმენის ხარისხი დასაგმობი ქმედების შეცვლაში.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ეს ჰადისი საფუძველია იმის, რომელიც განმარტავს გასაკიცხი საქმის შეცვლის დონეებს.
2. ბოროტების აღკვეთისას თანდათანობითობის პრინციპი საჭიროა, თითოეულმა ადამიანმა თავისი შესაძლებლობებისა და უნარების შესაბამისად უნდა იმოქმედოს.
3. ბოროტების აღკვეთა უდიდესი საქმეა ჩვენს რწმენაში და არავის არ ეხსნება ეს ვალდებულება. ამით დავალებულია თითოეული მუსლიმი, მისი შესაძლებლობებისა და ძალების მიხედვით.

4. მოწოდება მოსაწონი ქმედებისკენ და დასაგმობი ქმედებების აკრძალვა არის რწმენის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი, ხოლო რწმენა თავის მხრივ იზრდება და იკლებს.
5. დასაგმობი ქმედების აკრძალვა დამოკიდებულია ცოდნაზე, რომ ეს ქმედება არის დასაგმობი.
6. დასაგმობის გამოსწორება იმ პირობით ხდება, რომ ამ საქმის გამოსწორებას უფრო დიდი ზიანი არ მოჰყვება ვიდრე არსებულისა.
7. დასაგმობის აღკვეთას თავისი ეთიკა და პირობები აქვს, რომლებიც საჭიროა თითოეულმა მუსლიმმა შეისწავლოს.
8. დასაგმობის უარყოფა საჭიროებს შარიათის პოლიტიკას, ცოდნას და გამჭრიახობას.
9. დასაგმობი საქმის გულით არ უარყოფა მიუთითებს რწმენის სისუსტეზე.

(65001)

(50) – عَنِ النُّعْمَانِ بْنِ بَشِيرٍ رَضِيَ اللَّهُ عَنْهُمَا عَنِ النَّبِيِّ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ قَالَ: «مَثَلُ القَائِمِ عَلَى حُدُودِ اللَّهِ وَالوَاقِعِ فِيهَا، كَمَثَلِ قَوْمٍ اسْتَهَمُوا عَلَى سَفِينَةٍ، فَأَصَابَ بَعْضُهُمْ أَعْلاَهَا وَبَعْضُهُمْ أَسْفَلَهَا، فَكَانَ الَّذِينَ فِي أَسْفَلِهَا إِذَا اسْتَقَوْا مِنَ المَاءِ مَرُّوا عَلَى مَنْ فَوْقَهُمْ، فَقَالُوا: لَوْ أَنَّا خَرَقْنَا فِي نَصِيبِنَا خَرْقًا وَلَمْ نُؤْذِ مَنْ فَوْقَنَا، فَإِنْ يَتْرُكُوهُمْ وَمَا أَرَادُوا هَلَكُوا جَمِيعًا، وَإِنْ أَخَذُوا عَلَى أَيْدِيهِمْ نَجَوْا، وَنَجَوْا جَمِيعًا». [صحيح] - [رواه البخاري]

(50) – გადმოცემულია ნუ'მან იბნ ბაშირისგან (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი), რომ ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ისინი, ვინც იცავენ ალლაჰის მიერ დაწესებულ საზღვრებს, და ისინი, ვინც არღვევენ ამ საზღვრებს, შეიძლება შევადაროთ ადამიანებს, რომლებმაც ისროლეს წილის კენჭები, რათა დაეკავებინათ ადგილები გემზე: ერთი ნაწილი აღმოჩნდა გემის ზემოთ, მეორე კი ქვემოთ. როცა ქვემოთ მყოფებს წყლის ამოღება სურდათ, უნდა გაევლოთ ზემოთ მყოფთა გავლით, ამიტომ ბოლოს თქვეს: 'რატომ არ გავაკეთოთ ხვრელი გემის ძირში, რომ წყალი იქიდან ავიღოთ და ზემოთ მყოფები არ შევაწუხოთ?' თუ [ზემოთ მყოფნი] მათ თავიანთ ნებაზე მიუშვებენ და მისცემენ ნებას გააკეთონ ის, რაც სურთ, ყველა დაიღუპება. მაგრამ თუ შეაჩერებენ მათ და ხელს შეუშლიან, ისინი გადაარჩენენ თავიანთ თავსაც და სხვებსაც». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა ალ-ბუხარიმ]

განმარტება:

ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მაგალითად მოიტანა ალლაჰის საზღვრების დამცავი და მისი ბრძანებების შემსრულებელი საზოგადოება, რომლებიც მოუწოდებენ სიკეთეს და კრძალავენ მოუწონარს. ასევე, მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მოიყვანა მაგალითი

მათ შესახებ, ვინც არღვევს ალლაჰის მიერ დაწესებულ საზღვრებს, ტოვებს კეთილ საქმეებს და ჩადის ბოროტებას, და როგორ აისახება ეს საზოგადოების გადარჩენაზე. ეს მაგალითი მსგავსია ადამიანთა ჯგუფისა, რომლებიც მიცურავენ გემით და წილისყრით გაანაწილეს ადგილები: ვინ იქნება ზემოთ და ვინ ქვემოთ. ისინი, ვინც აღმოჩნდნენ გემის ქვემოთ, როცა წყლის აღება სჭირდებოდათ, გადიოდნენ ზემოთ მყოფების გავლით. ქვედა გემბანზე მყოფებმა თქვეს: "თუ ჩვენ გავაკეთებთ ხვრელს გემის ძირში, რომ წყალი ავიღოთ, ზემოთ მყოფებს არ შევაწუხებთ". თუმცა, თუ ზემოთ მყოფები მისცემდნენ მათ ამის ნებას, გემი ჩაიძირებოდა ყველასთან ერთად. ხოლო თუ ისინი ხელს შეუშლიდნენ მათ ამის გაკეთებაში, ყველა გადარჩებოდა.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. მნიშვნელოვანია სიკეთის მოწოდება და ბოროტების აკრძალვა საზოგადოების დასაცავად და წარმატებისთვის.
2. მაგალითების მოყვანა სწავლების ერთ-ერთი მეთოდია, რათა გონებისთვის უფრო კარგად იყოს გასაგები არსებული მდგომარეობები.
3. აშკარად მოუწონარი ქმედების ჩადენა და მისი არ დაგმობა გამოიწვევს უბედურებას, რომლის ზარალიც ყველას ერთად შეეხება.

4. საზოგადოების დაღუპვა დაკავშირებულია იმასთან, რომ ცოდვილებს აძლევენ ნებას გაავრცელონ ბოროტება მიწაზე, მათი შეჩერების გარეშე.
5. არასწორი ქმედება და კარგი განზრახვა არ არის საკმარისი კარგი საქმისთვის.
6. მუსლიმ საზოგადოებაში პასუხისმგებლობა საერთოა, ის ერთ კონკრეტულ პიროვნებაზე არ არის მხოლოდ.
7. კონკრეტული ჯგუფის ცოდვებით მთლიანი საზოგადოება დაისჯება, თუ მათ არ გაკიცხავენ.
8. მოუწონარი ქმედებების ჩამდენი საზოგადოება მათ მოუწონარ ქმედებებს კარგი ფორმით წარმოუჩენენ საზოგადოებას, როგორც ორპირები.

(3341)

(51) – عَنْ أَبِي هُرَيْرَةَ رضي الله عنه أَنَّ رَسُولَ اللهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ قَالَ: «مَنْ دَعَا إِلَى هُدًى كَانَ لَهُ مِنَ الْأَجْرِ مِثْلُ أُجُورِ مَنْ تَبِعَهُ، لَا يَنْقُصُ ذَلِكَ مِنْ أُجُورِهِمْ شَيْئًا، وَمَنْ دَعَا إِلَى ضَلَالَةٍ كَانَ عَلَيْهِ مِنَ الْإِثْمِ مِثْلُ آثَامِ مَنْ تَبِعَهُ، لَا يَنْقُصُ ذَلِكَ مِنْ آثَامِهِمْ شَيْئًا». [صحيح] - [رواه مسلم]

(51) – აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ვინც სიკეთისკენ

მოუწოდებს, მას ექნება მსგავსი მადლი, როგორიც ამ სიკეთის გამკეთებელს, ამით მათ გაკეთებულ მადლს არაფერი მოაკლდება, ვინც ცოდვისკენ მოუწოდებს, მას ექნება მსგავსი ცოდვა, როგორიც ამ ცოდვის გამკეთებელს, ამით მათ გაკეთებულ ცოდვას არაფერი მოაკლდება». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა მუსლიმმა]

განმარტება:

შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტა, რომ ის, ვინც ასწავლის, მიუთითებს ან მოუწოდებს ადამიანებს ჭეშმარიტებისა და სიკეთისკენ სიტყვით ან საქმით, მიიღებს ისეთივე ჯილდოს, როგორიც მას, ვინც მის გზას გაჰყვება. ამავდროულად, მიმდევრის ჯილდო არაფრით არ შემცირდება. ხოლო ვინც აჩვენა და მიუთითა ხალხს ცუდი გზისკენ, რომელზეც არის ცოდვა, შეცდომა ან რაიმე აკრძალული საქმე, სიტყვით თუ ქმედებით, ის მიიღებს მსგავს ცოდვას და ტვირთს, რასაც ამ ცოდვის ჩამდენი მიიღებს ისე, რომ ცოდვის ჩამდენის ცოდვას არაფერი მოაკლდება.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. სიკეთისკენ მოწოდების მადლი, ცოტა იქნება თუ ბევრი. სიკეთისკენ მომწოდებელს გამკეთებლის მსგავსი მადლი ერგება, ეს მიეკუთვნება ალლაჰის

დიდ წყალობას და მისი გულუხვობის სრულყოფილებას.

2. ბოროტებისკენ მოწოდების საფრთხე, ცოტა იქნება თუ ბევრი, რადგან მომწოდებელს ჩამდენის მსგავსი პასუხისმგებლობა აკისრია.
3. სამაგიერო შეესაბამება საქმეს: ვინც სიკეთისკენ მოუწოდებს, მიიღებს ისეთივე ჯილდოს, როგორიც მას, ვინც ამ სიკეთეს შეასრულებს; ხოლო ვინც ბოროტებისკენ მოუწოდებს, მას დაეკისრება ისეთივე ცოდვა, როგორიც მას, ვინც ამ ბოროტებას ჩაიდენს.
4. მუსლიმი უნდა ფრთხილობდეს, რომ მისი აშკარა ცოდვა არ გახდეს მაგალითი სხვებისთვის მისაბაძად, როდესაც ადამიანები ხედავენ მას (ცოდვის ჩადენისას). ის მიიღებს მათ ცოდვებსაც, ვინც მის მაგალითს მიჰყვება, თუნდაც იგი მათ ამისკენ პირდაპირ არ მოუწოდებდეს.

(3373)

(52) – عن أبي مسعود الأنصاري رضي الله عنه قال: جَاءَ رَجُلٌ إِلَى النَّبِيِّ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ فَقَالَ: إِنِّي أُبْدِعَ بِي فَاحْمِلْنِي، فَقَالَ: «مَا عِنْدِي»، فَقَالَ رَجُلٌ: يَا رَسُولَ اللهِ، أَنَا أَدُلُّهُ عَلَى مَنْ يَحْمِلُهُ، فَقَالَ رَسُولُ اللهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ: «مَنْ دَلَّ عَلَى خَيْرٍ فَلَهُ مِثْلُ أَجْرِ فَاعِلِهِ». [صحيح] - [رواه مسلم]

(52) – გადმოცემულია აბუ მას'უუდ ალ ანსაარისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომელმაც თქვა: ერთხელ ერთი კაცი მივიდა მოციქულთან (ალლაჰმა დალოცოს და მიესალმოს მას) და უთხრა: "ჩემი სატრანსპორტო პირუტყვი მოკვდა და, მომეცი (სხვა ცხოველი)". მოციქულმა (ალლაჰმა დალოცოს და მიესალმოს მას) უთხრა: «მე არა მყავს» შემდეგ (ერთმა) კაცმა თქვა: "ო, ალლაჰის მოციქულო, მე მივუთითებ მას იმაზე, ვისაც შეუძლია მისცეს მას (ცხოველი)", და მოციქულმა (ალლაჰმა დალოცოს და მიესალმოს მას) თქვა: «ის, ვინც მიუთითებს კეთილ საქმეზე, მიიღებს იმავე ჯილდოს, როგორსაც ის, ვინც ამას აკეთებს». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა მუსლიმმა]

განმარტება:

მოციქულთან (ალლაჰმა დალოცოს და მიესალმოს მას) მივიდა კაცი და უთხრა: "ჩემი აქლემი მოკვდა, მიმიყვანე რომელიმე ცხოველით და მომეცი სატრანსპორტო ცხოველი, რომელიც წამიყვანს". შუამავალმა ბოდიში მოიხადა და თქვა, რომ, სამწუხაროდ, მისთვის არ ჰყავდა ცხოველი, რომლითაც მას მიიყვანდა. მაშინ ერთმა მამაკაცმა, რომელიც იქ იმყოფებოდა, თქვა: "ო, ალლაჰის მოციქულო, მე მივასწავლი მას, იმას ვინც მას წაიყვანს". შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა, რომ ის, ვინც

მიასწავლის დახმარების მიმცემზე, მიიღებს იმავე ჯილდოს, როგორსაც ის, ვინც რეალურად დახმარებას აღმოუჩენს.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. მოწოდება კეთილ საქმეზე მითითებისკენ.
2. მოწოდება სიკეთის კეთებისკენ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია მუსლიმური საზოგადოების ურთიერთდახმარებისა და ერთიანობის განსამტკიცებლად.
3. უზენაესი ალლაჰის წყალობის სიფართოვე.
4. ეს ჰადისი წარმოადგენს ზოგად წესს, რომელიც მოიცავს ყველა კეთილ საქმეს.
5. თუ ადამიანს არ შეუძლია სხვისი სურვილის შესრულება, მან უნდა მიუთითოს იმაზე, ვისაც ეს შეუძლია.

(5354)

(53) – عن ابنِ عُمَرَ رضي الله عنهما قال: قال رسولُ الله صلَّى الله عليه وسلم: «مَن تَشَبَّهَ بِقَوْمٍ فَهُوَ مِنْهُمْ». [حسن] - [رواه أبو داود وأحمد]

(53) – გადმოცემულია იბნ უმარისგან (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი), რომ მან თქვა: შუამავალმა (ალლაჰმა დალოცოს და მიესალმოს მას) თქვა: «ვინც დაემსგავსა რომელიმე ხალხს - ის მათგანია». [კარგი

(ჰასან)] - [გადმოსცა აბუ დაუდმა და აჰმადმა]

განმარტება:

მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნობს, რომ ვინც ემსგავსება ურწმუნოებს, ცოდვილებს ან მორწმუნეებს, რომლებიც აკეთებენ რაღაცას, რაც მხოლოდ მათ შეხედულებებს, თაყვანისცემას ან ჩვეულებებს უკავშირდება, ხდება ერთ-ერთი მათგანი. გარეგანი მსგავსება იწვევს შინაგან მსგავსებასაც. უდავოა, რომ ხალხის მიბაძვა ხდება მათით აღტაცების შედეგად, რაც შეიძლება გამოიწვიოს მათ მიმართ სიყვარულის, პატივისცემისა და ნდობის გამოხატვას. ამან კი, თავის მხრივ, შეიძლება მიგვიყვანოს იქამდე, რომ ადამიანი შიგნიდანაც და თაყვანისცემაშიც მათ ემსგავსება. ალლაჰს შევეფარებით ამისგან!

ჰადისის სარგებლობიდან:

1. გაფრთხილება ურწმუნოებისა და ცოდვილებზე მიბაძვისგან.

   მოწოდება კარგ ადამიანებზე მიბაძვისა და მათი მაგალითის მიხედვით ცხოვრებისკენ.
2. გარეგანი მიბაძვა შინაგან სიყვარულს წარმოშობს.
3. ადამიანი იღებს ცოდვას და მუქარის წილს იმაზე დამოკიდებულად, რამდენად დიდია მისი

მიმსგავსება და მიმსგავსების სახეობა.

4. აკრძალულია ურწმუნოებზე მიბაძვა მათ რელიგიაში და მხოლოდ მათთვის დამახასიათებელ ჩვეულებებში. თუმცა, რაც ამას არ შეეხება, მაგალითად, ხელობის შესწავლა და სხვა მსგავს საკითხებში აკრძალვა არ არის.

(5353)

(54) – عَنْ أَبِي هُرَيْرَةَ رضي الله عنه عَنْ رَسُولِ اللهِ صلى الله عليه وسلم أنه قال: «وَالَّذِي نَفْسُ مُحَمَّدٍ بِيَدِهِ لَا يَسْمَعُ بِي أَحَدٌ مِنْ هَذِهِ الْأُمَّةِ يَهُودِيٌّ وَلَا نَصْرَانِيٌّ، ثُمَّ يَمُوتُ وَلَمْ يُؤْمِنْ بِالَّذِي أُرْسِلْتُ بِهِ إِلَّا كَانَ مِنْ أَصْحَابِ النَّارِ». [صحيح] - [رواه مسلم]

(54) – გადმოცემულია აბუ ჰურაირასაგან (ალლაჰი იყოს კმაყოფილი მისით), რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ვფიცავ იმას, ვის ხელშიც არის მუჰამმადის სული, ნებისმიერი იუდეველი ან ქრისტიანი, რომელიც გაიგონებს ჩემზე, მაგრამ შემდეგ გარდაიცვლება ისე, რომ არ იწამებს იმას, რისთვისაც მოვლინებული ვარ, ნამდვილად იქნება ცეცხლის მობინადრე». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა მუსლიმმა]

განმარტება:

მოციქული მუჰამმადი (ალლაჰმა დალოცოს და მიესალმოს მას) ალლაჰით იფიცებს, რომ ამ თემიდან

არც ერთი ადამიანი, იქნება ეს ებრაელი, ქრისტიანი თუ ნებისმიერი სხვა, ვინც მოისმინა მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მოწოდება და გარდაიცვალა ისე, რომ არ ირწმუნა იგი, არ იქნება სხვა, თუ არა ცეცხლის მკვიდრი, სადაც ის დარჩება სამუდამოდ.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. მოციქული მუჰამმადის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გზავნილის საყოველთაო ხასიათი მთელი სამყაროსთვის. მისი გზის (შარიათის) მორჩილება სავალდებულოა, და ის აუქმებს მასზე წინ არსებულ ყველა კანონს და ანაცვლებს მისი კანონით (შარიათით).
2. იმას, ვინც შუამავალს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უარყოფს, არავითარ სარგებელს არ მოუტანს იმის მტკიცება, რომ მას სწამს წინა შუამავლების (ალლაჰმა დალოცოს ყველა მათგანი).
3. ვისაც არ სმენია შუამავლის მოწოდებები (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას), და მასთან ისლამური მოწოდება არ მისულა, ის არის საპატიო მდგომარეობაში, და მისი მდგომარეობა იმქვეყნად (განკითხვის დღეს) დამოკიდებულია უზენაეს ალლაჰზე.
4. ისლამის მიღებას სარგებლობა მოაქვს თუნდაც

სიკვდილის წინ, თუნდაც მძიმე ავადმყოფობის მდგომარეობაში, მანამ, სანამ სული ყელში არ მიაღწევს (რომ დატოვოს სხეული).

5. ურწმუნოთა რელიგიის (მათ შორის იუდეველებისა და ქრისტიანების) ჭეშმარიტად მიჩნევა წარმოადგენს ურწმუნოებას.
6. ჰადისში მოხსენიებულნი არიან იუდეველები და ქრისტიანები, რათა ხაზგასმული იყოს, რომ ეს დადგენილება ასევე ვრცელდება ყველა დანარჩენზე. ეს იმით არის განპირობებული, რომ იუდეველებსა და ქრისტიანებს აქვთ საკუთარი ზეციური წერილები, და თუ ეს მათზეც კი ასე ვრცელდება, მაშინ ისინი, ვისაც არ გააჩნიათ ასეთი წერილები, მითუმეტეს ვალდებულნი არიან ამას დაემორჩილონ. ყველა ადამიანი ვალდებულია მიიღოს მოციქული მუჰამმადის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) რელიგია, მისდიოს და დაემორჩილოს მას.

(3272)

(55) – عَنْ ابْنِ عَبَّاسٍ رضي الله عنهما قَالَ: قَالَ رَسُولُ اللَّهِ صَلَّى اللَّهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ غَدَاةَ الْعَقَبَةِ وَهُوَ عَلَى نَاقَتِهِ: «الْقُطْ لِي حَصًى» فَلَقَطْتُ لَهُ سَبْعَ حَصَيَاتٍ، هُنَّ حَصَى الْخَذْفِ، فَجَعَلَ يَنْفُضُهُنَّ فِي كَفِّهِ وَيَقُولُ: «أَمْثَالَ هَؤُلَاءِ فَارْمُوا» ثُمَّ قَالَ: «أَيُّهَا النَّاسُ،

إِيَّاكُمْ وَالْغُلُوَّ فِي الدِّينِ، فَإِنَّما أَهْلَكَ مَنْ كَانَ قَبْلَكُمْ الْغُلُوُّ فِي الدِّينِ». [صحيح] - [رواه ابن ماجه والنسائي وأحمد]

(55) – გადმოცემულია იბნ აბბასისგან (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი), რომ მან თქვა: «ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) დილით, როცა ის ქვების სროლის დღისთვის მთავარ სვეტთან იმყოფებოდა და თავის აქლემზე იჯდა, თქვა: «შემიგროვე ქვები». მე შევუგროვე მას შვიდი ქვა, რომლებიც სროლისთვის შესაფერისი იყო. მან ისინი ხელში აამოძრავა (რათა მტვერი მოეცილა) და თქვა: «ისროლეთ ასეთი ქვები». შემდეგ თქვა: «ო, ხალხო, ფრთხილად იყავით რელიგიაში გადაჭარბებისგან, რადგან ნამდვილად, თქვენამდე მცხოვრებნი რელიგიაში გადაჭარბებამ დაღუპა!» [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა იბნ მაჯამ, ან-ნასაიმ და აჰმადმა]

განმარტება:

იბნ აბბასი (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი) ჰყვება, რომ ის ალლაჰის მოციქულთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ერთად იყო მსხვერპლშეწირვის დღეს, დილას, როცა მოვიდა ქვების სროლის დრო მთავარ ბოძზე (ჯამრათულ 'აყაბა), გამოსამშვიდობებელი ჰაჯობის დროს, და მან უბრძანა, რომ მისთვის შეეგროვებინა ქვები მომავალი

სროლისთვის. მან მოციქულისთვის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) შეაგროვა შვიდი კენჭი, ბარდის მარცვლის ან თხილის ზომის, და მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ისინი თავის ხელისგულზე მოათავსა, შემდეგ კი დაიწყო მათი ამოძრავება ხელში და თქვა: ასეთი ზომის ქვები გამოიყენეთ სროლისას, ამის შემდეგ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გააფრთხილა გადაჭარბების, ზედმეტი სიმკაცრისა და ექსტრემიზმისკენ მიდრეკილებისგან რელიგიურ საქმეებში, რადგან წარსულში მცხოვრები ხალხები სწორედ უკიდურესობამ, გადაჭარბებულობამ და რელიგიაში ზედმეტმა სიმკაცრემ დაღუპა.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. აკრძალულია გადაჭარბება რელიგიაში, რადგან მისი შედეგები საზიანოა. ეს არის განადგურების ერთ-ერთი მიზეზი.
2. ჩვენამდე არსებული ხალხების მაგალითის გათვალისწინება, რათა თავიდან ავიცილოთ მათი შეცდომები.
3. სუნნაზე მიბაძვის წახალისება.

(3395)

(56) – عن عبد الله بن مسعود قال: قال رسول الله صلى الله عليه وسلم: «هَلَكَ الْمُتَنَطِّعُون» قالها ثلاثًا. [صحيح] - [رواه مسلم]

(56) – აბდულლაჰ იბნ მას'უდისგან გადმოცემულია, რომ მან თქვა: თქვა ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას): «დაიღუპებიან გადამეტებულნი», და სამჯერ გაიმეორა ეს. [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა მუსლიმმა]

განმარტება:

ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნობს იმათ წარუმატებლობაზე და წაგებაზე, ვინც რელიგიაში და ამქვეყნიურ ცხოვრებაში უკიდურესი სიმკაცრით და უცოდინრობით მოქმედებს. ისინი თავიანთ სიტყვებსა და ქმედებებში გადადიან იმ შარიათის საზღვრებს, რითაც მოვიდა ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას).

ჰადისის სარგებლობიდან:

1. გადაჭარბებისა და უკიდურესი სიმკაცრის ყველა ქმედებაში გამოვლენის აკრძალვა, და მოწოდება ამისგან თავის არიდებისკენ ყველაფერში, განსაკუთრებით თაყვანისცემასა და მართალთა განდიდებაში.
2. სრულყოფილების მიღწევის სურვილი

თაყვანისცემაში და სხვა საქმეებში - შესაქები საქმეა. და ეს ხდება შარიათის წესებზე მიყოლით.

3. სასურველია მნიშვნელოვან საკითხებზე ხაზგასმა, რადგან ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ეს ფრაზა სამჯერ გაიმეორა.
4. ისლამის შემწყნარებლობა და მისი სიმარტივე.

(3420)

(57) – عَنْ عَدِيِّ بْنِ حَاتِمٍ عَنِ النَّبِيِّ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ قَالَ: «الْيَهُودُ مَغْضُوبٌ عَلَيْهِمْ، وَالنَّصَارَى ضُلَّالٌ». [صحيح] - [رواه الترمذي]

(57) – გადმოცემულია ა'დი იბნ ჰაათიმისგან, რომ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «იუდეველები — ისინი არიან, ვისზეც ალლაჰის რისხვა მოვიდა, ხოლო ქრისტიანები — გზიდან აცდენილნი არიან». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა ათ-თირმიზიმ]

განმარტება:

შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამცნო, რომ იუდეველები არიან ის ხალხი, რომლებსაც დაატყდათ ალლაჰის რისხვა; რადგან მიხვდნენ სიმართლეს და მისით არ იმოქმედეს. ქრისტიანები არიან გზასამცდარი ხალხი; რადგან მათ იმოქმედეს ცოდნის გარეშე.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ცოდნისა და საქმეების გაერთიანება წარმოადგენს ხსნას იმათი გზიდან, ვისზეც ალლაჰის რისხვა დაატყდა და გზიდან აცდენილთაგან.
2. გაფრთხილება იუდეველებისა და ქრისტიანების გზისგან და აუცილებლობა იმ სწორი გზის დაცვისა, რომელიც არის ისლამი.
3. იუდეველებიც და ქრისტიანებიც ყველა გზასამცდარი და რისხვადამტყდარი ხალხია, მაგრამ კონკრეტულად თუ გამოვყოფთ იუდეველებს რისხვა და ქრისტიანებს გზასაცდენილობა შეეფერებათ.

(65061)

(58) – عَنْ عَبْدِ اللهِ بْنِ عَمْرِو بْنِ الْعَاصِ رضي الله عنهما قَالَ: سَمِعْتُ رَسُولَ اللهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ يَقُولُ: «كَتَبَ اللهُ مَقَادِيرَ الْخَلَائِقِ قَبْلَ أَنْ يَخْلُقَ السَّمَاوَاتِ وَالْأَرْضَ بِخَمْسِينَ أَلْفَ سَنَةٍ، قَالَ: وَعَرْشُهُ عَلَى الْمَاءِ». [صحيح] - [رواه مسلم]

(58) – გადმოცემულია აბდულლაჰ იბნ ამრ იბნ ალ'აასისგან (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი), რომელმაც თქვა: გავიგონე ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ღმერთმა დაწერა ქმნილებათა ბედი, სანამ ცებს და დედამიწას შექმნიდა, ორმოცდაათი ათასი წლით ადრე და თქვა:

"რომ მისი ტახტრევანი იყო წყალზე"». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა მუსლიმმა]

განმარტება:

ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნობს, რომ ღმერთმა დაწერა, რაც მოხდება ქმნილებების ბედში დეტალურად, სიცოცხლე, სიკვდილი, საკვები და სხვები, დაცულ დაფაზე, სანამ ცას და დედამიწას შექმნიდა 50 000 წლით ადრე. ეს ხდება ისე, როგორც დიდებულმა და ძლევამოსილმა ალლაჰმა გადაწყვიტა. ყველა არსება არსებობს ღმერთის გადაწყვეტილებით და მისი ბედისწერით. რაც შეემთხვა ადამიანს, არ შეეძლო რომ აერიდებინა და რაც აცდა ის არ შეემთხვეოდა მას.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. აუცილებელია ბედისწერისა და წინასწარგანსაზღვრის რწმენა.
2. ბედისწერა (ალ-ყადრ): ალლაჰის ცოდნა ყველაფრის შესახებ, მისი დაწერილის, სურვილის და ამ ყოველივეს შექმნა მის მიერ.
3. რწმენა იმისა, რომ ბედისწერა დაწერილია ცისა და მიწის შექმნამდე, იწვევს სიმშვიდესა და ალლაჰის ნებაზე დამორჩილებას.

4. მოწყალის ტახტი წყლის ზემოთ იყო ცებისა და მიწის შექმნამდე.

(65038)

(59) – عَنْ عَبْدِ اللَّهِ بْنِ مَسْعُودٍ رَضِيَ اللَّهُ عَنْهُ: حَدَّثَنَا رَسُولُ اللَّهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ وَهُوَ الصَّادِقُ المَصْدُوقُ: «أَنَّ خَلْقَ أَحَدِكُمْ يُجْمَعُ فِي بَطْنِ أُمِّهِ أَرْبَعِينَ يَوْمًا وَأَرْبَعِينَ لَيْلَةً، ثُمَّ يَكُونُ عَلَقَةً مِثْلَهُ، ثُمَّ يَكُونُ مُضْغَةً مِثْلَهُ، ثُمَّ يُبْعَثُ إِلَيْهِ المَلَكُ، فَيُؤْذَنُ بِأَرْبَعِ كَلِمَاتٍ، فَيَكْتُبُ: رِزْقَهُ وَأَجَلَهُ وَعَمَلَهُ وَشَقِيٌّ أَمْ سَعِيدٌ، ثُمَّ يَنْفُخُ فِيهِ الرُّوحَ، فَإِنَّ أَحَدَكُمْ لَيَعْمَلُ بِعَمَلِ أَهْلِ الجَنَّةِ حَتَّى لَا يَكُونُ بَيْنَهَا وَبَيْنَهُ إِلَّا ذِرَاعٌ، فَيَسْبِقُ عَلَيْهِ الكِتَابُ، فَيَعْمَلُ بِعَمَلِ أَهْلِ النَّارِ فَيَدْخُلُ النَّارَ، وَإِنَّ أَحَدَكُمْ لَيَعْمَلُ بِعَمَلِ أَهْلِ النَّارِ حَتَّى مَا يَكُونُ بَيْنَهَا وَبَيْنَهُ إِلَّا ذِرَاعٌ، فَيَسْبِقُ عَلَيْهِ الكِتَابُ، فَيَعْمَلُ عَمَلَ أَهْلِ الجَنَّةِ فَيَدْخُلُهَا». [صحيح] - [متفق عليه]

(59) – გადმოცემულია აბულლაჰ ბინ მას'უდისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი): "ალლაჰის ჭეშმარიტმა და სანდო მოციქულმა მუჰამმადმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ჭეშმარიტად, თითოეული თქვენგანი თავის დედის მუცელში ფორმირდება ორმოცი დღე და ღამე, შემდეგ ამავე ხნის განმავლობაში რჩება შედედებული სისხლის სახით, შემდეგ ამავე ხნის განმავლობაში რჩება ხორცის პატარა ნაჭრის (მუდღის) სახით. შემდეგ მისკენ იგზავნება ანგელოზი, რომელსაც ეძლევა ბრძანება

ჩაწეროს ოთხი რამ: მისი განგება, სიცოცხლის ხანგრძლივობა, მისი საქმენი და იქნება თუ არა ის ბედნიერი ან უბედური, შემდეგ ჩაბერავს მასში სულს. ნამდვილად, თითოეული თქვენგანი შეიძლება აკეთებდეს სამოთხის ბინადართა საქმეებს, სანამ არ დარჩება სამოთხემდე მხოლოდ ერთი იდაყვის მანძილი, შემდეგ კი შესრულდება ის, რაც მასზე იყო დაწერილი, და ის დაიწყებს ჯოჯოხეთის ბინადართა საქმეების შესრულებას და შევა ჯოჯოხეთში. ასევე, ნებისმიერი თქვენგანი შეიძლება აკეთებდეს ჯოჯოხეთის ბინადართა საქმეებს, სანამ არ დარჩება ჯოჯოხეთამდე მხოლოდ ერთი იდაყვის მანძილი, შემდეგ კი შესრულდება ის, რაც მასზე იყო დაწერილი, და ის დაიწყებს სამოთხის ბინადართა საქმეების შესრულებას და შევა სამოთხეში». [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

იბნ მას'უდმა თქვა: "ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვიამბო, და ის არის სანდო თავის ნათქვამში და მყარი სიმართლეში, რადგან მისი ეს თვისება უზენაესი ალლაჰისგანაა", მან თქვა: თითოეული თქვენგანის შექმნა ხდება შემდეგნაირად: როცა მამაკაცი შედის სიახლოვეში თავის მეუღლესთან, მისი გაფანტული თესლი ქალის

საშვილოსნოში გროვდება ორმოცი დღის განმავლობაში თხევადი წვეთის სახით. შემდეგ იგი ხდება სქელი შედედებული სისხლი, და ეს ხდება მეორე ორმოცი დღის განმავლობაში. შემდეგ იგი ხდება ხორცის ნაჭერი, იმდენად პატარა, როგორც გაღეჭილი ხორცი, ეს ხდება მესამე ორმოცი დღის განმავლობაში, შემდეგ ალლაჰი წარგზავნის მასთან ანგელოზს, რომელიც ჩაბერავს მას სულს მესამე ორმოცი დღის დასრულების შემდეგ. ანგელოზს ეძლევა ბრძანება, რომ დაწეროს ოთხი რამ: სარჩო, ანუ რამდენი სიკეთე ექნება ბოძებული მას თავისი სიცოცხლის განმავლობაში. სიცოცხლის ხანგრძლივობა — ანუ რამდენ ხანს დარჩება იგი ამქვეყნად. მისი ქმედებები, რა ქმედება იქნება? იქნება იგი უბედური თუ ბედნიერი. შემდეგ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) დაიფიცა, რომ ადამიანი აკეთებს სამოთხის მცხოვრებლების საქმეებს, და მისი ქმედებები იქნება მართალი, ანუ გარეგნულად ეს ქმედებები ასე გამოჩნდება ხალხისთვის, და ის ასეთ მდგომარეობაში იქნება მანამ, სანამ მას და სამოთხეს შორის მხოლოდ ერთი იდაყვის მანძილი არ დარჩება, ანუ ისე, თითქოს მას და სამოთხეს შორის დარჩენილი იქნება მხოლოდ ერთი იდაყვის მანძილი მიწამდე. მაშინ მოხდება ის, რაც მისთვის წინასწარ განსაზღვრულია წიგნში, და ის დაიწყებს ჯოჯოხეთის მცხოვრებლების

საქმეების კეთებას, დატოვებს სამყაროს ასეთ მდგომარეობაში და შევა ცეცხლში. რადგან მისი ქმედებების მიღების პირობა არის ის, რომ იგი იყოს მტკიცე მათ შესრულებაში და არ შეცვალოს ისინი. სხვა ადამიანები აკეთებენ ჯოჯოხეთის მცხოვრებლების საქმეებს, სანამ არ აღმოჩნდებიან მის შესვლასთან ახლოს, ისე, თითქოს მათსა და ჯოჯოხეთში შესვლას შორის დარჩენილი იყოს მხოლოდ ერთი იდაყვის მანძილი მიწამდე. მაშინ მოხდება ის, რაც მისთვის წიგნში განსაზღვრულია, და ის დაიწყებს სამოთხის მცხოვრებლების საქმეების შესრულებას და შევა სამოთხეში.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. საქმეთა ბედი საბოლოოდ იმაზეა დამოკიდებული, რაც წინასწარ განსჯით დადგენილია და რაც წინასწარი განგებით დაწესებულია.
2. გაფრთხილება საქმეების გარეგნული ფორმებით მოტყუებისგან; რადგან საქმეები ფასდება მათი დასრულების მიხედვით.

(65037)

(60) – عن ابن مسعود رضي الله عنه قال: قال النَّبِيُّ صلى الله عليه وسلم: «الْجَنَّةُ أَقْرَبُ إِلَى أَحَدِكُمْ مِنْ شِرَاكِ نَعْلِهِ، وَالنَّارُ مِثْلُ ذَلِكَ». [صحيح] - [رواه البخاري]

(60) – იბნ მას'უდისგან გადმოცემულია, რომ მან თქვა: თქვა ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას): «სამოთხე უფრო ახლოსაა თითოეულ თქვენთაგან, ვიდრე თქვენი ფეხსაცმლის თასმები, და ჯოჯოხეთიც მის მსგავსად (ახლოსაა მასთან)». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა ალ-ბუხარიმ]

განმარტება:

ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნო, რომ სამოთხე და ჯოჯოხეთი ძალიან ახლოსაა ადამიანთან ისევე, როგორც ფეხსაცმლის თასმა. ეს იმის გამო, რომ ადამიანმა შეიძლება გააკეთოს მორჩილება (მადლიანი საქმე), რომლითაც ალლაჰის კმაყოფილებას გამოიწვევს და მისით სამოთხეში შეიყვანს, ან ჩაიდინოს ცოდვა, რომელიც გახდება ჯოჯოხეთში შესვლის მიზეზი.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. კეთილ საქმეებში წახალისება, თუნდაც მცირე იყოს, და ბოროტებისგან თავის არიდება, თუნდაც მცირედი იყოს.
2. მუსლიმმა ცხოვრებაში უნდა გაერთიანოს იმედი და შიში, და დიდებულ ალლაჰს მუდამ უნდა სთხოვოს სიმტკიცე ჭეშმარიტებაზე, რათა გადარჩეს და არ დაემორჩილოს საკუთარი მდგომარეობის ცდუნებას.

(3581)

(61) – عن أبي هريرةَ رضي الله عنه أنَّ رسولَ اللهِ صلى الله عليه وسلم قال: «حُجِبَتِ النَّارُ بِالشَّهَوَاتِ، وَحُجِبَتِ الْجَنَّةُ بِالْمَكَارِهِ». [صحيح] - [رواه البخاري]

(61) – აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ჯოჯოხეთი დაფარულია ვნებებით, სამოთხე კი - უსიამოვნებებით». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა ალ-ბუხარიმ]

განმარტება:

ალლაჰის მოციქული მუჰამმადი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტავს, რომ ჯოჯოხეთი გარშემორტყმულია იმ საქმეებით, რომლებიც ადამიანის სულს უყვარს, როგორიცაა აკრძალული მოქმედებები ან მოვალეობებში დაუდევრობა; თუ ადამიანი მისდევს საკუთარ ვნებებსა და სურვილებს, ის ამის გამო იმსახურებს ცეცხლს, რაც შეეხება სამოთხეს, ის გარშემორტყმულია იმ საქმეებით, რომლებიც ადამიანს არ სიამოვნებს, როგორიცაა მუდმივი ერთგულება ვალდებულებების შესრულებაში, აკრძალული საქმეებისგან თავის შეკავება. თუ ადამიანი ამ სირთულეებს გადალახავს და იბრძოლებს საკუთარ ვნებებთან, ის იმსახურებს სამოთხეში შესვლას.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ვნებებში ჩავარდნის ერთ-ერთი მიზეზი არის ის, რომ ეშმაკი ამკობს და აცდუნებს ადამიანს ცუდი და მახინჯი საქმეებით ისე, რომ ეს საქმეები ადამიანს კარგი და მიმზიდველი ეჩვენება, რის გამოც მისკენ იხრება.
2. საჭიროა ადამიანი გაშორდეს აკრძალულ ვნებებს, რადგან ისინი ჯოჯოხეთისკენ მიმავალი გზაა, ხოლო მოთმინება სირთულეებთან მიმართებაში არის გზა სამოთხისაკენ.
3. ძალიან დიდი სიკეთე აქვს ადამიანის ბრძოლას საკუთარ ვნებებთან, გულმოდგინე თაყვანისცემაში და მოთმინებას იმ სირთულეებსა და განსაცდელებში, რომლებიც გარემოცულია მორჩილების საქმეებთან.

(62) – عَنْ أَبِي هُرَيْرَةَ رضي الله عنه عَنْ رَسُولِ اللَّهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ قَالَ: «لَمَّا خَلَقَ اللَّهُ الْجَنَّةَ وَالنَّارَ أَرْسَلَ جِبْرِيلَ عَلَيْهِ السَّلَامُ إِلَى الْجَنَّةِ، فَقَالَ: انْظُرْ إِلَيْهَا وَإِلَى مَا أَعْدَدْتُ لِأَهْلِهَا فِيهَا. فَنَظَرَ إِلَيْهَا فَرَجَعَ، فَقَالَ: وَعِزَّتِكَ لَا يَسْمَعُ بِهَا أَحَدٌ إِلَّا دَخَلَهَا. فَأَمَرَ بِهَا فَحُفَّتْ بِالْمَكَارِهِ، فَقَالَ: اذْهَبْ إِلَيْهَا فَانْظُرْ إِلَيْهَا وَإِلَى مَا أَعْدَدْتُ لِأَهْلِهَا فِيهَا. فَنَظَرَ إِلَيْهَا، فَإِذَا هِيَ قَدْ حُفَّتْ بِالْمَكَارِهِ، فَقَالَ: وَعِزَّتِكَ لَقَدْ خَشِيتُ أَنْ لَا يَدْخُلَهَا أَحَدٌ. قَالَ: اذْهَبْ فَانْظُرْ إِلَى النَّارِ وَإِلَى مَا أَعْدَدْتُ لِأَهْلِهَا فِيهَا. فَنَظَرَ إِلَيْهَا فَإِذَا هِيَ يَرْكَبُ بَعْضُهَا

بَعْضًا، فَرَجَعَ فَقَالَ: وَعِزَّتِكَ لَا يَدْخُلُهَا أَحَدٌ. فَأَمَرَ بِهَا فَحُفَّتْ بِالشَّهَوَاتِ، فَقَالَ: ارْجِعْ فَانْظُرْ إِلَيْهَا. فَنَظَرَ إِلَيْهَا فَإِذَا هِيَ قَدْ حُفَّتْ بِالشَّهَوَاتِ، فَرَجَعَ وَقَالَ: وَعِزَّتِكَ لَقَدْ خَشِيتُ أَنْ لَا يَنْجُوَ مِنْهَا أَحَدٌ إِلَّا دَخَلَهَا». [حسن] - [رواه أبو داود والترمذي والنسائي]

(62) – გადმოცემულია აბუ ჰურაირასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «როდესაც ალლაჰმა შექმნა სამოთხე და (ჯოჯოხეთის) ცეცხლი, მან გააგზავნა ჯიბრილი (მშვიდობა მას) სამოთხეში და უთხრა: „დაინახე ის და ის, რაც მოვამზადე მისი მკვიდრებისთვის“». ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «(ჯიბრილი) მივიდა იქ, დაინახა სამოთხე და ის, რაც ალლაჰმა მოამზადა მისი მკვიდრებისთვის». ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «(შემდეგ ჯიბრილი) დაბრუნდა ალლაჰთან და თქვა: „ვფიცავ შენს სიდიადეს, ვინც კი მოისმენს სამოთხის შესახებ, მასში შევა!“ მაშინ ალლაჰმა ბრძანა, და სამოთხე გარშემორტყმული გახდა იმით, რაც ადამიანურ სულს არ უყვარს, შემდეგ უთხრა (ჯიბრილს): „დაბრუნდი და დაინახე ის, რაც მე მოვამზადე მისი მკვიდრებისთვის“». ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «(ჯიბრილი) დაბრუნდა და დაინახა, რომ სამოთხე გარშემორტყმული იყო იმით, რაც არ უყვარს ადამიანურ

სულს, შემდეგ დაბრუნდა ალლაჰთან და თქვა: „ვფიცავ შენს სიდიადეს, ახლა მე მეშინია, რომ მასში არავინ შევა!“ შემდეგ ალლაჰმა უთხრა: „დაბრუნდი და დაინახე (ჯოჯოხეთის) ცეცხლი და ის, რაც მე მოვამზადე მისი მკვიდრებისთვის“. როდესაც მივიდა და დაინახა, რომ ცეცხლის ერთი ნაწილი მეორეზე იყო ამხედრებული, შემდეგ დაბრუნდა ალლაჰთან და თქვა: „ვფიცავ შენს სიდიადეს, ვინც კი მოისმენს მის შესახებ, მასში არ შევა!“ შემდეგ ალლაჰმა უბრძანა და ცეცხლი გარშემორტყმული გახდა ვნებებით, შემდეგ უთხრა (ჯიბრილს): «დაბრუნდი მასთან» და ის დაბრუნდა მასთან, და შემდეგ როცა უკან მობრუნდა თქვა: „ვფიცავ შენს სიდიადეს, მე მეშინია, რომ არავინ გადაურჩება მას და უთუოდ შევა მასში“». [კარგი (ჰასან)] - [გადმოსცა აბუ დაუდმა, ათ-თირმიზიმ და ან-ნასაიმ]

განმარტება:

ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნო, რომ როდესაც ალლაჰმა შექმნა სამოთხე და ჯოჯოხეთი, უთხრა ჯიბრილს (მშვიდობა მას): წადი და შეიხედე მასში, წავიდა და შეიხედა მასში, შემდეგ დაბრუნდა, ჯიბრილმა თქვა: „ო, უფალო, ვფიცავ შენს სიდიადეს, ყველა, ვინც მოისმენს სამოთხის შესახებ და იმ ნეტარებების, პატივისა და მადლის შესახებ, რაც მასშია, აუცილებლად მოისურვებს მასში

შესვლას, დაუღალავად იშრომებს და შეასრულებს შესაბამის საქმეებს მის მისაღწევად“. შემდეგ ალლაჰმა სამოთხე ყველა მხრიდან გარშემოარტყა იმით, რაც მიუღებელია ადამიანური სულისთვის — სირთულეებით, რომლებიც ხელს უშლიან ბრძანებების შესრულებას და აკრძალვებისგან თავის არიდებას. ის, ვისაც სურს სამოთხეში მოხვედრა, უნდა გადალახოს ეს ადამიანური სულისთვის საძულველი სირთულეები. შემდეგ უთხრა დიდებულმა და ყოვლისშემძლე ალლაჰმა: ო ჯიბრილ! წადი და შეიხედე სამოთხეში, მის შემდეგ რაც გარშემოარტყა სირთულეები, წავიდა და შეიხედა მასში, შემდეგ დაბრუნდა და თქვა: ო, ღმერთო, ჩემო ვფიცავ დიდებას შენსას, მეშინია, რომ მასში ვერავინ შევა სირთულეებისა და სიძნელეების მიზეზით, რომელიც მისკენ მიმავალ გზაშია. როდესაც ალლაჰმა შექმნა ჯოჯოხეთი უთხრა: "ო, ჯიბრილ! წადი და შეიხედე მასში, წავიდა და შეიხედა მასში, შემდეგ ჯიბრილი მოვიდა და თქვა: ო, უფალო, ვფიცავ შენს სიდიადეს, ყველა, ვინც მოისმენს, რა ხდება ჯოჯოხეთში — ტანჯვა, ტკივილი და წამება, არ მოისურვებს იქ მოხვედრას და შეეცდება, რომ აარიდოს თავი ყველა იმ მიზეზს, რომელიც მას იქამდე მიიყვანს. შემდეგ ყოვლისშემძლე და დიადმა ალლაჰმა ჯოჯოხეთი ვნებებითა და სიამოვნებებით

გარშემოარტყა და მათით გაავსო გზა, რომელიც მასთან მიდის, შემდეგ კი უთხრა ჯიბრილს: "წადი და შეხედე მას". წავიდა და შეხედა ჯიბრილმა მას, შემდეგ დაბრუნდა და თქვა: ო, ღმერთო დიდება შენდა შევშინდი და აღვშფოთდი, რომ ვერავინ გადარჩება მისგან; იმის მიზეზით, რაც არის მის ირგვლივ გარშემორტყმული ვნებებით და სიამოვნებებით.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. რწმენა იმისა, რომ სამოთხე და ჯოჯოხეთი უკვე არსებობს.
2. აუცილებელია ყოველი იმ უხილავის რწმენა, რითაც მოვიდა ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას).
3. სირთულეების წინაშე მოთმინების გამოვლენის მნიშვნელობა განპირობებულია იმით, რომ ეს არის გზა, რომელიც მიდის სამოთხისკენ.
4. აკრძალული საქმეებისგან თავის არიდების მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ის არის ჯოჯოხეთისკენ მიმავალი გზა.
5. ის, რომ სამოთხე გარშემორტყმულია ადამიანური სულისთვის მიუღებელი სირთულეებით, ხოლო ჯოჯოხეთი ვნებებით — მიუთითებს იმაზე, რომ ამქვეყნიური ცხოვრება სავსეა გამოცდებით.
6. სამოთხისკენ მიმავალი გზა რთული და მძიმეა, ის

მოითხოვს მოთმინებასა და ძალისხმევას რწმენასთან ერთად, მაშინ როცა ჯოჯოხეთისკენ მიმავალი გზა სავსეა მიწიერი სიამოვნებებითა და ვნებებით.

(65034)

(63) – عَنْ أَبِي هُرَيْرَةَ رَضِيَ اللَّهُ عَنْهُ أَنَّ رَسُولَ اللَّهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ قَالَ: «نَارُكُمْ جُزْءٌ مِنْ سَبْعِينَ جُزْءًا مِنْ نَارِ جَهَنَّمَ»، قِيلَ: يَا رَسُولَ اللَّهِ، إِنْ كَانَتْ لَكَافِيَةً. قَالَ: «فُضِّلَتْ عَلَيْهِنَّ بِتِسْعَةٍ وَسِتِّينَ جُزْءًا كُلُّهُنَّ مِثْلُ حَرِّهَا». [صحيح] - [متفق عليه]

(63) – აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «თქვენი ცეცხლი მხოლოდ ერთ-ერთია სამოცდაათი ნაწილიდან გეენას ცეცხლისა». უთხრეს მას: „ო, ალლაჰის მოციქულო, ჩვენთვის ჩვენი ცეცხლიც საკმარისი იქნებოდა“. მან თქვა: «ის უფრო მეტია კიდევ სამოცდაცხრა ნაწილით, რომელთაგან თითოეული ისეთივე ცხელი და მწვავეა, როგორც ეს ცეცხლი». [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას), გვამცნობს, რომ ამქვეყნიური ცეცხლი ჯოჯოხეთის ცეცხლის სამოცდაათი ნაწილისგან მხოლოდ ერთი ნაწილია. საიქიოს ცეცხლი ამ სამყაროს

ცეცხლის სიმხურვალეს აღემატება სამოცდაცხრაჯერ და თითოეული მათგანის სიმხურვალე თანაბარია ამქვეყნიური ცეცხლის. და უთხრეს: "ო, ალლაჰის შუამავალო, ამ სამყაროს ცეცხლიც საკმარისი იქნებოდა მასში შესული ადამიანებისთვის დასასჯელად". შუამავალმა თქვა: "ჯოჯოხეთის ცეცხლი აღემატება ამ სამყაროს ცეცხლს სამოცდაცხრა ნაწილით, და ყოველი მათგანი სიმხურვალით მსგავსია ამქვეყნიური ცეცხლის".

ჰადისის სარგებლობიდან:

1. გაფრთხილება ჯოჯოხეთის შესახებ, რათა ხალხმა თავი აარიდოს იმ საქმეებს, რაც ჯოჯოხეთში შემყვანია.
2. ჯოჯოხეთის ცეცხლის სიდიდე, მისი ტანჯვა და გაუსაძლისი სიმხურვალე.

(65036)

(64) – عَنْ أَبِي هُرَيْرَةَ رضي الله عنه قَالَ: سَمِعْتُ رَسُولَ اللَّهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ يَقُولُ: «يَقْبِضُ اللَّهُ الأَرْضَ، وَيَطْوِي السَّمَوَاتِ بِيَمِينِهِ، ثُمَّ يَقُولُ: أَنَا المَلِكُ، أَيْنَ مُلُوكُ الأَرْضِ». [صحيح] - [متفق عليه]

(64) – აბუ ჰურაირამ (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) თქვა: მოვისმინე, რომ ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამბობდა: «ალლაჰი ხელით

დაიჭერს (მთელ) დედამიწას და თავის მარჯვენა ხელით შეჰკრავს ცას, შემდეგ იტყვის: მე ვარ მეფე! სად არიან ამქვეყნიური მეფეები?» [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნო, რომ უზენაესი ალლაჰი შეკრებს და შეიპყრობს მიწას, დაკეცავს ზეცას თავის მარჯვენაში და შემოახვევს მათ ერთმანეთს, გაანადგურებს და გააქრობს მათ. შემდეგ იტყვის: მე ვარ მეფე, და სად არიან დედამიწის მეფეები?!

ჰადისის სარგებლობიდან:

1. შეხსენება იმისა, რომ ალლაჰის მეუფება სამუდამოა, სხვების კი - წარმავალი.
2. ალლაჰის სიდიადე, მისი უსაზღვრო ძალა, სიმძლავრე, მმართველობა და სრულყოფილი უზენაესობა.

(65028)

(65) – عَنْ عَائِشَةَ أُمِّ المُؤمنينَ رضي الله عنها قَالَتْ: دَخَلَ عَلَيَّ رَسُولُ اللهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ، وَقَدْ سَتَرْتُ سَهْوَةً لِي بِقِرَامٍ فِيهِ تَمَاثِيلُ، فَلَمَّا رَآهُ هَتَكَهُ وَتَلَوَّنَ وَجْهُهُ وَقَالَ: «يَا عَائِشَةُ، أَشَدُّ النَّاسِ عَذَابًا عِنْدَ اللهِ يَوْمَ الْقِيَامَةِ الَّذِينَ يُضَاهُونَ بِخَلْقِ اللهِ» قَالَتْ عَائِشَةُ: «فَقَطَعْنَاهُ فَجَعَلْنَا مِنْهُ وِسَادَةً أَوْ وِسَادَتَيْنِ». [صحيح] - [متفق عليه]

(65) – გადმოცემულია მორწმუნეების დედა აიშასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომელმაც თქვა: «მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) შემოვიდა ჩემთან, და მე გადავაფარე ჩემს სათავსოს ფარდა, რომელზეც გამოსახული იყო ცოცხალი არსებების გამოსახულებები. როცა მან ეს დაინახა, ფარდა თავისი ხელით ჩამოხსნა, სახე შეიცვალა და თქვა: «ო, აიშა! განკითხვის დღეს ყველაზე მკაცრად დაისჯებიან ის ადამიანები, ვინც ცდილობენ შექმნან მსგავსი ალლაჰის ქმნილებისა». აიშა ამბობს: «ჩვენ ის გავჭერით და მისგან ერთი ან ორი ბალიში გავაკეთეთ». [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ერთხელ შევიდა აიშას (ალლაჰი იყოს კმაყოფილი მისით) სახლში და აღმოაჩინა, რომ ის პატარა სათავსოს გადასაფარებლად იყენებდა ქსოვილს, რომელზეც გამოსახული იყო ცოცხალი არსებები. მოციქულის სახე შეიცვალა რისხვისგან და მან თქვა: განკითხვის დღეს ყველაზე მკაცრ სასჯელს დაექვემდებარებიან ისინი, ვინც ცდილობენ შექმნან ალლაჰის ქმნილების მსგავსი ქმნილება. აიშა ამბობს: „ჩვენ მისგან ერთი ან ორი ბალიში გავაკეთეთ“.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. დაუყოვნებელი და დროული კრიტიკა იმ ქმედებებისა, რომლებიც რელიგიაში გაკიცხულია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამან შეიძლება გამოიწვიოს კიდევ უფრო ცუდი შედეგები.
2. განკითხვის დღეს სასჯელი განსხვავებული იქნება ჩადენილი ცოდვების მიხედვით.
3. ცოცხალი არსებების გამოსახვა მძიმე ცოდვად ითვლება.
4. ცოცხალი არსებების გამოსახვის აკრძალვის მიზანი არის ის, რომ ავაცილოთ უზენაეს ალლაჰზე შექმნაში მიბაძვა, მიუხედავად იმისა, ისწრაფვის ადამიანი მსგავსი მიბაძვისკენ თუ არა.
5. შარიათის მიზანი არის ქონების დაცვა მისი სასარგებლო გამოყენების გზით, ამავდროულად აკრძალულის თავიდან აცილებით.
6. ცოცხალი არსებების გამოსახვის შექმნა აკრძალულია ნებისმიერი გზით, თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც ეს გამოსახულებები შეიძლება დაზიანდეს ან ფეხქვეშ გაითელოს.

(5931)

(66) – عَنْ أَبِي هُرَيْرَةَ رَضِيَ اللَّهُ عَنْهُ قَالَ: قَالَ رَسُولُ اللَّهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ: «وَالَّذِي نَفْسِي بِيَدِهِ، لَيُوشِكَنَّ أَنْ يَنْزِلَ فِيكُمُ ابْنُ مَرْيَمَ حَكَمًا مُقْسِطًا، فَيَكْسِرَ الصَّلِيبَ، وَيَقْتُلَ

الخِنْزِيرَ، وَيَضَعَ الجِزْيَةَ، وَيَفِيضَ المَالُ حَتَّى لاَ يَقْبَلَهُ أَحَدٌ». [صحيح] - [متفق عليه]

(66) – აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ მოციქულმა მუჰამმადმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ვფიცავ მას, ვის ხელშიც არის ჩემი სული, ძალიან მალე ჩამოვა თქვენ შორის ძე მარიამისა სამართლიან მსაჯულად, ის დაამტვრევს ჯვარს, გაანადგურებს ღორებს და გააუქმებს ჯიზიას (არა-მუსლიმების გადასახადს), რის შემდეგაც სიმდიდრე იქნება ისეთი მრავალი, რომ არავინ აიღებს მას». [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

შუმავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) იფიცება, რომ 'ისას მარიამის ძის (მშვიდობა მას) ჩამოსვლა ახლოს არის, რათა მან განსაჯოს ადამიანთა შორის მუჰამმადის შარიათით სამართლიანად, რომ დაამტვრიოს ჯვარი, რომელსაც განადიდებენ ქრისტიანები, და რომ მოკლას ღორი, ის გააუქმებს ხარკს და მოუწოდებს ხალხს ყველა ერთად შევიდეს ისლამში. ქონება ძალიან გამრავლდება და ის აღარავის აღარ ენდომება; ეს იქნება მისი სიმრავლის გამო და ყველასთვის საკმარისი იქნება რასაც ის ფლობს, მასთან ერთად მოევლინება უამრავი ბარაქა და სიკეთე.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. დადასტურება იმისა, რომ 'ისა (მშვიდობა მას) კვლავ ჩამოვა დედამიწაზე სამყაროს დასასრულს. ეს მოვლენა არის განკითხვის დღის ერთ-ერთი ნიშანი.
2. მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) შარიათს ვერცერთი სხვა კანონმდებლობა (შარიათი) ვერ გააუქმებს.
3. ბოლო ჟამის მოახლოების დროს ბარაქის გავრცელება, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანები მის მიმართ გულგრილნი იქნებიან.
4. ისლამური რელიგიის უცვლელობის სამახარობლო, რადგანაც 'ისა (მშვიდობა მას) განსჯის მისით ბოლო ჟამს.

(65025)

(67) – عَنْ أَبِي هُرَيْرَةَ رضي الله عنه قَالَ: قَالَ رَسُولُ اللهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ لِعَمِّهِ: «قُلْ: لَا إِلَهَ إِلَّا اللهُ، أَشْهَدُ لَكَ بِهَا يَوْمَ الْقِيَامَةِ»، قَالَ: لَوْلَا أَنْ تُعَيِّرَنِي قُرَيْشٌ، يَقُولُونَ: إِنَّمَا حَمَلَهُ عَلَى ذَلِكَ الْجَزَعُ لَأَقْرَرْتُ بِهَا عَيْنَكَ. فَأَنْزَلَ اللهُ: {إِنَّكَ لَا تَهْدِي مَنْ أَحْبَبْتَ وَلَكِنَّ اللهَ يَهْدِي مَنْ يَشَاءُ} [القصص: 56]. [صحيح] - [رواه مسلم]

(67) – აბუ ჰურაირამ (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) თქვა: უთხრა ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მის ბიძას: «თქვი: არ არსებობს

ღმერთი გარდა ალლაჰისა, და დაგიმოწმებ მისით განკითხვის დღეს», ბიძამ უპასუხა: "თუ არა ყურაიშისგან დასაცინად, რომლებიც იტყოდნენ, რომ მე შიშის გამო ვთქვი ეს, მეც გავახარებდი შენს თვალს". შემდეგ ალლაჰმა გარდმოავლინა: {ჭეშმარიტად, შენ ვერ დაადგენ სწორ გზას იმას, ვინც გიყვარს. არამედ ალლაჰი ადგენს სწორ გზაზე, ვისაც ინებებს} [ალ-ყასას: 56] [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა მუსლიმმა]

განმარტება:

მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თავის ბიძას, აბუ ტაალიბს სიკვდილის წინ სთხოვა, ეთქვა "არ არსებობს ღვთაება, გარდა ალლაჰისა", რათა ამის საფუძველზე განკითხვის დღეს შუამდგომლობა გაეწია მისთვის და ისლამით დაემოწმებინა. თუმცა, აბუ ტალიბმა უარი თქვა შაჰადის წარმოთქმაზე, რადგან შიშობდა, რომ ყურაიშელები დასცინებდნენ და იტყოდნენ, რომ ის მხოლოდ სიკვდილის შიშისა და სისუსტის გამო მიიღებდა ისლამს. მან უთხრა მოციქულს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას): "ის რომ არა, შენი თვალის გახარების მიზნით შაჰადას ვიტყოდი და შენს ნებას შევასრულებდი, რათა გაგიხარდეს".

ალლაჰმა ამ დროს გარდმოავლინა აიათი, რომელიც მიუთითებს, რომ მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) არ ფლობს ხალხის დადგენას ისლამში. ეს

მხოლოდ ალლაჰის ხელშია, რადგან მხოლოდ ალლაჰი ირჩევს, ვის უწინამძღვროს სწორ გზაზე. ხოლო მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) საქმე არის მოუწოდოს, ასწავლოს და მოუხმოს სწორ გზაზე.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ჭეშმარიტება არ უნდა იქნას მიტოვებული ადამიანების სიტყვების შიშით.
2. ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ფლობს სწორი გზის მტკიცებულებას, მითითებას და არა ჭეშმარიტ გზაზე დადგენის წარმატებას.
3. ავადმყოფი ურწმუნოს მონახულება ისლამში დასაშვებია და წახალისებული ქმედებაა, განსაკუთრებით, თუ მიზანი მისი ისლამისკენ მოწოდებაა.
4. ალლაჰის მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მისწრაფება იყო უზენაესი ალლაჰისკენ მოხმობა ყველა მდგომარეობაში.

(65069)

(68) – عَنْ عَبْدِ اللَّهِ بْنِ عَمْرٍو رضي الله عنهما قَالَ: قَالَ النَّبِيُّ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ: «حَوْضِي مَسِيرَةُ شَهْرٍ، مَاؤُهُ أَبْيَضُ مِنَ اللَّبَنِ، وَرِيحُهُ أَطْيَبُ مِنَ المِسْكِ، وَكِيزَانُهُ كَنُجُومِ السَّمَاءِ، مَنْ شَرِبَ مِنْهَا فَلاَ يَظْمَأُ أَبَدًا». [صحيح] - [متفق عليه]

(68) – აბდულლაჰ იბნ 'ამრმა (ალლაჰი იყოს ორივეთი კმაყოფილი) თქვა, რომ ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ჩემი აუზის სიგრძე ერთი თვის სავალი გზაა. მისი წყალი უფრო თეთრია ვიდრე რძე, მისი სურნელი კი უკეთესია, ვიდრე მუსკუსი. მისი სასმისები ცის ვარსკვლავების მსგავსია. ვინც მისგან დალევს, არასდროს მოსწყურდება». [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას გვამცნობს), რომ განკითხვის დღეს მას ექნება აუზი, რომლის სიგრძე და სიგანე ერთი თვის სავალი გზის ტოლია. მისი წყალი უფრო თეთრია, ვიდრე რძე, მისი სურნელი უფრო არომატულია, ვიდრე მუსკუსი, მისი სასმისები ცის ვარსკვლავებივით მრავლადაა, ვინც ამ აუზიდან ამ სასმისებით დალევს, მას არასდროს მოსწყურდება.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ალლაჰის მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) აუზი არის დიდი წყლის წყარო, რომელსაც განკითხვის დღეს მორწმუნეები მისი უმმათიდან მიადგებიან.

2. ნეტარებას მიიღებს ის, ვინც დალევს აუზიდან და არასდროს განიცდის წყურვილს.

(65030)

(69) – عَنْ أَبِي سَعِيدٍ الخُدْرِيِّ رَضِيَ اللَّهُ عَنْهُ قَالَ: قَالَ رَسُولُ اللَّهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ: «يُؤْتَى بِالْمَوْتِ كَهَيْئَةِ كَبْشٍ أَمْلَحَ، فَيُنَادِي مُنَادٍ: يَا أَهْلَ الجَنَّةِ، فَيَشْرَئِبُّونَ وَيَنْظُرُونَ، فَيَقُولُ: هَلْ تَعْرِفُونَ هَذَا؟ فَيَقُولُونَ: نَعَمْ، هَذَا المَوْتُ، وَكُلُّهُمْ قَدْ رَآهُ، ثُمَّ يُنَادِي: يَا أَهْلَ النَّارِ، فَيَشْرَئِبُّونَ وَيَنْظُرُونَ، فَيَقُولُ: وهَلْ تَعْرِفُونَ هَذَا؟ فَيَقُولُونَ: نَعَمْ، هَذَا المَوْتُ، وَكُلُّهُمْ قَدْ رَآهُ، فَيُذْبَحُ ثُمَّ يَقُولُ: يَا أَهْلَ الجَنَّةِ خُلُودٌ فَلاَ مَوْتَ، وَيَا أَهْلَ النَّارِ خُلُودٌ فَلاَ مَوْتَ، ثُمَّ قَرَأَ: {وَأَنْذِرْهُمْ يَوْمَ الحَسْرَةِ إِذْ قُضِيَ الأَمْرُ وَهُمْ فِي غَفْلَةٍ} [مريم: 39]، وَهَؤُلاَءِ فِي غَفْلَةٍ أَهْلُ الدُّنْيَا {وَهُمْ لَا يُؤْمِنُونَ} [مريم: 39]». [صحيح] - [متفق عليه]

(69) – აბუ სა'იდ ალ-ხუდრი (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ მან თქვა: თქვა ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას): «აღდგომის დღეს მოიყვანენ სიკვდილს. ის იქნება თეთრი ვერძის სახით. შემდეგ მომხმობი გამოაცხადებს: 'ო, სამოთხის მკვიდრნო, იცნობთ ამას?' ისინი წაიწევენ კისრებს, აწევენ თავებს და მას დაინახავენ, იტყვიან: 'დიახ, ეს არის სიკვდილი'. რადგან ყველა მათგანს მოუხდა მისი ნახვა და მასთან შეხვედრა. შემდეგ მომხმობი გამოაცხადებს: 'ო, ცეცხლის მკვიდრნო, იცნობთ ამას?' ისინი წაიწევენ კისრებს, აწევენ თავებს

და მას დაინახავენ, იტყვიან: 'დიახ, ეს არის სიკვდილი'. რადგან ყველა მათგანს მოუხდა მისი ნახვა და მასთან შეხვედრა. შემდეგ გაეცემა ბრძანება, რომ ის დაიკლას და ის დაიკვლება, რის შემდეგაც ეტყვიან: 'ო, სამოთხის მცხოვრებლებო, ახლა იქნება მარადისობა და აღარ იქნება სიკვდილი! ო, ცეცხლის მცხოვრებლებო, ახლა იქნება მარადისობა და აღარ იქნება სიკვდილი!» შემდეგ წაიკითხა აიათი: "და შეაგონე ისინი სინანულის დღით, როცა საქმე გადაწყვეტილი იქნება, მაგრამ ისინი უგულისხმონი არიან და არ სწამთ". [მარიამ: 39] ამქვეყნის მკვიდრნი, ესენი არიან უგულისყურონი და {მათ არ ირწმუნებენ} [მარიან: 39] [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტავს, რომ აღდგომის დღეს სიკვდილი იქნება შავ-თეთრი ფერის ვერძის (ცხვრის) სახით მოყვანილი. შემდეგ მოუხმობენ სიტყვებით: "ო, სამოთხის მცხოვრებლებო!" ისინი წაიწევენ და გაიწვდენენ კისრებს, აწევენ თავებს და დაიწყებენ ყურებას. მათ შეეკითხებიან: იცნობთ ამას? ისინი იტყვიან: "დიახ, ეს არის სიკვდილი, ყველა მათგანმა დაინახა და იცნო ის, შემდეგ მოუხმობს მომხმობი: "ო, ჯოჯოხეთის მკვიდრებო!" და ისინიც წამოწევენ თავიანთ კისრებს,

წამოწევენ მხრებს და თავებს და იცქირებიან, ეტყვის: იცნობთ ამას? იტყვიან: დიახ, ეს სიკვდილია, მათ ყველამ ნახეს ის; შემდეგ დაკლავენ სიკვდილს, და მომხმობი იტყვის: "ო, სამოთხის მკვიდრებო, მარადიულობაა თქვენთვის და აღარ იქნება სიკვდილი; და ო, ჯოჯოხეთის მკვიდრებო, მარადიულობაა თქვენთვის და აღარ იქნება სიკვდილი". ეს იქნება ნეტარების მომატება მორწმუნეთათვის და უბედურება და ტანჯვა ურწმუნოთათვის. შემდეგ ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) წაიკითხავს აიათებს: "და შეაგონე ისინი სინანულის დღით, როცა საქმე გადაწყვეტილი იქნება, მაგრამ ისინი უგულისხმონი არიან და არ სწამთ". განკითხვის დღეს სამოთხის და ჯოჯოხეთის მცხოვრებლები გაიყოფიან, და თითოეული მათგანი სამუდამოდ შევა იქ, რაც იყო მათი საბოლოო დანიშნულება. ცუდი ქმედებების ჩამდენი ინანებს, რომ არ აკეთებდა კეთილ საქმეებს, ხოლო ის, ვისაც კეთილ საქმეებში ჰქონდა ნაკლოვანებები, ინანებს, რომ არ გაამრავლა თავისი კეთილი საქმეები.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ადამიანის ხვედრი საიქიოში არის მარადიული ცხოვრება სამოთხეში ან ჯოჯოხეთში.
2. მკაცრი გაფრთხილება განკითხვის დღის შიშზე,

რომ ის იქნება მწუხარების და სინანულის დღე.

3. განმარტება იმისა, რომ სამოთხის მცხოვრებლების სიხარული მუდმივია და ასევე ჯოჯოხეთის მცხოვრებლების მწუხარებაც მუდმივია.

(65035)

(70) – عن عمر بن الخطاب رضي الله عنه قال: إنّه سمع نبيَّ اللهَ صلى الله عليه وسلم يقول: «لَو أَنَّكُمْ تَتَوَكَّلُونَ عَلَى اللهِ حَقَّ تَوَكُّلِهِ، لَرَزَقَكُمْ كَمَا يَرْزُقُ الطَّيْرَ، تَغْدُو خِمَاصًا وَتَرُوحُ بِطَانًا». [صحيح] - [رواه الترمذي وابن ماجه وأحمد]

(70) – გადმოცემულია უმარ იბნ ალ-ხატტაბისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომელმაც თქვა: გავიგონე, რომ მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამბობდა: «ალლაჰს რომ სათანადოდ მიენდოთ, ის მოგცემდათ საარსებო საშუალებებს ზუსტად ისე, როგორც აძლევს ჰურს ჩიტს, რომელიც დილას ცარიელი მუცლით გამოდის და საღამოს გამძღარი ბრუნდება». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა ათ-თირმიზიმ, იბნ მააჯამ და აჰმადმა]

განმარტება:

მოციქული (ალლაჰმა დალოცოს და მიესალმოს მას) მოგვიწოდებს, ვენდოთ ყოვლისშემძლე და დიად ალლაჰს როგორც ამქვეყნიურ, ასევე რელიგიურ საქმეებში სიკეთის მოპოვებასა და ზიანის მოშორებაში.

რადგან მხოლოდ ალლაჰს (წმიდა და დიადია იგი) შეუძლია მისცეს და წაართვას, მიაყენოს ზიანი და მოუტანოს სარგებელი. ასევე, მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მოგვიწოდებს, რომ მივიღოთ შესაბამისი ზომები, ვაკეთოთ საქმეები, რომელთაც მოაქვს სარგებელი და აფერხებს ზიანს, გულწრფელად ალლაჰზე დაყრდნობით. როცა ასე მოვიქცევით, ალლაჰი მოგვაწვდის საარსებო საშუალებას, როგორც ის აწვდის პურს ჩიტებს, რომლებიც დილით მშიერი ტოვებენ თავიანთ ბუდეებს და საღამოს ბრუნდებიან სავსე მუცლებით. ჩიტების ეს ქმედება არის ერთ-ერთი მაგალითი მიზეზების შექმნისა საარსებო საშუალების მოსაპოვებლად, პასიურობის და ზარმაცობის გარეშე.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ალლაჰზე მინდობის (თავაქქულის) ღირსება და მისი როლი, როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალება საარსებო საშუალების მოპოვებაში.
2. ალლაჰზე მინდობა (თავაქქული) არ ეწინააღმდეგება ქმედებების შესრულებასა და მიზეზების ძიებას, რადგან მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) აცნობა, რომ ნამდვილი თავაქქული არ ეწინააღმდეგება იმას, რომ ადამიანი აქტიურად ეძებდეს სარჩოს, დილით

გამოდიოდეს მის საძებნელად და საღამოს ბრუნდებოდეს.

3. შარიათის განსაკუთრებული ყურადღება გულის საქმეებზე, რადგან ალლაჰზე დაყრდნობა (თავაქქული) არის გულში არსებული საქმე.
4. ქმედებებთან და მიზეზებთან ზედმეტი მიჯაჭვულობა არის რწმენის ნაკლოვანება, ხოლო ქმედებებისა და მიზეზების უგულებელყოფა — გონების ნაკლოვანება.

(4721)

(71) – عَن أَبِي هُرَيْرَةَ رضي الله عنه قَالَ: قَالَ رَسُولُ اللَّهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ: «يُسَلِّمُ الرَّاكِبُ عَلَى المَاشِي، وَالمَاشِي عَلَى القَاعِدِ، وَالقَلِيلُ عَلَى الكَثِيرِ».

وَلِلبُخَارِي: «يُسَلِّمُ الصَّغِيرُ عَلَى الكَبِيرِ، وَالمَارُّ عَلَى القَاعِدِ، وَالقَلِيلُ عَلَى الكَثِيرِ».

[صحيح] - [متفق عليه]

(71) – აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოგვცემს, რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «მხედარი ესალმება ფეხით მოსიარულეს, ფეხით მოსიარულე — მჯდომარეს, და მცირერიცხოვანი — მრავალრიცხოვანს». [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მორწმუნეებს ასწავლა სალამის (მისალმების) მორწმუნეთათვის მიწოდების ეთიკა: "ალლაჰის მშვიდობა, წყალობა და ბარაქა იყოს თქვენზე". ამ ეთიკის თანახმად: უმცროსი ესალმება უფროსს, მხედარი — ფეხით მოსიარულეს, ფეხით მოსიარულე — მჯდომარეს, და მცირერიცხოვანი — მრავალრიცხოვანს.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. მისალმების ეს წესი, როგორც ჰადისშია აღწერილი, მიუთითებს მის შესრულების სასურველ ფორმაზე. თუმცა, თუ ფეხით მოსიარულე მიესალმება მხედარს ან სხვა შემთხვევაში, რაც წესით საპირისპიროდ უნდა მოხდეს, ეს მაინც დასაშვებია და მისალმება სწორი იქნება.
2. მისალმების გავრცელება იმ ფორმით, როგორც ეს ჰადისშია აღწერილი, არის სიყვარულისა და ურთიერთგაგების მიზეზი.
3. თუ ადამიანები თანასწორნი და მსგავს მდგომარეობაში არიან, მაშინ უკეთესია ის, ვინც პირველად ესალმება.
4. ისლამური შარიათი სრულყოფილია, რადგან ის მოიცავს ყველაფერს, რაც ადამიანს სჭირდება.
5. ისლამი დიდ ყურადღებას აქცევს მისალმების

ეთიკას და პიროვნების უფლებების დაკმაყოფილებას.

(4243)

(72) – عن أبي ذرٍّ رضي الله عنه: عَنِ النَّبِيِّ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ فِيمَا رَوَى عَنِ اللهِ تَبَارَكَ وَتَعَالَى أَنَّهُ قَالَ: «يَا عِبَادِي إِنِّي حَرَّمْتُ الظُّلْمَ عَلَى نَفْسِي، وَجَعَلْتُهُ بَيْنَكُمْ مُحَرَّمًا، فَلَا تَظَالَمُوا، يَا عِبَادِي كُلُّكُمْ ضَالٌّ إِلَّا مَنْ هَدَيْتُهُ، فَاسْتَهْدُونِي أَهْدِكُمْ، يَا عِبَادِي كُلُّكُمْ جَائِعٌ إِلَّا مَنْ أَطْعَمْتُهُ، فَاسْتَطْعِمُونِي أُطْعِمْكُمْ، يَا عِبَادِي كُلُّكُمْ عَارٍ إِلَّا مَنْ كَسَوْتُهُ، فَاسْتَكْسُونِي أَكْسُكُمْ، يَا عِبَادِي إِنَّكُمْ تُخْطِئُونَ بِاللَّيْلِ وَالنَّهَارِ وَأَنَا أَغْفِرُ الذُّنُوبَ جَمِيعًا فَاسْتَغْفِرُونِي أَغْفِرْ لَكُمْ، يَا عِبَادِي إِنَّكُمْ لَنْ تَبْلُغُوا ضَرِّي فَتَضُرُّونِي، وَلَنْ تَبْلُغُوا نَفْعِي فَتَنْفَعُونِي، يَا عِبَادِي لَوْ أَنَّ أَوَّلَكُمْ وَآخِرَكُمْ وَإِنْسَكُمْ وَجِنَّكُمْ كَانُوا عَلَى أَتْقَى قَلْبِ رَجُلٍ وَاحِدٍ مِنْكُمْ مَا زَادَ ذَلِكَ فِي مُلْكِي شَيْئًا، يَا عِبَادِي لَوْ أَنَّ أَوَّلَكُمْ وَآخِرَكُمْ وَإِنْسَكُمْ وَجِنَّكُمْ كَانُوا عَلَى أَفْجَرِ قَلْبِ رَجُلٍ وَاحِدٍ مَا نَقَصَ ذَلِكَ مِنْ مُلْكِي شَيْئًا، يَا عِبَادِي لَوْ أَنَّ أَوَّلَكُمْ وَآخِرَكُمْ وَإِنْسَكُمْ وَجِنَّكُمْ قَامُوا فِي صَعِيدٍ وَاحِدٍ فَسَأَلُونِي فَأَعْطَيْتُ كُلَّ إِنْسَانٍ مَسْأَلَتَهُ مَا نَقَصَ ذَلِكَ مِمَّا عِنْدِي إِلَّا كَمَا يَنْقُصُ الْمِخْيَطُ إِذَا أُدْخِلَ الْبَحْرَ، يَا عِبَادِي إِنَّمَا هِيَ أَعْمَالُكُمْ أُحْصِيهَا لَكُمْ ثُمَّ أُوَفِّيكُمْ إِيَّاهَا، فَمَنْ وَجَدَ خَيْرًا فَلْيَحْمَدِ اللهَ، وَمَنْ وَجَدَ غَيْرَ ذَلِكَ فَلَا يَلُومَنَّ إِلَّا نَفْسَهُ». [صحيح] - [رواه مسلم]

(72) – გადმოცემულია აბუ ზარრისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მან თქვა: მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გადმოსცემს, რომ

ალლაჰმა, ყოვლადმოწყალემ და უზენაესმა, თქვა: «ო, ჩემო მონებო, ჭეშმარიტად, მე საკუთარ თავს დავუშალე უსამართლობა და გავხადე ის აკრძალული თქვენ შორის, ამიტომ ნუ ჩაგრავთ ერთმანეთს! ო, ჩემო მონებო, ყველა თქვენგანი იყო გზააბნეული, გარდა იმათი, ვისაც მე ვაჩვენე სწორი გზა, ამიტომ სთხოვეთ ჩემგან სწორი გზა და მე გაჩვენებთ მას! ო, ჩემო მონებო, ყველა თქვენგანი დარჩება მშიერი, გარდა იმათი, ვისაც მე დავაპურებ, ამიტომ სთხოვეთ ჩემგან საჭმელი და მე გაჭმევთ! ო, ჩემო მონებო, ყველა თქვენგანი დარჩება შიშველი, გარდა იმათი, ვისაც მე ჩავაცვამ, ამიტომ სთხოვეთ ჩემგან ტანსაცმელი და მე ჩაგაცვამთ! ო, ჩემო მონებო, ჭეშმარიტად, თქვენ სცოდავთ დღე-ღამის განმავლობაში, მაგრამ მე ვპატიობ ყველა ცოდვას, ამიტომ ითხოვეთ ჩემგან პატიება და მე გაპატიებთ! ო, ჩემო მონებო, თქვენ ვერასდროს შეძლებთ, რომ რაიმე ზიანი მომაყენოთ ან სარგებელი მომიტანოთ! ო, ჩემო მონებო, თუ თქვენგან პირველნი და უკანასკნელნი, ადამიანები და ჯინები, იქნებოდით ისეთივე ღვთისმოსავები, როგორიც ყველაზე ღვთისმოსავი ადამიანია, ეს არაფერს შემმატებდა იმასთან შედარებით, რასაც მე ვფლობ! ო, ჩემო მონებო, თუ თქვენგან პირველნი და უკანასკნელნი, ადამიანები და ჯინები, იქნებოდით ისეთივე ცოდვილები, როგორიც

ყველაზე დიდი ცოდვილია, ეს არაფერს დამაკლებდა იმასთან შედარებით, რასაც მე ვფლობ! ო, ჩემო მონებო, თუ პირველნი და უკანასკნელნი, ადამიანები და ჯინები, ერთ ადგილას დადგებოდით და ჩემგან რაიმეს მოითხოვდით, და მე თითოეულ თქვენგანს მივცემდი იმას, რასაც ითხოვდით, ეს ისე ვერ შეამცირებდა ჩემს სიმდიდრეს, როგორც ნემსი, წყალში ჩაძირული, ვერ ამცირებს ზღვის წყალს! ო, ჩემო მონებო, ჭეშმარიტად, ეს მხოლოდ თქვენი საქმეებია, რომლებსაც მე ვანგარიშობ თქვენთვის და მერე სრულად დაგაჯილდოვებთ მათთვის. ამიტომ, ვინც პოვებს სიკეთეს, განადიდოს ალლაჰი, ხოლო ვინც პოვებს რამე სხვას, ნუ დააბრალებს ნურავის, გარდა საკუთარი თავისა». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა მუსლიმმა]

განმარტება:

ამ ჰადისში შუამავალი განმარტავს, რომ უზენაესმა ალლაჰმა აუკრძალა საკუთარ თავს უსამართლობა და აკრძალა უსამართლობა მის მონებს შორის, და არავის აქვს უფლება სხვა დაჩაგროს. ყველა ადამიანი გზააბნეულია ჭეშმარიტების გზიდან, გარდა მათისა, ვინც ალლაჰმა დაარიგა და ვისაც მან დახმარება გაუწია. ვინც ალლაჰისგან ითხოვს ჭეშმარიტ გზაზე დადგომას, ალლაჰი მას დაარიგებს და სწორი გზისკენ მიმართავს. ყველა ადამიანი ღარიბია ალლაჰის წინაშე და

საჭიროებს მას ყველა თავიანთ საჭიროებაში. ვინც სთხოვს ალლაჰს, ის ასრულებს მის თხოვნას და გაათავისუფლებს მას გაჭირვებისგან. და რომ ისინი სცოდავენ დღითა და ღამით, ხოლო უზენაესი ალლაჰი ფარავს მათ ცოდვებს და პატიობს მათ, როცა ისინი ინანიებენ. და რომ მათ ვერავის შეუძლია, რომ ზიანი მიაყენოს ალლაჰს ან დაეხმაროს მას. და ისინი ყველა რომ ყოფილიყვნენ ყველაზე ღვთისმოსავი კაცის მსგავსნი, ეს არ შეამატებდა ვერაფერს ალლაჰის სამეფოს, და ასევე, თუნდაც ყველა მათგანი ყოფილიყო ცოდვილი, როგორც ყველაზე ცოდვილი ადამიანის გული, მათი ცოდვილობა ვერაფერს დააკლებდა მის ბრძანებლობას, რადგან ისინი სუსტები და ღარიბები არიან ალლაჰის წინაშე, და ყოველთვის, ნებისმიერ ადგილას და ნებისმიერ ვითარებაში საჭიროებენ ალლაჰს. ხოლო ის ყოვლადწმინდა და ყოვლადმდიდარია. თუ ყველა, პირველი და უკანასკნელი ადამიანები და ჯინები ერთად შეიკრიბებოდნენ ერთ ადგილას და ალლაჰს სთხოვდნენ ყველაფერს, რაც სურთ, და ის მათ ყველაფერს მიანიჭებდა, ეს არანაირად არ შეამცირებდა მის სიმდიდრეს. ეს ჰგავს იმას, როგორც თუკი ნემს ჩაასობენ ზღვაში და შემდეგ ამოიღებენ, ზღვა ამით არაფრით არ შემცირდება. ეს მიუთითებს მისი სამეფოს

სიმდიდრისკენ.

ყოვლისშემძლე ალლაჰი ინახავს თავის მონათა საქმეებს და ითვლის მათ, ხოლო შემდეგ მათ აუნაზღაურებს ამისთვის აღდგომის დღეს. ვინც აღმოაჩენს, რომ მისი საქმეების ანაზღაურება კეთილია, მადლობა უნდა შესწიროს ალლაჰს, რომ მან მისცა შესაძლებლობა ემორჩილებოდნენ მას. ხოლო ვინც აღმოაჩენს, რომ მისი საქმეების ანაზღაურება სხვაა, დაე, დაადანაშაულოს მხოლოდ საკუთარი სული, რომელიც ბოროტებისკენ უბიძგებდა.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ეს ჰადისი ერთ-ერთია იმათ შორის, რომლებიც მოციქულმა (ალლაჰმა დალოცოს და მიესალმოს მას) თავის უფლისგან გადმოსცა. ასეთი ჰადისები ცნობილია, როგორც "ალ-ყუდსი" და ან «ალ-ილაჰი» (ღვთიური). ეს ნიშნავს, რომ მისი სიტყვები და აზრი ალლაჰს ეკუთვნის, თუმცა მას არ გააჩნია ის განსაკუთრებული თვისებები, რაც ყურანს გამოარჩევს სხვა გადმოცემებისგან. ყურანის ამ გამორჩეულ თვისებებს მიეკუთვნება მისი კითხვა, როგორც თაყვანისცემის ფორმა, მისი წაკითხვისთვის აუცილებელია რიტუალური სიწმინდე, ასევე მისი ფენომენალურობა და მისი გამეორების შეუძლებლობა, მისი აიათების

უპირობო ორიგინალობა და სხვა განსაკუთრებული მახასიათებლები.

2. ყველაფერი, რაც ჭეშმარიტ გზაზე დგომას და ცოდნის მიღებას უკავშირდება გამომდინარეობას ალლაჰისგან.
3. ყოველი სიკეთე, რომელიც მონას ეწვევა, მომდინარეობს ყოვლისშემძლე ალლაჰის წყალობისგან, ხოლო ყოველი ბოროტება, რაც მას შეემთხვევა, საკუთარი თავისა და ვნებების დამსახურებითაა.
4. ვინც სიკეთეს აკეთებს, ის ამას ალლაჰის დახმარებით აკეთებს, და მისი ჯილდო იქნება ალლაჰის წყალობა, და მთელი დიდება მას ეკუთვნის. ხოლო ვინც ბოროტებას ჩაიდენს, ნუ დაადანაშაულებს ნურავის საკუთარი თავის გარდა.

(4810)

(73) – عَنْ جَابِرِ بْنِ عَبْدِ اللهِ رضي الله عنهما أَنَّ رَسُولَ اللهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ قَالَ: «اتَّقُوا الظُّلْمَ، فَإِنَّ الظُّلْمَ ظُلُمَاتٌ يَوْمَ الْقِيَامَةِ، وَاتَّقُوا الشُّحَّ، فَإِنَّ الشُّحَّ أَهْلَكَ مَنْ كَانَ قَبْلَكُمْ، حَمَلَهُمْ عَلَى أَنْ سَفَكُوا دِمَاءَهُمْ وَاسْتَحَلُّوا مَحَارِمَهُمْ». [صحيح] - [رواه مسلم]

(73) – გადმოცემულია ჯაბირ იბნ აბდულლაჰისგან (ალლაჰი იყოს კმაყოფილი მათით), რომ ალლაჰის

მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ერიდეთ უსამართლობას, რადგან უსამართლობა სიბნელეებია განკითხვის დღეს. ერიდეთ სიხარბეს, რადგან სიხარბემ დაღუპა ის, ვინც თქვენს წინ იყო. მან მათ უბიძგა სისხლისღვრისკენ და აკრძალული საქმეების დაშვებისკენ». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა მუსლიმმა]

განმარტება:

მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გააფრთხილა უსამართლობისგან, რომელიც მოიცავს: ხალხის მიმართ უსამართლობას, საკუთარი თავის მიმართ უსამართლობას, ალლაჰის უფლების მიმართ უსამართლობას. უსამართლობა არის ის, როდესაც ადამიანი არ აძლევს თითოეულ უფლებამოსილს მის კანონიერ უფლებას. უსამართლობა განკითხვის დღეს წყვდიადად გადაიქცევა მისი ჩამდენთათვის, რაც გამოიხატება მძიმე გასაჭირსა და შიშით სავსე მდგომარეობებში. მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) აკრძალა შუჰჰი — ეს არის უკიდურესი სიძუნწე, შერწყმული ძლიერი სიხარბით. შუჰჰი მოიცავს: ფინანსური უფლებების შესრულებაში ნაკლოვანებას, ამქვეყნიურ სიკეთეებზე გადამეტებულ სიხარბეს, ეს უსამართლობის სახეობა დაღუპვის მიზეზი გახდა ჩვენამდე არსებული ხალხებისთვის. იგი

მათ უბიძგებდა ერთმანეთის მკვლელობისკენ და იმის დაშვებისკენ, რაც ალლაჰმა აკრძალა.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ქონების გაღება და ძმების თანადგომა სიყვარულისა და ურთიერთობის განმტკიცების მიზეზია.
2. სიძუნწე და შუჰჰი (სიხარბე) ადამიანებს უბიძგებს ცოდვების, უსამართლობისა და გარყვნილი ქმედებებისკენ.
3. წინა ხალხების მდგომარეობებისგან გაკვეთილის აღება აუცილებელია.

(5787)

(74) – عن أبي موسى رضي الله عنه قال: قال رسول الله صلى الله عليه وسلم: «إِنَّ اللهَ لَيُمْلِي لِلظَّالِمِ، حَتَّى إِذَا أَخَذَهُ لَمْ يُفْلِتْهُ» قَالَ: ثُمَّ قَرَأَ: «{وَكَذَلِكَ أَخْذُ رَبِّكَ إِذَا أَخَذَ الْقُرَى وَهِيَ ظَالِمَةٌ إِنَّ أَخْذَهُ أَلِيمٌ شَدِيدٌ} [هود: 102]» [صحيح] - [متفق عليه]

(74) – აბუ მუსა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ჭეშმარიტად, ალლაჰი უვადებს უსამართლოს მანამ, სანამ არ დასჯის და შემდეგ მას ვერაფერი გადაარჩენს» თქვა: შემდეგ წაიკითხა: «ამგვარად შეიპყრობს შენი ღმერთი სოფლებს, როცა იპყრობს მაშინ, როცა უსამართლონი

არიან. ჭეშმარიტად, მისი შეპყრობა მწარე, მრისხანეა!» [ჰუდ: 102] [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) აფრთხილებს უსამართლობაში შეუპოვრობისგან და ცოდვების, შირქის, ადამიანების უფლებების უსამართლოდ დარღვევისგან, რადგან უზენაესი ალლაჰი აცდის და უვადებს უსამართლოს, აძლევს მას ქონებას და ხანგრძლივ სიცოცხლეს და არ ჩქარობს მის დასჯას. და თუ ის არ მოინანიებს, ალლაჰი შეიპყრობს მას, არ გაათავისუფლებს და არ დატოვებს მას მისი უამრავი უსამართლობის გამო.

შემდეგ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) წაიკითხა შემდეგი აიათი: «ამგვარად შეიპყრობს შენი ღმერთი სოფლებს, როცა იპყრობს მაშინ, როცა უსამართლონი არიან. ჭეშმარიტად, მისი შეპყრობა მწარე, მრისხანეა!» [ჰუდ:102]

ჰადისის სარგებლობიდან:

1. გონიერმა ადამიანმა უნდა იჩქაროს მონანიება და არ ჩათვალოს თავი უსაფრთხოდ ალლაჰის ხრიკებისგან, თუ ის კვლავაც ჩადის უსამართლობას.
2. უზენაესი ალლაჰის გადავადება

უსამართლოთათვის და მათი არ დასჯა არის მათთვის უფრო მეტი უსამართლობის ჩადენის საშუალება და შემდეგ მათზე უფრო დიდი სასჯელის მიცემა, თუ არ მოინანიებენ ისინი.

3. უსამართლობა არის ალლაჰის მიერ სხვადასხვა საზოგადოების დასჯის მიზეზი.
4. თუ ალლაჰი გაანადგურებს რომელიმე დასახლებას, მასში შეიძლება ღვთისმოსავებიც იყვნენ, და ისინი განკითხვის დღეს აღსდგებიან, რაზეც გარდაიცვალნენ თავიანთ ღვთისმოშიშობაზე, მათ ვერაფერს ავნებს ის, რომ ამქვეყნად ისინიც მოიცვა სასჯელმა.

(5811)

(75) – **عن ابن عباس رضي الله عنهما عَنِ النَّبِيِّ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ فِيمَا يَرْوِي عَنْ رَبِّهِ عَزَّ وَجَلَّ قَالَ: قَالَ: «إِنَّ اللهَ كَتَبَ الْحَسَنَاتِ وَالسَّيِّئَاتِ، ثُمَّ بَيَّنَ ذَلِكَ، فَمَنْ هَمَّ بِحَسَنَةٍ فَلَمْ يَعْمَلْهَا كَتَبَهَا اللهُ لَهُ عِنْدَهُ حَسَنَةً كَامِلَةً، فَإِنْ هُوَ هَمَّ بِهَا فَعَمِلَهَا كَتَبَهَا اللهُ لَهُ عِنْدَهُ عَشْرَ حَسَنَاتٍ إِلَى سَبْعِمِائَةِ ضِعْفٍ، إِلَى أَضْعَافٍ كَثِيرَةٍ، وَمَنْ هَمَّ بِسَيِّئَةٍ فَلَمْ يَعْمَلْهَا كَتَبَهَا اللهُ لَهُ عِنْدَهُ حَسَنَةً كَامِلَةً، فَإِنْ هُوَ هَمَّ بِهَا فَعَمِلَهَا كَتَبَهَا اللهُ لَهُ سَيِّئَةً وَاحِدَةً».** [صحيح] - [متفق عليه]

(75) – გადმოცემულია იბნ აბბასისგან (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი) ალლაჰის მოციქული (ალლაჰმა

დალოცოს და მიესალმოს მას) თავის ყოვლისშემძლე და დიადი ღმერთისგან გადმოსცემს: «ჭეშმარიტად, ალლაჰმა ჩაწერა კეთილი და ბოროტი საქმენი და შემდეგ ეს განმარტა: ვინც გადაწყვეტს კეთილი საქმის კეთებას, მაგრამ არ გააკეთებს მას, ალლაჰი მას მაინც ჩაუთვლის სრულ კეთილ საქმეს. ხოლო თუ ადამიანი გადაწყვეტს კეთილი საქმის გაკეთებას და შეასრულებს მას, ალლაჰი მას ჩაუთვლის ათიდან შვიდასამდე და კიდევ ბევრად მეტ კეთილ საქმეს. ვინც გადაწყვეტს ბოროტი საქმის გაკეთებას, მაგრამ არ შეასრულებს მას, ალლაჰი მას ჩაუთვლის სრულ კეთილ საქმეს. ხოლო თუ ის გადაწყვეტს ბოროტი საქმის გაკეთებას და შეასრულებს მას, ალლაჰი მას ჩაუთვლის მხოლოდ ერთ ბოროტ საქმეს». [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

მოციქული (ალლაჰმა დალოცოს და მიესალმოს მას) განმარტავს, რომ ალლაჰმა წინასწარ განსაზღვრა კარგი და ცუდი ქმედებები, შემდეგ კი მან გააცნო ეს ორ ანგელოზს და ასწავლა, როგორ უნდა ჩაეწერათ ეს ქმედებები.

ვისაც სურს, აპირებს და გადაწყვეტს კეთილი საქმის გაკეთებას, მას ჩაეწერება ჯილდო ერთი კეთილი საქმისთვის, თუნდაც ის არ შეასრულოს. ხოლო თუ შეასრულებს, მისი ჯილდო გაიზრდება ათიდან

შვიდასამდე, ან კიდევ უფრო მეტად. ჯილდოს გაზრდა დამოკიდებულია გულწრფელობაზე შესრულებული კეთილი საქმის მიმართ, რამდენად დიდია მის მიერ შესრულებული საქმის სარგებელი და სხვა ფაქტორების მიხედვით.

ვისაც სურს, აპირებს და გადაწყვეტს ბოროტი საქმის გაკეთებას, მაგრამ შემდეგ ალლაჰის გულისთვის უარს იტყვის მის შესრულებაზე, მას ჩაეწერება ეს როგორც ერთი კარგი საქმე. თუ ის უბრალოდ სხვა რამეზე გადაიტანს ფიქრს და შეწყვეტს საქმის დაწყების მიზეზებს, მას არაფერი ჩაეწერება. ხოლო თუ ბოროტი საქმის შესრულებას შეწყვეტს უუნარობის გამო, მას ჩაეწერება მისი განზრახვის მიხედვით. თუ ის მაინც შეასრულებს ბოროტ საქმეს, მას ჩაეწერება ერთი ბოროტი საქმე.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ჰადისი განმარტავს ალლაჰის უდიდეს მოწყალებას ამ უმმათის (მუსლიმთა საზოგადოების) მიმართ. ეს მოწყალება იმაში მდგომარეობს, რომ კეთილი საქმეები ალლაჰის წინაშე მრავლდება და მათზე მრავალი ჯილდო ჩაიწერება, მაშინ როცა ცუდი საქმეები არ მრავლდება და ჩაიწერება მხოლოდ ერთი ცუდი საქმე.

2. განზრახვის მნიშვნელობა და მისი გავლენა საქმეების შესრულებისას.
3. უზენაესი და ყოვლისშემძლე ალლაჰის გულუხვობა, სიკეთე და მოწყალება. თუ ვინმე განიზრახავს კეთილი საქმის შესრულებას, მაგრამ ვერ მოახერხებს მის შესრულებას, ალლაჰი მაინც ჩაუთვლის მას ამ საქმეს, როგორც ერთ სრულყოფილ კეთილ საქმეს.

(4322)

(76) – عَنِ ابْنِ مَسْعُودٍ رَضِيَ اللَّهُ عَنْهُ، قَالَ: قَالَ رَجُلٌ: يَا رَسُولَ اللهِ، أَنُؤَاخَذُ بِمَا عَمِلْنَا فِي الْجَاهِلِيَّةِ؟ قَالَ: «مَنْ أَحْسَنَ فِي الْإِسْلَامِ لَمْ يُؤَاخَذْ بِمَا عَمِلَ فِي الْجَاهِلِيَّةِ، وَمَنْ أَسَاءَ فِي الْإِسْلَامِ أُخِذَ بِالْأَوَّلِ وَالْآخِرِ». [صحيح] - [متفق عليه]

(76) – იბნ მას'უდმა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) თქვა: ერთმა კაცმა ჰკითხა: "ო, ალლაჰის მოციქულო, ვაგებთ პასუხს იმაზე, რაც ჯაჰილიაში (ისლამამდე) ჩავიდინეთ?" უპასუხა: «ვინც ისლამში გამორჩეულია სიკეთით, მას არ დაეკისრება პასუხი ჯაჰილიაში ჩადენილის გამო; ხოლო ვინც ისლამში ცუდად მოიქცევა, მას პასუხს მოსთხოვენ როგორც წარსულზე, ისე აწმყოზე». [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტავს ისლამში შესვლის ღირსებას. ასევე ის, ვინც მიიღებს ისლამს და სწორად დაიცავს მას, იყო გულწრფელი და მართალი ამაში, არ აგებს პასუხს იმ ცოდვებზე, რომლებიც მან უმეცრების დროს ჩაიდინა. ხოლო ვინც ისლამში ცუდად მოიქცევა, იქნება ფარისეველი ან გავა რწმენიდან, მას პასუხს მოსთხოვენ როგორც ქუფრში (ურწმუნოებაში) ჩადენილისთვის, ასევე ისლამის პერიოდში ჩადენილი ცოდვების გამოც.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. საჰაბების (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი) შფოთვა და შიში იმ ქმედებების გამო, რომლებიც მათ ისლამამდე უმეცრების პერიოდში ჩაიდინეს.
2. მოწოდება ისლამში სიმტკიცისაკენ.
3. ისლამში შესვლის ღირსება და ის, რომ ეს არის წარსული ცოდვების გამოსყიდვის გზა.
4. რელიგიის მიმტოვებელნი (მურთადი) და ფარისეველნი (მუნააფიყი) აგებენ პასუხს თავიანთ ყველა ქმედებაზე, რაც ჯაჰილიის პერიოდში ჩაიდინეს და ყველა ცოდვაზე, რაც ისლამში ყოფნისას ჩაიდინეს.

(65002)

(77) – عَنِ ابْنِ عَبَّاسٍ رَضِيَ اللهُ عَنْهُمَا: أَنَّ نَاسًا مِنْ أَهْلِ الشِّرْكِ، كَانُوا قَدْ قَتَلُوا وَأَكْثَرُوا، وَزَنَوْا وَأَكْثَرُوا، فَأَتَوْا مُحَمَّدًا صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ فَقَالُوا: إِنَّ الَّذِي تَقُولُ وَتَدْعُو إِلَيْهِ لَحَسَنٌ، لَوْ تُخْبِرُنَا أَنَّ لِمَا عَمِلْنَا كَفَّارَةً، فَنَزَلَ {وَالَّذِينَ لَا يَدْعُونَ مَعَ اللهِ إِلَهًا آخَرَ وَلَا يَقْتُلُونَ النَّفْسَ الَّتِي حَرَّمَ اللهُ إِلَّا بِالْحَقِّ وَلَا يَزْنُونَ}[الفرقان: 68]، وَنَزَلَت: {قُلْ يَا عِبَادِيَ الَّذِينَ أَسْرَفُوا عَلَى أَنْفُسِهِمْ لَا تَقْنَطُوا مِنْ رَحْمَةِ اللهِ} [الزمر: 53]. [صحيح] - [متفق عليه]

(77) – გადმოცემულია იბნ აბბასისგან (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი): ისინი, ვინც მრავალღმერთიანობას ეწეოდნენ, უამრავ ადამიანს კლავდნენ და ბევრ ცოდვას სჩადიოდნენ, ასევე მრუშობას ჩადიოდნენ, მივიდნენ მუჰამმადთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) და უთხრეს: «ის, რასაც შენ ამბობ და რისკენაც მოგვიწოდებ კარგია. თუმცა, შეგიძლია გვაუწყო, არის თუ არა ჩვენი ჩადენილი ცოდვებისათვის გამოსასყიდი?» ამის შემდეგ გარდმოვიდა აიათი: {და ისინი, ვინც ალლაჰთან ერთად სხვა ღმერთებს არ მოუხმობენ, და არ კლავენ იმ სიცოცხლეს, რაც ალლაჰმა აკრძალა, თუ არა სამართლიანობის გამო, და არ მრუშობენ}. [ალ-ფურყაან: 68] ასევე გარდმოვიდა აიათი: {უთხარი: ჰეი, ჩემო მსახურნო, რომლებმაც საკუთარ თავებზე გადამეტებული ცოდვები ჩაიდინეთ, ნუ დაკარგავთ ალლაჰის წყალობის იმედს}. [აზ-ზუმარ: 53]. [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

მრავალღმერთიანებიდან რამდენიმე კაცი მივიდა მოციქულ მუჰამმადთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას). ისინი ბევრ ადამიანს კლავდნენ და მრუშობდნენ. მათ მოციქულს უთხრეს:

"ის, რისკენაც მოგვიწოდებ, ისლამი და მისი სწავლებები, ნამდვილად კარგია. მაგრამ რა იქნება ჩვენი მდგომარეობა იმ მრავალღმერთიანობისა და დიდი ცოდვების გამო, რაც ჩავიდინეთ? არის თუ არა მათთვის გამოსასყიდი?"

ამის შემდეგ გარდმოვიდა ორი აიათი, რომლებშიც ალლაჰმა მიიღო ადამიანების მონანიება, მიუხედავად მათი მრავალი და მძიმე ცოდვისა. ალლაჰს რომ არ მიეღო მათი მონანიება, ისინი დარჩებოდნენ თავიანთ ურწმუნოებასა და ამპარტავნებაში და ისლამში არ შევიდოდნენ.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. მითითება ისლამის სიდიადეზე და მის ღირსებაზე, ასევე იმაზე, რომ ისლამის მიღება წარსულ ცოდვებს შლის.
2. ალლაჰის წყალობა თავის მსახურებზე უსაზღვროა, ის მიტევებას და მოწყალებას იჩენს მათ მიმართ, თუნდაც მათი ცოდვები მრავალი და მძიმე იყოს.

3. შირქის, უსამართლო მკვლელობისა და მრუშობის აკრძალვა, ასევე მკაცრი მუქარა სასჯელით მათთვის, ვინც ამ ცოდვებს სჩადის.
4. წრფელი მონანიება, რომელიც გულწრფელობასა და კეთილ საქმეებთან არის დაკავშირებული, შლის ყველა დიდ ცოდვას, მათ შორის ალლაჰის მიმართ ურწმუნოებას.
5. ალლაჰის, ყოვლადწმინდა და დიდებულის, წყალობის მიმართ სასოწარკვეთისა და იმედის დაკარგვის აკრძალვა.

(65071)

(78) – عَنْ حَكِيمِ بْنِ حِزَامٍ رَضِيَ اللَّهُ عَنْهُ، قَالَ: قُلْتُ: يَا رَسُولَ اللَّهِ، أَرَأَيْتَ أَشْيَاءَ كُنْتُ أَتَحَنَّثُ بِهَا فِي الجَاهِلِيَّةِ مِنْ صَدَقَةٍ أَوْ عَتَاقَةٍ، وَصِلَةِ رَحِمٍ، فَهَلْ فِيهَا مِنْ أَجْرٍ؟ فَقَالَ النَّبِيُّ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ: «أَسْلَمْتَ عَلَى مَا سَلَفَ مِنْ خَيْرٍ». [صحيح] - [متفق عليه]

(78) – გადმოცემულია ჰაქიიმ იბნ ჰიზაამისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), მან თქვა: "ვკითხე: ო, ალლაჰის შუამავალო, მე რაღაც საქმეებს ვაკეთებდი ჯაჰილიაში (ისლამამდე პერიოდში), როგორიცაა საქველმოქმედო შემოწირულობები, მონების გათავისუფლება და ნათესავებთან ურთიერთობის შენარჩუნება. მაქვს ამ საქმეებისგან რაიმე მადლი?" ალლაჰის მოციქულმა ალლაჰის (ლოცვა და მშვიდობა

მას) უპასუხა: «შენ ისლამი მიიღე იმ კეთილ საქმეებთან ერთად, რაც ადრე გაგიკეთებია». [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვიხსნის, რომ ურწმუნო თუ ისლამს მიიღებს, დაჯილდოვდება იმ კეთილი საქმეებისთვის, რომლებიც მან ისლამამდე პერიოდში (ჯაჰილიაში) აკეთა, როგორიცაა საქველმოქმედო შემოწირულობები, მონების გათავისუფლება და ნათესავებთან ურთიერთობების შენარჩუნება.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ურწმუნო ამქვეყნიური კეთილი საქმეებისთვის არ დაჯილდოვდება იმქვეყნად, თუ ის ურწმუნოებაზე მოკვდება.

(65016)

(79) – عَنْ أَنَسِ بْنِ مَالِكٍ رضي الله عنه قَالَ: قَالَ رَسُولُ اللهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ: «إِنَّ اللهَ لَا يَظْلِمُ مُؤْمِنًا حَسَنَةً، يُعْطَى بِهَا فِي الدُّنْيَا وَيُجْزَى بِهَا فِي الْآخِرَةِ، وَأَمَّا الْكَافِرُ فَيُطْعَمُ بِحَسَنَاتِ مَا عَمِلَ بِهَا لِلَّهِ فِي الدُّنْيَا، حَتَّى إِذَا أَفْضَى إِلَى الْآخِرَةِ، لَمْ تَكُنْ لَهُ حَسَنَةٌ يُجْزَى بِهَا». [صحيح] - [رواه مسلم]

(79) – ანას ბინ მალიქის (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოცემით, მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ჭეშმარიტად, ალლაჰი არ ჩაგრავს მორწმუნეს კეთილ საქმეში: მას ჯილდოს აძლევს ამქვეყნად და ჯილდოს მისცემს იმქვეყნადაც. რაც შეეხება ურწმუნოს, ის ამქვეყნად იღებს კეთილი საქმეების სარგებელს, რომელიც ალლაჰისთვის გააკეთა, მაგრამ როდესაც იმქვეყნად გადავა, მისთვის არ დარჩება არანაირი კეთილი საქმე, რომლითაც დაჯილდოვდება». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა მუსლიმმა]

განმარტება:

ალლაჰის მოციქული (ალლაჰმა დალოცოს და მიესალმოს მას) განგვიმარტავს ალლაჰის წყალობის სიდიდეს მორწმუნეებზე და მის სამართლიანობას ურწმუნოებთან მიმართებაში. რაც შეეხება მორწმუნეს, მას კეთილი საქმის ჯილდო არ მოაკლდება; ამქვეყნადაც მიეცემა ჯილდო თავისი მორჩილების გამო, გარდა იმ ჯილდოსი, რომელიც მას იმქვეყნად ელოდება; ასევე შეიძლება მთელი ჯილდო მხოლოდ იმქვეყნად მისთვის შეინახოს. რაც შეეხება ურწმუნოს, ალლაჰი მას აძლევს ამქვეყნიურ ჯილდოს მისი კეთილი საქმეებისთვის, მაგრამ როდესაც იმქვეყნად გადადის, მისთვის აღარ არის არანაირი ჯილდო, რისთვისაც

დაჯილდოვდება. ეს იმიტომ, რომ ორივე სამყაროში სარგებლიანი კეთილი საქმის პატრონი უნდა იყოს მორწმუნე.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ვინც ურწმუნოებაზე მოკვდება, მისთვის არანაირი საქმე სარგებლის მომტანი არ იქნება.

(65015)

(80) – عن أبي هريرةَ رضي الله عنه عَنِ النَّبِيِّ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ، فِيمَا يَحْكِي عَنْ رَبِّهِ عَزَّ وَجَلَّ، قَالَ: «أَذْنَبَ عَبْدٌ ذَنْبًا، فَقَالَ: اللَّهُمَّ اغْفِرْ لِي ذَنْبِي، فَقَالَ تَبَارَكَ وَتَعَالَى: أَذْنَبَ عَبْدِي ذَنْبًا، فَعَلِمَ أَنَّ لَهُ رَبًّا يَغْفِرُ الذَّنْبَ، وَيَأْخُذُ بِالذَّنْبِ، ثُمَّ عَادَ فَأَذْنَبَ، فَقَالَ: أَيْ رَبِّ اغْفِرْ لِي ذَنْبِي، فَقَالَ تَبَارَكَ وَتَعَالَى: عَبْدِي أَذْنَبَ ذَنْبًا، فَعَلِمَ أَنَّ لَهُ رَبًّا يَغْفِرُ الذَّنْبَ، وَيَأْخُذُ بِالذَّنْبِ، ثُمَّ عَادَ فَأَذْنَبَ، فَقَالَ: أَيْ رَبِّ اغْفِرْ لِي ذَنْبِي، فَقَالَ تَبَارَكَ وَتَعَالَى: أَذْنَبَ عَبْدِي ذَنْبًا، فَعَلِمَ أَنَّ لَهُ رَبًّا يَغْفِرُ الذَّنْبَ، وَيَأْخُذُ بِالذَّنْبِ، اعْمَلْ مَا شِئْتَ فَقَدْ غَفَرْتُ لَكَ». [صحيح] - [متفق عليه]

(80) – გადმოცემულია აბუ ჰურაირასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მან თქვა: მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თავისი ყოვლისშემძლე და დიდებული უფლისგან გადმოსცა შემდეგი: «ერთი ალლაჰის მონა ჩაიდენდა ცოდვას და [გულწრფელად მოინანიებდა] ამბობდა: "ო, ალლაჰ, მაპატიე ჩემი ცოდვა!" ყოვლადმაღალი ალლაჰი

იტყოდა: „ჩემმა მონამ ჩაიდინა ცოდვა, მაგრამ იცის, რომ მას ჰყავს უფალი, რომელიც პატიობს ცოდვებს და სჯის მათ გამო! შემდეგ ის ისევ ჩაიდენდა ცოდვას და [გულწრფელად მოინანიებდა]: "ო, უფალო, მაპატიე ჩემი ცოდვა!" და ალლაჰი კვლავ ამბობდა: „ჩემმა მონამ ისევ ჩაიდინა ცოდვა, მაგრამ მან იცის, რომ მას ჰყავს უფალი, რომელიც პატიობს და სჯის ცოდვებისთვის! შემდეგ ის ისევ ჩაიდენდა ცოდვას და [გულწრფელად მოინანიებდა] კვლავ იტყოდა: "ო, უფალო, მაპატიე ჩემი ცოდვა!" და ალლაჰი ისევ ამბობდა: „ჩემმა მონამ ისევ ჩაიდინა ცოდვა, მაგრამ მან იცის, რომ მას ჰყავს უფალი, რომელიც პატიობს და სჯის ცოდვებისთვის! მე ვაპატიე ჩემს მონას, დაე, აკეთოს რაც უნდა“». [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გადმოსცემს თავისი უფლისგან, რომ როცა მონა ჩაიდენს ცოდვას და შემდეგ იტყვის: ო, ალლაჰ, მაპატიე ჩემი ცოდვა!, ყოვლისშემძლე ალლაჰი ამბობს: ჩემმა მონამ ჩაიდინა ცოდვა, და მან იცის, რომ მას ჰყავს უფალი, რომელიც პატიობს ცოდვებს და სჯის მათ გამო! და ის ფარავს მონის ცოდვას სხვა ადამიანებისგან და პატიობს მას და ამბობს: მე უკვე ვაპატიე მას! შემდეგ მონამ კვლავ ჩაიდინა ცოდვა და თქვა: ღმერთო, მაპატიე

ჩემი ცოდვა! ალლაჰმა უპასუხა: ჩემმა მონამ ჩაიდინა ცოდვა, მაგრამ მან იცის, რო მას ჰყავს უფალი, რომელიც პატიობს ცოდვებს და, სჯის მათ გამო! და ის ფარავს მათ ადამიანებისგან და პატიობს, და იტყვის: მე უკვე ვაპატიე ჩემს მონას! შემდეგ მონამ კვლავ ჩაიდინა ცოდვა და თქვა: ღმერთო, მაპატიე ჩემი ცოდვა! ალლაჰმა უპასუხა: ჩემმა მონამ ჩაიდინა ცოდვა, მაგრამ მან იცის, რო მას ჰყავს უფალი, რომელიც პატიობს ცოდვებს და სჯის მათ გამო! ფარავს მათ ადამიანებისგან და პატიობს მას, ალლაჰი იტყვის: მე უკვე ვაპატიე ჩემს მონას! დაე, მან აკეთოს ის, რაც სურს, სანამ ყოველი ცოდვის შემდეგ ის თავს ანებებს, ნანობს და მტკიცედ გადაწყვეტს მასთან არ დაბრუნებას. მაგრამ თუ მისი სული კვლავ აჯობებს და ის კვლავ ჩაიდენს ცოდვას, სანამ ის ცოდავს და ინანიებს, მე მას ვაპატიებ. ვინაიდან სინანული შლის ყველა წინარე ცოდვას.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ალლაჰის წყალობა უსაზღვროა თავისი მონების მიმართ, და მიუხედავად იმისა, როგორ სცოდავს ადამიანი და რასაც არ უნდა აკეთებდეს, თუ იგი ინანიებს და მიმართავს მას, ალლაჰი აპატიებს მას.
2. მორწმუნე, რომელსაც სწამს ალლაჰის, ყოვლისშემძლის, იმედოვნებს თავისი უფლის მიტევებას, მაგრამ ასევე შიშობს მისი სასჯელის.

ამიტომ ის ჩქარობს სინანულისკენ და არ აგრძელებს ურჩობას (ალლაჰის წინაშე).

3. ნამდვილი სინანულის პირობებია: პირველ რიგში, ცოდვის მიტოვება; მეორეც, გულწრფელი სინანული იმაზე, რაც ჩადენილია; და მესამეც, მტკიცე გადაწყვეტილება, რომ აღარ დაუბრუნდება ამ ცოდვას მომავალში. თუ სინანული დაკავშირებულია უსამართლობასთან, რაც გამოიხატება ფულის, ღირსების ან სიცოცხლის ხელყოფაში, მაშინ ემატება მეოთხე პირობა: უნდა სთხოვო პატიება დაზარალებულს ან დაუბრუნო ის, რაც მას ეკუთვნის.
4. ალლაჰის შესახებ ცოდნის მნიშვნელობა, რომელიც ეხმარება მონას, რომ წარმართოს თავისი საქმეები სწორად, გულწრფელად მოინანიოს ჩადენილი შეცდომა და არ ჩავარდეს სასოწარკვეთაში და არ გააგრძელოს ცოდვის ჩადენა.

(4817)

(81) – عن عَلِيٍّ قَالَ: إِنِّي كُنْتُ رَجُلًا إِذَا سَمِعْتُ مِنْ رَسُولِ اللهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ حَدِيثًا نَفَعَنِي اللهُ مِنْهُ بِمَا شَاءَ أَنْ يَنْفَعَنِي بِهِ، وَإِذَا حَدَّثَنِي رَجُلٌ مِنْ أَصْحَابِهِ اسْتَحْلَفْتُهُ، فَإِذَا حَلَفَ لِي صَدَّقْتُهُ، وَإِنَّهُ حَدَّثَنِي أَبُو بَكْرٍ، وَصَدَقَ أَبُو بَكْرٍ، قَالَ: سَمِعْتُ رَسُولَ اللهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ يَقُولُ: «مَا مِنْ رَجُلٍ يُذْنِبُ ذَنْبًا، ثُمَّ يَقُومُ فَيَتَطَهَّرُ، ثُمَّ يُصَلِّي، ثُمَّ

يَسْتَغْفِرُ اللهَ، إِلَّا غَفَرَ اللهُ لَهُ»، ثُمَّ قَرَأَ هَذِهِ الْآيَةَ: {وَالَّذِينَ إِذَا فَعَلُوا فَاحِشَةً أَوْ ظَلَمُوا أَنْفُسَهُمْ ذَكَرُوا اللهَ فَاسْتَغْفَرُوا لِذُنُوبِهِمْ} [آل عمران: 135]. [صحيح] - [رواه أبو داود والترمذي والنسائي في الكبرى وابن ماجه وأحمد]

(81) – გადმოცემულია, რომ 'ალიმ (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) თქვა: "მე ვიყავი პიროვნება, როცა გავიგონებდი ალლაჰის შუამავლიდან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) სიტყვას, ალლაჰი მაძლევდა იმით სარგებელს, რასაც ინებებდა რომ მიმეღო სარგებელი, ხოლო როცა საჰაბებიდან რომელიმე რამეს მომიყვებოდა, მე მას დაფიცებას ვთხოვდი, თუ დამიფიცებდა მე მას ვუჯერებდი. ერთხელ აბუ ბაქრმა მომიყვა - აბუ ბაქრი მართალი კაცი იყო - , მან თქვა: გავიგონე ალლაჰის შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამბობდა: «ნებისმიერი პიროვნება როცა ჩაიდენს ცოდვას, შემდეგ წამოდგება აიღებს აბდესს და ილოცებს, და შემდეგ სთხოვს შენდობას ალლაჰს, ალლაჰი შეუნდობს მას», შემდეგ წაიკითხა ეს აიათი: {ხოლო ისინი, რომელთაც ჩაიდინეს სიბილწე (ცოდვა) ან ავნეს საკუთარ თავს, გაიხსენონ ალლაჰი და შესთხოვონ პატიება ცოდვებისათვის} [ალი იმრან: 135]. [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა აბუ დაუდმა, ათ-თირმიზიმ, ან-ნასაიმ ალ-ქუბრაში, იბნ მააჯამ და აჰმადმა]

განმარტება:

შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამცნო, რომ რომელი მსახურიც ჩაიდენს ცოდვას, შემდეგ აბდესს აიღებს, შემდეგ წამოდგება და ილოცებს ორ მუხლ ლოცვას ამ ცოდვის მონანიების განზრახვით, შემდეგ სთხოვს ალლაჰს მიტევებას, ალლაჰი მიუტევებს მას. შემდეგ წაიკითხა მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უზენაესის სიტყვები: «ხოლო ისინი, რომელთაც ჩაიდინეს სიავე ან ავნეს საკუთარ თავს, გაიხსენონ ალლაჰი და შესთხოვონ პატიება ცოდვებისათვის. ხოლო ვინ მიუტევებს ალლაჰის გარდა?! და არ გააგრძელებენ იმას, რაც ჩაიდინეს მაშინ როცა მათ იციან». [ალი იმრან: 135]

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ცოდვების შემდეგ ლოცვისა და მონანიებისკენ წახალისება.
2. უზენაესი და ყოვლისშემძლე ალლაჰის უდიდესი გულუხვობა გამოიხატება მისი პატიების უნარში. ის იღებს მონების მონანიებას და მოწყალების თხოვნებს.

(65063)

(82) – عن أبي هريرةَ رضي الله عنه: أنَّ رسولَ اللهِ صلى الله عليه وسلم قال: «يَنْزِلُ رَبُّنَا تَبَارَكَ وَتَعَالَى كُلَّ لَيْلَةٍ إِلَى السَّمَاءِ الدُّنْيَا حِينَ يَبْقَى ثُلُثُ اللَّيْلِ الْآخِرُ، يَقُولُ: «مَنْ يَدْعُونِي فَأَسْتَجِيبَ لَهُ؟ مَنْ يَسْأَلُنِي فَأُعْطِيَهُ؟ مَنْ يَسْتَغْفِرُنِي فَأَغْفِرَ لَهُ؟». [صحيح] - [متفق عليه]

(82) – აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი გადმოსცემს), რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ჩვენი ღმერთი ყოვლადკეთილი და დიდებული ყოველ ღამე ჩამოდის დედამიწის ცაზე მაშინ, როცა რჩება ღამის მესამედი ნაწილი და ამბობს: "ვინ შემევედრება, რომ ვუპასუხო მას? ვინ მთხოვს, რომ მივცე მას? ვინ მთხოვს პატიებას, რომ ვაპატიო მას?» [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტა, რომ ყოვლადკეთილი და დიდებული ალლაჰი ჩამოდის ყოველ ღამე პირველ ცაზე მაშინ, როცა დარჩენილია ღამის ბოლო მესამედი ნაწილი, და მოუწოდებს მის მსახურებს, რომ შეევედრონ მას, და ის უპასუხებს მას ვინც შეევედრება, ახალისებს მათ, რომ ითხოვონ ის, რაც მათ სურთ და ის მისცემს რასაც სთხოვენ, და თვითონ არის პასუხისმგებელი, რომ მიუტევებს მათ ცოდვებს, ის არის მიმტევებელი თავისი მორწმუნე მსახურთათვის.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ღამის ბოლო მესამედი ნაწილის მადლიანობა, ლოცვის, ვედრების და მიტევების თხოვნა მაგ დროს.
2. მნიშვნელოვანია ადამიანისთვის, როცა მოისმენს ამ ჰადისს, რომ დიდი ყურადღება გამოიჩინოს და გამოიყენოს ის დროები, სადაც ვედრება უფრო მეტად მიღებულია.

(10412)

(83) – عن النُّعمان بن بَشير رضي الله عنه قال: سَمِعْتُ رَسُولَ اللهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ يَقُولُ -وَأَهْوَى النُّعْمَانُ بِإِصْبَعَيْهِ إِلَى أُذُنَيْهِ-: «إِنَّ الْحَلَالَ بَيِّنٌ وَإِنَّ الْحَرَامَ بَيِّنٌ، وَبَيْنَهُمَا مُشْتَبِهَاتٌ لَا يَعْلَمُهُنَّ كَثِيرٌ مِنَ النَّاسِ، فَمَنِ اتَّقَى الشُّبُهَاتِ اسْتَبْرَأَ لِدِينِهِ وَعِرْضِهِ، وَمَنْ وَقَعَ فِي الشُّبُهَاتِ وَقَعَ فِي الْحَرَامِ، كَالرَّاعِي يَرْعَى حَوْلَ الْحِمَى يُوشِكُ أَنْ يَرْتَعَ فِيهِ، أَلَا وَإِنَّ لِكُلِّ مَلِكٍ حِمًى، أَلَا وَإِنَّ حِمَى اللهِ مَحَارِمُهُ، أَلَا وَإِنَّ فِي الْجَسَدِ مُضْغَةً، إِذَا صَلَحَتْ صَلَحَ الْجَسَدُ كُلُّهُ، وَإِذَا فَسَدَتْ فَسَدَ الْجَسَدُ كُلُّهُ، أَلَا وَهِيَ الْقَلْبُ». [صحيح] - [متفق عليه]

(83) – ნუ'მაან იბნ ბაშირის გადმოცემით (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) რომ თქვა: გავიგონე ალლაჰის შუამავალი ამბობდა და ნუ'მაანმა მიუთითა თითებით თავისი ყურებისკენ: «ჭეშმარიტად, ნებადართულიც ნათელია და აკრძალულიც ნათელია, ხოლო მათ შორის

არის საეჭვო საკითხები, რომლის შესახებაც ბევრმა ადამიანმა არ იცის. ვინც ერიდება საეჭვოს, იცავს თავის რელიგიასა და ღირსებას, ხოლო ვინც ეწევა საეჭვოს, აუცილებლად ჩავარდება აკრძალულში, რადგან ის ჰგავს მწყემსს, რომელიც თავის ფარას დაცული ადგილის გარშემო აძოვებს, რომელიც შეიძლება იქ შევიდეს. ყოველი მბრძანებლისთვის არსებობს ასეთი წმინდა ადგილი, და ალლაჰის წმინდა ადგილია ის, რაც მან აუკრძალა ადამიანებს. ჭეშმარიტად, ადამიანის სხეულში არის ერთი ნაწილი, თუ ის კარგია, მთელი სხეული კარგია, ხოლო თუ გაფუჭებულია, მთელი სხეული გაფუჭებულია; და ეს ნაწილი გულია». [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

ალლაჰის შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტავს ზოგად წესთან დაკავშირებით და აღნიშნავს, რომ შარიათში ისინი სამ ნაწილად იყოფა: ცხადი ჰალალი (ნებადართული), ცხადი ჰარამი (აკრძალული) და საეჭვო საკითხები, რომელთა განკარგულება არ არის ნათელი, ჰალალია თუ ჰარამი. ამ საკითხების განაჩენი ადამიანებიდან ბევრმა არ იცის.

ვინც მიატოვებს საეჭვო საქმეებს, მისი რელიგია უსაფრთხოდ რჩება, რადგან იგი შორს დგას აკრძალულში ჩავარდნისგან. ასევე, მისი ღირსება

დაცულია ადამიანების საუბრისგან, რომლებიც შეიძლება განსჯიდნენ მას იმ საეჭვო საქმეების ჩადენის გამო. ხოლო ვინც არ ერიდება საეჭვო საქმეებს, ის საკუთარ თავს რისკის ქვეშ აყენებს: ან ჩავარდება აკრძალულში, ან მისი ღირსება შეილახება, რადგან ადამიანები დაიწყებენ მის განსჯას. შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მოიყვანა მაგალითი იმის ასახსნელად, თუ როგორი მდგომარეობაა იმ ადამიანისთვის, ვინც საეჭვო საქმეებს სჩადის: ის ჰგავს მწყემსს, რომელიც თავის პირუტყვს აძოვებს დაცულ მიწასთან ახლოს, რომელიც მისი პატრონის მიერ არის დაცული. პირუტყვს დიდი შანსი აქვს, რომ ამ დაცულ მიწაზე შევიდეს, რადგან ახლოსაა მასთან. ასევე, ვინც საეჭვო საქმეებს სჩადის, ის აკრძალულთან ახლოს მიდის და მალე შესაძლოა, რომ ჩავარდეს მასში. მის შემდეგ ამცნობა ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას), რომ სხეულში არის ხორცის ნაჭერი (ის გულია), რომელიც გახდის სხეულს კარგს და თუ ის გაფუჭდება, სხეულიც გაფუჭდება.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. მოწოდება საეჭვო საქმეების მიტოვებისკენ, რომლის განაჩენიც არ არის ნათელი და განმარტებული.

(4313)

(84) – عن ابن عباس رضي الله عنهما قال: كُنْتُ خَلْفَ رَسُولِ اللهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ يَوْمًا، فَقَالَ: «يَا غُلَامُ، إِنِّي أُعَلِّمُكَ كَلِمَاتٍ، احْفَظِ اللهَ يَحْفَظْكَ، احْفَظِ اللهَ تَجِدْهُ تُجَاهَكَ، إِذَا سَأَلْتَ فَاسْأَلِ اللهَ، وَإِذَا اسْتَعَنْتَ فَاسْتَعِنْ بِاللهِ، وَاعْلَمْ أَنَّ الْأُمَّةَ لَوِ اجْتَمَعَتْ عَلَى أَنْ يَنْفَعُوكَ بِشَيْءٍ، لَمْ يَنْفَعُوكَ إِلَّا بِشَيْءٍ قَدْ كَتَبَهُ اللهُ لَكَ، وَلَوِ اجْتَمَعُوا عَلَى أَنْ يَضُرُّوكَ بِشَيْءٍ، لَمْ يَضُرُّوكَ إِلَّا بِشَيْءٍ قَدْ كَتَبَهُ اللهُ عَلَيْكَ، رُفِعَتِ الْأَقْلَامُ وَجَفَّتِ الصُّحُفُ». [صحيح] - [رواه الترمذي]

(84) – იბნ აბბასისგან (ალლაჰი იყოს მისით და მისი მამით კმაყოფილი) გადმოცემულია, რომ მან თქვა: ერთხელ მე ვიჯექი შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უკან და მან მითხრა: «ო ყმაწვილო, მე შენ გასწავლი სიტყვებს: გახსოვდეს ალლაჰი და ის დაგიცავს შენ. გახსოვდეს ის და იპოვი მას შენს წინ, როცა შესთხოვ, შესთხოვე ალლაჰს და როცა გჭირდება დახმარება, სთხოვე დახმარება მხოლოდ ალლაჰს, და იცოდე ყველა ხალხი რომ შეიკრიბოს შენს დასახმარებლად, ვერ დაგეხმარებიან იმაზე მეტს, რაც უკვე დაწერა ალლაჰმა შენთვის, და ყველა ხალხი რომ შეიკრიბოს შენს წინააღმდეგ, ვერ გავნებენ იმაზე მეტს, რაც უკვე დაწერა ალლაჰმა შენთვის, კალამი აწეულია და ფურცლები გამშრალი». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა ათ-თირმიზიმ]

განმარტება:

იბნ აბბასი (ალლაჰი იყოს კმაყოფილი მისით) გადმოგვცემს, რომ ერთხელ, როცა ის პატარა იყო და მოციქულთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ერთად მიემგზავრებოდა (მის უკან იჯდა) და, მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უთხრა: ჭეშმარიტად, მე გასწავლი საქმეებსა და ცოდნას, რომელთა საშუალებითაც ალლაჰი მოგცემს სარგებელს: გახსოვდეს ალლაჰი, მის ბრძანებებზე მორჩილებით და მისი აკრძალვების თავიდან აცილებით, რათა ის ყოველთვის გხედავდეს მორჩილებისა და მასთან დაახლოვების გზაზე, და არა ცოდვებისა და დაუმორჩილებლობის გზაზე. თუ ასე მოიქცევი, ალლაჰი დაგიცავს უბედურებებისგან ამ ცხოვრებაში და მომდევნო ცხოვრებაში, და მოგანიჭებს მხარდაჭერასა და გამარჯვებას ყველა შენს მნიშვნელოვან საქმეში, საითკენაც არ უნდა წახვიდე.

თუ რაიმეს თხოვნა მოგინდება, არავის სთხოვო გარდა ალლაჰისა, რადგან მხოლოდ ის ერთია, ვისაც შეუძლია უპასუხოს მთხოვნელს.

თუ დახმარება მოგინდება არ სთხოვო ის არავის, გარდა ალლაჰისა.

გქონდეს მტკიცე რწმენა და დარწმუნებულობა იმაში, რომ ვერანაირ სარგებელს ვერ მიიღებ, თუნდაც

დედამიწაზე ყველა ადამიანი გაერთიანდეს იმისთვის, რომ დახმარება გაგიწიოს, გარდა იმისა, რაც ალლაჰმა შენთვის დააწესა. და ვერავინ ვერაფერს გავნებს, თუნდაც ყველა ადამიანი გაერთიანდეს და შენს წინააღმდეგ ბოროტება მოინდომოს, გარდა იმისა, რაც ალლაჰმა შენთვის წინასწარ განსაზღვრა.

და იცოდე, რომ ეს საქმე განსაზღვრულია ყოვლისშემძლე და დიდებული ალლაჰის მიერ, და მან ის თავისი სიბრძნისა და ცოდნის მიხედვით დააწესა. შეუძლებელია შეცვალო ის, რაც მან წინასწარ დაწერა.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ბავშვებისთვის რელიგიის სწავლის მნიშვნელობა, როგორიცაა ერთღმერთიანობა, ეთიკა და სხვა საკითხები.
2. საზღაური საქმეების შესაფერისია.
3. ბრძანება მხოლოდ ალლაჰზე მინდობაზე და არა სხვაზე მის გარდა, და ის საუკეთესო მფარველია.
4. რწმენა ბედისწერისა და კმაყოფილება იმით, რაც ალლაჰმა დაწერა. და რომ ყველაფერი ალლაჰის ნებით ხდება.
5. ვინც ალლაჰის ბრძანებებს უგულებელყოფს, მას ალლაჰი მფარველობის გარეშე დატოვებს და არ დაიცავს მას.

(4811)

(85) – عَنْ سُفْيان بنِ عَبْدِ اللهِ الثَّقَفِيّ رضي الله عنه قال: قُلْتُ: يَا رَسُولَ اللهِ، قُلْ لِي فِي الْإِسْلَامِ قَوْلًا لَا أَسْأَلُ عَنْهُ أَحَدًا غَيْرَكَ، قَالَ: «قُلْ: آمَنْتُ بِاللهِ، ثُمَّ اسْتَقِمْ». [صحيح] - [رواه مسلم وأحمد]

(85) – სუფიან ბინ აბდულლაჰ ას-საყაფი (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს: "(ერთხელ) მე ვთხოვე: ო, ალლაჰის შუამავალო, მითხარი ისლამის შესახებ ისეთი სიტყვები, რომ ამის შემდეგ მე აღარავის ვკითხავდი ამის შესახებ შენ შემდეგ". მან მიპასუხა: «თქვი: "მე მწამს ალლაჰის", შემდეგ კი სწორ გზას დაადექი». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა მუსლიმმა და აჰმადმა]

განმარტება:

საჰაბა სუფიან ბინ აბდულლაჰ (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) შეეკითხა შუამავალს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას), რომ ესწავლებინა მისთვის ერთი სიტყვა, რომელიც მთლიანად მოიცავდა ისლამს, რომელსაც ჩაეჭიდებოდა და სხვას აღარ კითხავდა. შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მას უთხრა: თქვი: 'მე ვაღიარებ ალლაჰის ერთობას და მწამს, რომ ის არის ჩემი უფალი, ჩემი ღმერთი, ჩემი შემოქმედი და ჩემი ერთადერთი თაყვანსაცემი, და მას არ ჰყავს თანაზიარი'. შემდეგ ადამიანი ემორჩილება ალლაჰის

ბრძანებებს, ასრულებს მის დაკისრებულ ვალდებულებებს, თავს არიდებს იმას, რაც მან აკრძალა, და ამ გზას მიჰყვება.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. რელიგიის საფუძველი არის რწმენა ალლაჰისადმი, მისი უფლობის, ღვთაებრიობის, ასევე მისი სახელებისა და თვისებებისადმი.
2. მნიშვნელოვანია მუდმივობა და სიმტკიცე რწმენის შემდეგ, თაყვანისცემის გაგრძელება და ამ გზაზე მყარად დარჩენა.
3. რწმენა საქმეების მიღების პირობაა.
4. ალლაჰის რწმენა მოიცავს ყველაფერს, რისი რწმენაც აუცილებელია მრწამსის საკითხებში და ფუძეებში. შემდეგ რაც მოსდევს მას გულის საქმეებიდან, მორჩილება და სრულიად დამორჩილება ალლაჰს ღია თუ დაფარული ქმედებებით.
5. სწორ გზაზე დგომა არის ისლამის გზით ცხოვრება ვალდებულებების შესრულებით და აკრძალულების მიტოვებით.

(65018)

(86) – عَنِ النُّعْمَانِ بْنِ بَشِيرٍ رضي الله عنه قَالَ: قَالَ رَسُولُ اللهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ: «مَثَلُ الْمُؤْمِنِينَ فِي تَوَادِّهِمْ وَتَرَاحُمِهِمْ وَتَعَاطُفِهِمْ مَثَلُ الْجَسَدِ، إِذَا اشْتَكَى مِنْهُ عُضْوٌ تَدَاعَى لَهُ سَائِرُ الْجَسَدِ بِالسَّهَرِ وَالْحُمَّى». [صحيح] - [متفق عليه]

(86) – გადმოცემულია ან-ნუ'მაან იბნ ბაშირისგან, რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «მორწმუნეთა მაგალითი ურთიერთსიყვარულში, მოწყალებაში და თანაგრძნობაში ჰგავს სხეულს: თუ მისი რომელიმე ნაწილი იტანჯება, მთლიანი სხეული უპასუხებს უძილობითა და სიცხით». [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტა, რომ მუსლიმების ურთიერთობა ერთმანეთთან უნდა ეფუძნებოდეს სიკეთის სურვილს, მოწყალებას, დახმარებასა და მხარდაჭერას. მათ უნდა იგრძნონ ტკივილი, თუ ვინმე მათგან ზიანს მიიღებს, როგორც ერთი სხეულის ნაწილები. როდესაც სხეულის რომელიმე ნაწილი დაავადდება, მთელი სხეული რეაგირებს უძილობითა და სიცხით.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. მუსლიმთა უფლებების პატივისცემა უდიდესი

მნიშვნელობის მქონეა, და აუცილებელია მათი წახალისება ურთიერთდახმარების, თანადგომისა და კეთილგანწყობისკენ.

2. მორწმუნეთა შორის უნდა არსებობდეს სიყვარული და ურთიერთმხარდაჭერა.

(4969)

(87) – عن عثمان بن عفّان رضي الله عنه قال: قال رسول الله صلى الله عليه وسلم: «مَنْ تَوَضَّأَ فَأَحْسَنَ الْوُضُوءَ خَرَجَتْ خَطَايَاهُ مِنْ جَسَدِهِ حَتَّى تَخْرُجَ مِنْ تَحْتِ أَظْفَارِهِ».

[صحيح] - [رواه مسلم]

(87) – გადმოცემულია ‘უსმან იბნ ‘აფფანისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ვინც საუკეთესო ფორმით აიღებს აბდესს, მისი ცოდვები დატოვებს მის სხეულს, ისინი გამოვა მისი ფრჩხილების ძირებიდანაც კი». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა მუსლიმმა]

განმარტება:

შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნობს, რომ ვინც აბდესს სუნნისს და მისი ნორმების დაცვით აიღებს, ეს იქნება მისი ცოდვების გაბათილების და შეცდომების წაშლის მიზეზი. "გამოვა" - ანუ, მისი ცოდვები მისი ხელის და ფეხის ფრჩხილის ძირებიდან გამოვა.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. წახალისება იმაზე, რომ ყურადღება მიექცეს აბდესის სუნნათების და წესების სწავლას და შემდეგ მისით მოქმედებას.
2. აბდესის მადლიანობა, რაც არის პატარა ცოდვების წაშლის მიზეზი, ხოლო დიდ ცოდვებს აუცილებლად მონანიება სჭირდება.
3. ცოდვების გამოსვლის პირობა არის აბდესის სრულფასოვნად და უნაკლოდ შესრულება ყოველგვარი ნაკლის და დარღვევის გარეშე ისე, როგორც შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტა ის.
4. ამ ჰადისში ცოდვების წაშლა დამოკიდებულია დიდი ცოდვებისგან შორს ყოფნასა და მათ მონანიებაზე, უზენაესი ამბობს: «თუ გაემიჯნებით მძიმე ცოდვებს, რაც გეკრძალებათ, მოგიტევებთ თქვენს ცოდვებს და შეგიყვანთ ღირსეულ შესასვლელში!» [ან-ნისა: 31]

(6263)

(88) – عَنْ أَبِي هُرَيْرَةَ رضي الله عنه عَنِ النَّبِيِّ صلى الله عليه وسلم قَالَ: «لَا يَقْبَلُ اللهُ صَلَاةَ أَحَدِكُمْ إِذَا أَحْدَثَ حَتَّى يَتَوَضَّأَ». [صحيح] - [متفق عليه]

(88) – გადმოცემულია აბუ ჰურაირასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ალლაჰი არ მიიღებს რომელიმე თქვენგანის ლოცვას, თუ მას ლოცვის წინა განბანვა მოეშალა, სანამ არ შეასრულებს განბანვას (ვუდუს)». [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტა, რომ ლოცვის მოქმედების ერთ-ერთი აუცილებელი პირობა არის რიტუალური სიწმინდის დაცვა. შესაბამისად, ის, ვისაც სურს ლოცვის აღსრულება, ვალდებულია შეასრულოს განბანვა (ვუდუ), თუ მას დაემართა რაიმე ისეთი, რაც არღვევს განბანვას, როგორიცაა კუჭის დაცლა, შარდვა, ძილი და სხვა ქმედებები, რომლებიც არღვევს სიწმინდეს.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ლოცვა იმ ადამიანის, რომელიც იმყოფება უწმინდურ მდგომარეობაში, არ მიიღება, სანამ არ განიწმინდება სრული განბანვით (ღუსლი) დიდი უწმინდურობისგან და მცირე განბანვით (ვუდუ) მცირე უწმინდურობისგან.
2. განბანვა (ვუდუ) მოიცავს შემდეგ ქმედებებს: წყლის აღება ხელებში და პირის გამოვლება,

შემდეგ მისი გადაფურთხება.

3. წყლის ცხვირში ჩასუნთქვა და შემდეგ გამოყვანა ცხვირის გაწმენდით, სახის დაბანა სამჯერ, ხელების დაბანა იდაყვებამდე სამჯერ, ხელების დასველებით მთლიანი თავის ერთხელ გადაწმენდა, ბოლოს, ორივე ფეხის დაბანა ტერფებამდე სამჯერ.

(3534)

(89) – عَنْ جَابِرٍ رضي الله عنه قال: أَخْبَرَنِي عُمَرُ بْنُ الْخَطَّابِ: أَنَّ رَجُلًا تَوَضَّأَ فَتَرَكَ مَوْضِعَ ظُفُرٍ عَلَى قَدَمِهِ فَأَبْصَرَهُ النَّبِيُّ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ فَقَالَ: «ارْجِعْ فَأَحْسِنْ وُضُوءَكَ» فَرَجَعَ، ثُمَّ صَلَّى. [صحيح بشواهده] - [رواه مسلم]

(89) – ჯაბირისაგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოცემულია, რომ მან თქვა: 'უმარ იბნ ალ-ხატტაბმა მითხრა: რომ ერთმა კაცმა აიღო აბდესი, მაგრამ ფეხის თითზე ფრჩხილის ზომის ადგილი დარჩა მშრალი. ეს მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) დაინახა და უთხრა: «დაბრუნდი და სრულყოფილად აიღე აბდესი». კაცი დაბრუნდა, სრულყოფილად აიღო აბდესი და შემდეგ ლოცვა შეასრულა. [სანდო მისი მოწმეებით] - [გადმოსცა მუსლიმმა]

განმარტება:

უმარი (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი)

გადმოსცემს, რომ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) დაინახა კაცი, რომელმაც აბდესი აიღო, მაგრამ ფეხზე ფრჩხილის ზომის ადგილი დარჩა, რომელსაც აბდესის წყალი არ შეხებია. მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მას მიუთითა გამომშრალ ადგილზე და უთხრა: დაბრუნდი, სრულყოფილად აიღე აბდესი, და თითოეულ ორგანოს მიაწვდინე მისი წილი წყალი. მამაკაცი დაბრუნდა, სრულყოფილად აიღო აბდესი და შემდეგ ლოცვა შეასრულა.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. სავალდებულოა სწრაფად მოწოდება სასურველისკენ და უმეცარისა და უგულისხმოსთვის დარიგება, განსაკუთრებით მაშინ, როცა მათმა ქმედებამ, რომელიც რელიგიაში დაგმობილია, შეიძლება მათი თაყვანისცემის მიუღებლობა გამოიწვიოს.
2. აუცილებელია აბდესის ორგანოების მთლიანად წყლით დაფარვა, და ვინც ორგანოს რომელიმე ნაწილს - თუნდაც უმნიშვნელოს - დატოვებს დაუბანელს, მისი აბდესი არ იქნება სწორი და ვალდებულია თავიდან გაიმეოროს, თუ შუალედი დიდი დროით გაიწელა.
3. აბდესის სრულყოფილად შესრულება შარიათის

მიხედვით დადგენილი ქმედებაა, რაც გულისხმობს მის სრულად და საფუძვლიანად შესრულებას ისე, როგორც ეს განსაზღვრულია შარიათით.

4. ფეხები აბდესის ორგანოებია და მხოლოდ მათზე ხელის გადასმა საკმარისი არ არის; აუცილებელია მათი დაბანა.
5. აუცილებელია აბდესის ორგანოების მიყოლებით დაბანა, ისე რომ თითოეული ორგანო დაიბანოს მანამდე, სანამ წინა ორგანო გაშრება.
6. უვიცობა და დავიწყება არ ათავისუფლებს ვალდებულებისგან, არამედ მხოლოდ ცოდვისგან ათავისუფლებს. ეს კაცი, რომელმაც აბდესი სრულყოფილად არ შეასრულა უცოდინრობის გამო, შუამავალმა(ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) არ გაათავისუფლა ვალდებულებისგან, რომელიც აბდესის სრულყოფილი შესრულებაა, არამედ უბრძანა, რომ თავიდან გაემეორებინა.

(8386)

(90) – **عن عَمْرُو بْنُ عَامِرٍ عَنْ أَنَس بن مالك قَالَ: كَانَ النَّبِيُّ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ يَتَوَضَّأُ عِنْدَ كُلِّ صَلَاةٍ، قُلْتُ: كَيْفَ كُنْتُمْ تَصْنَعُونَ؟ قَالَ: يُجْزِئُ أَحَدَنَا الْوُضُوءُ مَا لَمْ يُحْدِثْ.** [صحيح] - [رواه البخاري]

(90) – 'ამრ იბნ 'აამირი გადმოსცემს ანას იბნ მაალიქისგან (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი): "მოციქული მუჰამედი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ყოველი ლოცვის წინ პატარა განბანვას აკეთებდა". მე ვკითხე: „როგორ იქცეოდით თქვენ?“ მან უპასუხა: „ჩვენთვის საკმარისი იყო ერთხელ გაკეთებული პატარა განბანვა, სანამ არ დაგვერღვეოდა მისი მდგომარეობა". [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა ალ-ბუხარიმ]

განმარტება:

ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ყოველი სავალდებულო ლოცვისთვის პატარა განბანვას აკეთებდა, თუნდაც მისი აბდესი არ დარღვეულიყო; ამ ქმედებით ის ჯილდოსა და სიკეთის მოპოვებას ცდილობდა.

მუსლიმს შეუძლია აღასრულოს ერთი აბდესით რამოდენიმე სავალდებულო ლოცვა, სანამ მისი აბდესი არ მოშლილა.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უმეტესი ქმედება იყო ყოველი ლოცვისთვის აბდესის გაკეთება, სრულყოფილების მიღწევის მიზნით.
2. ყოველი ლოცვისთვის აბდესის აღება სასურველია.

3. ერთი აბდესით რამდენიმე ლოცვის შესრულება დაშვებულია.

(65080)

(91) – عَنِ ابْنِ عَبَّاسٍ رضي الله عنهما قَالَ: تَوَضَّأَ النَّبِيُّ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ مَرَّةً مَرَّةً. [صحيح] - [رواه البخاري]

(91) – გადმოცემულია იბნ აბბასისგან (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი), რომ მან თქვა: "ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განბანვას აკეთებდა სხეულის თითოეული ნაწილის ერთხელ დაბანით". [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა ალ-ბუხარიმ]

განმარტება:

ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ზოგჯერ აბდესის აღებისას სხეულის თითოეულ ნაწილს ერთხელ იბანდა. ის იბანდა სახეს (რომელშიც შედის პირში გამოვლება და ცხვირში წყლის შეყვანა), ხელებს და ფეხებს ერთხელ. ეს არის სავალდებულო მინიმუმი, რომელიც განბანვისას უნდა შესრულდეს.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. სავალდებულოა ორგანოების ერთჯერადი განბანვა. რაც ამ რაოდენობას აჭარბებს, არის

სასურველი.

2. შარიათით ნებადართულია ზოგჯერ განბანვის შესრულება, რომლის დროსაც ორგანოები ერთხელ განიბანება.
3. შარიათით ნებადართულია თავის ერთი გასმით გაწმენდა განბანვის დროს.

(65081)

(92) – عَنْ عَبْدِ اللهِ بْنِ زَيْدٍ رضي الله عنه: أَنَّ النَّبِيَّ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ تَوَضَّأَ مَرَّتَيْنِ مَرَّتَيْنِ. [صحيح] - [رواه البخاري]

(92) – გადმოცემულია აბულლაჰ ბინ მას'უდისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი): რომ ალლაჰის მოციქულს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განბანვა შეუსრულებია, სხეულის ნაწილების ორ-ორჯერ განბანვით. [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა ალ-ბუხარიმ]

განმარტება:

ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ზოგჯერ აბდესის შესრულებისას სხეულის თითოეულ ნაწილს ორჯერ იბანდა, ის ორჯერ იბანდა სახეს (რომელშიც შედის პირში წყლის გამოვლება და ცხვირში წყლის შეყვანა), ხელებსა და ფეხებს.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. სავალდებულოა ორგანოების ერთჯერადი განბანვა. რაც ამ რაოდენობას აჭარბებს, არის სასურველი.
2. შარიათით ნებადართულია ზოგჯერ განბანვის შესრულება, რომლის დროსაც ორგანოები ორ-ორჯერ განიბანება.
3. შარიათით ნებადართულია თავის ერთი გასმით გაწმენდა განბანვის დროს.

(65082)

(93) – عَنْ حُمْرَانَ مَوْلَى عُثْمَانَ بْنِ عَفَّانَ رضي الله عنه: أَنَّهُ رَأَى عُثْمَانَ بْنَ عَفَّانَ دَعَا بِوَضُوءٍ، فَأَفْرَغَ عَلَى يَدَيْهِ مِنْ إِنَائِهِ، فَغَسَلَهُمَا ثَلَاثَ مَرَّاتٍ، ثُمَّ أَدْخَلَ يَمِينَهُ فِي الْوَضُوءِ، ثُمَّ تَمَضْمَضَ وَاسْتَنْشَقَ وَاسْتَنْثَرَ، ثُمَّ غَسَلَ وَجْهَهُ ثَلَاثًا، وَيَدَيْهِ إِلَى الْمِرْفَقَيْنِ ثَلَاثًا، ثُمَّ مَسَحَ بِرَأْسِهِ، ثُمَّ غَسَلَ كُلَّ رِجْلٍ ثَلَاثًا، ثُمَّ قَالَ: رَأَيْتُ النَّبِيَّ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ يَتَوَضَّأُ نَحْوَ وُضُوئِي هَذَا، وَقَالَ: «مَنْ تَوَضَّأَ نَحْوَ وُضُوئِي هَذَا ثُمَّ صَلَّى رَكْعَتَيْنِ لَا يُحَدِّثُ فِيهِمَا نَفْسَهُ غَفَرَ اللهُ لَهُ مَا تَقَدَّمَ مِنْ ذَنْبِهِ». [صحيح] - [متفق عليه]

(93) – ჰუმრანმა, 'უსმან იბნ 'აფფანის (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გათავისუფლებულმა მონამ თქვა, რომ იხილა, როგორ ბრძანა ერთ დღეს 'უსმანმა წყლის მოტანა განბანვისთვის. როცა წყალი მოიტანეს, მან სამჯერ დაისხა წყალი ხელებზე და სამჯერ დაიბანა

ხელის მტევნები. შემდეგ ჩაუშვა მარჯვენა ხელი წყლის ჭურჭელში, აიღო წყალი და გამოივლო პირი და ცხვირი. ამის შემდეგ სამჯერ დაიბანა სახე და ხელები იდაყვებამდე, შემდეგ სველი ხელებით მოიწმინდა თავი და სამჯერ დაიბანა ფეხები. შემდეგ თქვა: «მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: 'ვინც განიბანს ისე, როგორც მე განვიბანე, და შემდეგ ორ რაქათს შეასრულებს ისე, რომ არაფერზე იფიქრებს ამ დროს, მას მისი წინა ცოდვები მიეტევება». [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

'უსმანმა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) ასწავლა აბდესის შესრულების წესი, რომელსაც მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ასრულებდა. მან ეს პრაქტიკულად აჩვენა, რათა სწავლება რაც შეიძლება გასაგები ყოფილიყო. მან მოითხოვა მოეტანათ წყალი ჭურჭლით, შემდეგ სამჯერ დაიბანა ხელები, შემდეგ მარჯვენა ხელით აიღო წყალი ჭურჭლიდან, გამოივლო პირი, წყალი ღრმად შეისუნთქა ცხვირით და გამოაქცია. ამის შემდეგ სამჯერ დაიბანა სახე, სამჯერ დაიბანა ხელები იდაყვებამდე, სველი ხელით ერთხელ მოიწმინდა თავი და ბოლოს სამჯერ დაიბანა ფეხები კოჭების ჩათვლით.

როდესაც 'უსმანი (ალლაჰი იყოს მისით

კმაყოფილი) მის შესრულებას მორჩა, აუწყა მათ, რომ მან მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) იხილა თუ როგორ ასრულებდა აბდესს. მან გაახარა ისინი იმით, რომ ვინც ასეთ განბანვას შეასრულებს და შემდეგ 2 რაქათს ილოცებს, გულმოდგინედ, თავმდაბლობით და გულწრფელად თავისი ღმერთის, დიდებული და ძლევამოსილი ალლაჰის წინაშე, ალლაჰი მას ამ სრული აბდესისთვის და გულწრფელი ლოცვისთვის აპატიებს მის წარსულ ცოდვებს.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. სასურველი ქმედებაა ხელების დაბანა ჭურჭელში ჩაყოფამდე აბდესის დასაწყისში, თუნდაც ადამიანი არ იყოს ძილისგან გამოფხიზლებული. ხოლო თუ ის ღამის ძილის შემდეგ იღვიძებს, ხელების დაბანა სავალდებულოა.
2. მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს ყველაზე მარტივი და ეფექტური გზები, რათა გაუგებრობა აირიდოს თავიდან და ცოდნა უკეთ განამტკიცოს მოსწავლეში. ეს მოიცავს სწავლას საქმით.
3. მლოცველმა უნდა განდევნოს ფიქრები, რომლებიც დაკავშირებულია მიწიერ საქმეებთან, რადგან ლოცვის სრულყოფილება და სრულყოფა გულის თანდასწრებაში მდგომარეობს მისი შესრულების დროს. თუმცა, ფიქრების თავიდან ბოლომდე

განდევნა შეუძლებელია, ამიტომ მორწმუნემ უნდა იბრძოლოს საკუთარ თავთან და არ დანებდეს ამ ფიქრებს.

4. სასურველია თითოეული ორგანოს განბანვა მარჯვენა მხრიდან დაწყებით.
5. კანონიერია თანმიმდევრობის დაცვა პირის გამოვლებასა და ცხვირის განბანვას შორის აბდესის შესრულების დროს.
6. სასურველია სახის, ხელების და ფეხების სამჯერ განბანვა აბდესის აღების დროს, ხოლო სავალდებულო არის ერთჯერ განბანვა.
7. ალლაჰის მიმტევებლობა წინათ ჩადენილი ცოდვებისთვის დამოკიდებულია ორი საქმის შესრულებაზე: აბდესის აღება და ორი რაქათის ლოცვა, იმ სახით, როგორც ეს ჰადისშია აღწერილი.
8. თითოეული სხეულის ორგანოსთვის, რომელიც განბანვის (ვუდუს) დროს იხსენიება, განსაზღვრულია საზღვრები. სახის საზღვარი არის: თავზე ჩვეულებრივი თმის ზრდის ადგილიდან წვერის და ნიკაპის ქვედა ნაწილამდე სიგრძეში, და ერთი ყურიდან მეორემდე სიგანეში. ხელის საზღვარი: თითის ბოლოებიდან იდაყვამდე, რომელიც არის სახსარი, რომელიც უკავშირდება წინამხარს და მხარს. თავის

საზღვარი: სახის გვერდებზე ჩვეულებრივი თმის ზრდის ადგილიდან კისრის ზედა ნაწილამდე. ყურების გასაწმენდიც თავის საზღვრებში შედის. ფეხის საზღვარი: მთელი ფეხის ტერფი, მათ შორის სახსარი, რომელიც ტერფსა და წვივს შორის მდებარეობს.

(3313)

(94) – عَنْ أَبِي هُرَيْرَةَ رضي الله عنه أَنَّ رَسُولَ اللَّهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ قَالَ: «إِذَا تَوَضَّأَ أَحَدُكُمْ فَلْيَجْعَلْ فِي أَنْفِهِ ثُمَّ لِيَنْثُرْ، وَمَنِ اسْتَجْمَرَ فَلْيُوتِرْ، وَإِذَا اسْتَيْقَظَ أَحَدُكُمْ مِنْ نَوْمِهِ فَلْيَغْسِلْ يَدَهُ قَبْلَ أَنْ يُدْخِلَهَا فِي وَضُوئِهِ، فَإِنَّ أَحَدَكُمْ لاَ يَدْرِي أَيْنَ بَاتَتْ يَدُهُ».

ولفظ مسلم: «إِذَا اسْتَيْقَظَ أَحَدُكُمْ مِنْ نَوْمِهِ فَلَا يَغْمِسْ يَدَهُ فِي الْإِنَاءِ حَتَّى يَغْسِلَهَا ثَلَاثًا، فَإِنَّهُ لَا يَدْرِي أَيْنَ بَاتَتْ يَدُهُ». [صحيح] - [متفق عليه]

(94) – აბუ ჰურაირამ (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «როდესაც რომელიმე თქვენგანი ასრულებს მცირე განბანვას (ვუდუ), უნდა ჩაისუნთქოს წყალი ცხვირში და შემდეგ ამოისუნთქოს ის, ხოლო თუ ასრულებს გაწმენდას ქვებით, უნდა გააკეთოს ეს კენტი რაოდენობით». «და თუ რომელიმე თქვენგანი გაიღვიძებს, უნდა დაიბანოს ხელები, სანამ აბდესისთვის წყლის ჭურჭელში ჩააწყობს, რადგან არავინ იცის, სად იყო მისი ხელი ღამით». მუსლიმის

ვერსიაში ნათქვამია: «თუ რომელიმე თქვენგანი იღვიძებს ძილიდან, ნუ ჩააწყობს ხელს ჭურჭელში, სანამ სამჯერ არ დაიბანს, რადგან მან არ იცის, სად იყო მისი ხელი ღამით». [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტა სისუფთავის ზოგიერთი წესი, ესენია: პირველი: ის, ვინც ასრულებს განბანვას, უნდა ჩაისუნთქოს წყალი ცხვირით და შემდეგ ისევ ცხვირით ამოისუნთქოს იგი. მეორე: ის, ვისაც სურს განიწმინდოს საჭიროების დაკმაყოფილების შემდეგ წყლის გამოყენების გარეშე, ქვების ან მსგავსი ნივთების დახმარებით, უნდა გააკეთოს ეს კენტი რაოდენობით, მინიმუმ — სამჯერ. რაც შეეხება მაქსიმუმს, მან უნდა განაგრძოს მანამ, სანამ სიბინძურე არ გაქრება და ადგილი სრულად არ გასუფთავდება. მესამე: ის, ვინც ღამის ძილის შემდეგ იღვიძებს, არ უნდა ჩაუშვას ხელის მტევნები წყლის ჭურჭელში განბანვისთვის, სანამ არ დაიბანს მათ სამჯერ ამ ჭურჭლის მიღმა. ეს იმიტომ, რომ მან არ იცის, სად იმყოფებოდა მისი ხელები ძილის დროს. იგი არ არის დაცული იმისგან, რომ ხელები არ ყოფილიყო დაბინძურებული. შესაძლოა, შაიტანმა მოახერხა, რომ მათზე აღმოჩნდეს რაღაც, რაც ზიანს აყენებს ადამიანს ან აბინძურებს წყალს.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. აბდესის დროს წყლის შესუნთქვა აუცილებელია, ეს არის: ცხვირში წყლის მიწოდება შესუნთქვის საშუალებით, და აუცილებელია გამოსუნთქვა, რაც ნიშნავს: ცხვირიდან წყლის გამოშვება გამოსუნთქვის საშუალებით.
2. სასურველია სიბინძურის გაწმენდა ქვებით (ან მსგავსი ნივთებით) კენტი რაოდენობით.
3. დილით გაღვიძების შემდეგ ხელების დაბანის დაკანონება.

(3033)

(95) – عَنِ ابْنِ عَبَّاسٍ رضي الله عنهما قَالَ: مَرَّ النَّبِيُّ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ بِقَبْرَيْنِ، فَقَالَ: «إِنَّهُمَا لَيُعَذَّبَانِ، وَمَا يُعَذَّبَانِ فِي كَبِيرٍ، أَمَّا أَحَدُهُمَا فَكَانَ لَا يَسْتَتِرُ مِنَ البَوْلِ، وَأَمَّا الآخَرُ فَكَانَ يَمْشِي بِالنَّمِيمَةِ» ثُمَّ أَخَذَ جَرِيدَةً رَطْبَةً، فَشَقَّهَا نِصْفَيْنِ، فَغَرَزَ فِي كُلِّ قَبْرٍ وَاحِدَةً، قَالُوا: يَا رَسُولَ اللَّهِ، لِمَ فَعَلْتَ هَذَا؟ قَالَ: «لَعَلَّهُ يُخَفِّفُ عَنْهُمَا مَا لَمْ يَيْبَسَا».

[صحيح] - [متفق عليه]

(95) – გადმოცემულია იბნ აბბასისგან (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი), რომ მან თქვა: შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ორ სასაფლაოს ჩაუარა და თქვა: «ჭეშმარიტად, ორივე მათგანი ისჯება, და არ ისჯებიან დიდი ცოდვების გამო. ერთი მათგანი

შარდს არ უფრთხილდებოდა (არ სუფთავდებოდა), ხოლო მეორე ჭორებს ავრცელებდა, შემდეგ აიღო პალმის ნედლი ფოთოლი და ორად გაყო და ჩაარჭო ყოველ სასაფლაოზე თითო, მას ჰკითხეს: ო, ალლაჰის შუამავალო, რატომ გააკეთე ეს? მან თქვა: «იმედია, ამის გახმობამდე ცოტა შეუმსუბუქდებათ (ტანჯვა)». [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ორ სასაფლაოს ჩაუარა, და თქვა: ამ ორი სასაფლაოს მკვიდრი ისჯება (საფლავის სასჯელით); და თქვენი შეხედულებით დიდი ცოდვის გამოც არ ისჯებიან ისინი, თუმცაღა ალლაჰის წინაშე ის დიდი ცოდვაა. ერთ-ერთი მათგანი ყურადღებას არ აქცევდა ტანსაცმლის და სხეულის სისუფთავეს, არ იწმინდებოდა შარდისგან, როცა მოთხოვნას იკმაყოფილებდა. ხოლო მეორე ადამიანთა შორის ჭორებს ავრცელებდა, სხვისი სიტყვების გადამცემი იყო იმ მიზნით, რომ ზიანი მიეყენებინა და ადამიანთა შორის განხეთქილება და უთანხმოება ჩამოეგდო.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ჭორაობა და შარდისგან არ გასუფთავება არის დიდი ცოდვებიდან და ის არის საფლავის

სასჯელის მიზეზთაგანი.

2. დიადმა ალლაჰმა გამოავლინა ზოგიერთი დაფარული საკითხი, როგორიცაა სამარხში წამება, რათა დაემტკიცებინა მუჰამმადის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) წინასწარმეტყველების ჭეშმარიტება.
3. ეს ქმედება, რომელიც მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განახორციელა, როდესაც ორი პალმის რტო გაჭრა და სამარხებზე დაალაგა, იყო მხოლოდ მისთვის მინიჭებული განსაკუთრებულობა, რადგან ალლაჰმა მას გაუმხილა იმ ადამიანების მდგომარეობა, ვინც ამ სამარხებში იმყოფებოდა. ეს არ ვრცელდება სხვებზე, რადგან არავინ იცის, რა ხდება სამარხის მცხოვრებლებთან.

(3010)

(96) – عَنْ أَنَسٍ رضي الله عنه قَالَ: كَانَ النَّبِيُّ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ إِذَا دَخَلَ الخَلاَءَ قَالَ: «اللَّهُمَّ إِنِّي أَعُوذُ بِكَ مِنَ الخُبُثِ وَالخَبَائِثِ». [صحيح] - [متفق عليه]

(96) – გადმოცემულია ანასისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მან თქვა: "შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) როცა შედიოდა საპირფარეშოში (შესვლის წინ) ამბობდა: «ღმერთო ჩემო,

შენ შეგეფარები ქალი და კაცი ჯინებისგან /ალლაჰუმმა ინიი ა'უუზუბიქა მინალ ხუბუსი ვალ ხაბააისი». [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) როცა გადაწყვეტდა საჭირო ოთახში შესვლას დიდი თუ პატარა მოთხოვნილებისთვის, ალლაჰს მიეკედლებოდა, რომ ყოფილიყო დაცული ქალი და კაცი ჯინების ბოროტებისგან. "ხუბუსი და ხაბააისი", ასევე განმარტეს, როგორც ბოროტებად და სიბინძურედ.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. სასურველია საპირფარეშოში შესვლისას ამ ვედრების წარმოთქმა.
2. ყველა ქმნილებას ნებისმიერ მდგომარეობაში სჭირდება მათი ღმერთისგან დაცვა ყოველი იმისგან, რაც მათ აწუხებთ ან მათ ზიანს მიაყენებს.

(3150)

(97) – عن عائشةَ رضي الله عنها قالتْ: قال رسولُ الله صلى الله عليه وسلم: «السِّوَاكُ مَطْهَرَةٌ لِلْفَمِ، مَرْضَاةٌ لِلرَّبِّ». [صحيح] - [رواه النسائي وأحمد]

(97) – აიშასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოცემულია, რომ მან თქვა: რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა:

«სივაქი პირის სისუფთავე და ალლაჰის კმაყოფილების მიზეზია». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა ალ-ნასაიმ და აჰმადმა]

განმარტება:

მოციქული მუჰამმადი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნობს, რომ არაქის ხის ტოტით (სივაქით) და მსგავსი საშუალებებით კბილების გასუფთავება წმენდს პირს ჭუჭყისა და უსიამოვნო სუნისაგან. და ის (სივაქი) ალლაჰის მონისადმი კმაყოფილების მიზეზთაგანია, რადგან მასშია ალლაჰის მორჩილება და მისი ბრძანების შესრულება, ასევე სისუფთავე, რომელიც უზენაეს ალლაჰს უყვარს.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. სივაქის სიკეთე და მოციქული მუჰამმადის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მოწოდება მისი ხშირი გამოყენებისკენ.
2. კბილების გასუფთავებისთვის საუკეთესოა არაქის (სივაქი) ხის ტოტის გამოყენება, ხოლო ჯაგრისი და კბილის პასტა მისი ალტერნატივაა.

(3588)

(98) – عن أبي هريرةَ قال: قال رسولُ اللهِ صلى الله عليه وسلم: «حَقٌّ عَلَى كُلِّ مُسْلِمٍ أَنْ يَغْتَسِلَ فِي كُلِّ سَبْعَةِ أَيَّامٍ يَوْمًا، يَغْسِلُ فِيهِ رَأْسَهُ وَجَسَدَهُ». [صحيح] - [متفق عليه]

(98) – აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოგვცემს, რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ყოველი მუსლიმის მოვალეობაა, რომ შვიდ დღეში ერთხელ განიბანოს, რომლის დროსაც დაიბანს თავსაც და სხეულსაც». [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

ალლაჰის შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნობს, რომ ყოველი სრულწლოვანის და გონიერად მოაზროვნე მუსლიმისთვის სავალდებულოა შვიდ დღეში ერთხელ სრული განბანვის გაკეთება, რათა იმ დღეს თავიც და სხეულიც დაიბანოს, სისუფთავისა და ჰიგიენის შესანარჩუნებლად. ყველაზე შესაფერისი დღე ამისთვის არის პარასკევი, როგორც ეს ზოგიერთი გადმოცემიდან ჩანს.

პარასკევს სრული განბანვის შესრულება ლოცვამდე სუნნათის (სასურველი) ქმედებაა და მისაღებია, თუნდაც ღუსლი სხვა დღეს ჰქონდეს გაკეთებული, მაგალითად, ხუთშაბათს. ამის ვალდებულობის საწინააღმდეგოდ მოწმობს აიშას (ალლაჰი იყოს კმაყოფილი მისით) სიტყვები: «ხალხი თავისი საქმეებით იყო დაკავებული და ისინი პარასკევის ლოცვაზე თავიანთ ჩვეულებრივ მდგომარეობაში

მიდიოდნენ. მათ უთხრეს: ნუთუ არ განიბანებით?» ეს გადმოსცა ალ-ბუხარიმ. სხვა ვერსიაში ნათქვამია: «მათ ჰქონდათ სუნი», რაც გულისხმობს ოფლის ან მსგავს სუნს. ამის მიუხედავად, მათ უბრალოდ შესთავაზეს სრული განბანვა, რაც აჩვენებს, რომ ეს ვალდებულება არ იყო. ამგვარად, ეს დადგენილება პირველ რიგში იმათ ეხება, ვისაც ეს განსაკუთრებით სჭირდება.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ისლამში სისუფთავისა და ჰიგიენის მიმართ ზრუნვა და ყურადღება.
2. პარასკევის სრული განბანვა ძლიერ სასურველია პარასკევის ლოცვისთვის.
3. თავის ხსენება, მიუხედავად იმისა, რომ სხეულის ხსენებაც მას მოიცავს, ხაზს უსვამს თავის მნიშვნელობას.
4. სავალდებულოა სრული განბანვა ყველა იმ ადამიანისთვის, ვისგანაც გამოდის უსიამოვნო სუნი, რომელიც სხვებს აწუხებს.
5. ყველაზე მნიშვნელოვანი დღე სრული განბანვის შესრულებისთვის არის პარასკევი, მისი ღირსების გამო.

(65084)

(99) – عَنْ أَبِي هُرَيْرَةَ رَضِيَ اللَّهُ عَنْهُ قَالَ: سَمِعْتُ النَّبِيَّ صَلَّى اللَّهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ يَقُولُ: «الْفِطْرَةُ خَمْسٌ: الْخِتَانُ، وَالِاسْتِحْدَادُ، وَقَصُّ الشَّارِبِ، وَتَقْلِيمُ الْأَظْفَارِ، وَنَتْفُ الْآبَاطِ».

[صحيح] - [متفق عليه]

(99) – გადმოცემულია აბუ ჰურაირასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მან თქვა: გავიგონე, რომ ალლაჰის შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამბობდა: ფიტრა (ბუნებრიობა) მოიცავს ხუთ რამეს: «წინდაცვეთა, ბოქვენის გაპარსვა, ულვაშების დამოკლება, ფრჩხილების დაჭრა და იღლიებიდან თმების მოგლეჯა». [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტა ხუთი ქმედება, რომლებიც დამახასიათებელია ისლამის რელიგიისთვის და პრაქტიკაში მოჰყავდათ შუამავლებს.

პირველი: წინდაცვეთა - გულისხმობს მამაკაცის სასქესო ორგანოს თავზე არსებული ზედმეტი კანის მოცილებას და ქალის სასქესო ორგანოს ზედა ნაწილის, ანუ შესვლის ადგილის ზემოთ არსებული კანის მოჭრას.

მეორე: ბოქვენის გაპარსვა - ეს გულისხმობს ბოქვენის თმების გაპარსვას, რომლებიც მდებარეობს

სასქესო ორგანოს ირგვლივ.

მესამე: ულვაშის დამოკლება - გულისხმობს იმ თმის დამოკლებას, რომელიც კაცის ზედა ტუჩზე იზრდება ისე, რომ ტუჩი გამოჩნდეს.

მეოთხე: ფრჩხილების მოჭრა.

მეხუთე: იღლიიდან თმის მოშორება (ამოღება).

ჰადისის სარგებლობიდან:

1. წინასწარმეტყველთა სუნნეთები, რომლებიც ალლაჰს უყვარს, მოსწონს და ბრძანებს, იწვევს სრულყოფილებას, სისუფთავესა და სილამაზეს.
2. ამ საკითხების მუდმივი მოვლისა და უგულებელყოფის დაუშვებლობის შარიათით დამტკიცებული აუცილებლობა.
3. ამ თვისებებს აქვთ რელიგიური და ამქვეყნიური სარგებლიანობა, მათ შორის: გარეგნობის გაუმჯობესება, სხეულის გაწმენდა, სისუფთავის უზრუნველყოფა, ურწმუნოთაგან განსხვავებულობა და ალლაჰის ბრძანებებზე დამორჩილება.
4. სხვა ჰადისებში აღნიშნულია ფიტრას თვისებების დამატებითი ელემენტები, რომლებიც ამ ხუთს არ ეკუთვნის, მაგალითად: წვერის გაზრდა, მისვაქის გამოყენება (კბილების გასუფთავება) და სხვა.

(3144)

(100) – عَنْ عَلِيٍّ رضي الله عنه قَالَ: كُنْتُ رَجُلًا مَذَّاءً وَكُنْتُ أَسْتَحْيِي أَنْ أَسْأَلَ النَّبِيَّ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ لِمَكَانِ ابْنَتِهِ فَأَمَرْتُ الْمِقْدَادَ بْنَ الْأَسْوَدِ فَسَأَلَهُ فَقَالَ: «يَغْسِلُ ذَكَرَهُ وَيَتَوَضَّأُ». وَلِلبُخَارِيِّ: فَقَالَ: «تَوَضَّأْ وَاغْسِلْ ذَكَرَكَ». [صحيح] - [متفق عليه]

(100) – გადმოცემულია 'ალისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მან თქვა: «მე ვიყავი ადამიანი, რომელსაც ხშირად ჰქონდა წინათესლის (ალ-მაზი) გამოყოფა, თუმცა მრცხვენოდა ამის შესახებ ალლაჰის მოციქულისთვის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მეკითხა, რადგან მისი ქალიშვილის ქმარი ვიყავი. ამიტომ ვთხოვე ალ-მიყდად იბნ ალ-ასვადს, რომ ეკითხა მისთვის ამის შესახებ. მან ჰკითხა მოციქულს, და მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «მან უნდა დაიბანოს თავისი სასქესო ორგანო და აიღოს აბდესი». იმამ ალ-ბუხარის ვერსიაში ნათქვამია, რომ მან თქვა: «დაიბანე შენი სასქესო ორგანო და აიღე აბდესი (მცირე განბანვა)». [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

'ალი იბნ აბუ ტალიბი (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ მას ძალიან ხშირად მოსდიოდა მაზი - მაზი არის წებოვანი მოთეთრო თხელი სითხე, რომელიც გამოდის მამაკაცის სასქესო

ორგანოდან აღგზნების დროს ან ინტიმური კავშირის წინ, მან არ იცოდა როგორ უნდა მოქცეულიყო მისი გამოსვლის დროს, მას შერცხვა რომ ეკითხა შუამავლისთვის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას); რადგან ის იყო შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ქალიშვილის ფატიმას ქმარი, და სთხოვა მიყდად იბნ ასვადს, რომ ეკითხა შუამავლისთვის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამის შესახებ. შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უპასუხა: დაიბანოს სასქესო ორგანო და აიღოს აბდესი.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. 'ალი იბნ აბუ ტალიბის (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) ღირსება გამოვლინდა იმაში, რომ მორცხვობამ არ შეუშალა ხელი შარიათის დადგენილების ცოდნის სურვილს. მან აირჩია კითხვის დასმა სხვა ადამიანის მეშვეობით.
2. დასაშვებია რელიგიურ საკითხზე ვიღაცას სთხოვო, რომ შენს ნაცვლად დასვას კითხვა.
3. დაშვებულია, რომ ადამიანმა ისაუბროს იმაზე, რაც მას აწუხებს, თუ მას მოაქვს სარგებელი.
4. მაზი ითვლება უწმინდურობად და საჭიროა მისი ჩამორეცხვა როგორც სხეულიდან, ასევე ტანსაცმლიდან.
5. მაზის გამოსვლა შლის აბდესს.

6. მამაკაცის სასქესო ორგანოს და მისი მიდამოების დაბანის აუცილებლობა, როგორც მოვიდა ჰადისში.

(3348)

(101) – **عَنْ عَائِشَةَ أُمِّ المؤمنين رضي الله عنها قَالَتْ: كَانَ رَسُولُ اللَّهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ إِذَا اغْتَسَلَ مِنَ الجَنَابَةِ، غَسَلَ يَدَيْهِ، وَتَوَضَّأَ وُضُوءَهُ لِلصَّلاَةِ، ثُمَّ اغْتَسَلَ، ثُمَّ يُخَلِّلُ بِيَدِهِ شَعَرَهُ، حَتَّى إِذَا ظَنَّ أَنَّهُ قَدْ أَرْوَى بَشَرَتَهُ، أَفَاضَ عَلَيْهِ المَاءَ ثَلاَثَ مَرَّاتٍ، ثُمَّ غَسَلَ سَائِرَ جَسَدِهِ، وَقَالَتْ: كُنْتُ أَغْتَسِلُ أَنَا وَرَسُولُ اللَّهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ مِنْ إِنَاءٍ وَاحِدٍ، نَغْرِفُ مِنْهُ جَمِيعًا.** [صحيح] - [رواه البخاري]

(101) – გადმოცემულია მორწმუნეების დედა აიშასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომელმაც თქვა: «როცა შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ჯუნუბისგან დიდ განბანვას აკეთებდა, ჯერ იბანდა ხელებს, შემდეგ იღებდა მცირე განბანვას (აბდესს), როგორც ლოცვისთვის, შემდეგ დაიბანდა მთლიან სხეულს, შემდეგ თმებს შორის თითებს ატარებდა მანამ, სანამ თმების ძირები კარგად არ დასველდებოდა და გადაისხამდა წყალს სამჯერ, შემდეგ იბანდა სხეულს მთლიანად. აიშამ თქვა: მე და შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ერთი ქვაბიდან ვიბანდით და ორივე მისგან ვისხამდით წყალს». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა ალ-ბუხარიმ]

განმარტება:

შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) როცა დაბანვას გადაწყვეტდა, პირველი ხელების დაბანით იწყებდა. შემდეგ იღებდა აბდესს ისე, როგორც ლოცვისთვის იღებდა, შემდეგ გადაისხამდა წყალს სხეულზე, შემდეგ ატარებდა თითებს თმებს შორის, სანამ არ დარწმუნდებოდა, რომ თმის ძირები და თავის კანი კარგად დაასველა წყალმა, შემდეგ გადაისხამდა წყალს თავზე სამჯერ და შემდეგ იბანდა სხეულის დარჩენილ ნაწილს. აიშამ თქვა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი): მე და შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ერთი ჭურჭლიდან ვიბანდით და წყალსაც ერთი ჭურჭლიდან ვისხამდით.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. დიდი განბანა (ღუსლი) ორი სახისაა: საკმარისი (მუჯზი) და სრულყოფილი (ქაამილ). საკმარისი ღუსლი ნიშნავს, რომ ადამიანი განიზრახავს განწმენდის მიღწევას, შემდეგ მთლიანად იბანს თავის სხეულს წყლით, რაც ასევე მოიცავს პირის გამოვლებასა და ცხვირის გაწმენდას. სრულყოფილი ღუსლი სრულდება ისე, როგორც აღწერილია ზემოთ მოყვანილ ჰადისში, სადაც მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტავს ღუსლის შესრულების პროცესს.

2. ტერმინი „ჯანაბა“ გამოიყენება ნებისმიერი პირის მიმართ, ვინც გამოყო თესლი (სპერმა) ან სქესობრივ კავშირში შევიდა, თუნდაც გამოყოფა არ მომხდარიყო.
3. ცოლ-ქმრისთვის ნებადართულია ერთმანეთის აკრძალულ ადგილებზე შეხედვა და ერთი ჭურჭლიდან წყლის გამოყენებით ბანაობა.

(3316)

(102) – عَنْ عَمَّارِ بنِ ياسِرٍ رضي الله عنه قال: بَعَثَنِي رَسُولُ اللهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ فِي حَاجَةٍ، فَأَجْنَبْتُ فَلَمْ أَجِدِ الْمَاءَ، فَتَمَرَّغْتُ فِي الصَّعِيدِ كَمَا تَمَرَّغُ الدَّابَّةُ ثُمَّ أَتَيْتُ النَّبِيَّ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ، فَذَكَرْتُ ذَلِكَ لَهُ فَقَالَ: «إِنَّمَا كَانَ يَكْفِيكَ أَنْ تَقُولَ بِيَدَيْكَ هَكَذَا» ثُمَّ ضَرَبَ بِيَدَيْهِ الْأَرْضَ ضَرْبَةً وَاحِدَةً، ثُمَّ مَسَحَ الشِّمَالَ عَلَى الْيَمِينِ، وَظَاهِرَ كَفَّيْهِ وَوَجْهَهُ. [صحيح] - [متفق عليه]

(102) – გადმოცემულია 'ამმაარ იბნ იასირისგან, რომ მან თქვა: "ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გამაგზავნა საქმეზე. გზაში მე ჯუნუბი აღმოვჩნდი და წყალი ვერ ვიპოვე. მიწაზე დავგორდი ისე, როგორც ცხოველი გორდება, შემდეგ შუამავალთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მივედი და ეს მოვუყევი. მაშინ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მითხრა: «შენთვის საკმარისი იქნებოდა, რომ ასე გაგეკეთებინა ხელებით», და მან მიწას ერთხელ

დაჰკრა ორივე ხელით, შემდეგ მარცხენა ხელით მარჯვენა ხელი შეიწმინდა, შემდეგ კი ხელების ზედაპირი და სახე". [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა მშვიდობა მას) 'ამმაარ იბნ იასირი გაგზავნა გარკვეული საქმეების შესასრულებლად. გზაში 'ამმაარი აღმოჩნდა ჯუნუბის მდგომარეობაში (რიტუალური უწმინდურობა), რაც ან სქესობრივი კავშირის შედეგად, ან ვნებისგან თესლის გამოყოფით მოხდა. მას წყალი არ აღმოაჩნდა, რათა სრული განბანვა შეესრულებინა, 'ამმაარმა არ იცოდა თაიამუმის (მშრალი განწმენდა) წესის გამოყენება ჯუნუბის მდგომარეობისთვის; მას მხოლოდ მისი გამოყენების წესი ჰქონდა ცნობილი მცირე უწმინდურობისთვის. მან იჯთიჰადს (სამართლებრივ დასკვნას) მიმართა და გადაწყვიტა, რომ როგორც მცირე უწმინდურობის შემთხვევაში მიწით სხეულის გარკვეულ ნაწილებს შეიწმენდდა, ასევე დიდი უწმინდურობის დროს საჭიროა მიწით მთლიანი სხეულის შეწმენდა, წყლით სრულ განბანვასთან ანალოგიით. ამიტომაც, იგი მიწაში ჩაწვა ისე, რომ მიწა მთელ მის სხეულზე მოხვედრილიყო, რის შემდეგაც აღასრულა ლოცვა. როდესაც 'ამმაარი მოციქულთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მივიდა, მან ეს

შემთხვევა უამბო, რათა გაერკვია, სწორად მოიქცა თუ არა. მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) აუხსნა მას, როგორ უნდა განიწმინდოს მცირე უწმინდურობისგან, როგორიცაა შარდი, და დიდი უწმინდურობისგან, როგორიცაა ჯუნუბი. მან განმარტა, რომ საჭიროა ხელების ერთხელ მიწაზე დარტყმა, შემდეგ მარცხენა ხელით მარჯვენის მოწმენდა, ხელის ზურგისა და სახეზე მოსმა.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. თაიამუმის შესრულებამდე წყლის ძიების ვალდებულება.
2. თაიამუმის შესრულების შარიათული ნებადართულობა იმ ადამიანისთვის, ვინც ჯუნუბის მდგომარეობაშია და წყალს ვერ პოულობს.
3. დიდი უწმინდურობისთვის თაიამუმი იგივე წესით სრულდება, როგორც მცირე უწმინდურობისთვის.

(3461)

(103) – عَنْ المُغِيرَةِ رضي الله عنه قَالَ: كُنْتُ مَعَ النَّبِيِّ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ فِي سَفَرٍ، فَأَهْوَيْتُ لِأَنْزِعَ خُفَّيْهِ، فَقَالَ: «دَعْهُمَا، فَإِنِّي أَدْخَلْتُهُمَا طَاهِرَتَيْنِ» فَمَسَحَ عَلَيْهِمَا.

[صحيح] - [متفق عليه]

(103) – ალ-მუღირა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს: ერთხელ ერთ-ერთი მგზავრობის დროს შუამავალთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ერთად ვიყავი და გადავწყვიტე მისთვის ფეხსაცმელი გამეხადა, მან კი თქვა: «შეეშვი, მე ისინი სისუფთავის დროს (აბდესის აღების შემდეგ) ჩავიცვი», და მათზე მასჰი გააკეთა (სველი ხელით მაღლიდან შეიწმინდა). [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ერთ-ერთ მგზავრობაში იმყოფებოდა და აბდესი აიღო. და როცა ფეხების დაბანაზე მივიდა ალ-მუღირა იბნ შუ'ბამ (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) ხელი გაიწვდინა, რომ შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ტყავის წინდები გაეძრო და რომ მისი ფეხები დაებანა. მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: დატოვე ისინი, არ მოხსნა, რადგან მე ეს ხუფები (ტყავის წინდები) რიტუალური სისუფთავის მდგომარეობაში ჩავიცვი, შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ფეხების დაბანის ნაცვლად მათზე მესი გაიკეთა.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ფეხსაცმელზე (წინდებზე) მესის გაკეთების ნებართვა აბდესის აღების დროს, ხოლო დიდი განბანვის დროს აუცილებელია ფეხების დაბანა.
2. წმენდა სრულდება მხოლოდ ერთხელ, სველი ხელით ხუფების (ტყავის წინდების, წინდების) ზედა ზედაპირზე გასმით, ისე, რომ მათ ქვედა ნაწილს არ ეხებიან.
3. ფეხსაცმელზე მესის გაკეთების წინაპირობა არის ის, რომ მათი ჩაცმა უნდა მოხდეს სრული აბდესის აღების შემდეგ. მაშინ, როცა ფეხებს დაიბანს წყლით, ფეხსაცმელი უნდა იყოს სუფთა, ფეხის სავალდებულო ნაწილს უნდა ფარავდეს (კოჭების ჩათვლით), მათზე მესის გაკეთება შესაძლებელია პატარა განბანვის (აბდესი) დროს და არა დიდი განბანვის აუცილებლობის დროს, მესის გაკეთება უნდა მოხდეს შარიათით დადგენილი დროის ფარგლებში, ეს არის სახლში მყოფისთვის ერთი სრული დღე-ღამე, ხოლო მგზავრისთვის სამი დღე და სამი ღამე.
4. ტყავის წინდებთან გათანაბრებულია ნებისმიერი სხვა საფარი ფეხებზე, როგორიცაა ჩვეულებრივი წინდები და მათ მსგავსები. მათზეც შესაძლებელია მესის გაკეთება.

5. შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) კარგი ზნეობა და სწავლების მეთოდი, რამეთუ ალ-მუღირას დაუშალა მისთვის ფეხზე გაეხადა და ამის მიზეზიც აუხსნა: რომ მან სუფთა ფეხებზე ჩაიცვა; რათა ალ-მუღირა მშვიდად ყოფილიყო და ასევე დადგენილებაც გაეგო.

(3014)

(104) – عَنْ عَائِشَةَ أُمِّ المؤمنينَ رضي الله عنها أَنَّ فَاطِمَةَ بِنْتَ أَبِي حُبَيْشٍ سَأَلَتِ النَّبِيَّ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ قَالَتْ: إِنِّي أُسْتَحَاضُ فَلاَ أَطْهُرُ، أَفَأَدَعُ الصَّلاَةَ؟ فَقَالَ: «لَا، إِنَّ ذَلِكِ عِرْقٌ، وَلَكِنْ دَعِي الصَّلاَةَ قَدْرَ الأَيَّامِ الَّتِي كُنْتِ تَحِيضِينَ فِيهَا، ثُمَّ اغْتَسِلِي وَصَلِّي».

[صحيح] - [متفق عليه]

(104) – მორწმუნეთა დედა აიშა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ ფატიმა ბინთ აბი ჰუბაიშიმ შუამავალს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ჰკითხა: "მე მაქვს ქრონიკული სისხლდენა (ისთიჰადა), რომლისგანაც ვერ ვიწმინდები. უნდა შევწყვიტო თუ არა ლოცვა?" მან თქვა: «არა. ჭეშმარიტად, ეს სისხლდენა ვენიდან (სისხლძარღვიდან) არის. შეიკავე თავი ლოცვისგან იმდენი დღე, რამდენიც ჩვეულებრივ გქონდა მენსტრუაცია, შემდეგ აიღე ღუსლი (დიდი განბანვა) და განაგრძე ლოცვა». [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

ჰუბაიშის ქალიშვილი ფატიმა შუამავალს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) შეეკითხა: მე არ მიჩერდება სისხლდენა და გრძელდება მენსტრუაციის პერიოდის გასვლის შემდეგაც, ეს მდგომარეობა მენსტრუაციის მდგომარეობაა და უნდა შევწყვიტო თუ არა ლოცვა? შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უთხრა: ეს არის ისთიჰადის სისხლდენა — პათოლოგიური სისხლდენა, რომელიც გამოწვეულია ვენის დაზიანებით საშვილოსნოში. ეს არ არის მენსტრუალური სისხლი. როდესაც დადგება შენი ჩვეულებრივი ყოველთვიური მენსტრუაციის დრო, როგორც ეს იყო მანამდე, სანამ ისთიჰადის სისხლდენა დაგემართებოდა, თავი შეიკავე ლოცვისგან, მარხვისგან და სხვა ქმედებებისგან, რომლებიც მენსტრუაციის დროს ქალისთვის აკრძალულია. როცა დამთავრდება ის დრო (მენსტრუაციის დღეების დრო) მაშინ შენ მენსტრუაციიდან გასუფთავებულად ითვლები, დაიბანე სისხლდენის ადგილები, შემდეგ დაიბანე სხეული მთლიანად, რათა გასუფთავდე და შემდეგ ილოცე.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. მენსტრუაციის დღეების დამთავრების შემდეგ აუცილებელია ქალმა იბანავოს.

2. არამენსტრუალური (ისთიჰადა) სისხლდენის მქონე ქალი ვალდებულია იღოცოს.
3. მენსტრუაცია არის ბუნებრივი სისხლი, რომელიც გამოიყოფა საშვილოსნოდან ზრდასრული ქალის სასქესო ორგანოს საშუალებით და ჩნდება გარკვეულ დღეებში.
4. ისთიჰადა - არის უწყვეტი სისხლდენა მის ჩვეულებრივ პერიოდს მიღმა, რომელიც წარმოიქმნება საშვილოსნოს ზედაპირული ნაწილისგან და არა მისი სიღრმიდან.
5. მენსტრუალური სისხლისა და ისთიჰადის სისხლის განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ მენსტრუალური სისხლი შავია, სქელია და აქვს არასასიამოვნო სუნი, მაშინ როცა ისთიჰადის სისხლი წითელია, თხევადი და არ აქვს არასასიამოვნო სუნი.

(3029)

(105) – عَنْ أَبِي هُرَيْرَةَ رضي الله عنه قَالَ: قَالَ رَسُولُ اللهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ: «إِذَا وَجَدَ أَحَدُكُمْ فِي بَطْنِهِ شَيْئًا، فَأَشْكَلَ عَلَيْهِ أَخَرَجَ مِنْهُ شَيْءٌ أَمْ لَا، فَلَا يَخْرُجَنَّ مِنَ الْمَسْجِدِ حَتَّى يَسْمَعَ صَوْتًا، أَوْ يَجِدَ رِيحًا». [صحيح] - [رواه مسلم]

(105) – აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს კმაყოფილი მისით) გადმოსცემს, რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და

მშვიდობა მას) თქვა: «თუ რომელიმე თქვენგანმა მუცელში რაიმე იგრძნო და დაეჭვდა, გამოვიდა მისგან რაიმე თუ არა, ნუ დატოვებს მეჩეთს მანამ, სანამ ხმას არ გაიგონებს ან სუნს არ იგრძნობს». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა მუსლიმმა]

განმარტება:

ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტა, რომ თუ მლოცველმა მუცელში რაღაც შეიგრძნო და ვერ დაადგინა, მართლაც გამოვიდა რაიმე თუ არა, არ უნდა შეწყვიტოს ლოცვა და არ უნდა დატოვოს იგი აბდესის განახლების მიზნით, სანამ დარწმუნებული არ იქნება, რომ ნამდვილად მოხდა ის, რაც აბდესს აფუჭებს. ეს დადასტურდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გაიგონებს ხმას ან იგრძნობს სუნს. რადგან ის, რაშიც დარწმუნებულია, არ უქმდება ეჭვის საფუძველზე. მლოცველი დარწმუნებულია საკუთარ სისუფთავეში, ხოლო მდგომარეობის დარღვევა საეჭვოა.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ეს ჰადისი ისლამის საფუძვლების ერთ-ერთი პრინციპია და ისლამური სამართლის ერთ-ერთი ძირითადი წესი: დარწმუნებულობა არ უქმდება ეჭვით, და ძირითადი მდგომარეობა ნარჩუნდება

ისეთი, როგორიც იყო, სანამ საწინააღმდეგოს მიმართ დარწმუნებულობა არ დადგინდება.

2. ეჭვი არ მოქმედებს სისუფთავეზე, და მლოცველი რჩება სუფთა მდგომარეობაში, სანამ მდგომარეობის დარღვევა არ იქნება დადასტურებული.

(65083)

(106) – عن عمر بن الخطَّابِ رضي الله عنه قال: قال رسولُ اللهِ صلى اللهُ عليه وسلّم: «إِذَا قَالَ الْمُؤَذِّنُ: اللهُ أَكْبَرُ اللهُ أَكْبَرُ، فَقَالَ أَحَدُكُمُ: اللهُ أَكْبَرُ اللهُ أَكْبَرُ، ثُمَّ قَالَ: أَشْهَدُ أَنْ لَا إِلَهَ إِلَّا اللهُ، قَالَ: أَشْهَدُ أَنْ لَا إِلَهَ إِلَّا اللهُ، ثُمَّ قَالَ: أَشْهَدُ أَنَّ مُحَمَّدًا رَسُولُ اللهِ، قَالَ: أَشْهَدُ أَنَّ مُحَمَّدًا رَسُولُ اللهِ، ثُمَّ قَالَ: حَيَّ عَلَى الصَّلَاةِ، قَالَ: لَا حَوْلَ وَلَا قُوَّةَ إِلَّا بِاللهِ، ثُمَّ قَالَ: حَيَّ عَلَى الْفَلَاحِ، قَالَ: لَا حَوْلَ وَلَا قُوَّةَ إِلَّا بِاللهِ، ثُمَّ قَالَ: اللهُ أَكْبَرُ اللهُ أَكْبَرُ، قَالَ: اللهُ أَكْبَرُ اللهُ أَكْبَرُ، ثُمَّ قَالَ: لَا إِلَهَ إِلَّا اللهُ، قَالَ: لَا إِلَهَ إِلَّا اللهُ مِنْ قَلْبِهِ دَخَلَ الْجَنَّةَ».

[صحيح] - [رواه مسلم]

(106) – უმარ იბნ ალ-ხატტაბმა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) თქვა: ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «როდესაც მუეზინი ამბობს: „ალლაჰუ აქბარ, ალლაჰუ აქბარ“ და თქვენგან რომელიმე უპასუხებს: „ალლაჰუ აქბარ, ალლაჰუ აქბარ“, შემდეგ ამბობს: „აშჰადუ ან ლაა ილააჰა ილლა ალლაჰ“ და ის პასუხობს: „აშჰადუ ან ლაა ილააჰა ილლა ალლაჰ“,

შემდეგ ამბობს: „აშჰადუ ანნა მუჰამმადან რასულუ ლლააჰ“და ის პასუხობს: „აშჰადუ ანნა მუჰამმადან რასულუ ლლააჰ“, შემდეგ ამბობს: „ჰაია 'ალაა სსალაჰ'' და ის პასუხობს: „ლაა ჰავლა ვა ლაა ყუვვათა ილლაა ბილლააჰ“, შემდეგ ამბობს: „ჰაია 'ალალ ფალააჰ“ და ის პასუხობს: „ლაა ჰავლა ვალაა ყუვვათა ილლაა ბილლააჰ“, შემდეგ ამბობს: „ალლაჰუ აქბარ, ალლაჰუ აქბარ“ და ის პასუხობს: „ალლაჰუ აქბარ ალლაჰუ აქბარ“, შემდეგ ამბობს: „ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ“ და ის პასუხობს: „ლაა ილააჰა ილლა ლლაჰ“, გულით, ის სამოთხეში შევა». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა მუსლიმმა]

განმარტება:

აზანი არის ადამიანებისთვის ლოცვის დროის შესვლის შესახებ ინფორმირება, და აზანის სიტყვები მოიცავს მრწამსის ძირითად პრინციპებს.

ამ ჰადისში ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტავს, თუ რა არის დაშვებული აზანის მოსმენისას. მსმენელი უნდა იმეორებდეს იმას, რასაც მუეზინი ამბობს. როდესაც მუეზინი ამბობს: „ალლაჰუ აქბარ“, მსმენელმა ასევე უნდა თქვას: „ალლაჰუ აქბარ“. ასე გაგრძელდება, გარდა იმ მომენტისა, როდესაც მუეზინი ამბობს: „ჰაია 'ალასსალააჰ “ ან „ჰაია 'ალალფალააჰ“. ამ დროს

მსმენელი პასუხობს: „ლაა ჰავლა ვალაა ყუვვათა ილლაა ბილლაჰ“.

ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტავს, რომ ვინც აზანის სიტყვებს მუეზინთან ერთად გულწრფელად და გულით იმეორებს, ის სამოთხეში შევა.

აზანის სიტყვების მნიშვნელობები: "ალლაჰუ აქბარ“: ეს ნიშნავს, რომ ის წმინდა (ალლაჰი) ყველაფერზე უფრო დიადი, უდიდესი, და ძლევამოსილია, რაც კი არსებობს.

"აშჰადუ ან ლაა ილააჰა ილლა ალლაჰ": ეს ნიშნავს, რომ არ არსებობს ჭეშმარიტი თაყვანისცემის ღირსი, გარდა ალლაჰისა.

"აშჰადუ ანნა მუჰამმადან რასულუ ლლაჰ": ეს ნიშნავს, რომ ვაღიარებ და ვადასტურებ ჩემი ენითა და გულით, რომ მუჰამმადი ალლაჰის შუამავალია, ის დიდებულმა და ძლევამოსილმა ალლაჰმა წარმოგზავნა და მისი მორჩილება სავალდებულოა.

"ჰაია 'ალაა სსალაჰ": ეს ნიშნავს, მოდით ლოცვაზე.

მისი მოსმენისას პასუხია: "ლაა ჰავლა ვალაა ყუვათა ილლაჰ ბილლაჰ": ეს ნიშნავს, რომ არ არსებობს ხსნა მორჩილების დაბრკოლებებისგან და არც ძალა მორჩილების შესრულებისთვის, ისევე როგორც არაფერი სხვა, გარდა ალლაჰის მხარდაჭერისა და

ხელმძღვანელობისა.

"ჰაია 'ალაა ლფალააჰ": ეს ნიშნავს, მოდით გამარჯვებისკენ (წარმატებისკენ, ბედნიერებისკენ), რაც გულისხმობს სამოთხის მოპოვებასა და ჯოჯოხეთისგან ხსნას.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. მუეზინის სიტყვებზე პასუხის ღირსება იმავე სიტყვებით, რასაც ის ამბობს, გარდა სიტყვებისა („ჰაია ალა-სსალაჰ“) და („ჰაია ალა-ლფალაჰ“), სადაც უნდა ითქვას: („ლა ჰაულა ვა ლა ყუვვათა ილლა ბილლაჰ“) — "არ არსებობს ძალა და ძლევამოსილება, გარდა ალლაჰისა".

(65086)

(107) – عَنْ عَبْدِ اللهِ بْنِ عَمْرِو بْنِ الْعَاصِ رضي الله عنها أَنَّهُ سَمِعَ النَّبِيَّ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ يَقُولُ: «إِذَا سَمِعْتُمُ الْمُؤَذِّنَ فَقُولُوا مِثْلَ مَا يَقُولُ، ثُمَّ صَلُّوا عَلَيَّ، فَإِنَّهُ مَنْ صَلَّى عَلَيَّ صَلَاةً صَلَّى اللهُ عَلَيْهِ بِهَا عَشْرًا، ثُمَّ سَلُوا اللهَ لِيَ الْوَسِيلَةَ، فَإِنَّهَا مَنْزِلَةٌ فِي الْجَنَّةِ، لَا تَنْبَغِي إِلَّا لِعَبْدٍ مِنْ عِبَادِ اللهِ، وَأَرْجُو أَنْ أَكُونَ أَنَا هُوَ، فَمَنْ سَأَلَ لِيَ الْوَسِيلَةَ حَلَّتْ لَهُ الشَّفَاعَةُ». [صحيح] - [رواه مسلم]

(107) – აბდულლაჰ იბნ ამრ იბნ ალ-'აასისგან (ალლაჰი იყოს მისი კმაყოფილი) გადმოცემულია, რომ მან მოისმინა მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა

მას) ამბობდა: «როდესაც მუაზინის მოწოდებას მოისმენთ, გაიმეორეთ ის, რასაც ის ამბობს. შემდეგ დამლოცეთ მე, რადგან ვინც ერთხელ დამლოცავს, ალლაჰი მას ათჯერ დალოცავს. შემდეგ ალლაჰს სთხოვეთ ვისიილა ჩემთვის, რადგან ეს არის მდგომარეობა სამოთხეში, რომელიც მხოლოდ ალლაჰის ერთ მონას ეკუთვნის, და მე ვიმედოვნებ, რომ ეს მე ვიქნები. ვინც ალლაჰს ჩემთვის ვასიილას სთხოვს, ის მიიღებს (ჩემს) შუამდგომლობას». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა მუსლიმმა]

განმარტება:

ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ურჩია ყველას, ვინც მოისმენს მუეზინის მოწოდებას ლოცვისთვის, გაიმეოროს ის, რასაც მუეზინი ამბობს, გარდა ჰაია 'ალასსალაჰ და "ჰაია 'ალალფალაჰ-ის . ამ სიტყვების შემდეგ უნდა თქვას: "ლაა ჰავლა ვალაა ყუვვათა ილლაა ბილლაჰ". ამის შემდეგ, აზანის დასრულებისთანავე, მორწმუნემ უნდა დალოცოს მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას). ვინც ერთხელ დალოცავს მოციქულს, ალლაჰი მას ათჯერ დალოცავს. ალლაჰის მორწმუნეზე დალოცვის მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ ალლაჰი მას ანგელოზების წინაშე განადიდებს.

მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას)

დაავალა, რომ ალლაჰს ვედრებით სთხოვონ მისთვის ვასილას მინიჭება — სამოთხეში განსაკუთრებული ადგილი, რომელიც წარმოადგენს უმაღლეს ხარისხს და რომლის მოპოვება მხოლოდ ერთმა ალლაჰის მორჩილმა შეიძლება შეძლოს. მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) იმედოვნებდა, რომ ეს რჩეული პიროვნება თავად იქნებოდა, იმავდროულად გამოხატავდა უდიდეს სიმდაბლეს და თავმდაბლობას. სინამდვილეში, თუ ეს უმაღლესი მდგომარეობა მხოლოდ ერთს უნდა მიენიჭოს, უდავოდ, იგი იქნება მოციქული მუჰამმადი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მა), რადგან ის ყველა ქმნილებათაგან საუკეთესოა.

ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტა, რომ ვინც ითხოვს შუამდგომლობას მოციქულისთვის მიიღებს შუამდგომლობას შუამავლისგან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას).

ჰადისის სარგებლობიდან:

1. მუეზინის მოწოდებაზე გამოხმაურების წახალისება.
2. მუეზინის მოწოდებაზე გამოხმაურების შემდეგ მოციქულ მუჰამმადზე (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) სალავათის (დალოცვის) სიკეთე.
3. მოციქულ მუჰამმადისთვის (ალლაჰის ლოცვა და

მშვიდობა მას) ვასიილას თხოვნის წახალისება მასზე სალავათის წარმოთქმის შემდეგ.

4. სიტყვა ალ-ვასიილა - ს მნიშვნელობის განმარტება და მისი მაღალი მდგომარეობა, რომელიც განკუთვნილია მხოლოდ ერთი მსახურისთვის.
5. ალლაჰის მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ღირსების განმარტება, რომელიც მას მიენიჭა იმ მაღალი ადგილისთვის.
6. ვინც უზენაეს ალლაჰს თხოვს მოციქულისთვის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ალ-ვასიილაჰ-ს მისთვის ნებადართული იქნება შუამდგომლობა (განკითხვის დღეს).
7. ალლაჰის მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თავმდაბლობა გამოიხატება იმაში, რომ მან სთხოვა თავის უმმას, შეევედრონ ალლაჰისთვის მისთვის ამ უმაღლესი ხარისხის მინიჭება, მიუხედავად იმისა, რომ ეს ადგილი უკვე განსაკუთრებულად მისთვის არის განკუთვნილი.
8. ალლაჰის უდიდესი სიკეთე და მოწყალება, რადგან ერთი კეთილი საქმე ათმაგად ფასდება.

(65087)

(108) – عَنْ سَعْدِ بْنِ أَبِي وَقَّاصٍ رضي الله عنه عَنْ رَسُولِ اللهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ أَنَّهُ قَالَ: «مَنْ قَالَ حِينَ يَسْمَعُ الْمُؤَذِّنَ أَشْهَدُ أَنْ لَا إِلَهَ إِلَّا اللهُ وَحْدَهُ لَا شَرِيكَ لَهُ، وَأَنَّ

مُحَمَّدًا عَبْدُهُ وَرَسُولُهُ، رَضِيتُ بِاللهِ رَبًّا وَبِمُحَمَّدٍ رَسُولًا، وَبِالْإِسْلَامِ دِينًا، غُفِرَ لَهُ ذَنْبُهُ».

[صحيح] - [رواه مسلم]

(108) – გადმოცემულია სა'დ ბინ აბი ვაყყაასისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ვინც მუეზინის გაგონებისას იტყვის: ვამოწმებ, რომ არ არსებობს ღვთაება ალლაჰის გარდა, ის ერთია და მას არ ჰყავს თანაზიარი. ვამოწმებ, რომ მუჰამმადი მისი მსახური და მოციქულია. კმაყოფილი ვარ ალლაჰით, როგორც ჩემი ღმერთით, მუჰამედით, როგორც მოციქულით, და ისლამით, როგორც რელიგიით, ეპატიება მას ცოდვები». /აშჰადუ ან ლაა ილააჰა ილლა ლლააჰ ვაჰდაჰუ ლაა შარიიქა ლაჰ, ვა ანნა მუჰამმადან 'აბდუჰუ ვა რასუულუჰ, რადიითუ ბი-ლლაჰი რაბბან ვა ბი-მუჰამმადუნ რასუულან, ვა ბილ-ისლაამი დიინან/ [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა მუსლიმმა]

განმარტება:

მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვაუწყა, რომ ვინც მუეზინის აზანის მოსმენისას იტყვის: "ვამოწმებ, რომ არ არსებობს ღმერთი გარდა ალლაჰისა", რაც ნიშნავს: ვამოწმებ, ვაღიარებ, ვადასტურებ და ვაუწყებ, რომ არ არსებობს ღვთაება, რომელიც ღვთისმსახურების ღირსია, ალლაჰის გარდა.

ხოლო ყველაფერი, რასაც ალლაჰის გარდა თაყვანს სცემენ, არის ტყუილი და ცრუ ღვთაება. "და ვამოწმებ, რომ მუჰამმადი მისი მსახური და მოციქულია". ანუ: ის არის ალლაჰის მონა, მას არ ეთაყვანებიან, ის მოციქულია და არ იტყუება. "კმაყოფილი ვარ ალლაჰით, როგორც ღმერთით", ანუ: ალლაჰის უფლობით, ღვთაებრიობით, სახელებითა და თვისებებით. "და მუჰამმადით, როგორც მოციქულით", ანუ: ყველაფრით, რითაც ის მოვიდა და რაც მოიტანა ჩვენამდე. "და ისლამით", ანუ: მისი ისლამის ყველა ნორმებით, ბრძანებებითა და აკრძალვებით. "რელიგიით", ანუ: რწმენითა და მორჩილებით. "ეპატია მას ცოდვები", ანუ: პატარა ცოდვები.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ამ ვედრების განმეორება აზანის მოსმენისას ცოდვების მპატიებელია.

(6272)

(109) – عن أبي هريرةَ رضي الله عنه قال: أَتَى النَّبِيَّ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ رَجُلٌ أَعْمَى، فَقَالَ: يَا رَسُولَ اللهِ، إِنَّهُ لَيْسَ لِي قَائِدٌ يَقُودُنِي إِلَى الْمَسْجِدِ، فَسَأَلَ رَسُولَ اللهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ أَنْ يُرَخِّصَ لَهُ فَيُصَلِّيَ فِي بَيْتِهِ، فَرَخَّصَ لَهُ، فَلَمَّا وَلَّى دَعَاهُ، فَقَالَ: «هَلْ تَسْمَعُ النِّدَاءَ بِالصَّلَاةِ؟» فَقَالَ: نَعَمْ، قَالَ: «فَأَجِبْ». [صحيح] - [رواه مسلم]

(109) – გადმოცემულია აბუ ჰურაირასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მან თქვა: შუამავალთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მოვიდა ერთი ბრმა კაცი და უთხრა: ო, ალლაჰის შუამავალო, მე არ მყავს არავინ ვინც მეჩეთამდე მომიყვანდა, და სთხოვა ალლაჰის შუამავალს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას), რომ მისთვის ნებართვა მიეცა ლოცვა სახლში შეესრულებინა, და მან მისცა მას ნებართვა. როცა გაბრუნდა და წასვლა დააპირა დაუძახა მას და უთხრა: «გესმის ლოცვისკენ მოწოდება(აზანი)?» მან თქვა: დიახ, შუამავალმა უთხრა: «მაშინ უპასუხე მას». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა მუსლიმმა]

განმარტება:

შუამავალთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მოვიდა ერთი ბრმა კაცი და მას უთხრა: ო, ალლაჰის შუამავალო, მე არ მყავს არავინ, ვინც დამეხმარება, მომკიდებს ხელს და მომიყვანს მეჩეთში ხუთი დროის ლოცვაზე, მას უნდოდა რომ შუამავალს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მისთვის ჯგუფური ლოცვის მიტოვების ნებართვა მიეცა, თავდაპირველად მისცა მას ნებართვა, მაგრამ როცა გაბრუნდა მას დაუძახა და ჰკითხა: "გესმის აზანის მოწოდება ლოცვაზე?" თქვა: დიახ, შუამავალმა თქვა: "მაშ უპასუხე ლოცვაზე მომხმობს".

ჰადისის სარგებლობიდან:

1. კოლექტიური ლოცვის შესრულება სავალდებულოა, რადგან შემსუბუქება შესაძლებელია მხოლოდ აუცილებელზე და სავალდებულოზე.
2. მისი სიტყვები: "მას უპასუხე", მას ვისაც ესმის ლოცვისკენ მოწოდება (აზანი) ეს მიუთითებს ჯგუფური ლოცვის სავალდებულობაზე; რადგან ბრძანება ვალდებულებაზე მიუთითებს.

(11287)

(110) – عَنْ أَبِي هُرَيْرَةَ رضي الله عنه أَنَّهُ سَمِعَ رَسُولَ اللَّهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ يَقُولُ: «أَرَأَيْتُمْ لَوْ أَنَّ نَهَرًا بِبَابِ أَحَدِكُمْ يَغْتَسِلُ فِيهِ كُلَّ يَوْمٍ خَمْسًا، مَا تَقُولُ ذَلِكَ يُبْقِي مِنْ دَرَنِهِ؟» قَالُوا: لَا يُبْقِي مِنْ دَرَنِهِ شَيْئًا، قَالَ: «فَذَلِكَ مِثْلُ الصَّلَوَاتِ الخَمْسِ، يَمْحُو اللَّهُ بِهِ الخَطَايَا». [صحيح] - [متفق عليه]

(110) – გადმოცემულია აბუ ჰურაირასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამბობდა: «თქვენს კარებთან რომ ჩამოდიოდეს მდინარე და ბანაობდეთ მასში დღეში ხუთჯერ, დარჩებოდა თუ არა თქვენს სხეულზე რაიმე ჭუჭყი?» თქვეს: არ დარჩებოდა არაფერი. თქვა: «ასეა ლოცვაც, რომლითაც ალლაჰი წმინდავს ადამიანს ცოდვებისგან». [სანდო (საჰიჰ)] -

[შეთანხმებული]

განმარტება:

მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ხუთი სავალდებულო ლოცვა შეადარა მდინარეს, რომელიც ადამიანის კართან მიედინება, და სადაც ადამიანი დღეში ხუთჯერ იბანს. ეს ლოცვები მცირე ცოდვებისა და დანაშაულების განწმენდაში ისეთივე ეფექტურია, როგორც მდინარე, რომელიც სრულად აშორებს სხეულს ჭუჭყსა და სიბინძურეს.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. აბდესის სიკეთე, რაც არის პატარა ცოდვების წაშლის მიზეზი, ხოლო დიდ ცოდვებს აუცილებლად მონანიება სჭირდება.
2. ხუთი სავალდებულო ლოცვის შესრულება და მისი დაცვის ღირსება დიდია, თუ იგი სრულდება ყველა პირობის, სვეტების, ვალდებულებების და სუნნათების დაცვით.

(4968)

(111) – عَنْ عَبْدِ اللَّهِ بِن مَسْعُودٍ رضي الله عنه قَالَ: سَأَلْتُ النَّبِيَّ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ: أَيُّ العَمَلِ أَحَبُّ إِلَى اللَّهِ؟ قَالَ: «الصَّلاَةُ عَلَى وَقْتِهَا»، قَالَ: ثُمَّ أَيٌّ؟ قَالَ: «ثُمَّ بِرُّ الوَالِدَيْنِ» قَالَ: ثُمَّ أَيٌّ؟ قَالَ: «الجِهَادُ فِي سَبِيلِ اللَّهِ» قَالَ: حَدَّثَنِي بِهِنَّ، وَلَوِ اسْتَزَدْتُهُ لَزَادَنِي.

[صحيح] - [متفق عليه]

(111) – გადმოცემულია აბულლაჰ იბნ მას'უდისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომელმაც თქვა: მე ვკითხე ალლაჰის შუამავალს (ლოცვა და მშვიდობა მას): რომელი საქმეა ალლაჰისთვის ყველაზე საყვარელი? მან თქვა: «თავის დროს შესრულებული ლოცვა». მე ვკითხე: შემდეგ რომელი? მან თქვა: «მშობლებზე კეთილად მოპყრობა», მე ვკითხე: შემდეგ რომელი? მან თქვა: «ბრძოლა (ჯიჰადი) ალლაჰის გზაზე». შემდეგ მან თქვა: თუ მე გავაგრძელებდი მის კითხვას, ის აუცილებლად კიდევ რაიმეს დაამატებდა. [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

შუამავალს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ჰკითხეს, თუ რომელი საქმე იყო ალლაჰისთვის ყველაზე საყვარელი? მან თქვა: სავალდებულო ლოცვა, რომელიც სრულდება ალლაჰის მიერ დადგენილ დროს, შემდეგ მშობლებისადმი პატივისცემისა და კეთილგანწყობის გამოხატვა, მათი უფლებების შესრულება და მათი დაუმორჩილებლობისგან თავის შეკავება, შემდეგ ჯიჰადი ალლაჰის გზაზე, ალლაჰის სიტყვის (ყურანის) ამაღლების, ისლამის რელიგიისა და მუსლიმთა დაცვის, ასევე მისი რიტუალების გამოხატვის მიზნით. ეს სრულდება როგორც სხეულით, ასევე ქონებით.

იბნ მას'უდი (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) ამბობს: მან ამ საქმეებზე მიმითითა; მისთვის კიდევ რომ მეკითხა შემდეგ რომელი? უფრო მეტს მეტყოდა.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. საქმეთა ღირებულება განსხვავდება იმის მიხედვით, თუ რამდენად საყვარელია ისინი ალლაჰისთვის.
2. მოწოდება მუსლიმისადმი, რომ ისწრაფოს თანმიმდევრული საუკეთესო საქმეების შესრულებისკენ, მუდმივად შეარჩიოს და განახორციელოს ის, რაც ყველაზე უკეთესია.
3. მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) პასუხები კითხვაზე საუკეთესო საქმეების შესახებ განსხვავდებოდა ადამიანების, მათი მდგომარეობებისა და იმის მიხედვით, რაც თითოეულ მათგანს ყველაზე მეტ სარგებელს მოუტანდა.

(3365)

(112) – عَنْ عُثْمَانَ رضي الله عنه قَالَ: سَمِعْتُ رَسُولَ اللهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ يَقُولُ: «مَا مِنَ امْرِئٍ مُسْلِمٍ تَحْضُرُهُ صَلَاةٌ مَكْتُوبَةٌ فَيُحْسِنُ وُضُوءَهَا وَخُشُوعَهَا وَرُكُوعَهَا، إِلَّا كَانَتْ كَفَّارَةً لِمَا قَبْلَهَا مِنَ الذُّنُوبِ، مَا لَمْ يُؤْتِ كَبِيرَةً، وَذَلِكَ الدَّهْرَ كُلَّهُ». [صحيح] - [رواه مسلم]

(112) – უსმანმა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) თქვა: გავიგონე ალლაჰის შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამბობდა: «ყველა მუსლიმისთვის, რომელიც სავალდებულო ლოცვის დადგომის დროს სწორად განახორციელებს განბანვას, ლოცვის დროს დაიცავს სათანადო თავმდაბლობას და სწორად შეასრულებს ყველა მუხლს, [ეს ლოცვა] აუცილებლად იქნება მანამდე ჩადენილი ცოდვების გამოსყიდვა, თუ მათ შორის არ ყოფილა რაიმე მძიმე ცოდვა, და ასე იქნება ყოველთვის». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა მუსლიმმა]

განმარტება:

ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტა, რომ არ არსებობს მუსლიმი, რომელსაც სავალდებულო ლოცვის დრო მოუვა, თუ ის ლოცვისთვის განბანვას სრულყოფილად შეასრულებს და გულმოდგინედ მოემზადება. ლოცვის დროს მისი გული და სხეულის ყველა ნაწილი ალლაჰის მიმართ კონცენტრირებული და მისი სიდიადის განცდით აღსავსე იქნება, ლოცვის მოქმედებებს, როგორიცაა რუქუ'ი, სეჯდა და სხვა, სრულყოფილად შეასრულებს, - არ ეპატიოს მას მისი წარსული ცოდვები, თუ არ აქვს ჩადენილი დიდი ცოდვები. ეს სიკეთე გრძელდება ყველა დროში და თითოეული ლოცვის დროს.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ლოცვა, რომელიც გამოისყიდის ცოდვებს, არის ის, რომლისთვისაც ალლაჰის მონამ სწორად განახორციელა მცირე განბანვა (ვუდუ) და ლოცვა შეასრულა თავმდაბლობითა და გულწრფელობით, მხოლოდ ყოვლისშემძლე ალლაჰისათვის.
2. მუდმივი ღვთისმსახურების შესრულების სიკეთე იმაში მდგომარეობს, რომ ისინი მცირე ცოდვათა მიტევების მიზეზი ხდება.
3. აბდესის სრულყოფილად შესრულების სიკეთე, ლოცვის სრულყოფილი შესრულებისა და მასში თავმდაბლობის გამოჩენა.
4. მნიშვნელოვანია დიდი ცოდვებისგან თავის არიდება, რათა მცირე ცოდვები იქნას მიტევებული.
5. დიდი ცოდვები არ მიეტევება, მონანიების გარეშე.

(6254)

(113) – عن أبي هريرةَ رضي الله عنه أنَّ رسولَ الله صلى الله عليه وسلم كان يقول: «الصَّلَوَاتُ الْخَمْسُ، وَالْجُمُعَةُ إِلَى الْجُمُعَةِ، وَرَمَضَانُ إِلَى رَمَضَانَ، مُكَفِّرَاتٌ مَا بَيْنَهُنَّ إِذَا اجْتَنَبَ الْكَبَائِرَ». [صحيح] - [رواه مسلم]

(113) – გადმოცემულია აბუ ჰურაირასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ ალლაჰის მოციქული

(ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამბობდა: «ხუთი ყოველდღიური ლოცვა, პარასკევის ლოცვა შემდეგ პარასკევის ლოცვამდე და რამადანის მარხვა შემდეგ რამადანამდე, შლის მათ შორის არსებულ მცირე ცოდვებს, თუ ადამიანი დიდ ცოდვებს ერიდებოდა». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა მუსლიმმა]

განმარტება:

მოციქული მუჰამმადი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნობს, რომ დღის და ღამის ხუთი სავალდებულო ლოცვა, ყოველკვირეული პარასკევის ლოცვა და ყოველწლიური რამადანის მარხვა შლის მათ შორის არსებულ მცირე ცოდვებს იმ პირობით, თუ ადამიანი თავს არიდებს დიდ ცოდვებს, რაც შეეხება დიდ ცოდვებს, როგორიცაა ზინა (მრუშობა) და ალკოჰოლის სმა, ისინი არ იშლება თუ არა მონანიებით, რომ მეორედ აღარ ჩაიდენს ადამიანი.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ცოდვები ზოგიერთი პატარაა და ზოგიერთი კი დიდი.
2. პატარა ცოდვების პატიება განპირობებულია დიდ ცოდვებზე განრიდებით.
3. დიდი ან მძიმე ცოდვები არის ის ცოდვები, რომლებზეც შარიათით დაწესებულია სასჯელი

ამქვეყნად, ან მათ ჩადენისთვის არსებობს მუქარა მარადიულ ცხოვრებაში, იქნება ეს სასჯელის, რისხვის გამოწვევის ან წყევლის სახით, მაგალითად, მრუშობა და ალკოჰოლის მიღება.

(3591)

(114) – عَنْ عَمْرو بْنِ شُعَيْبٍ عَنْ أَبِيهِ عَنْ جَدِّهِ قَالَ: قَالَ رَسُولُ اللَّهِ صَلَّى اللَّهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ: «مُرُوا أَوْلَادَكُمْ بِالصَّلَاةِ وَهُمْ أَبْنَاءُ سَبْعِ سِنِينَ، وَاضْرِبُوهُمْ عَلَيْهَا وَهُمْ أَبْنَاءُ عَشْرٍ، وَفَرِّقُوا بَيْنَهُمْ فِي الْمَضَاجِعِ». [حسن] - [رواه أبو داود]

(114) – გადმოცემულია 'ამრ იბნ შუ'აიბისგან მისი მამისგან მისი ბაბუისგან, რომელმაც თქვა: შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «უთხარით თქვენს შვილებს, რომ ილოცონ, როცა ისინი შვიდი წლისანი გახდებიან, და დასაჯეთ ისინი, თუ არ ილოცებენ, როცა ათი წლის გახდებიან, და გააცალკევეთ ისინი საწოლებში». [კარგი (ჰასან)] - [გადმოსცა აბუ დაუდმა]

განმარტება:

მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტა, რომ მამამ უნდა უბრძანოს თავის შვილებს – როგორც ვაჟებს, ისე ქალიშვილებს – ლოცვის შესრულება, როცა ისინი შვიდი წლისანი გახდებიან, და ასწავლოს მათ ყველაფერი, რაც ლოცვის სწორად

შესრულებისთვის არის საჭირო. როცა ისინი ათი წლის ხდებიან, მამამ უნდა გააძლიეროს ლოცვისადმი მოწოდება. თუ ისინი უგულებელყოფენ მას, შეუძლია მსუბუქად დასჯოს, რათა დაარიგოს. ასევე, მათ შორის უნდა მოხდეს განცალკევება საწოლებში.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ბავშვებისთვის რელიგიის საფუძვლების სწავლება სქესობრივი მომწიფებამდე ძალიან მნიშვნელოვანია, და მათ შორის უმთავრესია ლოცვის სწავლება.
2. დასჯა უნდა იყოს მხოლოდ აღზრდისა და დისციპლინის მიზნით და არა დასჯის ან წამების სახით. დარტყმა უნდა იყოს მსუბუქი და ბავშვის მდგომარეობასთან შესაბამისი.
3. შარიათში დიდი ყურადღება ეთმობა ადამიანის ღირსების დაცვას და ყველა იმ გზის ჩაკეტვას, რამაც შეიძლება გარყვნილებისკენ ან უმსგავსობისკენ მიიყვანოს.

(5272)

(115) – عَنْ أَبِي هُرَيْرَةَ رَضِيَ اللهُ عنه سَمِعْتُ رَسُولَ اللهِ صلى الله عليه وسلم يَقُولُ: «قَالَ اللهُ تَعَالَى: قَسَمْتُ الصَّلَاةَ بَيْنِي وَبَيْنَ عَبْدِي نِصْفَيْنِ، وَلِعَبْدِي مَا سَأَلَ، فَإِذَا قَالَ الْعَبْدُ: {الْحَمْدُ لِلَّهِ رَبِّ الْعَالَمِينَ}، قَالَ اللهُ تَعَالَى: حَمِدَنِي عَبْدِي، وَإِذَا قَالَ: {الرَّحْمَنِ

الرَّحِيمِ}، قَالَ اللهُ تَعَالَى: أَثْنَى عَلَيَّ عَبْدِي، وَإِذَا قَالَ: {مَالِكِ يَوْمِ الدِّينِ}، قَالَ: مَجَّدَنِي عَبْدِي، -وَقَالَ مَرَّةً: فَوَّضَ إِلَيَّ عَبْدِي-، فَإِذَا قَالَ: {إِيَّاكَ نَعْبُدُ وَإِيَّاكَ نَسْتَعِينُ}، قَالَ: هَذَا بَيْنِي وَبَيْنَ عَبْدِي وَلِعَبْدِي مَا سَأَلَ، فَإِذَا قَالَ: {اهْدِنَا الصِّرَاطَ الْمُسْتَقِيمَ، صِرَاطَ الَّذِينَ أَنْعَمْتَ عَلَيْهِمْ غَيْرِ الْمَغْضُوبِ عَلَيْهِمْ وَلَا الضَّالِّينَ}، قَالَ: هَذَا لِعَبْدِي وَلِعَبْدِي مَا سَأَلَ».

[صحيح] - [رواه مسلم]

(115) – გადმოცემულია აბუ ჰურაირასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მან თქვა: გავიგონე, რომ ალლაჰის შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამბობდა: «უზენაესი ალლაჰი ბრძანებს: "მე გავყავი ლოცვა ჩემსა და ჩემს მორჩილს შორის ორად, და ჩემი მორჩილი მიიღებს იმას, რასაც ითხოვს". როდესაც მსახური ამბობს: {დიდება ალლაჰს, სამყაროების მბრძანებელს!} ალლაჰი ამბობს: დიდება მომაგო ჩემმა მორჩილმა. როდესაც ამბობს: {მოწყალეს და შემწყალებელს} ალლაჰი ამბობს: ქება მომაგო ჩემმა მორჩილმა. როდესაც ამბობს: {განსჯის დღის მეუფეს} ალლაჰი ამბობს: დიდება მომაგო ჩემმა მორჩილმა, და ზოგჯერ ამბობს: ჩემს ხელთ მიანდო საქმენი ჩემმა მორჩილმა. როდესაც ამბობს: {მხოლოდ შენ გეთაყვანები და მხოლოდ შენგან ვითხოვ დახმარებას}, ალლაჰი ამბობს: ეს არის ჩემსა და ჩემს მორჩილს შორის და ჩემი მორჩილი მიიღებს იმას, რასაც ითხოვს.

როდესაც ამბობს: {დაგვადგინე სწორ გზაზე, იმათ გზაზე, ვისაც წყალობა მიაგე, და არა მათ (გზაზე), რომელნიც შენი რისხვის ქვეშ არიან და, არც მათ გზაზე, რომელნიც სწორ გზას ასცდნენ!} ალლაჰი ამბობს: ეს არის ჩემი მორჩილისთვის და ჩემი მორჩილი მიიღებს იმას, რასაც ითხოვს». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა მუსლიმმა]

განმარტება:

ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნო, რომ უზენაესმა ალლაჰმა თქვა ჰადის ყუდსში:

"ლოცვაში სურა „ალ-ფათიჰა“ გავყავი ჩემსა და ჩემს მორჩილს შორის ორად. მისი ნახევარი ჩემია, ხოლო ნახევარი მისი".

სურის პირველი ნაწილი წარმოადგენს ალლაჰის ხოტბას და დიდებას, რისთვისაც იგი საუკეთესო ჯილდოს მიმადლებს.

სურის მეორე ნაწილი წარმოადგენს ალლაჰისადმი მუხლმოდრეკილ ვედრებას და თხოვნას, რომელზეც ალლაჰი უპასუხებს და მიანიჭებს იმას, რაც მას სთხოვს.

როდესაც მლოცველი ამბობს: "დიდება ალლაჰს, სამყაროთა მფლობელს,“ ალლაჰი ამბობს: „ჩემმა მონამ მე გამადიდა“. როდესაც ის ამბობს: „მოწყალე, შემწყალებელი“, ალლაჰი ამბობს: „ჩემმა მონამ მე

შემაქო, ღირსეული პატივი მიმაგო და აღიარა ჩემი გულუხვობა ყველა ჩემი ქმნილების მიმართ“. როდესაც ის ამბობს: „განკითხვის დღის მფლობელს,“ ალლაჰი ამბობს: „ჩემმა მონამ მე განმადიდა“, რაც მისი სრულყოფილი დიდების გამოხატულებაა.

როდესაც მლოცველი ამბობს: {მხოლოდ შენ გეთაყვანები და მხოლოდ შენგან ვითხოვ შეწევნას}, ალლაჰი ამბობს: "ეს არის ჩემსა და ჩემს მორჩილს შორის".

ამ აიათის პირველი ნახევარი ალლაჰს ეკუთვნის, რაც არის: {მხოლოდ შენ გეთაყვანებით}. ეს არის ალლაჰის ღმერთობის აღიარება და მორჩილების გამოხატულება მლოცველის მხრიდან. ამით მთავრდება ის ნახევარი, რომელიც ალლაჰს ეკუთვნის.

აიათის მეორე ნახევარი, რომელიც მსახურს ეკუთვნის, არის: {მხოლოდ შენ გთხოვ შეწევნას}. ეს არის ალლაჰისგან დახმარების თხოვნა და მისი დაპირება, რომ შეწევნას გაუწევს.

როდესაც მლოცველი ამბობს: {მატარე სწორი გზით, იმათი გზით, ვისაც წყალობა მიაგე, და არა მათი, ვინც შენი რისხვის ქვეშ არიან და ვინც გზას აცდა} ალლაჰი ამბობს: „ეს არის ჩემი მლოცველი მონის ვედრება და თხოვნა. ის მიიღებს იმას, რაც მთხოვა, და მე ვუპასუხე მის ვედრებას“.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. სურის "ალ-ფათიჰას" უდიდესი მნიშვნელობა დასტურდება იმით, რომ უზენაესმა ალლაჰმა მას "ლოცვა" უწოდა.
2. უზენაესი ალლაჰის მზრუნველობის გამოხატვა მისი მორჩილის მიმართ ჩანს იმით, რომ იგი აქებს მას მისი ქების, დიდების და განდიდების გამო და ჰპირდება, რომ მისცემს იმას, რაც მან ითხოვა.
3. ეს წმინდა სურა მოიცავს ალლაჰის ქებას, აღდგომის დღის მოხსენიებას, ალლაჰის მიმართ ვედრებას, გულწრფელ თაყვანისცემას მხოლოდ მისთვის, სწორი გზის თხოვნას და მცდარი გზებისგან გაფრთხილებას.
4. მლოცველის მიერ ამ ჰადისის მნიშვნელობის გაცნობიერება "ალ-ფათიჰას" წაკითხვის დროს აძლიერებს მის სიმშვიდეს ლოცვაში.

(65099)

(116) – عن بُرَيدة رضي الله عنه قال: قال رسولُ اللهِ صلّى الله عليهِ وسلّم: «إِنَّ الْعَهْدَ الَّذِي بَيْنَنَا وَبَيْنَهُمُ الصَّلَاةُ، فَمَنْ تَرَكَهَا فَقَدْ كَفَرَ». [صحيح] - [رواه الترمذي والنسائي وابن ماجه وأحمد]

(116) – ბურაიდასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოცემულია, რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის

ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ჭეშმარიტად, შეთანხმება ჩვენსა და მათ შორის არის ლოცვა, ვინც ის მიატოვა, ურწმუნოება ჩაიდინა». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა ათ-თირმიზიმ, ან-ნასაიმ, იბნ მაჯჯამ და აჰმადმა]

განმარტება:

ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტა, რომ შეთანხმება და პირობა მუსლიმებსა და ურწმუნოებს ან ფარისევლებს შორის არის ლოცვა. ვინც მას მიატოვებს, ის ურწმუნოებას (ქუფრს) აკეთებს.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ლოცვის უდიდესი მნიშვნელობა, რომელიც წარმოადგენს გამყოფ ზღვარს მორწმუნესა და ურწმუნოს შორის.
2. ისლამში განსჯა ხდება ადამიანის გარეგნული მდგომარეობის საფუძველზე და არა მისი შინაგანი განზრახვების მიხედვით.

(65094)

(117) – عن جابرٍ رضي الله عنه قال: سمعتُ النَّبيَّ صلى الله عليه وسلّم يقول: «إِنَّ بَيْنَ الرَّجُلِ وَبَيْنَ الشِّرْكِ وَالْكُفْرِ تَرْكَ الصَّلَاةِ». [صحيح] - [رواه مسلم]

(117) – ჯაბირისაგან გადმოცემულია (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მან თქვა: გავიგონე, რომ ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამბობდა: «ჭეშმარიტად, ადამიანს და შირქსა და ურწმუნოებას შორის გამყოფი ზღვარი არის ლოცვის მიტოვება». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა მუსლიმმა]

განმარტება:

ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გააფრთხილა სავალდებულო ლოცვის მიტოვების წინააღმდეგ და აღნიშნა, რომ კაცსა და შირქსა და ურწმუნოებას შორის გამყოფი არის ლოცვის მიტოვება. ლოცვა ისლამის მეორე საყრდენია და მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ისლამში. ვინც უარყოფს მის ვალდებულებას, ერთსულოვანი თანხმობით ხდება ურწმუნო. ხოლო ვინც სრულიად ტოვებს მას დაუდევრობისა და სიზარმაცის გამო, ის ურწმუნოდ ითვლება, და ამაზე საჰაბების ერთსულოვანი თანხმობა არსებობს. ხოლო ვინც ზოგჯერ ტოვებს და ზოგჯერ ასრულებს ლოცვას, ის ამ მკაცრი მუქარის ქვეშ მოექცევა.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ლოცვის მნიშვნელობა და მისი მუდმივი შესრულება, რადგან იგი წარმოადგენს გამყოფ

ზღვარს ურწმუნოებასა და რწმენას შორის.

2. ლოცვის მიტოვებისა და მისი უგულებელყოფის მიმართ მკაცრი გაფრთხილება.

(65093)

(118) – عَنْ سَالِمِ بْنِ أَبِي الْجَعْدِ قَالَ: قَالَ رَجُلٌ: لَيْتَنِي صَلَّيْتُ فَاسْتَرَحْتُ، فَكَأَنَّهُمْ عَابُوا ذَلِكَ عَلَيْهِ، فَقَالَ: سَمِعْتُ رَسُولَ اللَّهِ صَلَّى اللَّهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ يَقُولُ: «يَا بِلَالُ، أَقِمِ الصَّلَاةَ، أَرِحْنَا بِهَا». [صحيح] - [رواه أبو داود]

(118) – სალიმ იბნ აბუ ალ-ჯა'დი გადმოსცემს, რომ ერთმა კაცმა თქვა: "ნეტავ ლოცვა აღვასრულო და დავისვენო!" როგორც ჩანს, ამ სიტყვებმა ხალხში უკმაყოფილება გამოიწვია. მაშინ მან განაცხადა: "მე მოვისმინე, როგორ თქვა ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰმა დალოცოს და მიესალმოს მას): «ო, ბილალ! მოუხმე ლოცვისკენ და დაგვასვენე მისით». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა აბუ დაუდმა]

განმარტება:

ერთმა კაცმა საჰაბებიდან თქვა: "ნეტავ მელოცა და დავისვენო". მის გარშემო მყოფებმა ეს გააკრიტიკეს ამ სიტყვებისთვის. ამის საპასუხოდ მან თქვა: მოვისმინე მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) სიტყვები, რომ მან თქვა: ო, ბილალ! იკითხე აზანი ლოცვის დასაწყებად, რათა დავისვენოთ მისით.

ეს იმის გამო, რომ ლოცვა წარმოადგენს ღმერთთან ახლო კავშირს, რაც სულსა და გულს სიმშვიდეს ანიჭებს.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. გულის სიმშვიდე ლოცვაშია, რადგან ლოცვაში მლოცველი უზენაეს ალლაჰს ესაუბრება.
2. გაკიცხვა მათთვის, ვინც სიზარმაცით ეპყრობა ღვთისმსახურებას.
3. ის, ვინც შეასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას და გაათავისუფლებს საკუთარ თავს მისი ტვირთისგან, ამით პოულობს სიმშვიდესა და გულის განტვირთვას.

(65095)

(119) – عَنْ عُبَادَةَ بْنِ الصَّامِتِ رضي الله عنه أَنَّ رَسُولَ اللَّهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ قَالَ: «لَا صَلَاةَ لِمَنْ لَمْ يَقْرَأْ بِفَاتِحَةِ الكِتَابِ». [صحيح] - [متفق عليه]

(119) – 'უბაადა იბნ საამით (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «არ არის ლოცვა იმისი, ვინც არ წაიკითხა სურა ალ-ფათიჰა». [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტა, რომ ლოცვა არ იქნება სწორი სურა "ალ-ფათიჰას" წაკითხვის გარეშე, რადგან ის წარმოადგენს ლოცვის სვეტს ყველა რაქათში.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. სურა "ალ-ფათიჰას" წაკითხვას ვერაფერი ჩაანაცვლებს, თუ ადამიანი მისი წაკითხვის უნარს ფლობს.
2. რაქათი, რომელშიც სურათ ალ-ფათიჰა არ იკითხება, გაუქმებულია, იქნება ეს განზრახ, უცოდინრობის ან დავიწყების გამო, რადგან იგი ლოცვის სვეტია, და სვეტები ვერანაირად ვერ უქმდება.
3. სურათ "ალ-ფათიჰას" წაკითხვის ვალდებულება უქმდება იმისთვის, ვინც იმამის უკან ლოცულობს, თუ ის იმამს რუქუ'ში შეუერთდა.

(5378)

(120) – عن أَبِي هُرَيْرَةَ رضي الله عنه: أَنَّه كَانَ يُكَبِّرُ فِي كُلِّ صَلَاةٍ مِنَ الْمَكْتُوبَةِ وَغَيْرِهَا، فِي رَمَضَانَ وَغَيْرِهِ، فَيُكَبِّرُ حِينَ يَقُومُ، ثُمَّ يُكَبِّرُ حِينَ يَرْكَعُ، ثُمَّ يَقُولُ: سَمِعَ اللهُ لِمَنْ حَمِدَهُ، ثُمَّ يَقُولُ: رَبَّنَا وَلَكَ الْحَمْدُ، قَبْلَ أَنْ يَسْجُدَ، ثُمَّ يَقُولُ: اللهُ أَكْبَرُ حِينَ يَهْوِي سَاجِدًا، ثُمَّ يُكَبِّرُ حِينَ يَرْفَعُ رَأْسَهُ مِنَ السُّجُودِ، ثُمَّ يُكَبِّرُ حِينَ يَسْجُدُ، ثُمَّ يُكَبِّرُ حِينَ

يَرْفَعُ رَأْسَهُ مِنَ السُّجُودِ، ثُمَّ يُكَبِّرُ حِينَ يَقُومُ مِنَ الْجُلُوسِ فِي الِاثْنَتَيْنِ، وَيَفْعَلُ ذَلِكَ فِي كُلِّ رَكْعَةٍ، حَتَّى يَفْرُغَ مِنَ الصَّلَاةِ، ثُمَّ يَقُولُ حِينَ يَنْصَرِفُ: وَالَّذِي نَفْسِي بِيَدِهِ، إِنِّي لَأَقْرَبُكُمْ شَبَهًا بِصَلَاةِ رَسُولِ اللهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ، إِنْ كَانَتْ هَذِهِ لَصَلَاتَهُ حَتَّى فَارَقَ الدُّنْيَا. [صحيح] - [متفق عليه]

(120) – გადმოცემულია აბუ ჰურაირასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი): "რომ ის ყოველთვის ამბობდა "ალლაჰუ აქბარ"-ს ყოველ ნამაზში, როგორც სავალდებულო, ისე ნებაყოფლობით ლოცვებში, როგორც რამადანში, ისე მის მიღმა. ის ამბობდა თაქბირს როცა დგებოდა, შემდეგ ისევ თაქბირს როცა მოიხრებოდა წელში. შემდეგ ამბობდა: "სამი'ალლაჰუ ლიმან ჰამიდაჰ", ხოლო ამის შემდეგ "ალლაჰუმმა რაბბანაა ლაქალ ჰამდ", შემდეგ ის ამბობდა: ალლაჰუ აქბარ-ს როცა სუჯუდში ჩადიოდა, ისევ ალლაჰუ აქბარ-ს როცა სუჯუდიდან თავს ასწევდა, შემდეგ ისევ ალლაჰუ აქბარ-ს როცა მეორე სუჯუდში ჩადიოდა, ისევ ალლაჰუ აქბარ-ს როცა მეორედ სუჯუდიდან თავს ასწევდა. როცა მეორე რაქ'ათიდან ჯდომის მდგომარეობიდან დგებოდა, კვლავ ამბობდა ალლაჰუ აქბარ. ის ამას იმეორებდა თითოეულ რაქ'ათში, სანამ ნამაზს არ დაასრულებდა. ლოცვის დასრულების შემდეგ ის ამბობდა: «ვფიცავ იმას, ვისი ხელშიცაა ჩემი სული, მე ყველაზე ზუსტად ვიმეორებ ალლაჰის მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და

მშვიდობა მას) ლოცვას, რადგან ეს იყო მისი ლოცვა მანამ, სანამ ის არ დატოვებდა ამ სამყაროს». [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს კმაყოფილი მისით) გადმოსცემს მოციქული მუჰამმადის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ლოცვის აღწერილობის ნაწილს და ამბობს, რომ ის (მოციქული) როცა დგებოდა ლოცვაზე, ამბობდა თაქბირათულ იჰრაამს (ალლაჰუ აქბარ) ლოცვის დასაწყისში, შემდეგ ალლაჰუ აქბარ-ს, როცა წელში მოიხრებოდა, შემდეგ ალლაჰუ აქბარ-ს, როცა სუჯუდში ჩადიოდა, ისევ ალლაჰუ აქბარ-ს როცა სუჯუდიდან თავს ასწევდა, შემდეგ ალლაჰუ აქბარ-ს, როცა მეორე სუჯუდში ჩადიოდა, ისევ ალლაჰუ აქბარ-ს, როცა მეორე სუჯუდიდან თავს ასწევდა, და ისევ ალლაჰუ აქბარ-ს, როცა პირველი ორი რაქ'ათის შემდეგ პირველ თაშაჰუდზე ჯდომიდან დგებოდა სამრაქ'ათიან ან ოთხრაქ'ათიან ნამაზში.

ის ამას იმეორებდა ლოცვის ბოლომდე. წელში მოხრიდან ზურგში გაშლასთან ერთად კი ამბობდა: სამი'ალლაჰუ ლიმან ჰამიდაჰ, ხოლო წელში გამართულ მდგომარეობაში: რაბბანაა ლაქალ ჰამდ.

ამის შემდეგ, როცა აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) ნამაზს დაასრულებდა, ამბობდა:

ვფიცავ იმას, ვის ხელშიცაა ჩემი სული, მე ყველაზე ზუსტად ვიმეორებ ალლაჰის მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ლოცვას, რადგან ეს იყო მისი ლოცვა მანამ, სანამ ის არ დატოვებდა ამ სამყაროს.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. თაქბირის (ალლაჰუ აქბარ) წარმოთქმა ხდება ყოველი დახრისა და გასწორების დროს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ადამიანი დგება რუქუ'იდან (წელში მოხრა). ამ დროს წარმოითქმის შემდეგი სიტყვები: სამი'ა ლლაჰუ ლიმან ჰამიდაჰ.
2. საჰაბები დიდი გულმოდგინებით ცდილობდნენ, მიებაძათ მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ქცევებისთვის და შეენარჩუნებინათ მისი სუნნა.

(65098)

(121) – عن ابنِ عَبَّاسٍ رضي الله عنهما عنِ النبيِّ صلّى الله عليه وسلّم قال: «أُمِرْتُ أَنْ أَسْجُدَ عَلَى سَبْعَةِ أَعْظُمٍ: عَلَى الْجَبْهَةِ وَأَشَارَ بِيَدِهِ عَلَى أَنْفِهِ، وَالْيَدَيْنِ، وَالرُّكْبَتَيْنِ، وَأَطْرَافِ الْقَدَمَيْنِ، وَلَا نَكْفِتَ الثِّيَابَ وَالشَّعَرَ». [صحيح] - [متفق عليه]

(121) – გადმოსცემს იბნ აბბასი (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «მე მებრძანა, რომ შვიდ ძვალზე შევასრულო საჯდა: შუბლზე და ხელით ცხვირისკენ

მიანიშნა, ორივე ხელზე, ორივე მუხლზე, ორივე ფეხის წვერებზე. და ამეკრძალა ტანსაცმლის და თმების აკეცვა». [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტა, რომ ალლაჰმა მას უბრძანა ლოცვის დროს შვიდი სხეულის ნაწილით ეხებოდეს მიწას, როცა საჯდას ასრულებს; ესენია:

პირველი: შუბლი, რომელი არის ცხვირის და თვალების ზედა სახის ნაწილი, შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მიუთითა ცხვირისკენ, იმის მანიშნებლად, რომ შუბლი და ცხვირი ერთ ნაწილს შეადგენს ამ შვიდი ორგანოდან. და ასევე იმის დასადასტურებლად, რომ საჯდას შემსრულებელი ცხვირითაც უნდა ეხებოდეს მიწას.

მეორე და მესამე ორგანო: ხელის მტევნები.

მეოთხე და მეხუთე: მუხლები.

მეექვსე და მეშვიდე: ორივე ფეხის თითები.

გვიბრძანა, რომ არ შევიკრათ (შევისწოროთ) თმები და არ შევიკრათ (შევისწოროთ) ტანსაცმელი, როდესაც საჯდას შესასრულებლად მივდივართ, ტანსაცმლის ან თმების დაცვის მიზნით; არამედ, დავუშვათ მიწაზე ისე, როგორც არის, და ისინიც შეასრულებენ საჯდას სხეულის სხვა ორგანოებთან ერთად.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. სხეულის შვიდ ორგანოზე საჯდას შესრულების აუცილებლობა.
2. თმების და ტანსაცმლის შეკვრა აკეცვა ლოცვის დროს მოუწონარი საქციელია.
3. აუცილებელია მლოცველი იყოს მშვიდად ლოცვის დროს, ასე რომ მან სხეულის შვიდი ორგანო უნდა შეახოს მიწას საჯდაზე, და გაჩერდეს ამ მდგომარეობაში იმდენ ხანს, სანამ არ შეასრულებს იქ წასაკითხავ ვედრებას.
4. თმების შეკვრის აკრძალვა ეკუთვნის მხოლოდ მამაკაცებს და არა ქალებს, რადგან ქალისთვის ლოცვის დროს ნაბრძანებია დაფარვა.

(10925)

(122) – عن جَرِيْر بنِ عبدِ الله رضي الله عنه قال: كُنَّا عِنْدَ النَّبِيِّ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ، فَنَظَرَ إِلَى الْقَمَرِ لَيْلَةً -يَعْنِي الْبَدْرَ- فَقَالَ: «إِنَّكُمْ سَتَرَوْنَ رَبَّكُمْ كَمَا تَرَوْنَ هَذَا الْقَمَرَ، لَا تُضَامُونَ فِي رُؤْيَتِهِ، فَإِنِ اسْتَطَعْتُمْ أَنْ لَا تُغْلَبُوا عَلَى صَلَاةٍ قَبْلَ طُلُوعِ الشَّمْسِ وَقَبْلَ غُرُوبِهَا فَافْعَلُوا» ثُمَّ قَرَأَ: «{وَسَبِّحْ بِحَمْدِ رَبِّكَ قَبْلَ طُلُوعِ الشَّمْسِ وَقَبْلَ الْغُرُوبِ}»

[صحيح] - [متفق عليه]

(122) – გადმოცემულია ჯარირ იბნ აბდულლაჰისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომელმაც თქვა:

«ერთხელ, როცა სავსე მთვარეობის ღამეს ჩვენ ვიყავით მოციქულთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას), მან შეხედა მთვარეს და თქვა: «ჭეშმარიტად, თქვენ იხილავთ თქვენს უფალს [ისე ნათლად], როგორც ხედავთ ამ მთვარეს, და არ დაგზარავთ მისი ხილვა! თუ შეგიძლიათ, უზრუნველყოთ, რომ არაფერი შეგიშლით ლოცვების აღსრულებაში მზის ამოსვლამდე და მისი ჩასვლის წინ, მაშინ ეს ლოცვები აღასრულეთ». ამის შემდეგ მან წაიკითხა აიათი: {და ადიდე შენი უფლის დიდება მზის ამოსვლამდე და მის ჩასვლამდე}». [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

ერთ ღამეს, როცა საჰაბები იმყოფებოდნენ შუამავალთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) და მან, როდესაც შეხედა მთვარეს — ეს იყო თვის მე-თოთხმეტე ღამე — თქვა: მორწმუნეები რეალურად იხილავენ თავიანთ უფალს საკუთარი თვალებით, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, და ამ დროს ისინი არ იგრძნობენ შევიწროებას, არც დაღლილობას და არც რაიმე სირთულეს ყოვლისშემძლე ალლაჰის ხილვისას. შემდეგ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: თუ შეგიძლიათ, რომ თავიდან აიცილოთ მიზეზები, რომლებიც ხელს გიშლით დილის და ნაშუადღევის ლოცვების შესრულებაში გააკეთეთ ეს, და

შეასრულეთ ორივე ლოცვა სრულიად თავის დროზე კოლექტიურად, რადგანაც ეს არის უზენაესი ალლაჰის დანახვის ერთ-ერთი პირობა. შემდეგ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) წაიკითხა აიათი: {განადიდე შენი ღმერთი ქება-დიდებით მზის ამოსვლამდე და მზის ჩასვლამდე}.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. მორწმუნეების სამახარობლო უზენაესი ალლაჰის დანახვისა სამოთხეში.
2. მოწოდების მეთოდებიდანაა: დადასტურება, წახალისება და მაგალითების მოყვანა.

(5657)

(123) – عن جُندُب بن عبد الله القَسْرِي رضي الله عنه قال: قال رسولُ الله صلّى الله عليه وسلّم: «مَنْ صَلَّى صَلَاةَ الصُّبْحِ فَهُوَ فِي ذِمَّةِ اللهِ، فَلَا يَطْلُبَنَّكُمُ اللهُ مِنْ ذِمَّتِهِ بِشَيْءٍ، فَإِنَّهُ مَنْ يَطْلُبْهُ مِنْ ذِمَّتِهِ بِشَيْءٍ يُدْرِكْهُ، ثُمَّ يَكُبَّهُ عَلَى وَجْهِهِ فِي نَارِ جَهَنَّمَ».

[صحيح] - [رواه مسلم]

(123) – გადმოცემულია ჯუნდუბ იბნ აბდულლაჰ ალ-ყასრისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომელმაც თქვა: შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ვინც ასრულებს დილის ლოცვას, ის ალლაჰის მფარველობაშია. და ალლაჰმა არ

მოგაკითხოთ სხვა რამისთვის, რადგან, ნამდვილად, ის, ვისაც რაიმესათვის მიაკითხავს, უეჭველად, დაეწევა და, პირით ჯოჯოხეთის ცეცხლში ჩააგდებს». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა მუსლიმმა]

განმარტება:

მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვაუწყებს, რომ ის, ვინც ასრულებს დილის ლოცვას, იმყოფება ალლაჰის დაცვისა და მფარველობის ქვეშ.

შემდეგ მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მკაცრად აფრთხილებს ამ დაცვის შეთანხმების დარღვევაზე. ეს შეიძლება მოხდეს, თუ ადამიანი ან დატოვებს დილის ლოცვას, ან ხელს შეუშლის სხვას მის შესრულებაში, ან ზიანს მიაყენებს მლოცველებს. ვინც ასე მოიქცევა, არღვევს ალლაჰთან ახლო კავშირის შეთანხმებას და იმსახურებს მძიმე სასჯელს. ალლაჰი მოსთხოვს მას პასუხს მისი უფლების ხელყოფისთვის, და ვისგანაც ალლაჰი მოსთხოვს პასუხს, ის აუცილებლად მოეწევა, შემდეგ კი სახით ჩააგდებს ცეცხლში.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. დილის ლოცვის მნიშვნელობის განმარტება და მისი მადლი.
2. მკაცრი გაფრთხილება მათთვის, ვინც ხელს

შეუშლის დილის მლოცველებს.

3. ალლაჰის შურისძიება მათთვის, ვინც ზიანს მიაყენებს მის გულწრფელ მონებს.

(5435)

(124) – عن بُرَيدة بن الحصيب رضي الله عنه أنَّه قال: بَكِّرُوا بِصَلَاةِ الْعَصْرِ، فَإِنَّ النَّبِيَّ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ قَالَ: «مَنْ تَرَكَ صَلَاةَ الْعَصْرِ فَقَدْ حَبِطَ عَمَلُهُ». [صحيح] - [رواه البخاري]

(124) – გადმოცემულია ბურაიდა იბნ ალ-ჰუსაიბისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მან თქვა: იჩქარეთ ნაშუადღევის ლოცვის შესრულება, რადგან შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ვინც მიატოვა ნაშუადღევის ლოცვა, მისი საქმეები ფუჭი იქნება». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა ალ-ბუხარიმ]

განმარტება:

შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გააფრთხილა ნაშუადღევის (შუადღის შემდგომის ლოცვა) ლოცვის შეგნებულად დაგვიანება თავისი დროიდან, რადგან ვინც შეგნებულად დააგვიანებს მას - მისი საქმეები გაბათილდება, გაუქმდება და ფუჭად ჩაივლის.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ნაშუადღევის ლოცვის თავის დროზე შესრულებისკენ მოწოდება და დაუყოვნებლივ შესრულება მისი დროის დადგომისთანავე.
2. მკაცრი გაფრთხილება მას ვინც, მიატოვა ნაშუადღევის ლოცვა. მისი დროის გადაწევა და გამოტოვება უფრო დიდი ცოდვაა, ვიდრე სხვების, რადგან ის არის შუა ლოცვა და მისთვის განსაკუთრებული ბრძანება არსებობს უზენაესის სიტყვებში: «დაიცავით ლოცვები და შუა ლოცვა, და მოკრძალებით დადექით ალლაჰის წინაშე». [ალ-ბაყარა: 238]

(6261)

(125) – عن أنس بن مالك رضي الله عنه عنِ النَّبيِّ صلى الله عليه وسلم قال: «مَنْ نَسِيَ صَلَاةً فَلْيُصَلِّ إِذَا ذَكَرَهَا، لَا كَفَّارَةَ لَهَا إِلَّا ذَلِكَ: {وَأَقِمِ الصَّلَاةَ لِذِكْرِي} [طه: 14]».

[صحيح] - [متفق عليه]

(125) – ანას იბნ მალიქი (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას თქვა): «ვინც ლოცვას დაივიწყებს, უნდა შეასრულოს ის, როგორც კი გაიხსენებს, რადგან მას არ აქვს სხვა გამოსასყიდი, გარდა ამისა». {და ლოცვად დადექი ჩემს სახსენებლად}

[ტაჰა: 14] [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტა, რომ თუ ვინმემ დაივიწყა სავალდებულო ლოცვის შესრულება მისი დროის გასვლამდე, ის ვალდებულია სასწრაფოდ და დაუყოვნებლივ შეასრულოს იგი, როგორც კი გაახსენდება. ეს იმიტომ, რომ მისი დატოვების ცოდვის მიტევება და დაფარვა მხოლოდ მაშინ ხდება, თუ ის შესრულდება მისი გახსენების მომენტში. ალლაჰი თავის წმინდა წიგნში ბრძანებს: «ლოცვად დადექი ჩემს სახსენებლად», [ტაჰა: 14] ანუ: შეასრულე დავიწყებული ლოცვა, როდესაც გაგახსენდება.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ლოცვის მნიშვნელობის განმარტება და მისი შესრულებისადმი სიფრთხილის აუცილებლობა.
2. ლოცვის განზრახ გამოტოვება მისი დროის გასვლამდე, საპატიო მიზეზის გარეშე, დაუშვებელია.
3. ლოცვის ანაზღაურება სავალდებულოა მისთვის, ვისაც ის დაავიწყდა და შემდეგ კი გაიხსენებს, ან ძილში მყოფი როცა გაიღვიძებს.
4. ლოცვის გამოტოვების შემთხვევაში, მისი

დაუყოვნებელი ანაზღაურება სავალდებულოა, თუნდაც ის დაემთხვეს ლოცვისთვის აკრძალულ პერიოდებს.

(65088)

(126) – عن أبي هريرةَ رضي الله عنه قال: قال رسولُ اللهِ صلّى الله عليه وسلّم: «إِنَّ أَثْقَلَ صَلَاةٍ عَلَى الْمُنَافِقِينَ صَلَاةُ الْعِشَاءِ وَصَلَاةُ الْفَجْرِ، وَلَوْ يَعْلَمُونَ مَا فِيهِمَا لَأَتَوْهُمَا وَلَوْ حَبْوًا، وَلَقَدْ هَمَمْتُ أَنْ آمُرَ بِالصَّلَاةِ فَتُقَامَ، ثُمَّ آمُرَ رَجُلًا فَيُصَلِّيَ بِالنَّاسِ، ثُمَّ أَنْطَلِقَ مَعِي بِرِجَالٍ مَعَهُمْ حُزَمٌ مِنْ حَطَبٍ إِلَى قَوْمٍ لَا يَشْهَدُونَ الصَّلَاةَ، فَأُحَرِّقَ عَلَيْهِمْ بُيُوتَهُمْ بِالنَّارِ». [صحيح] - [متفق عليه]

(126) – აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «თვალთმაქცებისთვის ყველაზე ძნელი შესასრულებელია ღამის და დილის ლოცვები. მაგრამ, მათ რომ იცოდნენ, რამდენი სიკეთეა ამ ლოცვებში, აუცილებლად შეუერთდებოდნენ მათ, თუნდაც ხოხვით მისულიყვნენ. ზოგჯერ მსურს, ბრძანება გავცე ლოცვის დაწყების შესახებ, შემდეგ ვინმეს დავავალო იმამის როლი, ხოლო თავად მივიდე ხალხთან ერთად, რომლებიც ატარებენ შეშის კონებს, იმ ადამიანებთან, ვინც [გუნდურ] ლოცვაზე [გასამართლებელი მიზეზის გარეშე] არ გამოცხადდნენ, და მათი სახლები ცეცხლში დავწვა». [სანდო (საჰიჰ)] -

[შეთანხმებული]

განმარტება:

მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნობს თვალთმაქცების შესახებ, რომლებიც კოლექტიური ლოცვის მიმართ გულგრილობით გამოირჩევიან, განსაკუთრებით ღამის და დილის ლოცვის დროს. ის აღნიშნავს, რომ თუ მათ იცოდნენ ამ ლოცვების ჯამაათში შესრულებისას მიღებული ღვთიური მადლის და ჯილდოს მნიშვნელობა, ისინი აუცილებლად დაესწრებოდნენ, თუნდაც ბავშვის მსგავსად ხელებითა და მუხლებით ხოხვით მისულიყვნენ მეჩეთამდე.

მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) აპირებდა ებრძანა ლოცვის შესრულება და დაენიშნა სხვა ადამიანი, რომ მის ნაცვლად ხელმძღვანელობა გაეწია ლოცვისთვის. (მას უნდოდა) რომ წასულიყო და თან წაეყვანა ადამიანები, რომლებიც ტვირთავდნენ შეშის კონებს, და მისულიყო იმ ადამიანების სახლებთან, ვინც არ ესწრებოდნენ კოლექტიურ ლოცვას, რათა მათი სახლები ცეცხლით დაეწვათ იმ მძიმე ცოდვის გამო, რომელსაც ისინი სჩადიოდნენ. თუმცა, მან ეს განზრახვა არ განახორციელა, რადგან იმ სახლებში იმყოფებოდნენ ქალები, ბავშვები და სხვა უდანაშაულო ადამიანები, რომელთათვისაც

კოლექტიური ლოცვა სავალდებულო არ იყო და რომლებიც სასჯელს არ იმსახურებდნენ.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. კოლექტიური ლოცვის შესრულების იგნორირება მეჩეთში სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს.
2. მუნაფიყები თავიანთი თაყვანისცემით არ ისახავენ სხვა მიზანს, გარდა საკუთარი თავის წარმოჩენისა და ამპარტავნობისა. ამიტომ ისინი ლოცვაზე მხოლოდ მაშინ მიდიან, როცა მათ ხალხი ხედავს.
3. დიდი ჯილდო ელოდებათ მათ, ვინც ღამისა და დილის ლოცვებს კოლექტიურად ასრულებს. ეს ლოცვები იმდენად ფასეულია, რომ ისინი იმსახურებენ მათ გამო მისვლას, თუნდაც ცოცვით.
4. ღამისა და დილის ლოცვების შესრულება არის ხსნა თვალთმაქცობისგან. ამ ლოცვების მიტოვება კი წარმოადგენს მის ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებას.

(3366)

(127) – عَنِ ابْنِ أَبِي أَوْفَى رضي الله عنه قَالَ: كَانَ رَسُولُ اللهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ إِذَا رَفَعَ ظَهْرَهُ مِنَ الرُّكُوعِ قَالَ: «سَمِعَ اللهُ لِمَنْ حَمِدَهُ، اللَّهُمَّ رَبَّنَا لَكَ الْحَمْدُ، مِلْءَ السَّمَاوَاتِ وَمِلْءَ الْأَرْضِ وَمِلْءَ مَا شِئْتَ مِنْ شَيْءٍ بَعْدُ». [صحيح] - [رواه مسلم]

(127) – გადმოცემულია იბნ აბუ აუფასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომელმაც თქვა: «როდესაც შუამავალი (ალლაჰმა დალოცოს და მიესალმოს მას) სწორდებოდა რუქუ'იდან ამბობდა: «შეისმინა ალლაჰმა იმის, ვინც ის განადიდა, ო, ალლაჰო, ჩვენო უფალო, შენ გეკუთვნის ქება, რომელიც ავსებს ცას, დედამიწას და ყველაფერს, რაც შენ ისურვე ამის შემდეგ» /სამი'ა ლლაჰუ ლიმან ჰამიდაჰ, ალლაჰუმმა რაბბანაა ლაქალ ჰამდ, მილ'ა სსამაავაათი ვა მილ'ალ არდი, ვა მილ'ა მაა ში'თა მინ შაი'ინ ბა'დუ/». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა მუსლიმმა]

განმარტება:

როცა მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ლოცვაში რუქუ'იდან სწორდებოდა, ამბობდა: შეისმინა ალლაჰმა იმის, ვინც მას ადიდებს. ეს ნიშნავს, რომ ვინც აქებს უზენაეს ალლაჰს, იგი იღებს მის პასუხს, ალლაჰი მის ქებას იღებს და მას ჯილდოს ანიჭებს. შემდეგ აქებდა ალლაჰს სიტყვებით: "ო, ალლაჰო, ჩვენო უფალო, შენ გეკუთვნის ქება, რომელიც ავსებს ცას, დედამიწას და ყველაფერს, რაც შენ ისურვე ამის შემდეგ". ეს ქება წარმოადგენს იმ მადლიერებას, რომელიც ავსებს ცასა და დედამიწას, რაც მათ შორისაა, და ყველაფერს, რაც ალლაჰის ნებით არსებობს.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. რეკომენდაციები, თუ რა უნდა წარმოთქვას მლოცველმა რუქუ'დან თავის აწევის დროს.
2. შარიათის მიხედვით რუქუ'დან თავაწევის შემდეგ სწორად დგომის და სიმშვიდის აუცილებლობა. შარიათით დადგენილია, რომ მლოცველი რუქუ'დან თავაწევის შემდეგ აუცილებლად უნდა გასწორდეს და სიმშვიდეს მიაღწიოს.
3. ამ ზიქრების შესრულება ყველა ლოცვაში შარიათით დადგენილია, იქნება ეს სავალდებულო თუ ნაფილე ლოცვები.

(65101)

(128) – عن حُذَيْفَةَ رضي الله عنه: أَنَّ النَّبِيَّ صَلَّى اللَّهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ كَانَ يَقُولُ بَيْنَ السَّجْدَتَيْنِ: «رَبِّ اغْفِرْ لِي، رَبِّ اغْفِرْ لِي». [صحيح] - [رواه أبو داود والنسائي وابن ماجه وأحمد]

(128) – გადმოცემულია ჰუზაიფასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი): მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ორ სუჯუდს შორის ამბობდა: «რაბბი ღფირ ლიი, რაბბი ღფირ ლიი». /ღმერთო ჩემო მაპატიე/ [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა აბუ დაუდმა, ან-ნასაიმ, იბნ მააჯამ და აჰმადმა]

განმარტება:

მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ორ

სუჯუდს შორის დაჯდომისას ამბობდა: ღმერთო მაპატიე, ღმერთო მაპატიე და იმეორებდა ამას.

ამ სიტყვების მნიშვნელობა არის: მონა თხოვს თავის უფალს, რომ აპატიოს და დაფაროს მისი ცოდვები.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ამ ვედრების წარმოთქმა დაკანონებულია დაჯდომის დროს ორ სუჯუდს შორის.
2. სასურველია ამ სიტყვების რამდენჯერმე გამეორება, ხოლო ერთხელ თქმა სავალდებულოა.

(65104)

(129) – عن ابن عبّاس رضي الله عنهما: كان النّبيُّ صلّى الله عليه وسلّم يقول بين السَّجْدَتَينِ: «اللَّهُمَّ اغْفِرْ لِي، وَارْحَمْنِي، وَعَافِنِي، وَاهْدِنِي، وَارْزُقْنِي». [حسن بشواهده] - [رواه أبو داود والترمذي وابن ماجه وأحمد]

(129) – გადმოცემულია იბნ აბბასისგან (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი): მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ორ საჯდას შორის ამბობდა: «ღმერთო ჩემო, მომიტევე მე, შემიწყალე, მომეცი ჯანმრთელობა, დამადგინე სწორ გზაზე და მომეცი სარჩო» /ალლაჰუმმა ღფირლიი, ვა-რჰამნიი, ვა - 'აფინიი, ვა-ჰდინიი, ვა-რზუყნიი. [კარგი თავისი მოწმეებით] - [გადმოსცა აბუ დაუდმა, ათ-თირმიზიმ, იბნ მააჯამ და აჰმადმა]

განმარტება:

შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ლოცვის დროს ორ საჯდას შორის ამ ხუთი ვედრებით ევედრებოდა ხოლმე, რომელიც მუსლიმს ძალიან სჭირდება. ის ორივე ქვეყნის სიკეთეს აერთიანებს: ამქვეყნის და იმქვეყნის, ცოდვების მიტევების თხოვნას და მათ დაფარვას, მათ პატიებას, წყალობის მოსვლას, ჯანმრთელობა ყოველგვარი ეჭვებიდან, ვნებებიდან, ავადმყოფობიდან და უბედურებებისგან, ღმერთს სთხოვს სწორ გზას, ჭეშმარიტებას და მასზე მტკიცედ ყოფნას, ითხოვს სარჩოს (წყალობას) რწმენის, ცოდნის, კარგი საქმის კეთების და კარგ ჰალალ ქონებას.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ამ ვედრების წარმოთქმა შესაძლებელია დაჯდომის დროს ორ საჯდას შორის.
2. ამ ვედრების წარმოთქმის ღირსება გამოიხატება იმაში, რომ იგი შეიცავს როგორც ამქვეყნიურ, ისე საიქიოს სიკეთეებს.

(10930)

(130) – عَنْ حِطَّانَ بْنِ عَبْدِ اللهِ الرَّقَاشِيِّ قَالَ: صَلَّيْتُ مَعَ أَبِي مُوسَى الْأَشْعَرِيِّ صَلَاةً، فَلَمَّا كَانَ عِنْدَ الْقَعْدَةِ قَالَ رَجُلٌ مِنَ الْقَوْمِ: أُقِرَّتِ الصَّلَاةُ بِالْبِرِّ وَالزَّكَاةِ، قَالَ: فَلَمَّا قَضَى أَبُو مُوسَى الصَّلَاةَ وَسَلَّمَ انْصَرَفَ فَقَالَ: أَيُّكُمُ الْقَائِلُ كَلِمَةَ كَذَا وَكَذَا؟ قَالَ: فَأَرَمَّ الْقَوْمُ، ثُمَّ

قَالَ: أَيُّكُمُ الْقَائِلُ كَلِمَةَ كَذَا وَكَذَا؟ فَأَرَمَّ الْقَوْمُ، فَقَالَ: لَعَلَّكَ يَا حِطَّانُ قُلْتَهَا؟ قَالَ: مَا قُلْتُهَا، وَلَقَدْ رَهِبْتُ أَنْ تَبْكَعَنِي بِهَا، فَقَالَ رَجُلٌ مِنَ الْقَوْمِ: أَنَا قُلْتُهَا، وَلَمْ أُرِدْ بِهَا إِلَّا الْخَيْرَ، فَقَالَ أَبُو مُوسَى: أَمَا تَعْلَمُونَ كَيْفَ تَقُولُونَ فِي صَلَاتِكُمْ؟ إِنَّ رَسُولَ اللهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ خَطَبَنَا فَبَيَّنَ لَنَا سُنَّتَنَا وَعَلَّمَنَا صَلَاتَنَا، فَقَالَ: «إِذَا صَلَّيْتُمْ فَأَقِيمُوا صُفُوفَكُمْ، ثُمَّ لِيَؤُمَّكُمْ أَحَدُكُمْ فَإِذَا كَبَّرَ فَكَبِّرُوا، وَإِذْ قَالَ: {غَيْرِ الْمَغْضُوبِ عَلَيْهِمْ وَلَا الضَّالِّينَ} [الفاتحة: 7]، فَقُولُوا: آمِينَ، يُجِبْكُمُ اللهُ، فَإِذَا كَبَّرَ وَرَكَعَ فَكَبِّرُوا وَارْكَعُوا، فَإِنَّ الْإِمَامَ يَرْكَعُ قَبْلَكُمْ، وَيَرْفَعُ قَبْلَكُمْ»، فَقَالَ رَسُولُ اللهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ: «فَتِلْكَ بِتِلْكَ، وَإِذَا قَالَ: سَمِعَ اللهُ لِمَنْ حَمِدَهُ، فَقُولُوا: اللَّهُمَّ رَبَّنَا لَكَ الْحَمْدُ، يَسْمَعِ اللهُ لَكُمْ، فَإِنَّ اللهَ تَبَارَكَ وَتَعَالَى قَالَ عَلَى لِسَانِ نَبِيِّهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ: سَمِعَ اللهُ لِمَنْ حَمِدَهُ، وَإِذَا كَبَّرَ وَسَجَدَ فَكَبِّرُوا وَاسْجُدُوا، فَإِنَّ الْإِمَامَ يَسْجُدُ قَبْلَكُمْ وَيَرْفَعُ قَبْلَكُمْ»، فَقَالَ رَسُولُ اللهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ: «فَتِلْكَ بِتِلْكَ، وَإِذَا كَانَ عِنْدَ الْقَعْدَةِ فَلْيَكُنْ مِنْ أَوَّلِ قَوْلِ أَحَدِكُمُ: التَّحِيَّاتُ الطَّيِّبَاتُ الصَّلَوَاتُ لِلهِ، السَّلَامُ عَلَيْكَ أَيُّهَا النَّبِيُّ وَرَحْمَةُ اللهِ وَبَرَكَاتُهُ، السَّلَامُ عَلَيْنَا وَعَلَى عِبَادِ اللهِ الصَّالِحِينَ، أَشْهَدُ أَنْ لَا إِلَهَ إِلَّا اللهُ وَأَشْهَدُ أَنَّ مُحَمَّدًا عَبْدُهُ وَرَسُولُهُ». [صحيح] - [رواه مسلم]

(130) – ჰიტტაან იბნ ʻაბდულლაჰ არრაყააში იტყობინება: "(ერთხელ) მომიწია ლოცვის შესრულება აბუ მუსა ალ-აშ'არისთან ერთად. როცა ის პირველი ორი რაქათის დასრულების შემდეგ დაჯდა, ხალხიდან ერთმა, ვინც მასთან ერთად ლოცულობდა, თქვა: "ლოცვის შესრულება (დავალებულია) ღვთისმოსაობასთან და

ზაქათის გადახდასთან ერთად". ლოცვის დასრულების და თასლიმის შემდეგ აბუ მუსამ იკითხა: "რომელმა თქვით ის და ის?" — მაგრამ ხალხმა პასუხი არ გასცა. მან კვლავ იკითხა: "რომელმა თქვით ის და ის?" — და ისევ ყველამ დუმილით უპასუხა. მაშინ მან იკითხა: "შეიძლება ეს შენ თქვი, ჰიტტაან?" — (რის პასუხადაც) ვუპასუხე: "მე არ მითქვამს ეს, რადგან მეშინოდა, რომ შენ დამტუქსავდი". (ჰიტტაანი ამბობს): "ამის შემდეგ ერთ-ერთმა ადამიანმა თქვა: "მე ვთქვი ეს, მაგრამ (ამ სიტყვების წარმოთქმისას) მხოლოდ სიკეთისკენ ვისწრაფოდი". მაშინ აბუ მუსამ იკითხა: "განა არ იცით, რა უნდა თქვათ ლოცვის დროს?" (ამის შემდეგ მან თქვა): "(ერთხელ), როცა ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მოგვმართავდა ქადაგებით, მან აგვიხსნა, რომელ (რელიგიურ) წეს-ჩვეულებებს უნდა მივყვეთ და გვასწავლა, როგორ უნდა შევასრულოთ ლოცვა. მან თქვა: «როდესაც ლოცვას იწყებთ, გაასწორეთ რიგები, შემდეგ კი თქვენს შორის ერთ-ერთი გახდეს იმამი. როდესაც ის "ალლაჰუ აქბარ"-ს იტყვის, თქვით "ალლაჰუ აქბარ". ხოლო როცა ის იტყვის: {ღაირილ მაღდუუბი 'ალაიჰიმ ვალა დაალიინ} (სურა ალ-ფათიხა: 7), თქვით „აამიინ“, რათა ალლაჰმა გიპასუხოთ. თუ ის მოიხრება და იტყვის "ალლაჰუ აქბარ", თქვენც დაიხარეთ და თქვით "ალლაჰუ აქბარ".

იმამი ყოველთვის თქვენზე ადრე იხრება და თქვენზე ადრე სწორდება». ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ბრძანა: «და ეს (მოქმედება) ასეთია. ხოლო თუ ის იტყვის: "სამი'ალლაჰუ ლიმან ჰამიდაჰ", თქვით: "ალლაჰუმა რაბბანაა ლაქალ ჰამდ", და ალლაჰი შეისმენს თქვენ ქებას. ალლაჰმა თავის მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ენით ბრძანა: "შეისმინა ალლაჰმა იმის, ვინც ის შეაქო". როდესაც იმამი დაიხრება და იტყვის "ალლაჰუ აქბარ", თქვით "ალლაჰუ აქბარ" და ასევე დაემხეთ პირისახით ალლაჰის წინაშე. იმამი ყოველთვის თქვენზე ადრე დაემხობა და თქვენზე ადრე წამოდგება. მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «და ეს (მოქმედება) ასეთია. ხოლო როდესაც დაჯდებით იკითხეთ შემდეგი სიტყვები: ათთაჰიათუ ატტაიბაათუ ასსალავაათუ ლილლაჰი, ასსალამუ ალაიქა აიუჰა ნნაბიიუ ვა რაჰმათულლააჰი ვა ბარაქაათუჰ ასსალამუ ალაინაა ვა 'ალაა 'იბაადილლააჰი საალიჰიან აშჰადუ ან ლაა ილააჰა ილლა ალლააჰ ვა აშჰადუ ანნა მუჰამმადან 'აბდუჰუ ვა რასუულუჰ». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა მუსლიმმა]

განმარტება:

მოციქულის (საჰააბამ) თანამგზავრმა, აბუ მუსა ალ-აშ'არიმ (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) აღასრულა

ლოცვა. როცა მივიდა დასაჯდომად, სადაც თაშაჰუდი იკითხება, ერთმა ლოცვის მონაწილემ უკან თქვა: "ლოცვა ყურანში ნახსენებია სიკეთესთან და ზაქათთან ერთად". როცა აბუ მუსამ (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) ლოცვა დაამთავრა, მიუბრუნდა მლოცველებს და ჰკითხა: „ვინ არის ის, ვინც თქვა: "ლოცვა ყურანში ნახსენებია სიკეთესთან და ზაქათთან ერთად", ხალხი გაჩუმდა, არავინ უპასუხა. მან კიდევ ერთხელ გაიმეორა კითხვა, მაგრამ პასუხი არ მიიღო. მაშინ აბუ მუსამ (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) ჰკითხა: „იქნებ ეს შენ თქვი, ჰიტაან?“ ჰიტაანთან მისი ახლო ურთიერთობისა და უშუალობის გამო, რითაც მას არ აწყენინებდა. ამით იგი ცდილობდა, ნამდვილი მთქმელი გამოეჩინა. ჰიტაანმა უარყო და თქვა: „მეშინოდა, რომ შენ გამიწყრებოდი, რადგან შესაძლოა იფიქრო, რომ ეს მე ვთქვი“.

ამ დროს ერთმა კაცმა თქვა: "მე ვთქვი ეს, და ჩემი განზრახვა მხოლოდ სიკეთე იყო". აბუ მუსამ (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) ასწავლა და უთხრა: "განა არ იცით, როგორ უნდა ილოცოთ?" ეს იყო მისი საყვედური. შემდეგ აბუ მუსამ (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) აუწყა, რომ მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ერთხელ მათთან ქადაგებდა, აუხსნა შარიათის წესები და ასწავლა ლოცვა, შემდეგ თქვა:

„როდესაც ლოცულობთ, გაასწორეთ რიგები და დადექით სწორად, შემდეგ კი თქვენს შორის ერთ-ერთი გახდეს იმამი. როდესაც იმამი წარმოთქვამს თაქბიირათულ იჰრაამს ''ალლაჰუ აქბარ'' ლოცვის დაწყების წინ, თქვენც თქვით "ალლაჰუ აქბარ" მის მსგავსად. თუ ის წაიკითხავს სურა ალ-ფათიჰას და მიაღწევს სიტყვებს: {ღაირილ მაღდუუბი ალაიჰიმ ვალად დაალლიინ} [ალ-ფაათიჰა: 7], თქვით: „აამიინ“. თუ ასე გააკეთებთ, უზენაესი ალლაჰი მიიღებს თქვენს თხოვნებს.

როდესაც იმამი იტყვის "ალლაჰუ აქბარ" და დაიხრება, თქვენც თქვით "ალლაჰუ აქბარ" და დაიხარეთ. იმამმა ყოველთვის თქვენზე ადრე უნდა დაიხაროს და თქვენზე ადრე წამოდგეს, ამიტომ მას არ გაასწროთ. რადგან იმ მომენტს, როცა იმამი თქვენზე ადრე დაიხრება, ავსებს მომენტი, როცა მასზე ცოტა გვიან დაიხრებით. ასე, თქვენი რუქუ'ის ხანგრძლივობა ემთხვევა იმამისას. თუ იმამი იტყვის: „სამი'ალლაჰუ ლიმან ჰამიდაჰ“ თქვით: „ალლაჰუმმა რაბბანაა ვალაქალ ჰამდ“. თუ მლოცველები ამას იტყვიან, ალლაჰი მათ სიტყვებს მოისმენს. რადგან ალლაჰმა, თავისი მოციქულის ენით ბრძანა: „შეისმენს ალლაჰი, ვინც მას აქებს“. როდესაც იმამი იტყვის "ალლაჰუ აქბარ" და დაემხობა, მლოცველებმაც თქვით "ალლაჰუ აქბარ" და

დაემხეთ სახით ალლაჰის წინაშე. იმამი ყოველთვის თქვენზე ადრე დაემხობა და თქვენზე ადრე წამოდგება. ასე, ის მომენტი, რომელიც იმამმა თქვენზე ადრე აღასრულა, ავსებს იმ მომენტს, როცა თქვენ მასზე ცოტა გვიან დაემხეთ სახით, და თქვენი სუჯუდის ხანგრძლივობა შეესაბამება იმამისას. როცა მლოცველი ჯდება თაშაჰჰუდის წარმოსათქმელად, მისი პირველი სიტყვები უნდა იყოს: „ყველა სალამი, კეთილი სიტყვები და საქმეები, ლოცვები ეკუთვნის მხოლოდ ალლაჰს. მთელი ძალაუფლება, მარადიულობა და დიდება მხოლოდ ყოვლადძლიერ ალლაჰს ეკუთვნის. ასევე, ხუთივე სავალდებულო ლოცვა ეძღვნება მხოლოდ მას“. ამის შემდეგ უნდა თქვას: "მშვიდობა შენზე, ო, წინასწარმეტყველო, ალლაჰის წყალობა და მისი კურთხევები. მშვიდობა ჩვენზე და ალლაჰის ყველა მორჩილ მონაზე". თხოვეთ ალლაჰს დაცვა ყველანაირი ნაკლოვანებისგან, გასაჭირისა და ზიანისგან. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეთ ჩვენი წინასწარმეტყველის მუჰამმადის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მისალმებას, შემდეგ მიესალმეთ საკუთარ თავს და ალლაჰის ყველა მორჩილ მონას, რომლებიც ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს როგორც ალლაჰის წინაშე, ასევე ადამიანების წინაშე. ბოლოს, დაამოწმეთ: "არ არსებობს

ღვთაება თაყვანისცემის ღირსი, გარდა ალლაჰისა, და ვამოწმებ, რომ მუჰამმადი მისი მორჩილი და მისი მოციქულია".

ჰადისის სარგებლობიდან:

1. თაშაჰჰუდის ერთ-ერთი ფორმის განმარტება.
2. ლოცვის მოქმედებები და სიტყვები უნდა ეფუძნებოდეს იმას, რაც მოციქული მუჰამმადის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მიერ არის დადასტურებული. დაუშვებელია ვინმესთვის, რომ ლოცვაში დაამატოს რაიმე სიტყვა ან მოქმედება, რაც სუნნაში არ არის დადასტურებული.
3. დაუშვებელია იმამს ლოცვაში გაუსწრო ან მისგან ჩამორჩე. მლოცველისთვის სავალდებულოა, რომ იმამს მის მოქმედებებში მიჰყვეს.
4. მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მიერ გამოჩენილი მზრუნველობა ისლამის გავრცელებასა და თავისი თემისთვის რელიგიის წესების სწავლების მიმართ.
5. იმამი მაგალითს აძლევს მლოცველებს, ამიტომ მათ არ აქვთ უფლება, რომ გაასწრონ იმამს ლოცვის მოქმედებებში, გათანაბრდნენ მასთან ან ჩამორჩნენ. მლოცველის მიერ იმამის მიყოლა უნდა დაიწყოს მხოლოდ მაშინ, როდესაც დარწმუნდება,

რომ იმამი უკვე შესულია იმ მოქმედებაში, რომელსაც იგი აპირებს შესრულებას. სუნნა იმამის ამ მოქმედებებზე მიყოლაა.

6. ლოცვაში რიგების გამართვის კანონიერება.

(65097)

(131) – عَنِ ابْنَ مَسْعُودٍ رضي الله عنه قَالَ: عَلَّمَنِي رَسُولُ اللَّهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ، وَكَفِّي بَيْنَ كَفَّيْهِ، التَّشَهُّدَ، كَمَا يُعَلِّمُنِي السُّورَةَ مِنَ القُرْآنِ: «التَّحِيَّاتُ لِلَّهِ، وَالصَّلَوَاتُ وَالطَّيِّبَاتُ، السَّلاَمُ عَلَيْكَ أَيُّهَا النَّبِيُّ وَرَحْمَةُ اللَّهِ وَبَرَكَاتُهُ، السَّلاَمُ عَلَيْنَا وَعَلَى عِبَادِ اللَّهِ الصَّالِحِينَ، أَشْهَدُ أَنْ لَا إِلَهَ إِلَّا اللَّهُ، وَأَشْهَدُ أَنَّ مُحَمَّدًا عَبْدُهُ وَرَسُولُهُ».

وفي لفظ لهما: «إِنَّ اللهَ هُوَ السَّلَامُ، فَإِذَا قَعَدَ أَحَدُكُمْ فِي الصَّلَاةِ فَلْيَقُلْ: التَّحِيَّاتُ لِلَّهِ وَالصَّلَوَاتُ وَالطَّيِّبَاتُ السَّلَامُ عَلَيْكَ أَيُّهَا النَّبِيُّ وَرَحْمَةُ اللهِ وَبَرَكَاتُهُ، السَّلَامُ عَلَيْنَا وَعَلَى عِبَادِ اللهِ الصَّالِحِينَ، فَإِذَا قَالَهَا أَصَابَتْ كُلَّ عَبْدٍ لِلَّهِ صَالِحٍ فِي السَّمَاءِ وَالْأَرْضِ، أَشْهَدُ أَنْ لَا إِلَهَ إِلَّا اللهُ، وَأَشْهَدُ أَنَّ مُحَمَّدًا عَبْدُهُ وَرَسُولُهُ، ثُمَّ يَتَخَيَّرُ مِنَ الْمَسْأَلَةِ مَا شَاءَ». [صحيح - [متفق عليه]

(131) – გადმოცემულია იბნ მას'უდისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომელმაც თქვა: ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მასწავლა თაშაჰუდი ისე, რომ ჩემი ხელი მის ხელებს შორის იყო, ისე მასწავლა როგორც ყურანიდან სურას მასწავლიდა ხოლმე: «მისალმებანი, ლოცვები და

ყოველივე კარგი მხოლოდ ალლაჰს ეკუთვნის. ალლაჰის მშვიდობა, წყალობა და მისი ბარაქა შენზე იყოს ალლაჰის შუამავალო. მშვიდობა ჩვენ და ალლაჰის ყველა მართალ მსახურს. ვამოწმებ, რომ არ არსებობს ღვთაება, გარდა ალლაჰისა და ვამოწმებ, რომ მუჰამმადი მისი მსახური და შუამავალია. (ათთაჰიათუ ლილლაჰი ვა სალაავაათუ ვატ ტაიიბაათუ, ასსალაამუ 'ალაიქა აიუჰანნაბიუ ვა რაჰმათულლაჰი ვა ბარაქაათუჰ, ასსალაამუ 'ალაინაა ვა 'ალაა 'იბაადი ლლააჰი სსაალიჰიინ, აშჰადუ ან ლაა ილააჰა ილლა ლლაჰ ვა აშჰადუ ანნა მუჰამმადან 'აბდუჰუ ვა რასუულუჰ)». სხვა გადმოცემაში ნათქვამია: "ჭეშმარიტად, ალლაჰი ის არის (ასსალაამ) მშვიდობა, ამიტომ როდესაც რომელიმე თქვენგანი დაჯდება ლოცვაზე მან თქვას: «მისალმებანი, ლოცვები და ყოველივე კარგი მხოლოდ ალლაჰს ეკუთვნის. ალლაჰის მშვიდობა, წყალობა და მისი ბარაქა შენზე იყოს ალლაჰის შუამავალო. მშვიდობა ჩვენ და ალლაჰის ყველა მართალ მსახურს, როცა ამას იტყვის ეს ყველა მართალ მსახურს ალლაჰისას მიუვა ზეცაშიც და მიწაზეც, "ვამოწმებ, რომ არ არსებობს ღვთაება გარდა ალლაჰისა, და ვამოწმებ რომ მუჰამმადი მის მსახური და შუამავალია", შემდეგ შეევედროს იმ სათხოვრით, რაც მას სურს». [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) იბნ მას'უდს (ალლაჰი იყოს კმაყოფილი მისით) ასწავლა თაშაჰჰუდის სიტყვები, რომლებიც უნდა წარმოითქვას ლოცვაში, მისი ხელი ხელში აყვანით, რათა იბნ მას'უდის ყურადღება მიეპყრო ამ მნიშვნელოვანი სიტყვებისადმი. ეს სწავლება იყო მსგავსად იმისა, როგორც მოციქული (ალლაჰმა დალოცოს და მიესალმოს მას) ასწავლიდა მას ყურანის სურებს. ეს მიუთითებს მოციქულის განსაკუთრებულ ყურადღებაზე თაშაჰჰუდის სიტყვების და მათი მნიშვნელობის სიზუსტისადმი. და თქვა: "მისალმებანი ალლაჰს ეკუთვნის": ეს არის ყველა სიტყვა თუ ქმედება, რომელიც მიმართულია ალლაჰის განდიდებისკენ, ყველა მათგანს იმსახურებს უზენაესი ალლაჰი. "ლოცვები": ეს არის ყველა დადგენილი ლოცვა სავალდებულო თუ ნებაყოფლობითი, რომელიც უზენაესი ალლაჰისთვის სრულდება. "ყოველივე კარგი": ეს არის ყველა სიტყვა, ქმედება თუ კარგი თვისება, რომელიც მიუთითებს მის სრულყოფილებაზე, ყველას უზენაესი ალლაჰი იმსახურებს. "ალლაჰის მშვიდობა, წყალობა და მისი ბარაქა შენზე იყოს ალლაჰის შუამავალო": ეს არის ვედრება ყოველი განსაცდელის და ცუდისგან

დასაცავად, ასევე ბარაქისა და მეტი სიკეთისთვის. "მშვიდობა ჩვენ და ალლაჰის ყველა მართალ მსახურს": მშვიდობის ვედრება მლოცველთათვის და ყველა მართალი მსახურისთვის ზეცაში თუ მიწაზე. "ვამოწმებ, რომ არ არსებობს ღვთაება, გარდა ალლაჰისა": ანუ ვადასტურებ მტკიცე დასტურით, რომ არ არსებობს ღირსეული სათაყვანებელი, გარდა ალლაჰისა. "ვამოწმებ რომ მუჰამმადი მისი მსახური და შუამავალია": ვადასტურებ მის მონა-მსახურობას და ბოლო შუამავლობას.

შემდეგ წაახალისა შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას), რომ მომლოცველებმა აირჩიონ ის ვედრება, რომელიც მათ სურთ.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. თაშაჰჰუდის წარმოთქმის ადგილი არის ლოცვის დროს ბოლო სეჯდის შემდეგ ჯდომა თითოეულ ლოცვაში, აგრეთვე მეორე რაქაათის შემდეგ იმ ლოცვებში, რომლებიც შედგება სამი ან ოთხი რაქაათისგან (მუხლისაგან).
2. თაშაჰჰუდში სალამის წარმოთქმა სავალდებულოა. ასევე დასაშვებია თაშაჰჰუდის ნებისმიერი ვარიანტის გამოყენება, რომლებიც ავთენტურად გადმოცემულია მოციქულისგან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას). დაე, ალლაჰმა დალოცოს და

მიესალმოს მას.

3. ლოცვაში დასაშვებია ვედრების წარმოთქმა საკუთარი სურვილისამებრ, იმ პირობით, რომ მასში არ იქნება არაფერი ცოდვილი ან აკრძალული.
4. ვედრების დროს საკუთარი თავიდან დაწყება სასურველია.

(3096)

(132) – عَنْ أَبِي هُرَيْرَةَ رَضِيَ اللَّهُ عَنْهُ قَالَ: كَانَ رَسُولُ اللَّهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ يَدْعُو وَيَقُولُ: «اللَّهُمَّ إِنِّي أَعُوذُ بِكَ مِنْ عَذَابِ القَبْرِ، وَمِنْ عَذَابِ النَّارِ، وَمِنْ فِتْنَةِ المَحْيَا وَالمَمَاتِ، وَمِنْ فِتْنَةِ المَسِيحِ الدَّجَّالِ».

وفِي لَفْظٍ لِمُسْلِمٍ: «إِذَا فَرَغَ أَحَدُكُمْ مِنَ التَّشَهُّدِ الْآخِرِ، فَلْيَتَعَوَّذْ بِاللهِ مِنْ أَرْبَعٍ: مِنْ عَذَابِ جَهَنَّمَ، وَمِنْ عَذَابِ الْقَبْرِ، وَمِنْ فِتْنَةِ الْمَحْيَا وَالْمَمَاتِ، وَمِنْ شَرِّ الْمَسِيحِ الدَّجَّالِ».

[صحيح] - [متفق عليه]

(132) – გადმოცემულია აბუ ჰურაირასაგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მან თქვა: "ალლაჰის შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ვედრებას აკეთებდა და ამბობდა: «ჩემო ღმერთო, მე მოგეკედლები შენ საფლავის სასჯელისგან, ჯოჯოხეთის სასჯელისგან, სიცოცხლისა და სიკვდილის ცდუნებისგან, და ცრუ მესია დაჯჯალის

ცდუნებისგან». მუსლიმის გადმოცემაში ნათქვამია: «როცა დაამთავრებს რომელიმე თქვენგანი ბოლო თაშაჰუდს, ალლაჰს მიეკედლოს ოთხისგან: ჯოჯოხეთის სასჯელისგან, საფლავის სასჯელისგან, სიცოცხლის და სიკვდილის ცდუნებისგან და ცრუ მესია დაჯჯალის ბოროტებისგან». [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

ალლაჰის შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ალლაჰს ოთხი რამისგან ეკედლებოდა, ლოცვის დროს ბოლო თაშაჰუდზე სალამის მიცემამდე და გვიბრძანა ჩვენც მივეკედლოთ მისით.

პირველი: საფლავის სასჯელისგან.

მეორე: ცეცხლის სასჯელისგან, რომელიც განკითხვის დღეს იქნება.

მესამე: ეს არის ცდუნება ცხოვრებაში — აკრძალული ამქვეყნიური ვნებები და გზიდან შემცდარი მცდარი ეჭვები; და ცდუნება სიკვდილის დროს, ანუ სიკვდილისწინა მდგომარეობაში, როდესაც ადამიანი შეიძლება გადაიხაროს ისლამის ან სუნნისგან; ან ცდუნება საფლავში, რაც გამოიხატება ორ ანგელოზთან დასმულ კითხვებში.

მეოთხე: ცდუნება ანტიქრისტესგან (ალ-მასიჰ ად-დაჯჯალ), რომელიც გამოჩნდება დროის დასასრულში

და რომლის მეშვეობითაც ალლაჰი გამოსცდის თავის მსახურებს. მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განსაკუთრებით გამოყო ეს ცდუნება მისი დიდი საფრთხის და ადამიანების გზიდან აცდენის უნარის გამო.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ეს ალლაჰზე მიკედლება (ვედრება) ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და ყოვლისმომცველია, რადგან ის შეიცავს ვედრებას როგორც ამქვეყნიური, ასევე საიქიო უბედურებებისგან დაცვაზე.
2. სასაფლაოს სასჯელის მტკიცებულება, რამეთუ ის ჭეშმარიტებაა.
3. ყველა განსაცდელის საშიშროება და მათგან ალლაჰზე მიკედლების მნიშვნელობა და ვედრება მათგან გადარჩენისთვის.
4. ცრუ მესიას მოსვლის მტკიცებულება და მისი განსაცდელის სიდიდე.
5. სასურველია ამ ვედრების წარმოთქმა ბოლო თაშაჰჰუდის შემდეგ.
6. კარგი საქმის შემდეგ ვედრების წარმოთქმა სასურველია.

(3103)

(133) – عن عَائِشَةَ رضيَ الله عنها قالتْ: إِنِّي سمعْتُ رسولَ اللهِ صلّى الله عليه وسلّم يقول: «لَا صَلَاةَ بِحَضْرَةِ الطَّعَامِ، وَلَا هُوَ يُدَافِعُهُ الْأَخْبَثَانِ». [صحيح] - [رواه مسلم]

(133) – გადმოცემულია აიშასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მან თქვა: გავიგონე, რომ შუამავალი (ალლაჰმა დალოცოს და მიესალმოს მას) ამბობდა: «ადამიანმა არ უნდა აღასრულოს ლოცვა (ის სრულფასოვანი არ იქნება) არც მაშინ, როცა საჭმელი მოტანილია, და არც მაშინ, როდესაც ის იკავებს თავს დიდი ან მცირე საჭიროების დაკმაყოფილებისგან». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა მუსლიმმა]

განმარტება:

ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) აკრძალა ლოცვა იმ დროს, როცა მის წინ საჭმელია, რომელიც მლოცველს გულმოდგინედ სურს რომ მიირთვას და მისი გული მასზეა დაკავშირებული.

ასევე აკრძალა ლოცვა, როცა ადამიანი იძულებულია შეიკავოს შარდი და განავალი, რადგან ის აწუხებს მას და ყურადღებას უფანტავს.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. სანამ ლოცვას დაიწყებს, მლოცველმა უნდა მოიშოროს ყველაფერი, რაც მის ყურადღებას მოაცდენს და ლოცვის შესრულებაში შეუშლის ხელს.

(3088)

(134) – عن عُثْمَانَ بْنَ أَبِي الْعَاصِ رضي الله عنه: أنّه أَتَى النَّبِيَّ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ فَقَالَ: يَا رَسُولَ اللهِ، إِنَّ الشَّيْطَانَ قَدْ حَالَ بَيْنِي وَبَيْنَ صَلَاتِي وَقِرَاءَتِي يَلْبِسُهَا عَلَيَّ، فَقَالَ رَسُولُ اللهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ: «ذَاكَ شَيْطَانٌ يُقَالُ لَهُ خِنْزَبٌ، فَإِذَا أَحْسَسْتَهُ فَتَعَوَّذْ بِاللهِ مِنْهُ، وَاتْفُلْ عَلَى يَسَارِكَ ثَلَاثًا»، قَالَ: فَفَعَلْتُ ذَلِكَ فَأَذْهَبَهُ اللهُ عَنِّي. [صحيح] - [رواه مسلم]

(134) – გადმოცემულია 'უსმან იბნ აბი ალ-'აასისგან (ალლაჰი იყოს მისი კმაყოფილი): "ერთხელ იგი მივიდა მოციქულთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) და უთხრა: "ო, ალლაჰის მოციქულო, ეშმაკი მიშლის ხელს ლოცვაში და ყურანის კითხვაში, რადგან ჩემს გონებას აბნევს". მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უთხრა: «ეს არის ეშმაკი, სახელად ხინზაბ. როცა მის არსებობას იგრძნობ, მიმართე ალლაჰს მის წინააღმდეგ დაცვისთვის და სამჯერ გადააფურთხე მარცხნივ». 'უსმანმა თქვა: "ასე მოვიქეცი და ალლაჰმა ის ეშმაკი ჩემგან მოაშორა". [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა მუსლიმმა]

განმარტება:

'უსმან იბნ აბულ-ასმა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) მივიდა მოციქულთან (ალლაჰმა დალოცოს და მიესალმოს მას) და უთხრა: "ო, ალლაჰის მოციქულო, ეჭვგარეშეა, რომ შაიტანი დგება ჩემსა და ჩემს ლოცვას შორის (მიშლის ლოცვას), მიკარგავს სულიერ

სიმშვიდეს მასში, მიშლის ყურანის კითხვაში და ეჭვებში მაგდებს, ამაზე ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უთხრა: ეს შაიტანია, რომელსაც ხინზაბი ჰქვია. როდესაც მის ყოფნას იგრძნობ, ალლაჰს მიმართე დახმარებისთვის და სთხოვე მასგან დაცვა. სამჯერ ნელა გადააფურთხე მარცხნივ (მცირე ნერწყვით). 'უსმანმა თქვა: მე შევასრულე ის, რაც მოციქულმა (ალლაჰმა დალოცოს და მიესალმოს) მიბრძანა, და ალლაჰმა მომაშორა ის.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ლოცვის დროს სიმშვიდის და გულის სრული კონცენტრაციის მნიშვნელობა, ასევე ის, რომ შაიტანი ძალისხმევას არ იშურებს, რათა ლოცვაში არეულობა და ეჭვები გამოიწვიოს.
2. სასურველია, ლოცვის დროს ეშმაკის ცდუნებების შემთხვევაში, მიმართოთ ალლაჰს დაცვისთვის და თან სამჯერ ნელა გადააფურთხოთ მარცხენა მხარეს.
3. განმარტება იმისა, თუ როგორ მიმართავდნენ საჰაბები (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი) მოციქულს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მათ წინაშე წარმოშობილი სირთულეების გადაწყვეტისთვის, რათა მან დახმარება გაუწიოს და გამოსავალზე მიუთითოს.

4. თანმხლებთა (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი) გულების სულიერება და ის, რომ მათი მთავარი საზრუნავი იყო მომავალი ცხოვრება (ახირათი).

(65105)

(135) – عَنْ أَبِي هُرَيْرَةَ رضي الله عنه قَالَ: قَالَ رَسُولُ اللَّهِ صَلَّى اللَّهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ: «أَسْوَأُ النَّاسِ سَرَقَةً الَّذِي يَسْرِقُ صَلَاتَهُ» قَالَ: وَكَيْفَ يَسْرِقُ صَلَاتَهُ؟ قال: «لَا يُتِمُّ رُكُوعَهَا، وَلَا سُجُودَهَا». [صحيح] - [رواه ابن حبان]

(135) – აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოგვცემს, რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ყველაზე ცუდი ქურდი ხალხში ის არის, ვინც თავის ლოცვას იპარავს». ჰკითხეს: "როგორ იპარავს ლოცვას?" მან უპასუხა: «როცა არ ასრულებს სრულყოფილად რუქუ"ს და სუჯუდს». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა იბნ მააჯამ]

განმარტება:

მოციქულმა განმარტა, რომ ყველაზე მეტად შემაძრწუნებელი ქურდობა ის არის, როცა ადამიანი თავის ლოცვას ძარცვავს. ეს იმიტომ, რომ სხვისი ქონების მითვისება შეიძლება მიწიერ ცხოვრებაში გამოყენებადი იყოს, ხოლო ამ ქურდმა საკუთარ თავს მოაკლო ჯილდოსა და საზღაურის მიღების უფლება. ჰკითხეს: "ო, ალლაჰის მოციქულო, როგორ ძარცვავს

ადამიანი თავის ლოცვას?" მან უპასუხა: "ის არ ასრულებს სრულყოფილად მის რუქუ'სა და სუჯუდს“ — ეს ხდება მაშინ, როცა ადამიანი აჩქარებს რუქუ'სა და სუჯუდს და არ ასრულებს მათ საუკეთესო ფორმით. (რუქუ' - წელში მოხრა, სუჯუდ - მიწაზე პირსახის დადება)

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ლოცვის სრულყოფილად შესრულებისა და მისი სვეტების შესრულების მნიშვნელობა მშვიდად და მოწიწებით.
2. იმ პირის აღწერა, ვინც სრულყოფილად არ ასრულებს თავის რუქუ'სა და სუჯუდს, როგორც "ქურდი," ემსახურება ასეთ საქციელზე ყურადღების მიქცევას მისი აკრძალულობისკენ.
3. ლოცვაში რუქუ'ის და სუჯუდის სრულყოფილი შესრულება და მათგან გასწორების ზომიერების დაცვა სავალდებულოა.

(65100)

(136) – عَنْ أَبِي هُرَيْرَةَ رضي الله عنه عَنِ النَّبِيِّ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ قَالَ: «أَمَا يَخْشَى أَحَدُكُمْ - أَوْ: لَا يَخْشَى أَحَدُكُمْ - إِذَا رَفَعَ رَأْسَهُ قَبْلَ الإِمَامِ، أَنْ يَجْعَلَ اللَّهُ رَأْسَهُ رَأْسَ حِمَارٍ، أَوْ يَجْعَلَ اللَّهُ صُورَتَهُ صُورَةَ حِمَارٍ». [صحيح] - [متفق عليه]

(136) – გადმოცემულია აბუ ჰურაირასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ნუთუ არ ეშინია თქვენგან იმას, ვინც იმამის წინ ასწევს თავის თავს, რომ ალლაჰმა მისი თავი ვირის თავად არ გადააქციოს ან მისი სახე ვირის სახეს არ დაამსგავსოს?!» [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მიუთითებს მკაცრ გაფრთხილებაზე იმ პირის მიმართ, ვინც ლოცვის დროს იმამზე წინ სწევს თავს. ალლაჰმა შეიძლება მისი თავი ვირის თავად გადააქციოს ან მისი სახე ვირის სახედ გარდაქმნას.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ლოცვის შესრულებისას იმამის უკან მდგომს აქვს ოთხი შესაძლო მდგომარეობა: სამი მათგანი აკრძალულია — ესენია იმამის მოქმედებების წინასწარ შესრულება, მოქმედებების იმამთან ერთდროულად შესრულება და (ძლიერი) დაგვიანება. თუმცა, სწორია იმამის მოქმედებების თანმიმდევრული მიყოლა.
2. მლოცველი ვალდებულია მიყვეს იმამს ლოცვის დროს.

3. ძლიერი მუქარა იმ პირის მიმართ, ვინც ლოცვის დროს თავის აწევით იმამს უსწრებს, მიანიშნებს, რომ შესაძლებელია მისი ვირად გარდაქმნა. ეს მუქარა პირდაპირ მიუთითებს გარდაქმნის შესაძლებლობაზე.

(3086)

(137) – عن ثَوْبَانَ رضي الله عنه قال: كَانَ رَسُولُ اللهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ إِذَا انْصَرَفَ مِنْ صَلَاتِهِ اسْتَغْفَرَ ثَلَاثًا، وَقَالَ: «اللَّهُمَّ أَنْتَ السَّلَامُ، وَمِنْكَ السَّلَامُ، تَبَارَكْتَ ذَا الْجَلَالِ وَالْإِكْرَامِ»، قَالَ الْوَلِيدُ: فَقُلْتُ لِلْأَوْزَاعِيِّ: كَيْفَ الْاسْتِغْفَارُ؟ قَالَ: تَقُولُ: أَسْتَغْفِرُ اللهَ، أَسْتَغْفِرُ اللهَ. [صحيح] - [رواه مسلم]

(137) – გადმოცემულია სავბანისაგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მან თქვა: ალლაჰის შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას), როცა ლოცვას დაასრულებდა სამჯერ ითხოვდა მიტევებას (ასთა'აფირულლაჰ წარმოთქვამდა სამჯერ) თქვა: «ჩემო ღმერთო, შენ ხარ მშვიდობა და შენგანაა მშვიდობა, დიდებული ხარ ო, დიდებულო და უხვად ხელგაშლილო /ალლაჰუმმა ანთა ს-ალაამ, ვა-მინქა სალაამ, თაბაარაქთა ზალ-ჯალაალი ვალ-იქრაამ». ვალიდმა თქვა: მე ვუთხარი ავზა'ის: როგორია ისთიღფარი (მიტევების თხოვნა)? მან თქვა: უნდა თქვა: ასთღაფირულლაჰ, ასთღაფირულლაჰ (ღმერთო

მომიტევე). [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა მუსლიმმა]

განმარტება:

შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) როცა ლოცვას ამთავრებდა ამბობდა: ასთაღფირულლაჰ, ასთაღფირულლაჰ, ასთღაფირულლაჰ. (ღმერთო მომიტევე სამჯერ)

შემდეგ განადიდებდა ღმერთს სიტყვებით: "ჩემო ღმერთო შენ ხარ მშვიდობა და შენგანაა მშვიდობა, დიდებული ხარ ო, დიდებულო და კეთილშობილო". ალლაჰია დიდებული სრულყოფილი თვისებების მქონე, შორს არის ყოველგვარი ნაკლოვანებისგან, მისგან უნდა იქნას მშვიდობა მოძიებული ყოველი ბოროტებისგან ამქვეყნიური თუ იმქვეყნიური, ის არის დიდებული, მისი სიკეთე ძალიან ბევრია ორივე ქვეყანაში, ის არის სიდიადის და სიკეთის პატრონი.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. მოწონებული საქციელია მიტევების თხოვნა ყოველი ლოცვის შემდეგ და მისი სისტემატურობა.
2. მოწონებული საქციელია მიტევების თხოვნა ღვთისმსახურებებში დაშვებული ნაკლოვანებების ასანაზღაურებლად და ღვთის მორჩილებაში გამოჩენილი სისუსტისთვის.

(10947)

(138) – عَنْ أَبِي الزُّبَيْرِ قَالَ: كَانَ ابْنُ الزُّبَيْرِ يَقُولُ فِي دُبُرِ كُلِّ صَلَاةٍ حِينَ يُسَلِّمُ: «لَا إِلَهَ إِلَّا اللهُ وَحْدَهُ لَا شَرِيكَ لَهُ، لَهُ الْمُلْكُ وَلَهُ الْحَمْدُ وَهُوَ عَلَى كُلِّ شَيْءٍ قَدِيرٌ، لَا حَوْلَ وَلَا قُوَّةَ إِلَّا بِاللهِ، لَا إِلَهَ إِلَّا اللهُ، وَلَا نَعْبُدُ إِلَّا إِيَّاهُ، لَهُ النِّعْمَةُ وَلَهُ الْفَضْلُ وَلَهُ الثَّنَاءُ الْحَسَنُ، لَا إِلَهَ إِلَّا اللهُ مُخْلِصِينَ لَهُ الدِّينَ وَلَوْ كَرِهَ الْكَافِرُونَ» وَقَالَ: «كَانَ رَسُولُ اللهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ يُهَلِّلُ بِهِنَّ دُبُرَ كُلِّ صَلَاةٍ». [صحيح] - [رواه مسلم]

(138) – გადმოცემულია აბუ ზუბაირისგან, რომ მან თქვა: იბნ ზუბაირ ყოველ ლოცვაზე სალამის მიცემის შემდეგ ამბობდა: «არ არსებობს ღვთაება გარდა ალლაჰისა, ერთადერთისა, რომელსაც არ ჰყავს თანაზიარი, მისია მეუფება, მას ეკუთვნის ქება-დიდება და მას ყველაფერზე ძალა შესწევს, არ არსებობს ძალა და ძლევამოსილება გარდა ალლაჰისა, არ არსებობს ღვთაება გარდა ალლაჰისა, ჩვენ არავის ვეთაყვანებით გარდა მისა, მას ეკუთვნის წყალობა და მადლი, მას ეკუთვნის საუკეთესო ქება, არ არსებობს ღვთაება გარდა ალლაჰისა, მისია წრფელი რელიგია, თუნდაც არ მოსწონდეთ ურწმუნოებს» /ლაა ილააჰა ილლა ლაჰ, ვაჰდაჰუ ლაა შარიიქა ლაჰ, ლაჰულ მულქუ, ვა ლაჰულ ჰამდუ, ვა ჰუვა 'ალაა ქულლი შაიინ ყადიირ, ლაა ჰავლა ვა ლაა ყუვვათა ილლა ბილლაჰ, ლაა ილააჰა ილლა ლლაჰ, ვა ლაა ნა'ბუდუ ილლაა იააჰ, ლაჰუნნი''მათუ, ვა ლაჰულ ფადლუ, ვა ლაჰუ სანააულ ჰასანუ, ლაა ილააჰა

იღლა ლააჰ, მუხლისიინა ლაჰუ დდინა ვა ლავ ქარიჰალ ქააფირიინ/. თქვა: «ალლაჰის შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მსგავსად კითხულობდა ყოველი ლოცვის შემდეგ». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა მუსლიმმა]

განმარტება:

ალლაჰის შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ყოველი სავალდებულო ლოცვის შემდეგ სალამის მიცემის შემდეგ კითხულობდა ამ ძვირფას სიტყვებს, მათი მნიშვნელობა შემდეგია:

«არ არსებობს ღვთაება გარდა ალლაჰისა», ანუ: არ არსებობს ჭეშმარიტი სათაყვანებელი, გარდა ალლაჰისა.

«ერთადერთისა, რომელსაც არ ჰყავს თანამოზიარე», ანუ: არ ჰყავს მას მოზიარე გაჩენაში, ღვთაებრიობაში და თავის სახელ-თვისებებში.

«მისია მეუფება», ანუ: მას ეკუთვნის აბსოლუტურად ყველაფერი სრულიად და ერთიანად, ზეცაში, მიწაზე და რაც ყველაფერი მათ შორისაა.

«მას ეკუთვნის ქება-დიდება», ანუ: ის არის სრულყოფილი უნაკლოებით შემკული, მას ეკუთვნის სრულყოფილი ქება-დიდება სიყვარულით და განდიდებით ყველა მდგომარეობაში, სიხარულის დროს და განსაცდელშიც.

«მას ყველაფერზე ძალა შესწევს», ანუ: მისი ძალა

ყოველმხრივ სრულყოფილი და სრულია, მას ყველაფერზე ძალა შესწევს, მასზე წინააღმდეგობის გაწევა არანაირ ძალას არ შეუძლია.

«არ არსებობს ძალა და ძლევამოსილება გარდა მისა», ანუ: შეუძლებელია ერთი მდგომარეობიდან მეორე მდგომარეობაში გადასვლა, ალლაჰის მიერ აკრძალული ცოდვებიდან მის მორჩილებაში გადასვლა, არ შესწევს ამაზე ძალა არავის, გარდა ალლაჰისა. ის არის დამხმარე და მასზე უნდა იყოს დაყრდნობა.

«არ არსებობს ღვთაება, გარდა ალლაჰისა, ჩვენ არავის ვეთაყვანებით გარდა მისა», ანუ: ალლაჰის ღვთაებრიობის დადასტურება და შირქის უარყოფა, და რომ მის გარდა არავინ იმსახურებს ღვთისმსახურებას.

«მას ეკუთვნის წყალობა და მადლი»: ის ფლობს და ის აჩენს ყოველგვარ წყალობას და ის უმრავლებს ამ წყალობას თავის მსახურთაგან, მას ვისაც ინებებს.

«მას ეკუთვნის საუკეთესო ქება» ანუ: ალლაჰი იმსახურებს ქებას თავისი არსით, თვისებებით, ქმედებებით, მისი ბოძებული წყალობების და ზოგადად ყველა მდგომარეობაში.

«არ არსებობს ღვთაება, გარდა ალლაჰისა, ჩვენ გულწრფელი ვართ მის რელიგიაში», ანუ: მასზე გულწრფელად თაყვანისცემა, თვალთმაქცობის და ამქვეყნიური სახელის მოხვეჭის სურვილის გარეშე.

«თუნდაც არ მოსწონდეთ ურწმუნოებს», ანუ: მტკიცე ერთღმერთიანობაში და ალლაჰის მსახურებაში, თუნდაც არ მოსწონდეს ეს ურწმუნოებს.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. სასურველია ამ ვედრების გამეორება ყველა სავალდებულო ლოცვის შემდეგ.
2. მუსლიმი ამაღლებულია თავისი რელიგიით და ის წარმოაჩენს მის ნიშნებს, თუნდაც ეს არ მოსწონდეთ ურწმუნოებს.
3. თუ მოვიდა ჰადისში სიტყვა: "ლოცვის შემდეგ", ჰადისში მოცემული თუ ალლაჰის ხსენებაა (ზიქრი) ეს ნიშნავს, რომ სალამის მიცემის შემდეგ უნდა შესრულდეს, ხოლო ჰადისში მოცემული თუ ვედრებაა (დუ'ა), მაშინ ის სალამის მიცემამდე უნდა იქნეს წაკითხული.

(6203)

(139) – عَنْ وَرَّادٍ كَاتِبِ الْمُغِيرَةِ بْنِ شُعْبَةَ قَالَ: أَمْلَى عَلَيَّ الْمُغِيرَةُ بْنُ شُعْبَةَ فِي كِتَابٍ إِلَى مُعَاوِيَةَ: أَنَّ النَّبِيَّ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ كَانَ يَقُولُ فِي دُبُرِ كُلِّ صَلَاةٍ مَكْتُوبَةٍ: «لَا إِلَهَ إِلَّا اللهُ وَحْدَهُ لَا شَرِيكَ لَهُ، لَهُ الْمُلْكُ وَلَهُ الْحَمْدُ، وَهُوَ عَلَى كُلِّ شَيْءٍ قَدِيرٌ، اللَّهُمَّ لَا مَانِعَ لِمَا أَعْطَيْتَ، وَلَا مُعْطِيَ لِمَا مَنَعْتَ، وَلَا يَنْفَعُ ذَا الْجَدِّ مِنْكَ الْجَدُّ». [صحيح] - [متفق عليه]

(139) – ვარრადიდან, ალ-მუღირა იბნ შუ'ბას მწერლისგან გადმოცემულია: ალ-მუღირა იბნ შუ'ბამ მიკარნახა წერილი მუ'ავიასთვის, სადაც ეწერა: რომ ყოველი სავალდებულო ლოცვის შემდეგ მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამბობდა: «არ არსებობს ღვთაება, თაყვანისცემის ღირსი, გარდა ერთი ალლაჰისა, რომელსაც არ ჰყავს თანაზიარი. მას ეკუთვნის მმართველობა, მას ეკუთვნის დიდება და ის ყოვლისშემძლეა ყველაფერში! ო, ალლაჰო, არ არსებობს არავინ, ვინც შეუშლის ხელს იმას, რასაც შენ გასცემ, და არავინ, ვინც მისცემს იმას, რაც შენ მოაკელი. და არავითარი სიმდიდრე არ არის სასარგებლო შენს წინაშე მას, ვინც ფლობს მას /ლაა ილააჰა ილლა ლლააჰ, ვაჰდაჰუ ლაა შარიიქა ლაჰ, ლაჰულ მულქუ ვა ლაჰულ ჰამდუ, ვა ჰუვა 'ალაა ქულლი შაი'ინ ყადიირ, ალლაჰუმმა ლაა მაანი'ა ლიმაა ა'ტაითა, ვა ლაა მუ'ტია ლიმაა მანა'თა, ვა ლაა იანფა'უ ზალ ჯადდი მინქალ ჯადდუ». [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

ყოველი სავალდებულო ლოცვის შემდეგ მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამბობდა: «ლაა ილააჰა ილლა ლლააჰ, ვაჰდაჰუ ლაა შარიიქა ლაჰ, ლაჰულ მულქუ ვალაჰულ ჰამდუ, ვა ჰუვა 'ალაა ქულლი შაიინ ყადიირ, ალლაჰუმმა ლაა მაანი'ა

ლიმაა ა'ტაითა, ვა ლაა მუ'ტია ლიმაა მანა'თა, ვა ლაა იანფა'უ ზალ ჯადდი მინქალ ჯადდუ».

ეს ნიშნავს, რომ ვადასტურებ და ვაღიარებ თავჰიდის სიტყვას:

"არ არსებობს ღმერთი, რომელსაც შეეფერება თაყვანისცემა გარდა ალლაჰისა“. სწორი თაყვანისცემა ეკუთვნის მხოლოდ ალლაჰს, და ვუარყოფ მის უფლებას ვინმესთვის გარდა მისი. ვინაიდან არ არსებობს არავინ, ვინც იმსახურებს თაყვანისცემას, გარდა ალლაჰისა. მე ვაღიარებ, რომ ჭეშმარიტი და სრული ძალაუფლება სრულად ეკუთვნის ალლაჰს. ყველა დიდება, რასაც ცისა და მიწის მცხოვრებლები მიაგებენ, სამართლიანად ეკუთვნის მხოლოდ ყოვლისშემძლე ალლაჰს, რადგან ის არის ყოვლისშემძლე. ყველაფერი, რასაც ალლაჰი წინასწარ განსაზღვრავს — იქნება ეს ბოძება თუ წართმევა — ვერავინ შეძლებს მის შეცვლას. და მის წინაშე მდიდარს ვერ უშველის მისი სიმდიდრე; ის მხოლოდ კეთილ საქმეთა შესრულებით შეძლებს გადარჩენას.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ლოცვების შემდეგ ამ ზიქრის წარმოთქმის რეკომენდაცია განპირობებულია მათი მნიშვნელობით, რომელიც თავჰიდსა და დიდებას შეიცავს.

2. სუნნის დაცვაზე ზრუნვა და მისი გავრცელებისკენ სწრაფვა.

(65102)

(140) – عَنِ ابْنِ عُمَرَ رَضِيَ اللَّهُ عَنْهُمَا قَالَ: حَفِظْتُ مِنَ النَّبِيِّ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ عَشْرَ رَكَعَاتٍ: رَكْعَتَيْنِ قَبْلَ الظُّهْرِ، وَرَكْعَتَيْنِ بَعْدَهَا، وَرَكْعَتَيْنِ بَعْدَ المَغْرِبِ فِي بَيْتِهِ، وَرَكْعَتَيْنِ بَعْدَ العِشَاءِ فِي بَيْتِهِ، وَرَكْعَتَيْنِ قَبْلَ صَلاَةِ الصُّبْحِ، وَكَانَتْ سَاعَةً لَا يُدْخَلُ عَلَى النَّبِيِّ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ فِيهَا، حَدَّثَتْنِي حَفْصَةُ أَنَّهُ كَانَ إِذَا أَذَّنَ المُؤَذِّنُ وَطَلَعَ الفَجْرُ صَلَّى رَكْعَتَيْنِ، وَفِي لَفْظٍ: أَنَّ النَّبِيَّ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ كَانَ يُصَلِّي بَعْدَ الْجُمُعَةِ رَكْعَتَيْنِ.

[صحيح] - [متفق عليه بجميع رواياته]

(140) – გადმოცემულია იბნ უმარისგან (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი), რომელმაც თქვა: "შუამავლისგან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) დავიმახსოვრე ათი რაქაათი (მუხლი) ლოცვა: ორი მუხლი შუადღის ლოცვის წინ და ორი მის შემდეგ, ორი მუხლი სამხრობის ლოცვის შემდეგ სახლში, ორი მუხლი ღამის ლოცვის შემდეგ სახლში, ორი მუხლი დილის ლოცვის წინ. ეს იყო საათი, როცა შუამავალთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ვერ შევდიოდი, მე მომიყვა ჰაფსამ, რომ როცა დილის ლოცვა მოვიდოდა და მუეზინი აზანს იკითხავდა ის (შუამავალი) ორ მუხლს ლოცულობდა". სხვა გადმოცემაში ნათქვამია: "შუამავალი (ალლაჰის

ლოცვა და მშვიდობა მას) პარასკევის (ჯუმა) ლოცვის შემდეგ ორ მუხლს ლოცულობდა. [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებულია ყველა გადმოცემით]

განმარტება:

აბდულლაჰ იბნ უმარი (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი) განმარტავს, რომ ნებაყოფლობითი ლოცვები, რომელიც შუამავლისგან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) დაიმახსოვრა არის ათი მუხლი და მათ ეწოდება ას-სუნან არ-რავაათიბ (დადგენილი სუნნა). ორი მუხლი შუადღის ლოცვის წინ და ორი მის შემდეგ. ორი მუხლი სამხრობის (შუადღის შემდეგი) ლოცვის შემდეგ სახლში. ორი მუხლი ღამის ლოცვის შემდეგ სახლში. ორი მუხლი დილის ლოცვის წინ. ეს შეადგენს ათ მუხლს. ხოლო პარასკევის (ჯუმა) ლოცვის შემდეგ ორი მუხლი ილოცება.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. სასურველია (მუსთაჰაბ) ამ დამატებითი ლოცვების (არ-რავათიბ) შესრულება და მათზე მუდმივობა.
2. დამტკიცებულია დამატებითი ლოცვების სახლში შესრულების კანონიერება.

(3062)

(141) – عَنْ أَبِي قَتَادَةَ السَّلَمِيِّ رضي الله عنه أَنَّ رَسُولَ اللهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ قَالَ: «إِذَا دَخَلَ أَحَدُكُمُ الْمَسْجِدَ فَلْيَرْكَعْ رَكْعَتَيْنِ قَبْلَ أَنْ يَجْلِسَ». [صحيح] - [متفق عليه]

(141) – აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «როცა რომელიმე თქვენგანი მეჩეთში შევა, მან უნდა შეასრულოს ორი რაქათის ლოცვა, სანამ დაჯდება». [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მოუწოდა ყველას, ვინც მეჩეთში მიდის და შევა ნებისმიერ დროს ან ნებისმიერი მიზეზით, რომ სანამ დაჯდება, ორი რაქათი აღავლინოს. ეს ორი რაქათი ცნობილია, როგორც მეჩეთის მისალმების ლოცვა.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. მეჩეთში დაჯდომამდე ორი რაქათის, როგორც მეჩეთის მისალმების ლოცვის შესრულება სასურველია.
2. ეს მითითება ეხება იმას, ვინც მეჩეთში შესვლის შემდეგ აპირებს დაჯდომას. ხოლო მას, ვინც მეჩეთში შევა და დაჯდომამდე უკან გამოვა ეს

ბრძანება არ ეხება.

3. თუ ადამიანი მეჩეთში შევა იმ დროს, როდესაც ხალხი ლოცვას ასრულებს, ის უნდა შეუერთდეს მათ ლოცვას, და ეს ჩაანაცვლებს მეჩეთის მისალმების ორი რაქათის ლოცვას.

(65091)

(142) – عن أَبِي هُرَيرَةَ رضي الله عنه أَنَّ رسولَ الله صلى الله عليه وسلمَ قال: «إذا قُلْتَ لِصَاحِبِكَ: أَنْصِتْ، يَوْمَ الجُمْعَةِ، والْإِمَامُ يَخْطُبُ، فَقَدْ لَغَوْتَ». [صحيح] - [متفق عليه]

(142) – აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «თუ პარასკევს, როდესაც იმამი ქადაგებას კითხულობს, შენ გვერდით მყოფ ადამიანს, რომელიც ქადაგების დროს საუბრობდა, ეტყვი: 'გაჩუმდი!' — მაშინ თვითონაც ჩაითვლები, როგორც ის, ვინც უადგილოდ ისაუბრა». [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტავს, რომ პარასკევის ქადაგებაზე დასწრების ერთ-ერთი აუცილებელი ეთიკა არის იმამის ქადაგების მოსმენა, რათა დაფიქრდეს შეგონებაზე. ვინც დაილაპარაკა – თუნდაც მცირედიც – და ამ დროს იმამი

ქადაგებს, და ეუბნება სხვას: «გაჩუმდი» ან «მოუსმინე», მას ეკარგება პარასკევის ლოცვის საზღაური.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. პარასკევის ქადაგების მოსმენის დროს საუბარი აკრძალულია, თუნდაც ეს იყოს ცუდის აკრძალვა, სალამზე პასუხის გაცემა ან დაცემინებაზე დალოცვის სიტყვების თქმა.
2. ამ წესიდან გამონაკლისია ის, ვინც მიმართავს იმამს ან იმამი მიმართავს მას.
3. ქადაგებებს შორის მცირე პაუზის დროს საუბარი ნებადართულია, საჭიროების შემთხვევაში.
4. თუ მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) სახელი იხსენიება იმამის პარასკევის ქადაგების დროს, საჭიროა მისთვის დალოცვა და სალამი საკუთარ თავში ჩუმად წარმოთქვა. იგივე ეხება სიტყვა „ამინ“-ის თქმას იმამის დუაზე პასუხად.

(3107)

(143) – عن عِمران بن حُصَين رضي الله عنه قال: كَانَتْ بِي بَوَاسِيرُ، فَسَأَلْتُ النَّبِيَّ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ عَنِ الصَّلَاةِ، فَقَالَ: «صَلِّ قَائِمًا، فَإِنْ لَمْ تَسْتَطِعْ فَقَاعِدًا، فَإِنْ لَمْ تَسْتَطِعْ فَعَلَى جَنْبٍ». [صحيح] - [رواه البخاري]

(143) – იმრან იბნ ჰუსაინი (ალლაჰი იყოს მისი კმაყოფილი) ამბობს: მე მქონდა ბუასილი და ვკითხე შუამავალს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ლოცვის შესახებ, მან თქვა: «ფეხზე დამდგარმა ილოცე, თუ არ შეგიძლია დამჯდარმა ილოცე, თუ ისიც არ შეგიძლია გვერდზე დაწოლილმა». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა ალ-ბუხარიმ]

განმარტება:

შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტავს, რომ ლოცვაში ფეხზე დგომა სავალდებულოა გარდა იმ შეთხვევაში, თუ არ შეგიძლია. მაშინ ლოცვა შესრულდება დამჯდარი, თუ დამჯდარიც ვერ ხერხდება ლოცვის შესრულება, მაშინ მას შეუძლია ილოცოს დაწოლილმა.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ლოცვის შესრულების ვალდებულება არ გაუქმდება მანამ, სანამ ადამიანის გონება რჩება მწყობრში. მდგომარეობიდან მდგომარეობაზე გადასვლა ხდება შესაძლებლობების მიხედვით.
2. ისლამის ღმობიერება და სიადვილე, რადგან მორწმუნე ისე ასრულებს ღვთისმსახურებას, როგორც მას შეუძლია.

(10951)

(144) – عَنْ أَبِي هُرَيْرَةَ رَضِيَ اللهُ عَنْهُ: أَنَّ النَّبِيَّ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ قَالَ: «صَلَاةٌ فِي مَسْجِدِي هَذَا خَيْرٌ مِنْ أَلْفِ صَلَاةٍ فِيمَا سِوَاهُ إِلَّا الْمَسْجِدَ الْحَرَامَ». [صحيح] - [متفق عليه]

(144) – გადმოცემულია აბუ ჰურაირასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ლოცვა ჩემს ამ მეჩეთში უკეთესია, ვიდრე ათასი ლოცვა სხვა მეჩეთებში, გარდა აკრძალული მეჩეთისა [მექქაში]». [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ახსნა ლოცვის მნიშვნელობა მის მეჩეთში და აღნიშნა, რომ ეს უფრო დიდი ჯილდოა, ვიდრე ათასი ლოცვა დედამიწის სხვა ნებისმიერ მეჩეთში, გარდა ჰარამის მეჩეთისა მექქაში. ჰარამის მეჩეთში ლოცვა უფრო დიდებულია, ვიდრე ლოცვა მის მეჩეთში.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ლოცვის ჯილდოს გამრავლება ჰარამის მეჩეთში (მექქაში) და წინასწარმეტყველის მეჩეთში (მედინაში).
2. ლოცვა ჰარამის მეჩეთში (მექქაში) უკეთესია, ვიდრე ასი ათასი ლოცვა სხვა მეჩეთებში.

(65090)

(145) – عَنْ مَحْمُودِ بْنِ لَبِيدٍ رضي الله عنه: أَنَّ عُثْمَانَ بْنَ عَفَّانَ أَرَادَ بِنَاءَ الْمَسْجِدِ فَكَرِهَ النَّاسُ ذَلِكَ، وَأَحَبُّوا أَنْ يَدَعَهُ عَلَى هَيْئَتِهِ، فَقَالَ: سَمِعْتُ رَسُولَ اللهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ يَقُولُ: «مَنْ بَنَى مَسْجِدًا لِلَّهِ بَنَى اللهُ لَهُ فِي الْجَنَّةِ مِثْلَهُ». [صحيح] - [متفق عليه]

(145) – გადმოცემულია მაჰმუდ იბნ ლაბიდისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი): რომ 'უსმან იბნ აფფანს (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) სურდა მეჩეთის გადაკეთება, მაგრამ ხალხს ეს არ მოეწონა და სურდათ, რომ დარჩენილიყო ისეთი, როგორიც იყო. მან თქვა: "გავიგონე, რომ ალლაჰის შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამბობდა: «ვინც ალლაჰისთვის მეჩეთს ააშენებს, ალლაჰი მას სამოთხეში მსგავს სახლს აუშენებს». [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

'უსმან იბნ აფფანს (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) სურდა მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მეჩეთის ხელახლა აშენება ისე, რომ ის უკეთესი ყოფილიყო პირვანდელ მშენებლობაზე. თუმცა ხალხს ეს არ მოეწონა, რადგან ეს შეიცავდა მეჩეთის სტრუქტურის შეცვლას იმ სახით, როგორიც იყო იგი მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) დროინდელ პერიოდში. იმ დროს მეჩეთი აშენებული იყო თიხის აგურებით და მისი სახურავი

დამზადებული იყო პალმის ფოთლებისგან. 'უსმანს (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) კი სურდა, რომ იგი აეშენებინა ქვითა და თაბაშირით. 'უსმანმა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) ხალხს უთხრა, რომ მოისმინა მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ნათქვამი, რომ ვინც ალლაჰის კმაყოფილებისთვის მეჩეთს ააშენებს, არა თავის გამოჩენის ან ქების მიზნით, ალლაჰი მას მის ქმედებაზე საუკეთესო ჯილდოს მისცემს, და ეს ჯილდო არის ის, რომ ალლაჰი მისთვის მსგავს აუშენებს სამოთხეში.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. მეჩეთების მშენებლობის წახალისება და ამ საქმის ღირსება.
2. მეჩეთის გაფართოება და რეკონსტრუქცია ასევე მიეკუთვნება მშენებლობის ცნებას და სარგებლობს ამ ქმედების ღირსებით.
3. ალლაჰის წინაშე გულწრფელობის მნიშვნელობა ყველა საქმეში.

(65089)

(146) – عن أبي هريرةَ رضي الله عنه عن رسولِ اللهِ صلّى الله عليه وسلّم قال: «مَا نَقَصَتْ صَدَقَةٌ مِنْ مَالٍ، وَمَا زَادَ اللهُ عَبْدًا بِعَفْوٍ إِلَّا عِزًّا، وَمَا تَوَاضَعَ أَحَدٌ لِلَّهِ إِلَّا رَفَعَهُ اللهُ». [صحيح] - [رواه مسلم]

(146) – გადმოცემულია აბუ ჰურაირასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «მოწყალება (სადაყა) არაფრით ამცირებს სიმდიდრეს. ალლაჰი თავის მონას, რომელიც პატიობს სხვებს, არაფერს უმატებს, გარდა დიდებისა, და ვინც ალლაჰისთვის თავმდაბლობას გამოიჩენს, ალლაჰი მას აუცილებლად აამაღლებს». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა მუსლიმმა]

განმარტება:

მოციქული (ალლაჰმა დალოცოს და მიესალმოს მას) განმარტავს, რომ მოწყალება არ ამცირებს ქონებას, არამედ ხდება მიზეზი იმისა, რომ იცავს ადამიანს გასაჭირისა და უბედურებებისგან. ალლაჰი გულუხვად აჯილდოებს მას, ვინც გასცემს მოწყალებას დიდი სიკეთით. ამგვარად, სადაყა არ არის დანაკარგი, არამედ ის არის სიმდიდრის ზრდა.

რაც უფრო მეტად პატიობს ადამიანი, მიუხედავად იმისა, რომ აქვს შურისძიების ან სასჯელის შესაძლებლობა, ეს (პატიება) მით უფრო მეტად უმატებს მას ძალასა და დიდებას.

ალლაჰი, როგორც საზღაურად, აუცილებლად აამაღლებს და პატივს მიაგებს მას, ვინც გამოიჩენს თავმდაბლობას და მორჩილებას ალლაჰის გულისთვის, და არა შიშის, მლიქვნელობის ან ვინმესგან სარგებლის

მიღების მიზეზით.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. სიკეთე და წარმატება შარიათისადმი მორჩილებასა და კეთილი საქმეების აღსრულებაშია, თუნდაც ზოგიერთი ხალხი საპირისპიროდ ფიქრობდეს.

(5512)

(147) – عن أبي هريرةَ رضي الله عنه أنَّ رسولَ اللهِ صلّى الله عليه وسلّم قال: «قَالَ اللهُ: أَنْفِقْ يَا ابْنَ آدَمَ أُنْفِقْ عَلَيْكَ». [صحيح] - [متفق عليه]

(147) – აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ალლაჰმა თქვა: გაეცი ჰეი, ადამის შვილო! და მე გავცემ შენზე!» [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვატყობინებს, რომ ყოვლადუნაკლო და უზენაესმა ალლაჰმა თქვა: გაეცი ჰეი, ადამის შვილო! სავალდებულო და ნებაყოფლობითი ხარჯებიდან, და მე შენ მოგცემ უფრო მეტს, დაგიბრუნებ მასზე უკეთესით და მოგცემ ბარაქას მასში.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. წახალისება მოწყალების გაცემაზე და ალლაჰის გზაზე ქონების ხარჯვაზე.
2. კარგ გზებზე ქონების ხარჯვა ყველაზე დიდი მიზეზია სარჩოში ბარაქის მიღებისა და მისი გაორმაგების, და ალლაჰის მიერ იმ ქონების დაბრუნების, რაც მან გასცა.
3. ამ ჰადისს, რასაც მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გადმოსცემს ღმერთისგან ეწოდება წმინდა ან ღვთაებრივი ჰადისი (ჰადის ალ-ყუდსი). ეს იმას ნიშნავს, რომ მისი სიტყვებიც და მნიშვნელობაც ალლაჰისგანაა, თუმცა რომ მასში არ არის ყურანისეული თვისებები, რომლითაც მხოლოდ ყურანია გამორჩეული სხვებისგან, როგორიცაა თაყვანისცემა მხოლოდ მისი კითხვით, მისი წაკითხვისთვის სისუფთავის აუცილებლობა, მისი განუმეორებლობა, სასწაულები, და სხვა.

(5805)

(148) – عن أبي مسعودٍ رضي الله عنه عنِ النَّبيِّ صلّى الله عليه وسلّم قال: «إِذَا أَنْفَقَ الرَّجُلُ عَلَى أَهْلِهِ يَحْتَسِبُهَا فَهُوَ لَهُ صَدَقَةٌ». [صحيح] - [متفق عليه]

(148) – გადმოცემულია აბუ მას'უდისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «როცა კაცი ხარჯავს ქონებას თავის ოჯახზე, ამასთან ალლაჰის ჯილდოს იმედი აქვს, ეს მას მოწყალებად ჩაეთვლება». [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნობს, რომ თუ კაცი ხარჯავს თავის ქონებას ოჯახზე, ვისზეც ვალდებულება აქვს, რომ იზრუნოს, მაგალითად ცოლზე, მშობელზე, შვილზე და სხვა. და ის ამით უზენაეს ალლაჰთან დაახლოებას ცდილობს, და მისგან მოელის მადლს იმისთვის, რაც გასცა, ის გაცემული მოწყალების მადლს მიიღებს.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ოჯახისთვის დახარჯული ქონებით მოპოვებული ჯილდო და მადლი.
2. მორწმუნემ მისი გაკეთებული კარგი საქმით ალლაჰის კმაყოფილება, მისგან ჯილდო და მადლი უნდა ეძიოს.
3. აუცილებელია სწორი განზრახვა ყოველი ქმედების დროს. ეს ეხება ასევე ოჯახისთვის გაღებულ ხარჯებსაც.

(149) – عن أبي هريرةَ رضي الله عنه قال: قال رسولُ اللهِ صلّى الله عليه وسلّم: «مَنْ أَنْظَرَ مُعْسِرًا، أَوْ وَضَعَ لَهُ، أَظَلَّهُ اللهُ يَوْمَ الْقِيَامَةِ تَحْتَ ظِلِّ عَرْشِهِ يَوْمَ لَا ظِلَّ إِلَّا ظِلُّهُ».

[صحيح] - [رواه الترمذي وأحمد]

(149) – აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ მოციქულმა მუჰამმადმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ვინც გადაუვადებს ვალს გაჭირვებულს ან საერთოდ აპატიებს მას (ვალს ან მის ნაწილს), ალლაჰი დაფარავს მას თავისი ტახტის ჩრდილში აღდგომის დღეს, იმ დღეს, როდესაც სხვა ჩრდილი არ იქნება, გარდა მისი ჩრდილისა». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა ათ-თირმიზიმ და აჰმადმა]

განმარტება:

მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნო, რომ იმ ადამიანისთვის, ვინც გადაუვადებს ვალს ან აპატიებს მას ვალის ნაწილს, ალლაჰი დაიფარავს მას თავისი ტახტის ჩრდილში განკითხვის დღეს, იმ დღეს, როდესაც მზე იქნება ახლოს ადამიანების თავებთან და მისი სიცხე იქნება აუტანელი. და ვერავინ ვერ მიაგნებს ჩრდილს გარდა იმისა, ვისაც ალლაჰი დააყენებს ჩრდილში.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. უზენაესი ალლაჰის მიერ მონების მდგომარეობის შემსუბუქების ღირსება და ის ფაქტი, რომ ეს არის ერთ-ერთი მიზეზი, რომელიც გადაარჩენს მათ განკითხვის დღის საშინელებას.
2. საზღაური საქმეების შესაფერისია.

(4186)

(150) – عن جابر رضي الله عنه أنَّ رسولَ اللهِ صلّى الله عليه وسلّم قال: «رَحِمَ اللهُ رَجُلًا سَمْحًا إِذَا بَاعَ، وَإِذَا اشْتَرَى، وَإِذَا اقْتَضَى». [صحيح] - [رواه البخاري]

(150) – ჯაბირი (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ალლაჰმა შეიწყალოს ის კაცი, ვინც ლმობიერია, როდესაც ყიდის, როდესაც ყიდულობს და როდესაც ვალს მოითხოვს». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა ალ-ბუხარიმ]

განმარტება:

ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ვედრება აღავლინა მოწყალების თხოვნით იმ ადამიანებისთვის, რომლებიც თავაზიანნი, გულუხვნი და ხელგაშლილნი არიან თავიანთ ვაჭრობაში. და ვინც არ ამატებს ფასს მყიდველისთვის და ეპყრობა მას კარგი ზნეობით. ასევე, ყოველი იმ

ადამიანისთვის, რომელიც თავაზიანი, გულუხვი და ხელგაშლილია, როდესაც ყიდულობს; ამასთან ერთად, არ იტყუება და აკნინებს საქონლის ღირებულებას. მათ შორის არის ის, ვინც გულწრფელი, გულუხვი და კეთილგანწყობილია, როცა თავის ვალს ითხოვს. ვინც არ არის მკაცრი ღარიბისა და გაჭირვებულის მიმართ, არამედ ვალის დაბრუნებას ითხოვს რბილად და თავაზიანად და აძლევს გადავადებას გადაუხდელობისუნარიან მოვალეებს.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ერთ-ერთი მთავარი მიზანი შარიათის (ღმერთის კანონის) არის ხალხს შორის ურთიერთობების დაცვა და სიკეთის, სამართლიანობისა და კეთილგანწყობის გავრცელება.
2. წახალისება მაღალი ზნეობის გამოყენებაზე ურთიერთობებში ადამიანებს შორის, როგორიცაა ვაჭრობა, ყიდვა-გაყიდვა და სხვა მსგავსი საქმეები.

(3716)

(151) – عَنْ أَبِي هُرَيْرَةَ رَضِيَ اللَّهُ عَنْهُ أَنَّ رَسُولَ اللَّهِ صَلَّى اللَّهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ قَالَ: «كَانَ رَجُلٌ يُدَايِنُ النَّاسَ، فَكَانَ يَقُولُ لِفَتَاهُ: إِذَا أَتَيْتَ مُعْسِرًا فَتَجَاوَزْ عَنْهُ، لَعَلَّ اللَّهَ يَتَجَاوَزُ عَنَّا، فَلَقِيَ اللَّهَ فَتَجَاوَزَ عَنْهُ». [صحيح] - [متفق عليه]

(151) – აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «იყო კაცი, რომელიც ხალხს სესხს აძლევდა, და ის თავის მსახურს ეუბნებოდა: თუ გაჭირვებულთან მიხვალ, შეუნდე მას, იქნებ ალლაჰმა მოგვიტევოს ჩვენც. და როცა ის ალლაჰს შეხვდა, ალლაჰმა მიუტევა მას». [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნობს კაცის შესახებ, რომელსაც ხალხთან კავშირი ჰქონდა სესხის მიცემით და ვაჭრობდა მათთან გადავადებით, ამ კაცს ჰყავდა მსახური, რომელიც ხალხის ვალებს აგროვებდა, და მას ეუბნებოდა: "თუ მიხვალ მევალესთან, რომელსაც არ აქვს შესაძლებლობა ვალის დაბრუნების, მისი გაჭირვების გამო, «აპატიე მას»"; ეს შეიძლება ნიშნავდეს ვალის დაბრუნების გადადებას ან დაჟინებით არ მოთხოვნას. ან შეიძლება ნიშნავდეს იმის მიღებას, რაც მას აქვს, თუნდაც ეს იყოს ნაკლოვანით, რადგან ის ადამიანი იმედოვნებდა და სურდა, რომ ალლაჰმა მასაც აპატიოს (იმის გამო, რომ მან გაჭირვებულის მდგომარეობა გაითვალისწინა), და როდესაც ის კაცი გარდაიცვალა, ალლაჰმა აპატია მას მისი ცოდვები.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ადამიანებთან კეთილგანწყობით მოპყრობა, მათი შეცდომების მიტევება და გაჭირვებულის მიმართ ლმობიერება არის იმ უმნიშვნელოვანეს მიზეზთაგან, რაც განკითხვის დღეს მსახურის გადარჩენას განაპირობებს.
2. კეთილგანწყობა ღმერთის ქმნილებების მიმართ, გულწრფელობა ალლაჰისთვის და იმედი მისი მოწყალების მიღებისკენ არის იმ მიზეზთაგან, რაც ცოდვათა მიტევებას იწვევს.

(3753)

(152) – عن خَولةَ الأنصاريّةِ رضي الله عنها قالتْ: سمعتُ النَّبيَّ صلّى الله عليه وسلّم يقول: «إِنَّ رِجَالًا يَتَخَوَّضُونَ فِي مَالِ اللهِ بِغَيْرِ حَقٍّ، فَلَهُمُ النَّارُ يَوْمَ الْقِيَامَةِ».

[صحيح] - [رواه البخاري]

(152) – გადმოცემულია ხავლა ალ-ანსარიასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომელმაც თქვა: გავიგონე, რომ შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამბობდა: «ჭეშმარიტად, არიან ადამიანები, რომლებიც განკარგავენ ალლაჰის ქონებას შეუფერებელი გზით, მაგრამ აღდგომის დღეს მათთვის იქნება ცეცხლი».

[სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა ალ-ბუხარიმ]

განმარტება:

მოციქულმა (ალლაჰმა დალოცოს და მიესალმოს მას) გვამცნო იმ ადამიანების შესახებ, რომლებიც უკანონოდ განკარგავენ მუსლიმების ქონებას და უსამართლოდ იტაცებენ მას. ეს მოიცავს ქონების შეგროვებასა და მიღებას აკრძალული გზებით, ასევე მის ხარჯვას არასწორი მიზნებისთვის. ასეთ ქმედებებში შედის ობლების ქონების მიტაცება, ვაქუფის (საქველმოქმედო) ქონების მითვისება, ნდობით გადაცემული ქონების დაბრუნებაზე უარის თქმა და საერთო ქონების მიტაცება.

შემდეგ ამცნობა მოციქულმა (ალლაჰმა დალოცოს და მიესალმოს მას), რომ მათი საზღაური განკითხვის დღეს იქნება ცეცხლი.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ქონება, რომელიც ადამიანების ხელშია, ეკუთვნის ალლაჰს. მან ისინი დანიშნა ამ ქონების მმართველებად, რათა ისინი ხარჯავდნენ მას კანონიერ გზებზე და მოერიდონ მის უკანონო გამოყენებას. ეს ეხება როგორც მმართველებს, ასევე რიგით ადამიანებს.
2. შარიათის მკაცრი მოთხოვნები საერთო ქონებასთან დაკავშირებით. ვისაც ნდობით გადაეცემა რაიმე საზოგადოებრივი ქონებიდან, ის

აღდგომის დღეს პასუხისმგებელი იქნება მის შეგროვებასა და ხარჯვისთვის.

3. ამ საფრთხის ქვეშ ექცევიან ასევე ისინი, ვინც განკარგავს ქონებას შარიათის საწინააღმდეგო გზით, იქნება ეს მათი პირადი ქონება თუ სხვა ადამიანების ქონება.

(5331)

(153) – عن أبي هريرةَ رضي الله عنه قال: قال رسولُ اللهِ صلّى الله عليه وسلّم: «مَنْ صَامَ رَمَضَانَ إِيمَانًا وَاحْتِسَابًا غُفِرَ لَهُ مَا تَقَدَّمَ مِنْ ذَنْبِهِ» [صحيح] - [متفق عليه]

(153) – აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოგვცემს, რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ვინც იმარხა რამადანი რწმენით და საზღაურის იმედით, ეპატიება მას მის წინ ჩადენილი ყველა ცოდვა». [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნობს, რომ ვინც იმარხულებს რამადანის თვეს ალლაჰისადმი რწმენით, დაადასტურებს მარხვის ვალდებულებას და იმას, რომ ალლაჰი მმარხველებისთვის დიდ ჯილდოს და საზღაურებს ამზადებს, და დაიცავს მარხვას ალლაჰის კმაყოფილებისთვის და არა ჩვენების ან

რეპუტაციისთვის, მას ეპატიება წარსული ცოდვები.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. გულწრფელობის ღირსება და მისი მნიშვნელობა მარხვისას რამადანის თვეში, და სხვა კეთილი საქმეების შესრულებისას.

(4196)

(154) – عن أبي هريرةَ رضي الله عنه قال: قال رسولُ الله صلّى الله عليه وسلّم: «مَنْ يَقُمْ لَيْلَةَ الْقَدْرِ إِيمَانًا وَاحْتِسَابًا غُفِرَ لَهُ مَا تَقَدَّمَ مِنْ ذَنْبِهِ» [صحيح] - [متفق عليه]

(154) – აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოგვცემს, რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ვინც გაათენებს ყადირის ღამეს რწმენით და საზღაურის იმედით, ეპატიება მას წარსული ცოდვები». [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნობს ყადირის ღამის მნიშვნელობაზე, რომელიც დგება რამადანის ბოლო ათ დღეში. ის ასევე გვაცნობებს, რომ ვინც გაატარებს ამ ღამეს ლოცვებით, ვედრებით, ყურანის კითხვით და ალლაჰის ხსენებით, ამ ღამისადმი რწმენით და იმით, რაც გადმოცემულია მისი ღირსებების შესახებ, და იმედოვნებს ალლაჰის ჯილდოს თავისი საქმეებისთვის, არ გააკეთებს ამას

ჩვენების ან რეპუტაციისთვის, მას ეპატიება წარსული ცოდვები.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ყადირის ღამის ღირსება და ამ ღამის თაყვანისცემაში გატარებისკენ მოწოდება.
2. კეთილი საქმეები არ მიიღება გულწრფელი განზრახვის გარეშე.
3. ალლაჰის წყალობა იმაზე, ვინც გაატარებს ყადირის ღამეს რწმენით და იმედით, მას ეპატიება წარსული ცოდვები.

(4202)

(155) – عن أبي هريرةَ رضي الله عنه قال: سمعتُ النَّبيَّ صلّى الله عليه وسلّم يقول: «مَنْ حَجَّ لِلَّهِ فَلَمْ يَرْفُثْ وَلَمْ يَفْسُقْ رَجَعَ كَيَوْمِ وَلَدَتْهُ أُمُّهُ». [صحيح] - [متفق عليه]

(155) – გადმოცემულია აბუ ჰურაირასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მან თქვა: "გავიგონე, რომ ალლაჰის შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამბობდა: «ვინც ალლაჰისთვის შეასრულა ჰაჯობა, არ ჩაიდინა არანაირი უზნეობა და ცოდვა, დაბრუნდება ისეთივე [სუფთა ცოდვებისგან], როგორიც იყო იმ დღეს, როდესაც თავისმა დედამ შვა». [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

მოციქული მუჰამმადი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტავს, რომ ვინც ალლაჰისთვის შეასრულებს ჰაჯობას და არ ჩაიდენს უზნეობას, რაც ნიშნავს სექსუალურ ურთიერთობას ან მის წინამორბედ ქმედებებს, როგორიცაა კოცნა და ახლო კონტაქტი. ასევე, აქ შედის ცუდი და უხამსი სიტყვების გამოყენება საუბრისას. და ასევე, არ ჩაიდენს უმართლობას რაიმე ცუდი საქციელითა და ცოდვით. ცოდვად ითვლება ის ქმედებები, რომლებიც იკრძალება იმ ადამიანისათვის, ვინც იმყოფება იჰრამის მდგომარეობაში. ასეთი ადამიანი დაბრუნდება ჰაჯობიდან ცოდვებისგან მიტევებული, როგორც ბავშვი, რომელიც იბადება სრულიად უცოდველი.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ურჩობა (ალლაჰის მიმართ და ცოდვები) მიუხედავად იმისა, რომ ყველა შემთხვევაში აკრძალულია, ჰაჯობის დროს განსაკუთრებით იკრძალება, რათა გამოიხატოს ჰაჯობის რიტუალების სიდიადე და პატივისცემა.
2. ადამიანი იბადება ყოველგვარი ცოდვის გარეშე, უბილწო და წმინდა ცოდვებისგან; ის არ ატარებს სხვისი ცოდვების ტვირთს.

(2758)

(156) – عَنِ ابْنِ عَبَّاسٍ رَضِيَ اللَّهُ عَنْهُمَا قَالَ: قَالَ رَسُولُ اللَّهِ صَلَّى اللَّهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ: «مَا مِنْ أَيَّامٍ الْعَمَلُ الصَّالِحُ فِيهَا أَحَبُّ إِلَى اللَّهِ مِنْ هَذِهِ الْأَيَّامِ» يَعْنِي أَيَّامَ الْعَشْرِ، قَالُوا: يَا رَسُولَ اللَّهِ، وَلَا الْجِهَادُ فِي سَبِيلِ اللَّهِ؟ قَالَ: «وَلَا الْجِهَادُ فِي سَبِيلِ اللَّهِ، إِلَّا رَجُلٌ خَرَجَ بِنَفْسِهِ وَمَالِهِ فَلَمْ يَرْجِعْ مِنْ ذَلِكَ بِشَيْءٍ». [صحيح] - [رواه البخاري وأبو داود، واللفظ له]

(156) – გადმოცემულია იბნ აბბასისგან (ალლაჰი იყოს მისით და მისი მამით კმაყოფილი), რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «არ არსებობს დღეები, რომელშიც გაკეთებული კარგი საქმე უფრო მეტად საყვარელი იყოს ალლაჰისთვის, ვიდრე ამ დღეებში», იგულისხმება ზულ-ჰიჯჯას ათი დღე, ჰკითხეს: ო, ალლაჰის შუამავალო, არც ჯიჰადი ალლაჰის გზაზე? მან თქვა: «არც ჯიჰადი ალლაჰის გზაზე, გარდა იმ კაცისა, რომელიც საკუთარი სულით და ქონებით გავა ალლაჰის გზაზე და ორივეს დაკარგავს იქ». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა ალ-ბუხარიმ, აბუ დაუდმა მისი სიტყვებით]

განმარტება:

შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტავს, რომ ზულ-ჰიჯჯას თვის პირველ ათ დღეში შესრულებული კარგი საქმე უფრო კარგია, ვიდრე წელიწადის სხვა დღეებში შესრულებული საქმეები.

საჰაბები (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი)

შეეკითხნენ შუამავალს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) სხვა დღეებში შესრულებული ჯიჰადი უფრო კარგი იყო თუ ამ დღეებში შესრულებული კარგი ქმედებები? რადგან მათ იცოდნენ, რომ ჯიჰადი იყო ყველაზე საუკეთესო საქმე.

შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უპასუხა: რომ ამ დღეებში შესრულებული კარგი საქმე უფრო უკეთესი იყო, ვიდრე სხვა დღეებში შესრულებული ჯიჰადი, გარდა იმ თავდადებული მუჯაჰიდისა, რომელიც სწირავს საკუთარ სულს და ქონებას ალლაჰის გზაზე, რომელმაც გახარჯა ქონება და შესწირა სული ალლაჰის გზაზე. ეს არის ის, რაც უკეთესია ამ ძვირფას დღეებში შესრულებულ სხვა ქმედებებზე.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ზულ-ჰიჯჯას პირველ ათ დღეში შესრულებული ქმედებების მადლიანობა. მუსლიმმა უნდა გამოიყენოს ეს დღეები და მოუმატოს მასში ღვთისმსახურებას, უზენაესი ალლაჰის ხსენებას, ყურანის კითხვას, ალლაჰის განდიდებას, ერთღმერთიანობის სიტყვების წარმოთქმას, ალლაჰზე მადლობის გადახდას, ლოცვას, მოწყალების გაცემას, მარხვას და სხვა ყველა მადლიან საქმეს.

(6255)

(157) – عن أبي هريرةَ رضي الله عنه قال: قال رسول الله صلّى الله عليه وسلّم: «إِنَّ اللهَ لَا يَنْظُرُ إِلَى صُوَرِكُمْ وَأَمْوَالِكُمْ، وَلَكِنْ يَنْظُرُ إِلَى قُلُوبِكُمْ وَأَعْمَالِكُمْ». [صحيح] - [رواه مسلم]

(157) – აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ჭეშმარიტად, ალლაჰი არ უყურებს თქვენს გარეგნობას და თქვენს ქონებას, მაგრამ, ის უყურებს თქვენს გულებს და საქმეებს». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა მუსლიმმა]

განმარტება:

შუამავალი (ალლაჰმა დალოცოს და მიესალმოს მას) განმარტავს, რომ ალლაჰი არ უყურებს მისი მონების გარეგნობას, მათ სხეულებს, ლამაზია თუ უშნო, დიდია თუ პატარა, ჯანმრთელია თუ ავადმყოფი, და არ უყურებს მათ ქონებას, ბევრია თუ ცოტაა, რადგან ყოვლისშემძლე და დიადი ალლაჰი არ სთხოვს თავის მონებს პასუხს მსგავს საკითხებში და არ ითხოვს ანგარიშს ამ მახასიათებლების მიხედვით. ის უყურებს მათ გულებს და იმას, არის თუ არა მასში ღვთისმოშიშობა, მტკიცე რწმენა, გულწრფელობა და სიმართლე, თუ ფარისევლობა და ამპარტავნებაა. ასევე, ის უყურებს მათ საქმეებს, რამდენად სწორი ან ცოდვიანია ისინი; სჯის და აჯილდოებს მათ მიხედვით.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. გულზე ზრუნვა და მისი გასწორება, ასევე მისი გაწმენდა ყოველგვარი დასაძრახი თვისებებისგან.
2. გულის გასწორება ხდება გულწრფელობის გზით, ხოლო საქმეების გასწორება — მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მიყოლით. ეს ორი თვისება — გულწრფელობა და მოციქულის გზი დაცვა — სწორედ ისაა, რასაც უზენაესი ალლაჰი ითვალისწინებს.
3. ადამიანმა არ უნდა მოიტყუოს თავი თავისი სიმდიდრით, სილამაზით, სხეულით ან სხვა ამქვეყნიური სხვა რომელიმე ატრიბუტებით.
4. გაფრთხილება იმის შესახებ, რომ ადამიანი არ უნდა დაეყრდნოს მხოლოდ გარე ფაქტორებს შინაგანი მდგომარეობის გასწორების გარეშე.

(4555)

(158) – عَنْ أَبِي هُرَيْرَةَ رضي الله عنه قال: قال رَسُولُ الله صلى الله عليه وسلم: «إِنَّ اللهَ يَغَارُ، وَإِنَّ الْمُؤْمِنَ يَغَارُ، وَغَيْرَةُ اللهِ أَنْ يَأْتِيَ الْمُؤْمِنُ مَا حَرَّمَ عَلَيْهِ». [صحيح] - [متفق عليه]

(158) – აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ჭეშმარიტად, ალლაჰი

ეჭვიანობს, და მორწმუნეც ეჭვიანობს. ალლაჰის ეჭვიანობა გამოვლინდება მაშინ, როცა მორწმუნე აკეთებს იმას, რაც მას ალლაჰმა აუკრძალა». [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნობს, რომ ალლაჰს თავისი სიდიადისა და დიდებულების შესაფერისად, ახასიათებს ეჭვიანობა, განრისხება, და შეზიზღება, როგორც მორწმუნე ადამიანს ახასიათებს ეჭვიანობა, განრისხება და შეზიზღება. ალლაჰის ეჭვიანობის მიზეზი არის ის, რომ მორწმუნე ჩადის უმსგავსო ქმედებებს, რომელთა ჩადენაც ალლაჰმა აუკრძალა, მაგალითად: მრუშობა, მამათმავლობა, ქურდობა, ალკოჰოლური სასმელების მიღება და სხვა მსგავსი უწმინდურობები.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ალლაჰის სიბრაზისა და სასჯელისგან სიფრთხილე, როცა მისი აკრძალვები ირღვევა.

(3354)

(159) – عن أبي هريرةَ رضي الله عنه عنِ النَّبيِّ صلّى الله عليه وسلّم قال: «اجْتَنِبُوا السَّبْعَ الْمُوبِقَاتِ»، قَالُوا: يَا رَسُولَ اللهِ وَمَا هُنَّ؟ قَالَ: «الشِّرْكُ بِاللهِ، وَالسِّحْرُ، وَقَتْلُ النَّفْسِ الَّتِي حَرَّمَ اللهُ إِلَّا بِالْحَقِّ، وَأَكْلُ الرِّبَا، وَأَكْلُ مَالِ الْيَتِيمِ، وَالتَّوَلِّي يَوْمَ الزَّحْفِ، وَقَذْفُ

الْمُحْصَنَاتِ الْمُؤْمِنَاتِ الْغَافِلَاتِ». [صحيح] - [متفق عليه]

(159) – გადმოცემულია აბუ ჰურაირასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მოციქულმა მუჰამმადმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ერიდეთ შვიდ დამღუპველ ცოდვას». ჰკითხეს: ო, ალლაჰის მოციქულო, და რომელია ისინი? მან თქვა: «ალლაჰზე თანაზიარის დადგენა, ჯადოქრობა, იმ სულის მოკვლა, რომლის სიცოცხლეც ალლაჰმა აკრძალა, გარდა იმისა, რაც ეხება სამართლის აღდგენას (შარიათით), მევახშეობა (რიბა), ობლის ქონების მიტაცება, ბრძოლის ველიდან გაქცევა და პატიოსანი, უდანაშაულო მორწმუნე ქალებზე მრუშობის დაბრალება». [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

ალლაჰის შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უბრძანებს თავის ხალხს, რომ განერიდოს შვიდი დამღუპველი ცოდვისა და დანაშაულისგან. და როცა მას ჰკითხეს, თუ რომელია ისინი, მან განუმარტა, რომ ისინია:

პირველი: ალლაჰზე თანაზიარის დადგენა, რაც გულისხმობს მისთვის თანასწორის ან მსგავსის აყვანას წმინდაა ის, ნებისმიერი ფორმით, თაყვანისცემებიდან რომელიმე თაყვანისცემის მიძღვნა დიდებული

ალლაჰის გარდა სხვაზე. ალლაჰის შუამავალმა დაიწყო მრავალღმერთიანობის მოხსენიებით, რადგანაც ის ცოდვათაგან უდიდესია.

მეორე: ჯადოქრობა — ეს არის ქმედებები, რომლებიც მოიცავს კვანძების შეკვრას, ჯადოსნურ სიტყვებს, წამლებსა და კვამლს, რომლებსაც იყენებენ იმისთვის, რომ იმოქმედონ მოჯადოებული ადამიანის სხეულზე, მოკლან ან დაავადონ ის, ან დააშორონ ცოლ-ქმარი, ეს არის ეშმაკის საქმე, და ვერ უკავშირდებიან მათ თუ არა ალლაჰზე თანაზიარის დადგენით, რომელიც გულისხმობს ბოროტ სულებთან დაახლოებას და ისეთი უწმინდური ქმედებების შესრულებას, რაც მათ მოსწონთ.

მესამე: იმ ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა, რომლის მოკვლაც ალლაჰმა აკრძალა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს შარიათის სამართლებრივი საფუძველი, რომელსაც აღასრულებს მმართველი.

მეოთხე: რიბას (პროცენტის) მიღება, იქნება ეს საკვების სახით თუ სხვა რაიმე ფორმით სარგებლის მიღება.

მეხუთე: ობლის ქონების ხელყოფა, რომელსაც მამა გარდაეცვალა მაშინ, როდესაც ის ჯერ კიდევ სრულწლოვანების ასაკს არ იყო მიღწეული.

მეექვსე: ბრძოლიდან გაქცევა, როცა ისლამის მტრებთან (ურწმუნოებთან) ბრძოლა მიმდინარეობს.

მეშვიდე: პატიოსანი და ღირსეული ქალების მრუშობაში ცრუ დადანაშაულება, ასევე პატიოსანი მამაკაცების დადანაშაულება.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. დიდი ცოდვები მხოლოდ ამ შვიდით არ შემოიფარგლება. ამ შვიდი ცოდვის გამოყოფა იმიტომ მოხდა, რომ ისინი უდიდესი და ძალიან სახიფათოა.
2. ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა დასაშვებია მხოლოდ სამართლებრივი საფუძვლით, როგორიცაა "სამართლიანი შურისძიება", "განდგომილება ისლამიდან", ან ქორწინების შემდეგ ჩადენილი მრუშობა. თუმცა, ეს ქმედებები უნდა განხორციელდეს მხოლოდ შარიათით უფლებამოსილი მმართველის მიერ.

(3331)

(160) – عن أبي بَكْرَةَ رضي الله عنه قال: قال النَّبِيُّ صلّى الله عليه وسلّم: «أَلَا أُنَبِّئُكُمْ بِأَكْبَرِ الْكَبَائِرِ؟» ثَلَاثًا، قَالُوا: بَلَى يَا رَسُولَ اللهِ، قَالَ: «الْإِشْرَاكُ بِاللهِ، وَعُقُوقُ الْوَالِدَيْنِ» وَجَلَسَ وَكَانَ مُتَّكِئًا، فَقَالَ: «أَلَا وَقَوْلُ الزُّورِ»، قَالَ: فَمَا زَالَ يُكَرِّرُهَا حَتَّى قُلْنَا: لَيْتَهُ سَكَتَ. [صحيح] - [متفق عليه]

(160) – აბუ ბაქრი (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ვნებავთ, გამცნოთ ყველაზე დიდი ცოდვების შესახებ?» და გაიმეორა სამჯერ, მიუგეს: რა თქმა უნდა, ო, ალლაჰის შუამავალო. მან თქვა: «ალლაჰზე თანაზიარის დადგენა და მშობლებისადმი უპატივცემულობა». ის ნახევრად წამოწოლილი იყო, წამოჯდა და გააგრძელა: «და სიცრუეზე მოწმობა». და ის იმეორებდა მანამ, სანამ არ გავიფიქრეთ: "ნეტავი, გაჩუმდეს". [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამცნობს თავის საჰაბებს უდიდესი ცოდვების შესახებ. და მოიხსენია სამი დიდ ცოდვათაგან:

1. ალლაჰზე თანაზიარის დადგენა: ეს გულისხმობს თაყვანისცემის ნებისმიერი ფორმით ალლაჰის გარდა სხვაზე მიმართვას ან ალლაჰის გათანაბრებას სხვასთან მის ღვთაებრიობაში, მბრძანებლობაში, სახელებსა და თვისებებში.

2. მშობლებისადმი უპატივცემულობა: ეს არის მშობლებისთვის ნებისმიერი ზიანის მიყენება, იქნება ეს სიტყვით თუ ქმედებით, და მათდამი სიკეთის კეთების მიტოვება.

3. სიცრუის თქმა და სიცრუის მოწმობა: ეს არის ყოველი წარმოთქმული ცრუ სიტყვა, რომელიც მიზნად ისახავს იმ პირის დაკნინებას, ვის წინააღმდეგაც არის წარმოთქმული, იქნება ეს მისი ქონების ჩამორთმევა თუ სხვა მისი მსგავსი.

ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) რამდენჯერმე გაიმეორა გაფრთხილება სიცრუის თქმაზე, რათა გაემახვილებინა ყურადღება მისი სიმახინჯისა და საზოგადოებისთვის მისი ცუდი შედეგების მიმართ. ამას იმდენად ხშირად იმეორებდა, რომ თანხმლებებმა თქვეს: «ნეტავი გაჩუმდეს», თანაგრძნობის გამო და იმის გამო, რომ მათ არ სურდათ ის შეწუხებულიყო ამის გამო.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ყველაზე მძიმე ცოდვა არის მრავალღმერთიანობა (შირქი), რადგანაც ალლაჰმა ეს ცოდვა დაასახელა ყველა სხვა მძიმე ცოდვაზე მაღლა და ყველაზე დიდად. ეს დასტურდება უზენაესი ალლაჰის სიტყვებით: «ჭეშმარიტად, ალლაჰი არ პატიობს მასზე თანაზიარის დადგენას და პატიობს სხვა დანარჩენს, ინებებს ვისაც».
2. მშობლების უფლებების სიდიადე, რომელიც უზენაესმა ალლაჰმა თავის უფლებასთან ერთად დააყენა.

3. ცოდვები იყოფა დიდ და პატარა ცოდვებად. დიდი ცოდვა არის: ნებისმიერი ცოდვა, რომლისთვისაც განსაზღვრულია სასჯელი ამქვეყნად, როგორიცაა სასჯელაღსრულება ან წყევლა, ან სიკვდილის შემდგომი სასჯელის მუქარა, მაგალითად, ჯოჯოხეთში შესვლის მუქარა. დიდ ცოდვებს შორისაც არსებობს სხვადასხვა დონეები, სადაც ზოგი უფრო მძიმეა აკრძალვის მხრივ. მცირე ცოდვები კი არის ყველაფერი, რაც არ შედის დიდ ცოდვებში.

(2941)

(161) – عنْ عبدِ اللهِ بن عمرو بنِ العاصِ رضي الله عنهما عنِ النَّبيِّ صلّى الله عليه وسلّم قال: «الْكَبَائِرُ: الْإِشْرَاكُ بِاللهِ، وَعُقُوقُ الْوَالِدَيْنِ، وَقَتْلُ النَّفْسِ، وَالْيَمِينُ الْغَمُوسُ».

[صحيح] - [رواه البخاري]

(161) – გადმოცემულია აბდულლაჰ იბნ ამრისგან (ალლაჰი იყოს მისით და მისი მამით კმაყოფილი), რომ ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «დიდი ცოდვებია: ალლაჰზე თანაზიარის დადგენა, მშობლებისადმი ურჩობა, ადამიანის მკვლელობა და ტყუილზე დაფიცება». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა ალ-ბუხარიმ]

განმარტება:

ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტავს დიდ ცოდვებს, რომლებიც არის ისეთი ქმედებები, რომელთათვისაც ჩამდენს აღეთქვა მკაცრი სასჯელი ამქვეყნად და საიქიოში.

პირველი მათგანია "ალლაჰზე თანაზიარის დადგენა": ეს გულისხმობს რომელიმე თაყვანისცემის ფორმის მიძღვნას ალლაჰის გარდა ვინმეს ან რაიმესათვის, ასევე ვინმეს ან რაიმეს ალლაჰის მსგავსად მიჩნევას ისეთ საკითხებში, რომლებიც მხოლოდ მას ეკუთვნის, მაგალითად, მისი ღვთაებრიობის, ბატონობის, მისი სახელებისა და ატრიბუტების მხრივ.

მეორე: მშობლებისადმი ურჩობა - გულისხმობს ყველაფერს, რაც ზიანს აყენებს მშობლებს, იქნება ეს სიტყვით თუ ქმედებით, და ასევე მათ მიმართ სიკეთის უგულებელყოფა.

მესამე: ადამიანის მოკვლა უფლებამოსილების გარეშე, როგორიცაა მკვლელობა უსამართლოდ და მტრულად.

მეოთხე: "ცრუ დაფიცება" - ეს გულისხმობს შეგნებულად ტყუილზე დაფიცებას, როდესაც ფიცის მიმცემმა იცის, რომ ცრუობს. მას ასე უწოდეს, რადგან ის „ჩააფლობს“ ადამიანს ცოდვაში ან ჯოჯოხეთის ცეცხლში.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ცრუ ფიცს არ აქვს გამოსყიდვა, მისი საშიშროებისა და ცოდვის გამო. მისი გამოსწორება შესაძლებელია მხოლოდ მონანიებით.
2. ამ ჰადისში მოხსენიებულია ოთხი დიდი ცოდვა მათი უდიდესი ცოდვიანობის გამო და არა იმისთვის, რომ ყველა დიდი ცოდვა მხოლოდ მისით შემოიფარგლება.
3. ცოდვები იყოფა დიდ და პატარა ცოდვებად. დიდი ცოდვები არის ყველა ის ქმედება, რომელიც იწვევს ამქვეყნიურ სასჯელს, მაგალითად, შარიათის სასჯელები ან წყევლა, ან საიქიო სასჯელის დაპირებას, როგორიცაა ჯოჯოხეთში შესვლის მუქარა. დიდი ცოდვები სხვადასხვაგვარია, ზოგი მათგანი უფრო მძიმეა, ვიდრე სხვები. რაც შეეხება მცირე ცოდვებს, ესენია დანარჩენი ცოდვები, რომლებიც არ მიეკუთვნება დიდ ცოდვებს.

(3044)

(162) – عَنْ عَبْدِ اللهِ بنِ مَسْعُودٍ رضي الله عنه قَالَ: قَالَ رَسُولُ اللهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ: «أَوَّلُ مَا يُقْضَى بَيْنَ النَّاسِ يَوْمَ الْقِيَامَةِ فِي الدِّمَاءِ». [صحيح] - [متفق عليه]

(162) – აბდულლაჰ იბნ მას'უდისგან გადმოცემულია, რომ მან თქვა: თქვა ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის

ლოცვა და მშვიდობა მას): «აღდგომის დღეს, ადამიანებს შორის პირველ რიგში გასამართლდება საქმეები, რომლებიც დაკავშირებული იყო სისხლისღვრასთან». [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ახსენა, რომ განკითხვის დღეს ადამიანთა შორის მსაჯულება დაიწყება ერთმანეთის მიმართ ჩადენილ უსამართლობაზე: სისხლში, როგორიცაა მკვლელობა და დაჭრა.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. სისხლისღვრის საკითხის დიადი მნიშვნელობა. აუცილებლობა ყოველთვის დავიწყოთ ყველაზე მნიშვნელოვანით.
2. ცოდვები უფრო მძიმეა იმ დიდი ზიანის მიხედვით, რასაც ისინი იწვევს. უდანაშაულო სიცოცხლის წართმევა არის ერთ-ერთი ყველაზე დიდი უსამართლობა და ზიანის მიყენება. არ არსებობს უფრო მძიმე ცოდვა, ვიდრე უდანაშაულო ადამიანების მკვლელობა, გარდა უზენაესი ალლაჰისადმი ურწმუნოების (ქუფრი) და მრავალღმერთიანობისა (შირქი).

(2962)

(163) – عن عبدِ الله بن عمرو رضي الله عنهما عنِ النَّبيِّ صلّى الله عليه وسلّم قال: «مَنْ قَتَلَ مُعَاهَدًا لَمْ يَرَحْ رَائِحَةَ الْجَنَّةِ، وَإِنَّ رِيحَهَا تُوجَدُ مِنْ مَسِيرَةِ أَرْبَعِينَ عَامًا».

[صحيح] - [رواه البخاري]

(163) – აბდულლაჰ იბნ ამრი (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) სიტყვებს, რომელმაც თქვა: «ვინც მოკლავს ხელშეკრულების მქონე არა მუსლიმს (მუსლიმებთან მშვიდობის პირობით მცხოვრებს), ის სამოთხის სურნელს ვერ იგრძნობს, მიუხედავად იმისა, რომ მისი სურნელი ორმოცი წლის (გასავლელი) მანძილის სიშორეზე იგრძნობა». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა ალ-ბუხარიმ]

განმარტება:

ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მკაცრად აფრთხილებს, რომ ვინც მოკლავს ხელშეკრულების მქონე არა მუსლიმს (ეს ნიშნავს იმას, ვინც არა მუსლიმთაგან შემოვიდა ისლამის მიწაზე ხელშეკრულებითა და უსაფრთხოების გარანტიით), ვერ იგრძნობს სამოთხის სურნელს, მიუხედავად იმისა, რომ მისი სურნელი იგრძნობა ორმოც წელს გასავლელი მანძილის სიშორეზე.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ხელშეკრულების მქონე პირის, (ისლამური მმართველობის ქვეშ მცხოვრები არა მუსლიმი) და თავშესაფრის მაძიებელი არა მუსლიმის მოკვლის აკრძალვა, რაც მძიმე ცოდვათა შორის ერთ-ერთ უდიდეს ცოდვად ითვლება.
2. ხელშეკრულების მქონე პირი: ეს არის არა მუსლიმი, რომელსაც მიეცა ხელშეკრულება, იგი ცხოვრობს თავის ქვეყანაში და არ ეომება მუსლიმებს, ისევე როგორც მუსლიმები არ ეომებიან მას.
3. ზიმმი: ეს არის ის, ვინც დასახლდა მუსლიმთა მიწაზე და იხდის ჯიზიას (სპეციალურ გადასახადს).
4. ალ-მუსთა'მან: ეს არის ის, ვინც შემოვიდა მუსლიმთა მიწაზე ხელშეკრულებითა და უსაფრთხოების გარანტიით განსაზღვრული ვადით.
5. გაფრთხილება არა მუსლიმებთან დადებული ხელშეკრულებების დარღვევისგან.

(64637)

(164) – عن جُبَير بن مُطْعِم رضي الله عنه أَنَّه سَمِعَ النَّبِيَّ صلّى الله عليه وسلّم يقول: «لَا يَدْخُلُ الْجَنَّةَ قَاطِعُ رَحِمٍ». [صحيح] - [متفق عليه]

(164) – გადმოცემულია ჯუბაირ იბნ მუტ'იმისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მან გაიგონა, რომ შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამბობდა: «არ შევა სამოთხეში ნათესაური კავშირის გამწყვეტი». [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვაუწყა, რომ ის, ვინც წყვეტს ნათესაურ კავშირებს, არ ასრულებს მათ მიმართ დაკისრებულ ვალდებულებებს ან აყენებს უსიამოვნებას და ცუდად ექცევა მათ, იმსახურებს, რომ არ შევიდეს სამოთხეში.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ნათესაური კავშირების გაწყვეტა ერთ-ერთ მძიმე ცოდვად ითვლება.
2. ნათესაური კავშირების შენარჩუნება დამოკიდებულია საზოგადოებაში მიღებულ ნორმებზე, რომლებიც შეიძლება შეიცვალოს ადგილმდებარეობის, დროისა და ხალხის მიხედვით.
3. ნათესაური კავშირების შენარჩუნება ხორციელდება მათი მონახულებით, მათთვის მატერიალური დახმარების გაწევით და კეთილი საქმეების გაკეთებით. ასევე, მათში შედის

ავადმყოფების მონახულება, მოწოდება კეთილი ქმედებებისკენ და მათი შეჩერება ცუდი საქციელისგან და სხვა.

4. რაც უფრო ახლო არის ნათესავი, ვისთანაც კავშირი წყდება, მით უფრო მძიმეა ამის გამო ცოდვა.

(5367)

(165) – عن أنس بن مالك رضي الله عنه أنَّ رسولَ اللهِ صلّى الله عليه وسلّم قال: «مَنْ أَحَبَّ أَنْ يُبْسَطَ لَهُ فِي رِزْقِهِ، وَيُنْسَأَ لَهُ فِي أَثَرِهِ، فَلْيَصِلْ رَحِمَهُ». [صحيح] - [متفق عليه]

(165) – ანას ბინ მალიქის (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოცემით, მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ვისაც სურს, რომ მისი სარჩო გაიზარდოს და სიცოცხლე გახანგრძლივდეს, დაე, შეინარჩუნოს ნათესაური კავშირები». [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მოუწოდებს მორწმუნეებს ნათესაური კავშირების შენარჩუნებისკენ მათი მონახულებით, პატივისცემის გამოხატვით, როგორც ფიზიკურად, ასევე მატერიალურად და სხვა საშუალებებით. იგი ხაზს უსვამს, რომ ეს არის კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და სიცოცხლის გახანგრძლივების მიზეზი.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ნათესავები არიან მამისა და დედის ხაზით ახლო ადამიანები. რაც უფრო ახლოა ნათესაური კავშირი, მით უფრო დიდ მნიშვნელობას ატარებს მისი შენარჩუნება.
2. საზღაური შეესაბამება საქმეს. ვინც სიყვარულით და კეთილი საქმეებით ინარჩუნებს თავის ნათესაურ კავშირებს, ალლაჰი მას მხარს დაუჭერს სიცოცხლის გახანგრძლივებასა და სარჩოს მიღებაში.
3. ნათესაური კავშირების შენარჩუნება არის სარჩოს ზრდისა და სიცოცხლის გახანგრძლივების მიზეზი. მიუხედავად იმისა, რომ სიცოცხლის ხანგრძლივობა და სარჩო წინასწარ განსაზღვრულია, ნათესაური კავშირების შენარჩუნება შეიძლება გახდეს ბარაქიანი, რომელიც აისახება სარჩოზე და სიცოცხლის ხანგრძლივობაზე. ადამიანი, რომელიც ინარჩუნებს ნათესაურ კავშირებს, შესაძლოა უფრო მეტ და სასარგებლო კეთილ საქმეებს აკეთებდეს, ვიდრე სხვები. ასევე არსებობს მოსაზრება, რომ "სარჩოსა და ცხოვრების ზრდა" გულისხმობს მათ რეალურ მატებას. თუმცა, ჭეშმარიტება მხოლოდ ალლაჰმა უწყის.

(166) – عن عبدِ الله بن عمرو رضي الله عنهما عنِ النَّبيِّ صلّى الله عليه وسلّم قال: «لَيْسَ الْوَاصِلُ بِالْمُكَافِئِ، وَلَكِنِ الْوَاصِلُ الَّذِي إِذَا قُطِعَتْ رَحِمُهُ وَصَلَهَا». [صحيح] - [رواه البخاري]

(166) – გადმოცემულია აბდულლაჰ იბნ ამრისგან (ალლაჰი იყოს მისით და მისი მამით კმაყოფილი), რომ ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ნამდვილი ნათესაური კავშირის დამამყარებელი ის არ არის, ვინც მხოლოდ საპასუხოდ აკეთებს ამას, არამედ ნამდვილი კავშირის დამამყარებელი ისაა, ვინც აგრძელებს ნათესაურ კავშირს იმასთან, ვინც გაწყვეტს მასთან კავშირს». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა ალ-ბუხარიმ]

განმარტება:

ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამცნობს: ნამდვილი, სრულყოფილი კავშირის დამამყარებელი ისაა, ვინც მიუხედავად იმისა, რომ მისი ნათესავები მასთან კავშირს წყვეტენ და შესაძლოა, უსამართლოდ მოექცნენ, აგრძელებს ამ კავშირის შენარჩუნებას და მათთან სიკეთით ურთიერთობას. ნამდვილი, სრულყოფილი კავშირის დამამყარებელი ის არის, ვინც აგრძელებს ნათესაურ კავშირს მაშინაც კი, როცა მასთან გაწყვეტენ, და

თუნდაც მის მიმართ ცუდად მოიქცნენ, ის მაინც პასუხობს მათ სიკეთით.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. შარიათის მიხედვით ნამდვილი ნათესაური კავშირი ისაა, რომ შენ შეინარჩუნო კავშირი იმათთან, ვინც შენთან კავშირი გაწყვიტა, მიუტევო იმათ, ვინც შენ უსამართლოდ მოგექცა, და მისცე იმას, ვინც შენ არაფერი მოგცა.
2. ნათესაური კავშირის შენარჩუნება გულისხმობს, რომ რაც შეიძლება მეტი სიკეთე მოუტანო მათ, იქნება ეს მატერიალური დახმარება, ვედრება, სიკეთის ბრძანება, ცუდის და მოუწონარის აკრძალვა და რაც შეიძლება მეტი ბოროტების არიდება მათთვის.

(3854)

(167) – عن أبي هريرةَ رضي الله عنه أنَّ رسولَ اللهِ صلّى الله عليه وسلّم قال: «أَتَدْرُونَ مَا الْغِيبَةُ؟»، قَالُوا: اللهُ وَرَسُولُهُ أَعْلَمُ، قَالَ: «ذِكْرُكَ أَخَاكَ بِمَا يَكْرَهُ»، قِيلَ: أَفَرَأَيْتَ إِنْ كَانَ فِي أَخِي مَا أَقُولُ؟ قَالَ: «إِنْ كَانَ فِيهِ مَا تَقُولُ فَقَدِ اغْتَبْتَهُ، وَإِنْ لَمْ يَكُنْ فِيهِ فَقَدْ بَهَتَّهُ». [صحيح] - [رواه مسلم]

(167) – აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის

ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «იცით, რა არის ჭორაობა?» თქვეს: ალლაჰმა და მისმა მოციქულმა უკეთ იცის. მან თქვა: «ეს არის საუბარი შენი ძმის შესახებ ისეთ რამეზე, რაც მას არ მოეწონებოდა». ვიღაცამ იკითხა: "თუ ის, რასაც ვამბობ, სიმართლეა?» თქვა: «თუ რასაც ამბობ, სიმართლეა, ეს არის ღიობა (ზურგს უკან ლაპარაკი), ხოლო თუ ტყუილია, ეს არის ცილისწამება». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა მუსლიმმა]

განმარტება:

მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტა აკრძალული ზურგს უკან ლაპარაკის ნამდვილი არსი, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ადგილზე არმყოფ მუსლიმზე საუბრობენ ნეგატიურ კონტექსტში, რაც მას არ მოეწონებოდა, იქნება ეს მისი გარეგნული თვისებები თუ შინაგანი მახასიათებლები. მაგალითად: უწოდო მას «ბრმა», «თაღლითი» ან «მატყუარა“ და ა.შ., ისევე როგორც სხვა უარყოფითი აღწერილობების გამოყენება, თუნდაც ეს თვისება მას ჰქონდეს.

თუ ადამიანი ადგილზე არარსებულ მუსლიმს მიაწერს ისეთ თვისებებს, რომლებიც მას არ გააჩნია, ეს არის კიდევ უფრო მძიმე ცოდვა, ვიდრე მასზე ზურგს უკან ცუდი საუბარი. ამგვარი ცოდვას „ბუჰთაან“-ი ეწოდება, რაც ნიშნავს ცილისწამებას, ანუ ადამიანის

შესახებ ისეთი თვისებების გავრცელებას, რაც მას არ გააჩნია.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) სწავლების მშვენიერი მეთოდი, რომელსაც ის იყენებს კითხვა-პასუხის ფორმატში.
2. საჰაბების საუკეთესო ზნეობა, როცა ისინი ამბობენ: ალლაჰმა და მისმა შუამავალმა უკეთესად იცის.
3. მკითხველმა უნდა თქვას იმ საკითხზე რაც მან არ იცის: ალლაჰმა უკეთ იცის.
4. შარიათი იცავს საზოგადოებას, უზრუნველყოფს სტაბილურობას და იცავს უფლებებსა და ძმობას მის წევრებს შორის.
5. სხვაზე ზურგს უკან ცუდი ლაპარაკი (ღიიბა) აკრძალულია, გარდა რამდენიმე გამონაკლისი შემთხვევისა, როდესაც ის კეთილ მიზნებს ემსახურება. ასეთ შემთხვევებში ხდება უსამართლობის აღკვეთა, როდესაც ჩაგრულ ადამიანს შეუძლია მოუყვეს, თუ ვინ ჩაგრავს მას, იმას, ვისაც შეუძლია მისი უფლებების აღდგენა. მაგალითად, მას შეუძლია თქვას: „ამა თუ იმ ადამიანმა უსამართლობა გამიკეთა“ ან „მან ეს და ეს გააკეთა ჩემს მიმართ“. ასევე, ასეთი გამონაკლისებია კონსულტაციები ქორწინების,

პარტნიორობის, მეზობლობისა და სხვა საკითხებში.

(5326)

(168) – عن أبي هريرةَ رضي الله عنه قال: لَعَنَ رَسُولُ اللهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ الرَّاشِيَ وَالْمُرْتَشِيَ فِي الْحُكْمِ. [صحيح] - [رواه الترمذي وأحمد]

(168) – აბუ ჰურაირამ (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) თქვა: მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) დაწყევლა მექრთამე და ქრთამის მიმღები სასამართლოს საქმეებში. [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა ათ-თირმიზიმ და აჰმადმა]

განმარტება:

ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გააკეთა დუა (ვედრება) ყოვლისშემძლე და დიადი ალლაჰის წყალობისაგან გამორიცხვასა და მოშორებაზე იმ პირისთვის, ვინც ქრთამს გასცემს, ვინც მას იღებს და ვინც ამ პროცესში შუამავლობს.

ეს გულისხმობს იმას, რომ ქრთამი გადაეცემა მოსამართლეებს, რათა მათ უსამართლოდ მიიღონ გადაწყვეტილებები თავიანთი მოვალეობის ფარგლებში. ამის მიზანი ის არის, რომ ქრთამის მიმცემმა მიაღწიოს საკუთარ მიზანს უსამართლო გზით.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. აკრძალულია ქრთამის მიცემა, მიღება, შუამავლობა და დახმარება მასში, რადგან ეს ბოროტებასთან დახმარებას წარმოადგენს.
2. ქრთამი ერთ-ერთ ყველაზე მძიმე ცოდვათაგანია, რადგან ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) დაწყევლა როგორც მისი მიმღები, ასევე მისი მიმცემი.
3. სასამართლოსა და სამართლის საკითხებში ქრთამი განსაკუთრებით მძიმე ცოდვა და დიდი დანაშაულია, რადგან ის გულისხმობს უსამართლობას და გადაწყვეტილებების მიღებას უზენაესი ალლაჰის კანონის საწინააღმდეგოდ.

(64689)

(169) – عَنْ أَبِي هُرَيْرَةَ رضي الله عنه عَنِ النَّبِيِّ صلى الله عليه وسلم قَالَ: «إِيَّاكُمْ وَالظَّنَّ؛ فَإِنَّ الظَّنَّ أَكْذَبُ الْحَدِيثِ، وَلَا تَحَسَّسُوا، وَلَا تَجَسَّسُوا، وَلَا تَحَاسَدُوا، وَلَا تَدَابَرُوا، وَلَا تَبَاغَضُوا، وَكُونُوا عِبَادَ اللهِ إِخْوَانًا». [صحيح] - [متفق عليه]

(169) – გადმოცემულია აბუ ჰურაირასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «უფრთხილდით ეჭვს. ჭეშმარიტად, ეჭვით საუბარი ყველაზე მატყუარა სიტყვებია, ერთმანეთის ნაკლი არ მოძებნოთ,

ერთმანეთი არ დააბეზღოთ, ერთმანეთის არ შეგშურდეთ, ერთმანეთს ზურგი არ აქციოთ, ერთმანეთი არ შეიძულოთ, იყავით ალლაჰის მსახურნო, ძმები». [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) კრძალავს და აფრთხილებს ზოგიერთი რამისგან, რაც მუსლიმების დაყოფას და მათი ერთმანეთის მიმართ სიძულვილს გამოიწვევს. მათ შორისაა:

ეჭვი - ეს არის ბრალდება, რომელიც წარმოიქმნება გულში არგუმენტის გარეშე, და შუამავალმა განმარტა, რომ ის არის ყველაზე მატყუარა სიტყვა.

ნაკლის გამოძებნა - ეს არის ადამიანებში ნაკლოვანებების ძიება ნანახით ან გაგონილით.

დაბეზღება - ეს არის დაფარული საქმეების გამოძებნა, ხშირ შემთხვევაში ცუდ რამეებზე ხდება საუბარი.

შური - ეს არის სხვისი წყალობის მიმართ სიძულვილი.

ზურგშექცევა - ეს არის, როდესაც ადამიანები ერიდებიან ერთმანეთს ისე, რომ არ ესალმებიან და არ სტუმრობენ თავიანთ ძმებს-მუსლიმებს.

ერთმანეთის სიძულვილი - ეს არის სიძულვილი და ზიზღი, სხვებზე ზარალის მიყენება, უხეშობა და ცუდი

შეხვედრა.

შემდეგ მან წარმოთქვა ყოვლისმომცველი შეგონება, რომელიც მოუწოდებს მუსლიმებს ურთიერთობების გაუმჯობესებისკენ: (მაშ, იყავით ალლაჰის მსახურნო ძმები). ძმობა არის მტკიცე კავშირი, რომლითაც იკვრება ადამიანებს შორის კავშირი და ჰმატებს მათ სიყვარულსა და ჰარმონიას ერთმანეთს შორის.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ვერ ავნებს ცუდი ეჭვები მას, ვისგანაც გამოჩნდა ამის ნიშნები, მორწმუნე უნდა იყოს სიბრძნის კონა და არ უნდა მოტყუვდეს ცოდვილი და ცუდი ადამიანებით.
2. აქ იგულისხმება გაფრთხილება იმ ეჭვებისგან, რომლებიც ადამიანის გულში ჩნდება და მათი დაჟინებითა და მუდმივობით გამოვლენა. რაც შეეხება იმ შემთხვევით გაჩენილ აზრებს, რომლებიც მოკლე დროში უქრება და არ მკვიდრდება გულში, ამის გამო ადამიანი პასუხისმგებლობას არ იღებს.
3. მუსლიმ საზოგადოებაში ერთმანეთის ზურგშექცევის და კავშირების გაწყვეტის გამომწვევ მიზეზებისგან შორს ყოფნა, როგორიცაა ერთმანეთის დაბეზღება, შური და სხვა.
4. რჩევა არის მუსლიმის მიმართ ძმური

დამოკიდებულება, გულწრფელობის გამოჩენა მისი სწორ გზაზე დაყენებისა და კეთილგანწყობის გამოვლენის საქმეში.

(5332)

(170) – عن حذيفة رضي الله عنه قال: سمعتُ النَّبيَّ صلّى الله عليه وسلّم يقول: «لَا يَدْخُلُ الْجَنَّةَ قَتَّاتٌ». [صحيح] - [متفق عليه]

(170) – გადმოცემულია ჰუზაიფასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მან თქვა: გავიგონე, რომ შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამბობდა: «ჭორიკანა არ შევა სამოთხეში». [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვაუწყებს, რომ ჭორიკანა, რომელიც ავრცელებს ჭორებს ადამიანებს შორის, რათა მათ შორის დაპირისპირება გამოიწვიოს, იმსახურებს სასჯელს, რაც სამოთხეში არშესვლას გულისხმობს.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ჭორაობა - დიდი ცოდვებიდანაა.
2. ჭორაობის აკრძალვა ისლამში განპირობებულია იმით, რომ ის იწვევს განხეთქილებას და ზიანს აყენებს, როგორც თითოეულ ადამიანს, ისე

მთლიან საზოგადოებას.

(5368)

(171) – عَنْ أَبِي هُرَيْرَةَ رضي الله عنه قَالَ: سَمِعْتُ رَسُولَ اللَّهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ يَقُولُ: «كُلُّ أُمَّتِي مُعَافًى إِلَّا المُجَاهِرِينَ، وَإِنَّ مِنَ المُجَاهَرَةِ أَنْ يَعْمَلَ الرَّجُلُ بِاللَّيْلِ عَمَلًا، ثُمَّ يُصْبِحَ وَقَدْ سَتَرَهُ اللَّهُ عَلَيْهِ، فَيَقُولَ: يَا فُلَانُ، عَمِلْتُ البَارِحَةَ كَذَا وَكَذَا، وَقَدْ بَاتَ يَسْتُرُهُ رَبُّهُ، وَيُصْبِحُ يَكْشِفُ سِتْرَ اللَّهِ عَنْهُ». [صحيح] - [متفق عليه]

(171) – აბუ ჰურაირამ (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) თქვა: მოვისმინე, რომ ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამბობდა: «ჩემი უმმათის ყველა წევრი იქნება კეთილდღეობაში, გარდა იმათი, ვინც აშკარად სცოდავს. აშკარა ცოდვად მიიჩნევა ის, რომ ადამიანი ღამით ჩადის რაიმე [ცოდვას] და ალლაჰი ფარავს თავის მორჩილს, ხოლო ის დილით [თავის თავს ამცირებს] და ამბობს: "ო, ასეთო და ისეთო! გუშინ ეს და ეს ჩავიდინე". ანუ ღამით მისი უფალი ფარავს მას, ხოლო დილით ის თვითონ ხდის საფარველს, რომლითაც ალლაჰმა [წინა ღამეს] დაფარა». [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტა, რომ ცოდვაში ჩავარდნილი მუსლიმისთვის

ალლაჰის შეწყალება და მიტევება მოსალოდნელია, გარდა იმ პირისა, ვინც სიამაყითა და უტიფრობით საჯაროდ აცხადებს თავის ცოდვებს. ასეთი ადამიანი ღამით ცოდვას ჩაიდენს, ალლაჰი მას ფარავს, მაგრამ დილით თვითონ ამხელს საკუთარ თავს და სხვა ადამიანებს უყვება, რა ცოდვა ჩაიდინა წინა დღეს. ამგვარად, ის ალლაჰის საფარველს თვითონ ხსნის!

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ალლაჰის მიერ ცოდვის დაფარვის შემდეგ ამ ცოდვების საჯაროდ გახსნის სიმახინჯე.
2. ცოდვების საჯაროდ განცხადებაში ჩადებულია ამორალური ქცევების გავრცელება მორწმუნეთა შორის.
3. ვინც ალლაჰმა ამ დუნიაში დაფარა, მას აახირეთშიც (სამსჯავროს დღეს) ასევე დაფარავს. ეს ალლაჰის უსაზღვრო შეწყალებისა და მწყალობელობის გამოხატულებაა თავისი მონების მიმართ.
4. ვინც ცოდვაში ჩავარდა, მას მართებს, დაფაროს საკუთარი თავი (არ გაამჟღავნოს თავისი ცოდვები) და მოინანიოს ალლაჰის წინაშე.
5. სინდისის მქონე მორწმუნეებისთვის განსაკუთრებით მძიმეა მათი ცოდვა, ვინც განზრახად ავლენს ცოდვებს საჯაროდ.

(3756)

(172) – عَنِ ابْنِ عُمَرَ رضي الله عنهُمَا: أَنَّ رَسُولَ اللهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ خَطَبَ النَّاسَ يَوْمَ فَتْحِ مَكَّةَ، فَقَالَ: «يَا أَيُّهَا النَّاسُ، إِنَّ اللهَ قَدْ أَذْهَبَ عَنْكُمْ عُبِّيَّةَ الْجَاهِلِيَّةِ وَتَعَاظُمَهَا بِآبَائِهَا، فَالنَّاسُ رَجُلَانِ: بَرٌّ تَقِيٌّ كَرِيمٌ عَلَى اللهِ، وَفَاجِرٌ شَقِيٌّ هَيِّنٌ عَلَى اللهِ، وَالنَّاسُ بَنُو آدَمَ، وَخَلَقَ اللهُ آدَمَ مِنْ تُرَابٍ، قَالَ اللهُ: {يَا أَيُّهَا النَّاسُ إِنَّا خَلَقْنَاكُمْ مِنْ ذَكَرٍ وَأُنْثَى وَجَعَلْنَاكُمْ شُعُوبًا وَقَبَائِلَ لِتَعَارَفُوا إِنَّ أَكْرَمَكُمْ عِنْدَ اللهِ أَتْقَاكُمْ إِنَّ اللهَ عَلِيمٌ خَبِيرٌ} [الحجرات: 13]». [صحيح] - [رواه الترمذي وابن حبان]

(172) – გადმოცემულია იბნ უმარისგან (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი): რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მექქას აღების დღეს მიმართა ხალხს და თქვა: «ჰეი, ადამიანებო! ალლაჰმა მოგაშორათ უმეცრობის დროინდელი ქედმაღლობა და წინაპრებით სიამაყე. ხალხი ორ კატეგორიად იყოფა: კეთილშობილი, ღვთისმოშიში და ალლაჰისთვის პატივცემული და ცოდვილი და უბედური, რომელსაც ალლაჰის წინაშე არ აქვს ღირებულება. ყველანი ადამის შვილები ხართ და ალლაჰმა ადამი მიწისგან შექმნა». შემდეგ მოციქულმა წაიკითხა ალლაჰის სიტყვები: «{ჰეი, ადამიანებო! ერთი მამრისაგან და ერთი მდედრისაგან გაგაჩინეთ და რომ შეიცნოთ ერთმანეთი, დაგადგინეთ ერებად და ტომებად. თქვენგან ყველაზე უფრო პატივდებული ალლაჰის წინაშე თქვენში ყველაზე უფრო ღვთისმოშიშია. ჭეშმარიტად, ალლაჰი ყოვლისმცოდნე,

ყველაფრისმცოდნეა}» [ალ-ჰუჯურაათ: 13] [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა ათ-თირმიზიმ და იბნ მააჯამ]

განმარტება:

ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მექქას აღების დღეს მიმართა ხალხს და თქვა: ჰეი, ადამიანებო! ალლაჰმა თქვენგან აღმოფხვრა უმეცრობის დროინდელი ქედმაღლობა, ამპარტავნება და წინაპრებით სიამაყე. ადამიანები ორი კატეგორისაა:

ის ან მორწმუნე, კეთილი, ღვთისმოშიში, მორჩილი და ალლაჰის მოყვარულია, რომელიც ალლაჰისთვის პატივცემულია, მიუხედავად იმისა, რომ ხალხის თვალში შესაძლოა არ ჰქონდეს დიდება ან ღირსეული წარმომავლობა.

ან ის არის ურწმუნო, ცოდვილი და უბედური, რომელიც ალლაჰისთვის უმნიშვნელოა და უღირსია, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა ხალხში ჰქონდეს დიდება, გავლენა და ძალაუფლება.

ყველა ადამიანი ადამის შვილია და ალლაჰმა ადამი მიწისგან შექმნა. ამიტომ, ვისაც მიწისგან აქვს წარმოშობა, არ შეშვენის ამპარტავნება და თავისი თავით აღტაცება. ამის დადასტურებაა დიდებული და ძლევამოსილი ალლაჰის სიტყვები: {ჰეი, ადამიანებო! ერთი მამრისაგან და ერთი მდედრისაგან გაგაჩინეთ და რომ შეიცნოთ ერთმანეთი, დაგადგინეთ ერებად და

ტომებად. თქვენგან ყველაზე უფრო პატივდებული ალლაჰის წინაშე თქვენში ყველაზე უფრო ღვთისმოშიშია. ჭეშმარიტად, ალლაჰი ყოვლისმცოდნე, ყველაფრისმცოდნეა}. [ალ-ჰუჯურაათ: 13]

ჰადისის სარგებლობიდან:

1. წინაპრებითა და წარმომავლობით სიამაყის აკრძალვა.

(65074)

(173) – عن عائشةَ رضي الله عنها عنِ النَّبيِّ صلّى الله عليه وسلّم قال: «إِنَّ أَبْغَضَ الرِّجَالِ إِلَى اللهِ الْأَلَدُّ الْخَصِمُ». [صحيح] - [متفق عليه]

(173) – გადმოცემულია აიშასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ჭეშმარიტად, ალლაჰისთვის ყველაზე საძულველი ადამიანები არიან ისინი, ვინც მუდმივად დავობენ და კამათობენ». [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

მოციქული (ალლაჰმა დალოცოს და მიესალმოს მას) გვამცნობს, რომ ყოვლადკეთილი და დიადი ალლაჰი განსაკუთრებით ვერ იტანს იმ ადამიანს, ვინც მუდმივად და მძაფრად კამათობს, არ იღებს ჭეშმარიტებას და ცდილობს თავისი კამათით მის

უარყოფას. ის შეიძლება მართლაც იყოს მართალი, მაგრამ გადაჭარბებულად იქცევა, სცილდება დასაშვებ საზღვრებს და ჩაებმება კამათში ცოდნის გარეშე.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. დაჩაგრულთათვის საკუთარი უფლებების მოთხოვნა შარიათის კანონების მიხედვით სასამართლო განხილვით არ მიიჩნევა არასასურველ კამათად.
2. კამათი და ჩხუბი არის ენის ერთ-ერთი ბოროტება, რომელიც იწვევს განხეთქილებას და უთანხმოებას მუსლიმებს შორის.
3. კამათი დასაფასებელია, თუ ის ხდება ჭეშმარიტების დასაცავად ზრდილობიანად და სათანადო მტკიცებულებებზე დაყრდნობით. თუმცა, ის არის გამკიცხავი, თუ მისი მიზანია ჭეშმარიტების უარყოფა და სიცრუის დამკვიდრება ან თუ ის ტარდება მტკიცებულებების და არგუმენტების გარეშე.

(5474)

(174) – عن أبي بَكـرةَ رضي الله عنه قال: سمعتُ رسولَ الله صلّى الله عليه وسلّم يقول: «إِذَا الْتَقَى الْمُسْلِمَانِ بِسَيْفَيْهِمَا فَالْقَاتِلُ وَالْمَقْتُولُ فِي النَّارِ»، فَقُلْتُ: يَا رَسُولَ اللهِ هَذَا الْقَاتِلُ، فَمَا بَالُ الْمَقْتُولِ؟ قَالَ: «إِنَّهُ كَانَ حَرِيصًا عَلَى قَتْلِ صَاحِبِهِ». [صحيح] - [متفق عليه]

(174) – გადმოცემულია აბუ ბაქრისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მან თქვა: გავიგონე, რომ ალლაჰის შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამბობდა: «თუ ორი მუსლიმი შეხვდება (ბრძოლაში, მახვილების გადაჯვარედინებით), როგორც მკვლელი, ასევე მოკლული აღმოჩნდებიან (ჯოჯოხეთის) ცეცხლში». მე ვკითხე: ო, ალლაჰის მოციქულო, ეს მკვლელია (გასაგებია, თუ პირველი იქ მოხვდება), მაგრამ რატომ მოკლული? მან უპასუხა: «იმიტომ, რომ ისიც ცდილობდა მისი მეგობრის მოკვლას». [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) შეგვატყობინა, რომ თუ ორი მუსლიმი შეხვდება (ბრძოლაში, მახვილების გადაჯვარედინებით) და თითოეული მათგანი ცდილობს მეორის განადგურებას, მკვლელი აღმოჩნდება ჯოჯოხეთში იმის გამო, რომ მან უშუალოდ მოკლა თავისი მეგობარი. მოციქულის საჰაბები გაურკვევლობაში ჩააგდო მოკლულის მდგომარეობამ: თუ რატომ აღმოჩნდება ის ჯოჯოხეთში? მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განუმარტა, რომ ისიც მოხვდება ჯოჯოხეთში, რადგან მისი მიზანიც იყო მეორის მოკვლა, და მხოლოდ იმის გამო ვერ შეძლო ეს, რომ

მკვლელმა მას დაასწრო და გააკეთა ეს მასზე წინ.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. სასჯელს იმსახურებს ის, ვინც განიზრახა ცოდვის ჩადენა და გააკეთა ამისთვის მიზეზები.
2. ძლიერი გაფრთხილება იმისგან, რომ მუსლიმებმა იბრძოლონ ერთმანეთის წინააღმდეგ, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ჯოჯოხეთში მოხვედრა.
3. ამ მუქარას არ ექვემდებარება ბრძოლა მუსლიმებს შორის, რომელიც ტარდება სამართლიანად. მაგალითად, ბრძოლა მეამბოხეების და ბოროტების გამავრცელებლების წინააღმდეგ.
4. ვინც ჩაიდენს დიდ ცოდვას არ ხდება მაშინვე ურწმუნო, რადგანაც შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უწოდა მათ ერთმანეთის წინააღმდეგ მებრძოლი მუსლიმები.
5. თუ ორი მუსლიმი ერთმანეთს შეხვდება ბრძოლაში ნებისმიერი საშუალებით, და ერთი მათგანი მეორეს მოკლავს, მაშინ როგორც მკვლელი, ასევე მოკლული ჯოჯოხეთში აღმოჩნდებიან. მახვილი ჰადისში მოხსენიებულია მხოლოდ როგორც მაგალითი.

(4304)

(175) – عن أبي موسى الأشعريّ رضي الله عنه عنِ النَّبيِّ صلّى الله عليه وسلّم قال: «مَنْ حَمَلَ عَلَيْنَا السِّلَاحَ فَلَيْسَ مِنَّا». [صحيح] - [متفق عليه]

(175) – გადმოცემულია აბუ მუსა ალ-აშ'არისგან (ალლაჰი იყოს მისთ კმაყოფილი), რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ვინც ჩვენს წინააღმდეგ იარაღს აღმართავს, ის არ არის ჩვენთაგანი». [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) აფრთხილებს იარაღის აღებისგან მუსლიმების წინააღმდეგ, მათი დაშინების ან გაძარცვის მიზნით. ვინც უსამართლოდ ჩაიდენს ამას, სჩადის დიდ დანაშაულს და ერთ-ერთ ყველაზე მძიმე ცოდვას. ამასთან, ის იმსახურებს ამ მკაცრ გაფრთხილებას.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. მუსლიმისთვის მკაცრი გაფრთხილება, რომ არ ებრძოლოს თავის ძმებს-მუსლიმებს.
2. ერთ-ერთი ყველაზე მძიმე და დასაგმობი ქმედება და უდიდესი ბოროტება დედამიწაზე არის იარაღის აღმართვა მუსლიმების წინააღმდეგ და ბოროტების გავრცელება მკვლელობებით.
3. აღნიშნული გაფრთხილება და მუქარა არ

ვრცელდება ბრძოლაზე, რომელიც ტარდება სამართლიანად, როგორიცაა ბრძოლა მეამბოხეებთან, რომლებიც ავრცელებენ ბოროტებას, ან სხვა მსგავს სიტუაციებში.

4. მუსლიმების დაშინება იარაღით ან ნებისმიერი სხვა საშუალებით, თუნდაც ხუმრობით, აკრძალულია.

(2997)

(176) – **عن عائشةَ رضي الله عنها قالتْ: قال النَّبيُّ صلّى الله عليه وسلّم: «لَا تَسُبُّوا الْأَمْوَاتَ، فَإِنَّهُمْ قَدْ أَفْضَوْا إِلَى مَا قَدَّمُوا».** [صحيح] - [رواه البخاري]

(176) – აიშასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოცემულია, რომ მან თქვა: ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ნუ შეურაცხყოფთ გარდაცვლილებს, რადგან მათ უკვე მიიღეს ის, რაც დაიმსახურეს». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა ალ-ბუხარიმ]

განმარტება:

მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტავს გარდაცვლილთა შეურაცხყოფის და მათი ღირსების შელახვის აკრძალვას. ეს ცუდი ზნეობის ერთ-ერთი ნიშანია, რადგან გარდაცვლილებმა უკვე მოიპოვეს ის, რასაც თავისმა კეთილმა თუ უკეთურმა

საქმეებმა მიუსაჯა. ამასთან, მათი გაკიცხვა მათამდე არ აღწევს, ის მხოლოდ ცოცხლებს ავნებს.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ეს ჰადისი არის მტკიცებულება იმისა, რომ გარდაცვლილთა შეურაცხყოფა აკრძალულია.
2. გარდაცვლილთა გაკიცხვის თავიდან აცილება ითვალისწინებს ცოცხლების ინტერესს და იცავს საზოგადოების კეთილდღეობას მტრობისა და ურთიერთსიძულვილისგან.
3. მისი აკრძალვის სიბრძნე იმაში მდგომარეობს, რომ მათ უკვე მოიპოვეს თავიანთი საქმეების საზღაური, ამიტომ მათი შეურაცხყოფა უაზრობაა. ეს მხოლოდ ტკივილს აყენებს მათ ცოცხალ ახლობლებს და არ მოაქვს არანაირი სარგებელი.
4. ადამიანს არ შეშვენის იმის თქმა, რასაც არ მოაქვს არანაირი სარგებელი.

(5364)

(177) – عن أبي أيُّوب الأنصاريّ رضي الله عنه أنَّ رسولَ اللهِ صلّى الله عليه وسلّم قال: «لَا يَحِلُّ لِرَجُلٍ أَنْ يَهْجُرَ أَخَاهُ فَوْقَ ثَلَاثِ لَيَالٍ، يَلْتَقِيَانِ، فَيُعْرِضُ هَذَا وَيُعْرِضُ هَذَا، وَخَيْرُهُمَا الَّذِي يَبْدَأُ بِالسَّلَامِ». [صحيح] - [متفق عليه]

(177) – გადმოცემულია აბუ აიუბ ალ-ანსარისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ შუამავალმა

(ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «მუსლიმს ეკრძალება თავისი ძმისგან დაშორება სამ დღეზე მეტხანს, რომლის განმავლობაშიც ისინი შეხვედრისას ერთმანეთს ზურგს აქცევენ. ხოლო მათგან საუკეთესო ის იქნება, ვინც პირველი მიესალმება მეორეს». [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) აუკრძალა მუსლიმს თავის მუსლიმ ძმასთან ურთიერთობის გაწყვეტა სამ დღეზე მეტი ხნის განმავლობაში. როდესაც ისინი შეხვდებიან არ ესალმებიან და არ ესაუბრებიან ერთმანეთთან.

ამ სიტუაციაში, ორ დაპირისპირებულს შორის საუკეთესო ის იქნება, ვინც პირველი გადადგამს ნაბიჯს შერიგებისკენ და კონფლიქტის მოგვარებისკენ, დაწყებული მისალმებით. აქ საუბარია დროებით ურთიერთობის შეწყვეტაზე (ბოიკოტზე) პირადი წყენის გამო. რაც შეეხება ბოიკოტს, რომელიც გამოწვეულია ალლაჰის უფლების დარღვევით, მაგალითად, ცოდვილებთან, სიახლის (ბიდ'ათის) მიმდევართან და ცუდ მეგობრებთან მიმართებაში, ასეთი ბოიკოტი დროში არ არის შეზღუდული და გრძელდება მანამ, სანამ მასში არის სარგებელი და წყდება მაშინ, რომ ეს სარგებელი მთავრდება.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. დაშვებულია ურთიერთობის შეწყვეტა და დუმილი მაქსიმუმ სამი დღის განმავლობაში, ადამიანის ბუნების გათვალისწინებით. ეს დროებითი ბოიკოტი საშუალებას აძლევს განაწყენებულ მხარეებს, რომ მათ შორის არსებულმა კონფლიქტმა მშვიდად ჩაიაროს.
2. მისალმების ღირსება და ის, რომ ის წმენდს გულებს და არის სიყვარულის ნიშანი.
3. ისლამური სარწმუნოება ისწრაფვის თავის მიმდევრებს შორის ძმობისა და მეგობრობის განმტკიცებისკენ.

(5365)

(178) – عن سَهْلِ بن سَعْدٍ رضي الله عنه عنْ رسولِ اللهِ صلّى الله عليه وسلّم قال: «مَنْ يَضْمَنْ لِي مَا بَيْنَ لَحْيَيْهِ وَمَا بَيْنَ رِجْلَيْهِ أَضْمَنْ لَهُ الْجَنَّةَ». [صحيح] - [رواه البخاري]

(178) – საჰლ ბინ სა'დ (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, ალლაჰის მოციქულისგან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას), რომ მან თქვა: «ვინც მომცემს გარანტიას იმის შესახებ, რაც მას ყბებს შორის აქვს, და იმის შესახებ, რაც მას ფეხებს შორის აქვს, მას ვაძლევ სამოთხის გარანტიას». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა ალ-ბუხარიმ]

განმარტება:

ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნობს ორ საქმეზე, რომლებსაც თუ მუსლიმი დაიცავს, ის სამოთხეში შევა.

პირველი: ენის დაცვა იმ სიტყვებისგან, რომლებიც ალლაჰის რისხვას იწვევს,

მეორე: სქესობრივი ორგანოების დაცვა უზნეო ქმედებებისგან.

ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ ხშირად ადამიანები ცოდვებში ვარდებიან ამ ორი ორგანოს საშუალებით.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ენისა და სქესობრივი ორგანოს დაცვა არის გზა სამოთხეში შესვლისთვის.
2. ენა და სქესობრივი ორგანო განსაკუთრებით გამოირჩნენ, რადგან ისინი ყველაზე დიდი წყაროა ადამიანისათვის განსაცდელის მოტანის როგორც ამქვეყნად, ისე საიქიო ცხოვრებაში.

(3475)

(179) – عَنْ أَبِي سَعِيدٍ الخُدْرِيَّ رَضِيَ اللَّهُ عَنْهُ -وَكَانَ غَزَا مَعَ النَّبِيِّ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ ثِنْتَيْ عَشْرَةَ غَزْوَةً- قَالَ: سَمِعْتُ أَرْبَعًا مِنَ النَّبِيِّ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ، فَأَعْجَبْنَنِي، قَالَ: «لَا تُسَافِرِ المَرْأَةُ مَسِيرَةَ يَوْمَيْنِ إِلَّا وَمَعَهَا زَوْجُهَا أَوْ ذُو مَحْرَمٍ، وَلَا صَوْمَ فِي يَوْمَيْنِ:

الفِطْرِ وَالأَضْحَى، وَلَا صَلاَةَ بَعْدَ الصُّبْحِ حَتَّى تَطْلُعَ الشَّمْسُ، وَلَا بَعْدَ العَصْرِ حَتَّى تَغْرُبَ، وَلَا تُشَدُّ الرِّحَالُ إِلَّا إِلَى ثَلاَثَةِ مَسَاجِدَ: مَسْجِدِ الحَرَامِ، وَمَسْجِدِ الأَقْصَى، وَمَسْجِدِي هَذَا». [صحيح] - [متفق عليه]

(179) – აბუ საიდ ალ-ხუდრი (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომელიც მოციქულთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ერთად თორმეტ ბრძოლაში მონაწილეობდა, ამბობს: "მოციქულისგან ოთხი რამ მოვისმინე, რაც ძალიან მომეწონა". შემდეგ თქვა: «არ გაემგზავროს ქალი ორდღიან გზაზე, თუ მასთან ერთად არ არის ქმარი ან მაჰრამი; არ არის ნებადართული მარხვა ორ დღეს: ფიტრის და ყურბანის; არ არის ლოცვა დილის (ფაჯრ) ლოცვის შემდეგ, ვიდრე მზე არ ამოვა, და არც ნაშუადღევის (ასრი) ლოცვის შემდეგ, ვიდრე მზე არ ჩავა; და არ არის მოგზაურობა, გარდა სამი მეჩეთისკენ: ალ-ჰარამის მეჩეთი, ალ-აყსას მეჩეთი და ეს ჩემი მეჩეთი». [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) აკრძალა ოთხი რამ:

პირველი: ქალისათვის აკრძალულია ორდღიანი გზით მოგზაურობა ქმრის ან მაჰრამი პირის გარეშე. მაჰრამი არის ახლო ნათესავი, რომელთანაც ქორწინება

სამუდამოდ აკრძალულია, როგორიცაა შვილი, მამა, ძმისშვილი, დისშვილი, ბიძა, დედის ძმა და მსგავსი პირები.

მეორე: აკრძალულია მარხვა ფითრის (ურაზა ბაირამის) დღეს და ყურბან ბაირამის დღეს. ეს აკრძალვა ვრცელდება იმ შემთხვევებზეც, როდესაც მუსლიმი აპირებს აღთქმის მარხვას, სუნას ან სისხლის სანაცვლო მარხვის (ქაფარა) მიზნით.

მესამე: აკრძალულია სუნნათ ლოცვის შესრულება ასრის შემდეგ, სანამ მზე ჩავა, და ფაჯრის შემდეგ, სანამ მზე ამოვა.

მეოთხე: აკრძალულია მოგზაურობა რაიმე კონკრეტულ ადგილას იმ რწმენით, რომ მას განსაკუთრებული უპირატესობა აქვს და რომ იქ კეთილი საქმეების საზღაური გაორმაგდება, გარდა სამი მეჩეთისა. მათ გარდა სხვა მეჩეთებში ლოცვის მიზნით მგზავრობა არ დაიშვება, რადგან საზღაური მხოლოდ ამ სამ მეჩეთში მრავლდება: ალ-ჰარამი (მექქაში), შუამავლის მეჩეთი (მედინაში), ალ-აქსას მეჩეთი (იერუსალიმში).

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ქალისთვის მაჰრამის გარეშე მოგზაურობა დაუშვებელია.
2. ქალი ქალისთვის მაჰრამი არ არის

მოგზაურობისას, რადგან ჰადისში ნათქვამია: "ქმარი ან მაჰრამი".

3. ყველაფერი, რასაც მოგზაურობა ეწოდება, აკრძალულია ქალისთვის ქმრის ან მაჰრამის გარეშე. ეს ჰადისი შეესაბამებოდა მკითხველის მდგომარეობისა და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.
4. ქალის მაჰრამი არის ქმარი ან ის პირი, ვისთანაც ქორწინება სამუდამოდ აკრძალულია. ეს აკრძალვა შეიძლება იყოს: ნათესაური კავშირით – მაგალითად, მამა, შვილი, ბიძა, დედის ძმა; ძუძუთი კვების გამო – როგორიცაა ძუძუთი მამა ან ძუძუთი ბიძა; ქორწინების კავშირით – როგორიცაა ქმრის მამა.
5. მაჰრამი უნდა იყოს მუსლიმი, სრულწლოვანი, გონიერი, სანდო და პატიოსანი. მაჰრამის მიზანია ქალის დაცვა, მოვლა და მისი საქმეების უზრუნველყოფა.
6. ისლამური შარიათი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ქალზე ზრუნვას, დაცვასა და ღირსებას.
7. ფაჯრისა და ასრის ნამაზის შემდეგ საერთო სუნნათ ლოცვების შესრულება არასწორია. თუმცა, გამონაკლისია გამოტოვებული სავალდებულო ლოცვების ანაზღაურება და კონკრეტული

მიზეზით შესრულებული ლოცვები, როგორიცაა მეჩეთის მისალმება და სხვა მსგავსი.

8. აკრძალულია ლოცვის შესრულება მზის ამოსვლისთანავე. საჭიროა ლოდინი, სანამ მზე ჯოხის სიმაღლეზე აიწევს, რაც დაახლოებით 10-დან 15 წუთამდე პერიოდს შეადგენს.
9. ასრის დრო გრძელდება მზის ჩასვლამდე.
10. ამის საფუძველზე დასაშვებია მოგზაურობა სამი მეჩეთისკენ.
11. სამი მეჩეთის უპირატესობა და მათი განსხვავება სხვა მეჩეთებთან შედარებით.
12. დაუშვებელია მოგზაურობა საფლავების მოსანახულებლად, თუნდაც ეს იყოს მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) საფლავი. თუმცა, ნებადართულია მისი საფლავის მონახულება იმ ადამიანისთვის, ვინც უკვე იმყოფება მედინაში ან ჩადის იქ ნებადართული მიზნისთვის, რომელიც შარიათის მიხედვით დასაშვებია.

(10603)

(180) – عن أُسامةِ بن زَيد رضي الله عنهُمَا عنِ النَّبيِّ صلّى الله عليه وسلّم قال: «مَا تَرَكْتُ بَعْدِي فِتْنَةً أَضَرَّ عَلَى الرِّجَالِ مِنَ النِّسَاءِ». [صحيح] - [متفق عليه]

(180) – გადმოცემულია უსამა იბნ ზაიდისგან (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი), რომ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «არ დამიტოვებია ჩემს შემდგომ მამაკაცებისთვის იმაზე დიდი განსაცდელი, ვიდრე ქალები». [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

მოციქული (ალლაჰმა დალოცოს და მშვიდობა მისცეს მას) გვამცნობს, რომ კაცებისთვის არ დაუტოვებია მის შემდეგ უფრო დიდი ცდუნება და გამოცდა, ვიდრე ქალები. თუ ქალი მისი ოჯახის წევრია, კაცს შეუძლია დაემორჩილოს მას და მიჰყვეს შარიათის წესების დარღვევაში. ხოლო თუ ქალი უცხოა, შესაძლებელია, რომ კაცი ჩავარდეს ცოდვაში, როგორიცაა მასთან დაუშვებელი ურთიერთობა, განმარტოება და სხვა დამღუპველი ქმედებები.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. მუსლიმი ფრთხილად უნდა იყოს ქალების ცდუნებაში ჩავარდნისგან და უნდა ჩაკეტოს ყველა გზა, რომელიც ამ ცდუნებისკენ მიდის.
2. აუცილებელია, რომ მორწმუნე მიეკედლოს ალლაჰს და ისწრაფოს მისკენ და ფრთხილად იყოს განსაცდელებისგან.

(5830)

(181) – عَنْ أَبِي سَعِيدٍ الْخُدْرِيِّ رضي الله عنه عَنِ النَّبِيِّ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ قَالَ: «إِنَّ الدُّنْيَا حُلْوَةٌ خَضِرَةٌ، وَإِنَّ اللهَ مُسْتَخْلِفُكُمْ فِيهَا، فَيَنْظُرُ كَيْفَ تَعْمَلُونَ، فَاتَّقُوا الدُّنْيَا وَاتَّقُوا النِّسَاءَ، فَإِنَّ أَوَّلَ فِتْنَةِ بَنِي إِسْرَائِيلَ كَانَتْ فِي النِّسَاءِ». [صحيح] - [رواه مسلم]

(181) – გადმოსცემს აბუ სა'იდ ალ-ხუდრი (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ჭეშმარიტად, ეს ქვეყანა არის ტკბილი და თვალისმომჭრელი, ალლაჰმა თქვენ მმართველებად დაგადგინათ მასში, და უყურებს თუ რას იმოქმედებთ, ასე რომ უფრთხილდით ამ ქვეყანას და უფრთხილდით ქალებს, რადგან ებრაელთა მოდგმის პირველი ცდუნება ქალები იყვნენ». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა მუსლიმმა]

განმარტება:

შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტავს, რომ ეს სამყარო გემრიელია გემოთი და მიმზიდველია გარეგნობით, და ადამიანი შეიძლება მოტყუვდეს მასზე, ჩაეფლოს მასში და აქციოს ის თავის მთავარ საზრუნავად. უზენაესმა ალლაჰმა ამქვეყნიურ ცხოვრებაში ზოგიერთი ჩვენგანი ზოგიერთის მმართველებად დაადგინა, რათა შეხედოს როგორ ვიმოქმედებთ, დავემორჩილებით თუ ვეურჩებით მას? შემდეგ თქვა: ფრთხილად იყავით, ამქვეყნიურმა

ფუფუნებამ და სიამოვნებამ არ შეგაცდინოთ, და არ გიბიძგოთ ალლაჰის ბრძანებების მიტოვებისკენ, და იმის კეთებისკენ, რაც ალლაჰმა აგიკრძალათ თქვენ. ერთ-ერთი ყველაზე საშიში ცდუნება ამქვეყნიურ ცხოვრებებს შორის - არის ქალების ცდუნება. სწორედ ეს იყო პირველი ცდუნება, რომლის წინაშეც აღმოჩნდნენ ისრაელის შვილები.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. მოწოდება მუდმივად უფლის მოშიშების დაცვაზე და გაფრთხილება იმაზე, რომ არ გავყვეთ ამქვეყნიური სიკეთეების და მისი მორთულობის მოჯადოებას.
2. გაფრთხილება იმაზე, რომ არ ავყვეთ ქალების ცდუნებას, იქნება ეს მზერით, სქესთა აღრევის საკითხში ზედმეტი შერბილებით, ქალებისა და უცხო მამაკაცების ურთიერთობით, თუ მსგავსი სიტუაციების მეშვეობით.
3. ქალების ცდუნება არის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ცდუნება ამ სამყაროში.
4. შეგონება და მაგალითის აღება წინათ მყოფი ხალხებისგან. რაც ებრაელთა მოდგმას შეემთხვათ შეიძლება სხვასაც შეემთხვეთ.
5. ქალების ცდუნება გამოიხატება იმაში, რომ თუ ქალი ცოლია, შესაძლოა, ის მოითხოვდეს

მამაკაცისგან ისეთს, რაც აღემატება მის შესაძლებლობებს, რაც განარიდებს მას რელიგიური მოვალეობების შესრულებაზე ზრუნვისგან და აიძულებს, რომ კონცენტრირდეს მხოლოდ ამქვეყნიურ სიკეთეებზე. ხოლო თუ ქალი უცხოა, მისი ცდუნება შეიძლება გამოიხატოს მამაკაცების მაცდუნებაში და მათი ჭეშმარიტებისგან გადახრაში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ქალი გამოდის გარეთ, ერევა მამაკაცებში ან გამოდის ჰიჯაბის გარეშე, გამოაჩენს თავის სილამაზეს. ამან შესაძლოა მრუშობის სხვადასხვა ფორმამდე მიგვიყვანოს. ამიტომ, მორწმუნემ უნდა მიმართოს ალლაჰს დაცვისთვის და სთხოვოს მას, დაიცვას იგი მათი ცდუნებებისგან.

(3053)

(182) – عن أبي موسى رضي الله عنه أنَّ النَّبيَّ صلّى الله عليه وسلّم قال: «لَا نِكَاحَ إِلَّا بِوَلِيٍّ». [صحيح] - [رواه أبو داود والترمذي وابن ماجه وأحمد]

(182) – გადმოცემულია აბუ მუსასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ქორწინება არ არის მოქმედი, მეურვის თანხმობის გარეშე». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა აბუ დაუდმა, ათ-თირმიზიმ, იბნ მააჯამ და აჰმადმა]

განმარტება:

მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტა, რომ ქალის ქორწინება არ არის ძალაში, თუ მისი მეურვე არ გააფორმებს ქორწინებას.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. მეურვე ქორწინების სისწორის აუცილებელი პირობაა. თუ ქორწინება მეურვის გარეშე განხორციელდება, ან ქალი საკუთარ თავს გაათხოვებს, მისი ქორწინება ითვლება ბათილად.
2. მეურვე არის მამაკაცი, რომელიც ქალთან ყველაზე ახლოსაა ნათესაური კავშირით. შორეული მეურვე ვერ მოახდენს ქორწინების გაფორმებას, თუნდაც მისი შორეული ნათესაური კავშირიდან გამომდინარე.
3. მეურვეობის პირობები: მეურვისთვის აუცილებელია იყოს სრულწლოვანი მამაკაცი, გააჩნდეს სიბრძნე ქორწინების ინტერესების გასაგებად და იყოს ერთსა და იმავე რელიგიაზე მეურვე და მეურვეობის ქვეშ მყოფიც, ვინც ამ თვისებებს არ აკმაყოფილებს, არ არის უფლებამოსილი მეურვეობის შესრულებისთვის ქორწინების ხელშეკრულების გასაფორმებლად.

(58066)

(183) – عن عُقْبَةَ بنِ عَامِرٍ رضي الله عنه قال: قالَ رسولُ اللهِ صلّى الله عليه وسلّم: «أَحَقُّ الشُّرُوطِ أَنْ تُوفُوا بِهِ مَا اسْتَحْلَلْتُمْ بِهِ الْفُرُوجَ». [صحيح] - [متفق عليه]

(183) – გადმოცემულია 'უყბა იბნ 'აამირისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ყველაზე მეტად იმ პირობების შესრულება გევალებათ, რომლითაც ნებადართული გახდა თქვენთვის ცოლები». [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტავს, რომ უპირველესად იმ პირობების შესრულებაა აუცილებელი, რომლებიც გახდნენ ქალთან სიამოვნების ნებადართულობის მიზეზი. ეს არის ნებადართული პირობები, რომლებსაც ითხოვს ქალი საქორწინო აქტის დადების დროს.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. მეუღლეები ვალდებულნი არიან შეასრულონ პირობები, რომლებიც მათ ერთმანეთთან შეთანხმებით დაავალდებულეს. გარდა იმ პირობებისა, რომლებიც ნებადართულს აკრძალულად აქცევს ან აკრძალულს ნებადართულად.

2. საქორწინო აქტის დროს დადებული პირობების შესრულება უფრო სავალდებულოა სხვებთან შედარებით, რადგან ამ პირობებით ხდება ქალი მამაკაცისთვის ნებადართული.
3. ქორწინებას ძალიან დიდი ადგილი უკავია ისლამში, რადგანაც მან დაავალდებულა მისი პირობების შესრულება.

(6021)

(184) – عن عبدِ الله بن عمرو رضي الله عنهما أنَّ رسولَ اللهِ صلَّى الله عليه وسلَّم قال: «الدُّنْيَا مَتَاعٌ، وَخَيْرُ مَتَاعِ الدُّنْيَا الْمَرْأَةُ الصَّالِحَةُ». [صحيح] - [رواه مسلم]

(184) – გადმოცემულია აბდულლაჰ ბინ ამრისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ეს სამყარო ნეტარებაა, ხოლო ამ სამყაროს საუკეთესო ნეტარება — მორწმუნე ცოლია». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა მუსლიმმა]

განმარტება:

შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნობს, რომ ეს ქვეყანა და მასში არსებული არის ის, რითაც ვერთობით, გვსიამოვნებს დროის გარკვეული პერიოდის შემდეგ კი გაქრება, და მათ შორის საუკეთესო სიტკბოება ღვთისმოსავი ცოლია,

რომელსაც თუ შეხედავ გსიამოვნებს, თუ რაიმეს უბრძანებ გემორჩილება და თუ მისგან შორს ხარ იცავს თავის ნამუსს და შენს ქონებას.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ნებადართულია ამქვეყნიური სარჩოებით სიამოვნების მიღება, რომელიც ჰალალად დაადგინა ალლაჰმა თავის მსახურთათვის, მფლანგველობის და სიამაყის გარეშე.
2. წახალისება ღვთისმოსავ ქალზე ქორწინებაზე; რადგან ის იქნება თავისი ქმრის დამხმარე ღვთის მორჩილებაში.
3. მიწიერი ცხოვრების საუკეთესო სიამოვნება ის არის, რაც სრულდება ალლაჰისადმი მორჩილებაში ან ხელს უწყობს ამას.

(5794)

(185) – عن ابن عمر رضي الله عنهما: أَنَّ رَسُولَ اللهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ نَهَى عَنِ الْقَزَعِ. [صحيح] - [متفق عليه]

(185) – გადმოცემულია იბნ უმარისგან (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი): ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) აკრძალა ყაზაღი (თმის ნაწილობრივ შეჭრა). [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) აკრძალა თმების რაღაც ნაწილის შეჭრა და დანარჩენის დატოვება.

აკრძალვა ზოგადია მამაკაცებისთვის, როგორც დიდების ასევე პატარებისთვის, ხოლო ქალს ეს არ ეხება, რადგან ქალი ისედაც არ იჭრის თმებს.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ისლამური სამართალი ყურადღებას აქცევს ადამიანის გარეგნობას.

(8914)

(186) – عن ابن عمر رضي الله عنهما عنِ النَّبيِّ صلّى الله عليه وسلّم قال: «أَحْفُوا الشَّوَارِبَ وأَعْفُوا اللِّحَى». [صحيح] - [متفق عليه]

(186) – გადმოცემულია აბდულლაჰ იბნ უმარისაგან (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი), რომ ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «დაიმოკლეთ ულვაშები და დაიგრძელეთ წვერი». [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ბრძანებს ულვაშის დამოკლებას და

მიუთითებს, რომ იგი არ უნდა იყოს დაგრძელებული, არამედ უნდა შემოკლდეს და ეს უნდა გაკეთდეს საფუძვლიანად (ისე რომ კანი ჩანდეს).

ამის საპირისპიროდ, მოციქული მუჰამმადი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ბრძანებს წვერის გაზრდას და მის უხვად დატოვებას.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. წვერის გაპარსვის აკრძალვა.

(3279)

(187) – عَن أَبِي سَعِيدٍ الْخُدْرِيِّ رضي الله عنه أَنَّ رَسُولَ اللهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ قَالَ: «لَا يَنْظُرُ الرَّجُلُ إِلَى عَوْرَةِ الرَّجُلِ، وَلَا الْمَرْأَةُ إِلَى عَوْرَةِ الْمَرْأَةِ، وَلَا يُفْضِي الرَّجُلُ إِلَى الرَّجُلِ فِي ثَوْبٍ وَاحِدٍ، وَلَا تُفْضِي الْمَرْأَةُ إِلَى الْمَرْأَةِ فِي الثَّوْبِ الْوَاحِدِ». [صحيح] - [رواه مسلم]

(187) – აბუ სა'იდ ალ-ხუდრი (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ მან თქვა: თქვა ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას): «კაცმა არ უნდა შეხედოს კაცის აურათს, და არც ქალმა უნდა შეხედოს ქალის აურათს. ასევე, კაცი არ უნდა დაწვეს კაცთან ერთად ერთი სამოსის ქვეშ, და არც ქალი უნდა დაწვეს ქალთან ერთად ერთი სამოსის (ან საბნის) ქვეშ». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა მუსლიმმა]

განმარტება:

მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) აკრძალა, რომ კაცმა შეხედოს სხვა კაცის აურათს ან ქალმა შეხედოს სხვა ქალის აურათს.

აურათი ნიშნავს ყველაფერს, რაც შერცხვენას ან მორიდებას იწვევს, თუ იგი გამოჩნდება. კაცის აურათი მოიცავს სხეულის იმ ნაწილს, რომელიც მდებარეობს წვივსა და მუხლს შორის. ქალი მთლიანად აურათად ითვლება უცხო მამაკაცებისთვის. რაც შეეხება ქალებს და მისი ახლობელი მამაკაცებისთვის, მას შეუძლია გამოავლინოს ის ნაწილები, რომლებიც ჩვეულებრივად ჩანს სახლის სამუშაოების შესრულების დროს.

მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) აკრძალა, რომ კაცი იყოს მარტო სხვა კაცთან ერთად ერთ სამოსში ან ერთი საბნის ქვეშ, ორივე შიშველი. ასევე აკრძალა, რომ ქალი იყოს მარტო სხვა ქალთან ერთად ერთ სამოსში ან ერთი საბნის ქვეშ, ორივე შიშველი. ეს აკრძალვა გამოწვეულია იმით, რომ ასეთ ვითარებაში შეიძლება ერთ-ერთმა შეეხოს მეორეს აურათს. სიშიშვლეზე შეხება ისევე აკრძალულია, როგორც მისი ყურება, და კიდევ უფრო მკაცრად არის აკრძალული, რადგან ამან შეიძლება გამოიწვიოს უფრო სერიოზული ზიანები და ცოდვები.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. აკრძალულია აურათზე ყურება, გარდა მეუღლეებისა.
2. ისლამი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საზოგადოების სიწმინდის დაცვას და ყველა იმ გზის დახურვას, რამაც შეიძლება ცოდვებსა და უზნეობისკენ მიიყვანოს.
3. სიშიშვლეზე ყურება ნებადართულია, თუ ამის აუცილებლობა არსებობს, მაგალითად, სამედიცინო დახმარების გაწევის დროს ან მსგავს სიტუაციებში, მაგრამ ეს უნდა მოხდეს ცუდი ზრახვების გარეშე (ვნების გარეშე).
4. მუსლიმს ევალება თავისი აურათის დაფარვა და სხვა ადამიანის აურათზე თვალის არიდება.
5. აკრძალვა განსაკუთრებით შეეხო კაცებს კაცებთან და ქალებს ქალებთან, რადგან ასეთმა სიტუაციებმა უფრო მეტად შეიძლება გამოიწვიოს აურათზე ყურება და მისი გამჟღავნება.

(8904)

(188) – عن عبدِ الله بن عمرو رضي الله عنهما قال: لَمْ يَكُنِ النَّبِيُّ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ فَاحِشًا وَلَا مُتَفَحِّشًا، وَكَانَ يَقُولُ: «إِنَّ مِنْ خِيَارِكُمْ أَحْسَنَكُمْ أَخْلَاقًا». [صحيح - [متفق عليه]

(188) – გადმოცემულია აბდულლაჰ იბნ 'ამრისგან (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი), რომელმაც თქვა: შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უხამსი არ ყოფილა და არც არასდროს წარმოუთქვამს უხამსი სიტყვები, ის ამბობდა: «ჭეშმარიტად, თქვენს შორის საუკეთესო ის არის, ვისაც საუკეთესო ზნეობა აქვს». [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ზნეობიდან არ ყოფილა ცუდი სიტყვების თქმა, ან ცუდი ქმედებების ჩადენა. მას არასდროს არ ჰქონია მსგავსი განზრახვა და არც შეგნებულად ჩაუდენია. ის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) იყო საუკეთესო ზნეობის მქონე.

შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამბობდა: ჭეშმარიტად, თქვენს შორის საუკეთესო ალლაჰის წინაშე არის ის, ვისაც საუკეთესო ზნეობა აქვს, აკეთებს სიკეთეს, აქვს კეთილგანწყობილი და მეგობრული გამომეტყველება, თავს იკავებს ზიანის მიყენებისგან, მოთმინებით იტანს სხვებისგან მიღებულ ზიანს და ადამიანებთან ურთიერთობს საუკეთესო ფორმით.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. მორწმუნე შორს უნდა იყოს ცუდი და უხამსი სიტყვებისგან და მოუწონარი ქმედებებისგან.
2. შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ზნეობრივი თვისებების სრულყოფილება გამოიხატებოდა იმაში, რომ მისგან ყოველთვის გამოდიოდა მხოლოდ კეთილი საქმეები და კარგი სიტყვები.
3. კეთილზნეობა არის შეჯიბრების ასპარეზი, და ვინც ამაში სხვებს გაასწრებს, იქნება საუკეთესო მორწმუნეთაგან და მათ შორის ყველაზე სრულყოფილი რწმენის მქონე.

(5803)

(189) – عن عائشةَ رضي الله عنها قالتْ: سمعتُ رسولَ الله صلّى الله عليه وسلّم يقول: «إِنَّ المُؤْمِنَ لَيُدرِكُ بِحُسْنِ خُلُقِهِ دَرَجَةَ الصَّائِمِ القَائِمِ». [صحيح بشواهده] - [رواه أبو داود وأحمد]

(189) – გადმოცემულია აიშასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მან თქვა: გავიგონე, რომ შუამავალი (ალლაჰმა დალოცოს და მიესალმოს მას) ამბობდა: «ჭეშმარიტად, მორწმუნეს შეუძლია თავისი კარგი ზნეობით მარხულისა და (მთელი ღამით) მლოცველის საფეხურს მიაღწიოს». [სანდო მისი მოწმეებით] - [გადმოსცა აბუ დაუდმა და აჰმადმა]

განმარტება:

შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტავს, რომ კარგი ზნეობა ადამიანს მიაღწევინებს იმ საფეხურს, რასაც სისტემატიურად დღისით მარხვის და ღამით ლოცვის შემსრულებელი ადამიანი. კეთილზნეობა მოიცავს: სიკეთის კეთებას, თავაზიან ურთიერთობას, კეთილგანწყობილ გამომეტყველებას, ზიანის არ მიყენებას და შეურაცხყოფის მიმართ მოთმინებას.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ისლამი ძალიან დიდ ყურადღებას აქცევს კარგი ზნეობის ქონას და მის სრულყოფას.
2. კეთილზნეობის ღირსება იმდენად დიდია, რომ მას შეუძლია ადამიანი აიყვანოს იმ დონეზე, როგორც მარხული, რომელიც არ არღვევს მარხვას, და მლოცველი, რომელიც არ იღლება.
3. დღის მარხვის დაცვა და ღამის ლოცვების შესრულება ორი დიადი ქმედებაა, რომლებიც სულისთვის სირთულეს წარმოადგენს. ამ დონეს აღწევს კეთილზნეობის მქონე ადამიანი, ვინაიდან ავლენს მონდომებას და იბრძვის თავის თავთან, რათა სხვების მიმართ კეთილგანწყობა გამოავლინოს.

(5799)

(190) – عن أبي هريرةَ رضي الله عنه قال: قال رسول الله صلّى الله عليه وسلّم: «أَكْمَلُ الْمُؤْمِنِينَ إِيمَانًا أَحْسَنُهُمْ خُلُقًا، وَخَيْرُكُمْ خَيْرُكُمْ لِنِسَائِهِمْ». [حسن] - [رواه أبو داود والترمذي وأحمد]

(190) – აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «სრულყოფილი რწმენა აქვთ იმ მორწმუნეებს, რომლებიც გამოირჩევიან საუკეთესო ხასიათით, ხოლო თქვენგან საუკეთესონი არიან ისინი, ვინც საუკეთესოდ ეპყრობა საკუთარ ქალებს». [კარგი (ჰასან)] - [გადმოსცა აბუ დაუდმა, ათ-თირმიზიმ და აჰმადმა]

განმარტება:

შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნობს, რომ სრულყოფილი რწმენის მქონე ხალხი ისინი არიან, ვისაც კარგი ზნეობა აქვთ. ეს აისახება ღიმილიან სახეზე, სიკეთის გაცემაზე, კარგ სიტყვებზე და ზიანის მიყენებისგან თავის შეკავებაზე.

მორწმუნეთა შორის საუკეთესო ისაა, ვინც ყველაზე კარგად ექცევა თავის ქალებს: ცოლს, ქალიშვილებს, დებს, ნათესავ ქალებს, რადგან ისინი ყველაზე მეტად იმსახურებენ კარგ მოპყრობას.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. კეთილ ზნეობათა ღირსება. მათი ქონა რწმენის გამოხატულებაა.
2. ქმედება რწმენიდანაა, რწმენა კი იმატებს და იკლებს.
3. ისლამი აფასებს ქალს და მასზე კეთილად მოპყრობისკენ მოუწოდებს.

(5792)

(191) – عن أبي هريرةَ رضي الله عنه قال: سُئِلَ رَسُولُ اللهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ عَنْ أَكْثَرِ مَا يُدْخِلُ النَّاسَ الْجَنَّةَ، فَقَالَ: «تَقْوَى اللهِ وَحُسْنُ الْخُلُقِ»، وَسُئِلَ عَنْ أَكْثَرِ مَا يُدْخِلُ النَّاسَ النَّارَ فَقَالَ: «الْفَمُ وَالْفَرْجُ». [حسن صحيح] - [رواه الترمذي وابن ماجه وأحمد]

(191) – გადმოცემულია აბუ ჰურაირასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მან თქვა: მოციქულს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ჰკითხეს, რა უფრო მეტად შეიყვანს ადამიანებს სამოთხეში, და მან უპასუხა: «ალლაჰის მოშიშობა და კეთილზნეობა», ხოლო როდესაც ჰკითხეს, რა უფრო მეტად შეიყვანს ადამიანებს ჯოჯოხეთში, მან უპასუხა: «ენა და სასქესო ორგანო». [ჰასან საჰიჰ] - [გადმოსცა ათ-თირმიზიმ, იბნ მააჯამ და აჰმადმა]

განმარტება:

ალლაჰის მოციქულმა განმარტა, რომ არსებობს ორი

უდიდესი მიზეზი, რომელთაც ადამიანი შეჰყავს სამოთხეში, ესენია:

ალლაჰის შიში და კარგი ზნეობა.

ღვთისმოშიშობა — ეს არის, როცა შენ აღმართავ ბარიერს შენსა და ალლაჰის სასჯელს შორის, იმის შესრულებით, რაც მან გიბრძანა და იმისგან გაფრთხილებით, რაც ალლაჰმა აკრძალა.

კეთილზნეობა — ეს არის კეთილგანწყობილი და ღიმილიანი სახე, სიკეთის კეთება და სხვებისთვის ზიანის მიყენებისგან თავშეკავება.

და ასევე ჯოჯოხეთში შესვლის უდიდესი მიზეზი არის ორი, ესენია:

ენა და სასქესო ორგანო.

ენის ზიანი არის: ტყუილი, ზურგს უკან სხვაზე ცუდის თქმა, ჭორაობა, და ა.შ.

სასქესო ორგანოს ზიანი არის: მრუშობა, მამათმავლობა და სხვა.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. სამოთხეში შესვლის მიზეზთაგანი არის ისეთი, რაც დაკავშირებულია ალლაჰთან, როგორიცაა: ღვთისმოშიშობა, და მიზეზები დაკავშირებული ადამიანებთან, როგორიცაა: კარგი ზნეობა.
2. ენის საშიშროება ის არის, რომ ის არის ჯოჯოხეთში შესვლის მიზეზი.

3. ვნებებისა და გარყვნილების საშიშროება ის არის, რომ ის არის ყველაზე გავრცელებული მიზეზი ჯოჯოხეთში მოხვედრის.

(5476)

(192) – عن أَنَسٍ بن مالك رضي الله عنه قال: كَانَ رَسُولُ اللهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ أَحْسَنَ النَّاسِ خُلُقًا. [صحيح] - [متفق عليه]

(192) – ანას ბინ მაალიქმა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) თქვა: «ალლაჰის შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ადამიანთა შორის საუკეთესო ზნეობის იყო». [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ადამიანთა შორის სრულყოფილი ზნეობით გამოირჩეოდა, მისი ყველა თვისება და ზნეობრივი ხასიათი სხვებზე მაღლა იდგა. ის გამოირჩეოდა საუკეთესო სიტყვებით, სიკეთის გაცემით, მომღიმარი სახით, სხვებზე ზარალის არ მიყენებით და სხვების მიერ მასზე მიყენებულ ზიანზე მოთმინებით.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ზნეობის სრულყოფილება.
2. შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას)

არის სრულყოფილი მისაბაძი მაგალითი კარგ ზნეობაში.

3. კარგ ზნეობაში შუამავალზე (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მიყოლისკენ მოწოდება.

(6180)

(193) – قَالَ سَعْدُ بْنِ هِشَامٍ بْنِ عَامِرٍ -عِنْدَمَا دَخَلَ عَلَى عَائِشَةَ رَضِيَ اللهُ عَنْهَا-: يَا أُمَّ الْمُؤْمِنِينَ، أَنْبِئِينِي عَنْ خُلُقِ رَسُولِ اللهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ، قَالَتْ: أَلَسْتَ تَقْرَأُ الْقُرْآنَ؟ قُلْتُ: بَلَى، قَالَتْ: فَإِنَّ خُلُقَ نَبِيِّ اللهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ كَانَ الْقُرْآنَ. [صحيح - [رواه مسلم في جملة حديثٍ طويلٍ]

(193) – სა'დ იბნ ჰიშამ იბნი 'აამირმა თქვა, როცა მივიდა აიშასთან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი): ჰეი, მორწმუნეთა დედავ! მომიყევი შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ზნეობაზე, მან კი თქვა: «შენ ყურანს არ კითხულობ?» დიახ, თქვა: «ჭეშმარიტად ალლაჰის მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ზნეობა ყურანი იყო». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა მუსლიმმა გრძელ ჰადისში]

განმარტება:

მორწმუნეთა დედას აიშას (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) ჰკითხეს მოციქულის ზნეობაზე (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) და მან ყოვლისმომცველი

პასუხი გასცა. მან მკითხველი ძვირფასი და სრულყოფილი თვისების გამაერთიანებელი ყურანისკენ გადაამისამართა, და უთხრა რომ მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ზნეობა ყურანი იყო, რაც ბრძანა ყურანმა შეასრულა, რაც აკრძალა განშორდა მას, მისი ზნეობა ყურანის ბრძანების შესრულება, მის საზღვრებში გაჩერება, მისი ეთიკით მოქმედება, მასში მოცემული მაგალითებიდან და ამბებიდან მაგალითის აღება იყო.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. შუამავლისგან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მაგალითის აღებისკენ მოწოდება ყურანისეულ ზნეობაში.
2. ალლაჰის შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ზნეობის შექება, რამეთუ ის იყო ღვთიური გამოცხადების ცოცხალი ლამპარი.
3. ყურანი არის ყველა საუკეთესო მორალის წყარო.
4. ისლამში ზნეობა აერთიანებს რელიგიის ყველა ასპექტს, დაწყებული ბრძანებების შესრულებით, დამთავრებული აკრძალვებზე მორიდებით.

(8265)

(194) – عن شَدَّادِ بْنِ أَوْسٍ رضي الله عنه قال: ثِنْتَانِ حَفِظْتُهُمَا عَنْ رَسُولِ اللهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ قَالَ: «إِنَّ اللهَ كَتَبَ الْإِحْسَانَ عَلَى كُلِّ شَيْءٍ، فَإِذَا قَتَلْتُمْ فَأَحْسِنُوا الْقِتْلَةَ، وَإِذَا ذَبَحْتُمْ فَأَحْسِنُوا الذِّبْحَ، وَلْيُحِدَّ أَحَدُكُمْ شَفْرَتَهُ، فَلْيُرِحْ ذَبِيحَتَهُ». [صحيح] - [رواه مسلم]

(194) – გადმოცემულია შადდად იბნ აუსისგან (ალლაჰის იყოს მისით კმაყოფილი), რომელმაც თქვა: მე დავიმახსოვრე შუამავლისგან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ორი რამ: «ჭეშმარიტად, ალლაჰმა დაავალა, რომ ყოველ საქმეში მოწყალება გამოიჩინოთ, ამიტომ თუ მოგიწევთ ვინმეს მოკვლა, აირჩიეთ მოწყალე (უმტკივნეულო) მეთოდი. ხოლო თუ ცხოველს დაკლავთ, გამოიჩინეთ მოწყალება დაკვლის დროსაც. თითოეულმა თქვენგანმა კარგად უნდა გალესოს თავისი დანა, რათა ცხოველს ტანჯვა არ მოეწიოს». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა მუსლიმმა]

განმარტება:

მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამბობს, რომ უზენაესმა ალლაჰმა დაგვავალა გამოვავლინოთ მოწყალება (გულკეთილობა) ყველა საქმეში. მოწყალება - ეს არის ალლაჰის არსებობაზე მუდმივი ფიქრი (და რომ ის გითვალთვალებს), რომელიც გამოიხატება მის თაყვანისცემაში, სიკეთის

კეთებაში და ალლაჰის ქმნილებების დაცვაში ბოროტებისგან. ეს ასევე მოიცავს მოწყალების გამოჩენას მკვლელობის და ცხოველის დაკვლის დროს.

მოწყალება, რომელიც გამოირჩევა სიკვდილით დასჯის დროს, ეს შეიძლება იყოს ყველაზე მოკლე, სწრაფი და იოლი გზის არჩევა, რომელიც ნაკლებად მტკივნეული იქნება ადამიანისთვის.

როდესაც ცხოველი იკვლება მსხვერპლშეწირვისას, მოწყალების გამოხატვა გულისხმობს ბასრი იარაღის გამოყენებას დაკვლისთვის, რაც ცხოველისადმი გულმოწყალების გამოხატულებაა. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ადამიანმა არ გალესოს დანა ცხოველის თვალწინ და არ დაკლას ცხოველი სხვა ცხოველების თანდასწრებით.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. უზენაესი და ყოვლისშემძლე ალლაჰის მოწყალება და სიკეთე მისი ქმნილებების მიმართ.
2. სიკვდილით დასჯისა და ცხოველის დაკვლისას მოწყალების გამოჩენა გულისხმობს ამ ქმედების შესრულებას შარიათის ნორმების დაცვით.
3. შარიათის სრულყოფილება და მისი ყოვლისმომცველობა, რომელიც მოიცავს ყოველგვარ სიკეთეს, მათ შორის კეთილგანწყობას ცხოველების მიმართ და ზრუნვას მათზე.

4. აკრძალულია ადამიანის დასახიჩრება (ან მისი სხეულის ნაწილებად დაშლა) მისი მოკვლის შემდეგ.
5. ყოველივეს აკრძალვა, რამაც შეიძლება ტანჯვა მიაყენოს ცხოველს.

(4319)

(195) – عن عبدِ الله بن عمرو رضي الله عنهما قال: قال رسولُ اللهِ صلّى الله عليه وسلّم: «إِنَّ الْمُقْسِطِينَ عِنْدَ اللهِ عَلَى مَنَابِرَ مِنْ نُورٍ، عَنْ يَمِينِ الرَّحْمَنِ عَزَّ وَجَلَّ، وَكِلْتَا يَدَيْهِ يَمِينٌ، الَّذِينَ يَعْدِلُونَ فِي حُكْمِهِمْ وَأَهْلِيهِمْ وَمَا وَلُوا». [صحيح] - [رواه مسلم]

(195) – გადმოცემულია აბდულლაჰ იბნ 'ამრისგან (ალლაჰი იყოს მათი ორივეთი კმაყოფილი) თქვა ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას): «ჭეშმარიტად, სამართლიანები ისხდებიან სინათლის მინბარებზე ალლაჰის წინაშე, ყოვლადმოწყალე ალლაჰის მარჯვენა მხარეს, რომლის ორივე ხელიც არის მარჯვენა, და ისინი იქნებიან, ვინც სამართლიანობას იჩენდნენ თავიანთ სასამართლოებში, ოჯახებში და ყველასთან, ვინც მათ მფლობელობაში იყო». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა მუსლიმმა]

განმარტება:

მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნობს, რომ ისინი, ვინც სამართლიან და ჭეშმარიტ

გადაწყვეტილებებს იღებენ მათზე დაქვემდებარებულ ადამიანებს შორის, ისევე როგორც თავიანთ ახლობლებს შორის, აღდგომის დღეს დასხდებიან მაღალ და ამაღლებულ ადგილებზე, რომლებიც სინათლისგან არის შექმნილი, ჯილდოს საზღაურად განკითხვის დღეს. და ეს მინბარები მდებარეობს ყოვლადმოწყალისა და უზენაესის მარჯვნივ, ხოლო მისი ორივე ხელი მარჯვენაა.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. სამართლიანობის სიკეთე და მისკენ მოწოდება.
2. სამართლიანობა გულისხმობს საერთოს, ის მოიცავს მთელ სახელმწიფოს და სამართლიანობას ადამიანებს შორის, როგორიცაა სამართლიანობა ცოლებს, შვილებს და სხვ. შორის.
3. სამართლიანი ადამიანების მდგომარეობა განკითხვის დღეს.
4. მორწმუნეების ხარისხების განსხვავება აღდგომის დღეს იქნება მათი საქმეების მიხედვით.
5. წახალისების მეთოდი ერთ-ერთია ისლამისკენ მოწოდების მეთოდებიდან, რომელიც მოუწოდებს ადამიანს მორჩილებისკენ.

(4935)

(196) – عن أبي سَعِيدٍ الخدريِّ رضي الله عنه أَنَّ رسولَ اللهِ صلّى الله عليه وسلّم قال: «لَا ضَرَرَ وَلَا ضِرَارَ، مَنْ ضَارَّ ضَرَّهُ اللَّهُ، وَمَنْ شَاقَّ شَقَّ اللَّهُ عَلَيْهِ». [صحيح بشواهده] - [رواه الدارقطني]

(196) – აბუ სა'იდ ალ-ხუდრი (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ მან თქვა: თქვა ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას): «აკრძალულია ზიანის მიყენება (თავის თავს ან სხვას), და აკრძალულია პასუხის გაცემა ზიანით. ვინც მუსლიმისთვის ზიანს მოიტანს, მას ალლაჰი მოუტანს ზიანს, და ვინც მუსლიმს სირთულეს შეუქმნის, მას ალლაჰი შეუქმნის სირთულეს». [სანდო მისი მოწმეებით] - [გადმოსცა ად-დაარაყუტნიმ]

განმარტება:

მოციქულმა (ალლაჰმა დალოცოს და მიესალმოს მას) განმარტა, რომ საჭიროა ზიანის თავიდან აცილება ნებისმიერი ფორმით, როგორც საკუთარ თავზე, ასევე სხვებზე. მან ასწავლა, რომ არავის აქვს უფლება მიაყენოს ზიანი არც საკუთარ თავს და არც სხვებს.

ასევე, არ არის ნებადართული ზიანზე პასუხის გაცემა ზიანით, რადგან ზიანი შეიძლება აღმოიფხვრას მხოლოდ სამართლიანი შურისძიებით გადამეტების გარეშე.

შემდეგ მოციქულმა (ალლაჰმა დალოცოს ის და მიესალმოს) გააფრთხილა ადამიანებისთვის ზიანის მიყენების შესახებ და განმარტა, რომ ის, ვინც ზიანს მიაყენებს სხვებს, თავად დადგება ზიანის წინაშე, ხოლო ვინც ადამიანებს სირთულეებს შეუქმნის, თავადვე შეხვდება სირთულეებს.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. აკრძალულია ისეთი შურისძიება, რომელიც გადაჭარბებულია მიყენებულ ზიანზე.
2. ალლაჰმა არ უბრძანა თავის მონებს ისეთი რამ, რაც მათ ზიანს მიაყენებს.
3. აკრძალულია ზიანის მიყენება საკუთარ თავს და სხვებს, როგორც თავდაპირველად, ასევე საპასუხოდ — სიტყვით, ქმედებით ან მიტოვებით.
4. სასჯელი შეესაბამება ქმედებას. ვინც ზიანს მოუტანს სხვას, ალლაჰი მას ზიანს მიაგებს, ხოლო ვინც სირთულეებს შეუქმნის სხვას, ალლაჰი მას სირთულეს მიაგებს.
5. შარიათის ერთ-ერთი დადგენილი წესია: "ზიანი უნდა აღმოიფხვრას“. შესაბამისად, შარიათი არ ამართლებს ზიანს და მკაცრად კიცხავს მას.

(4711)

(197) – عن أبي هريرةَ رضي الله عنه: أَنَّ رَجُلًا قَالَ لِلنَّبِيِّ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ: أَوْصِنِي، قَالَ: «لَا تَغْضَبْ» فَرَدَّدَ مِرَارًا قَالَ: «لَا تَغْضَبْ». [صحيح] - [رواه البخاري]

(197) – გადმოცემულია აბუ ჰურაირასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მან თქვა: ერთმა კაცმა უთხრა მოციქულს (ალლაჰმა დალოცოს და მიესალმოს მას): "მომეცი დარიგება". მან უპასუხა: «არ გაბრაზდე». კაცმა რამდენჯერმე გაიმეორა თავისი თხოვნა, [მაგრამ ყოველ ჯერზე მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) პასუხობდა] «არ გაბრაზდე». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა ალ-ბუხარიმ]

განმარტება:

ერთ-ერთმა საჰაბამ (ალლაჰი იყოს კმაყოფილი მისით) სთხოვა მოციქულს (ალლაჰმა დალოცოს და მიესალმოს მას) მითითება იმაზე, რაც მას სარგებელს მოუტანდა, და მოციქულმა უბრძანა, რომ არ გაბრაზებულიყო. ეს ნიშნავს, რომ ადამიანი უნდა ერიდოს ყველა იმ მიზეზს, რაც მას შეიძლება განაწყენებისკენ უბიძგოს, და თუ ის უკვე გაბრაზდა, უნდა შეძლოს თავის შეკავება და კონტროლი, არ უნდა მისცეს თავს უფლება, გაბრაზების გავლენით ცუდი საქმეები ჩაიდინოს, როგორიცაა მკვლელობა, ცემა, შეურაცხყოფა და ა.შ.

მამაკაცმა რამდენჯერმე გაიმეორა თხოვნა

დარიგების შესახებ, მაგრამ შუამავალმა (ალლაჰმა დალოცოს და მიესალმოს მას) არაფერი დაამატა თავის რჩევას, გარდა სიტყვებისა «არ გაბრაზდე».

ჰადისის სარგებლობიდან:

1. გაფრთხილება ბრაზისგან და იმ მიზეზებისგან, რომლებიც მას იწვევს, რადგან ბრაზი არის ბოროტების წყარო, ხოლო მისი თავიდან აცილება - სიკეთე.
2. ბრაზი ალლაჰის გულისთვის, მაგალითად, გაბრაზება ალლაჰის აკრძალვების უგულებელყოფის გამო, მიეკუთვნება საქებარ სიბრაზეს.
3. სიტყვების გამეორება საჭიროების შემთხვევაში, სანამ მსმენელი არ გაიგებს მათ და არ გააცნობიერებს მათ მნიშვნელობას.
4. სწავლულისგან რჩევის თხოვნის.
5. ღირსება.

(4709)

(198) – عن أبي هريرةَ رضي الله عنه أنَّ رسولَ الله صلّى الله عليه وسلّم قال: «لَيْسَ الشَّدِيدُ بِالصُّرَعَةِ، إِنَّمَا الشَّدِيدُ الَّذِي يَمْلِكُ نَفْسَهُ عِنْدَ الْغَضَبِ». [صحيح] - [متفق عليه]

(198) – აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და

მშვიდობა მას) თქვა: «ძლიერი ის კი არ არის, ვინც ბევრს ამარცხებს; ჭეშმარიტად, ძლიერი ის არის, ვინც საკუთარი თავის კონტროლს ახერხებს სიბრაზის დროს». [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტავს, რომ ნამდვილი ძალა არ მდგომარეობს ფიზიკურ სიძლიერეში ან სხვების დამარცხების უნარში. ნამდვილი ძლიერი ადამიანი ისაა, ვინც საკუთარი თავის წინააღმდეგ იბრძვის და იმარჯვებს, როდესაც მას რისხვა მოიცავს. ეს მიუთითებს ძალაზე საკუთარ თავზე და მის უნარზე, რომ დაამარცხოს შაიტანი.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. გაბრაზების დროს მოთმინებისა და თავის გაკონტროლების ღირსება დიდად ფასდება ისლამში, რადგან ეს კეთილი საქმეების რიცხვს მიეკუთვნება და შარიათით წახალისებულია.
2. საკუთარ თავთან ბრძოლა რისხვის დროს უფრო რთულია, ვიდრე მტერთან ბრძოლა.
3. ისლამმა შეცვალა წინა ისლამური უმეცრების წარმოდგენა სიძლიერის შესახებ კეთილშობილური ზნეობით. ყველაზე ძლიერი ადამიანი ის არის, ვინც საკუთარ თავს აკონტროლებს.

4. აუცილებელია რისხვის თავიდან აცილება, რადგან მას აქვს დამღუპველი გავლენა როგორც ადამიანებზე, ისე მთლიანად საზოგადოებაზე.

(5351)

(199) – عن عبدِ الله بن عمر رضي الله عنهما قال: سَمِعَ النَّبِيُّ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ رَجُلًا يَعِظُ أَخَاهُ فِي الْحَيَاءِ، فَقَالَ: «الْحَيَاءُ مِنَ الْإِيمَانِ». [صحيح] - [متفق عليه]

(199) – გადმოცემულია აბდულლაჰ იბნ უმარისგან (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი), რომელმაც თქვა: როდესაც მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გაიგონა, როგორ აძლევდა ერთი კაცი თავის ძმას რჩევას სირცხვილის გრძნობასთან დაკავშირებით, მან თქვა: «სირცხვილის გრძნობა — რწმენის ნაწილია!» [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

ერთხელ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გაიგონა, როგორ ურჩევდა ერთი კაცი თავის ძმას, რომ არ ყოფილიყო ზედმეტად მორცხვი. მოციქულმა კი აუხსნა მას, რომ მორიდებულობა რწმენის ნაწილია და მას მხოლოდ სიკეთეს მოაქვს.

მორიდებულობა არის თვისება, რომელიც უბიძგებს ადამიანს კეთილი საქმეებისკენ და აფრთხილებს მას ცუდი ქმედებებისგან.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ის რაც ხელს გიშლის კეთილი საქმეების კეთებაში, მორიდებულობა არ არის. ამას ეწოდება სისუსტე, უძლურება ან ლაჩრობა.
2. მორიდებულობა ყოვლისშემძლე და დიადი ალლაჰის წინაშე ვლინდება მის ბრძანებათა შესრულებაში და მისი აკრძალვებისგან თავის არიდებაში.
3. მორიდებულობა ადამიანების მიმართ ვლინდება პატივისცემაში, თითოეულთან მისი სტატუსის შესაბამისად მოქცევაში და იმ ქმედებებისგან თავის არიდებაში, რაც ჩვეულებრივად ითვლება უმართებულოდ.

(5478)

(200) – عن المِقدام بن مَعْدي كَرِب رضي الله عنه عنِ النَّبيِّ صلّى الله عليه وسلّم قال: «إِذَا أَحَبَّ الرَّجُلُ أَخَاهُ فَلْيُخْبِرْهُ أَنَّهُ يُحِبُّهُ». [صحيح] - [رواه أبو داود والترمذي والنسائي في السنن الكبرى وأحمد]

(200) – გადმოცემულია ალ-მიყდაამ ბინ მა'დიი ქარბიდან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მოციქულმა მუჰამმადმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა) მას თქვა: «როდესაც ადამიანი თავის ძმას შეიყვარებს აცნობოს მას, რომ უყვარს ის». [სანდო

(საჰიჰ)] - [გადმოსცა აბუ დაუდმა, ათ-თირმიზიმ, ან-ნასაიმ ას-სუნან ალ-ქუბრაში და აჰმადმა]

განმარტება:

მოციქული მუჰამმადი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტავს ერთ-ერთ მიზეზს, რომელიც აძლიერებს მორწმუნეებს შორის ურთიერთობას და ავრცელებს სიყვარულს მათ შორის. ეს არის ის, რომ თუ ერთს თავისი (მუსლიმი) ძმა უყვარს, მან უნდა აცნობოს მას, რომ უყვარს ის.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ეს გვასწავლის, რომ გულწრფელი სიყვარული მხოლოდ უზენაესი ალლაჰისთვისაა და არა ამქვეყნიური სარგებლისთვის.
2. ასევე გვასწავლის, რომ მორწმუნეებს შორის სიყვარულის გავრცელება აძლიერებს სარწმუნოებრივ ძმობას და იცავს საზოგადოებას დაყოფისა და ჯგუფებად დაშლისგან.

(3017)

(201) – عن جابرِ بن عبدِ الله رضي الله عنهما عنِ النَّبيِّ صلّى الله عليه وسلّم قال: «كُلُّ مَعْرُوفٍ صَدَقَةٌ». [صحيح] - [رواه البخاري من حديث جابر، ورواه مسلم من حديث حذيفة]

(201) – გადმოცემულია ჯაბირ იბნ აბდულლაჰისგან (ალლაჰი იყოს კმაყოფილი მათით), რომ ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ყოველი კეთილი საქმე სადაყაა (მოწყალება)». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა ალ-ბუხარიმ ჯაბირისგან, და გადმოსცა მუსლიმმა ჰუზაიფასგან]

განმარტება:

მოციქული (ალლაჰმა დალოცოს და მიესალმოს მას) გვაუწყებს, რომ ყოველი კეთილი და სასარგებლო ქმედება სხვების მიმართ, იქნება ეს სიტყვა თუ საქმე, წარმოადგენს მოწყალებას, რისთვისაც არის განკუთვნილი ჯილდო და საზღაური.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. მოწყალება არ შემოიფარგლება მხოლოდ იმით, რასაც ადამიანი თავისი ქონებიდან გასცემს, არამედ ის მოიცავს ყოველ კეთილ საქმეს, რომელსაც ადამიანი აკეთებს, ან სიტყვას, რომელსაც ამბობს და გადასცემს სხვებს.
2. ეს ჰადისი მოუწოდებს კეთილ საქმეთა კეთებისკენ და ყველაფერს, რაც სარგებელს მოუტანს სხვა ადამიანებს.
3. არ უნდა უგულებელყოთ არც ერთი კეთილი სამე, თუნდაც რომ მცირედი იყოს.

(5346)

(202) – عَنْ أَبِي بَرْزَةَ الأَسْلَمِيِّ رضي الله عنه قَالَ: قَالَ رَسُولُ اللهِ صَلَّى اللَّهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ: «لَا تَزُولُ قَدَمَا عَبْدٍ يَوْمَ القِيَامَةِ حَتَّى يُسْأَلَ عَنْ عُمُرِهِ فِيمَا أَفْنَاهُ، وَعَنْ عِلْمِهِ فِيمَ فَعَلَ، وَعَنْ مَالِهِ مِنْ أَيْنَ اكْتَسَبَهُ وَفِيمَ أَنْفَقَهُ، وَعَنْ جِسْمِهِ فِيمَ أَبْلَاهُ». [صحيح] - [رواه الترمذي]

(202) – გადმოცემულია აბუ ბარზა ალ-ასლამისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «სამსჯავროს დღეს ადამიანი ვერ გადაადგამს ნაბიჯს, სანამ მას არ ჰკითხავენ: მის სიცოცხლეზე – როგორ გაატარა იგი, მის ცოდნაზე – როგორ გამოიყენა იგი, მის ქონებაზე – საიდან შეიძინა და სად დახარჯა, მის სხეულზე – თუ რას შეალია იგი». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა ათ-თირმიზიმ]

განმარტება:

მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნობს, რომ სამსჯავროს დღეს არცერთი ადამიანი ვერ გადავა ანგარიშგების ადგილიდან სამოთხეში ან ჯოჯოხეთში, სანამ მას არ ჰკითხავენ შემდეგ საკითხებზე:

პირველი: მისი სიცოცხლე – როგორ გაატარა და რაში დახარჯა იგი?

მეორე: მისი ცოდნა – ალლაჰისთვის შეიძინა იგი? დაიცვა და მოიყვანა ის პრაქტიკაში? გადასცა თუ არა

იმათ, ვინც მისი ღირსი იყო?

მესამე: მისი ქონება – საიდან მოიპოვა იგი? იყო ეს ნებადართული თუ (აკრძალული)? და რაში დახარჯა იგი? ალლაჰის კმაყოფილებაში თუ მის მრისხანებაში?

მეოთხე: მისი სხეული, ძალა, ჯანმრთელობა და ახალგაზრდობა – როგორ გამოიყენა და რაში გამოიყენა ისინი?

ჰადისის სარგებლობიდან:

1. წახალისება იმისა, რომ სიცოცხლე გამოვიყენოთ უზენაესი ალლაჰის კმაყოფილების მოსაპოვებლად.
2. ალლაჰის წყალობები მის მონებზე მრავლადაა, და ადამიანმა პასუხი უნდა აგოს იმ წყალობებზე, რაც მას მიეცა. ამიტომ, მორწმუნემ ალლაჰის წყალობები უნდა გამოიყენოს ისე, რომ მისი კმაყოფილება დაიმსახუროს.

(4950)

(203) – عَنْ أَبِي هُرَيْرَةَ قَالَ: قَالَ النَّبِيُّ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ: «السَّاعِي عَلَى الأَرْمَلَةِ وَالمِسْكِينِ، كَالْمُجَاهِدِ فِي سَبِيلِ اللَّهِ، أَوِ القَائِمِ اللَّيْلَ الصَّائِمِ النَّهَارَ». [صحيح] - [متفق عليه]

(203) – აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოგვცემს, რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ვინც ეხმარება ქვრივ ქალს და

უპოვრებს, მსგავსია მუჯაჰიდისა ალლაჰის გზაზე, ან იმის, ვინც ღამეს ლოცვაში და დღეს მარხვაში ატარებს. [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნობს, რომ ვინც ეხმარება ქვრივ ქალს, რომელსაც ქმარი გარდაეცვალა და არავინ ჰყავს, ვინც მის საქმეებს მიხედავს, ასევე გაჭირვებულ უპოვრებს ეხმარება ფინანსურად, მადლს კი უზენაესი ალლაჰისგან მოელის, მისი მადლი ალლაჰის გზაზე მუჯაჰიდის მადლის მსგავსი იქნება, ან მსგავსი იმისა, ვინც ღამის ლოცვებს ასრულებს დაუღლელად და დღისით მარხულობს შეუწყვეტლივ.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. მოწოდება ერთმანეთის დახმარებისკენ, მხარდაჭერისკენ და უმწეოთა საჭიროებების მოგვარებისკენ.
2. ღვთისმსახურება ყველა კარგ საქმეს მოიცავს, ქვრივზე და გაჭირვებულებზე დახმარებაც ღვთისმსახურებაა.
3. იბნ ჰუბაირამ თქვა: ეს ჰადისი გულისხმობს იმას, რომ უზენაესი ალლაჰი მას მარხულის, მლოცველის და მუჯაჰიდის მადლს ერთიანად

მისცემს; რადგან ქვრივს ეხმარება მისი გარდაცვლილი ქმრის ნაცვლად, ეხმარება უპოვარს, რომელსაც არ შეუძლია საკუთარ თავზე ზრუნვა. ის ხარჯავს თავის ძალებს მათზე და დიდსულოვნად უყოფს მათ სიკეთეს. ამგვარად, მისი ჯილდო გაუთანაბრდა ჯილდოს მარხვისთვის, ღამის ლოცვისთვის და ჯიჰადისთვის.

(3135)

(204) – عن أبي هريرةَ رضي الله عنه عن رسولِ اللهِ صلّى الله عليه وسلّم قال: «مَنْ كَانَ يُؤْمِنُ بِاللهِ وَالْيَوْمِ الْآخِرِ فَلْيَقُلْ خَيْرًا أَوْ لِيَصْمُتْ، وَمَنْ كَانَ يُؤْمِنُ بِاللهِ وَالْيَوْمِ الْآخِرِ فَلْيُكْرِمْ جَارَهُ، وَمَنْ كَانَ يُؤْمِنُ بِاللهِ وَالْيَوْمِ الْآخِرِ فَلْيُكْرِمْ ضَيْفَهُ». [صحيح] - [متفق عليه]

(204) – გადმოცემულია აბუ ჰურაირასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ვისაც სწამს ალლაჰის და ბოლო დღის, დაე, თქვას კარგი სიტყვა ან გაჩუმდეს, ვისაც სწამს ალლაჰის და ბოლო დღის, დაე, პატივი სცეს მეზობელს, ვისაც სწამს ალლაჰის და ბოლო დღის, დაე, პატივი სცემს მის სტუმარს». [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტა, რომ მუსლიმი მონის რწმენა, რომელსაც სწამს ალლაჰის და ბოლო დღის, სადაც ის დაბრუნდება და მიეზღვება მისი საქმეების შესაბამისად, მოუწოდებს მას შემდეგი კეთილი საქმეების კეთებისკენ:

პირველი: კეთილი სიტყვა. ამაში შედის თასბიჰ (სუბჰანალლაჰ), თაჰლილ (ლაა ილააჰა ილლა ალლაჰ), სიკეთისკენ მოწოდება, აუგის აკრძალვა და ხალხის შერიგება. ვისაც არ შეუძლია ამის კეთება, მაშინ გაჩუმდეს, არ ავნოს და ენას კბილი დააჭიროს.

მეორე: მეზობლის პატივისცემა. მასთან კარგი ურთიერთობა და ზიანის არ მიყენება.

მესამე: შენთან მოსული სტუმრის პატივისცემა. კარგი საუბრით, საკვებით და ა.შ.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ალლაჰისა და განკითხვის დღის რწმენა არის ყოველი სიკეთეს ფუძე და მოუწოდებს სიკეთის კეთებისკენ.
2. გაფრთხილება იმ საფრთხეებისგან, რომელიც ენას მოაქვს.
3. რელიგია ისლამი - ეს არის სიკეთისა და გულუხვობის რელიგია.
4. ეს თვისებები არის რწმენის ნაწილები და

მიეკუთვნება საქებარ თვისებებს.

5. ბევრმა ლაპარაკმა შეიძლება ზიანი მოიტანოს, ხოლო სიკეთე მოაქვს ნაკლებ საუბარს, გარდა იმ შემთხვევაში, რაშიც სიკეთეა.

(5437)

(205) – عن أبي ذرٍّ رضي الله عنه قال: قال لي النَّبيُّ صلّى الله عليه وسلّم: «لَا تَحْقِرَنَّ مِنَ الْمَعْرُوفِ شَيْئًا، وَلَوْ أَنْ تَلْقَى أَخَاكَ بِوَجْهٍ طَلْقٍ». [صحيح] - [رواه مسلم]

(205) – გადმოცემულია აბუ ზარრისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომელმაც თქვა: მოციქულმა (ალლაჰმა დალოცოს და მიესალმოს) თქვა: «არ უგულებელყო არც ერთი კეთილი საქმე, თუნდაც რომ შეხვდე შენს ძმას ღიმილით». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა მუსლიმმა]

განმარტება:

მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მოუწოდებდა კეთილი საქმეების შესრულებას და იმას, რომ არ უგულებელვყოთ ისინი, თუნდაც მცირედი იყოს. ასეთ საქმეებში შედის ღიმილი, როდესაც შეხვდებით თქვენს ძმას. მუსლიმი უნდა ცდილობდეს ამის გაკეთებას, რადგან ეს გამოხატავს გულთბილობას მორწმუნე ძმის მიმართ და მისი გახარების მიზეზი ხდება.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. მორწმუნეებს შორის ურთიერთსიყვარულის გამოვლენის ღირსება, ასევე ღიმილითა და სიხარულით მისალმება შეხვედრის დროს.
2. შარიათის სრულყოფილება და ყოვლისმომცველობა იმაში მდგომარეობს, რომ ის მოიცავს ყველაფერს, რაც სასიკეთოა მუსლიმებისთვის და აერთიანებს მათ ერთ მთლიანობად. შარიათი ხელმძღვანელობს ადამიანებს კეთილი საქმეებისკენ და აყალიბებს მათ შორის ერთიანობასა და ძმობას.
3. მოწოდება კეთილი საქმეების შესრულებისკენ, თუნდაც ისინი მცირე იყოს.
4. სასურველია მუსლიმებისთვის სიხარულის მოტანა, რადგან ამის მეშვეობით მათ შორის მეგობრული ურთიერთობები მყარდება.

(5348)

(206) – عن جَرِيرِ بن عبدِ الله رضي الله عنه قال: قال رسولُ اللهِ صلّى الله عليه وسلّم: «مَنْ لَا يَرْحَمِ النَّاسَ لَا يَرْحَمُهُ اللهُ عَزَّ وَجَلَّ». [صحيح] - [متفق عليه]

(206) – გადმოცემულია ჯარირ იბნ აბდულლაჰისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომელმაც თქვა: შუამავალმა (ალლაჰმა დალოცოს და მიესალმოს მას)

თქვა: «ვინც არ შეიწყალებს ხალხს, მას არ შეიწყალებს დიდებული და ყოვლისშემძლე ალლაჰი». [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტავს, რომ ვინც არ გამოავლენს გულმოწყალებას ადამიანების მიმართ, ის ვერ მიიღებს მოწყალებას ყოვლისშემძლე და დიადი ალლაჰისგან. მორწმუნის მხრიდან ღმერთის ქმნილებების მიმართ გულმოწყალების გამოვლენა არის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც უზენაესი ალლაჰი მას მოწყალებით დააჯილდოებს.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. გულმოწყალების გამოხატვა აუცილებელია ყველა ქმნილების მიმართ, თუმცა ადამიანები განსაკუთრებით გამოირჩევიან, რადგან მათ მიმართ განსაკუთრებული ზრუნვა არის აუცილებელი.
2. ალლაჰი მოწყალეა და ის შეიწყალებს თავის შემწყნარებელ მონებს. საზღაური საქმეების შესაბამისია.
3. გულმოწყალება ადამიანების მიმართ მოიცავს მათთვის სიკეთის მოტანას, ბოროტებისაგან

დაცვას და მათთან ულამაზესი ქცევით მოპყრობას.
(5439)

(207) – عن عبدِ الله بن عمرو رضي الله عنهما أَنَّ النَّبِيَّ صلّى الله عليه وسلّم قال: «الرَّاحِمُونَ يَرْحَمُهُمُ الرَّحمنُ، ارْحَمُوا أَهْلَ الْأَرْضِ يَرْحَمْكُم مَن فِي السَّمَاءِ». [صحيح] - [رواه أبو داود والترمذي وأحمد]

(207) – გადმოცემულია აბდულლაჰ იბნ 'ამრისგან (ალლაჰი იყოს მისით და მისი მამით კმაყოფილი), რომ ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «შემწყალებლებს იწყალებს შემწყალებელი, შეიწყალეთ ისინი, ვინც დედამიწაზეა და შეგიწყალებთ ის, ვინც ზეცაშია». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა აბუ დაუდმა, ათ-თირმიზიმ და აჰმადმა]

განმარტება:

ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტავს, რომ ისინი, ვინც სხვებს მოწყალებით ექცევიან, მოწყალე ალლაჰისგან მიიღებენ მოწყალებას, რომელიც ყველაფერს მოიცავს. როგორც სრულიად სამართლიანი ჯილდო და შესაბამისი საზღაური.

შემდეგ, მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მოუწოდა, რომ შემწყალებელი ვიყოთ ყველა არსების მიმართ, რომლებიც დედამიწაზე არიან,

იქნება ეს ადამიანი, ცხოველი, ფრინველი თუ ნებისმიერი სხვა სახის ქმნილება. ამის საზღაური კი ის არის, რომ ალლაჰი შეგიწყალებთ მისი ცების ზემოდან.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ისლამი არის გულმოწყალების რელიგია, რომელიც მთლიანად დაფუძნებულია ალლაჰისადმი მორჩილებაზე და ქმნილებებისადმი კეთილგანწყობილ დამოკიდებულებაზე.
2. დიდებული და ძლევამოსილი ალლაჰი გამოირჩევა მოწყალებით. ის არის მწყალობელი და შემწყალებელი, ვინც თავის მსახურებს თავის წყალობას ანიჭებს.
3. საზღაური საქმეების შესაფერისია. გულმოწყალეს ალლაჰი შეიწყალებს.

(8289)

(208) – عَنْ عَبْدِ اللَّهِ بْنِ عَمْرٍو رَضِيَ اللَّهُ عَنْهُمَا عَنِ النَّبِيِّ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ قَالَ: «الْمُسْلِمُ مَنْ سَلِمَ الْمُسْلِمُونَ مِنْ لِسَانِهِ وَيَدِهِ، وَالْمُهَاجِرُ مَنْ هَجَرَ مَا نَهَى اللَّهُ عَنْهُ».

[صحيح] - [متفق عليه]

(208) – გადმოცემულია აბდულლაჰ იბნ ამრისგან (ალლაჰი იყოს მისით და მისი მამით კმაყოფილი), რომ ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა

მას) თქვა: «მუსლიმი ის არის, ვისგანაც მუსლიმები დაცულნი არიან მისი ენისა და ხელისგან, ხოლო მუჰაჯირი ის არის, ვინც მიატოვებს იმას, რაც ალლაჰმა აკრძალა». [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნო, რომ სრულყოფილი მუსლიმი ის არის, ვისგანაც სხვა მუსლიმები დაცულნი არიან მისი ენისგან: არ ლანძღავს მათ, არ აგინებს, არ ჭორავს და არ ავრცელებს მათ შორის რაიმე სახის ზიანს თავისი ენით. ასევე დაცულნი არიან მისი ხელისგან: არ ერჩის მათ, არ იტაცებს მათ ქონებას უსამართლოდ და არ ჩადის რაიმე მსგავს ქმედებას. მუჰაჯირი ის არის, ვინც ტოვებს იმას, რაც უზენაესმა ალლაჰმა აკრძალა.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ისლამის სრულყოფილება შეუძლებელია, თუ სხვებს ზიანს აყენებ, იქნება ეს მატერიალური თუ სულიერი ფორმით.
2. ენა და ხელი განსაკუთრებით აღინიშნა, რადგან მათი შეცდომები და ზიანი მეტია, რადგან ბოროტების უმეტესობა სწორედ მათგან მომდინარეობს.
3. წაქეზება ცოდვების მიტოვებისკენ და იმ

ბრძანებების შესრულებისკენ, რაც უზენაესმა ალლაჰმა დააკისრა.

4. საუკეთესო მუსლიმი ის არის, ვინც ასრულებს ალლაჰის უფლებებსა და მუსლიმების უფლებებს.
5. ძალადობა შეიძლება იყოს სიტყვიერი ან ფიზიკური.
6. სრულყოფილი ჰიჯრა (გადასახლება ალლაჰის გზაზე) არის იმის მიტოვება, რაც ალლაჰმა აკრძალა.

(10101)

(209) – عن أبي هريرةَ رضي الله عنه قال: سمعتُ رسولَ اللهِ صلّى الله عليه وسلّم يقول: «حَقُّ الْمُسْلِمِ عَلَى الْمُسْلِمِ خَمْسٌ: رَدُّ السَّلَامِ، وَعِيَادَةُ الْمَرِيضِ، وَاتِّبَاعُ الْجَنَائِزِ، وَإِجَابَةُ الدَّعْوَةِ، وَتَشْمِيتُ الْعَاطِسِ». [صحيح] - [متفق عليه]

(209) – აბუ ჰურაირამ (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) თქვა: მოვისმინე, რომ ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამბობდა: «მუსლიმის უფლება მუსლიმზე ხუთია: სალამზე პასუხის გაცემა, ავადმყოფის მონახულება, დაკრძალვის პროცესიის გაყოლა, მიწვევის მიღება და დაცემინებულზე სიკეთის სურვილი (ალლაჰმა შეგიწყალოს)» [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

ალლაჰის მოციქული მუჰამმადი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტავს მუსლიმის ზოგიერთ უფლებას თავისი მუსლიმი ძმის მიმართ. ამ უფლებებიდან პირველი არის სალამზე პასუხის გაცემა იმ ადამიანზე, ვინც შენ მოგესალმება.

მეორე უფლება: ავადმყოფის მონახულება და მასთან მისვლა.

მესამე უფლება: გარდაცვლილის დაკრძალვის პროცესზე გაყოლა მისი სახლიდან ლოცვის ადგილამდე და შემდეგ სასაფლაომდე, სანამ გარდაცვლილი დაიკრძალება.

მეოთხე უფლება: მოწვევის მიღება, თუ მუსლიმი მას ქორწილის სუფრაზე ან სხვა ღონისძიებაზე მოიწვევს.

მეხუთე უფლება: დაცემინებულისთვის სიკეთის სურვილი. კერძოდ, ადამიანი დაცემინების შემდეგ ამბობს "დიდება ალლაჰს/ალჰამდულილლაჰ", მისი ძმა მუსლიმი პასუხობს: "ალლაჰმა შეგიწყალოს" /იარჰამუქალლაჰ, ამაზე დაცემინებულმა უნდა უპასუხოს: "ალლაჰმა გატაროთ ჭეშმარიტი გზით და გამოასწოროს თქვენი საქმეები./ იაჰდიქუმულლაჰუ ვა იუსლიჰუ ბაალაქუმ".

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ისლამის სიდიადე გამოიხატება იმაში, რომ ის დიდ მნიშვნელობას ანიჭებს უფლებების დაცვას მუსლიმებს შორის და აძლიერებს ძმობასა და სიყვარულს მათ შორის.

(3706)

(210) – عَنْ أَبِي هُرَيْرَةَ رضي الله عنه قَالَ: قَالَ رَسُولُ اللهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ: «لَا تَدْخُلُونَ الْجَنَّةَ حَتَّى تُؤْمِنُوا، وَلَا تُؤْمِنُوا حَتَّى تَحَابُّوا، أَوَلَا أَدُلُّكُمْ عَلَى شَيْءٍ إِذَا فَعَلْتُمُوهُ تَحَابَبْتُمْ؟ أَفْشُوا السَّلَامَ بَيْنَكُمْ». [صحيح] - [رواه مسلم]

(210) – აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ვერ შეხვალთ სამოთხეში მანამ, სანამ არ ირწმუნებთ, და ვერ ირწმუნებთ მანამ, სანამ ერთმანეთს არ შეიყვარებთ. გინდათ გასწავლოთ ისეთი რამ და თუ მას გააკეთებთ ერთმანეთს შეიყვარებთ? გაავრცელეთ სალამი თქვენ შორის». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა მუსლიმმა]

განმარტება:

შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტა, რომ სამოთხეში მხოლოდ მორწმუნეები შევლენ, რწმენა სრულყოფილი არ იქნება და არ გამოსწორდება მუსლიმი საზოგადოების მდგომარეობა,

სანამ ერთმანეთს არ შეიყვარებენ. შემდეგ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მიუთითა საუკეთესო საქმეზე, რომელიც სიყვარულს გამოიწვევს, ეს არის მუსლიმთა შორის სალამის გავრცელება, რომელიც ალლაჰმა მორწმუნეებს მისალმებად დაუდგინა.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. სამოთხეში შესვლა შესაძლებელია მხოლოდ რწმენით.
2. რწმენის სრულყოფილების ერთ-ერთი ნიშანი ის არის, რომ მუსლიმს თავისი ძმისთვის სურს ის, რაც სურს საკუთარი თავისთვის.
3. სასურველია სალამის გავრცელება და მუსლიმთა მისალმება, რადგან ეს ხელს უწყობს სიყვარულისა და უსაფრთხოების გავრცელებას ადამიანებს შორის.
4. სალამის მიცემა მხოლოდ მუსლიმზე შეიძლება; როგორც თქვა შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას): "თქვენს შორის".
5. სალამის გავრცელება ხელს უწყობს გაყოფის, მტრობისა და სიძულვილის აღმოფხვრას.
6. მუსლიმებს შორის ერთმანეთის სიყვარულის მნიშვნელობა, რადგან ის არის სრულყოფილი რწმენის ნიშანი.

7. სხვა ჰადისში მოცემულია სალამის მიცემის სრული ფორმა: "ასსალამუ 'ალაიქუმ ვა რაჰმათულლაჰი ვა ბარაქაათუჰ". საკმარისია: "ასსალამუ 'ალაიქუმ". (მშვიდობა თქვენ, ალლაჰის წყალობა და ბარაქა)

(3361)

(211) – عَنْ عَبْدِ اللَّهِ بْنِ عَمْرٍو رَضِيَ اللَّهُ عَنْهُمَا: أَنَّ رَجُلًا سَأَلَ النَّبِيَّ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ: أَيُّ الإِسْلاَمِ خَيْرٌ؟ قَالَ: «تُطْعِمُ الطَّعَامَ، وَتَقْرَأُ السَّلاَمَ عَلَى مَنْ عَرَفْتَ وَمَنْ لَمْ تَعْرِفْ». [صحيح] - [متفق عليه]

(211) – გადმოცემულია აბდულლაჰ იბნ 'ამრისგან (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი), რომელმაც თქვა: ერთმა კაცმა ჰკითხა მოციქულს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას): «რომელი ისლამი არის საუკეთესო? მან უპასუხა: «რომ გამოკვებო ხალხი და მიესალმო მას, ვისაც იცნობ და მას, ვისაც არ იცნობ». [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

მოციქულს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ჰკითხეს: „ისლამის რომელი გამოვლინება არის საუკეთესო?“ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ორი თვისება აღნიშნა:

პირველი: მშიერთა გამოკვებაზე ზრუნვა, რაც მოიცავს შეწირულობას, საჩუქრის მიცემას, სტუმრების მიღებასა და თავშეყრის მოწყობას. საჭმლის მიწოდების მადლი განსაკუთრებით ძლიერდება შიმშილის დროს ან როდესაც ფასები ძალიან მაღალია.

მეორე: სალამის გავრცელება ყველა მუსლიმისთვის, იქნება ეს ნაცნობი თუ უცნობი.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. თანმხლებლებს (საჰაბებს) დიდი სურვილი ჰქონდათ, გაეგოთ ისეთი თვისებები და ქმედებები, რომლებიც მათ სარგებელს მოუტანდა როგორც ამქვეყნად, ასევე საიქიოში.
2. მისალმება და საჭმლის მიწოდება ისლამში საუკეთესო საქმეებს მიეკუთვნება, მათი დიდი ღირსებისა და ადამიანების მუდმივი საჭიროების გამო.
3. ამ ორი თვისებით (სალამი და საჭმლის მიწოდება) სიტყვითა და ქმედებით კეთილშობილება ერთიანდება, რაც სრულყოფილი სიკეთეა.
4. ეს თვისებები შეეხება მუსლიმთა ურთიერთობებს ერთმანეთთან, მაგრამ არსებობს თვისებები, რომლებიც ეხება ადამიანის ურთიერთობას თავის ღმერთთან.
5. მისალმების დაწყება კონკრეტულად მუსლიმებს

შორისაა და არ შეიძლება ურწმუნოზე მისალმება დაიწყოს პირველმა მორწმუნემ.

(5808)

(212) – عَنْ أَبِي هُرَيْرَةَ رضي الله عنه قَالَ: قَالَ رَسُولُ اللهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ: «الْمُؤْمِنُ الْقَوِيُّ، خَيْرٌ وَأَحَبُّ إِلَى اللهِ مِنَ الْمُؤْمِنِ الضَّعِيفِ، وَفِي كُلٍّ خَيْرٌ، احْرِصْ عَلَى مَا يَنْفَعُكَ، وَاسْتَعِنْ بِاللهِ وَلَا تَعْجَزْ، وَإِنْ أَصَابَكَ شَيْءٌ، فَلَا تَقُلْ لَوْ أَنِّي فَعَلْتُ كَانَ كَذَا وَكَذَا، وَلَكِنْ قُلْ قَدَرُ اللهِ وَمَا شَاءَ فَعَلَ، فَإِنَّ (لَوْ) تَفْتَحُ عَمَلَ الشَّيْطَانِ». [صحيح] - [رواه مسلم]

(212) – აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ძლიერი მორწმუნე უფრო კარგი და საყვარელია ალლაჰისთვის სუსტ მორწმუნეზე, ხოლო ორივე მათგანში არის სიკეთე. იყავი მტკიცე იმაზე, რასაც შენთვის სარგებელი მოაქვს და მიეკედლე ალლაჰს და არ გამოიჩინო სისუსტე, და თუ რაიმე შეგემთხვევა არ თქვა: "მე რომ ასე გამეკეთებინა ასე და ასე იქნებოდა", არამედ თქვი: "ალლაჰის ბედისწერაა, მან რაც ისურვა, ის გააკეთა". რადგან "რომ" გზას უხსნის ეშმაკს». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა მუსლიმმა]

განმარტება:

მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტავს, რომ მორწმუნე სრულად არის სიკეთით სავსე, მაგრამ ძლიერი მორწმუნე — თავისი რწმენით, სიმტკიცით, ქონებითა და სხვა ძალის გამოვლინებებით — უკეთესია და უფრო საყვარელი უზენაესი ალლაჰისთვის, ვიდრე სუსტი მორწმუნე. შემდეგ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მოუწოდა მორწმუნეს, რომ მოეჯიდოს იმ მიზეზებს, რაც მისთვის სასარგებლოა ამქვეყნიურ და საიქიო საქმეებში, ალლაჰზე მინდობით, მისგან დახმარების თხოვნითა და მასზე დაყრდნობით. შემდეგ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) აკრძალა უძლურება, ზარმაცობა და სიზანტე იმ ქმედებებში, რომლებიც სასარგებლოა როგორც ამქვეყნიური, ასევე საიქიო ცხოვრებისთვის. თუ მორწმუნე გულმოდგინედ შრომობს, მოქმედებს მიზეზებზე დაყრდნობით, ალლაჰის დახმარებით და მისგან სიკეთეს ითხოვს, ამის შემდეგ მას აღარაფერია დარჩენილი, გარდა იმისა, რომ თავისი საქმე სრულიად ალლაჰს მიანდოს და იცოდეს, რომ ალლაჰის არჩევანი ყოველთვის საუკეთესოა. თუ ამის შემდეგ მას უბედურება შეემთხვევა, ნუ იტყვის: "მე რომ ასე გამეკეთებინა, ასე და ასე იქნებოდა"; „რადგან "რომ" ხსნის შაიტანის საქმეს," რაც გულისხმობს

უკმაყოფილებას ბედისწერის მიმართ და სინანულს წარსულზე. ამის ნაცვლად, უნდა თქვას ალლაჰის ბედისწერის დამორჩილებული და კმაყოფილი: "ეს არის ალლაჰის ნება და რაც მან ინება, ის მოხდა". რაც მოხდა, ის ალლაჰის ნებისა და სურვილის შესაბამისად მოხდა, რადგან ის ყველაფერს აკეთებს, რასაც ინებებს. მის განჩინებას ვერავინ შეაჩერებს, ვერც მის გადაწყვეტილებას შეცვლის.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ხალხი რწმენაში განსხვავდება.
2. საქმეში ძალისხმევის გამოვლენა სასურველია, რადგან მისი მეშვეობით მიიღწევა ისეთი სარგებელი, რასაც სისუსტით ვერ მიაღწევ.
3. ადამიანმა უნდა იზრუნოს იმაზე, რაც მისთვის სასარგებლოა, და განერიდოს იმას, რაც უსარგებლოა.
4. მორწმუნემ უნდა ითხოვოს ალლაჰის დახმარება ყველა საქმეში და არ დაეყრდნოს მხოლოდ საკუთარ თავს.
5. წინასწარგანჩინებისა და ბედისწერის დადასტურება, და ის არ ეწინააღმდეგება მიზეზებზე დაყრდნობასა და სიკეთის მოპოვებაში ძალისხმევის გამოჩენას.
6. აკრძალულია სიტყვა "რომ“ ან "თუ" გამოყენება

უკმაყოფილების გამოხატვის მიზნით უბედურების დროს და იკრძალება ალლაჰის ბედისწერასა და განაჩენზე შეპასუხება.

(5493)

(213) – عن ابن عمر رضي الله عنهما قال: قال رسولُ اللهِ صلّى الله عليه وسلّم: «مَا زَالَ يُوصِينِي جِبْرِيلُ بِالْجَارِ، حَتَّى ظَنَنْتُ أَنَّهُ سَيُوَرِّثُهُ». [صحيح] - [متفق عليه]

(213) – გადმოცემულია იბნ უმარისგან (ალლაჰი იყოს მისით და მისი მამით კმაყოფილი), რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ჯიბრილი არ წყვეტდა ჩემს დარიგებას, რომ მეზობლის მიმართ კარგი დამოკიდებულება მქონოდა (ისე დიდხანს), რომ ვფიქრობდი, რომ მან ის მემკვიდრეთა შორის შეიყვანა». [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გადმოსცემს, რომ ჯიბრიილ (მშვიდობა მას) მრავალჯერ უმეორებდა და ავალებდა, რომ მეზობლის მიმართ კარგი დამოკიდებულება ჰქონოდა, იქნებოდა ის ახლო მეზობელი, მუსლიმი თუ ურწმუნო, ნათესავი თუ არა. ეს გულისხმობდა მისი უფლებების დაცვას, მასზე ზიანის მიყენებისგან თავის არიდებას, სიკეთის კეთებას და მისი მხრიდან გამოწვეული უსიამოვნებების მოთმენას.

მეზობლის უფლებების უზარმაზარი მნიშვნელობის გამო და იმის გამო, რომ ჯიბრიილ (მშვიდობა მას) ასე ხშირად ახსენებდა ამას, მოციქულმა იფიქრა, რომ შესაძლოა, გამოეცხადებოდა მისთვის მემკვიდრეობის შესახებ, სადაც ერთ მეზობელს ექნებოდა უფლება მეორის ქონებაზე მისი სიკვდილის შემდეგ.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. მეზობლის უდიდესი უფლებები და მათი დაცვის ვალდებულება.
2. მეზობლის უფლებების ხაზგასმა ანდერძში ნიშნავს, რომ აუცილებელია მას პატივი სცე, კეთილგანწყობა გამოხატო და სიკეთე გაუწიო. ეს ასევე მოიცავს მის დაცვას ზიანისგან, მის მონახულებას ავადმყოფობისას, სასიხარულო შემთხვევების დროს მისთვის მილოცვას და უბედურების დროს მწუხარების გამოხატვას.
3. რაც უფრო ახლოს ცხოვრობს მეზობელი, მით უფრო ძლიერია მისი უფლებები.
4. შარიათის სრულყოფილება გამოიხატება იმაში, რომ იგი ავალებს ყველაფერს, რაც სარგებელს მოუტანს საზოგადოებას, მაგალითად, მეზობლისადმი კეთილგანწყობილ დამოკიდებულებას და მის დაცვას ზიანისგან.

(4965)

(214) – عن أبي الدَّرْدَاء رضي الله عنه عنِ النَّبيِّ صلّى الله عليه وسلّم قال: «مَنْ رَدَّ عَنْ عِرْضِ أَخِيهِ رَدَّ اللهُ عَنْ وَجْهِهِ النَّارَ يَوْمَ الْقِيَامَةِ». [صحيح] - [رواه الترمذي وأحمد]

(214) – გადმოცემულია აბუ დარდასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ შუამავალმა (ალლაჰმა დალოცოს და მიესალმოს მას) თქვა: «ვინც დაიცავს თავისი ძმის ღირსებას, ალლაჰი დაიცავს მის სახეს ცეცხლისგან განკითხვის დღეს». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა ათ-თირმიზიმ და აჰმადმა]

განმარტება:

მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) აცნობა, რომ ვინც თავისი მუსლიმი ძმის არყოფნაში დაიცავს მის ღირსებას, არ მისცემს სხვებს მისი გაკიცხვის ან შეურაცხყოფის უფლებას, ალლაჰი აღდგომის დღეს დაიცავს მას ტანჯვისგან.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. მუსლიმი ძმის ღირსების შელახვის აკრძალვა.
2. საზღაური საქმეების შესაფერისია. ვინც დაიცავს თავისი ძმის ღირსებას, ალლაჰი დაიცავს მას ცეცხლისგან.
3. ისლამი - ეს არის ძმობისა და ურთიერთდახმარების რელიგია.

(5514)

(215) – عن عائشةَ رضي الله عنها زوجِ النَّبيِّ صلّى الله عليه وسلّم، عنِ النَّبيِّ صلّى الله عليه وسلّم قال: «إِنَّ الرِّفْقَ لَا يَكُونُ فِي شَيْءٍ إِلَّا زَانَهُ، وَلَا يُنْزَعُ مِنْ شَيْءٍ إِلَّا شَانَهُ».

[صحيح] - [رواه مسلم]

(215) – გადმოცემულია აიშასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ჭეშმარიტად, შემწყნარებლობა ალამაზებს ყველაფერს, რაშიც ის არსებობს, და აფუჭებს ყველაფერს, რასაც იგი აკლია». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა მუსლიმმა]

განმარტება:

შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტავს რომ ლმობიერება, სირბილე და სიდინჯე სიტყვებსა და ქმედებებში ჰმატებს საქმეებს სილამაზეს, სრულყოფილებას და სიკეთეს. და ვინც ამ თვისებებს ფლობს უფრო მარტივად შეძლებს სასურველის მიღწევას.

ლმობიერების უქონლობა აფუჭებს საქმეებს, აუშნოებს მათ და ხელს უშლის საქმეთა მფლობელს სასურველი შედეგის მიღწევაში. ხოლო თუ ის მაინც მიაღწევს მიზანს, ეს დიდი სირთულეებით მოხდება.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. მოწოდება ლმობიერებისა და მოთმინებისკენ.

2. ლმობიერება ალამაზებს ადამიანს, ის არის ყოველი სიკეთის მიზეზი ამქვეყნადაც და იმქვეყნადაც.

(5796)

(216) – عن أنسِ بن مالكٍ رضي الله عنه عنِ النَّبيِّ صلّى الله عليه وسلّم قال: «يَسِّرُوا وَلَا تُعَسِّرُوا، وَبَشِّرُوا وَلَا تُنَفِّرُوا». [صحيح] - [متفق عليه]

(216) – ანას ბინ მაალიქი (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «გაადვილეთ და არ გაართულოთ, ახარეთ და არ შეაძულოთ». [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ბრძანებს შემსუბუქებას და გაადვილებას ხალხისთვის და მათგან სირთულის მოხსნას ყველა საქმეებში ამქვეყნიური თუ იმქვეყნიური, იმ საზღვრების ფარგლებში, რაც ალლაჰმა ნებადართულად ჰყო და დაადგინა.

და მოუწოდებს, გააცნოთ ადამიანებს კეთილი სიახლე, ისე, რომ არ დააშინოთ ისინი მისგან.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. აუცილებელია მორწმუნე ხალხს შეაყვაროს ალლაჰი და მოუწოდოს მათ სიკეთისკენ.

2. ის, ვინც მოუწოდებს ალლაჰის გზისკენ, უნდა უყურებდეს სიბრძნით, იმას თუ როგორ მიუტანოს ხალხს ისლამის მოწოდება.
3. კეთილი უწყება იწვევს სიხარულს, წარმატებას და ნდობას როგორც თვითონ მქადაგებლისადმი, ასევე იმ მოსაზრებებისადმი, რასაც ის ხალხს აწვდის.
4. გართულება კი იწვევს ზიზღს, ზურგის შექცევას და ეჭვებს მომწოდებლის სიტყვებში.
5. ალლაჰის დიდი წყალობაა თავის მსახურებზე, რომ მან აირჩია მათთვის მიმტევებელი რელიგია და ადვილი კანონმდებლობა.
6. გაადვილება, რასაც ალლაჰი ბრძანებს, არის ის, რითაც მოვიდა შარიათი.

(5866)

(217) – عن أنسٍ رضي الله عنه قال: كُنَّا عِنْدَ عُمَرَ فَقَالَ: «نُهِينَا عَنِ التَّكَلُّفِ».

[صحيح] - [رواه البخاري]

(217) – გადმოცემულია ანასისაგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მან თქვა: ერთხელ უმართან ვიმყოფებოდით და მან თქვა: «ჩვენ აგვეკრძალა გადაჭარბება». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა ალ-ბუხარიმ]

განმარტება:

უმარი გადმოსცემს (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) აუკრძალა მათ ისეთი რთული რამეებით დაკავება, რომლის საჭიროებაც არ არსებობს, იქნება ეს სიტყვები თუ ქმედებები.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. აკრძალული გადაჭარბება არის: ზედმეტი შეკითხვები, ან იტვირთოს ისეთი რამ, რაზეც მას ცოდნა არ აქვს, ან ძალიან მკაცრად უდგებოდეს საქმეს, რაშიც ალლაჰმა სიმსუბუქე დაადგინა.
2. მნიშვნელოვანია მუსლიმმა მიაჩვიოს საკუთარი თავი შემწყნარებლობას და არ გადააჭარბოს სიტყვებში და ქმედებებში: საკვებში, სასმელში, სიტყვებში და სხვა მდგომარეობებში.
3. ისლამი მარტივი რელიგიაა.

(8945)

(218) – عن ابن عمر رضي الله عنهما أنَّ رسولَ الله صلّى الله عليه وسلّم قال: «إِذَا أَكَلَ أَحَدُكُمْ فَلْيَأْكُلْ بِيَمِينِهِ، وَإِذَا شَرِبَ فَلْيَشْرَبْ بِيَمِينِهِ، فَإِنَّ الشَّيْطَانَ يَأْكُلُ بِشِمَالِهِ، وَيَشْرَبُ بِشِمَالِهِ». [صحيح] - [رواه مسلم]

(218) – აბდულლაჰ იბნ უმარის (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი) გადმოცემით, ალლაჰის შუამავალმა

(ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «როცა თქვენგან ვინმე ჭამს, დაე, ჭამოს მარჯვენა ხელით, და როცა სვამს, დაე, სვას მარჯვენა ხელით, რადგან სატანა ჭამს მარცხენა ხელით და სვამს მარცხენა ხელით». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა მუსლიმმა]

განმარტება:

მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უბრძანებს მუსლიმს ჭამოს და სვას მარჯვენა ხელით და უკრძალავს მარცხენა ხელით ჭამასა და სმას, რადგან სატანა ჭამს და სვამს მარცხენა ხელით.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. აკრძალულია სატანაზე მიმსგავსება მარცხენა ხელით ჭამით და სმით.

(58122)

(219) – عن عُمر بن أبي سَلَمَةِ رضي الله عنه قال: كُنْتُ غُلَامًا فِي حَجْرِ رَسُولِ اللهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ، وَكَانَتْ يَدِي تَطِيشُ فِي الصَّحْفَةِ، فَقَالَ لِي رَسُولُ اللهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ: «يَا غُلَامُ، سَمِّ اللهَ، وَكُلْ بِيَمِينِكَ، وَكُلْ مِمَّا يَلِيكَ» فَمَا زَالَتْ تِلْكَ طِعْمَتِي بَعْدُ. [صحيح] - [متفق عليه]

(219) – გადმოცემულია 'უმარ იბნ აბი სალამასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მან თქვა: "მე ვიყავი მოზარდი ალლაჰის მოციქულის (ალლაჰის

ლოცვა და მშვიდობა მას) მზრუნველობაში და ჩემი ხელი თეფშში აქეთ-იქით მოძრაობდა. ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მითხრა: «ბიჭუნა, თქვი ბისმილლაჰ (ალლაჰის სახელით), ჭამე მარჯვენა ხელით და იმ მხრიდან, რაც შენთან ახლოს არის». ამის შემდეგ ყოველთვის ასე ვჭამდი. [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

'უმარ იბნ აბუ სალამა (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი), რომელიც იყო მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მეუღლის უმმ სალამას (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) შვილი და მოციქულის მზრუნველობის ქვეშ იმყოფებოდა, გადმოსცემს, რომ ჭამის დროს ხელით საჭმელს თეფშის სხვადასხვა ადგილიდან იღებდა. მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მას ჭამის სამი ეთიკა ასწავლა:

პირველი: ჭამის დასაწყისში «ბისმილლაჰ» -ის (ალლაჰის სახელით) წარმოთქმა.

მეორე: მარჯვენა ხელით ჭამა.

მესამე: იმ მხრიდან საჭმლის ჭამა, რომელიც ახლოსაა.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ჭამისა და დალევის ეთიკიდან ერთ-ერთი არის დასაწყისში ალლაჰის სახელის მოხსენიება, ანუ ბისმილლაჰის თქმა.
2. ბავშვებისთვის ეთიკის სწავლება, განსაკუთრებით მათთვის, ვინც ადამიანის მზრუნველობის ქვეშაა.
3. მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გამოირჩეოდა სირბილით, სიკეთითა და მოთმინებით ბავშვებისთვის ზნეობის სწავლების დროს.
4. ერთ-ერთი წესი და ეტიკეტი, რომელიც საკვებთან არის დაკავშირებული, არის ის, რომ ადამიანი უნდა მიირთმევდეს იმ საკვებს, რომელიც პირდაპირ მის წინ არის მოთავსებული. გამონაკლისია ის შემთხვევები, როდესაც სუფრაზე სხვადასხვა სახის კერძები არის შემოთავაზებული. ასეთ შემთხვევაში, შესაძლებელია იმ კერძების აღება, რომლებიც პირდაპირ მის წინ არ არის მოთავსებული.
5. მოწაფეები (საჰაბები) მიჰყვებოდნენ იმ ეტიკეტს, რომელსაც მოციქული მუჰამმადი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ასწავლიდა მათ. ეს მტკიცდება 'უმარის სიტყვებით: «მას შემდეგ ყოველთვის ასე ვჭამდი»

(220) – عن أنسِ بن مالكٍ رضي الله عنه قال: قال رسولُ الله صلّى الله عليه وسلّم: «إِنَّ اللهَ لَيَرْضَى عَنِ الْعَبْدِ أَنْ يَأْكُلَ الْأَكْلَةَ فَيَحْمَدَهُ عَلَيْهَا، أَوْ يَشْرَبَ الشَّرْبَةَ فَيَحْمَدَهُ عَلَيْهَا». [صحيح] - [رواه مسلم]

(220) – ანას ბინ მაალიქის (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოცემით, მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ჭეშმარიტად, ალლაჰი კმაყოფილია თავის მსახურით, რომელიც ადიდებს მას ყოველი ნაჭამი ლუკმისა და ყოველი დალეული ყლუპისთვის». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა მუსლიმმა]

განმარტება:

შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტავს, რომ მსახურის მადლიერება თავისი ღმერთის მიმართ მასზე ბოძებული სიკეთისა და წყალობისთვის, ალლაჰის კმაყოფილების ერთ-ერთი მიზეზია. როცა ის მიირთმევს საკვებს და ამბობს: დიდება ალლაჰს/ალჰამდულილლაჰ, სვამს დასალევს და ამბობს: დიდება ალლაჰს/ალჰამდულილლაჰ.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. უზენაესი ალლაჰის ხელგაშლილობა, რადგან მან მოგვცა სარჩო და კმაყოფილია ჩვენი მადლიერებით.
2. ალლაჰის კმაყოფილების მიღწევა ყველაზე

მარტივი გზებით, მაგალითად, მადლიერების გამოხატვით ჭამისა და დალევის შემდეგ.

3. ჭამა-სმის ეთიკიდან არის: უზენაეს ალლაჰზე მადლობის გადახდა ჭამისა და დალევის შემდეგ.

(5798)

(221) – عَنْ سَلَمَةَ بْنِ الْأَكْوَعِ رضي الله عنه: أَنَّ رَجُلًا أَكَلَ عِنْدَ رَسُولِ اللهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ بِشِمَالِهِ، فَقَالَ: «كُلْ بِيَمِينِكَ»، قَالَ: لَا أَسْتَطِيعُ، قَالَ: «لَا اسْتَطَعْتَ»، مَا مَنَعَهُ إِلَّا الْكِبْرُ، قَالَ: فَمَا رَفَعَهَا إِلَى فِيهِ. [صحيح] - [رواه مسلم]

(221) – სალამა იბნ ალ-აქვა' (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს: ერთმა კაცმა ალლაჰის შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვერდით მარცხენა ხელით მიირთვა, და უთხრა მას: «მარჯვენა ხელით ჭამე». მან უპასუხა: არ შემიძლია. შუამავალმა თქვა: «არც შეგძლებოდეს, არაფერი უშლის მას ხელს ამაში, გარდა სიამაყისა», თქვა (გადმომცემმა): და ამის მერე მას პირთან ხელი არ წაუღია. (იგულისხმება მარჯვენა ხელი) [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა მუსლიმმა]

განმარტება:

შუმავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) დაინახა კაცი, რომელიც მარცხენა ხელით მიირთმევდა, და უბრძანა მას, რომ მარჯვენა ხელით ეჭამა, კაცმა კი

სიამაყით და ტყუილით უპასუხა, რომ არ შეეძლო! შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) დაწყევლა ის, რომ არ შესძლებოდა მარჯვენათი ჭამა, ალლაჰმა ისმინა შუამავლის ვედრება და ამ პიროვნებამ მარჯვენა ხელის ინსულტი მიიღო, და ამის შემდეგ არასდროს აღარ შეუჭამია და აღარ დაულევია მარჯვენა ხელით.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. მარჯვენა ხელით ჭამა სავალდებულოა, მარცხენა ხელით ჭამა აკრძალულია.
2. შარიათის დადგენილებების შესრულებისას სიამაყის გამოჩენა დანაშაულია და დასჯას ითვალისწინებს.
3. ალლაჰის წყალობა მუჰამმადზე (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მისი ვედრების შესმენით.
4. სიკეთისკენ მოწოდება და ბოროტების დაგმობა დაშვებულია ყველა მდგომარეობაში, საკვების მიღების დროსაც კი.

(3372)

(222) – عَنِ ابْنِ عَبَّاسٍ رضي الله عنهما قَالَ: قَالَ رَسُولُ اللَّهِ صَلَّى اللَّهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ: «إِنَّ اللَّهَ يُحِبُّ أَنْ تُؤْتَى رُخَصُهُ، كَمَا يُحِبُّ أَنْ تُؤْتَى عَزَائِمُهُ». [صحيح] - [رواه ابن حبان]

(222) – გადმოცემულია იბნ აბბასისგან (ალლაჰი იყოს მისით და მისი მამით კმაყოფილი), რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ჭეშმარიტად, ალლაჰს უყვარს, რომ მისი შემსუბუქება მიიღონ ისევე, როგორც უყვარს, რომ მისი ბრძანებები შესრულდეს». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა იბნ მააჯამ]

განმარტება:

ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნობს, რომ ალლაჰს უყვარს, რომ მის მიერ დაშვებული (გაადვილებული წესები) დათმობები, როგორიცაა შემსუბუქებები წესებსა და თაყვანისცემაში, შესრულდეს იმ შემთხვევაში, როდესაც ამის მიზეზი არსებობს – მაგალითად, ლოცვის შემოკლება ან გაერთიანება მოგზაურობის დროს. ასევე ალლაჰს უყვარს, რომ მისი მკაცრი დავალებები შესრულდეს, რაც მოიცავს სავალდებულო საქმეებს, რადგან ალლაჰის ბრძანება ერთნაირად მნიშვნელოვანია როგორც დათმობებში, ასევე მკაცრ წესებში.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ალლაჰის წყალობა თავის მონებზე გამოხატულია იმით, რომ მას უყვარს, როდესაც მორწმუნეები სარგებლობენ მის მიერ დაშვებული დათმობებით და გამარტივებებით.

2. ისლამური შარიათის სრულყოფილება და ის, რომ ის ათავისუფლებს მუსლიმს სირთულეების ტვირთისგან.

(65017)

(223) – عن أبي هريرةَ رضي الله عنه قال: قال رسول الله صلّى الله عليه وسلّم: «مَنْ يُرِدِ اللهُ بِهِ خَيْرًا يُصِبْ مِنْهُ». [صحيح] - [رواه البخاري]

(223) – აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოგვცემს, რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ვისთვისაც ალლაჰს უნდა სიკეთე, გამოცდის მას». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა ალ-ბუხარიმ]

განმარტება:

მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნობს, რომ თუ ალლაჰს სურს სიკეთე მისი რომელიმე მორწმუნე მონისთვის, ის აყენებს მას განსაცდელში საკუთარი თავის, ქონების ან ოჯახის მიმართ. ამ განსაცდელთა შედეგად მორწმუნე ალლაჰს მიმართავს მორჩილებითა და ვედრებით, რომლის შემდეგაც ხდება მისი ცუდი საქმეების გამოსყიდვა და ხარისხებით ამაღლება.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. მუსლიმი მრავალი სახის განსაცდელს შეხვდება.

2. ტანჯვა ალლაჰის სიყვარულის ნიშანი შეიძლება იყოს მისი მონის მიმართ, რათა ალლაჰმა ის ხარისხით აამაღლოს, მისი რანგი გაამაღლოს და მისთვის ცოდვები გამოისყიდოს.
3. მოწოდება შფოთვის თავიდან აცილებისა და მოთმინების გამოჩენისკენ უბედურების წინაშე.

(4204)

(224) – عَنْ أَبِي سَعِيدٍ الْخُدْرِيِّ وَعَنْ أَبِي هُرَيْرَةَ رضي الله عنهُمَا عَنِ النَّبِيِّ صلّى الله عليه وسلّم قَالَ: «مَا يُصِيبُ الْمُسْلِمَ مِنْ نَصَبٍ وَلَا وَصَبٍ وَلَا هَمٍّ وَلَا حُزْنٍ وَلَا أَذًى وَلَا غَمٍّ حَتَّى الشَّوْكَةِ يُشَاكُهَا إِلَّا كَفَّرَ اللهُ بِهَا مِنْ خَطَايَاهُ». [صحيح] - [متفق عليه]

(224) – გადმოსცემს აბუ სა'იდ ალ-ხუდრი, და აბუ ჰურეირა (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი), რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «რაც არ უნდა შეემთხვეს მუსლიმს: დაღლილობა, ავადმყოფობა, შფოთვა, მწუხარება, უსიამოვნება, სევდა ან თუნდაც ეკლის ჩხვლეტა — ალლაჰი აუცილებლად აპატიებს მას ამის გამო [რაიმეს] მისი ცოდვებიდან». [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტავს, რომ რაც არ უნდა შეემთხვეს მუსლიმს: ავადმყოფობა, წუხილი, სევდა, უბედურება,

განსაცდელი, სირთულე, შიში თუ შიმშილი - ეკალიც კი რომელიც შეესობა და აწუხებს - ეს ყველაფერი მისი ცოდვების გამოსასყიდი და ცოდვების წაშლის მიზეზი იქნება.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ალლაჰის სიკეთის და წყალობის განმარტება თავისი მორწმუნე მსახურთა მიმართ. მის მიერ ცოდვების პატიება მათზე თავს დამტყდარი მცირე უბედურების გამოც კი.
2. მუსლიმს უნდა ჰქონდეს ალლაჰისგან ჯილდოს მიღების იმედი იმ ყველაფრისთვის, რაც მას შეემთხვევა, და გამოიჩინოს მოთმინება როგორც მცირე, ასევე დიდ სირთულეებთან შეხვედრისას, რათა ეს გახდეს მისი აღმატებულების მიზეზი და ცოდვების გამოსყიდვის საფუძველი.

(3701)

(225) – عن أبي موسى الأشعريِّ رضي الله عنه قال: قال رسولُ الله صلّى الله عليه وسلّم: «إِذَا مَرِضَ الْعَبْدُ أَوْ سَافَرَ كُتِبَ لَهُ مِثْلُ مَا كَانَ يَعْمَلُ مُقِيمًا صَحِيحًا». [صحيح] - [رواه البخاري]

(225) – აბუ მუსა ალ-აშ'არი (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «როდესაც

მონა ავად გახდება ან სამოგზაუროდ წავა, მისთვის დაიწერება იმ საქმეების მსგავსი, რასაც ის ჯანმრთელად მყოფი გამგზავრებამდე აკეთებდა». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა ალ-ბუხარიმ]

განმარტება:

ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნობს ალლაჰის სიკეთისა და წყალობაზე. თუ მორწმუნე ჩვეულებრივ აკეთებდა კეთილ საქმეს ჯანმრთელობისას და გამგზავრებამდე, მაგრამ შემდეგ რაიმე მიზეზის გამო ავად გახდა და აღარ შეეძლო მისი შესრულება, ან მოგზაურობის გამო ვერ მოახერხა ამ საქმის გაგრძელება, ან სხვა მიზეზით ვერ შეძლო, მას მაინც დაეწერება სრული ჯილდო, თითქოს ეს საქმე ჯანმრთელობისა და სახლში ყოფნისას შეესრულებინოს.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ალლაჰის სიკეთის სიფართოვე მის მონებზე.
2. მოწოდება თაყვანისცემაში გულმოდგინებისკენ და დროის გამოყენებისკენ იმ პერიოდში, როცა ადამიანი ჯანმრთელობაში და თავისუფალ დროში იმყოფება.

(3553)

(226) – عن معاويةَ رضي الله عنه قال: سمعتُ النَّبيَّ صلّى الله عليه وسلّم يقول: «مَنْ يُرِدِ اللهُ بِهِ خَيْرًا يُفَقِّهْهُ فِي الدِّينِ، وَإِنَّمَا أَنَا قَاسِمٌ، وَاللهُ يُعْطِي، وَلَنْ تَزَالَ هَذِهِ الْأُمَّةُ قَائِمَةً عَلَى أَمْرِ اللهِ، لَا يَضُرُّهُمْ مَنْ خَالَفَهُمْ، حَتَّى يَأْتِيَ أَمْرُ اللهِ». [صحيح] - [متفق عليه]

(226) – გადმოცემულია მუ'ავიასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომელმაც თქვა: გავიგონე, რომ მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამბობდა: «ვისაც ალლაჰი სიკეთეს უსურვებს, მას რელიგიის გაგებას ანიჭებს. ჭეშმარიტად, მე მხოლოდ გამანაწილებელი ვარ, ხოლო მბოძებელი ალლაჰია. ეს საზოგადოება არ შეწყვეტს ალლაჰის ბრძანებების მტკიცედ შესრულებას, და მათ არ ავნებენ ისინი, ვინც მათ შეეწინააღმდეგებათ (ასე გაგრძელდება) მანამ, სანამ არ მოვა ალლაჰის განკარგულება». [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

შუმავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნობს, რომ ვისთვისაც ალლაჰს სიკეთე უნდა უწყალობებს თავის რელიგიის გაგებას, ყოვლად უნაკლოა ის (ალლაჰი). შუამავალი კი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) არის გამნაწილებელი, ანაწილებს და არიგებს იმას, რაც უზენაესმა ალლაჰმა მისცა მას: წყალობა, ცოდნა და სხვა. ჭეშმარიტი მბოძებელი

ალლაჰია, ხოლო დანარჩენები მხოლოდ შუამავლები არიან, რომლებსაც სარგებლის მოტანა შეუძლიათ მხოლოდ ალლაჰის ნებართვით. ეს საზოგადოება მტკიცედ დაიცავს ალლაჰის ბრძანებებს, და ვერავინ ავნებს მათ, ვინც მათ საწინააღმდეგოდ იმოქმედებს, ვიდრე არ დადგება განკითხვის დღე.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ამ ჰადისში გამოიხატება შარიათული ცოდნის სიძვირფასე და სიკეთე, მისი სწავლა და ამ ცოდნის მიღებისკენ მოწოდება.
2. ამ უმმაში (საზოგადოებაში) უნდა არსებობდეს უფლებებისა და ვალდებულებების შესრულება, და თუ ერთი ჯგუფი უარს იტყვის მათ შესრულებაზე, აუცილებლად გამოჩნდება სხვა, რომელიც ამას იტვირთავს.
3. რელიგიის გაგება არის ერთ-ერთი ნიშანი იმისა, რომ ყოვლისშემძლე ალლაჰი სიკეთეს უსურვებს თავის მონას.
4. მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) აძლევს მხოლოდ ალლაჰის ბრძანებით და ნებით, ხოლო თავად არაფრის მფლობელი არ არის.

(5518)

(227) – عَنْ جَابِرِ بْنِ عَبْدِ اللَّهِ رضي الله عنهُمَا أَنَّ النَّبِيَّ صَلَّى اللَّهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ قَالَ: «لَا تَعَلَّمُوا الْعِلْمَ لِتُبَاهُوا بِهِ الْعُلَمَاءَ، وَلَا لِتُمَارُوا بِهِ السُّفَهَاءَ، وَلَا تَخَيَّرُوا بِهِ الْمَجَالِسَ، فَمَنْ فَعَلَ ذَلِكَ، فَالنَّارُ النَّارُ». [صحيح] - [رواه ابن ماجه]

(227) – გადმოცემულია ჯაბირ იბნ აბდულლაჰისგან (ალლაჰი იყოს კმაყოფილი მათით), რომ ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ნუ შეიძენთ ცოდნას იმისთვის, რომ ამაყობდეთ სწავლულების წინაშე, კამათობდეთ უგუნურებთან ან დაიკავოთ უპირატესობა შეკრებებზე. თუ ვინმე ასე მოიქცევა, ცეცხლი, ცეცხლი [იქნება მისი სამყოფელი]». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა იბნ მააჯამ]

განმარტება:

მოციქულმა მუჰამმადმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გააფრთხილა თავისი ხალხი ცოდნის ძიებისგან იმ მიზნით, რომ სწავლულების წინაშე ტრაბახობდეს და იამაყოს მისით, ან იმისთვის, რომ გამოჩნდე ისე, თითქოს შენც ისეთივე სწავლული ხარ, როგორც ისინი. ან რომ ცოდნა გამოიყენო, რათა კამათობდე უმეცრებთან და გონებრივად სუსტებთან. ასევე გააფრთხილა ისინი, ვინც ცოდნას იძენს მხოლოდ იმისთვის, რომ თავყრილობების თავში იყოს და სხვებზე მაღლა გამოაჩინოს თავი. ვინც ასე იქცევა, ის

ჯოჯოხეთის ცეცხლს იმსახურებს მისი მოჩვენებითი საქმისთვის და ალლაჰისთვის ცოდნის ძიებაში არა გულწრფელობისთვის.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ჯოჯოხეთის ცეცხლით მუქარა ეკუთვნის იმას, ვინც ღებულობს ცოდნას იმისთვის, რომ იტრაბახოს, იკამათოს ან დაიკავოს თავშეყრის ცენტრი და მისი მსგავსი.
2. მნიშვნელობა იმისა, რომ ცოდნის მიღებისა და მისი სხვებისთვის სწავლებისას ადამიანს ჰქონდეს გულწრფელი განზრახვა.
3. განზრახვა - ქმედებების საფუძველია, და მასზეა დამოკიდებული საზღაური.

(65047)

(228) – عن عثمانَ رضي الله عنه عنِ النَّبيِّ صلّى الله عليه وسلّم قال: «خَيْرُكُمْ مَنْ تَعَلَّمَ الْقُرْآنَ وَعَلَّمَهُ». [صحيح] - [رواه البخاري]

(228) – გადმოცემულია უსმანისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მოციქულმა მუჰამმადმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «თქვენს შორის საუკეთესო ის არის, ვინც სწავლობს ყურანს და ასწავლის სხვას». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა ალ-ბუხარიმ]

განმარტება:

შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნობს, რომ მუსლიმთა შორის საუკეთესო და მათ შორის ყველაზე მაღალ საფეხურზე მყოფი ალლაჰის წინაშე არის ის, ვინც ისწავლა ყურანი კითხვით, ზეპირად, თაჯვიდით, მასში გადმოცემულზე ფიქრებით და განმარტებით. შემდეგ სხვასაც ასწავლის იმას, რასაც ის ფლობს ყურანის ირგვლივ, ასევე მოჰყავს ის პრაქტიკაში და ცხოვრობს ყურანის ცოდნით.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ყურანის სიძვირფასის განმარტება. ის არის საუკეთესო სიტყვა, რადგანაც ის ალლაჰის სიტყვაა.
2. ნასწავლთ შორის საუკეთესო არის ის, ვინც სხვასაც ასწავლის და არა ის, ვინც მხოლოდ თავისთვის სწავლობს.
3. ყურანის სწავლა და სწავლება მოიცავს მისი კითხვის, მნიშვნელობების განმარტებისა და მასში მოცემული კანონების სწავლას.

(5913)

(229) – عَنْ أَبِي عَبْدِ الرَّحْمَنِ السُّلَمِي رَحِمَهُ الله قَالَ: حَدَّثَنَا مَنْ كَانَ يُقْرِئُنَا مِنْ أَصْحَابِ النَّبِيِّ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ أَنَّهُمْ كَانُوا يَقْتَرِئُونَ مِنْ رَسُولِ اللهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ

وَسَلَّمَ عَشْرَ آيَاتٍ، فَلَا يَأْخُذُونَ فِي الْعَشْرِ الْأُخْرَى حَتَّى يَعْلَمُوا مَا فِي هَذِهِ مِنَ الْعِلْمِ وَالْعَمَلِ، قَالُوا: فَعَلِمْنَا الْعِلْمَ وَالْعَمَلَ. [حسن] - [رواه أحمد]

(229) – აბუ აბდურრაჰმან ას-სულლამიმ (ალლაჰმა შეიწყალოს ის) თქვა: მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) საჰაბები, რომლებიც გვასწავლიდნენ ყურანს, გვიყვებოდნენ, რომ მათ ალლაჰის მოციქულისგან ათ-ათ აიათს სწავლობდნენ, და არ იღებდნენ სხვა ათ აიათს, სანამ არ გაიგებდნენ, რა ცოდნა და ქმედება იყო მათში. ისინი ამბობდნენ: 'ჩვენ ვსწავლობდით ცოდნას და ქმედებებს'. [კარგი (ჰასან)] - [გადმოსცა აჰმადმა]

განმარტება:

საჰაბები (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი) სწავლობდნენ ალლაჰის მოციქულისგან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ყურანს ათ-ათი აიათის მიხედვით. ისინი არ გადადიოდნენ შემდეგ აიათებზე, სანამ არ ისწავლიდნენ ამ ათ აიათში მოცემულ ცოდნას და არ დაიწყებდნენ მის პრაქტიკაში გამოყენებას. ამ გზით ისინი იძენდნენ როგორც ცოდნას, ასევე მოქმედებდნენ მის მიხედვით ერთდროულად.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. საჰაბების ღირსება (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი) და მათი მისწრაფება ყურანის

შესწავლისკენ.

2. ყურანი უნდა შეისწავლებოდეს ცოდნის მიღებით და მის მიხედვით ქმედებებით, და არა უბრალოდ მისი კითხვითა და დაზეპირებით.
3. ცოდნა არის სიტყვაზე და ქმედებაზე წინ.

(65058)

(230) – عن عبدِ الله بن مسعودٍ رضي الله عنه قال: قال رسولُ اللهِ صلّى الله عليه وسلّم: «مَنْ قَرَأَ حَرْفًا مِنْ كِتَابِ اللهِ فَلَهُ بِهِ حَسَنَةٌ، وَالْحَسَنَةُ بِعَشْرِ أَمْثَالِهَا، لَا أَقُولُ {الم} حَرْفٌ، وَلَكِنْ {أَلِفٌ} حَرْفٌ، وَ{لَامٌ} حَرْفٌ، وَ{مِيمٌ} حَرْفٌ». [حسن] - [رواه الترمذي]

(230) – გადმოცემულია აბდულლაჰ იბნ მას'უდისგან, რომელმაც თქვა: გავიგონე, რომ შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამბობდა: «ვინც წაიკითხავს ალლაჰის წიგნიდან ერთ ასოს, მას დაეწერება ერთი მადლი, რომელიც უდრის ათ მადლს. მე არ ვამბობ, რომ ალიფ ლამ მიმ ერთი ასოა, არამედ ალიფი ერთი ასოა, ლამ ერთი ასოა და მიმ ერთი ასოა». [კარგი (ჰასან)] - [გადმოსცა ათ-თირმიზიმ]

განმარტება:

შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნო, რომ ნებისმიერი მუსლიმი, რომელიც წაიკითხავს ალლაჰის წიგნიდან ერთ ასოს, მას დაეწერება ერთი მადლი, რომელიც ათმაგად

გაეზრდება.

შემდეგ განმარტა: "მე არ ვამბობ, რომ ალიფ ლაამ მიმ ერთი ასოა, არამედ ალიფი ერთი ასოა, ლამ ერთი ასოა და მიმ ერთი ასოა": ეს იქნება სამი ასო და სამი ასოსთვის ის მიიღებს ოცდაათ მადლს.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. მოწოდება ყურანის ხშირად კითხვისკენ.
2. წამკითხველს ყოველი წაკითხულ სიტყვაში, ყოველ ასოზე ექნება ერთი მადლი და ეს მადლი მას ათმაგად გაეზრდება.
3. ალლაჰის უდიდესი წყალობა და კეთილშობილება, რამეთუ თავის მსახურს უორმაგებს მადლს თავისი წყალობით და ხელგაშლილობით.
4. ყურანის სიძვირფასე სხვა ყველა სიტყვასთან შედარებით, მისი წაკითხვა ღვთისმსახურებაა; იმიტომ, რომ ის უზენაესი ალლაჰის სიტყვებია.

(6275)

(231) – عَنْ عَبْدِ اللَّهِ بْنِ عَمْرٍو رَضِيَ اللَّهُ عَنْهُمَا قَالَ: قَالَ رَسُولُ اللَّهِ صَلَّى اللَّهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ: «يُقَالُ لِصَاحِبِ الْقُرْآنِ: اقْرَأْ وَارْتَقِ، وَرَتِّلْ كَمَا كُنْتَ تُرَتِّلُ فِي الدُّنْيَا، فَإِنَّ مَنْزِلَكَ عِنْدَ آخِرِ آيَةٍ تَقْرَؤُهَا». [حسن] - [رواه أبو داود والترمذي والنسائي في الكبرى وأحمد]

(231) – გადმოცემულია აბდულლაჰ იბნ 'ამრისგან (ალლაჰი იყოს მათი ორივეთი კმაყოფილი): თქვა ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას): «ყურანის მცოდნეს განკითხვის დღეს ეტყვიან: 'იკითხე და ამაღლდი. იკითხე მოზომილად და კარგად, როგორც კითხულობდი მიწიერ ცხოვრებაში, და შენი ადგილი იქნება იქ, სადაც წაიკითხავ ბოლო აიათს». [კარგი (ჰასან)] - [გადმოსცა აბუ დაუდმა, ათ-თირმიზიმ, ან-ნასაიმ ალ-ქუბრაში და აჰმადმა]

განმარტება:

ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნო, რომ ყურანის მკითხველს, რომელიც მის მიხედვით მოქმედებს და მუდმივად კითხულობს მას და იზეპირებს, როდესაც ის სამოთხეში შევა, ეტყვიან: "იკითხე ყურანი და ამაღლდი სამოთხის საფეხურებზე, წაიკითხე თართილით (მელოდიურად), როგორც კითხულობდი მიწიერ ცხოვრებაში, რადგან შენი ადგილი სამოთხეში დამოკიდებულია იმ აიათზე, რომელსაც ბოლოს წაიკითხავ".

ჰადისის სარგებლობიდან:

1. საზღაური და ჯილდო დამოკიდებულია ადამიანის ქმედებების რაოდენობაზე და ხარისხზე.

2. ყურანის კითხვის, მისი სრულყოფილი ცოდნის, დამახსოვრების, მასზე დაფიქრების და მისი სწავლებისამებრ მოქმედების წახალისება.
3. სამოთხეში ბევრი ხარისხი და საფეხურია. ყურანის მცოდნეები სამოთხეში აღწევენ ყველაზე მაღალ ხარისხებს.

(65054)

(232) – عَنْ أَبِي هُرَيْرَةَ رضي الله عنه قَالَ: قَالَ رَسُولُ اللهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ: «أَيُحِبُّ أَحَدُكُمْ إِذَا رَجَعَ إِلَى أَهْلِهِ أَنْ يَجِدَ فِيهِ ثَلَاثَ خَلِفَاتٍ عِظَامٍ سِمَانٍ؟» قُلْنَا: نَعَمْ. قَالَ: «فَثَلَاثُ آيَاتٍ يَقْرَأُ بِهِنَّ أَحَدُكُمْ فِي صَلَاتِهِ خَيْرٌ لَهُ مِنْ ثَلَاثِ خَلِفَاتٍ عِظَامٍ سِمَانٍ».

[صحيح] - [رواه مسلم]

(232) – აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს კმაყოფილი მისით) გადმოსცემს, რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «სურს რომელიმე თქვენგანს, როცა თავის ოჯახს დაუბრუნდება, იქ სამი დიდი და მსუქანი მაკე აქლემი დახვდეს?» ჩვენ ვუპასუხეთ: "დიახ". მან თქვა: «სამი აიათი, რომელთაც რომელიმე თქვენგანი წაიკითხავს თავის ლოცვაში უკეთესია მისთვის, ვიდრე სამი დიდი, მსუქანი აქლემი». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა მუსლიმმა]

განმარტება:

ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტავს, რომ ლოცვაში სამი აიათის წაკითხვის საზღაური უკეთესია, ვიდრე ადამიანს თავის სახლში სამი დიდი და მსუქანი მაკე აქლემი დახვდეს.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ყურანის კითხვის სიკეთის განმარტება ლოცვაში.
2. კეთილი საქმეები უკეთესია და უფრო ხანგრძლივია ამ სამყაროს დროებით სიკეთეებზე.
3. ეს სიკეთე არ არის შემოფარგლული მხოლოდ სამი აიათის წაკითხვით; რაც უფრო მეტი აიათი წაიკითხება მლოცველის მიერ ლოცვაში, მით უფრო დიდი იქნება მათი საზღაური. თითოეული აიათის ჯილდო უკეთესია, ვიდრე იგივე რაოდენობის აქლემები.

(65053)

(233) – عن أبي موسى الأشعريُّ رضي الله عنه عنِ النَّبيِّ صلّى الله عليه وسلّم قال: «تَعَاهَدُوا هَذَا الْقُرْآنَ، فَوَالَّذِي نَفْسُ مُحَمَّدٍ بِيَدِهِ لَهُوَ أَشَدُّ تَفَلُّتًا مِنَ الْإِبِلِ فِي عُقُلِهَا».

[صحيح] - [متفق عليه]

(233) – გადმოცემულია აბუ მუსა ალ-აშ'არისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ შუამავალმა

(ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «მალ-მალე წაიკითხეთ ხოლმე ეს ყურანი, ვფიცავ მას, ვის ხელშიცაა მუჰამმადის სული, მისი (ყურანის) გონებიდან წაშლა და დავიწყება უფრო ადვილად ხდება, ვიდრე აქლემის აშვება მისი საბელიდან». [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ყოველთვის ყურანის კითხვა ბრძანა, რათა არ იქნეს დავიწყებული ის, რაც დაიზეპირეს. და ეს მან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ფიცით დაადასტურა, რომ მისი დავიწყება და გონებიდან წაშლა უფრო მარტივია, ვიდრე დაბმული და გაბორკილი აქლემის აშვება, როდესაც მას ფეხებზე აქვს თოკი დახვეული (რათა არ გაიქცეს). თუ ადამიანი მას დაიცავს - შეინარჩუნებს, თუ გაუშვებს - წავა და დაკარგავს.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. თუ ყურანის ზეპირად მცოდნე მას რეგულარულად და განმეორებით წაიკითხავს, ის დარჩება მის მეხსიერებაში; წინააღმდეგ შემთხვევაში, ის დაივიწყებს ყურანს და დაკარგავს მას.

2. ყურანის მალ-მალე გამეორების სარგებლიანობაა: ჯილდო და მადლი და მაღალი საფეხურის მიღწევა განკითხვის დღეს.

(5907)

(234) – عن أبي هريرةَ رضي الله عنه: أنَّ رسولَ الله صلّى الله عليه وسلّم قال: «لَا تَجْعَلُوا بُيُوتَكُمْ مَقَابِرَ، إِنَّ الشَّيْطَانَ يَنْفِرُ مِنَ الْبَيْتِ الَّذِي تُقْرَأُ فِيهِ سُورَةُ الْبَقَرَةِ».

[صحيح] - [رواه مسلم]

(234) – გადმოცემულია აბუ ჰურაირასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «არ გადააქციოთ თქვენი სახლები სასაფლაოებად, უეჭველად, ეშმაკი გაურბის იმ სახლს, სადაც სურა "ალ-ბაყარა" იკითხება». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა მუსლიმმა]

განმარტება:

შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) კრძალავს, რომ სახლები დაემსგავსოს სასაფლაოებს, სადაც ლოცვა არ სრულდება.

შემდეგ გვამცნო (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას), რომ ეშმაკი გაურბის იმ სახლს, სადაც სურა "ალ-ბაყარა" იკითხება.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. სასურველია სახლებში ნებაყოფლობითი ლოცვებისა და სხვა ღვთისმსახურების გაზრდა.
2. სასაფლაოებზე ლოცვის შესრულება არ შეიძლება; რადგან ეს არის შირქისკენ მიმავალი ერთერთი საშუალება და გადაჭარბება გარდაცვლილთა პატივისცემაში, გარდა ჯანაზა (გარდაცვლილის განსასვენებელი ლოცვა) ლოცვისა.
3. ლოცვის აკრძალვა სასაფლაოებზე, რომელიც საჰაბების დროს უკვე აკრძალული იყო, ამის გამო თქვა შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას), რომ სახლები არ დამსგავსებოდა სასაფლაოებს, სადაც ლოცვა არ სრულდება.

(6208)

(235) – عَنْ أُبَيِّ بْنِ كَعْبٍ رضي الله عنه قَالَ: قَالَ رَسُولُ اللهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ: «يَا أَبَا الْمُنْذِرِ، أَتَدْرِي أَيُّ آيَةٍ مِنْ كِتَابِ اللهِ مَعَكَ أَعْظَمُ؟» قَالَ: قُلْتُ: اللهُ وَرَسُولُهُ أَعْلَمُ. قَالَ: «يَا أَبَا الْمُنْذِرِ، أَتَدْرِي أَيُّ آيَةٍ مِنْ كِتَابِ اللهِ مَعَكَ أَعْظَمُ؟» قَالَ: قُلْتُ: {اللهُ لَا إِلَهَ إِلَّا هُوَ الْحَيُّ الْقَيُّومُ} [البقرة: 255]. قَالَ: فَضَرَبَ فِي صَدْرِي، وَقَالَ: «وَاللهِ لِيَهْنِكَ الْعِلْمُ، أَبَا الْمُنْذِرِ». [صحيح] - [رواه مسلم]

(235) – უბაი იბნ ქა'ბმა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) თქვა: თქვა ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას): «ო, აბა ალ-მუნზირ

იცი, რომელი აიათია ალლაჰის წიგნიდან ყველაზე დიდებული?» მე ვუპასუხე: "ალლაჰმა და მისმა მოციქულმა უკეთ იციან". მან კვლავ თქვა: «ო, აბა ალ-მუნზირ, იცი, რომელი აიათია ალლაჰის წიგნიდან ყველაზე დიდებული?» თქვა: ვუთხარი: {არ არის ღვთაება, ალლაჰის, უკვდავის, მარადისის გარდა, თვლემა არ ეუფლება მას და არც ძილი} [ალ-ბაყარა: 255] თქვა: ამის შემდეგ შუამავალმა დაარტყა ჩემს მკერდს და თქვა: «წარმატება გქონდეს ცოდნაში, ო, აბა ალ-მუნზირ». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა მუსლიმმა]

განმარტება:

ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ჰკითხა უბაი იბნ ქა'აბას, თუ რომელი აიათია ალლაჰის წიგნში ყველაზე დიდებული. იგი თავდაპირველად მერყეობდა პასუხის გაცემაში, შემდეგ თქვა: ეს არის: "აიათულ ქურსი", მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მხარი დაუჭირა და დაარტყა მკერდზე, რაც აღნიშნავდა იმას, რომ მისი გული სავსეა ცოდნითა და სიბრძნით, შემდეგ ილოცა მისთვის, რომ წარმატებული ყოფილიყო ამ ცოდნით და რომ მას ცოდნის მიღება გაეადვილებინა.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ეს არის უბაი იბნ ქა'აბისთვის (ალლაჰი იყოს მისით

კმაყოფილი) დიდი ღირსება.

2. აიათულ ქურსი უზენაესი ალლაჰის წიგნში ყველაზე დიდებული აიათია, ამიტომ საჭიროა მისი დამახსოვრება, მისი მნიშვნელობების გააზრება და მისი სწავლების მიხედვით მოქმედება.

(65059)

(236) – عن أبي مسعودٍ رضي الله عنه قال: قال النَّبيُّ صلّى الله عليه وسلّم: «مَنْ قَرَأَ بِالْآيَتَيْنِ مِنْ آخِرِ سُورَةِ الْبَقَرَةِ فِي لَيْلَةٍ كَفَتَاهُ». [صحيح] - [متفق عليه]

(236) – აბუ მას'უდისგან გადმოცემულია, რომ მან თქვა: თქვა ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას): «ვინც სურა ალ-ბაყარას ბოლო ორ აიათს წაიკითხავს, მისთვის საკმარისი იქნება ღამის განმავლობაში». [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნობს, რომ ვინც წაიკითხავს ბოლო ორ აიათს სურა ალ-ბაყარადან ღამეში ალლაჰის ნებით მისთვის საკმარისი იქნება ბოროტებისგან და ცუდისგან დასაცავად, ასევე ითქვა: მისთვის ღამის ლოცვის მსგავსი იქნება, ასევე ითქვა: მისთვის ღამეში წასაკითხი სხვა საკითხავების ტოლფასი იქნება, ასევე ითქვა: რომ

ეს ორი აიათი არის ყველაზე მცირე ნაწილი ყურანიდან წასაკითხი რაზეც ჯილდოს მიიღებს, და ასევე სხვა მოსაზრებებიც არსებობს. ალბათ ეს ყველა ერთად სწორია, რადგან ჰადისის შინაარსი მათ ყველას ერთად მოიცავს.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. სურა ალ-ბაყარას ბოლო აიათების მადლის განმარტება, ის არის უზენაესის სიტყვები: «ირწმუნა შუამავალმა ...» - დან სურას ბოლომდე.
2. სურა ალ - ბაყარას ბოლო აიათები ადამიანს დაიფარავს ცუდი რამეებისგან, ბოროტებისგან და სატანისგან, თუ ის მას ღამეში წაიკითხავს.
3. ღამე იწყება მზის ჩასვლიდან და მთავრდება მზის ამოსვლისას.

(6274)

(237) – عنِ النُّعْمَانِ بْنِ بَشِيرٍ رضي الله عنه قال: سمعتُ النَّبيَّ صلّى الله عليه وسلّم يقول: «الدُّعَاءُ هُوَ الْعِبَادَةُ»، ثُمَّ قَرَأَ: «{وَقَالَ رَبُّكُمُ ادْعُونِي أَسْتَجِبْ لَكُمْ إِنَّ الَّذِينَ يَسْتَكْبِرُونَ عَنْ عِبَادَتِي سَيَدْخُلُونَ جَهَنَّمَ دَاخِرِينَ} [غافر: 60]». [صحيح] - [رواه أبو داود والترمذي وابن ماجه وأحمد]

(237) – გადმოცემულია ნუ'მან იბნ ბაშირისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომელმაც თქვა: გავიგონე, რომ მოციქული (ალლაჰმა დალოცოს და მიესალმოს)

ამბობდა: «ვედრება თაყვანისცემაა», და შემდეგ წაიკითხა: «და თქვა შენმა ღმერთმა: მომიხმეთ და გიპასუხებთ! იმათ, ვისაც თავისი სიამაყით არ სურთ თაყვანი მცენ, დამცირებულნი შევლენ ჯოჯოხეთში». [ღაფირ: 60] [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა აბუ დაუდმა, ათ-თირმიზიმ, იბნ მააჯამ და აჰმადმა]

განმარტება:

მოციქულმა (ალლაჰმა დალოცოს და მიესალმოს მას) გვამცნო, რომ ვედრება არის თაყვანისცემა. ამიტომაც ყოველი ვედრება უნდა იყოს მიმართული ალლაჰისკენ, იქნება ეს ვედრება ალლაჰის მიმართ, რომელსაც მისთვის სარგებელი მოაქვს და აშორებს ზიანს, ასევე ვედრება, რომელიც ალლაჰს უყვარს და რომლითაც ის კმაყოფილია, ფარული და ნათელი სიტყვებით და საქმეებით, რომლებიც დაკავშირებულია გულთან, სხეულთან და ქონებასთან.

შემდეგ მოციქულმა (ალლაჰმა დალოცოს და მიესალმოს მას) მოიყვანა მაგალითი მტკიცებულების სახით: თქვა ალლაჰმა: მომიხმეთ და გიპასუხებთ! იმათ, ვისაც თავისი სიამაყით არ სურთ თაყვანი მცენ, დამცირებულნი შევლენ ჯოჯოხეთში.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ვედრება არის თაყვანისცემის საფუძველი და არ

შეიძლება მისი მიმართვა სხვისთვის, გარდა ალლაჰისა.

2. ვედრება (დუა) თავის თავში მოიცავს ალლაჰის წინაშე მორჩილებას და მისი უსასრულო სიმდიდრისა და ძლიერების აღიარებას. ამავდროულად, დუა გამოხატავს მორწმუნის დამოკიდებულებას და საჭიროებას ალლაჰის მიმართ.
3. არსებობს მკაცრი მუქარა სასჯელის სახით მათთვის, ვინც ამპარტავნობას გამოავლენს ალლაჰის თაყვანისცემაში და მიატოვებს ვედრებას. ის, ვინც ამპარტავნებით უარს იტყვის ალლაჰის მიმართ დუაზე, შევა ჯოჯოხეთში დამცირებული და შეურაცხყოფილი.

(5496)

(238) – **عن عائشةَ رضي الله عنها قالتْ: كَانَ النَّبِيُّ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ يَذْكُرُ اللهَ عَلَى كُلِّ أَحْيَانِهِ.** [صحيح] - [رواه مسلم]

(238) – გადმოცემულია აიშასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მან თქვა: შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ყოველთვის ალლაჰს ახსენებდა (ზიქრს აკეთებდა). [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა მუსლიმმა]

განმარტება:

მორწმუნეთა დედა აიშა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გვამცნობს, რომ მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ძალიან გულმოდგინე იყო უზენაესი ალლაჰის ხსენებაში, ის უზენაეს ალლაჰს ახსენებდა ყოველ წამს, ყველგან და ყველა მდგომარეობაში.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. უზენაესი ალლაჰის ხსენებისთვის დიდი ან პატარა განბანვა აუცილებელი პირობა არ არის.
2. მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) შეუწყვეტლივ უზენაესი ალლაჰის ხსენება.
3. უზენაესი ალლაჰის ხშირად ხსენებისკენ მოწოდება ყველა მომენტში, როგორც ამას მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) აკეთებდა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ალლაჰის ხსენება მიუღებელია, მაგალითად საპირფარეშოში.

(8402)

(239) – عن أبي هريرةَ رضي الله عنه عنِ النَّبيِّ صلّى الله عليه وسلّم قال: «لَيْسَ شَيْءٌ أَكْرَمَ عَلَى اللهِ تَعَالَى مِنَ الدُّعَاءِ». [حسن] - [رواه الترمذي وابن ماجه وأحمد]

(239) – გადმოცემულია აბუ ჰურაირასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «არაფერია ალლაჰისთვის უფრო დასაფასებელი, ვიდრე ვედრება(დუა)». [კარგი (ჰასან)] - [გადმოსცა ათ-თირმიზიმ, იბნ მააჯამ და აჰმადმა]

განმარტება:

მოციქული (ალლაჰმა დალოცოს და მიესალმოს მას) განმარტავს, რომ არაფერია უმჯობესი თაყვანისცემის მხრივ ყოვლისშემძლე ალლაჰის წინაშე, ვიდრე ვედრება (დუა). რადგან დუაში გამოხატულია ალლაჰის უსაზღვრო სიმდიდრის აღიარება, კურთხეული და ამაღლებულია ის, ასევე მონის სისუსტისა და მისი ალლაჰისადმი საჭიროების აღიარება.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ვედრების (დუას) ღირსება იმაშია, რომ ვინც უხმობს ყოვლისშემძლე ალლაჰს, ის მას განადიდებს და აღიარებს მის სიმდიდრეს, რადგან ღარიბს არ სთხოვენ. ის ასევე აღიარებს, რომ ალლაჰი მსმენია და გულუხვი, რადგან არ სთხოვენ არც ყრუს და არც ძუნწს. ის აღიარებს, რომ ალლაჰი მოწყალეა, რადგან მკაცრს არ მიმართავენ, რომ ის ძლიერია, რადგან უძლურს არ სთხოვენ, და რომ ის

ახლოა, რადგან შორს მყოფი არ ისმენს. ის ასევე აღიარებს სხვა დიად და ლამაზ თვისებებს, რომლებიც ყოვლისშემძლე და ამაღლებულ ალლაჰს გააჩნია.

(5509)

(240) – عَنْ عَبْدِ اللَّهِ بْنِ عَمْرِو بْنِ الْعَاصِ رضي الله عنهما قَالَ: قَالَ رَسُولُ اللَّهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ: «إِنَّ الْإِيمَانَ لَيَخْلَقُ فِي جَوْفِ أَحَدِكُمْ كَمَا يَخْلَقُ الثَّوْبُ الْخَلِقُ، فَاسْأَلُوا اللَّهَ أَنْ يُجَدِّدَ الْإِيمَانَ فِي قُلُوبِكُمْ». [صحيح] - [رواه الحاكم والطبراني]

(240) – გადმოცემულია აბდულლაჰ იბნ 'ამრ ბინ ალ-'აასისგან (ალლაჰი იყოს ორივეთი კმაყოფილი), რომ მან თქვა: თქვა ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას): «ჭეშმარიტად, რწმენა (იმანი) თქვენს გულებში იცვითება ისევე, როგორც იცვითება ტანსაცმელი. ამიტომ სთხოვეთ ალლაჰს, რომ განაახლოს რწმენა თქვენს გულებში». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა ალ-ჰააქიმმა და ატ-ტაბარაანიმ]

განმარტება:

ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამცნობს, რომ რწმენა მუსლიმის გულში სუსტდება, როგორც ახალი სამოსი, რომელიც დროთა განმავლობაში გამოყენებით ძველდება; ეს იმის გამო ხდება, რომ თაყვანისცემაში მოსუსტდა, ან ცოდვების

ჩადენის ან ვნებებში ჩაფლობის გამო. ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მიგვითითა, რომ შევევედროთ უზენაეს ალლაჰს, რომ განაახლოს ჩვენი რწმენა სავალდებულო დადგენილებების შესრულებით, ალლაჰის ხშირი გახსენებით (ზიქრით) და მიტევების თხოვნით.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. მოწოდება ალლაჰის მიმართ ვედრებისკენ, რათა სთხოვოთ მტკიცედ დგომა და რწმენის განახლება გულში.
2. რწმენა არის სიტყვა, საქმე და რწმენა გულში; ის იზრდება მორჩილებით და მცირდება ურჩობით.

(65020)

(241) – عن أبي هريرةَ رضي الله عنه أنَّ رسولَ الله صلّى الله عليه وسلّم قال: «أَقْرَبُ مَا يَكُونُ الْعَبْدُ مِنْ رَبِّهِ وَهُوَ سَاجِدٌ، فَأَكْثِرُوا الدُّعَاءَ». [صحيح] - [رواه مسلم]

(241) – აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «მონა ყველაზე ახლოს არის თავის უფალთან, როცა ის ასრულებს სუჯუდს, ამიტომ ამ დროს უფრო ხშირად მიმართეთ ვედრებით». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა მუსლიმმა]

განმარტება:

მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტა, რომ მონა ყველაზე ახლოს არის თავის უფალთან მაშინ, როცა ის მიწაზე დაჩოქილია (სუჯუდში). რადგან მლოცველი დადებს თავის სხეულის ყველაზე პატივსაცემ და მაღალ ნაწილს მიწაზე, ამგვარად გამოხატავს მორჩილებას, თავმდაბლობასა და სიმდაბლეს ყოვლისშემძლე და დიადი ალლაჰის წინაშე, როდესაც ის სუჯუდს ასრულებს.

მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მოუწოდა, ხშირად მივმართოთ ალლაჰს ვედრებით სუჯუდის დროს, რითაც სიტყვებითა და ქმედებებით გამოვხატავთ სიმდაბლეს და მორჩილებას ალლაჰის წინაშე.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. მორჩილება ზრდის მორწმუნის დაახლოებას ალლაჰთან დიდებულია ის და ამაღლებული.
2. სასურველია ხშირად მივმართოთ ალლაჰს ვედრებით სუჯუდის დროს, რადგან ეს ერთ-ერთი მდგომარეობაა, როდესაც ალლაჰი ვედრებაზე პასუხობს.

(5382)

(242) – عَنْ أَنَسٍ رضي الله عنه قَالَ: كَانَ أَكْثَرُ دُعَاءِ النَّبِيِّ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ: «اللَّهُمَّ رَبَّنَا آتِنَا فِي الدُّنْيَا حَسَنَةً، وَفِي الآخِرَةِ حَسَنَةً، وَقِنَا عَذَابَ النَّارِ». [صحيح] - [متفق عليه]

(242) – გადმოცემულია ანასისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მან თქვა: «მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ყველაზე ხშირად გამოყენებული ვედრება იყო: "ო, ალლაჰ, ჩვენო უფალო! მოგვმადლე ამქვეყნად სიკეთე, საიქიოში სიკეთე და დაგვიცავი ცეცხლის სატანჯველისგან». /ალლაჰუმმა რაბბანაა აათინაა ფიი დუნიაა ჰასანათან ვა ფილ აახირათი ჰასანათან ვა ყინაა 'აზააბა ნნაარ/ [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ხშირად მიმართავდა ალლაჰს მოკლე, მაგრამ ყოვლისმომცველი ვედრებებით, მათ შორის: "ო, ალლაჰ, ჩვენო უფალო! მოგვმადლე ამქვეყნად სიკეთე, საიქიოში სიკეთე და დაგვიცავი ცეცხლის სატანჯველისგან". ეს დუა მოიცავს ამქვეყნიური სიკეთეების თხოვნას, როგორიცაა ჰალალი და უხვი სარჩო, მორწმუნე მეუღლე, შვილი, რომელიც გულს ახარებს, სიმშვიდე, სასარგებლო ცოდნა, კეთილი საქმე და სხვა სასურველი

და ნებადართული მოთხოვნები. ასევე მოიცავს საიქიოს სიკეთეებს, მათ შორისაა სასჯელებისგან დაცვა საფლავში, შეკრების ადგილზე და ცეცხლში, ალლაჰის კმაყოფილების მიღწევა, მუდმივ ნეტარებაში გამარჯვება და შემწყალებელ ღმერთთან სიახლოვე.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. სასურველია მოკლე და ყოვლისმომცველი ვედრებების გამოყენება, რადგან ეს არის მოციქულზე (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მიბაძვა.
2. სრულყოფილი ფორმა ის არის, როდესაც ადამიანი თავის ვედრებაში მოითხოვს როგორც ამქვეყნიურ, ასევე საიქიო სიკეთეებს.

(5502)

(243) – عَنْ عَائِشَةَ رضي الله عنها: أَنَّ النَّبِيَّ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ كَانَ إِذَا أَوَى إِلَى فِرَاشِهِ كُلَّ لَيْلَةٍ جَمَعَ كَفَّيْهِ، ثُمَّ نَفَثَ فِيهِمَا فَقَرَأَ فِيهِمَا: {قُلْ هُوَ اللهُ أَحَدٌ}، وَ{قُلْ أَعُوذُ بِرَبِّ الْفَلَقِ}، وَ{قُلْ أَعُوذُ بِرَبِّ النَّاسِ}، ثُمَّ يَمْسَحُ بِهِمَا مَا اسْتَطَاعَ مِنْ جَسَدِهِ، يَبْدَأُ بِهِمَا عَلَى رَأْسِهِ وَوَجْهِهِ وَمَا أَقْبَلَ مِنْ جَسَدِهِ، يَفْعَلُ ذَلِكَ ثَلَاثَ مَرَّاتٍ. [صحيح] - [رواه البخاري]

(243) – გადმოცემულია აიშასაგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი): რომ ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) როცა ყოველ საღამოს თავის საწოლში წვებოდა, მიადებდა ხელისგულებს

ერთმანეთზე, შემდეგ დაანერწყვებდა მათში და კითხულობდა: სურა ალ-იხლას, სურა ალ-ფალაყს და სურა ან-ნას. შემდეგ გადაისმევდა ხელებს მის მთელ სხეულზე, რამდენადაც შეეძლო, დაწყებული თავიდან, სახიდან და სხეულის წინა ნაწილიდან. ამას აკეთებდა სამჯერ. [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა ალ-ბუხარიმ]

განმარტება:

მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ჩვეულებიდან იყო, როცა ძილისთვის საწოლში წვებოდა, აერთებდა ხელისგულებს, როგორც ეს ხდება ვედრების დროს, ჩაბერავდა მათში ცოტა ნერწყვთან ერთად და კითხულობდა სამ სურას: (სურა ალ-იხლას), (სურა ალ-ფალაყს) და (სურა ან-ნაას). შემდეგ ხელის გულებით მოისმევდა სხეულის ნაწილებს, რამდენადაც შეეძლო, დაწყებული თავიდან, სახიდან და სხეულის წინა ნაწილიდან. ამას იმეორებდა სამჯერ.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. სასურველია სურა "ალ-იხლასის" და ორი დამცველი სურას "ალ-ფალაყის" და "ან-ნასის" წაკითხვა ძილის წინ, მათი ჩანერწყვებით (სულის შებერვით ხელებზე) და შემდეგ ხელის გულების სხეულის ნაწილებზე წასმით, რამდენადაც შესაძლებელი იქნება.

(65060)

(244) – عَنْ شَدَّادِ بْنِ أَوْسٍ رَضِيَ اللَّهُ عَنْهُ عَنِ النَّبِيِّ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ: «سَيِّدُ الِاسْتِغْفَارِ أَنْ تَقُولَ: اللَّهُمَّ أَنْتَ رَبِّي لَا إِلَهَ إِلَّا أَنْتَ، خَلَقْتَنِي وَأَنَا عَبْدُكَ، وَأَنَا عَلَى عَهْدِكَ وَوَعْدِكَ مَا اسْتَطَعْتُ، أَعُوذُ بِكَ مِنْ شَرِّ مَا صَنَعْتُ، أَبُوءُ لَكَ بِنِعْمَتِكَ عَلَيَّ، وَأَبُوءُ لَكَ بِذَنْبِي فَاغْفِرْ لِي، فَإِنَّهُ لاَ يَغْفِرُ الذُّنُوبَ إِلَّا أَنْتَ» قَالَ: «وَمَنْ قَالَهَا مِنَ النَّهَارِ مُوقِنًا بِهَا، فَمَاتَ مِنْ يَوْمِهِ قَبْلَ أَنْ يُمْسِيَ، فَهُوَ مِنْ أَهْلِ الجَنَّةِ، وَمَنْ قَالَهَا مِنَ اللَّيْلِ وَهُوَ مُوقِنٌ بِهَا، فَمَاتَ قَبْلَ أَنْ يُصْبِحَ، فَهُوَ مِنْ أَهْلِ الجَنَّةِ». [صحيح] - [رواه البخاري]

(244) – გადმოცემულია შადდაად იბნ ავსისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ვედრებების ბატონია: ღმერთო, შენ ხარ ჩემი ღმერთი, არ არის ღმერთი შენს გარდა. შენ შემქმენი და მე შენი მონა ვარ. მე ვასრულებ შენს აღთქმასა და დაპირებას, რამდენადაც შემიძლია. შევთხოვ შენს შეწევნას ჩემი ჩადენილი ბოროტებისგან. ვაღიარებ შენს წყალობას ჩემზე და ვაღიარებ ჩემს ცოდვებს, მაპატიე, რადგან ცოდვებს მხოლოდ შენ პატიობ». შუამავალმა ბრძანა: «ვინც დილით გულწრფელად წარმოთქვამს ამ სიტყვებს და იმავე დღეს, მზის ჩასვლამდე გარდაიცვლება, ის სამოთხის ხალხიდან იქნება. და ვინც ღამით გულწრფელად წარმოთქვამს ამ სიტყვებს და გათენებამდე გარდაიცვლება, ისიც სამოთხის ხალხიდან იქნება». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა ალ-ბუხარიმ]

განმარტება:

მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნობს, რომ ისთიღფარის (მოსანანიებელი ვედრება) მრავალი ფორმა არსებობს, მაგრამ მათგან საუკეთესო და უდიდესი ის არის, როცა მორწმუნე ამბობს: "ო ალლაჰ, შენ ხარ ჩემი ღმერთი, არ არსებობს სხვა ღვთაება შენს გარდა, შენ შემქმენი და მე შენი მონა ვარ, მე ვიქნები ერთგული ჩემი შენდამი აღთქმის და დაპირების როგორც შევძლებ, შენ შეგეფარები იმ სიავისგან, რაც ჩავიდინე. მე ვაღიარებ იმ მოწყალებას, რაც შენ გაიღე ჩემზე, და ვაღიარებ ჩემს ცოდვებს, მაპატიე, რამეთუ, არ პატიობს ცოდვებს არავინ შენს გარდა". (ალლაჰუმმა ანთა რაბბიი, ლაა ილააჰა ილლა ანთა, ხალაყთანიი ვა ანაა 'აბდუქა, ვა ანაა 'ალაა 'აჰდიქა, ვა ვა'დუქა მასთატა'თუ, ა'უუზუბიქა მინ შარრი მაა სანა'თუ, აბუუ, ლაქა ბინი'მათიქა, ალაია ვა აბუუ,უ ბიზანბიი, ფაღფირლიი, ფა ინნაჰუ ლაა იუღფირუ ზზუნუუბა ილლაა ანთა). მორწმუნე პირველ რიგში აღიარებს ალლაჰის ერთობას, რომ ის არის მისი შემქმნელი და მისი ერთადერთი სამსახურებელი, რომელსაც თანაზიარად არავინ ჰყავს. მორწმუნე აღიარებს, რომ ის რჩება იმ შეთანხმებაზე, რომელიც ალლაჰთან აქვს — მისი რწმენისა და მორჩილების შესახებ, მისი შესაძლებლობების ფარგლებში. ვინაიდან,

მორწმუნე ვერასოდეს შეძლებს სრულად შეასრულოს ყველა ის მოვალეობა, რაც ალლაჰმა დააკისრა, და ვერ მოახერხებს მადლიერების ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილებას. და მორწმუნე ნებაყოფლობით აღიარებს და მიიჩნევს ალლაჰის წყალობებს მის თავზე, ამავე დროს, საკუთარ თავს ადანაშაულებს და აღიარებს თავის ცოდვებსა და ურჩობაში ჩავარდნებს. ამ საშუალებების გამოყენების შემდეგ, რომ ალლაჰთან დაახლოვდეს, იგი სთხოვს თავის ღმერთს, რომ აპატიოს მას, დაფაროს მისი ცოდვები და დაიცვას მათი ზიანისგან თავისი მიტევებით, წყალობითა და მოწყალებით, რადგან არავინ პატიობს ცოდვებს მის გარდა, ყოვლისშემძლისა და დიადისა. შემდეგ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) აცნობა, რომ ეს სიტყვები მიეკუთვნება ალლაჰის ხსენების სიტყვებს, რომლებიც უნდა წარმოითქვას დილას და საღამოს. ვინც მტკიცე რწმენით, ამ სიტყვების მნიშვნელობის გაგებითა და მათში რწმენით წარმოთქვამს მათ დღის განმავლობაში, ანუ მზის ამოსვლიდან მის ჩასვლამდე, და შემდეგ გარდაიცვლება, ის სამოთხეში შევა. ვინც ამას ღამით, მზის ჩასვლიდან მზის ამოსვლამდე იტყვის და დილამდე გარდაიცვლება, ისიც სამოთხეში შევა.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ისთიღფარის ფორმები განსხვავებულია და ზოგიერთი მათგანი უკეთესია, ვიდრე სხვა.
2. მორწმუნემ უნდა იზრუნოს, რომ ეს ვედრება ხშირად წარმოთქვას, რადგან ეს „საიიდ ალ-ისთიღფარ“ (ისთიღფარის ბატონია) და მისი სიტყვები განსაკუთრებული ღირსებით გამოირჩევა.

(5503)

(245) – عَن عبدِ اللهِ بن خُبَيب رضي الله عنه أنه قال: خَرَجْنَا فِي لَيْلَةٍ مَطِيرَةٍ وَظُلْمَةٍ شَدِيدَةٍ، نَطْلُبُ رَسُولَ اللهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ؛ يُصَلِّي لَنَا، قَالَ: فَأَدْرَكْتُهُ، فَقَالَ: «قُلْ»، فَلَمْ أَقُلْ شَيْئًا، ثُمَّ قَالَ: «قُلْ»، فَلَمْ أَقُلْ شَيْئًا، قَالَ: «قُلْ»، فَقُلْتُ: مَا أَقُولُ؟ قَالَ: «{قُلْ هُوَ اللهُ أَحَدٌ} وَالْمُعَوِّذَتَيْنِ حِينَ تُمْسِي وَتُصْبِحُ ثَلَاثَ مَرَّاتٍ، تَكْفِيكَ مِنْ كُلِّ شَيْءٍ».

[صحيح] - [رواه أبو داود والترمذي والنسائي]

(245) – აბდულლაჰ იბნ ხუბაიბმა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) თქვა: ჩვენ წვიმიან და ბნელ ღამეს გავედით, რათა გვეპოვა ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას), რათა ჩვენთან ერთად ლოცვა შეესრულებინა. როდესაც ვიპოვეთ იგი, მან მითხრა: «თქვი?» მე არაფერი ვთქვი. ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა:

«თქვი». კვლავ გავჩუმდი. ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «თქვი». ვკითხე: რა ვთქვა, ო, ალლაჰის მოციქულო? ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «[სურა] {თქვი: ის – ალლაჰია, ერთია}, და ორი დამცავი სურა (მუ'ავვიზათანი) დილით და საღამოს სამჯერ, და ეს დაგიცავს ყოველი ცუდისგან». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა აბუ დაუდმა, ათ-თირმიზიმ და ან-ნასაიმ]

განმარტება:

მოციქულის რჩეული თანამგზავრი, აბდულლაჰ იბნ ხაბიბი (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), გვაუწყებს, რომ ისინი გამოვიდნენ ღამით, როდესაც ძლიერი წვიმა იყო და სიბნელე ძალიან მკაცრი, რათა შუამავალთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მისულიყვნენ და ეთხოვათ, რომ ელოცა მათთან ერთად, და მათ იგი იპოვეს. მაშინ ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მას უთხრა: «თქვი», რაც ნიშნავს — «წაიკითხე» და მაგრამ მას არაფერი წაუკითხავს. მაშინ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) კვლავ გაიმეორა თავისი სიტყვები. აბდულლაჰმა თქვა: რა წავიკითხო ო, ალლაჰის შუამავალო? მაშინ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უთხრა: „წაიკითხე სურა ალ-იხლას {ყულ ჰუვალლაჰუ აჰად} და ორი

დამცავი სურა — {ფალაყი და ნაასი} საღამოსა და დილით სამჯერ. ეს დაგიცავს ყოველგვარი ბოროტებისა და ცუდისგან.“

ჰადისის სარგებლობიდან:

1. სურათ ალ-იხლასისა და ორი დამცავი სურას (ალ-ფალაყი და ან-ნაასის) წაკითხვა დილით და საღამოს სასურველია, რადგან ისინი წარმოადგენენ დაცვას ყოველგვარი ბოროტებისგან.
2. სურა ალ-იხლასისა და ორი დამცავი სურას (ალ-ფალაყი და ან-ნაასის) წაკითხვის ღირსება.

(6082)

(246) – عن سَمُرَة بن جُنْدُبٍ رضي الله عنه قال: قال رسولُ اللهِ صلَّى الله عليه وسلَّم: «أَحَبُّ الْكَلَامِ إِلَى اللهِ أَرْبَعٌ: سُبْحَانَ اللهِ، وَالْحَمْدُ لِلَّهِ، وَلَا إِلَهَ إِلَّا اللهُ، وَاللهُ أَكْبَرُ، لَا يَضُرُّكَ بِأَيِّهِنَّ بَدَأْتَ». [صحيح] - [رواه مسلم]

(246) – გადმოცემულია სამრა იბნ ჯუნდუბისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომელმაც თქვა: შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ალლაჰისთვის ყველაზე საყვარელი სიტყვები არის: სუბჰანალლაჰ, ალჰამდულილლაჰ, ლაა ილააჰა ილლა ალლაჰ, ალლაჰუ აქბარ, და შენთვის საზიანო არ იქნება, რომლითაც არ უნდა დაიწყო». [სანდო (საჰიჰ)] -

[გადმოსცა მუსლიმმა]

განმარტება:

ალლაჰის შუამავალი განმარტავს, რომ ალლაჰისთვის ყველაზე საყვარელი სიტყვები არის ოთხი:

სუბჰანალლაჰ: ნიშნავს, რომ ალლაჰი წმინდაა ყოველი ნაკლისგან.

ალჰამდულილლაჰ: ეს არის ალლაჰის აღწერა მისი აბსოლუტური დიდებით, მისი სიყვარულისა და განდიდების გამოხატვით.

ლაა ილააჰა ილლა ალააჰ: ანუ, არ არსებობს ღირსეული სათაყვანებელი, გარდა ალლაჰისა.

ალლაჰუ აქბარ: ანუ, ალლაჰი დიდებული, აღმატებული და ყველაფერზე ყოვლისშემძლეა.

ასევე, განმარტავს, რომ მათი (თაყვანისცემის ფორმულების) ღირსება და ჯილდოს მიღება არ მოითხოვს კონკრეტული რიგის დაცვას მათი წარმოთქმისას.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ამ შარიათის სიმსუბუქე ჩანს იმაში, რომ მნიშვნელობა არ აქვს, რომელი სიტყვით იწყებს ალლაჰის ხსენებას.

(5475)

(247) – عن أبي أيُّوبٍ رضي الله عنه عنِ النَّبيِّ صلّى الله عليه وسلّم قال: «مَنْ قَالَ: لَا إِلَهَ إِلَّا اللهُ وَحْدَهُ لَا شَرِيكَ لَهُ، لَهُ الْمُلْكُ وَلَهُ الْحَمْدُ وَهُوَ عَلَى كُلِّ شَيْءٍ قَدِيرٌ، عَشْرَ مِرَارٍ كَانَ كَمَنْ أَعْتَقَ أَرْبَعَةَ أَنْفُسٍ مِنْ وَلَدِ إِسْمَاعِيلَ». [صحيح] - [متفق عليه]

(247) – აბუ აიუბი (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ვინც იტყვის ათჯერ: "არ არსებობს ღმერთი გარდა ალლაჰისა, ერთადერთისა, რომელსაც არ ჰყავს თანაზიარი, მას ეკუთვნის მეუფება და დიდება და ის ყოვლისშემძლეა / ლაა ილააჰა ილლაა ლლაჰ, ვაჰდაჰუ ლაა შარიიქა ლაჰ, ლაჰულ მულქუ ვა ლაჰულ ჰამდუ, ვა ჰუვა 'ალაა ქულლი შაი'ინ ყადიირ", - იქნება მსგავსი იმისა, ვინც ოთხი მონა გაათავისუფლა ისმაილის მოდგმიდან». [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნო, რომ ვინც იტყვის: "არ არსებობს ღმერთი გარდა ალლაჰისა, ერთადერთისა, რომელსაც არ ჰყავს თანაზიარი, მას ეკუთვნის მეუფება და დიდება და ის ყოვლისშემძლეა", რომლის მნიშვნელობაც არის: არ არსებობს ჭეშმარიტი სათაყვანებელი, გარდა ალლაჰისა, ერთადერთისა, რომელსაც არ ჰყავს თანამოზიარე, ის არის დიდებული მხოლოდ მას ეკუთვნის სრული

მეუფება, ის იმსახურებს ქებას და დიდებას სიყვარულთან და განდიდებასთან ერთად და სხვა არავინ მის გარდა, ის არის ყოვლისშემძლე, და არ არსებობს რაიმე, რისი ძალაც მას არ შესწევდეს. ვინც გაიმეორებს ამ ძვირფას ზიქრს დღის განმავლობაში ათჯერ, მას დაეწერება მადლი მსგავსი იმისა, ვინც იხსნა ტყვეობიდან ოთხი მონა იბრაჰიმის ძის ისმაილის შთამომავლებიდან (ლოცვა და მშვიდობა მათ). მან გამოარჩია ისმაილის შთამომავლები იმიტომ, რომ ისინი სხვებზე მეტად დაფასებულნი არიან.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ამ სიტყვების ხსენების ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ადასტურებენ ყოვლისშემძლე ალლაჰის ერთობას მის ღვთაებრიობაში, მბრძანებლობაში, შეიცავენ მის დიდებასა და აბსოლუტურ ყოვლისშემძლეობას.
2. ამ ზიქრისთვის ჯილდოს მიიღებს ის, ვინც მას ან თანმიმდევრულად ან ცალკე წარმოთქვამს.

(5517)

(248) – عن أبي هريرةَ رضي الله عنه عنِ النَّبيِّ صلّى الله عليه وسلّم قال: «كَلِمَتَانِ خَفِيفَتَانِ عَلَى اللِّسَانِ، ثَقِيلَتَانِ فِي الْمِيزَانِ، حَبِيبَتَانِ إِلَى الرَّحْمَنِ: سُبْحَانَ اللهِ الْعَظِيمِ، سُبْحَانَ اللهِ وَبِحَمْدِهِ». [صحيح] - [متفق عليه]

(248) – გადმოცემულია აბუ ჰურაირასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მოციქულმა მუჰამმადმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ორი სიტყვა მსუბუქია ენისთვის, მძიმეა სასწორზე და საყვარელია მოწყალისთვის: სუბჰანალლაჰი ვა ბიჰამდიჰი, სუბჰანალლაჰილ 'აზიიმ». [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნო ორ სიტყვაზე, რომლებიც ადამიანს შეუძლია თქვას ძალისხმევის გარეშე და ნებისმიერ ვითარებაში, და იმის შესახებ, რომ სამსჯავროს დღეს მათი თქმისთვის დიდად დასაჩუქრდება, ასევე, რომ ჩვენი მოწყალე ღმერთს, კურთხეული და ამაღლებული, ისინი ძალიან უყვარს.

სუბჰანალლაჰილ-'აზიმ, სუბჰანალლაჰი ვა ბი-ჰამდი ჰი /წმიდაა დიადი ალლაჰი, წმიდაა ალლაჰი და დიდება მას/ — ეს სიტყვები გამოხატავს ალლაჰის სიდიადეს, სრულყოფილებასა და მის აბსოლუტურ სისუფთავეს, კურთხეული და ამაღლებულია იგი, ყოველგვარი ნაკლოვანებისგან.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ალლაჰის უდიდესი ხსენება - მოიცავს მის

აბსოლუტურ სიწმინდეს და მის ქება -დიდებას.

2. ამ ჰადისში ნათლად ჩანს ალლაჰის უსაზღვრო მოწყალება თავისი მსახურების მიმართ. ის გულუხვად აჯილდოებს თუნდაც ყველაზე უმნიშვნელო კეთილი საქმისთვის.

(5507)

(249) – عن أبي هريرةَ رضي الله عنه أنَّ رسولَ الله صلّى الله عليه وسلّم قال: «مَنْ قَالَ: سُبْحَانَ اللهِ وَبِحَمْدِهِ، فِي يَوْمٍ مِائَةَ مَرَّةٍ، حُطَّتْ خَطَايَاهُ وَإِنْ كَانَتْ مِثْلَ زَبَدِ الْبَحْرِ».

[صحيح] - [متفق عليه]

(249) – აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი გადმოსცემს), რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ვინც იტყვის დღეში ასჯერ: "სუბჰაანალლაჰი ვა ბიჰამდიჰი/ წმინდაა ალლაჰი და დიდება მას/, წაეშლება მას ცოდვები, თუნდაც რომ ზღვის ქაფის ტოლი იყოს». [სანდო (საჰიჰ)] - [შეთანხმებული]

განმარტება:

შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნობს, რომ ვინც დღის განმავლობაში ასჯერ იტყვის: "სუბჰაანალლაჰი ვა ბიჰამდიჰი/ წმინდაა ალლაჰი და დიდება მას"; წაიშლება მისი ცოდვები და მიეტევება მას, თუნდაც ჰქონდეს ძალიან ბევრი,

მსგავსად ზღვაზე არსებული თეთრი ქაფისა, რომელიც წარმოიქმნება მისი ტალღებით და მღელვარებით.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ამ მადლს დაიმსახურებს ის, ვინც მას წარმოთქვამს დღის განმავლობაში უწყვეტად ან გადანაწილებით.
2. ათ-თასბიიჰ: აღიარება იმისა, რომ ალლაჰი თავისუფალია ყოველგვარი ნაკლოვანებისგან. ალ-ჰამდ: მისი დახასიათება სრულყოფილებით, სიყვარულით და განდიდებით.
3. ეს ჰადისი გულისხმობს პატარა ცოდვების წაშლას, ხოლო დიდ ცოდვებს აუცილებლად მონანიება სჭირდება.

(5516)

(250) – عن أبي مالكٍ الأشعريِّ رضي الله عنه قال: قال رسولُ الله صلّى الله عليه وسلّم: «الطُّهُورُ شَطْرُ الْإِيمَانِ، وَالْحَمْدُ لِلَّهِ تَمْلَأُ الْمِيزَانَ، وَسُبْحَانَ اللهِ وَالْحَمْدُ لِلَّهِ تَمْلَآنِ -أَوْ تَمْلَأُ- مَا بَيْنَ السَّمَاوَاتِ وَالْأَرْضِ، وَالصَّلَاةُ نُورٌ، وَالصَّدَقَةُ بُرْهَانٌ، وَالصَّبْرُ ضِيَاءٌ، وَالْقُرْآنُ حُجَّةٌ لَكَ أَوْ عَلَيْكَ، كُلُّ النَّاسِ يَغْدُو، فَبَايِعٌ نَفْسَهُ فَمُعْتِقُهَا أَوْ مُوبِقُهَا».

[صحيح] - [رواه مسلم]

(250) – აბუ მაალიქ ალ-აშ'არისაგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოცემულია, რომ მან თქვა: "ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა:

«სისუფთავე რწმენის ნახევარია, "დიდება ალლაჰს" (ალჰამდულილაჰ) ავსებს სასწორს, "ალლაჰი ყოვლადწმინდაა" (სუბჰანალლაჰ) და "ქება-დიდება ალლაჰს" (ალჰამდულილლაჰ) ავსებენ ცასა და მიწას შორის სივრცეს. ლოცვა არის სინათლე, სადაყა არის მტკიცებულება, და მოთმინება არის ნათება, ხოლო ყურანი ან იქნება დამცველი შენთვის, ან არგუმენტად შენს წინააღმდეგ. ყველა ადამიანი დგება დილით და ყიდის საკუთარ სულს, ზოგი ათავისუფლებს მას, ზოგი კი ღუპავს მას». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა მუსლიმმა]

განმარტება:

ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნობს, რომ გარეგნული სისუფთავე მიიღწევა აბდესის ან სრული განბანვის საშუალებით, და ეს სისუფთავე აუცილებელი პირობაა ლოცვის შესრულებისთვის. სიტყვები: "დიდება ალლაჰს" (ალჰამდულილლაჰ) ავსებს სასწორს, რაც დიდებულის ქების და მისი სრულყოფილი თვისებების მოხსენიებას გულისხმობს. ეს ქება სასწორზე აიწონება განსჯის დღეს და გაავსობს სასწორს საქმეებით. სიტყვები: "ალლაჰი ყოვლადწმინდაა და დიდება ალლაჰს" (სუბჰაანალლაჰ ვა ალჰამდულილლაჰ) ეს სიტყვები გულისხმობენ ალლაჰის ნებისმიერი ნაკლის არარსებობის აღიარებას და მისი სრულყოფილების აღწერას, რაც შეეფერება მის

სიდიადეს. ისინი გამოხატავენ ალლაჰის მიმართ სიყვარულს და მის განდიდებას. ამ სიტყვებს შეუძლიათ შეავსონ სივრცე ცასა და დედამიწას შორის. „ლოცვა არის სინათლე“ მორწმუნისთვის მის გულში, სახეზე, სამარესა და აღდგომის დღეს. „სადაყა არის მტკიცებულება“ მორწმუნის გულწრფელი რწმენისა, რაც მიუთითებს მის განსხვავებას თვალთმაქცისგან, რომელიც უარს ამბობს ქველმოქმედებაზე, რადგან არ სჯერა მისი დაპირებული ჯილდოსი. „მოთმინება არის ნათება“, რაც გულისხმობს საკუთარი თავის მოთოკვას სასოწარკვეთილებისა და უკმაყოფილებისგან. ეს არის სინათლე, რომელიც შეიცავს სიცხესა და დამწველობას, როგორც მზის ნათება, რადგან მოთმინება რთული და საკუთარ სურვილებთან ბრძოლის პროცესია. მოთმინების მქონე ადამიანი მუდმივად ნათდება, სწორ გზას ადგას და სწორ გადაწყვეტილებებშია. ეს მოიცავს ალლაჰის მორჩილებისას მოთმინებას, ცოდვისგან თავის შეკავებას, ასევე უბედურებებისა და ცხოვრების სხვადასხვა სირთულეების მიმართ მოთმინებას. "ყურანი არის მტკიცებულება შენს სასარგებლოდ“, თუ მას კითხულობ და მის მიხედვით ცხოვრობ, ან „მტკიცებულება შენს საწინააღმდეგოდ“, თუ მას არ ემორჩილები ან არ კითხულობ და არ ცხოვრობ მისით. მოციქულმა მუჰამმადმა (ალლაჰის ლოცვა და

მშვიდობა მას) გვამცნო, რომ ყველა ადამიანი ჩქარობს და გამოდის გარეთ სხვადასხვა საქმეებისთვის, იღვიძებს და ტოვებს სახლს მათი სხვადასხვა საქმისთვის, ამათგან ზოგი ალლაჰის მორჩილებას მიჰყვება და თავის თავს ჯოჯოხეთისგან იხსნის, ხოლო ზოგი გზააბნეულია, ცოდვებში ვარდება და ამით საკუთარ თავს განადგურებისა და ჯოჯოხეთში შესვლისაკენ უბიძგებს.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. სისუფთავე ორნაირია: გარეგნული სისუფთავე, რომელიც მიიღწევა აბდესით (პატარა განბანვით) და ღუსლით (სრული სხეულის განბანვით), ხოლო შინაგანი სისუფთავე მიიღწევა თავჰიდის (ერთღმერთიანობის აღიარებით), რწმენისა და კეთილი საქმეების მეშვეობით.
2. ლოცვის დაცვა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ის არის მორწმუნისთვის სინათლე ამ ცხოვრებაში და განკითხვის დღეს.
3. ქველმოქმედება (სადაყა) არის გულწრფელი რწმენის ნიშანი.
4. ყურანით მოქმედება და მისი ჭეშმარიტების დამოწმება ძალიან მნიშვნელოვანია, რათა ის იყოს მტკიცებულება შენს სასარგებლოდ და არა შენს საწინააღმდეგოდ.

5. თუ შენს თავს ალლაჰის მორჩილებით არ დააკავებ, ის ცოდვებით დაგაკავებს.
6. ყოველმა ადამიანმა აუცილებლად უნდა იმოქმედოს; და ის ან იხსნის საკუთარ თავს მორჩილებით, ან დაიღუპავს თავს ცოდვებით.
7. მოთმინება მოითხოვს გაძლებასა და ალლაჰისგან ჯილდოს მოლოდინს, რადგან ის სირთულეებს შეიცავს.

(65004)

(251) – عن أبي هريرةَ رضي الله عنه قال: قال رسولُ الله صلّى الله عليه وسلّم: «لَأَنْ أَقُولَ: سُبْحَانَ اللهِ، وَالْحَمْدُ لِلَّهِ، وَلَا إِلَهَ إِلَّا اللهُ، وَاللهُ أَكْبَرُ، أَحَبُّ إِلَيَّ مِمَّا طَلَعَتْ عَلَيْهِ الشَّمْسُ». [صحيح] - [رواه مسلم]

(251) – აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ჭეშმარიტად, ამ სიტყვების წარმოთქმა: "წმინდა და უნაკლოა ალლაჰი /სუბჰაანალლაჰ, ქება-დიდება ალლაჰს/ ალჰამდულილლაჰ, არ არსებობს ღვთაება, გარდა ალლაჰისა/ ლაა ილააჰა ილლა ალლააჰ, ალლაჰი უდიდესია/ ალლაჰუ აქბარ", - უფრო საყვარელია ჩემთვის, ვიდრე ის, რაზეც მზე ამოდის». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა მუსლიმმა]

განმარტება:

შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნობს, რომ უზენაესი ალლაჰის ხსენება ამ ძვირფასი სიტყვებით უფრო კარგია, ვიდრე მთელი ეს ქვეყანა და მასში არსებული, ეს სიტყვებია:

"დიდებულია ალლაჰი /სუბჰაანალლაჰ": ალლაჰის განდიდება ყოველგვარი ნაკლოვანებისგან.

"ქება-დიდება ალლაჰს /ალჰამდულილლაჰ": მისი შექება სრულყოფილი თვისებებით სიყვარულთან და განდიდებასთან ერთად.

"არ არსებობს ღვთაება, გარდა ალლაჰისა/ლაა ილააჰა ილლა ალლაჰ": არ არსებობს ჭეშმარიტი სათაყვანებელი, გარდა ალლაჰისა.

"ალლაჰი უდიდესია /ალლაჰუ აქბარ": ის დიადი და უდიდესია ყველაფერზე.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. მოწოდება ალლაჰის ხსენებისკენ, რამეთუ ის არის უფრო მეტად საყვარელი მისთვის, ვიდრე მთელი სამყარო.
2. წახალისება ალლაჰის ხშირად ხსენებისკენ, რამეთუ მასშია საზღაური და მადლი.
3. ამქვეყნიური გართობა ცოტაა, მისკენ სწრაფვადი ვნებები კი წარმავალი.

(6211)

(252) – عن جابر رضي الله عنه قال: سمعتُ رسولَ الله صلّى الله عليه وسلّم يقول: «أَفْضَلُ الذِّكْرِ: لَا إِلَهَ إِلَّا اللهُ، وَأَفْضَلُ الدُّعَاءِ: الْحَمْدُ لِلَّهِ». [حسن] - [رواه الترمذي والنسائي في الكبرى وابن ماجه]

(252) – ჯაბირისაგან გადმოცემულია (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მან თქვა: გავიგონე, რომ ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამბობდა: «ყველაზე საუკეთესო ზიქრი (ხსენება) არის: არ არსებობს ღვთაება, გარდა ალლაჰისა/ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ, ხოლო საუკეთესო ვედრება: ქება-დიდება ალლაჰს/ალჰამდულილლაჰ». [კარგი (ჰასან)] - [გადმოსცა ათ-თირმიზიმ, ან-ნასაიმ ალ-ქუბრაში და იბნ მაჯამ]

განმარტება:

ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნობს, რომ საუკეთესო მოხსენიება ალლაჰის არის „ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ“, რაც ნიშნავს, რომ არ არსებობს ღირსეული სათაყვანებელი გარდა ალლაჰისა. ასევე, საუკეთესო დუა არის «ალჰამდულილლაჰ», რაც გამოხატავს აღიარებას, რომ ყველა სიკეთე ალლაჰისგან მოდის და მხოლოდ ალლაჰი არის ღირსი სრული და მშვენიერი დახასიათებისა.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. წაქეზება ალლაჰის მოხსენიების მრავალჯერადად, თავჰიდის სიტყვებით "ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ" და ვედრება "ალჰამდულილლაჰ"-ის გამოყენებით.

(3567)

(253) – عن خَوْلَةَ بِنْتَ حَكِيمٍ السُّلَمِيَّةَ قَالتْ: سَمِعْتُ رَسُولَ اللهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ يَقُولُ: «مَنْ نَزَلَ مَنْزِلًا ثُمَّ قَالَ: أَعُوذُ بِكَلِمَاتِ اللهِ التَّامَّاتِ مِنْ شَرِّ مَا خَلَقَ، لَمْ يَضُرَّهُ شَيْءٌ حَتَّى يَرْتَحِلَ مِنْ مَنْزِلِهِ ذَلِكَ». [صحيح] - [رواه مسلم]

(253) – გადმოცემულია ხავლა ბინთ ჰაქიმ ალ-სულამიასგან, რომელმაც თქვა: გავიგონე ალლაჰის შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამბობდა: «ვინც დაბინავდება რომელიმე ადგილას და იტყვის: "მივეკედლები ალლაჰს, მისი სრულყოფილი სიტყვებით, იმ სიავისგან, რაც მან შექმნა" /ა'უუზუ ბი ქალიმაათი ლლააჰი თაამმაათი მინ შარრი მაა ხალაყ/, მას ვერაფერი ავნებს მანამ, სანამ იმ ადგილს არ დატოვებს». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა მუსლიმმა]

განმარტება:

შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ასწავლის თავის უმმათს ჩაეჭიდოს და მიმართოს იმ სასარგებლო ვედრებას, რომელიც ააცილებს მას თავიდან ყველა საფრთხეს, რომლისაც ეშინია ადამიანს,

როცა რომელიმე ადგილს ირჩევს დასაბანაკებლად გზაში. სულერთია, ეს იქნება მგზავრობის თუ გასართობი ლაშქრობის დროს: ის უნდა ჩაეჭიდოს და მიმართოს ალლაჰის სრულ და უნაკლო ყველა სიტყვებს თავისი მადლით, ბარაქით და სარგებლობით. რომელიც შორს არის ყოველგვარი ნაკლოვანებისგან, ყველა გაჩენილი ქმნილების ბოროტებისგან, რომელსაც ზარალის მოტანა შეუძლია, სანამ იქნება გაჩერებული დასაბანაკებელ ადგილას ყველაფრისგან, რაც მას შეაწუხებს.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. ალლაჰისგან თავშესაფრის ძიება (ალ-ისთი'აზა) არის თაყვანისცემის ფორმა. ის ხდება უზენაესი ალლაჰის მეშვეობით, ან მისი საუკეთესო სახელებისა და თვისებების გამოყენებით.
2. უზენაეს ალლაჰზე მიკედლების ნებართვა მისი სიტყვებით, რადგანაც ეს არის უზენაესი ალლაჰის ერთ-ერთი თვისება. ხოლო რომელიმე ქმნილებისგან თავშესაფრის ძიება წარმოადგენს მრავალღმერთიანობას (შირქს).
3. ამ ვედრების სიძვირფასე და ბარაქიანობა.
4. მორწმუნის მიერ ვედრების შესრულება არის მისი უბედურებისგან დაცვის მიზეზი.
5. ალლაჰის გარდა სხვა რამეზე მიკედლების

უგულებელყოფა მაგალითად ჯინზე, ჯადოქრებზე, მკითხავებზე და სხვა.

6. ამ ვედრების ნებადართულობა მისთვის, ვინც აპირებს სადმე გაჩერებას, ან დარჩენას გამგზარებამდე თუ მგზავრობაში.

(5932)

(254) – عَنْ أَبِي حُمَيْدٍ أَوْ عَنْ أَبِي أُسَيْدٍ قَالَ: قَالَ رَسُولُ اللهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ: «إِذَا دَخَلَ أَحَدُكُمُ الْمَسْجِدَ فَلْيَقُلِ: اللَّهُمَّ افْتَحْ لِي أَبْوَابَ رَحْمَتِكَ، وَإِذَا خَرَجَ فَلْيَقُلِ: اللَّهُمَّ إِنِّي أَسْأَلُكَ مِنْ فَضْلِكَ». [صحيح] - [رواه مسلم]

(254) – აბუ ჰუმაიდ ან აბუ უსაიდის გადმოცემით (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი), მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «როდესაც რომელიმე თქვენგანი მეჩეთში შევა, თქვას: "ალლაჰუმმა ფთაჰლიი აბვააბა რაჰმათიქ/ ო ალლაჰ, გამიღე შენი წყალობის კარები, ხოლო როცა მეჩეთიდან გამოვა, თქვას: ალლაჰუმმა ინნიი ას'ალუქა მინ ფადლიქ/ო ალლაჰ, შენს სიკეთეს გთხოვ"». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა მუსლიმმა]

განმარტება:

ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თავის ხალხს მიუთითა იმაზე, თუ რა სიტყვები უნდა თქვან მეჩეთში შესვლის დროს: (ო,

ალლაჰ, გამიღე შენი წყალობის კარები). ესაა ღმერთზე მიმართვა, რომ მან გაუღოს თავისი წყალობის გზები. ხოლო მეჩეთიდან გამოსვლისას უნდა თქვას: (ო, ალლაჰ, გთხოვ შენს სიკეთეს). ამით ადამიანი ალლაჰს სთხოვს მის წყალობასა და დიდ მოწყალებას, რომ მისცეს ჰალალი საარსებო საშუალებები მისი სიკეთითა და უხვი წყალობით.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. მეჩეთში შესვლისა და გამოსვლის დროს აღნიშნული ვედრების წარმოთქმა სასურველია.
2. მოწყალების ხსენება მეჩეთში შესვლისას და მადლის ხსენება გამოსვლისას დაკავშირებულია იმასთან, რომ მეჩეთში შესვლისას ადამიანი იწყებს ქმედებებს, რომლებიც მას ალლაჰსა და მისი სამოთხისკენ აახლოებს, ამიტომ ამ დროს მოწყალების ხსენება შესაფერისია. ხოლო მეჩეთიდან გამოსვლისას, როდესაც ადამიანი დედამიწაზე გადაადგილდება და ალლაჰისგან საარსებო საშუალებებს ეძებს, ამ შემთხვევაში მადლის ხსენება უფრო შესაბამისია.
3. ეს ზიქრები ითქმება მაშინ, როდესაც ადამიანი მეჩეთში შესვლას და მისგან გამოსვლას აპირებს.

(65092)

(255) – عَنْ جَابِرِ بْنِ عَبْدِ اللهِ رضي الله عنهما أَنَّهُ سَمِعَ النَّبِيَّ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ يَقُولُ: «إِذَا دَخَلَ الرَّجُلُ بَيْتَهُ، فَذَكَرَ اللهَ عِنْدَ دُخُولِهِ وَعِنْدَ طَعَامِهِ، قَالَ الشَّيْطَانُ: لَا مَبِيتَ لَكُمْ، وَلَا عَشَاءَ، وَإِذَا دَخَلَ، فَلَمْ يَذْكُرِ اللهَ عِنْدَ دُخُولِهِ، قَالَ الشَّيْطَانُ: أَدْرَكْتُمُ الْمَبِيتَ، وَإِذَا لَمْ يَذْكُرِ اللهَ عِنْدَ طَعَامِهِ، قَالَ: أَدْرَكْتُمُ الْمَبِيتَ وَالْعَشَاءَ». [صحيح] - [رواه مسلم]

(255) – გადმოცემულია ჯაბირ იბნ აბდულლაჰისგან (ალლაჰი იყოს კმაყოფილი მათით), რომ მან გაიგონა, რომ ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «როდესაც ადამიანი შედის თავის სახლში და მოიხსენიებს ალლაჰს შესვლისას და საჭმლის დროს, შაიტანი თავის მიმდევრებს ეუბნება: "აქ თქვენთვის არც თავშესაფარი იქნება და არც ვახშამი!" მაგრამ თუ ადამიანი შედის სახლში და შესვლისას არ მოიხსენიებს ალლაჰს, შაიტანი ამბობს: "თქვენ მიიღეთ თავშესაფარი". ხოლო თუ ის არც საჭმლის დროს მოიხსენიებს ალლაჰს უზენაესს, შაიტანი ამბობენ: "თქვენ მიიღეთ როგორც თავშესაფარი, ასევე ვახშამი"». [სანდო (საჰიჰ)] - [გადმოსცა მუსლიმმა]

განმარტება:

შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ბრძანა ალლაჰის სახელის ხსენება სახლში შესვლის დროს და ჭამის დაწყების წინ, ვინც ახსენებს ალლაჰს სიტყვებით: (ბისმილლაჰ) "ალლაჰის სახელით" სახლში

შესვლის დროს და ჭამის დაწყების წინ, ეშმაკი ეტყვის თავის მეგობრებს: არ გაქვთ ამ სახლიდან და ამ ვახშმიდან არანაირი წილი, რადგან სახლის პატრონმა დაიცვა ის თქვენგან უზენაესი ალლაჰის სახელის ხსენებით. მაგრამ კაცი თუ შევა სახლში და არ ახსენებს ალლაჰის სახელს არც შესვლისას და არც ჭამის დაწყების წინ, ეშმაკი ეტყვის თავის მეგობრებს, რომ თქვენ იპოვეთ ღამის გასათევიც და ვახშამიც ამ სახლში.

ჰადისის სარგებლობიდან:

1. სასურველია ალლაჰის მოხსენიება სახლში შესვლისას და საჭმლის მიღების დროს, რადგან შაიტანი ღამეს ატარებს იმ სახლებში და ჭამს მათი მაცხოვრებლების საკვებს, თუ ისინი არ ახსენებენ უზენაესი ალლაჰის სახელს.
2. ეშმაკი უთვალთვალებს ყველა ადამიანს თავის საქმეებში, ქმედებებში და ყველა მდგომარეობაში. და როცა მას დაავიწყდება ალლაჰის ხსენება ეშმაკი მისგან აიღებს იმას, რაც მას სურს.
3. ზიქრი (ალლაჰის ხსენება) ეშმაკს განდევნის.
4. ყველა ეშმაკს ჰყავს თავისი მიმდევრები და მეგობრები, უხარიათ მისი სიტყვების მოსმენა და მიჰყვებიან მის ბრძანებებს.

(3037)

სარჩევი

შესავალი.....2

ჭეშმარიტად, საქმეები (ფასდება) მხოლოდ განზრახვებით, და ჭეშმარიტად, თითოეული ადამიანი (მიიღებს) მხოლოდ იმას, რისი მიღებაც განიზრახა.....4

თუ ვინმე შემოიტანს ჩვენს ამ საქმეში (ისლამში) რაიმეს ახალს, რაც მას არ ეკუთვნის, ის იქნება უარყოფილი.....6

ისლამი არის: დაამოწმო, რომ არ არსებობს ღმერთი, გარდა ალლაჰისა და რომ მუჰამმადი მისი შუამავალია, შეასრულო ლოცვა, გასცე ზაქათი, იმარხო რამადანი და შეასრულო ჰაჯობა თუ შეგიძლია.....8

ისლამი დაფუძნებულ იქმნა ხუთ საფუძველზე.....15

ალლაჰის უფლება მისი მსახურების მიმართ არის ის, რომ მას ემსახურონ და არაფერი დაუდგინონ თანამოზიარედ , ხოლო მსახურების უფლება ალლაჰის მიმართ არის ის, რომ არ დასჯის მას, ვინც მას არაფერს უდგენს თანაზიარად.....18

რომელმაც (ალლაჰის) მსახურმა გულით გულწრფელად აღიარა, რომ არ არსებობს სხვა ღვთაება, რომელიც ღირსია თაყვანისცემის, გარდა ალლაჰისა და რომ მუჰამმადი მისი მსახური და მისი მოციქულია, ალლაჰი მას აუცილებლად აკრძალავს ცეცხლში შესვლას.....21

ვინც თქვა: არ არსებობს ღვთაება, გარდა და უარყო სხვა ყველაფერი, რასაც ალლაჰის გარდა ეთაყვანებიან, აკრძალულია მისი ქონება და სისხლი, მისი განკითხვა ალლაჰის ხელშია.....24

ის, ვინც გარდაიცვალა დაუდგენია თანაზიარად - სამოთხეში შევა, ხოლო ვინც გარდაიცვალა ისე, რომ უდგენდა თანაზიარს - ჯოჯოხეთში შევა 26

ვინც მოკვდება ისე, რომ ის ალლაჰის გარდა სხვა ვინმეს ევედრებოდა - შევა ჯოჯოხეთში 28

შენ მიხვალ ხალხთან, რომლებიც წიგნის ხალხია. როცა მათთან მიხვალ, მოუწოდე მათ, რომ დაამოწმონ: არ არსებობს ღმერთი, და ალლაჰის მოციქულია.....30

ბედნიერი ადამიანი იქნება ის, ვინც გულწრფელად, მთელი გულით და სულით იტყვის: არ არსებობს ღვთაება, გარდა ლაა.....33

რწმენას აქვს სამოცდაათზე ან სამოცზე მეტი ნაწილი, ხოლო, საუკეთესო მათგანი არის სიტყვები: არ არსებობს ღმერთი გარდა ალლაჰისა", ხოლო მისი ყველაზე დაბალი გამოვლინება არის: გზიდან რაიმე საზიანოს მოშორება.....36

შევეკითხე შუამავალს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას): რომელია ყველაზე დიდი ცოდვა ალლაჰის წინაშე? მან თქვა: «დაუდგინო ალლაჰს მოზიარე, როდესაც მან გაგაჩინა შენ .38

მე სრულიად არ ვსაჭიროებ იმას, რომ თანაზიარი დამიყენონ. ვინც რაიმე საქმეს შეასრულებს და თანაზიარს დამიდგენს მასში, მე მივატივებ მასაც და მის მრავალღმერთიანობასაც 40

ჩემი უმმეთიდან ყველა შევა სამოთხეში, გარდა იმისა ვინც უარყო.....42

არ განმადიდოთ ისე, როგორც ქრისტიანებმა განადიდეს მარიამის ძე, მე მხოლოდ ალლაჰის მონა ვარ და ამიტომ თქვით: ალლაჰის მონა და მისი შუამავალი 43

არ ირწმუნებს თქვენგან არავინ, სანამ არ შემიყვარებს მე თავის მშობელზე, შვილზე და ყველა ადამიანზე მეტად 45

გადაეცით ჩემგან თუნდაც ერთი აიათი, და გადაეცით ისრაელის ძეთაგან და ეს არ იქნება აკრძალული. ხოლო ვინც განზრახ მოიტყუებს ჩემზე, მოამზადოს თავისი ადგილი ცეცხლში.....47

განა შესაძლებელია, რომ კაცს, რომელსაც ჩემს შესახებ ამცნობენ ჰადისს, წამოწოლილი იყოს თავის დივანზე და თქვას: "ჩვენს შორის და თქვენ შორის ალლაჰის წიგნია 49

ალლაჰის წყევლა ებრაელებზე და ქრისტიანებზე, რომლებმაც თავიანთი წინასწარმეტყველების საფლავები სალოცავებად აქციეს.....52

ო ალლაჰ, არ აქციო ჩემი საფლავი კერპად 54

არ გადააქციოთ თქვენი სახლები საფლავებად და არ აქციოთ ჩემი საფლავი სადღესასწაულო ადგილად. დამლოცეთ, რადგან თქვენი დალოცვა ჩემამდე აღწევს, სადაც არ უნდა იმყოფებოდეთ.....56

ეს ადამიანები არიან ისინი, რომლებიც, როცა მათი რიგებიდან მართალი მონა (ან: მართალი ადამიანი-წმინდანი) გარდაიცვლება, მის საფლავზე ტაძარს აშენებენ58

ჭეშმარიტად, მე უარს ვამბობ ალლაჰის წინაშე, რომ ავიყვანო რომელიმე თქვენგან ხალილად (სულიერი მეგობარი, დაახლოებული, საყვარელი მეგობარი).

უზენაესმა ალლაჰმა ამირჩია მის ხალიღად (მეგობრად) ისევე, როგორც იბრაჰიმი აირჩია ხალიღად (მეგობრად) ...60

ნუთუ არ გინდა გაგზავნო იმით, რითიც მე გამგზავნა ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას)? არ დატოვო არცერთი ქანდაკება დაუშლელი, და არ დატოვო არცერთი მოპირკეთებული (ამაღლებული) საფლავი გაუსწორებელი.....64

მოქმედება ცრურწმენების მიხედვით — ეს არის შირქი (თანამოზიარის დადგენა), მოქმედება ცრურწმენების მიხედვით — ეს არის შირქი (თანამოზიარის დადგენა)მოქმედება ცრურწმენების მიხედვით ეს არის შირქი-სამჯერ-»,(შემდეგ აბულლაჰმა თქვა): «ჩვენ შორის არავინ არის, ვისაც მსგავსი აზრები თავში არ უტრიალებს, თუმცა ყოვლისშემძლე და დიადი ალლაჰი გვათავისუფლებს ამ ყველაფრისგან მასზე მინდობით.....65

ჩვენგან არ არის ის, ვინც ჩიტების ფრენით იმკითხავა ან ის ვისაც უმკითხავეს (ჩიტების აფრენით), ვინც იმკითხავა ან ვისაც უმკითხავეს, ვინც ჯადო გააკეთა ან მივიდა ჯადოქართან.....68

არ არსებობს გადამდები დაავადება თავისთავად და არც ცრურწმენა, თუმცა მე მომწონს ალ-ფა'ლ». ჰკითხეს: "რა არის "ალ-ფა'ლ?" მან უპასუხა: «კარგი სიტყვა.....70

იცით, რა თქვა თქვენმა ღმერთმა?" მათ უპასუხეს: ალლაჰმა და მისი მოციქულმა უკეთ იციან. თქვა: "ჩემი მსახურებიდან დღეს დილას გაიღვიძე,ზოგმა ჩემს მორწმუნედ და ზოგმა ურწმუნოდ 73

ვინც თილისმა დაიკიდა, მან ალლაჰს თანაზიარი დაუდგინ 76

შელოცვები, თილისმები და ტივალა (მოჯადოების ან სიყვარულის მოზიდვის ტიპი) — არის ალლაჰთან თანაზიარის დადგენა (შირქი).....78

ვინც მივიდა მკითხავთან და მას რაიმე ჰკითხა, მისი ლოცვა არ იქნება მიღებული ორმოცი ღამის განმავლობაში.....81

ვინც დაიფიცა ალლაჰის გარდა სხვაზე, ის ჩავარდა ურწმუნოებაში ან ჩაიდინა შირქი.....83

ნუ იტყვით: "როგორც ალლაჰმა ინება და ამან", არამედ თქვით: "როგორც ალლაჰმა ინება, და შემდეგ — ამან.....84

ყველაზე მეტად თქვენთვის რაც მაშინებს - ეს პატარა შირქია», იქ მყოფებმა იკითხეს: ო, ალლაჰის შუამავალო, რა არის პატარა შირქი? თქვა: «რია.....87

არ ჩამოჯდეთ სასაფლაოებზე და არ ილოცოთ მათ მიმართულებით.....89

ანგელოზები თან არ ახლავენ იმ ჯგუფს, სადაც არის ძაღლი ან ზარი.....90

ეშმაკი მოდის ერთ-ერთ თქვენგანთან და ეუბნება: ვინ შექმნა ეს? ვინ შექმნა ის? ბოლოს კი იტყვის: ვინ შექმნა შენი უფალი? როცა ის ამ კითხვამდე მიაღწევს, დაე, ითხოვოს ალლაჰისგან თავშესაფარი(თქვას: ა'უზუბილლაჰი მინა შშაიტანი რაჯიიმ) და შეწყვიტოს მასზე ფიქრი 91

ვისაც ჩემი ახლობელი მონის წინააღმდეგ მტრობა ექნება, მე მას ომს გამოვუცხადებ. ჩემთვის ყველაზე საყვარელი ისაა,

რასაც ჩემი მონა ასრულებს ჩემი სიახლოვის მოსაპოვებლად, და რაც მე მასზე სავალდებულოდ დავაწესე 93

გეშინოდეთ ალლაჰის, მოისმინეთ და დამორჩილდით, თუნდაც ეთიოპელი მონა იყოს თქვენი მმართველი, ნამდვილად, ის, ვინც თქვენგან დიდხანს იცოცხლებს, ბევრ განხეთქილებას იხილავს, ამიტომ დაიცავით ჩემი სუნნა და სწორ გზაზე მდგომი მართალი ხალიფების სუნნა.....97

ვინც დაუმორჩილებლობას გამოიჩენს და საზოგადოებისგან(ჯამაათი) ჩამოშორდება, შემდეგ კი სიკვდილს შეხვდება, ის ჯაჰილიის (უვიცობის) 101

ალლაჰი აუცილებლად აუკრძალავს სამოთხეს ნებისმიერ თავის მონას, რომელსაც (ალლაჰი) ჩააბარებს პასუხისმგებლობას რომელიმე ხალხზე, მაგრამ ეს ადამიანი მოატყუებს თავის მზრუნველობქვეშ მყოფთ და გარდაიცვალა, მათ მოტყუებაში ყოფნის დროს.....104

თქვენზე დაინიშნებიან მმართველები, რომელთა საქმეებიდან ზოგი თქვენთვის მისაღები იქნება, ზოგი კი — დასაგმობი. მათ შორის, ვინც იგრძნობს ზიზღს მათი დასაგმობი საქმეების მიმართ, უდანაშაულო დარჩება, ხოლო ვინც დაგმობს მათ, გადარჩება. განსხვავებით მათგან, ვინც კმაყოფილი დარჩება და მათ გზას გაჰყვება 106

ჭეშმარიტად, ჩემი (სიკვდილის) შემდეგ უპირატესობა მიენიჭება (სხვებს) და (იქნება ჩადენილი) საქმეები, რომლებიც არ მოგეწონებათ», ხალხმა ჰკითხა: "ო, ალლაჰის მოციქულო, რის გაკეთებას გვიბრძანებ?" მოციქულმა თქვა:

«გააკეთეთ ის, რაც თქვენთვის არის დადგენილი, და სთხოვეთ ალლაჰს ის, რაც თქვენ გეკუთვნით.....109

ყველა თქვენგანი მწყემსია და ყველა პასუხს აგებს თავისი სამწყემსოს წინაშე. 111

ო, ალლაჰ, იყავი მკაცრი იმასთან, ვინც მიიღებს რაიმე ძალაუფლებას ჩემი თემის (უმმის) წევრებზე და იქნება მკაცრი მათ მიმართ, და იყავი კეთილი იმასთან, ვინც მიიღებს რაიმე ძალაუფლებას ჩემი თემის წევრებზე და გამოიჩენს სიკეთეს მათ მიმართ!.....114

რელიგია არის გულწრფელობა 115

თქვენგან ვინც დაინახავს მოუწონარ (ისლამში მიუღებელი) ქმედებას, გამოასწოროს თავისი ხელით, და თუ ვერ შეძლებს ამას, გამოასწოროს თავისი ენით და თუ ამითაც ვერ შეძლებს, მაშინ თავისი გულით (ანუ შეიძულოს ის საქმე) და ის იქნება რწმენის ყველაზე სუსტი გამომჟღავნება 124

ისინი, ვინც იცავენ ალლაჰის მიერ დაწესებულ საზღვრებს, და ისინი, ვინც არღვევენ ამ საზღვრებს, შეიძლება შევადაროთ ადამიანებს, რომლებმაც ისროლეს წილის კენჭები, რათა დაეკავებინათ ადგილები გემზე: ერთი ნაწილი აღმოჩნდა გემის ზემოთ, მეორე კი ქვემოთ.....126

ვინც სიკეთისკენ მოუწოდებს, მას ექნება მსგავსი მადლი, როგორიც ამ სიკეთის გამკეთებელს, ამით მათ გაკეთებულ მადლს არაფერი მოაკლდება 129

ის, ვინც მიუთითებს კეთილ საქმეზე, მიიღებს იმავე ჯილდოს, როგორსაც ის, ვინც ამას აკეთებს 131

ვინც დაემსგავსა რომელიმე ხალხს - ის მათგანია.....133

ვფიცავ იმას, ვის ხელშიც არის მუჰმმედის სული, ნებისმიერი იუდეველი ან ქრისტიანი, რომელიც გაიგონებს ჩემზე, მაგრამ შემდეგ გარდაიცვლება ისე, რომ არ იწამებს იმას, რისთვისაც მოვლინებული ვარ, ნამდვილად იქნება ცეცხლის მობინადრე.....135

ო, ხალხო, ფრთხილად იყავით რელიგიაში გადაჭარბებისგან, რადგან ნამდვილად, თქვენამდე მცხოვრებნი რელიგიაში გადაჭარბებამ დაღუპა!.....137

დაიღუპებიან გადამეტებულნი.....140

იუდეველები— ისინი არიან, ვისზეც ალლაჰის რისხვა მოვიდა, ხოლო ქრისტიანები — გზიდან აცდენილნი არიან 141

ღმერთმა დაწერა ქმნილებათა ბედი, სანამ ცებს და დედამიწას შექმნიდა, ორმოცდაათი ათასი წლით ადრე ...142

ალლაჰის ჭეშმარიტმა და სანდო მოციქულმა მუჰამედმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: „ჭეშმარიტად, თითოეული თქვენგანი თავის დედის მუცელში ფორმირდება ორმოცი დღე და ღამე.....144

სამოთხე უფრო ახლოსაა თითოეულ თქვენთაგან, ვიდრე თქვენი ფეხსაცმლის თასმები, და ჯოჯოხეთიც მის მსგავსად(ახლოსაა მასთან) 147

ჯოჯოხეთი დაფარულია ვნებებით, სამოთხე კი - უსიამოვნებებით 149

როდესაც ალლაჰმა შექმნა სამოთხე და (ჯოჯოხეთის) ცეცხლი, მან გააგზავნა ჯიბრილი (მშვიდობა მას) 150

„თქვენი ცეცხლი მხოლოდ ერთ-ერთია სამოცდაათი ნაწილიდან გეენას ცეცხლისა 155

ალლაჰი ხელით დაიჭერს (მთელ) დედამიწას და თავის მარჯვენა ხელით შეჰკრავს ცას, შემდეგ იტყვის: 'მე ვარ მეფე! სად არიან ამქვეყნიური მეფეები? 156

განკითხვის დღეს ყველაზე მკაცრად დაისჯებიან ის ადამიანები, ვინც ცდილობენ შექმნან მსგავსი ალლაჰის ქმნილებისა.....157

ვფიცავ, მას ვის ხელშიც არის ჩემი სული, ძალიან მალე ჩამოვა თქვენ შორის ძე მარიამისა სამართლიან მსაჯულად, ის დაამტვრევს ჯვარს, გაანადგურებს ღორებს და გააუქმებს ჯიზიას (არა-მუსლიმების გადასახადს), რის შემდეგაც სიმდიდრე იქნება ისეთი მრავალი, რომ არავინ მიიღებს მას 159

თქვი: არ არსებობს ღმერთი გარდა ალლაჰისა, და დაგიმოწმებ მისით განკითხვის დღეს 161

ჩემი აუზის სიგრძე ერთი თვის სავალი გზაა. მისი წყალი უფრო თეთრია ვიდრე რძე, მისი სურნელი კი უკეთესია, ვიდრე მუსკუსი 163

„აღდგომის დღეს მოიყვანენ სიკვდილს. ის იქნება თეთრი ვერძის 165

ალლაჰს რომ სათანადოდ მიენდოთ, ის მოგცემდათ საარსებო საშუალებებს ზუსტად ისე, როგორც აძლევს პურს

ჩიტს, რომელიც დილას ცარიელი მუცლით გამოდის და საღამოს გამძღარი ბრუნდება 168

მხედარი ესალმება ფეხით მოსიარულეს, ფეხით მოსიარულე — მჯდომარეს, და მცირერიცხოვანი — მრავალრიცხოვანს 170

«ო, ჩემო მონებო, ჭეშმარიტად, მე საკუთარ თავს დავუშალე უსამართლობა და გავხადე ის აკრძალული თქვენ შორის, ამიტომ ნუ ჩაგრავთ ერთმანეთს 172

ერიდეთ უსამართლობას, რადგან უსამართლობა სიბნელეებია განკითხვის დღეს. ერიდეთ სიხარბეს, რადგან სიხარბემ დაღუპა ის, ვინც თქვენს წინ იყო 177

ჭეშმარიტად, ალლაჰი უვადებს უსამართლოს მანამ, სანამ არ დასჯის და შემდეგ მას ვერაფერი გადაარჩენს 179

ჭეშმარიტად, ალლაჰმა ჩაწერა კეთილი და ბოროტი საქმენი და შემდეგ ეს განმარტა: ვინც გადაწყვეტს კეთილი საქმის კეთებას, მაგრამ არ გააკეთებს მას, ალლაჰი მას მაინც ჩაუთვლის სრულ კეთილ საქმეს. ხოლო თუ ადამიანი გადაწყვეტს კეთილი საქმის გაკეთებას და შეასრულებს მას, ალლაჰი მას ჩაუთვლის ათიდან შვიდასამდე და კიდევ ბევრად მეტ კეთილ საქმეს. ვინც გადაწყვეტს ბოროტი საქმის გაკეთებას, მაგრამ არ შეასრულებს მას, ალლაჰი მას ჩაუთვლის სრულ კეთილ საქმეს. ხოლო თუ ის გადაწყვეტს ბოროტი საქმის გაკეთებას და შეასრულებს მას, ალლაჰი მას ჩაუთვლის მხოლოდ ერთ ბოროტ საქმეს.....181

ვინც ისლამში გამორჩეულია სიკეთით, მას არ დაეკისრება პასუხი ჯაჰილიაში ჩადენილის გამო; ხოლო ვინც ისლამში

ცუდად მოიქცევა, მას პასუხს მოსთხოვენ როგორც წარსულზე, ისე აწმყოზე.....184

ის, რასაც შენ ამბობ და რისკენაც მოგვიწოდებ კარგია. თუმცა, შეგიძლია გვაუწყო, არის თუ არა ჩვენი ჩადენილი ცოდვებისათვის გამოსასყიდი.....186

შენ ისლამი მიიღე იმ კეთილ საქმეებთან, რაც ადრე გაგიკეთებია.....188

ჭეშმარიტად ალლაჰი არ ჩაგრავს მორწმუნეს კეთილ საქმეში: მას ჯილდოს აძლევს ამქვეყნად და ჯილდოს მისცემს იმქვეყნადაც.....189

ერთი ალლაჰის მონა ჩაიდენდა ცოდვას და [გულწრფელად მოინანიებდა] ამბობდა: "ო, ალლაჰ, მაპატიე ჩემი ცოდვა!.191

ნებისმიერი პიროვნება როცა ჩაიდენს ცოდვას, შემდეგ წამოდგება აიღებს აბდესს და იღოცავს, და შემდეგ სთხოვს შენდობას ალლაჰს, ალლაჰი შეუნდობს მას.....194

ჩვენი ღმერთი ყოვლადკეთილი და დიდებული ყოველ ღამე ჩამოდის დედამიწის ცაზე მაშინ, როცა რჩება ღამის მესამედი ნაწილი.....197

“ჭეშმარიტად, ნებადართულიც ნათელია და აკრძალულიც ნათელია.....198

ო ყმაწვილო, მე შენ გასწავლი სიტყვებს: დაიმახსოვრე ალლაჰი და ის დაგიმახსოვრებს შენ. დაიმახსოვრე ის და იპოვი მას შენს წინ, როცა შესთხოვ, შესთხოვე ალლაჰს და როცა გჭირდება დახმარება, სთხოვე დახმარება მხოლოდ ალლაჰს.....201

მითხარი ისლამის შესახებ ისეთი სიტყვები, რომ ამის შემდეგ მე აღარავის ვკითხავდი ამის შესახებ შენ შემდეგ". მან მიპასუხა: «თქვი: "მე მწამს ალლაჰის", შემდეგ კი სწორ გზას დაადექი 204

მორწმუნეთა მაგალითი ურთიერთსიყვარულში, მოწყალებაში და თანაგრძნობაში ჰგავს სხეულს: თუ მისი რომელიმე ნაწილი იტანჯება, მთლიანი სხეული უპასუხებს უძილობითა და სიცხით.....206

ვინც საუჯეთესო ფორმით აიღებს აბდესს, მისი ცოდვები დატოვებს მის სხეულს, ისინი გამოვა მისი ფრჩხილების ძირებიდანაც კი.....207

ალლაჰი არ მიიღებს რომელიმე თქვენგანის ლოცვას, თუ მას ლოცვის წინა განბანვა მოეშალა, სანამ არ შეასრულებს განბანვას (ვუდუს) 208

რომ ერთმა კაცმა აიღო აბდესი, მაგრამ ფეხის თითზე ფრჩხილის ზომის ადგილი დარჩა მშრალი. ეს მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) დაინახა და უთხრა: «დაბრუნდი და სრულყოფილად აიღე აბდესი». კაცი დაბრუნდა, სრულყოფილად აიღო აბდესი და შემდეგ ლოცვა შეასრულა.....210

მოციქული მუჰამედი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ყოველი ლოცვის წინ პატარა განბანვას აკეთებდა.....212

ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განბანვას აკეთებდა სხეულის თითოეული ნაწილის ერთხელ დაბანით 214

რომ ალლაჰის მოციქულს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განბანვა შეუსრულებია, სხეულის ნაწილების ორ-ორჯერ განბანვით 215

'ვინც განიბანს ისე, როგორც მე განვიბანე, და შემდეგ ორ რაქათს შეასრულებს ისე, რომ არაფერზე იფიქრებს ამ დროს, მას მისი წინა ცოდვები მიეტევება 216

როდესაც რომელიმე თქვენგანი ასრულებს მცირე განბანვას (ვუდუ), უნდა ჩაისუნთქოს წყალი ცხვირში და შემდეგ ამოისუნთქოს ის, ხოლო თუ ასრულებს გაწმენდას ქვებით, უნდა გააკეთოს ეს კენტი რაოდენობით 220

ჭეშმარიტად ორივე მათგანი ისჯება, და არ ისჯებიან დიდი ცოდვების გამო. ერთი მათგანი შარდს არ უფრთხილდებოდა (არ სუფთავდებოდა), ხოლო მეორე ჭორებს ავრჩელებდა 222

შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) როცა შედიოდა საპირფარეშოში(შესვლის წინ) ამბობდა: «ღმერთო ჩემო, შენ შეგეფარები ქალი და კაცი ჯინებისგან /ალლაჰუმმა ინიი ა'უუზუბიქა მინალ ხუბუსი ვალ ხაბააისი 224

სივაქი პირის სისუფთავე და ალლაჰის კმაყოფილების მიზეზია 225

ყოველი მუსლიმის მოვალეობაა, რომ შვიდ დღეში ერთხელ განიბანოს, რომლის დროსაც დაიბანს თავსაც და სხეულსაც 226

ფიტრა (ბუნებრიობა) მოიცავს ხუთ რამეს: წინდაცვეთა, ბოქვენის გაპარსვა, ულვაშების დამოკლება, ფრჩხილების დაჭრა და იღლიებიდან თმების მოგლეჯა.....229

მე ვიყავი ადამიანი, რომელსაც ხშირად ჰქონდა წინათესლის (ალ-მაზი) გამოყოფა, თუმცა მრცხვენოდა ამის შესახებ ალლაჰის მოციქულისთვის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მეკითხა, რადგან მისი ქალიშვილის ქმარი ვიყავი. ამიტომ ვთხოვე ალ-მიყდად იბნ ალ-ასვადს, რომ ეკითხა მისთვის ამის შესახებ. მან ჰკითხა მოციქულს, და მოციქულმა(ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «მან უნდა დაიბანოს თავისი სასქესო ორგანო და აიღოს აბდესი 231

როცა შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ჯუნუბისგან დიდ განბანვას აკეთებდა, ჯერ იბანდა ხელებს, შემდეგ იღებდა მცირე განბანვას (აბდესს), როგორც ლოცვისთვის, შემდეგ დაიბანდა მთლიან სხეულს.....233

შენთვის საკმარისი იქნებოდა, რომ ასე გაგეკეთებინა ხელებით», და მან მიწას ერთხელ დაჰკრა ორივე ხელით, შემდეგ მარცხენა ხელით მარჯვენა ხელი შეიწმინდა, შემდეგ კი ხელების ზედაპირი და სახე 235

შეეშვი, მე ისინი სისუფთავის დროს (აბდესის აღების შემდეგ) ჩავიცვი 237

ჭეშმარიტად, ეს სისხლდენა ვენიდან (სისხლძარღვიდან) არის. შეიკავე თავი ლოცვისგან იმდენი დღე, რამდენიც ჩვეულებრივ გქონდა მენსტრუაცია, შემდეგ აიღე ღუსლი (დიდი განბანვა) და განაგრძე ლოცვა 240

თუ რომელიმე თქვენგანმა მუცელში რაიმე იგრძნო და დაეჭვდა, გამოვიდა მისგან რაიმე თუ არა, ნუ დატოვებს მეჩეთს მანამ, სანამ ხმას არ გაიგონებს ან სუნს არ იგრძნობს 242

როდესაც მუეზინი ამბობს: „ალლაჰუ აქბარ, ალლაჰუ აქბარ 244

როდესაც მუაზინის მოწოდებას მოისმენთ, გაიმეორეთ ის, რასაც ის ამბობს. შემდეგ დამლოცეთ მე.....247

ვინც მუეძინის გაგონებისას იტყვის: ვამოწმებ, რომ არ არსებობს ღვთაება ალლაჰის გარდა, ის ერთია და მას არ ჰყავს თანაზიარი. ვამოწმებ, რომ მუჰამმადი მისი მსახური და მოციქულია. კმაყოფილი ვარ ალლაჰით, როგორც ჩემი ღმერთით, მუჰამედით, როგორც მოციქულით, და ისლამით, როგორც რელიგიით, ეპატიება მას ცოდვები». /აშჰადუ ან ლაა ილააჰა ილლა ლლააჰ ვაჰდაჰუ ლაა შარიიქა ლაჰ, ვა ანნა მუჰამმადან 'აბდუჰუ ვა რასუულუჰ, რადიითუ ბი-ლლაჰი რაბბან ვა ბი-მუჰამმადუნ რასუულან, ვა ბილ-ისლაამი დიინან/.....250

გესმის ლოცვისკენ მოწოდება(აზანი)?» მან თქვა: დიახ, შუამავალმა უთხრა: «მაშინ უპასუხე მას.....252

თქვენს კარებთან რომ ჩამოდიოდეს მდინარე და ბანაობდეთ მასში დღეში ხუთჯერ, დარჩებოდა თუ არა თქვენს სხეულზე რაიმე ჭუჭყი?.....254

რომელი საქმეა ალლაჰისთვის ყველაზე საყვარელი? მან თქვა: «თავის დროს შესრულებული ლოცვა». მე ვკითხე: შემდეგ რომელი? მან თქვა: «მშობლებზე კეთილად

მოპყრობა», მე ვკითხე: შემდეგ რომელი? მან თქვა: «ბრძოლა (ჯიჰადი) ალლაჰის გზაზე 255

ყველა მუსლიმისთვის, რომელიც სავალდებულო ლოცვის დადგომის დროს სწორად განახორციელებს განბანვას, ლოცვის დროს დაიცავს სათანადო თავმდაბლობას და სწორად შეასრულებს ყველა მუხლს, [ეს ლოცვა] აუცილებლად იქნება მანამდე ჩადენილი ცოდვების გამოსყიდვა, თუ მათ შორის არ ყოფილა რაიმე მძიმე ცოდვა, და ასე იქნება ყოველთვის 257

ხუთი ყოველდღიური ლოცვა, პარასკევის ლოცვა შემდეგ პარასკევის ლოცვამდე და რამადანის მარხვა შემდეგ რამადანამდე, შლის მათ შორის არსებულ მცირე ცოდვებს, თუ ადამიანი დიდ ცოდვებს ერიდებოდა.....259

უთხარით თქვენს შვილებს, რომ ილოცონ, როცა ისინი შვიდი წლისანი გახდებიან, და დასაჯეთ ისინი, თუ არ ილოცებენ, როცა ათი წლის გახდებიან, და გააცალკევეთ ისინი საწოლებში 261

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს: "მე გავყავი ლოცვა ჩემსა და ჩემს მორჩილს შორის ორად, და ჩემი მორჩილი მიიღებს იმას, რასაც უთხოვს.....262

ჭეშმარიტად, შეთანხმება ჩვენსა და მათ შორის არის ლოცვა, ვინც ის მიატოვა, ურწმუნოება ჩაიდინა.....266

ჭეშმარიტად, ადამიანს და შირქსა და ურწმუნოებას შორის გამყოფი ზღვარი არის ლოცვის მიტოვება 267

ო, ბილალ! მოუხმე ლოცვისკენ და დაგვასვენე მისით.....269

არ არის ლოცვა იმისი, ვინც არ წაიკითხა სურა ალ-ფათიჰა 270

ვფიცავ იმას, ვისი ხელშიცაა ჩემი სული, მე ყველაზე ზუსტად ვიმეორებ ალლაჰის მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ლოცვას, რადგან ეს იყო მისი ლოცვა მანამ, სანამ ის არ დატოვებდა ამ სამყაროს.....271

მე მებრძანა, რომ შვიდ ძვალზე შევასრულო საჯდა 274

ჭეშმარიტად, თქვენ იხილავთ თქვენს უფალს [ისე ნათლად], როგორც ხედავთ ამ მთვარეს, და არ დაგზარავთ მისი ხილვა 276

ვინც ასრულებს დილის ლოცვას, ის ალლაჰის მფარველობაშია.....278

ვინც მიატოვა ნაშუადღევის ლოცვა, მისი საქმეები ფუჭი იქნება 280

ვინც ლოცვას დაივიწყებს, უნდა შეასრულოს ის, როგორც კი გაიხსენებს, რადგან მას არ აქვს სხვა გამოსასყიდი, გარდა ამისა.....281

თვალთმაქცებისთვის ყველაზე ძნელი შესასრულებელია ღამის და დილის ლოცვები. მაგრამ, მათ რომ იცოდნენ, რამდენი სიკეთეა ამ ლოცვებში, აუცილებლად შეუერთდებოდნენ მათ, თუნდაც ხოხვით მისულიყვნენ..283

როდესაც შუამავალი (ალლაჰმა დალოცოს და მიესალმოს მას) სწორდებოდა რუქუ'იდან ის ამბობდა: «შეისმინა ალლაჰმა იმის, ვინც ის განადიდა 285

მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ორ სუჯუდს შორის ამბობდა: «რაბბი ღფირ ლიი, რაბბი ღფირ ლიი». /ღმერთო ჩემო მაპატიე/ 287

მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ორ საჯდას შორის ამბობდა: «ღმერთო ჩემო მომიტევე მე, შემიწყალე, მომეცი ჯანმრთელობა, დამადგინე სწორ გზაზე და მომეცი სარჩო / ალლაჰუმმა ღფირლიი, ვა-რჰამნიი, ვა - 'ააფინიი, ვა-ჰდინიი, ვა-რზუყნიი 288

როდესაც ლოცვას იწყებთ, გაასწორეთ რიგები, შემდეგ კი თქვენს შორის ერთ-ერთი გახდეს იმამი. როდესაც ის "ალლაჰუ აქბარ"-ს იტყვის, თქვით "ალლაჰუ აქბარ.....289

ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მასწავლა თაშაჰუდი ისე, რომ ჩემი ხელი მის ხელებს შორის იყო, ისე მასწავლა როგორც ყურანიდან სურას მასწავლიდა 297

ჩემო ღმერთო, მე მოგეკედლები შენ საფლავის სასჯელისგან, ჯოჯოხეთის სასჯელისგან, სიცოცხლისა და სიკვდილის ცდუნებისგან, და ცრუ მესია დაჯჯალის ცდუნებისგან.....301

ადამიანმა არ უნდა აღასრულოს ლოცვა (ის სრულფასოვანი არ იქნება) არც მაშინ, როცა საჭმელი მოტანილია, და არც მაშინ, როდესაც ის იკავებს თავს დიდი ან მცირე საჭიროების დაკმაყოფილებისგან 304

ეს არის ეშმაკი, სახელად ხინზაბ. როცა მის არსებობას იგრძნობ, მიმართე ალლაჰს მის წინააღმდეგ დაცვისთვის და სამჯერ გადააფურთხე მარცხნივ.....305

ყველაზე ცუდი ქურდი ხალხში ის არის, ვინც თავის ლოცვას იპარავს». ჰკითხეს: "როგორ იპარავს ლოცვას?" მან უპასუხა: «როცა არ ასრულებს სრულყოფილად რუქუ"ს და სჯულდს.....307

ნუთუ არ ეშინია თქვენგან იმას, ვინც იმამის წინ ასწევს თავის თავს, რომ ალლაჰმა მისი თავი ვირის თავად არ გადააქციოს ან მისი სახე ვირის სახეს არ დაამსგავსოს?!....308

ჩემო ღმერთო, შენ ხარ მშვიდობა და შენგანაა მშვიდობა, დიდებული ხარ ო, დიდებულო და უხვად ხელგაშლილო 310

ალლაჰის შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მსგავსად კითხულობდა ყოველი ლოცვის შემდეგ 312

რომ ყოველი სავალდებულო ლოცვის შემდეგ მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამბობდა 315

რომ ყოველი სავალდებულო ლოცვის შემდეგ მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამბობდა 316

შუამავლისგან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) დავიმახსოვრე ათი რაქაათი (მუხლი) ლოცვა.....318

როცა რომელიმე თქვენგანი მეჩეთში შევა, მან უნდა შეასრულოს ორი რაქათის ლოცვა, სანამ დაჯდება 320

თუ პარასკევს, როდესაც იმამი ქადაგებას კითხულობს, შენ გვერდით მყოფ ადამიანს, რომელიც ქადაგების დროს საუბრობდა, ეტყვი: 'გაჩუმდი!' — მაშინ თვითონაც ჩაითვლები, როგორც ის, ვინც უადგილოდ ისაუბრა 321

ფეხზე დამდგარმა ილოცე, თუ არ შეგიძლია დამჯდარმა ილოცე, თუ ისიც არ შეგიძლია გვერდზე დაწოლილმა 322

ლოცვა ჩემს ამ მეჩეთში უკეთესია, ვიდრე ათასი ლოცვა სხვა მეჩეთებში, გარდა აკრძალული მეჩეთისა [მექქაში].....324

ვინც ალლაჰისთვის მეჩეთს ააშენებს, ალლაჰი მას სამოთხეში მსგავს სახლს აუშენებს 325

მოწყალება (სადაყა) არაფრით ამცირებს სიმდიდრეს. ალლაჰი თავის მონას, რომელიც პატიობს სხვებს, არაფერს უმატებს, გარდა დიდებისა, და ვინც ალლაჰისთვის თავმდაბლობას გამოიჩენს, ალლაჰი მას აუცილებლად აამაღლებს.....326

ალლაჰმა თქვა: გაეცი ჰეი, ადამის შვილო! და მე გავცემ შენზე! 328

როცა კაცი ხარჯავს ქონებას თავის ოჯახზე, ამასთან ალლაჰის ჯილდოს იმედი აქვს, ეს მას მოწყალებად ჩაეთვლება.....329

ვინც გადაუვადებს ვალს გაჭირვებულს ან საერთოდ აპატიებს მას (ვალს ან მის ნაწილს), ალლაჰი დაფარავს მას თავისი ტახტის ჩრდილში აღდგომის დღეს, იმ დღეს, როდესაც სხვა ჩრდილი არ იქნება, გარდა მისი ჩრდილისა 331

ალლაჰმა შეიწყალოს ის კაცი, ვინც ლმობიერია, როდესაც ყიდის, როდესაც ყიდულობს და როდესაც ვალს მოითხოვს 332

იყო კაცი, რომელიც ხალხს სესხს აძლევდა, და ის თავის მსახურს ეუბნებოდა: "თუ გაჭირვებულთან მიხვალ, შეუნდე მას, იქნებ ალლაჰმა მოგვიტევოს ჩვენც 333

ჭეშმარიტად, არიან ადამიანები, რომლებიც განკარგავენ ალლაჰის ქონებას შეუფერებელი გზით, მაგრამ აღდგომის დღეს მათთვის იქნება ცეცხლი 335

ვინც იმარხა რამადანი რწმენით და საზღაურის იმედით, ეპატიება მას მის წინ ჩადენილი ყველა ცოდვა 337

ვინც გათენებს ყადირის ღამეს რწმენით და საზღაურის იმედით, ეპატიება მას წარსული ცოდვები 338

ვინც ალლაჰისთვის შეასრულა ჰაჯობა, არ ჩაიდინა არანაირი უზნეობა და ცოდვა, დაბრუნდება ისეთივე [სუფთა ცოდვებისგან], როგორიც იყო იმ დღეს, როდესაც თავისმა დედამ შვა 339

არ არსებობს დღეები, რომელშიც გაკეთებული კარგი საქმე უფრო მეტად საყვარელი იყოს ალლაჰისთვის, ვიდრე ამ დღეებში», იგულისხმება ზუ-ლ-ჰიჯჯას ათი დღე.....341

ჭეშმარიტად, ალლაჰი არ უყურებს თქვენს გარეგნობას და თქვენს ქონებას, მაგრამ, ის უყურებს თქვენს გულებს და საქმეებს.....343

ჭეშმარიტად, ალლაჰი ეჭვიანობს, და მორწმუნეც ეჭვიანობს. ალლაჰის ეჭვიანობა გამოვლინდება მაშინ, როცა მორწმუნე აკეთებს იმას, რაც მას ალლაჰმა აუკრძალა 344

ერიდეთ შვიდ დამღუპველ ცოდვას.....345

გნებავთ, გამცნოდ ყველაზე დიდი ცოდვების შესახებ 348

დიდი ცოდვებია: ალლაჰზე თანაზიარის დადგენა, მშობლებისადმი ურჩობა, ადამიანის მკვლელობა და ტყუილზე დაფიცება 351

აღდგომის დღეს, ადამიანებს შორის პირველ რიგში გასამართლდება საქმეები, რომლებიც დაკავშირებული იყო სისხლისღვრასთან.....353

ვინც მოკლავს ხელშეკრულების მქონე არამუსლიმს (მუსლიმებთან მშვიდობის პირობით მცხოვრებს), ის სამოთხის სურნელს ვერ იგრძნობს, მიუხედავად იმისა, რომ მისი სურნელი ორმოცი წლის (გასავლელი) მანძილის სიშორეზე იგრძნობა.....355

არ შევა სამოთხეში ნათესაური კავშირის გამწყვეტი 356

ვისაც სურს, რომ მისი სარჩო გაიზარდოს და სიცოცხლე გახანგრძლივდეს, დაე, შეინარჩუნოს ნათესაური კავშირები 358

ნამდვილი ნათესაური კავშირის დამყარებელი ის არ არის, ვინც მხოლოდ საპასუხოდ აკეთებს ამას, არამედ ნამდვილი კავშირის დამყარებელი ისაა, ვინც აგრძელებს ნათესაურ კავშირს იმასთან, ვინც გაწყვეტს მასთან კავშირს.....360

იცით, რა არის ჭორაობა?» თქვეს: ალლაჰმა და მისმა მოციქულმა უკეთ იცის. მან თქვა: «ეს არის საუბარი შენი ძმის შესახებ ისეთ რამეზე, რაც მას არ მოეწონებოდა.....361

მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) დაწყევლა მექრთამე და ქრთამის მიმღები სასამართლოს საქმეებში..364

უფრთხილდით ეჭვს. ჭეშმარიტად ეჭვით საუბარი ყველაზე მატყუარა სიტყვებია.....365

ჰორიკანა არ შევა სამოთხეში.....368

ჩემი უმმათის ყველა წევრი იქნება კეთილდღეობაში, გარდა იმათი, ვინც აშკარად სცოდავს.....369

ჰეი, ადამიანებო! ალლაჰმა მოგაშორათ უმეცრობის დროინდელი ქედმაღლობა და წინაპრებით.....371

ჭეშმარიტად, ალლაჰისთვის ყველაზე საძულველი ადამიანები არიან ისინი, ვინც მუდმივად დავობენ და კამათობე.....373

“თუ ორი მუსლიმი შეხვდება (ბრძოლაში, მახვილების გადაჯვარედინებით), როგორც მკვლელი, ასევე მოკლული აღმოჩნდებიან (ჯოჯოხეთის) ცეცხლში 374

ვინც ჩვენს წინააღმდეგ იარაღს აღმართავს, ის არ არის ჩვენთაგანი 377

ნუ შეურაცხყოფთ გარდაცვლილებს, რადგან მათ უკვე მიიღეს ის, რაც დაიმსახურეს.....378

მუსლიმანს ეკრძალება თავისი ძმისგან დაშორება სამ დღეზე მეტხანს, რომლის განმავლობაშიც ისინი შეხვედრისას ერთმანეთს ზურგს აქცევენ. ხოლო მათგან საუკეთესო ის იქნება, ვინც პირველი მიესალმება მეორეს 379

ვინც მომცემს გარანტიას იმის შესახებ, რაც მას ყბებს შორის აქვს, და იმის შესახებ, რაც მას ფეხებს შორის აქვს, მას ვაძლევ სამოთხის გარანტიას.....381

არ გაემგზავროს ქალი ორდღიან გზაზე, თუ მასთან ერთად არ არის ქმარი ან მაჰრამი.....382

არ დამიტოვებია ჩემს შემდგომ მამაკაცებისთვის იმაზე დიდი განსაცდელი, ვიდრე ქალები 386

ჭეშმარიტად, ეს ქვეყანა არის ტკბილი და თვალისმომჭრელი, ალლაჰმა თქვენ მმართველებად დაგადგინათ მასში, და უყურებს თუ რას იმოქმედებთ, ასე რომ უფრთხილდით ამ ქვეყანას და უფრთხილდით ქალებს 388

ქორწინება არ არის მოქმედი მეურვის თანხმობის გარეშე.390

ყველაზე მეტად იმ პირობების შესრულება გევალებათ, რომლითაც ნებადართული გახდა თქვენთვის ცოლები 392

ეს სამყარო ნეტარებაა, ხოლო ამ სამყაროს საუკეთესო ნეტარება— მორწმუნე(კეთილშობილი) ცოლია 393

ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) აკრძალა ყაზაღი (თმის ნაწილობრივ შეჭრა) 394

დაიმოკლეთ ულვაშები და დაიგრძელეთ წვერი.....395

კაცმა არ უნდა შეხედოს კაცის აურათს, და არც ქალმა უნდა შეხედოს ქალის აურათს 396

ჭეშმარიტად, თქვენს შორის საუკეთესო ის არის, ვისაც საუკეთესო ზნეობა აქვს 398

ჭეშმარიტად, მორწმუნეს შეუძლია თავისი კარგი ზნეობით მარხულისა და(მთელი ღამით) მლოცველის საფეხურს მიაღწიოს 400

სრულყოფილი რწმენა აქვთ იმ მორწმუნეებს, რომლებიც გამოირჩევიან საუკეთესო ხასიათით, ხოლო თქვენგან

საუკეთესონი არიან ისინი, ვინც საუკეთესოდ ეპყრობა საკუთარ ქალებს....402

მოციქულს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ჰკითხეს, რა უფრო მეტად შეიყვანს ადამიანებს სამოთხეში, და მან უპასუხა:«ალლაჰის მოშიშობა და კეთილზნეობა....403

ალლაჰის შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ადამიანთა შორის საუკეთესო ზნეობის იყო....405

ჭეშმარიტად ალლაჰის მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ზნეობა ყურანი იყო 406

ჭეშმარიტად ალლაჰმა დაავალა, რომ ყოველ საქმეში 408

ჭეშმარიტად, სამართლიანები ისხდებიან სინათლის მინბარებზე ალლაჰის წინაშე, ყოვლადმოწყალე ალლაჰის მარჯვენა მხარეს, რომლის ორივე ხელიც არის მარჯვენა..410

აკრძალულია ზიანის მიყენება(თავის თავს ან სხვას), და აკრძალულია პასუხის გაცემა ზიანით. ვინც მუსლიმისთვის ზიანს მოიტანს, მას ალლაჰი მოუტანს ზიანს, და ვინც მუსლიმს სირთულეს შეუქმნის, მას ალლაჰი შეუქმნის სირთულეს 412

არ გაბრაზდე 414

ძლიერი ის კი არ არის, ვინც ბევრს ამარცხებს; ჭეშმარიტად, ძლიერი ის არის, ვინც საკუთარი თავის კონტროლს ახერხებს სიბრაზის დროს....415

სირცხვილის გრძნობა — რწმენის ნაწილია!....417

როდესაც ადამიანი თავის ძმას შეიყვარებს აცნობოს მას, რომ უყვარს ის....418

ყოველი კეთილი საქმე სადაყაა (მოწყალება).....419

სამსჯავროს დღეს ადამიანი ვერ გადაადგამს ნაბიჯს, სანამ მას არ ჰკითხავენ: მის სიცოცხლეზე – როგორ გაატარა იგი, მის ცოდნაზე – როგორ გამოიყენა იგი, მის ქონებაზე – საიდან შეიძინა და სად დახარჯა, მის სხეულზე – თუ რას შეალია იგი 421

ვინც ეხმარება ქვრივ ქალს და უპოვრებს, მსგავსია მუჯაჰიდისა ალლაჰის გზაზე, ან იმის, ვინც ღამეს ლოცვაში და დღეს მარხვაში ატარებს.....422

ვისაც სწამს ალლაჰის და ბოლო დღის, დაე, თქვას კარგი სიტყვა ან გაჩუმდეს.....424

არ უგულებელყო არც ერთი კეთილი საქმე, თუნდაც რომ შეხვდე შენს ძმას ღიმილით.....426

ვინც არ შეიწყალებს ხალხს, მას არ შეიწყალებს დიდებული და ყოვლისშემძლე ალლაჰი.....427

შემწყალებლებს იწყალებს შემწყალებელი, შეიწყალეთ ისინი, ვინც დედამიწაზეა და შეგიწყალებთ ის, ვინც ზეცაშია 429

მუსლიმი ის არის, ვისგანაც მუსლიმები დაცულნი არიან მისი ენისა და ხელისგან, ხოლო მუჰაჯირი ის არის, ვინც მიატოვებს იმას, რაც ალლაჰმა აკრძალა.....430

მუსლიმის უფლება მუსლიმზე ხუთია: სალამზე პასუხის გაცემა, ავადმყოფის მონახულება, დაკრძალვის პროცესიის გაყოლა, მიწვევის მიღება და დაცემინებულზე სიკეთის სურვილი (ალლაჰმა შეგიწყალოს).....432

ვერ შეხვალთ სამოთხეში მანამ, სანამ არ ირწმუნებთ, და ვერ ირწმუნებთ მანამ, სანამ ერთმანეთს არ შეიყვარებთ. გინდათ გასწავლოთ ისეთი რამ თუ მას გააკეთებთ ერთმანეთს შეიყვარებთ? გაავრცელეთ სალამი თქვენ შორის 434

ერთმა კაცმა ჰკითხა მოციქულს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას): "რომელი ისლამი არის საუკეთესო?" მან უპასუხა: «რომ გამოკვებო ხალხი და მიესალმო მას, ვისაც იცნობ და მას, ვისაც არ იცნობ 436

ძლიერი მორწმუნე უფრო კარგი და საყვარელია ალლაჰისთვის სუსტ მორწმუნეზე, ხოლო ორივე მათგანში არის სიკეთე 438

ჯიბრილი არ წყვეტდა ჩემს დარიგებას, რომ მეზობლის მიმართ კარგი დამოკიდებულება მქონოდა (ისე დიდხანს), რომ ვფიქრობდი, რომ მან ის მემკვიდრეთა შორის შეიყვანა 441

ვინც დაიცავს თავისი ძმის ღირსებას, ალლაჰი დაიცავს მის სახეს ცეცხლისგან განკითხვის დღეს.....443

ჭეშმარიტად, შემწყნარებლობა ალამაზებს ყველაფერს, რაშიც ის არსებობს, და აფუჭებს ყველაფერს, რასაც იგი აკლია.....444

„გაადვილეთ და არ გაართულოთ, ახარეთ და არ შეაძულოთ 445

ერთხელ უმართან ვიმყოფებოდით და მან თქვა: «ჩვენ აგვეკრძალა გადაჭარბება.....446

როცა თქვენგან ვინმე ჭამს, დაე, ჭამოს მარჯვენა ხელით, და როცა სვამს, დაე, სვას მარჯვენა ხელით, რადგან სატანა ჭამს მარცხენა ხელით და სვამს მარცხენა ხელით 447

ბიჭუნა, თქვი ბისმილლაჰ (ალლაჰის სახელით), ჭამე მარჯვენა ხელით და იმ მხრიდან, რაც შენთან ახლოს არის 448

ჭეშმარიტად, ალლაჰი კმაყოფილია თავის მსახურით, რომელიც ადიდებს მას ყოველი ნაჭამი ლუკმისა და ყოველი დალეული ყლუპისთვის 451

ერთმა კაცმა ალლაჰის შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვერდით მარცხენა ხელით მიირთვა, და მას უთხრა: «მარჯვენა ხელით ჭამე». მან უპასუხა: არ შემიძლია. შუამავალმა თქვა: «არც შეგძლებოდეს.....452

ჭეშმარიტად, ალლაჰს უყვარს, რომ მის შემსუბუქება მიიღონ ისევე, როგორც უყვარს, რომ მისი ბრძანებები შესრულდე 453

ვისთვისაც ალლაჰს უნდა სიკეთე, გამოცდის მას 455

რაც არ უნდა შეემთხვეს მუსლიმს: დაღლილობა, ავადმყოფობა, შფოთვა, მწუხარება, უსიამოვნება, სევდა ან თუნდაც ეკლის ჩხვლეტა — ალლაჰი აუცილებლად მოაპატიებს ამის გამო მას [რაიმეს] მისი ცოდვებიდან.....456

როდესაც მონა ავად გახდება ან სამოგზაუროდ წავა, მისთვის დაიწერება იმ საქმეების მსგავსი, რასაც ის ჯანმრთელად მყოფი გამგზავრებამდე აკეთებდა 457

ვისაც ალლაჰი სიკეთეს უსურვებს, მას რელიგიის 459

ნუ შეიძენთ ცოდნას იმისთვის, რომ ამაყობდეთ სწავლულების წინაშე, კამათობდეთ უგუნურებთან 461

თქვენს შორის საუკეთესო ის არის, ვინც სწავლობს ყურანს და ასწავლის სხვას.....462

მათ ალლაჰის მოციქულისგან ათ-ათ აიათს სწავლობდნენ, და არ იღებდნენ სხვა ათ აიათს, სანამ არ გაიგებდნენ, რა ცოდნა და ქმედება 463

ვინც წაიკითხავს ალლაჰის წიგნიდან ერთ ასოს, მას დაეწერება ერთი მადლი, რომელიც უდრის ათ მადლს.....465

„ყურანის მცოდნეს განკითხვის დღეს ეტყვიან: 'იკითხე და ამაღლდი. იკითხე მოზომილად და კარგად, როგორც კითხულობდი მიწიერ ცხოვრებაში, და შენი ადგილი იქნება იქ, სადაც შენ წაიკითხავ ბოლო აიათს.....466

სურს რომელიმე თქვენგანს, როცა თავის ოჯახს დაუბრუნდება, იქ სამი დიდი და მსუქანი მაკე აქლემი დახვდეს.....468

მალ-მალე წაიკითხეთ ხოლმე ეს ყურანი, ვფიცავ მას ვის ხელშიცაა მუჰამმადის სული, მისი (ყურანის) გონებიდან წაშლა და დავიწყება უფრო ადვილად ხდება, ვიდრე აქლემის აშვება მისი საბელიდა 469

არ გადააქცვიოთ თქვენი სახლები სასაფლაოებად, უეჭველად, ეშმაკი გაურბის იმ სახლს, სადაც სურა "ალ-ბაყარა" იკითხება.....471

ო, აბა ალ-მუნზირ, იცი, რომელი აიათია ალლაჰის წიგნიდან ყველაზე დიდებული?" თქვა: ვუთხარი: {არ არის ღვთაება, ალლაჰის, უკვდავის, მარადისის გარდა, თვლემა

არ ეუფლება მას და არც ძილი } [ალ-ბაყარა: 255] თქვა: ამის შემდეგ შუამავალმა დაარტყა ჩემს მკერდს და თქვა: " წარმატება გქონდეს ცოდნაში, ო, აბა მუნზირ.....472

ვინც სურა ალ-ბაყარას ბოლო ორ აიათს წაიკითხავს, მისთვის საკმარისი იქნება ღამის განმავლობაში.....474

ვერდება თაყვანისცემაა 475

შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ყოველთვის ალლაჰს ახსენებდა (ზიქრს აკეთებდა).....477

არაფერია ალლაჰისთვის უფრო დასაფასებელი, ვიდრე ვედრება(დუა).....478

„ჭეშმარიტად, რწმენა(იმანი) თქვენს გულებში იცვითება ისევე, როგორც იცვითება ტანსაცმელი. ამიტომ სთხოვეთ ალლაჰს, რომ განაახლოს რწმენა თქვენს გულებში!.....480

მონა ყველაზე ახლოს არის თავის უფალთან, როცა ის ასრულებს სუჯუდს, ამიტომ ამ დროს უფრო ხშირად მიმართეთ ვედრებით.....481

მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ყველაზე ხშირად გამოყენებული ვედრება იყო: "ო, ალლაჰ, ჩვენო უფალო! მოგვმადლე ამქვეყნად სიკეთე, საიქიოში სიკეთე და დაგვიცავი ცეცხლის სატანჯველისგან». /ალლაჰუმმა რაბბანაა აათინაა ფიი დუნიაა ჰასანათან ვა ფილ აახირათი ჰასანათან ვა ყინაა 'აზააბა ნნაარ/ 483

რომ ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) როცა ყოველ საღამოს თავის საწოლში წვებოდა, მიადებდა ხელისგულებს ერთმანეთზე, შემდეგ

დაანერწყვებდა მათში და კითხულობდა: სურა ალ-იხლას, სურა ალ-ფალაყს და სურა ან-ნას.....484

ვედრებების ბატონი 486

[სურა] 'თქვი: ის – ალლაჰია, ერთია, და ორი დამცავი სურა (მუ'ავვიზათანი) დილით და საღამოს სამჯერ, და ეს დაგიცავს ყველა ცუდისგან.....489

ალლაჰისთვის ყველაზე საყვარელი სიტყვები არის: სუბჰანალლაჰ, ალჰამდულილლაჰ, ლაა ილააჰა ილლა ლლაჰ, ლლაჰუ აქბარ, და შენთვის საზიანო არ იქნება, რომლითაც არ უნდა დაიწყო.....491

ვინც იტყვის ათჯერ.....493

ორი სიტყვა მსუბუქია ენისთვის, მძიმეა სასწორზე და საყვარელია მოწყალისთვის.....494

ვინც იტყვის დღეში ასჯერ: "სუბჰაანალლაჰი ვა ბიჰამდიჰი/ წმინდაა ალლაჰი და დიდება მას/, წაეშლება მას ცოდვები, თუნდაც რომ ზღვის ქაფის ტოლი იყოს.....496

„სისუფთავე რწმენის ნახევარია, "დიდება ალლაჰს" (ალჰამდულილაჰ) ავსებს სასწორს, "ალლაჰი ყოვლადწმინდაა" (სუბჰანალლაჰ) და "დიდება ალლაჰს" (ალჰამდულილლაჰ) ავსებენ ცასა და მიწას შორის სივრცეს 497

ჭეშმარიტად, ამ სიტყვების წარმოთქმა: " წმინდა და უნაკლოა ალლაჰი /სუბჰაანალლაჰ, ქება-დიდება ალლაჰს/ალჰამდულილლაჰ, არ არსებობს ღვთაება, გარდა ალლაჰისა/ლაა ილააჰა ილლა ალლააჰ, ალლაჰი

უდიდესია/ალლაჰუ აქბარ", - უფრო საყვარელია ჩემთვის, ვიდრე ის რაზეც მზე ამოდის 501

ყველაზე საუკეთესო ზიქრი (ხსენება) არის: არ არსებობს ღვთაება, გარდა ალლაჰისა/ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ, ხოლო საუკეთესო ვედრება: ქება-დიდება ალლაჰს/ალჰამდულილლაჰ 503

ვინც დაბინავდება რომელიმე ადგილას და იტყვის: "მივეკედლები ალლაჰს, მისი სრულყოფილი სიტყვებით, იმ სიავისგან, რაც მან შექმნა" /ა'უუზუ ბი ქალიმაათი ლლააჰი თაამმაათი მინ შარრი მაა ხალაყ/, მას ვერაფერი ავნებს მანამ, სანამ იმ ადგილს არ დატოვებს 504

როდესაც რომელიმე თქვენგან მეჩეთში შევა, თქვას: "ალლაჰუმმა ფთაჰლიი აბვააბა რაჰმათიქ / ო ალლაჰ, გამიღე შენი წყალობის კარები, ხოლო როცა მეჩეთიდან გამოვა, თქვას: ალლაჰუმმა ინნიი ას'ალუქა მინ ფადლიქ /ო ალლაჰ, შენს სიკეთეს გთხოვ.....506

როდესაც ადამიანი შედის თავის სახლში და მოიხსენიებს ალლაჰს შესვლისას და საჭმლის დროს, შაიტანი თავის მიმდევრებს ეუბნება: "აქ თქვენთვის არც თავშესაფარი იქნება და არც ვახშამი!.....508



წინასწარმეტყველური ჰადისები მეორე წყაროა ისლამური კანონმდებლობის(შარიათის) წყაროებიდან, თქვა დიდებულმა: "და არ მეტყველებს იგი თავისი ნებით რამეთუ ეს მხოლოდ შთაგონებაა, რაც ზეშთაეგონა". [ან-ნაჯმ : 3 - 4]

ეს რჩეული ჰადისები ენციკლოპედიიდან მოიცავს რჩეული ჰადისების კრებულს, რომელსაც საჭიროებს მუსლიმი მისი რელიგიის თუ ცხოვრებისეულ საკითხებში, მათი მოკლე განმარტებით, მათი მნიშვნელობისა თუ მტკიცებულებების ახსნით, რომლებიც ითარგმნა მსოფლიოს სხვადასხვა ენებზე, რათა იქნეს მიტანილი მუამავლის სუნნათი(ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ადამიანებთან მათ ენაზე.

9 786038 517246

موسوعة الأحاديث النبوية
HadeethEnc.com